8 (05)
2- 80

# მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

№ IX 10.

სექტემბერი, 1897

ტფილისი
სტამბა ქრთ. წერ. კითხ. გამავრცელებელ საზოგადოებისა. ТИП. ГРУЗ. ИЗД. Т-ВА.
1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 сентября 1897 г.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


| | |
|---|---|
| | გვ. |
| I—მოლიპულ გზაზე. —მოთხრობა ან. ერისთავისა (დასასრული) . . . . . . . | 1 |
| II—მყინვარს.— ლექსი შ. მღვიმელისა . . . | 73 |
| III—ჰაიდა აქედან!—ეტიუდი იასონ ნიკოლაიშვილისა . | 75 |
| IV—გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი მეორე. —ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა . . . | 82 |
| V—ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით. — (გაგრძელება) თარგმანი ის-ანისა . . . . . | 1 |
| VI—ტბათანიდან წოვათამდინ: — (მგზავრის შენიშვნები) (დასასრული) იგ. ბუქურაულისა . . . . | 18 |
| VII—„ვეფხის-ტყაოსნის" ყალბი ადგილები.—XLI.— ალ. ს—შვილისა. . . . . . . | 54 |
| VIII—შავი-ჭირი (ჟამი) და მის წინააღმდეგ საბრძოლი საშუალებანი.—კ. ელიოზიშვილისა . . | 75 |
| IX—განცხადებანი | |

დამატება:

| | |
|---|---|
| X—საქართველოს სიძველენი . . . . | 385—416 |

# მოლიპულ გზაზე

## მოთხრობა

### XI.

ზაფხულის საამო საღამო იყო. დაწყებული უჩინარ სუსტ შლილიდან თვით უზარმაზარ მთებსა და ცის კიდემდე ყოველივეს თავისი ჩანგი მოემართნა, ჩამოჰკრავდა თვითეულ სიმზე, ტკბილ ხმოვანებით აჟღერებდა. მზე არა სჩანდა, ნაცვლად დედოფალ მთვარეს შემოეკრიბა მხევალნი, დადინჯებით მიმოსცურავდა ლაჟვარდ სივრცეში, მკრთალ სხივებს ნება-ნებისად შლიდა, აფენდა ყოველ საგანსა, ტურფა საოცნებო ჰაეროვნად ხდიდა. სოფელი სტკბებოდა, სუბუქად, შვებით სუნთქავდა. მთელი დღის სიცხე-პაპანაქებით ხვითქში გაცურებული მუშა მინდობოდა მაგრილებელ ჰაერსა, შრომის ოფლს იშრობდა, სახვალიოდ ათას იმედებით იმსჭვალებოდა... როსტომი და გაიანეც ისხდნენ აივანზე, შვილებთან ერთად ჩაის მიირთმევდნენ. როსტომს დაღონება ემჩნეოდა, განო კი უზრუნველად იყურებოდა. ესენი ვერც კი ხედავდნენ ბუნების დიდებულებას, რომელიც უკვე დიდი ხანია მოყირჭებოდათ.

— ჩაი კიდევ მოგართვათ, ბატონო?—ჰკითხა მოსამსახურემ ღრმა ფიქრებში შეცურებულ როსტომს, რომელმაც უარის ნიშნად ხელი გაუქნია. ზეზე წამოდგა, გაიარა.

— არა, ყველაფერს დავიჯერებდი, ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ თავში კი არას დროს არ მომივიდოდა თუ გრიგოლი ასე უმადურად, უსინიდისოდ მომექცეოდა,—სთქვა მან.

---

*) „მოამბე“, № VIII, 1897 წ.

— ვის არ დაუგირავებია მამული, ვეჟო, მაგრამ, როცა მოსურვებიათ, ყოველთვის უსარგებლიათ ამისი შემოსავლითა... აგერა პრიკაზი უფრო ღონიერი და ძლიერი არ არის, მაინც, თუნდ არ შეიტანო, ძალას არ გატანენ. სხვა არა იყვეს-რა, ხათრი უნდა ჰქონდეს. არც ფულს ვუჭერ, თავის დროზე ჩავაბარებ, ის კი იქამდის გაბრიყვდა, რომ აღარც კი მანებებს. რითი ვიცხოვრო?!—დაუმატა როსტომმა.

— გრიგოლას რას ჰკითხავ? წაასხი ბიჭები, დაადებინე ურემზე და წამოიღე, ვინ ოხერია გრიგოლა არამაშვილი, რომ წინ გადაგელობოს!

— ქაღალდები, უჭირავს ქალო, ხელში. რა ძალა გაქვს?

— გალესოს ის ქაღალდები და დალიოს, მამა უცხონდება!...

— გვიჩივლებს.

— ეგ არა ჰქნას, ბევრს მიირთმევს, ჯერ ეს ერთი მთელი მამული პრიკაზშია დაგირავებული და აბა რას გახდება?

— კიდეც ეგ მაწუხებს-და, ქალო, ნება როდი მქონდა დაგირავებული ვისთანმე კიდევ ხელმეორედ დამეკირავებინა... მე კი მეგონა მალე გადავიხდიდი, რადგან იმ ოხერ საქენებიდან გამდიდრებას ვაპირობდი.

— გრიგოლას თვალი მოსთხარე, პრიკაზსაც გაუსწორდი. ვერ შეიძლებ თუ!—უმატებდა გრიგოლაზე გაკაპასებული გაიანე, რადგან ის წუწკი განზე გასდგომოდათ და როსტომს მამულში ფეხს აღარ ადგმევინებდა.

გაიანე და როსტომი დიდი ხანია ფულებს დანატრულებულიყვნენ და განოს კი ძალიან უნდოდა ქალაქისკენ გასეირნება, მაგრამ რითი? ამაზე მეტად დაღონებულიყვნენ, როსტომს ჭკუაში მოუვიდა ცოლის რჩევა, სახეზე მსწრაფლ გადაეყარა დაღვრემილობა, მიიღო მბრძანებელის მკაცრი მეტყველობა, წელში გასწორდა და ომახიანა შესძახა:

— ბიჭო!...—მაგრამ არავინ გამოჩნდა.—ბიჭო, შე ძ—შვილო!...—სარდო გამოიჭიმა ბატონის წინ მორჩილებით.—წადი, სტეფანეს შეატყობინე, დაიაროს ჩემი კაცები, უთხრას, ბატონმა ეხლავე აქ მოდით-თქო, საქმე მაქვს-თქო... გეყურება?

— ბატონი ბრძანდები...

— აბა მარჯვეთ, ჩქარა! — ბიჭი მსწრაფლ მოტრიალდა, ყირწი-ყორწით დაეშვა კიბეზე. როსტომმა ყურთმაჯები გადიყარა მხრებზე, ოთახში შევიდა, გადმოიღო დამბაჩაც, გასინჯა, პატრონებით გააწყო, დაამზადა, ჩამოიღო მამა-პაპური ხმალ-ხანჯალიც, რომელნიც ამჟამად კედლებს ამშვენებდნენ კაბინეტში. ისინიც გვერდზე დაულაგა დამბაჩას... როსტომი ხამი არ იყო ამ იარაღის ხმარებისა, ერთ დროს, სწორედ ამ იარაღში ჩამჯდარი, ივან მალხაზიჩ ანდრონიკაშვილს გვერდზე მიჰყვებოდა ახალციხის აღების დროსა. მას დღეს აქეთ კი ხელუხლებლად ეწყვნენ. როსტომს არ უყვარდა ჩხუბი, დავიდარაბა, მშვიდობიანობის მოყვარული იყო და, თუ შეეფეთებოდა სადმე უსიამოვნობა-აურზაურს, ღლის სავალზე მოერიდებოდა. მაგრამ დღეს ჩვეულებრივზე მეტად იყო აღელვებული, სურდა გაეწყვიტა ყველა თავისი მოწინააღმდეგე...

— ეგენი როგორ მეხუმრებიან მე!... მე მათ თავს გავაცნობ, სუყველას დავჟლეტ, გავაქრობ, გავანადგურებ... აბა სურვილს ნუ შემისრულებენ! — იძახოდა გულ-მოსული, გაბრაზებული. ხალხმა აღარ დაიგვიანა, რავდენისამე ხნის შემდეგ აივანი გაივსო გლეხ-კაცებითა... ისინი მორჩილებით იდგნენ, უცდიდნენ ბატონს რას იტყოდა. ამათ კიდევაც უკვირდათ, გადაჩვეულნი იყვნენ როსტომთან სიარულსა, მათზედ დიდი ხანია მბრძანებლობდა გრიგოლა არამაშვილი. ამ ჟამად რომ ხედავდნენ გაბრაზებულ როსტომს, ვერ მიმხვდარიყვნენ მიზეზსა.

— მოთიბეთ ყანა? — ჰკითხა ამან წყრომით.

— დიაღ, შენი ჭირიმე, — მოესმა პასუხი. როსტომმა მხრები შეიშმუშვნა.

— მერე, ჩემს კალოზე რატომ არ მოგაქვთ?

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, ეგ ჩვენი ბრალი არ გახლავთ!

— თქვენი ბრალი არ არის? მაშ ვისი ბრალია? ჩემს მამულში ჩემს გარდა სხვას ვისა აქვს საქმე?

— გრიგოლამ გვიბრძანა, ეგ მამულები გირაოდა მაქვს და მაგისი ღალაც მე უნდა მომიტანოთო.

— როსტომს რაღა პასუხი მიეცითო?

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე!...— როსტომს უფრო მეტად აბრაზებდა გლეხების დამშვიდებული დაჟინებული ერთი და იგივე პასუხი.

—როგორ თუ რა მომახსენოთ, თქვე ცხვრის თავებო, თქვენა! ეხლავე აქ მოზიდეთ, თორე ან მე ვიქმნები და ან თქვენა! ციხეში ჩაგალპობთ!...— შესძახა როსტომმა და დამუქრებულმა მუშტი ჰაერში გაიქნია. ხალხი მოჰყვა ხმა-დაბლა ბუზღუნს, ბუტბუტს, მათში ერთი უფრო გამბედავი გამოერჩია, წინ წამოდგა.

— რათა ჯავრობთ, ბატონო, რაზე გვიწყრები! რაში ვართ დამნაშავენი აბალე? რას გვერჩით, რითვინაო? მამული შე დალოცვილო, გრიგოლასთვის მიგიციათ და ახლა ძალით უნდა მოვიტანოთ აქა და იმისი რისხვა-მუქარა თავზე დავიტეხოთ? ერთი ჯიქი ღვთის გარეგანი კაცია, სისხლს დაგვანთხევინებს, ნუ შეგვახოცვინებ თავსა, შენი ჭირიმე, შეგვიბრალეთ წვრილი ცოლ-შვილის პატრონები ვართ.

— კარგია, მამა გიცხონდებათ ერთი, თქვენ აგრე ილიჭინეთ და მე მშიერი დავრჩე! ჩემ ოხერში გრიგოლა ვაბატონო და მე კი გულ-ხელ დაკრეფილი ვუყურო თქვენი გულისთვის, რომ ამათ არა დაუშაონ-რა ერთმანეთსაო? თქვენ რომ ყელში სისხლი მოგდიოდეთ, ჩემი ბრალია? შარშანაც აკი გაისტუმრეთ ერთი უდროვოდ საიქიოსა. არა, არ შეიძლება, რაც უნდა დაგემართოთ, ჩემი ღალა უკლებლივ უნდა მომიზიდოთ, გეყურებათ?

— სწორედ ვერ ვიზამთ მაგასა, ბატონო, რაც უნდა გვიყოთ!— შესძახეს ერთ ხმად. როსტომი გაფითრდა, კანკალი დაიწყო, სიარულს უმატა, თვალები ელვარებდნენ, მაგრამ ხალხი მაინც ყურადღებას არ აქცევდა.

— დალოცვილო, პატარა ადრე იფიქრებდით, ეხლა გვიან არის.. აღარა მოევვარება-რა,— წაიტუტუნა ერთმა. როსტომმა ველარ მოითმინა და ერთი ლაზათიანი სილა გაავლო მეტიჩარა დამრიგებელს. ხალხმა შემოჰბღვირა, დაიწყო ტორტმანი,

მაგრამ როსტომ ამ დროს საჩქაროდ ოთახში შეტრიალდა... გლეხები კი უკმაყოფილონი ჩამოვიდნენ კიბეზე და წავიდნენ თავიანთ გზაზედა.

— რაღა შავი ქვით ფაფხურობს, რა აბადია?!

— ისე იცოცხლებს, რომ მე მას ლალა არ მივართვა!... გრიგოლა მოსისხლე მტრად არ გადავიკიდო!... ის როგორც ავის შეძლეა, ისე კარგსაც მოახერხებს... როსტომზე მეტს მაინც...—ამ ლაპარაკით გაიარეს კარგა გზა ამათა, როდესაც როსტომი გამოვარდა და იქ ხალხი ვეღარ ნახა, მოუბრუნდა ცოლს, რომელიც პირში სიტყვა-გაწყვეტილი იჯდა და არ ინძრეოდა.

— რისთვის გაუშვი, ქალო? როგორ გაბედეს იმ წუწკებმა აქედან წასვლა, სანამ არ დავითხოვდი? განა აგრე სუბუქად დამიჭირეს? აღარ მომიცადეს? მაშ აღარა ვყოფილვარ-რა?!

— იმათ აგრე ჰგონიათ-და! მეტად გაბრიყვებულები არიან: —ჩაილაპარაკა ნაღვლიანად გაიანემ.

— ბიჭო, სარდო!—შესჭყივლა კვალად როსტომმა. სარდომ მოირბინა წუთზე.

— გასწი ეხლავე, ლურჯა შემიკმაზე. შენა, სოსე, ნინიკა და სტეფანე კეტებით წამოდით, გეყურებათ!—ბიჭმა ხმა არ გაიღო, ადგილიდანაც არ დაძრულა.

— რას გაშეშდი? ყრუ ხარ? ვერ გაიგონე? — დაუყვირა წინანდელზე მეტად როსტომმა. სარდომ ეხლა კი იკადრა ბრძანების შესრულება... როსტომი შევიდა ისევ ოთახში, აისხა იარაღი და საჩქაროდვე გამოვიდა მათრახით ხელშია.

— მამა ჩემი არ წაწყდება, ერთს არ შევიცოდებ, ერთსა! როგორა? განა იქამდინაც გაბრიყდნენ, რომ თავიანთი მებატონე ვეღარ უცვნიათ რომელია? ან სადა? ვიღაც წილიანი გრიგოლა არმაშვილი აირჩიეს!... ნეტაი დამეშავებინოს რამე მაინცა, სიკეთის მეტი რა მიქნია მათთვის! მე ვიცი, სხვებსავით შემივიწროებია და უსამართლოდ მოვპყრობივარ! სხვები დანატროდნენ და დახე სამაგიეროს რითი მიხდიან! ხა, ხა, ხა! მე გიჩვენებთ თამაშას, მე, ეს როსტომ ზურაბიშვილი!—გაიძახოდა

სიბრაზისაგან გალურჯებული როსტომი. მოუთმენლად იყურებოდა თავლისკენ. აცა როდის გამოიყვანენ ლურჯასაო, რომელიც იგვიანებდა. ამასობაში მთვარე აცხოველებდა თავის შუქსა, ცდილობდა მის ზედ-მოქმედებით დაემშვიდებინა. ბიჭები კი ისხდნენ საჯინიბოში, ყურს არ უგდებდნენ სარდოს ჩიჩინს, ბატონმა გიბრძანათ, რომ ყველანი უნდა წამომყვეთო.

— ეხლავე რომ ყელი გამომღადროს, მაინც არ წავყვები,—გაიძახოდა სტეფანე.

— არც მე. დედის ერთა ვარ, რითვინ შევაკლა თავი, რა დაუშავებიათ დ—ელებს ჩემთვისა! ეს მეორე წელიწადიც გარბის და ჯამაგირში მანათი არა მაქვს მიღებული. რაო ჩემო! რითვინაო, ხომ არ გავგიჟებულვარ?—ჩამოართმევდა ნინიკაც.

— საომრად არც მე დავმდგარვარ, შეილოსა, ჩემი საქმე ბარი და ნიჩაბია, ხარების გარეკვა და მოძოვება. კეტების ტრიალი რა ხეირს დამაყრის.. ჯერ თავიც არ მომძაგებია!—კვერს უკრავდა სოსეც.

— ბიჭებო! სოსე! სტეფანე! ხომ არ დაიხოცენით? კიდე ცოცხლები ხართ?—ღრიალებდა როსტომი, როგორც იყო სარდომ ძლივს ლურჯა გამოიყვანა.

— ბიჭებს უთხარი, ჩქარა გამოვიდნენ... სოსე, აბა, კეტები რა უყავით?

— ჩვენ არ შეგვიძლიან წამოსვლა, შენი ჭირიმე.—უპასუხა სოსემ.

— რაო? როგორ, თუ არ შეგიძლიანთ? მე თქვენი ბატონი ვარ, გეყურებათ?

— დიაღ.

— ჰო-და გიბრძანებთ.

— სწორედ ვერ გიახლებით... დაგვითხოვეთ, გაგვიწყერით, მაგრამ იქ წამოსვლა კი არ შეგვიძლიან... როსტომს უნდოდა ეძრო ხანჯალი და სულ აეკუწა, მაგრამ მოაგონდა, რომ სხვაგან უფრო მომეტებული ბრძოლა ელოდა და გადასდო უფრო მოცლილ დროისთვის.

— გეშინიანთ განა, თქვე ლაჩრებო! ფუ თქვენს ვაჟკაცობასა აჰანდე! წადით დაიკარგენით, დასხედით და ნაცარი

ქექეთ თქვენმა მზემა აი! აბა რა მოსამსახურეები ხართ! ამ დღეებში ყველას გაგისწორდებით და თვალით აღარ დამენახოთ. მე მარტოც ვეყოფი იმათა! როსტომი მსწრაფლ ცხენზე მოევლო, შემოჰკრა მათრახი, გაჰქუსლა. როდესაც როსტომ მიაჭენებდა, გლეხ-კაცებმა თავი მოიყარეს, მოილაპარაკეს და ერთ-ხმად შესძახეს, რომ გრიგოლას მომდურებას, ისევ როსტომი მოეიმდურროთ, მით ბევრი არა დაგეიშავდება-რაო. იყბედებს, ილაპარაკებს, მერე ისევ გაჩუმდებაო. მაგრამ გრიგოლა თუ გაცეცხლდა, გადაგვემტერა, საქმითაც დიდ ნავნევს მოგვიტანსო. ესენი როსტომს ხედავდნენ და დაცინვით თვალს გააყოლებდნენ, ვიდრე ცხენოსანი არ მიეფარა. ზოგი ამათგანი გრიგოლასკენ წავიდა, რათა შეეტყობინა როსტომის გაწყრომა. გრიგოლას სახლის მიდამოს სულ სხვა შეხედულობა მიეღო, ორი წლის წინად მდგომარე ხის ჭდეულები გარდაქცეულიყვნენ ქვითკირის სახლად. მშვენიერი ეზო სავსე იყო სხვა-დასხვა საჭირო შენობებით. გრიგოლა ეზოში დადიოდა, თვალყურს ადევნებდა მუშებს, რომ მარჯვედ მოქცეულიყვნენ საქმეშია.

— გრიგოლი აცოცხლა ღმერთმა!—წარმოსთქვეს გლეხებმა და თავი დაუკრეს. გრიგოლამაც დაუდევრად ოდნავ თავი დაუქნია, ჰკითხა რა ამბავიაო? ამას არ უყვარდა უსაქმურად მოხეტიალე ხალხი, მაშინვე ჰკითხავდა მიზეზს და თუ მოსულიყვნენ სალაყბოდ, თავიდან მალე მოიცილებდა და თუ საქმე ჰქონდათ, მაშინ კი სმენადა და ყურადღებად გარდიქცეოდა.

— როსტომი ღალასა გვთხოვს, მივცეთ, გრიგოლ?

— რაო? რის ღალასა? მე თქვენ არ გამოგიცხადეთ, მარტო მე ვარ ი მამულების პატრონი-მეთქი? ხუთასი თუმანი რომ შეხანხლა, აღარ ახსოვს? ჯერ გამინაღდოს და მერე მიირთვას. არ გაბედოთ მიცემა, თორემ ბეჭებზე მტვერს აგადენთ.

— ბარემაც უარზე დავდექით, მაგრამ ძალაზეა. ეს ორი ეხლა მინდვრისკენ წავიდა, იქნება კიდევაც ძალა იხმაროს და მოზიდოს. დაგვემუქრა, ციხეში ჩაგამწყვდევთო. გრიგოლამ გულიანად გადიხარხარა...

— თქვენ მაგისი ფიქრი ნუ გაქვთ... როსტომი ბუზსაც ვერ აგიფრენთ... წადით, არა მისცეთ-რა და, თუ იძალავა, შემატყობინეთ.—გლეხკაცებმა მორჩილებით თავი დაუკრეს და წავიდნენ გზაზე.

სწორედ ამ დროს როსტომი მიაჭენებდა შეუსვენებლად ცხენსა, ისეთი აღელვებული იყო, რომ თვითონაც ველარ გაეგო თუ რად ან ვისთან მიდიოდა. იარაღ-ასხმულს იერიში მიჰქონდა მტერზედა, მაგრამ წინ დადუმებულ გზისა და მინდვრების მეტი არა უხდებოდა-რა... მაინც კი მიჰქროდა, შუბლზე ოფლის ხვითქი ასკდებოდა. ამას თითქო თვალ-წინ უდგა უკვე დაგუბებული სისხლი ხალხისა... როსტომის დამბაჩა დაუცდენელად აწვენდა ერთი-მეორეზე მებრძოლთ, ხანჯალსაც არ ემტყუვნა... სისხლი!... კაცის-კვლა! როსტომს საშინლად ეშინოდა ასეთის საქციელისა და დღეს კი აუცილებლად უნდა მომხდარიყო! ნუ თუ!... მერე? ამითი რას შეიმატებს? თავს უკრავენ ციმბირში და როსტომის მამული ჩაუვარდება გრიგოლას. ყველა ამისკენ თითს გამოაწვდენს!.. მოკვდება—სულს სიმშვიდე არ ექნება, ეშმაკები და ტარტაროზები ცხრა ნაწილად გაგლეჯ-გაპატრავენ... მაგრამ არა! არავის შეარჩენს როსტომი თავის ჯავრსა, არავის! კვალად სურათი, საზარელი თვალ-წინ დაეხატა... თვალები აუბრჭყვიალდა, ხელიც იტაცა დამბაჩაზე... მაგრამ ეს გამოარკვია რაღაც საშინელმა ხმაურობამ და გაშრა, გაფითრდა. როსტომის ცხენი მისდგომოდა საშინელ ფლატოს... ერთი ფეხის გადადგმა და სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა წუთი-სოფლის სიცოცხლეს... ხმაურობას გამოსცემდა მაღლობიდან ჩამოქანებული მდინარე, რომელიც მოეზიდებოდა ქვასა და ლოდებს; ეშვებოდა ძირს, ტალღა-ტალღაზე გადაჰქონდა, ამუშტებული მჭევლი ტბორდებოდა, ტრიალებდა, თითქო უცდის როსტომის ჩასვლასაც, რომ მასთან ერთად ჩახვეული ჩაიკარგოს ჩაწყვდიადებულ უფსკრულშიო... ასე მოახლოვებულმა სიკვდილმა როსტომი სრულ გონებაზე მოიყვანა, ამან საჩქაროდ მოსწია სადავე ცხენსა, მოატრიალა და, როდესაც თავისი თავი სამშვიდობოს დაინახა, შვება იგრძნო... დიაღ, მთვა-

რე თავისის ამალით, მთელი ბუნება ყველა ულოცავდა ამ გადარჩენას, აღუთქვამდა კვალად აღუშფოთველ, უზრუნველ ცხოვრებას... ოხ, რა ტკბილი იყო ამ ჟამად სიცოცხლე!... ამ წუთებში ჰგრძნობდა როსტომი მის მნიშვნელობას, თითქო ახლად დაბადებული იყო, პირველად შეეხედნა ამ დამშვიდებული ცისთვის, რომელიც თითქო ჩააგონებდა დაწყნარებით ყოფნასა..

— რა სჯობიან მართლადაც მშვიდობიან ცხოვრებას!... ყველას უყვარდე, ყველა შენ თავს გევლებოდეს, შენი სიტყვა მათთვის გამამხნევებელი და ამასთანავე შემმატე იყვეს და ერიდებოდე ყოველ ბოროტ განზრახვა-საქციელსა... შორს სისხლში შესვლავ! შორს! წინ წამოდექი, გაკრიალებულო, კამკამა, ცხოვრებავ, და დასტკბი მით, ადამიანო!

აი რა ფიქრებმა შეიპყრეს როსტომი; ამას კიდევაც გადაავიწყდა, რომ წამოსულიყო გრიგოლასა და ხალხთან საჩხუბრადა, მათს გასანადგურებლადა... ამან ტაატით წამოიყვანა ცხენი. როგორ მოქცეულიყო? როგორ მოეხერხებინა ისე, რომ მშვიდობიანად დაებრუნებინა თავისი საცხოვრებელი! მიემართა პალიკო დიდებაშვილისათვის, ეთხოვნა შუამავლობა ხალხთანა!... როგორ? როდესაც ისიც მოინდურა გრიგოლას წყალობით. გლეხებს რაღა დაუშავა, ასე ალმაცერად რად გამოჰყურებენ? თუმცა პირში მოწიწებით ეპყრობიან, მაგრამ საქმით კი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ამის სიტყვას მათთვის მნიშვნელობა არ აქვს! როგორ იცხოვროს როსტომმა ამ სოფელში? ცხადია, გრიგოლამ დაიჭირა ამისი ალაგი! როსტომმა ერთი კიდევ აუარ-ჩაუარა თავის ძინდვრებს. თვალს წყალი დაალევინა ზღვად გამხდარ მოსავლის დანახვით. კარგა აზროვნობის შემდეგ არჩია ისევ მშვიდობიანად მოლაპარაკებოდა გრიგოლას, რადგან იცოდა, ჰგრძნობდა, რომ რაც უნდა ეფაფხურნა ყურს არავინ ათხოვებდა, ჩივილი კი ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა და უფრო შერცხვებოდა. როსტომ დიდი ხანია ჩამოშორებოდა თავის მოურავს მას აქედ, რაც დაეწყო ძალაობა, აღარას ანებებდა, მაგრამ ეხლა კი ვააჩქარა ცხენი

გრიგოლასკენ... გადასწყვიტა, წარსულზე აღარა გაემხილა-რა. მარტო ორიოდე სიტყვით ექთქვა და ისე გაეთავებინა მასთან საქმე. რაკი გრიგოლას დაიყოლიებდა, მაშინ გლეხები წინ აღარ დაუდგებოდნენ. გრიგოლა ისევ ეზოში დადიოდა. დაინახა თუ არა იარაღში ჩამჯდარი როსტომი, ტუჩებზე დამცინავმა ღიმილმა შეუთამაშა. ბიჭი აგზავნა სახლში ჩოხის ჩამოსატანად, რათა ახალოხის ამარა არ დახვედროდა თავის ოდესმე ნაბატონარს და დღეს კი თითქმის თანასწორ სტუმარსა. უნდოდა პატივის-ცემით მიეღო როსტომი და მით დაემშვიდებინა უკვე თვალ-წინ წამოყენებული მისი აღელვება.

— გრიგოლი შინ არის?—მოისმა როსტომის ხმაც.

— მობრძანდით, აქ გახლავართ!—უპასუხა გრიგოლამ და თვითონვე მივიდა როსტომთან. ამათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. როსტომი გაფითრებული მოსჩანდა. გრიგოლი კი დამშვიდებული იყო.

— გრიგოლ! შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს.—დაიწყო როსტომმა შალდატანებულის სიმშვიდით.

— კეთილი. ოთახში მობძანდით. აქ მეტი თვალი და ყური დაგვიშლის.—დაუმატა გრიგოლამ და წინ გამოუძღვა როსტომს, მის გაოფლიანებულ დაღალულ ცხენს კი ბიჭი ატარებდა ეზოში. გრიგოლამ შესძახა მეორე ოთახში მყოფ სალომეს, რომ ჩაი მოერთმიათ როსტომისთვის და თვითონ სტუმარი შეიყვანა საპატიო ოთახში, რომელიც სუფთად და ლამაზად მოეწყო. როსტომსაც კი დიდად მოეწონა გრიგოლას მდგომარეობა. ეს პირველად ხედავდა გრიგოლას სახლის გარემოებას, რადგან დღემდის ბატონობა, მედიდურობა ნებას არ აძლევდა მოსულიყო როსტომის სახლში, მაგრამ დღეს კი აუცილებელი უსათუო იყო. როსტომ დამშვიდდა, მოიკითხა გრიგოლა ცოლშვილით, ამანაც მადლი გადაუხადა, შეატყობინა, რომ ყველანი ღვთით კარგად იყვნენ, შვილები ქალაქში ჩაეყვანა სასწავლებლად. შინ დარჩენოდა ერთი პატარა ქალიც, რომელსაც აგრეთვე უპირებდა გამგზავრებას. შეატყობინა აგრეთვე, ამისი ალებ-მიცემობა როგორ თან და თან იზრ-

დებოდა, საგრძნობ-საკმაო მოგებას აძლევდა. იმედი ჰქონდა ამ ცოტას ხანში კიდევ იყიდდა მამულსა. როსტომი დიდი ხანია იცნობდა გრიგოლას სარისტსა და ჰკუას, ანგარიშიანობაში გულში შენატროდა, რადგან ესეც ასეთ ბედზედ არ დაბადებულიყო. ბუნებითვე უნდა დაჰყვეს კაცს ბედი, თორე მარტო ცდა და სურვილი ცოტაა... არა ერთ საქმეს მოჰკიდა ამან ხელი, მაგრამ ყველა ისევ ხელში გამოუქრა. არა, ეს მემამულედ არ ვარგოდა, ზარალის მეტიც არა იცოდა-რა. ქალაქ ადგილას უნდა მდგარიყო, თვეში გადაჰრილ რავდენსამე თუმნად ეცხოვრა. სოფელში კი ივარგებდნენ მარტო გრიგოლასთანა ბედით გაღიმული ხალხი, რომელთ ხელშიაც ქვაც კი ნაყოფს გამოიღებდა. იქნება ჩემი მამულიც სულ მთლად შეისყიდოსო. იმ ფულით წავალ ქალაქში, იქ ვიცხოვრებ და უფრო კარგ მოხერხებულ საქმეს მოვანდომებ. გაუელვა თავში აზრმა როსტომს, სახე კიდევაც გაეღიმა. გრიგოლა კი უცდიდა დროს, თუ როდის დაილაპარაკებდა როსტომი.

— დიდად მოხარული ვარ, გრიგოლ, შენი საქმის წინ წაწევაზე, ღმერთმა მერეც გამარჯვება მოგცეს... ე ჩვენ საქმეს როდისღა გავწმენდავთ?

— ეგ თქვენ იცით, შენი ჭირიმე,—მიუგო მორჩილებით გრიგოლამ,—როცა გამისწორდებით ხუთას თუმანში, თქვენი მამული ღმერთმა მოგახმაროთ.

— კაცო, აღარ დამაცდი? ეხლა რაღა მაქვს, საიდან მოვთხარო?

— მე არ ვჩქარობ, დაცდილიც გახლავარ...

— მართალია, დაცდით კი მაცდი, მაგრამ ე შემოსავალს რატომ არ მანებებ? რითი ვიცხოვრო, ჰა? ხომ იცი მაგის ანაბარა ვარ?

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ბატონო, ნუ გამიწყრები,—უთხრა გრიგოლამ და შინაურულად თითქმის ტოლ-ამხანაგურად ხელი დაადო მხარზედა,—ღვთისა და თქვენი რისხვა მქონდეს, თუ თქვენი მომდურება და წყენა მინდოდეს, გულიც შემტკივა, თუმცა თქვენ კი ამომიმძულევარეთ, მაგრამ რა ვქნა! მეც

ოფლის ღვრით და წვალებით მიშოვნია. შემოსავალი რომ შემოიტანო, დალოცვილო, მე რიღათი ამოვიგო ის ფული? აბა რა ვქნათ, მეც თვითონ ცხოვრება მინდა. ჯერ შვილების დაზრდა ას თუმანზე მეტი მიზის წელიწადში. მართალია, მოგება მაქვს, მაგრამ ის მოგება ისევ იმ საქმეებს ზედვე უნდება.

— მაშ რა ვუყოთ, გრიგოლ? — უთხრა დაღონებულმა როსტომმა, — მეტი ღონე არ არის უნდა გავყიდო მთლად ეს მამულები და სხვაგან სადმე გადავსახლდე.

გრიგოლას ამ სიტყვების მოსმენაზე გულში ჩაეცინა, იმედიც მიეცა, იქნება მევე როგორმე ვიგდო ნახევარ ფასადა და აქედან გავაძევო ეს ჩერჩეტიო.

— უნდა მოგახსენოთ, კნიაზო, რომ კარგს იზამთ თუ გაჰყიდით. თქვენ არ შეგიძლიანთ ამ ხალხთან ყაყანი და დავიდარაბა, არცა გცალიანთ მათთვის. ათასი მისადევარ-მოსადევარი გყავთ. მამულს ფული უფრო გირჩევნიანთ, მაშინ შევიძლიანთ ქალაქში მიემხროთ რომელსამე მდიდარ ფულიანს და ერთი-ორად აქციოთ, გაათავენიეროთ... შვილების დაზრდაც უფრო იაფად დაგიჯდებათ. თქვე დალოცვილო, აქამდისაც უნდა გეფიქრათ აგრე, სანამ ვალში შეხვიდოდით. მერე იმისთანა მოყვრები, ნათესაობა! რას ბრძანებთ, ღვთის უბეში იქნებით.. —ხელი მოუმართა ამან, როსტომი ამ ჟამად გამხიარულდა, კიდევაც დაავიწყდა, რომ ელაპარაკებოდა თავის მოურავს, არამედ ეგონა, რომ გვერდით უზის რომელსამე ბრწყინვალე თავადს, ან უგანათლებულესს. ოღონდაც... აბა ვინ ურჩევდა გრიგოლაზე ჭკვიანურს?.. გრიგოლა მელაა, მაგრამ მაინც როსტომისთვის სხვებზე კიდევ მეტად შესტკივა გული... როსტომი ზეზე წამოდგა.

— მაინც აგრე უნდა მოვიქცე... გრიგოლ, გაგიტყდები და გეტყვი, რომ მეტად მომბეზრდა ამ სოფელში ცხოვრება... ვერც დავცადე ეს ოხერი ალაგი კარგადა... ხეირი ვერა ვნახე... ბინა უნდა ვიცვალო. გამიგონია, (ეტადრე ჩვენი სახლი ცუდ მავნებელ ფუძეზეა თურმე დადგმული. შვილები ნახევარზე ავადა მყვანან.

— გაყიდვა რომ იყოს, რა ფასში მისცემდით?—ჰკითხა გრიგოლამ. როსტომი ჩაფიქრდა.

— მაინც შენ როგორა გგონია? რავდენი უნდა ღირდეს?

— ეგ მყიდველზეა დამოკიდებული, როგორი მონდომებულია, ან როგორ დასამხრისად არის მამულზედა. თუ აქ მცხოვრებმა იყიდა, რასაკვირველია, სხვებზე მეტად ულირს. მუშტარი ვინ გახლავს?

— ჯერ-ჯერობით არავინა და რომ გამოვაცხადო, მგონი უკან არავინ დადგეს.—უპასუხა როსტომმა. ამას პირდაპირ უნდა ეთქვა გრიგოლასთვის, შორს ნუ წამიყვან, ბარემ შენ იყიდეო, მაგრამ ვერ ახერხებდა. გრიგოლაც ჩაფიქრებული იყო, თუ როგორ დაეცინცლა.

— უცხო მოსული მგონი ვერ შემოგბედავს ყიდვასა. მეტადრე იმისთანა, რომელიც არ იცნობს თქვენს მამულს.—სთქვა ამან კარგა სიჩუმის შემდეგა.

— მეც აგრე მგონია, გრიგოლ, აქ მცხოვრებთა შორის ყიდვაც მარტო შენ შეგიძლია,—მიატანა როსტომმა.

— მე? მე სად შევწვდები, შენი ჭირიმე, სად არის ღონე?—უთხრა განაზებით გრიგოლამ.

— შენი უფრო უპრიანი კია-და.

— ეგ კი, ღვთის წინაშე, მართალი გახლავს. მაინც ვთქვათ მყიდველი გამოჩნდეს და თქვენ იმ დროს აქ არა ბრძანდებოდეთ, რა პასუხი მივცე? როგორ დავაფასო?

— ორი ათას თუმანზე ნაკლებ არ მიიცემა აქაობა.

— რაო? მარტო ესა?

— მაშა? მარტო ესა, თორე მთელი მამული არც ათი-ათასად მიიცემა.—აუკიდა როსტომმა.

— ღმერთმა შეძლება მისცეს მყიდველს. არა მგონია ქართველებში ვინმემ გაბედოს, თუ არა სომეხმა და ურიამ. იქნება მთავრობამაც შეისყიდოს.

— მე კი ასე მიღირს და მყიდველისა რა მოგახსენო.

— მე რომ მყიდველი ვიყვე, შენი ჭირიმე, ბევრი ბევრი გამებედნა ათას-ხუთასი თუმანი... ამასაც იმისთვის, რომ ხუ-

თასი თუმანი უკვე ხელში გიჭირავთ და ათასსაც ნელ-ნელა შემოსავალით მოგართმევდით.

— რას ლაპარაკობ, კაცო! აგრე იხრად რომ მივცე, ნაპარევი ხომ არ არის!

— ბატონო, რაც ამ სოფელში მიწები გაქვთ, მეტად არა ღირს და თუ სულ მთელ თქვენ მამულს ვიყიდდი, მაშინ კი, რასაკვირველია, მეტსაც მოგართმევდით. ჩემის აზრით, თუ შემოგევაჭროთ ვინმე, არ მოსტყუვდებით, რომ ყველა მამულში ექვსი ათასი გამოართვათ.

— არა, აგრე იაფად ვერ მივცემ.—იწყინა როსტომმა.

— არა, ბატონო, მე საწყენად არ მომიხსენებია, არც შემიძლიან ყიდვა, მაგრამ ვამბობ ისე, ვთქვათ, რომ შემოგეხმიანონ, ვარაუდში გქონდეთ-მეთქი, რადგან ვაი თუ შეშინდეთ და ამ ფასში მიცემული ზარალად მიიჩნიოთ. მე კი გირჩევთ მისცეთ, როგორც თქვენს მამულში ჩახედული და მისი დამფასებელი...იქნება კიდევაც ვცდებოდე და მართლა მეტი მოგართვან.— წასვლის დროს გრიგოლმა კვალად გაუმეორა თხოვნა, რომ ნუ დაემდურებოდა მაზედ თუ შემოსავალს ვერ დაუთმობდა. გაყიდვაზედაც, თუ აღარ შეიცვლიდა სურვილსა, კარგა ფიქრის შემდეგ შეეტყობინებინა ამისთვის თავისი აზრი, გადაჭრილი ფასიც.

— იფიქრეთ, კნიაზო, კარგა იფიქრეთ, ეგ საქმე სახუმარი არ არის.—ამ სიტყვებით მიაცილა გრიგოლმა როსტომი ეზოს კარამდე და როდესაც სახლში დაბრუნდა, მაშინვე თავის მხნე ერთგულ მეუღლეს სალომეს ახარა — ამ ცოტა ხანში როსტომის სახლში დაბრძანდებიო.

— ჰაი თუ შეიფერებ შადრევნის შხაპუნსა და მის მიდამოს მშვენიერების ცქერასა!—უთხრა ამან.

— ვითომ რატომაო! რითია მერე ჩემზე უკეთესი გაიანე?—მიუგო გაღიმულმა სალომემ.

გრიგოლმა გადასწყვიტა, ერთხელ კიდევ ესიამოვნებინა როსტომი და ამისათვის გამოუცხადა გლეხებს ღალის ნახევარი სულ ძნად მიუზიდეთ როსტომსაო. როსტომს მეტად იამა,

როდესაც ურემი ურემზე მობმული ჩვეულებისა-მებრ მოაჭრიჭინებდნენ ბულულებს. გრიგოგოლაც თავისის რიხიანის ხმით განკარულებას აძლევდა, თუ სად, ან როგორ მოხერხებით დაედგათ ბჭები. გაბმულმა ქსელმა ძალა გამოიჩინა. როსტომს დღითი-დღე თავიდან არ შორდებოდა ექვსი ათასი თუმანი, ერთი მეორეზე დაკეცილი. აქედან მესამედს მოვალეებს დაურიგებდა, დანარჩენს კი თადეოზ სვიმონიშვილის თანხებს მიუმატებდა, ამხანაგად შევიდოდა ხუთი-ექვსი წელიწადი და თვით ეს კაცი დღეს დალონებული, კინწ-მოწყვეტილი უფულობის გამო, თვალსაჩენ მდიდრად იქცეოდა! ღმერთო! ამას რა სჯობიან! როსტომმა თავისი განზრახვა გაიანესაც შეატყობინა, სურვილი ქალაქში ცხოვრებისა! გაიანე სიხარულისაგან ფეხზე ველარა დგებოდა, როდესაც წარმოიდგინა ქალაქის ქალებში ჩარევა, მაკინესავით დიდებული ცხოვრება! ოთხი ათასი ერთი-ორად, ერთი-სამად იქცეოდა და მდიდარ გაიანეს ველარავინ შეედრებოდა, მაშინ ყველას თვალსა მოსთხრიდა. მაკინესაც შემწეობას მისცემდა. როსტომი და გაიანე მალე დათანხმდნენ, მაგრამ ჯერ ვერ ამხელდნენ, მაინც იცდიდნენ. გრიგოლამ და სალომემ იწყეს ჩვეულებრივად სიარული როსტომისას, მაგრამ იმ სახით არა, როგორც წინადა. სალომე და გრიგოლა ამათ გვერდზე მოსხდომოდნენ, გაიანე და როსტომი ცდილობდნენ მათ პატივის-ცემას. საქმეც დაბოლოვდა მით, რომ გრიგოლამ ბევრის ყოყმან-ჭოჭმანით იყიდა როსტომის მთელი მამული, ექვსი წლის განმავლობაში უნდა გადაეხადნა ფულიც, თუ, რასაკვირველია, დღესვე სრული მფლობელი დარჩებოდა იმ მამულებისა. გაიანემ მაშინვე შეატყობინა მაკინეს თავიანთი ასეთი წარმატება და გაბედნიერება, რომ ესენი მალე გადასახლდებოდნენ ტფილისში. ან კი როგორ უნდა დაემალა ისეთ მახლობელისთვის, როგორიც იყო მაკინე. ბევრი მოკეთე გადმოაბნევდა ცრემლს, მაგრამ განოს და როსტომის აზრით კი ეს ცრემლები სიხარულის ნიშნები იქნებოდნენ. ამათ ისევ გულზვიადად იწყეს ყურება. მეზობლებსაც ჩამოეცალნენ, რადგან მათ არ მოსწონდათ ამათი ესეთი საქციელი. პალიკო დიდებაშვილმა

პირშიაც კი უთხრა, თქვენ დაიღუპებით, თუ აგრე მოიქეცითო. მაგრამ როსტომ და გაიანემ სიშურეში ჩამოართვეს.

— აბა რად მოინდომებს ჩვენს აქედან წასვლასა, როდესაც მთელ თავის სიცოცხლეში, რაც კარგი უნახავს ან რიგიან ხალხში უტრიალნია, სულ ჩვენი ოჯახის წყალობით. არამც თუ პალიკოს, სხვებსაც ძალიან დავაკლდებით.—ამბობდა გაიანე. როსტომიც ემოწმებოდა. გრიგოლა და როსტომი ტფილისშიაც ჩავიდნენ, გააკეთეს, რაც საჭირო იყო, და მთელი თავისი ავლა-დიდება კუპჩა ვოდნი ლისტით ჩააბარა გრიგოლას, წინ-და-წინ ხუთასი თუმანიც გამოართვა და ხალხს გამოუცხადა, რომ დღეის იქით თქვენი ბატონი გრიგოლა არამაშეილიაო. როსტომმა ჯერ ვერ მოახერხა ტფილისში წასვლა, გრიგოლაც დაითანხმა დარჩენილიყვნენ ესენი ამ სახლში და ქირა ეძლიათ... სულ ერთია, ზაფხულობით მაინც დასჭირდებოდათ ქალაქ გარედ გასვლა და ისევ აქ ირჩიეს. როსტომი და გაიანე ყველას არწმუნებდნენ, რომ ფული უკვე ჩაბარებული ჰქონდათ და ათიათასადაც გაეყიდნათ. დიაღ, ასე სჯობდა. მეტი სიტყვით არა წახდებოდა-რა და ყველანი უფრო პატივის-ცემით მოეპყრობოდნენ. როსტომი წინანდებურად გამხიარულდა, ხალხმა იწყო ისევ სიარული, ნადიმებიც გაჩაღდნენ. გაისმა დაფისა და ნაღარის ხმა. ტფილისში გადასახლება კი გადაიდო დროებით.

## XLI

გულ-განგმირული ოქრო, მისუსტებული, სატრფოზე ნიადაგ ფარული მგლოვიარე დროს და ჟამის წყალობით თითითქო გაირინდა. დარწმუნდა, რომ დაკარგულს ვეღარ დაიბრუნებდა. თავმოყვარეობამ, რომ ქეთინომ სხვაში გასცვალა, უფრო მეტად იმოქმედა ამაზე და აღშფოთებული გონება თან და თან გრძნობას გაუბატონა, ხვედრს დაუმორჩილა.

— ვაჟკაცს მწუხარება არ შვენისო,—ხშირად ჩასძახოდა გონება ოქროს, თვითონაც ცდილობდა როგორმე გადაეყარა

გულიდან, მისცემოდა ყოველ რიგ გასართობსა. ქაღალდის თამაში, სვიმონსა და დარისპანთან ძალდატანებული ქეიფი ბოლოს საჭიროებად გარდაექცა. მაღალი აზრები, ზრუნვა გაჭირებულ მოძმეთათვის თითქო მიძინებული იყვნენ, მარტო, როდესაც მოულოდნელ შემთხვევით კვალად ჩაერეოდა წინანდელ ამხანაგებში, ისმენდა თავმომაბეზრებელ ფრაზებს, გული იწყებდა უსიამოვნოდ კვნესასა. აგონდებოდა დაკარგული იმედი, რომლის შემწეობით აპირობდა ქვეყანასთან მისალმებასა, მის სამოთხედ გარდაქცევასა. ყველა ის მარტო ოცნება იყო, წავიდა, განქრა დაუბრუნებლად, თან წარიტაცა უმანკოება, სხვა ხანა დადგა, ცხოვრების ბორბალი გადატრიალდა, ვარდ-ყვავილით მოფენილი ბილიკი სამოთხისა, რომელზედაც დასეირნობდა ეს, სადღაც მიიმალა. ოქროს წინ გამოჩნდა ღორღით მოფენილი შარა... ამის სპეტაკ სულს, პატიოსან გულს პირველში ეძნელებოდა მაზე ფეხის გადადგმა, მერეც ვერა და ვერ შესჩვეოდა, ბორძიკობდა, ბარბაცებდა, ჯანი გაუტყდა, თვალების ელვარება ჩაუქრა, მიცვალებულნი გაოცებით იყურებოდნენ, თითქო კითხულობდნენ: ეს რა მწვავი და უფერული სანახავ-საგრძნობი მოგვევლინაო. დაწყებული ღამის რვა საათიდან დილის ათ საათამდე ქაღალდის თამაში დღე-ღამეს ატარებდა. ჯანის სხვა-და-სხვა მაზარალებელი თავ-დავიწყება ძარღვებს შესამცნევლად უსუსტებდა, დააწყებინა ხველა, სიცხის ძლევაც გამოემცნაურა.

— ნუ თუ მაშ ოქრო აღარ დამშვიდდება? ის წყეული გომბიო არ ავიწყდება?—ფიქრობდა შეშინებული მაკინე, რომელსაც თან და თან ემატებოდა მოუსვენრობა ოქროს უცნაურ ცხოვრების გამო. თადეოზიც ჩასციებოდა, გზას არ აძლევდა, რომ ჩქარა შეერთო ოქროს ლიზა. მაკინე ჰპირდებოდა, რათა დროს გაევლო, ეგება ოქროს შესძლებოდა ვალის გადახდა, მაგრამ სამწუხაროდ ოქროს ყოველ დღიურ ხარჯადაც არა ჰყოფნიდა თავისი შემოსავალი. დაღონებული, დადარდიანებული მაკინე გამოუთქმელად იტანჯებოდა. ოქრო ათასში ერთხელ აირბენდა თავის სოფელში, მაგრამ მაშინაც მოკლე ხნით.

2

10.404

ტიტიკო და ანო ამჩნევდნენ, რომ ეს სრულიად შეცვლილი იყო, ამისი წინანდელი აღტაცებული აზრები თითქო გახუნებულიყვნენ, ოქროს აღარა აღელვებდა-რა; თვით ესტატეს საძაგელი საქციელიც, რომელიც დიდ შევიწროება-დანაკლისს აძლევდა სოფელს, ღრმად აღარა სწვდებოდა გულშია. ასეთისავე გულგრილობით ათვალიერებდა ძმის მოქმედება-მოღვაწეობას სოფელშია. ტიტიკოს თავისი ვალები შეემცირებინა, სახლი გადაეახლებინა, შემოსავალი გაეორკეცა. თვითონაც, როგორც უკანასკნელი მუშა, ამოსდგომოდა გლეხებს და უკან არ ჩამორჩებოდა... ანოც თავისის კეთილის, მადლიანის სახით ავსებდა ოჯახს სიყვარულით, ესეც თავის მოვალეობას სინიდისიერად ასრულებდა... ოქრო დამძიმებულის გულით შეჰყურებდა ძმისა და რძლის ბედნიერ კმაყოფილ ცხოვრებას და ამ ცქერით ითვალისწინებდა თავის წარსულს, აწმყოს და დაკარგულ ნეტარებასა. ოქროსთვის აღარავინ არსებობდა მაკინეს გარდა. ყველა თავისთვის სცხოვრობდა, ოქრო მეტი იყო, მეტი... ამას უფრო უცხოველდებოდა ნაღველი და აიღებდა თუ არა ძმისგან თავის ხვედრ ფულს, შემოსავლიდან შემოტანილს, მაშინვე გამოსწევდა ქალაქისკენ, სადაც კვალად მიეცემოდა თავ-დაეიწყებასა. ეს ერიდებოდა აგრეთვე გიორგისა და ისიკოსაც, რადგან ისინიც კმაყოფილნი იყვნენ ცხოვრებით. ოქრო მათ არაფერს უმხელდა, თუმცა გიორგიმ და ისიკომ დაწვრილებით იცოდნენ ყველა; ჩასჩიჩინებდნენ, რომ დაჰბრუნებოდა წინად ამორჩეულ გზასა, მოშორებოდა სიმონსა და დარისპან ხამაძეებს... დაჰბრუნებოდა თავის სოფელს, ან შესულიყო ამათსავით სამსახურში და შრომით გაეყრუვებინა საკუთარი გულის-ღონება. ოქრო კი ახლოს არ იკარებდა მათს რჩევას.

— ვისთვის? რისთვის? ისინი ცოლ-შვილით გაფუფუნებულნი, ბედნიერებისაგან გალაღებულნი, რასაკვირველია, გაშლიან თავიაანთ ღონიერ მკლავებსა, ავარჯიშებენ ჭკუა-გონებას!—იტყოდა და უიმედოდ ხელს ჩაიქნევდა. ოქროსთვის აღარა არსებობდა-რა... ქვეყანა სიწყვდიადეა, ოქრო უგრძნობელი ქანდაკებაა, რომელსაც ატრიალებს, ამოძრავებს, რაღაც

სუსტი ძალა. მაგრამ წუთს ისევ დაუმძიმდებოდა გული. როდესაც ჰგრძნობდა საშინელს ტანჯვას, ეს უმატებდა გარე-გარე სიარულსა და ღვინითა და სხვა-და-სხვა სასმელებით თავბრუს ისხავდა. ერთხელ მაკინეს გული ჩვეულებრივზედ მეტად შეჰკვნესოდა რაღასაც. იასონი და ოქრო შინ არა სჩანდნენ. ეს ჩაფიქრებული ჩამჯდარიყო სავარძელში და გაშტერებული გაჰყურებდა სარკმელს. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ბარბაცით ოქრო, სახეში სიწითლე მორეოდა. წამოდგა ზეზე, მივიდა მასთან და უთხრა:

— რა არის, შენი ჭირიმე, ოქროჯან, სხვა რომ არა-იყოს-რა, მაგდენი სმით ჯანსა და ღონეს მოიწამლავ.

მაგრამ ოქრომ ხელი ჰკრა, მოიშორა, ბარბაცითვე წავიდა თავის ლოგინისაკენ და უგონოდ მიეგდო ზედა.

— საიდან მოდის?—ჰკითხა იასონს მაკინემ, როდესაც ისიც გამოჩნდა კარებში.

— ხამაშვილებთან იყო... მე რომ არ შევსულიყავი, ქალო, გათავებას აღარ აპირობდა. მეტის-მეტად გახელდა ამ ოხერ ღვინოზე და რა!..

— ღმერთო, რომ დაემართოს რამე, ხომ უნდა ცეცხლში დავიწვა, ხომ ქვეყანაში უნდა გამოვწყდე!—იმეორებდა სასოწარკვეთილებაში შესული მაკინე, როდესაც იასონი შევიდა თავის ოთახში.

— მეგონა დაივიწყებდა, უფრო უკეთეს ბედს შეეყრებოდა .. ასე რომ მცოდნოდა, რა ღმერთი გამიწყრებოდა და მე ამის საქმეშა გავერეოდი!

მაკინე გამოიცვალა, გული დაეჩაგრა, სინიდისის ხმა თანდათან გაუძლიერდა.

— შე უწყალოვ, აბა რა გენაღვლებოდა, რომ ქეთინო და ოქრო ბედნიერები ყოფილიყვნენ, რა ჰქენი? შენ მოჰკალი, სიტკბოება მოუშხამე, ბოლო მოუღე!—აი რა სიტყვები ერეოდნენ განუწყვეტლად მაკინეს თავში და აწამებდნენ. მეორე დღეს ოქრო უფრო გადატეტკილი და გაფითრებული სჩანდა თავი სტკიოდა და სიცხესაცა ჰგრძნობდა.

— კარგა ვარ, ძვირფასო, ნუ გეშინიან!—ეუბნებოდა ეს უკანასკნელი მაკინეს, რომელსაც შეატყო, რომ შეშინებული უყურებდა ძმას. მაკინე დიდი სიხარულით გაუშლიდა თავის გულში ნადებ საშინელ ალსარებას და მით ცოტათი მაინც შემსუბუქდებოდა, მაგრამ როდესაც წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა ოქროზე ცუდად ემოქმედნა, რადგან ის მარტო ამაში-ღა ხედავდა მისაყრდობ ღონეს, არჩია ისევ გულშივე ჩაებრუნებინა იმ დრომდის, ვიდრე ოქრო თავს ღონივრად არ იგრძნობდა. ოხ, რარიგად ენატრებოდა მაკოს ეს დრო!

— მაკო, ხომ არ მენდურები, რომ ამ ბოლო დროს აღარას გიჯერებ და შენთან აღარა ვარ ისე გულახდით, როგორც წინად ვიყავი?—უთხრა ოქრომ. მაკინეს გააკანკალა.

— არა, შენი ჭირიმე...—ძლივს მოახერხა ამან დალაპარაკება.

— ჰო, მაკო, დამნაშავე ვარ შენს წინაშე... იმისთვისაც დავკარგე ჯანის სისაღე, სულის მშვიდობა!.. მაგრამ ეხლა კი გიბრუნდება უძღები ძმა, გთხოვს მოტევებასა... მაკინეს ჟრუანტელი უვლიდა მთელ სხეულში. მოეჩვენა, თითქო ოქრო კიდევაც დასცინოდა. თავი მაღლა ვეღარ აელო, თვალებ ძირს დახრილი ტანჯვით უსმენდა.

— სიტყვა კი მომეცი, რომ მაპატიებ...—განაგრძობდა მწვალებელი ხმა.

— ოქრო, შემიბრალე! ნუ მტანჯავ!—შესძახა მაკინემ და სახე მთლად გაუყვითლდა, თვალებში ცრემლის კურცხლები წამოადგნენ.

— ნუ სტირი... გული ცუდად შეგექნება... გთხოვ კი, რომ მოისმინო ჩემი დანაშაული... გახსოვს ამას, წინად რომ მკითხე, რადა ხარ აღელვებულიო? როცა №-ის სასტუმროდან დავბრუნდი.

— მახსოვს,—უპასუხა მაკინემ და შეხედა ოქროს.—რა გაქვს საპატიებელი, გენაცვალე? შენ დამნაშავე ხარ ჩემთან? არა, არა, შენ კი არა, ოქროჯან, მე ვარ...

— დაიცა, ნუ ჰღელავ, მაკო, სიტყვა მომეცი, დამარწმუნე, რომ მაპატიებ.

— გაძლევ...— დაიჩურჩულა მაკინემ, ამას თითქო სუნთქვაც კი გასძნელდებოდა.

— შენ არ იცი, მაკო, თუ იმ სასტუმროში რა წინდაუხედავად მოვიქეცი... შენც დაგიმალე და დღეს კი ცხვირში საგრძნობლად ამოვიკარი.

მაკინეს ეჭვი გაეღვიძა, იქნება კიდევ რომელსამე ქალთან დაიჭირა საქმეო. მაგრამ გადასწყვიტა, ოღონდ ბედნიერი ყოფილიყო ოქრო და აღარ ჩაეჩხირებოდა ამის ცოლის შერთვაში, პირიქით ხელს მოუმართავდა.

— მერე?—ჰკითხა ამან და სმენად გადიქცა.

— სვიმონ ხამაშვილი აღარ მომეშვა, ინგლისის კლუბიდან №-ის სასტუმროში შევედით. იქ კარგი ლაზათიანი ქეიფი გავწიეთ, ბევრიც ვილაპარაკეთ, მეტადრე ბახუსის ზე-გავლენით, ერთმანერთს გადავეცით ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ვითარება... სვიმონმაც თავის მხრივ დაუფარავად მიამბო... ის მეტად შევიწროვებულია მამისგან, კაპეიკს დანატრის, ყელამდის ვალში ჩაფლულია, სამსახურში მყოფ კაცს კი ყველაფერი თავის დროზე სჭირდება... ასე გასინჯე, მუნდირის შესაკერსაც კი ვერა შოულობს... ერთი მოვალე თითქმის ყელში უჭერს ხელსა, გინდა თუ არა უნდა ფული მომცეო... რადგან არ გენდობიო, თორემ მამა შენს მივმართავო. სვიმონ ბავშსავით ტიროდა, რომ თუ მართლა ეს აასრულებდა მუქარას, მაშინ პავლე გამორიცხავდა თავის შვილობიდან. იმ ყმაწვილის ისეთი ტანჯვა ჩემს გულში აღვიძებდა წინანდელ მხურვალე თანაგრძნობას მოძმისადმი. მომაგონებდა ძეირფას დიდედის სიტყვებს:—გიყვარდეს, შვილო, ყველა ქართველი ისე, როგორც შენი თავიო. იმ წუთებში მზად ვიყავ არა დამეზოგა-რა სვიმონისათვის, დავამშვიდე, ყოველ ღონის ძიებას ვიხმარ, რომ შევაყენო ის კაცი-მეთქი. ვთხოვე ჩემთვის ეჩვენებინა, გავეცანი. ვადაც დავნიშნეთ. მოვალე მეტად თავაზიანი, კეთილი მეჩვენა; როდესაც ვუსაყვედურე, რად ავიწროვებ ანგრე-მეთქი, მან დინჯად მომიგო:

— არა, კნიაზო, სვიმონის საქმე რომ თქვენსავით გახლდეთ, რავდენმა ხანმაც უნდა განვლოს, მაინც არ შევაწუხებდი მაგაზედ, მაგრამ რაკი მაგათი მამა არ კისრულობს შვილის ვალების გადახდას, მეშ შევშინდი. ერთი საწყალი კაცი გახლავარ, წვრილ-შვილის პატრონი. პირნათლად ჩაბარებულ ფულზე რას მემართლება? სანამ დრო აქვს, დამიბრუნოსო. ამასთანავე ისეთი შესაცოდავი საბრალო მეტყველება მიიღო, რომ სრულებით შევუნდე, გავითვალისწინე გარემოება, რომელიც ასე ამოქმედებდა.

— სვიმონს ეხლა ფული არა აქვს და, თუ დაკმაყოფილდებით ვისიმე თავდებობით, შეუძლიან იშოვნოს.—ვუთხარი მე.

— ეგ პირზე გახლავთ დამოკიდებული... თავდებად ან ვინ, ან როგორი დადგება.—მიპასუხა მან.

— ვთქვათ მე ვიკისრო... მაშინ?.. კმაყოფილი იქნებით?.. დაიცდით?..

— ოღონდაც!..—შესძახა მან სახეზე ღიმ-მოსულმა, მეც ძალიან მიამა, რადგან შევიძელი სვიმონის შველა. მაშინვე ხელი მოვუწერე თავდებობაზე. წარმოიდგინე, მაკო, ყველა ეს შენ ხომ არ იცოდი?... დაგიმალე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ დამიშლიდი... შემდეგ მე ვიგრძენი, რომ მოვიქეცი წინდაუხედავად, მაგრამ, როდესაც გავიხსენე ის, თუ რა შევიწროებიდან ვიხსენი მოძმე, ეჭვი და შიში თავიდან მომშორდა.

— მერე, გენაცვალე, შეიძლება, იმ კაცმა ისარგებლოს იმ თავდებობით!..—უთხრა მაკინემ.

— ისარგებლა და მორჩა... კიდევაც მიჩივლა. პავლემ შეიტყო, გადახდაზე უარი განაცხადა, ეხლა მე მთხოვს ხუთას თუმანსა. მაგრამ გუშინ თითქო პავლე ყოყმანობდა. არც დავიჯერებ, თუ ის მიიყვანს იმ კაცს იქამდე, რომ მე გადამახდევინოს.—დაუმატა ოქრომ, როდესაც აღმოიკითხა მაკინეს სახეზე კრთომა.

— საქმე მაგგვარად იყო და გუშინ კიდევ მიდიოდი მათთანა?—უსაყვედურა მაკინემ.

— სწორედ მაგ საქმის გულისთვის წამიყვანა სვიმონმა, რომ მოგველაპარაკნა ერთადა, თუმცა კი არა გამოვიდა-რა

გარდა ღვინის დალევისა. ეჰ, მაკო, ადამიანი სატანჯავადა ყოფილა გაჩენილი! ის იბადება უმანკოდ, როგორც უმანკოა ბუნება, მერე ცხოვრებაში შედის, თუ ბოლომდის სპეტაკი აზრები შერჩა, მათ მიმდევრად თავი აღიარა, მაშინ სამუდამოდ დევნულია, განკიცხული და უცნობი! დიდი ხანია, რაც ყველა კარგს სამუდამოდ გამოვეთხოვე, ტანჯვას თავი მოვუხარე. დავკარგე რწმენა ხალხისადმი, ისინი მეჩვენებიან ჯოჯოებად, ქაჯებად, გულიც თითქო გაქვავდა! ამ სოფლად აღარა დამრჩენია-რა, რადგანაც უწყალოდ გამძარცვა ქეთინომ, გონება, აზრი, სიცოცხლე მომიწამლა. მარტო შენა მყევხარ, ჩემო ძვირფასო მაკო, მარტო-ღა შენა გხედავ ჩემთვის თავდადებულსა. დღეის იქით, ახლა შენთვის, მარტო-ღა შენთვის ვიფიქრებ, დანარჩენები კი გამქრალან! მაკინესთვის უფრო ადვილი ასატანი იყო ოქროსთვის საყვედური, კიცხვა, წყევლა, შეჩვენება, ვიდრე ასეთი ალერსი, რწმენა და წრფელი ერთგული სიყვარული! რა დამნაშავეა! რა შემცოდეა ოქროს წინაშე! დარწმუნებულია დღესა თუ ხვალ ოქრო სრულიად ცარიელი დარჩება, რადგანაც ვისაც შემწეობა აღმოუჩინა, ფულით თუ თავდებობით, ყველამ უმტყუნა, მოესივნენ, ერთბაშად ითხოვდნენ. ოქრო წარბ-შეუხრელად პასუხს უგებდა, უმტკიცებდა, რომ ამას მოექმედნა მოძმის გაჭირვებიდან დასახსნელადა, მაინც ბოროტნი უკან არ იხევდნენ, არ ისმენდნენ ოქროს ჩაგონებას, ამისთვისაც ან უნდა გადაეხადნა, ან არა და ემუქრებოდნენ მამულის ხელიდან გამოცლასა. ოქრომ გადასწყვიტა გულმაგრა დასდგომოდა საშინელს ხვედრს; სინიდისი ნაკლებ აწუხებდა, როდესაც ჰგრძნობდა, რომ ეს მომავალი არ იყო შედეგი თავმოყვარეობა-ფუფუნება-ნებივრობისა, არამედ მოყვასთა დახმარებაში გამოღებულიყო. თუმცა ცდილობდა მაგრად, მტკიცედ დასდგომოდა, მაინც ეს ყოველივე მოქმედობდა მის ჯანსა და ღონეზე. მაკინეზე ყოველ წამს ზრუნავდა, ფიქრობდა, თუ ის როგორ შესძლებდა ღარიბ ცხოვრებასა, ან როგორ დასთმობდა წარსულ განვლილ დღეებს, საზოგადოებისაგან ნებივრობასა! იასონიც დაღვრემით იყურებოდა და სწუხდა აწმყოსა და მო-

მავალზე, მაინც კიდევ განაგრძობდა წინანდელ ცხოვრებას. თადეოზს მოთმინება შემოაკლდა, უკანასკნელად გამოუცხადა მაკინეს, რომ ან ოქროს შეერთო ლიზა, ან ათას თუმანში გასწორებოდა. მაკინე ორ ცეცხლ-შუა ჩავარდა, არ იცოდა, რა საშველი ღონე ეხმარა.

— ოქრო, რად ჰმალავ, გენაცვალე, მე გატყობ, ძალიან კარგად ვხედავ, რომ გაწუხებენ ეს არეული, გახლართული საქმეები. იფიქრე კიდევა. იქნება შევიძლოთ და თავი ვიხსნათ ამ უსიამოვნობისაგან.—უთხრა ამან ერთხელ ძმას, როდესაც უკანასკნელი არწმუნებდა, რომ მას არ აშინებდა მომავალი სიღარიბე...

— ყოველი იმედი დაკარგულია!... ტიტიკო გადამიდგა, მაყვედრის, რომ მეც ისეთივე ქარაფშუტა ბედოვლათი ვარ, როგორც ათასი... ჩემში არც ვაჟკაცური სიმტკიცეა, არც შორს მხედველობა... მამულები ავწეწ-დავწეწე და ისიც საშინლადა სწუხს ასეთს ჩემს წარუმართებულობაზე... როსტომსაც დღეს თუ ხვალ ამისთანა დღე მოელის... და ვილას უნდა მივმართოთ?..

— თადეოზ სვიმონიშვილი კეთილია, ოქრო, პატიოსანია...

— თადეოზს ჯერ ძველებშიაც არ გავსწორებივარ...

— განა არ შეიძლება ისე მოხერხდეს, რომ არამც თუ ათასი თუმანი გამოგართვას, პირიქით მან მშობლიური მოვალეობა გაგიწიოს?..

— ეხლა მივხვდი, რაც გინდა სთქვა.—უთხრა ოქრომ.

— იმისთვისაც გითხარი, თავ-შემოგევლოს მაკინე, რომ მიმხვდარიყავი... როდემდის უნდა იარო ანგრე მარტო!.. მეც დავბერდი, დღესა ვარ, ხვალ კი აღარა... რა გეშველება ჩემს შემდეგ?.. ლიზა კი კარგი ქალია, შენც იცნობ... გონიერი ხარ და ნუ თუ მართლა გინდა აახდინო ტიტიკოს სიტყვები?.. ცოლი შეირთე, ოქრო!—ოქრო გაჩუმებული დადიოდა ოთახში, მაკინეს სიტყვებზე სახე მრავალ გვარად ეცვლებოდა.

— მაკო,—შესძახა და შედგა, მისმა მიმქრალმა თვალებმა კვალად ნაპერწკლების გაბნევა შეიძლეს.—ცოლის შერთვა აღარ გამიხსენო! არა, ნურც მირჩევ... ლიზა არ მი-

ყვარს; უნდა შევირთო კია, რადგან საქმეები გახლართული მაქვს? არა, მაკო, ტყუილადა გგონია მაგ აზრით ნაღველი შემიმსუბუქო... დაე შიმშილით მოვკვდე, მაინც გულ მაგრა ვიქნები იმ იმედით, რომ ჩემსკენ ვერავინ გამოიწვდენს ხელს და არ იტყვის, ოქრომ ესა და ეს არ გაიტანა, ესა და ეს მოატყუა და მაგიერიც მიეწყოვო... როგორც იქნება, გავატარებ ხან-მოკლე ცხოვრებას. ნუ გეშინიან, მაკო, დღეის იქით აღარ მიეეცემი სხვა-და-სხვა მომწამვლელ გასართობს, ყველა ეს ძალდატანებული საქციელი იყო, მინდოდა გრძნობა გამეყრუებინა, გამექრო არარაობა. მაინც ვერ შევიძელი. ჩემი ბუნება წმნააღუდგა მასაც, ხელის კვრით უკან გამომაგდო. მართალია, ოცობოდას ვედები, თვალწინ აღარა ბრწყინავს არც ერთი მოელვარე წერტილი ნეტარ იმედებისა, მაგრამ ვცოცხლობ წარსულით. დაე სულით ხორცამდეს გავიყიდო.. სამსახურში შევალ, მით ვიცხოვრებ... შენ კი ნულარას გამიხსენებ ცოლის შერთვაზე...—ოქროსგან ისე მტკიცედ იყო წარმოთქმული ეს სიტყვები, რომ მაკინემ წინააღმდეგის თქმა ველარ მოახერხა... დარწმუნდა, რომ ნება უნებლიედ უნდა მომზადებულიყო მომავალ რისხვისთვის.

— მერე ვინ იყო მიზეზი თვითონ იასონის გაღარიბებისა?. ვინ იყო მიზეზი, რომ საქართველოს საუკეთესო შვილი, სიცოცხლე-გონიერებით ალსავსე, პატიოსნება-განათლებით აღჭურვილი ასე ძირს დაეცა, მარტო იმის გამო, რომ ყველას ენდობოდა! ოხ, რასაკვირველია, ბედი და იღბალი... ჩვენი ოჯახი დაწყევლილია... მამა-პაპის ცოდვა ჩვენზე გადმოსულა... ასე გასინჯე, განოსაც კი გაჰყვა და დღეს თუ ხვალ თითქმის მათხოვარი გახდება. . ტიტიკო ხომ დიდი ხანია პირუტყვულ ცხოვრებას ატარებს... მუდამ წლითი-წლობამდის იმ სოფელში ჯდომა უგუნურ გაუნათლებელ ანოსთან მაშ რა არის თუ არა სიკვდილი, ან სალათას ძილი!.. არა, ცოდვა, წინაპართა ცოდვა და უბედურება გვდევნის...—ამბობდა მაკინე, მაგრამ ამას არა ერთხელ სიზმარშიაც მოელანდებოდა ქეთინო, აყვედრიდა და ეკითხებოდა:

— მაკო, ეგ რა ჰქენ! რა დაგიშავე? რად განგვაშორე მე და ოქრო ერთმანერთს, როდესაც შეიძლებოდა სამივე დიდი ბედნიერები ვყოფილიყავით? შენ, როგორც ერთგული დედის მოადგილე, უფროსი და, იდღესასწაულებდი ამ ჩვენის ნეტარებითაო. მაკინეს ხელი დარია დარდმა, ნაღველმა, სულსა და გულს მოსვენება მოენატრა. თვალ-ცრემლიანი შესთხოვდა დროს, ან დაეშორებინა ის მომავალი საშინელი სიწყვდიადე, ან მოესპო ამისი არსებობა, მაგრამ გვიან-ღა იყო.

## XLII

გაირბინა ექვსმა წელიწადმა. ამ დროის განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა. მრავალმა ახალმა პირმა თავი იჩინა საზოგადოებაში და წინანდელნი უკან ჩამოაყენა. მაკინეს დედოფლობა აღარსად სჩანდა, მისი ხსენება მარტო კანტი-კუნტად გაისმოდა აქა-იქ ძველს ოჯახებში. ახალ ნორჩ ტურფათა მის ადგილში ფეხი ჩაედგათ, სარგებლობდნენ აწმყოთი. ყმაწვილი კაცებიც აგრეთვე ნაკლებ ზრუნავდნენ მასზედ, თუ ამ რამდენისამე წლის წინად როგორა ბრწყინავდა ოქრო და ყველას იზიდავდა.

— საცოდავ მაკინეს რანაირად უმუხთლა ბედმა! რა ცხოვრებაში მყოფს როგორი შევიწროებული გარემოება აკისრებინა!.. ის მაშინ გაუბედურდა, როცა იასონმა შეირთო. ოქრომაც კარგი არა დააყარა-რა, დაღუპა როგორც თავისი თავი, ისე მაკინე. ბუნებითვე თუ კაცი შორს-მხედველი არ არის, მას ძნელად შესცვლის განათლება.—ასე ლაპარაკობდნენ თვით ის პირნიც კი, რომელნიც გამხდარიყვნენ ოქროს დაღუპვის მიზეზად. დიაღ, დიდი თავგამოდებით, მედიდურობით საჯაროდ ხარჯავდა ამ აზრებს ხამაშვილიც, რომელსაც მამა მოჰკვდომოდა, ხელში ჩაეგდო აუარებელი საცხოვრებელი, შეერთო ლიზა და საზოგადოებაში პირველი ადგილი დაეჭირა. ამას კიდევაც გადაეიწყებოდა ოქროს დავალება; ესა და სხვები ჰმეგობრობდნენ ოქროს, ვიდრე ჯიბეში ეგულებოდათ, ვალარი-

ზებულს კი მერე ვეღარა სცნობდნენ. ოქროს მთელი თავისი მამული გაეყიდა ცალკე მაკინეს ვალშია და ცალკე სვიმონ ხამაშვილისა და თადეოზის წყალობით. აუხდა წინასწარი გრძნობა. ამ ელდამ უფრო ბოლო მოუღო ამის სასოწარკვეთილებას, სამარიდან ამოღებულს დამსგავსებოდა, ყველას თვითონვე ჩამოსცლოდა, რადგან ხედავდა, რომ წინანდელი ჯაჭვი, რომელიც აერთებდა საზოგადოებასა და ცხოვრებასთან, გაწყვეტილიყო... სამაგიეროდ ისიკოსა და გიორგის ისევ დაახლოვებოდა, მაგრამ ისინიც ძალიან სუსტ ნუგეშს აძლევდნენ... ოდესმე მდიდარი, დიდებული, დღეს ღარიბთა უღარიბესი გზას აუქცევდა ქუჩაში მომავალ რომელისამე მდიდრის ეტლსა, არა შურდა მათთვის ეს დიდება. ოქროს უზადო გულს ეუცხოვებოდა ეს გრძნობა. თვალ წინ ეყენა ცხოვრება, კაცის არსება თავისის ნაკლულევანება-ღირსებით და სჯიდა, არკვევდა მას, ვითარცა ფილოსოფოსი... ძველ უბედურობას თან ახალი მოჰქონდა. იასონსაც უეცრად წვეთი დაეცა და ორი დღის უგონოდ ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა. დარჩა მაკინე ოქროს ანაბარა, ნამდვილი მიზეზი კი იასონის სიკვდილისა იცოდა მაკინემ, რომელსაც მწვავად ულრღნიდა გულსა. იასონის სიკვდილი გამოეწვია არა წვეთის დაცემას, რომელსაც ასახელებდა მთელი ქვეყანა, არამედ ელდას, მეხს, რომელიც დასცა მას მთავრობის ბრძანებამ, რომ ერთ კვირეში უსიკვდილოდ შეევსო ის დანახარჯი, რომელიც დაეკლო ინტენდანტსტვოს თანხისთვის. იასონი არ მოელოდა ასე უცბად, თუმცა რავდენიმე წელიწადიც გასულიყო მას აქეთ, მაგრამ ეხლა კი თადეოზის წყალობით გამომჟღავნებულიყო იქ, სადაც ჯერ არს, და სასტიკად მოეთხოვათ... იასონმა წაიკითხა თუ არა მოულოდნელი ბძანება, მაშინვე თავბრჭყვიალი დაესხა და დაეშვა უგონოდ სავარძელში... მაკინემ მაშინვე დამალა ქაღალდი, რომ საქვეყნოდ არ გამხდარიყო... დაბრუნდა ოქროც, რომელიც ამ დროს შინ არ იყო და არც არა იცოდა-რა, ორივ ცოლ-ქმარნი არ უმხელდნენ, რადგან უიმისოდაც წამებულს ოქროს საკუთარი ვარამიც საკმაოდ ჰქონდა... მთელი ქალაქის ექიმები

დაეხვივნენ იასონს, მრავალი საცადი იღონეს, მაინც ვეღარ მოიყვანეს სრულ გონებაზე და ორი-სამი დღის შემდეგ გადაიცვალა... საქმე ჯერ-ჯერობით დარჩა განუსაზღვრელად. მაკინე შეაწუხა ქმრის სიკვდილმა, მაგრამ მაინც ისე არა, როგორც უნდოდა ..

იასონი დიდი ხანია მის ცხოვრებაში მეტი იყო, სიამოვნებითაც იკისრებდა მაზედ შორს ყოფნასა, მაგრამ რაკი ხალხის თვალში ცუდად გამოვიდოდა, ამისთვის განაგრძობდა მასთან ცხოვრებასა. იასონს მარტო პირველ წლებში ჰქონდა მნიშვნელობა, ვიდრე შეეძლო ცხოვრება, მერე რაკი ოქრო გადმოვიდა, მას აქეთ ის თავ-მაბეზარი მოსჩანდა. არა, ეს არ იყო იასონის წინაშე დამნაშავე ისე, როგორც ოქროსთან... როგორ ეშველა თავის თავისთვის?.. როგორ მოენანიებინა შეცოდება? როგორ ეპოვნა სულის სიმშვიდე? ეს ხშირად იდგა ხატებ წინ, ლოცულობდა, მაგრამ მაინც ამაზე უარს ჰყოფდნენ ბედი, ღმერთი და გარემოება. ბოლოს ოქრო შევიდა სამსახურში. ესა და მაკინე დასჯერდნენ თვეში ათ თუმანს, რომელიც ძლივს სულს აბრუნებინებდათ. ქალაქის მიყრუებულ ქუჩაში დაექირათ ოთხი ოთახი, მათში ატარებდნენ თავიანთ თითქმის გაწბილებულ ცხოვრებას, არ მომლოდინე ხვალინდელი დღისა. მაგრამ მაკინე მაინც გასაოცარი მოთმინებით იტანდა ხვედრს, ჩვეული მრავალ მოსამსახურეთა, დასჯერებოდა მარტო თავის ერთგულ ბესოს და ერთს დედაკაცს. ყველა ოჯახის საქმეში თვითონაც იღებდა მონაწილეობას, თითქო უნდოდა, რომ ამითი თავისი დანაშაული გაესწორებინა. ოქროს სუსტს სხეულს ვერ აეტანა უჩვეულო ჯაფა სამსახურისა, თანდათან სუსტდებოდა, მთელ კვირაობით ლოგინიდან ვეღარა დგებოდა. თავზარ-დაცემული მაკინე ატყობდა, რომ ოქრო დიდი ხნის აქ მყოფი არ იყო.

— ნუ თუ კიდევ უარესს უნდა მოველოდე? ვაი ჩემს მოსწრებასა, ვაი ჩემს სულსა!—წაივლებდა ხელებს გათეთრებულ თმაში მაკინე, უცრემლოდ ჩაწითლებული თვალებით უიმედოდ გაიყურებოდა. ეს ხედავდა სისხლში გაბაბანებულს ოქროს, რომელიც ჰბოდავდა:

— შენა ხარ ჩემი ნუგეში, საცოდავო!—წარმოსთქვამდა და წამოიწევდა ლოგინიდან, გაფიცხებული ტუჩებით დაეკონებოდა მაკინეს სანთელსავით დამდნარ ხელსა. ოქრო ატყობდა დას რაღაც საშიშარს მეტყველებასა.

— მარტო შენა ხარ ჩემი პატრონი, უნდა თავს გაუფრთხილდე.—მოესმოდა კვალად სუსტი ხმა ავადმყოფისა. ეს ხმა წუთს შეაყენებდა მაკინეს საშინელ განზრახვას, რომ ეს ნაძალადევად მაინც გამოსალმებოდა წუთი-სოფელს

— ღმერთო, მაპატიე! ღმერთო, მიღხინე!—იმეორებდა ეს თაეის თავადა. როსტომი და განოც ხშირად ჩამოდიოდნენ ტფილისში. მათ ბლომადა ჰქონდათ ფულები გრიგოლასაგან მიცემული და ბევრჯელ მაკინესაც ანუგეშებდნენ და გაიწვევდნენ თავის სოფლისკენ, თუმცა თვითონაც ქირით იდგნენ ოდესმე საკუთარ სახლებშია. როსტომს უკვე ნახევარი შეეჭამა და ჯერ საქმე ვერა აელო-რა. თადეოზს უარი ეთქვა, არ მიეღო ამხანაგად თავის საქმეში და ეს კი მაინც ეძებდა, რადგანაც ამისი სული და გული არა სჯერდებოდა დღევანდელს, კვალად დაჟინებით სურდა გამდიდრება. ამათ დაეჭირათ რამდენისამე თვით სასტუმროში ნომრები და სცხოვრობდნენ თავიანთ გარემოების შესაფერად. თუმცა მაკინესაც გულით უნდოდა დ—ში წასვლა, მაგრამ ოქრო აღარ მისდევდა. ან კი როგორ დაენახა ის ადგილები, რომლებიც ისე ცხოვლად თვალ-წინ წამოუყენებდნენ დაკარგულ ნეტარებასა? ტიტიკო წინანდელზე მეტად გაბოროტებულიყო მაკინეზე, მისთვის წერილიც მოეწერა და ხელმეორედ გაელანძღა, ეყვედრებინა ძმის ასეთი გაუბედურება და დაღუპვა, ოქროს კი თავისკენ იწვევდა, სთხოვდა, ემუდარებოდა, მაგრამ ეს მაინც არ მიდიოდა. მაკინემ ერთი ხელობა მოინდომა მიემართნა მოძღვრისათვის, მისთვის აღსარება ეთქვა, განდობოდა... მაგრამ ვისთვის? ვინ იყო ღვთისნიერი? არა, მღვდელი, ერი, ბერი, ყველა ისეთივე შემცოდე ეჩვენებოდა, როგორც იყო თვითონა... მაინც ეძებდა წმინდა არსებას, რომელთ შორის ოქრო იყო, მაგრამ ეშინოდა ამ აღსარებით ბოლო არ მოღებოდა მას. ნეტაი რასა იქს ქეთინო?

რას ფიქრობს? ნუ თუ ოქრო აღარ ახსოვს? ხსოვნით უეჭველია ეხსომება... ისიც უთუოდ უბედურია... ნეტა მაჩვენა... ოქროს კი ისევ უყვარს ისა... დადნა, დაიტანჯა. ლიზას შერთვა რომ ეკისრნა, მაშინ ხომ ასცდებოდა ეს წვალება! ნუ თუ ძნელი იყო ქეთინოს დავიწყება! აკი თვითონ მაკინესაც უყვარდა ზურაბი, მაგრამ დღეს არც კი ახსოვს! არა, ოქროს ქეთინო უყვარს მაკინესთვის გაუგებარის სიყვარულითა, თუმცა ცდილობს ქეთინოზე იშვიათად ლაპარაკსა... ამას წინად რუსულ ჟურნალში აღწერილი იყო ქეთინოს ნიჭის, მხატვრობის შესახებ... რა აღელვებით კითხულობდა დღეში სამჯერ თუ ოთხჯერ ოქრო, იმეორებდა, თითქო უნდა მისი შინაარსი გაიზეპიროსო... დიაღ, ცხადადა სჩანს, რომ ოქროს ძალიან უყვარს ქეთინო.—ამ ფიქრებით თეთრის თვალით ათენ-ალამებდა მაკინე...

ერთხელ ოქრო ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა სამსახურიდან. შემოვიდა თუ არა, მაკინე მიეგება და ჰკითხა:

— როგორა ხარ, შენ გენაცვალოს მაკინე!— ოქრომ მოკლედ უპასუხა, რომ კარგად ვერ იყო, გასწია პირდაპირ საწოლისკენ. მაკინე მაშინვე გამოვიდა, რომ ბიჭი გაეგზავნა ექიმთან. როდესაც ამან კარი გაიხურა, ოქრომ სერთუკის ჯიბიდან ამოიღო გაზეთი, ხარბად დააჩერდა, ეტყობოდა გაზეთში რაღაც ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი ეწერა. აგერა ოქროს ტუჩებმა ხმა-მაღლა გაიმეორეს, თითქო უნდათ დარწმუნდნენ მათს სინამდვილეზეო: „ამ სამი დღის წინად ქალაქში ჩამოვიდა საშზღვარ გარედ მყოფი ჩვენი ნიჭიერი მხატვარი ქალი ქეთევან დიდებაშვილისა, ჩამოხდა №-ს სასტუმროში ქმარშვილით. ერთი თვის შემდეგ წავა თავის სოფლისკენ“.

რავდენი პირი წაიკითხავდა გულდინჯად ამ სტრიქონებს, გადასცემდა თავის ნაცნობს, გაუმეორებდა:—ჩვენი მხატვარი ქალი მოსულაო. მათ დაუკმაყოფილდებოდათ პატრიოტული გრძნობა; თავ-მოყვარეობა, რადგან თავიანთ მიწა-წყლის თანამოძმის შვილს ასეთი ნიჭი გამოეჩინა. ოქროს გულს კი სადგისები ეყრებოდნენ ყოველ სტრიქონის ამოკითხვაზე. „ქეთინო

ქმარშეილით“!! რა საგრძნობნი იყვნენ ეს უკანასკნელი დამატებითი სიტყვები! ბედნიერს დავიწყებოდა ოქრო, მოსულიყო, რომ შორიდან ეელვებინა თავისი ღირსება, მშვენიერება და ეთქვა:—მიყურე, საცოდაო, და იტანჯეო! ოხ, რა რიგად უსრულდებოდა მას ეს განზრახვა! ოქროს გული უწუხდა, სული უშფოთავდა. მოვიდა ექიმი, ავადმყოფის გასინჯვაზე სახე დაენაღვლიანა. დარიგება მისცა, რაც შეეძლო დამშვიდებით ყოფილიყო, რომ მცირედი აღელვება მაზედ ცუდად იმოქმედებდა, ავნებდა. მაკინეს კი აღარ დაუმალა, შეატყობინა თუ შეიძლებოდა ამ დღეებში ოქროს სიცოცხლე სრულიად შეწყვეტილიყო. მკურნალი უცხადებდა ისე დამშვიდებით, თითქო ელაპარაკებოდა მაკინესთვის რომელსამე საჭირო გარემოებაზედა.

— საღამოზედ შემოვივლი,—დაუმატა იმან და წავიდა. მაკინეს ცრემლები არ გასჩენია... გული გალიცლიცებული იყო იმდენ ნაღველით, რომ ახალს აღარ უშვებდა, გარინდებული, ანგარიშ მიუცემლად ასრულებდა ექიმისაგან დარიგებას ოქროსადმი, ყოველთვის მაგრა მოკუმულის ტუჩებით დადიოდა ოთახებში, თითქო ეძებდა დასასვენებელ კუთხეს, სამწუხაროდ კი ვერსადა ჰპოებდა. აგერა ჩაეძინა ოქროს. მაკინემ დაინახა მის გვერდით გაშლილი გაზეთი... დასტაცა ხელი, დაუწყო კითხვა. ეს პირველში წინანდელზე მეტად გაყვითლდა, შემდეგ დამჭკნარი, ჩამომხმარი ლოყები შეუპირისფერდნენ.

— მოსულა! განა მოსულა!..—იმეორებდა ეს გულშია... —მერე ხომ გაიგებდა ოქროს ავადმყოფობას? არ შეიძლებოდა პალიკოს მაინც ყური არ მოეკრა. . მერე?.. გაიგოს ამისი ასეთი მდგომარეობა და არა ნახოს? ნეტავი კი მოვიდოდეს. მერე მაკინეს რა დაემართებოდა?.. როგორ შეხედავს, როგორ უნდა გაუძლოს, როდესაც ორივეს ერთად ნახავს?.. მაკინე კვალად გაყვითლდა... ნაცნობმა ხმამ ყურში ჩასწივლა:

— ის არის შენი მოძღვარიო! გულმა ლევა იწყო, ამან შეიხედა ოქროსკენ, მას თითქო დამშვიდებით ჩასძინებოდა. ქალის თვალები იმედით გაბრწყინდნენ.

— ჰა, იქნება მეღირსოს სულის სიმშვიდე?.. ქეთინომ, რომ აპატიოს ოქროს, დაუახლოვდეს, იქნება მორჩეს? ჰა?..

ქეთინოს ნახვა ოქროსთვის უებარი წამალი იქნება! ღმერთო, დამეხმარე!.. შემეწიე, გამოვიხსნა ჩემი ძმა ამ ტანჯვისგან...—ბუტბუტებდა მაკინე. ამ დროს მოისმა სუსტი ხველა, ამ ხველამ მჭრელ მახვილივით დაუარა მაკინეს, მიიხედა ავადმყოფისკენ...

— მაკო,—დაიჩურჩულა ოქრომ—აქ მოდი!—ქალი დამორჩილდა, მივიდა. ოქრომ ხელი გამოართვა.—ახალი ამბავი არ გაგიგია?

— რა, გენაცვალე?—ოქროს უნდოდა რაღასიც თქმა, ამ დროს მოუარა ხველამ, კარგა ხანს სული ვეღარ მოიბრუნა.

— ის მოსულა!—ბოლოს ძლივს მოახერხა დალაპარაკება.

— ვინ ის?..

— ქეთინო, არ წაიკითხე გაზეთი?

— ოქრო გენაცვალე, მითხარი, გინდა იმისი ნახვა?—ოქროს სახე მოეღრუბლა... ხმა არ ამოიღო პირველში, მერე თან დათან დამშვიდდა, გადმოხედა დას, ტუჩები რაღაც იმედით გაეღიმა...

— მაკო, მაპატიე... გულსა სწყურიან, თუმცა გონება ეურჩება...

— ქეთინოს ნახვა?..—ოქრომ თავი დაიქნია.

— ჰო, მაკო, მინდა მისი ნახვა ისე, როგორც სიბნელისაგან სულ-მიხდილ ქვეყანას ენატრება მზის სხივი. იმან სიცოცხლე მომიშხამა, მაინც ვგრძნობ, რომ ის ჩემი სიცოცხლეა და აგრეთვე სიკვდილიცა...

— რახან ანგრევა, მას ნახავ...—წარმოსთქვა მტკიცედ მაკინემ და ძმას შუბლზე აკოცა. ოქრომ გაოცებით შეხედა დას.

— როგორა, მაკო?! ის ბედნიერია! არც კი ახსოვს, თუ სადმე ქალაქის კუთხეში მიყუდროებულს სულ-შეხუთულ ოთახში სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ებრძვის მისი მოთაყვანე!

ამ სიტყვების გაგონებაზედ მაკინეს გაუჩნდა სხეულის მანქვაგრეხა, თუმცა ცდილობდა თავი შეემაგრებინა იმ დრომდე, ვიდრე ქეთინოსა და ოქროს ერთადა ნახავდა. ამის სულს მოუთმენლად სწყუროდა, რომ ჩქარა ასრულებულიყო ეს სურვილი.

— იქნება ისიც შენსავით იტანჯება, ოქრო, იქნება შასაც ახსოვხარ, იქნება ისიც... ნანობს თავის საქციელზედ და წინანდებურად უყვარხარ?..

— ჰა?—ოქროს თვალები გაუგანიერდნენ, ტუჩები გაეპო, იწყო ჰაერის ხშირად სუნთქვა, თითქო უნდოდა ეს სიტყვა, „იქნება მას ისევ უყვარხარო", გულის სიღრმემდე ჩასწვდენოდა, შიგ სამუდამოდ დარჩენილიყო, მაგრამ მალე მწარე ღიმილმა შეუთამაშა სახეზე.

— ისევ ვუყვარვარ? მერე რაში დაამტკიცა სიყვარული? არამც თუ სიყვარული, მასში შებრალებაც არ ყოფილა... განა მოსიყვარულე გული მოითმენდა ერთხელ შორიდან მაინც არ დამნახვებოდა? შენ კი იძახი, იქნება მას უყვარხარო?—გაიმეორა ოქრომ და თან ვედრებით გადმოხედა მაკინეს, უსიტყვოდ ეხვეწებოდა: მითხარი კიდევ, განიმეორე, თუნდ მომატყუე, ოღონდ დამარწმუნე, რომ მას ვუყვარვარო. მაგრამ მაკო განაგრძობდა გაქვავებულსავით უძრავად ყოფნასა.

— ან კი რაში უნდა ვყვარებოდი?—დაიწყო ისევ ოქრომ.—ჩვენ შორის საერთო არა აღმოჩნდა-რა, თუმცა ის ხანი, რაც მას ვუყვარდი, ვეტრფოდი, ჩემი თავი დამეყენებინა იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლიდანაც ის გადმოიყურებოდა, ის სიმაღლე იყო წუთიერი, მოჩვენება, ლანდი, განქრა და ისევ წყვდიადში დავრჩი! ღმერთი, ციური მშვენება გაჰფრინდა ისევ ზეცას; იშვიათმა ჭეშმარიტმა ღირსებამ ჩვეულებრივ სიკვდილის შვილთან აღარ დააყენა; დაკარგულმა ნეტარებამ, ხალხის უმადურობამ ძირს დასცა მაღალ აზრებისა და შრომისკენ შემფრინავი სიცოცხლით აღსავსე ვაჟკაცი. რამდენი ღამე გამითენებია იმ ოცნებით, თუ ბოროტებას როგორ შევჭიდებოდი, მას ხელში ვიგდებდი, გველსავით გავსრესდი! მძაგდა ტრაბახა, ბაქია და დღეს კი მისი ადგილი მევე დამიჭერია! რის ღირსი ვარ? რასაკვირველია, დამცირებისა, ძრახვისა და შეჩვენებისა... მამული, რომელიც მსახავდა საქართველოს შვილად, დამეკარგა; სიყვარული, რომელიც ჩემში განამტკიცებდა აღფრთოვანებულ ხელ-შეუხებელ გრძნობა-სურვილთა, წამერთვა; სამაგიე-

როდ გულში დამიტოვა სამსალა; უწყალო ხვედრმა გარდამაქცია მცირე მავნე ჭიად, რომელიც დღეს თუ ხვალ გავქრები... ქეთინო? ჩვენი ქვეყნის სიქადული დიდების ღმერთა ქეთინო კი პირდაპირ თვალებში თამამად უყურებს ყველა თანამემამულეებს და ეუბნება:

— მე ვარ შენი ძალა, მე ვარ შენი მნიშვნელობა, უარი ვყავი უდირს მატლზე, რომელიც ეხლა იტანჯება, მე მას მაინც ყურს არ ვათხოვებ, რადგან შემცოდეა ქვეყნის წინაშე. მაშ იმ ქეთინოს რად ვეყვარებოდი და ან მეტადრე ეხლა რაღად ვეყვარები, მაკო?—მაკინეს თვალები ძირს დაეხარა, გაფითრებულს ტუჩები უთრთოდნენ, მსხვერპლის გმინვა ეჩვენებოდა ზეციდან მოვლენილ განჩინებად. სად იყო მაკოს წინანდელი ამაყი გრძნობა? სად იყო ის გაქვავებული თავ-მოყვარე გული, რომელიც შეჰლაპარაკებდა.

— რა მენაღვლება, იტანჯეთ, ოღონდ მე კი კმაყოფილად, დიდებულად ვიცხოვროვო... არა, ამ ჟამად მაკინეს გულს გარს შემოსცრცნოდა, შემოსდნობოდა ყინული, შეუბრალებლად იგმირებოდა. ოქროს თვითეულ დაჩივლებაზე ეს მაგრა ჩაუჭერდა თითებს რაიმე საგანსა, ჩუმად ხორცს იგლეჯდა, და როდესაც გვერდზე მიიღებდა თავს მოლაპარაკე, ეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფრჩხილებს ჩააჭდობდა ოდესმე მშვენიერ ლოყებს და იგაზავდა.

— რა ვქნა? რომელ წყალს მივცე თავი? სად, ან ვის მივმართო? ვის მოვთხოვო სულის სიმშვიდე?—უხმოდ იმეორებდა ამ დროს გულში მაკინე. ამან ველარ შეიძლო ოქროსთვის რაიმე ნუგეში მიეცა. ის იყო უნდა კიდევაც ჩავარდნოდა მუხლებ ქვეშ და მოეთხოვა პატიება თავის დანაშაულზე, მაგრამ ამ დროს სხვა ხმა დასძახებდა: „ჯერ კიდევ ადრეაო!“ წამოვარდებოდა, გავიდოდა მეორე ოთახში, დაემხობოდა პირ-ქვე, გმინავდა საცოდავად, იხლაკნებოდა, ხელებს იმტვრევდა და ღმერთს შესთხოვდა სიკვდილს; მერე ისევ გაირინდებოდა, მიიღებდა გაქვავებულ სახეს და ხმა-ამოუღებლად ლანდსავით შედი-გადიოდა. ოქრო ატყობდა მას ტანჯვას, სწუხდა, რომ

ამის ავადმყოფობას ასე ეწვალებინა ძვირფასი მაკინე, ერთად-ერთი მისაყრდომი არსება, რომელიც დარჩენოდა ამ წყეულ წუთი-სოფელში. თუმცა განო და როსტომიც ხელს ატანდნენ, თითქმის დღე-გამოშვებით ამასთან იყვნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ რითიმე ესიამოვნებინათ, მაგრამ ოქრო მაინც შვე-ბას ვერა ჰგრძნობდა. მათი გაუთავებელი ტრაბახი, ნიადაგ-გა-მოცლილი იმედები მომავალზე კიდევაც თავს აბეზრებდნენ. ამას მაინც ყველას თავს ერჩია მაკინე და ამისათვისაც აღარ შორ-დებოდა. ამან ეხლაც შეამჩნია დას, თუ თავისი ლაპარაკი რა სიმწარეს აგრძნობინებდა; ამისთვის შესწყვიტა, სისუსტემაც, დას ძალა, მიბინადრდა. საღამოზე ექიმმა კიდევ უარესობა დაატყო. მაკინე აღარ შორდებოდა, ფეხთით უწვა გაუხდელი, ძილი კი ფიქრადაც არ მოსდიოდა. როდესაც ოქროს ჩაეძინა, მაკინე დაასტერდა კარგა ხანს, სისხლი თავ-პირში წამოაწვა, ზეზე წამოიჭრა...

— არა, მსხვერპლი! ამ ბოლოს დროს მაინც თავი უნდა შევწირო... არ შემიძლიან... სიკვდილი!... მაგრამ იქა?... ჯო-ჯოხეთში?.. არა... მაკინეს სულთქმაც უძნელდებოდა... ეს გა-მოვიდა მეორე ოთახში... გაწეწილი თეთრის თმებით, ჩამოყვით ლებული, შავებში მოსილი უფრო შეშლილს დაგვიხატავდა და არა წინანდელ ქვეყნის გამაგიჟებელ ტურფასა...

— რა ვქნა?..— ქალი იხედებოდა აქეთ-იქით... თითქო რა-ღასაც ეძებსო, ხან გულთან მიიტანდა ხელსა, თითქო ეს არის უნდა ამოგლიჯოს ის მძიმე ლოდი, ან მოშხამული ისარიო, რომელიც ანადგურებდა მის არსებასა. მაგრამ ბოლოს შეჩერ-და, ამოიკვნესა.

— შორს თავმოყვარეობავ!.. შორს ამპარტავნებავ!.. თქვენ-გან კეთილი არა მინახავს-რა... არამედ დამცირება, შერცხვე-ნა!— ბუტბუტებდა ქალი.

— მე მას უნდა გავენდო... ფეხებში ჩავუვარდე, შევეხვე-წო, თავზე ნაცარი დავიყარო... როდის-ღა?..— მაკინემ საათს დაჰხედა... უკვე ღამის მერვე დაწყებულიყო. ამ დროს ოთა-ხიდანაც ხმაურობა შემოესმა: წუთს გაჩნდა ძმის ახლო, ეს ფი-

ქრობდა მაზე თუ როგორ მოეხერხებინა ქეთინოსთან წასვლა... ოქროს თანდათან უარესობა ეტყობოდა, მისი თავ-დანებება ძნელი იყო... განო კი იგვიანებდა... ამას გული ეწეოდა ქეთინოსკენ და გამოუთქმელად იტანჯებოდა...

XLIII

გაცრიაგებული ქრისტიშობის დღე მეტად გულზე სევდის აშშლელად იყურებოდა, ხან წამოუშენდა თოვლის ბარდნები, ხან გადაიკარავდა, გახუნებული მზე თვალს გამოაჭყეტდა, გაულიმებდა სუდარა-მოსხმულ სულ-შეხუთულ ბუნებას. დილის ათი საათი იყო, თავ-გადახურული ეტლი გაჩერდა №-ის სასტუმროს წინ. გადმოვიდა ევროპიულად ჩაცმული ყმაწვილი კაცი. როდესაც მეკარემ დააკმაყოფილა მისი კითხვა ნომრების შესახებ, ისევ დაუბრუნდა ეტლსა და წარმოსთქვა:

— ცარიელი ნომრები ყოფილა, ქეთინო!—ამ სიტყვების შემდეგ პალიკო დიდებაშვილმა უშველა ცოლ-შვილს ეტლიდან გადმოსვლა. მალე გამოჩნდნენ მოსამსახურეები, ბარგი გადმოიღეს, წინ გაუძღვნენ საპატიო სტუმრებს, რათა შესაფერი ოთახები ეჩვენებინათ. ქეთინოს დაღალვა ეტყობოდა, ხელი მოეკიდნა სამი წლის პაწაწა გრუზა-თმიან ბიჭისთვის. ეს განუწყვეტლად რაღასაც ეტიტინებოდა. გვერდზედ მოსდევდა კიდევ დედა-კაცი, რომელსაც ხელში ეჭირა წლინახევრის ბავშვი.

— ოქრო, გაჩერდი...—უთხრა ქეთინომ მოუსვენარ ბავშვსა. უკანასკნელი წუთს დაემორჩილა დედას, თუმცა თვალებში ემჩნევოდა, რომ ძალიან უნდოდა ცელქობა. ეს სრულიად უცხო უცნობი ადგილი თითქო მას ახალისებდა.

— მგონი არა უშავს-რა ამათ, თუ შენც დამეთანხმები. თუ არა და შეიძლება სხვაგან გადავიდეთ.—სთქვა პალიკომ, როდესაც ესენი შევიდნენ მათთვის დანიშნულ ოთახებში.

— რასაკვირველია, არა უშავთ-რა!—მიუგო ქალმა, მივიდა დიდ სარკმელთან, ქუჩისკენ გადაიხედა, ოთახები მოხერხებუ-

ლები აღმოჩნდნენ, სრულიად შეეფერებოდნენ ცოლშვილიან კაცს, რომელიც თავისუფლად იცხოვრებდა. ყველაზე მოზრდილი ოთახი, სადაც ესენი ამ ჟამად იყვნენ, კარგა ნათელი იყო, მოწყობილი მშვენიერ ავეჯით; დიდროვანი სარკმლები, საიდანაც შემოდიოდა საკმაო შუქი, ახალისებდნენ მუნ მყოფთა. მის გვერდზე ერთი მეორეს მობმოდნენ კიდევ სამი ოთახი განსაკუთრებულის დერეფნით, კარებით პირდაპირ კიბისკენ გადიოდა.

— სამი ოთახი მგონი კმაროდეს.

— მეტი საჭირო არ არის, ბევრი-ბევრი ერთი თვე დავრჩეთ, მეტი ხომ აღარა! ჩვენი გარდაწყვეტილება ხომ ასეთი იყო? უპასუხა ცოლმა.

— როგორც გინდოდეს, ჩემო სიცოცხლევ! ახლა კი წავალ რკინის გზის სადგურზე, დანარჩენ ბარგსაც მივიღებ...— დაუმატა პალიკომ, აიღო ქუდი და გამოვიდა. ქეთინომ ფიქრიანად იწყო ყურება სარკმელში, ეს ხედავდა გაშურებულ ეტლებს, როგორ მოუსვენრად აჩქარებით მიგრიალებდნენ თოვლ-ჭყაპში. ქალი რაღაც ნაღველს შეეპყრო და ვერ გამოერკვია. ქეთინო დაბრუნებოდა სამშობლო ქვეყანას. თვალ-წინ ეხატებოდნენ ნაცნობი ადგილები, აგონდებოდა წარსული, აღვსილი მტანჯველ სასიამოვნო შემთხვევებითა. გაითვალისწინა თავისი სოფელი. ყოველივე წვლილი, იქ გამონაცადნაგრძნობი... მოაგონდა ერთგული მეგობარი ჯერო, რომელიც დაუკლიჯეს ვიღასიც ძაღლებმა და ამის ცქერაში სული დალია. ქეთინოს ისე აღარ აწუხებდა მისი სიკვდილი, რადგან უარესი გარემოება გამოეცადნა, მაზე ძვირფასი, სანატრელი უმშვენიერესი არსება დაეკარგნა. რა გულ-ქვაობა გამოიჩინა მაშინ ქეთინომ ჯეროსადმი. ამ გახსენებაზე ქეთინოს გული მეტად დამძიმდა, თავს ძალა დაატანა, ფიქრი განაგრძო.

— თეკლე როგორ არის, ან ნატო? უეჭველია, მობერდებოდნენ, რა რიგად მიელიან ქეთინოს! ისინი მაინც კარგა გაისაძლისებდნენ, რადგან მაშო შორს არ გასთხოვებიათ, მარიკასგანაც ხშირ-ხშირად მოსდით წერილები. ქეთინომ ჩამოუარა

პეტერბურგში მულს, დაათვალიერა მისი მდგომარეობა... შაქროსა და მარიკას აღარც კი ახსოვთ საქართველოს არსებობა. შაქროს კარგი საქმე უშოვნია, ვექილობს. მშვენივრად, დიდებულადა სცხოვრობს, მარიკაც გარეულა იქაურ დიდკაცებში და სრულიად გამოცვლილა... ყველა ეს კარგად იცის ნატომ და ჯავრიც არ ექმნება, მაგრამ ქეთინოსა და პალიკოს კი ენატრებოდათ სამშობლოში დაბრუნება! ქეთინოს წარმოუდგნენ, განო, როსტომი, ნინო, პატარა შაქრო და დანარჩენნი... მაშო იტყობინებდა, რომ როსტომს გაეყიდნა მთელი თავისი მამული, შეეჭამა ფულები ჩვეულებრივად, დღე-დღეზედ უეჭველია გრიგოლა სახლიდანაც დაითხოვდა, რადგან მას მამულებთან ერთად შენობაც ხელში ჩაეგდო... როსტომს შვილები უსწავლელები დაუდიოდნენ, მაშინ, როდესაც გრიგოლა მეფურად სცხოვრობდა ღ—ში, დღითი-დღე იმორჩილებდა არამც თუ გლეხ-კაცებს, არამედ თვით ახლო-მახლო მცხოვრებ ბრწყინვალე თავადთაც, რომელნიც ჩაებღუჯა ხელშია, რადგან ყველას მოვალე გამხდარიყო. ნინო მოუთმენლად თურმე მიელოდებოდა ქეთინოს, პატარა შაქრო სასწავლებელში ჩაეყვანათ და პირველ შეგირდად მიდიოდა კლასებში. ეს უკანასკნელი ამბავი მეტად ახარებდა ქეთინოს... მაგრამ რა რომ იმისი ფიქრი მაინც როსტომსა და მაკინეზე გადავიდოდა, შეკრთებოდა, რადგან მათ გვერდით ამოუდგებოდათ უეჭველად ოქროც, მისი აღტაცებული გრძნობა, მერე ისევ მალე ჩაქრობა, მოშორება, თავისი სასოწარკვეთილება... ქეთინომ გულზე მიიდო ხელი, მძიმედ ამოისუნთქა. სად არის ოქრო?.. ლიზასაც ხელი ჰკრა, არ შეირთო! თითქო იმისთვის გადარეული იყო? მაგრამ რას ნიშნავს მისთვის სიყვარული, გადარევა?.. მარტო მსწრაფლ წარმავალ გართობასა!.. რას იტყვის ოქრო, როდესაც შეხვდება?.. ეს ხომ აუცილებელია, რომ სადმე შეხვდება უსათუოდა... ქეთინოს გადაწყვეტილი აქვს მას ყურადღება არც კი მიაქციოს. ან არა და მოეპყრობა ისე, ვითომც ამათ შორის ნაცნობობის გარდა არა ყოფილა-რა, ეს უკანასკნელი უფრო სულ გრძელობა იქნება... ოღონდაც... ქეთინო ქმარ-

შვილით კმაყოფილია, აგრეთვე სახელით... რა საქმე აქვს ოქროსთან, პეტრესთან, თუ ივანესთან. ქეთინოსთვის ყველანი ერთნი არიან.

— მართლა?..—გაბრძოლებით შეეკითხა გული ამ დროს გონებასა.—ნუ თუ მაშ მართალია?..—პასუხი არავინ მისცა. ქეთინო გაფითრდა, მიიხედ-მოიხედა, რა დაინახა მოსამსახურეები და დედა-კაცი როგორ ეზიდებოდნენ ოთახში ბარგს, პატარა ოქროც იქვე დაცუცუნებდა. პაწია ქალს იქვე დივანზე მისძინებოდა ანგელოზის სახით, მარტო ხანდისხან დააცმაცუნებდა დედის მინაგვარ ჰიაფერ ტუჩებსა. ქეთინოს მოაგონდა, რომ სულით და გულით, მთელის თავისის არსებით ეკუთვნოდა ამ არსებათა, ეკუთვნოდა თავ-შეწირულ პალიკოს, ხელოვნებას. ღონე-შეძენილმა გონებამ შებღვერით წარმოსთქვა:

— ოღონდაც, რომ მართალია. მართლაც პალიკო ღირსია ქეთინოს ერთგულებისა. რა მოხერხებით და თავ-შეწირულობით იხსნა მან ეს უმეცრება-უზედურებისგან. გამოსტაცა კლანჭებიდან, გაიტაცა იქ, სადაც ნიჭსა და გონებას გზა გაუკვლია. უზომო მადლობასა ჰგრძნობდა გულში ქეთინო, როცა გამოფხიზლდა მშვენიერ უცხო ქვეყანაში. თანდათან დამშვიდდა. გააყრუა გრძნობა, მთელი საკუთარი სურვილი, თუ ფიქრი, ენერგია ზედ შეალია თანად შობილ მეგობარ ნიჭის წვრთნასა, მხატვრობას; ქეთინო და პალიკო სცხოვრობდნენ უფრო მეტს ხანს პარიზში. მოიარეს იტალია, მერე გაემართნენ საფრანგეთში, სადაც დაჰყვეს მთელი ის ხანი, ვიდრე სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. საუკეთესო ადგილებში პალიკომ მიიწვია საუკეთესო მასწავლებელი ქეთინოს ნიჭიერების განსავითარებლად. დაიახლოვეს ორი-სამი ოჯახი და შრომაში ატარებდნენ დღეებსა. ესენი, თუმცა მოშორებოდნენ სამშობლოს, გულით კი მაინც მასთან იყვნენ. იწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს და მახლობლებთან მიწერ-მოწერა გაემართათ, ისე რომ ყოველი წვლილი მოძმე ერის ცხოვრებისა იცოდნენ, თუმცა ქეთინო იშვიათად იგებდა ოქროს ამბავსა. ეს პატივისცემით უყურებდა პალიკოს, რომელიც არ აწუხებდა ექვიანობა-მო-

თხოვნილებით, არამედ ცდილობდა ქეთინო ყოფილიყო მისი არა მარტო ცოლი, არამედ გულ-ახდილი მეგობარი, თავისუფლად შესძლებოდა გაეზიარებინა თავისი გრძნობა, თუნდა ეს უკანასკნელი მისი საწინააღმდეგოც ყოფილიყო. ამ საქციელით პალიკო მეტად განამტკიცებდა ქეთინოში თავისადმი ერთგულობა-სიყვარულს, მაგრამ მაინც არ შეედრებოდა იმ თაყვანება-მისწრაფებასა, როგორიც გამოეცადა ოქროსადმი. ქეთინო ამაოდა ცდილობდა გაექრო ის გრძნობა. ორი წლის შემდეგ ქეთინო შევიდა მხატვრობის უმაღლეს სასწავლებელში. ქეთინოს ნიჭი ავიდა იმ სიმაღლემდე, რომ ამისი ნახატი ჩაერია პარიზის მსოფლიო გამოფენაში, ითვლებოდა წარჩინებულ მხატვრად და ამისით ამაყობდნენ თანამოძმენი. ქეთინოს უხაროდა, რომ შეიძლო მხარში ამოსდგომოდა პალიკოს ხარჯშიაც, რადგან ნახატების წყალობით ხშირად ნივთიერადაც ჯილდოვდებოდა. პალიკომა და ქეთინომ გაუჭირებლად შეიძლეს დაკმაყოფილება თავიანთ გონების მოთხოვნილებათა. პალიკოც გარემოებით სარგებლობდა: სწავლობდა მას, რაც კი შეეხებოდა მრეწველობას, რომ გამოეყენებინა თავის სამშობლოში, თვალ-ყურს ადევნებდა სწავლა-მეცნიერებასაც, რათა განათლებული ჭკვიანი მეუღლე უფრო ღირსეულად ეცნო და დაეფასებინა. აშათ შეეძინათ ქალ-ვაჟი; უფროს უწოდა ქეთინომ ოქრო, პირველი სიყვარულის სახსოვრად, როგორც პალიკოს არწმუნებდა, მაგრამ უკანასკნელს მაინც სჯეროდა, რომ ის სიყვარული იყო, როგორც პირველი, ისე უკანასკნელიც. ქეთინოს სინიდისს დამშვიდებით ეძინა. თუმცა ისეთი ბედნიერი არ იყო, როგორც წარმოიდგინა თავისი თავი ოქროსთან, მაინც კმაყოფილებასა ჰგრძნობდა.

უხაროდა, რომ ხასიათის სიმტკიცემ შეიძლო გამკლავება საშინელ წამებასთან, წმინდა მოვალეობას სამსხვერპლოდ თავი დაუდო. ქეთინო გარეგნობითაც შეიცვალა, მშვენიერს სახეზე გამოეხატა საპატიო ჭეშმარიტი მანდილოსნის მეტყველობა, მნახველს მორჩილება-მოწიწებას აგრძნობინებდა. თუმცა დიდი ხანია უნდოდათ ამათ საქართველოში დაბრუნება, დღემ-

დის ვერ შეიძლეს, რადგან საქმეები ხელს უცარავდნენ. პალიკოს თუმცა გაეგონა ოქროს გაღარიბება და ავადმყოფობაც, ქეთინოს არას უმხელდა, იცოდა რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა მასზედ, რომელიც ქვეყანას ერჩივნა. წამოსვლის დროს კი თანდათან ნელ-ნელა შეაჩვია: ხან ეტყოდა, ოქრომ წააგო შეძლება, რაც კი ჰქონდაო; ხან დაუმატებდა, რომ გაციებულიყო და ცოტათი ავადმყოფობდა; ხან, როდესაც დაატყობდა, თუ მის გულ-ახდილობას გადაეჭარბებინა, მალე შეასწორებდა, რომ ოქრო უკეთ გამხდარიყო, თუმცა ქეთინოს გულში რჩებოდნენ მის ცხოვრების ცოტაოდენი ცნობანი. აგერა ქეთინოს მგზავრობას ბოლო მოეღო, გულს ნაღველი შემოაწვა, სასტუმროში სდგას, ოცნებობს. აზრები ერთი-მეორეს ეტაკებიან, არ აძლევენ მოსვენებასა. ამასობაში განვლო ხანმა. ქეთინო გამოერკვა, როცა მოვიდა პალიკო. ოთახში ატყდა წინანდელი რახარუხი ავეჯის დალაგებისა. ქეთინომ მოიხედა, იმ დროს მუშებს შემოჰქონდათ ჩარჩოებში ჩასმული ნახატები. შემოიტანეს ოქროს დიდი სურათიც. თითქო განგებ წინ დაუდგეს. ქეთინოს გააჟრჟოლა. რა ნაირად მოქმედობდა ამ ჟამად ეს სურათი ქალზე. მშვენიერი ვაჟკაცი ღიმილით გამოჰყურებდა ქეთინოს, ლურჯ თვალებს გულში აწვდენდა. მოეჩვენა, ვითომ თითქო კიდევაც შეინძრა, დასძრა ბაგე, დაიჩურჩულა:

— გამარჯვება, ჩემო საამქვეყნიო დიდებაო?—ამ სურათს ქეთინოზე ამისთანა ძალა არას დროს არა ჰქონია. თვით მაშინაც კი, როდესაც დახატა და წინ დაიყუდა სალოცავადა. რავდენი ხანი გავიდა მას აქედ, ამ სურათს შეეჩვია ქეთინო, თუმცა ჰგრძნობდა, რომ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს, მარტო დღეს ცხადად წარმოუდგა მართლადაც პირველი და უკანასკნელი თაყვანება, რომელიც არ მიიმართებოდა აღარცერთ სიკვდილის შვილისკენ. ქეთინოს რომ მოეშორებინა ეს გაუძლისი ნაღველი, პალიკოს მოუბრუნდა:

— ეგ იქით ოთახში შეატანინე... დანარჩენი ბარგი?

— შენ წარმოიდგინე, იმ კვირის სწორამდის ვერ მივიღებთ.—ქეთინომ მოხვია მკლავები პალიკოს, გულზე მიენდო

და გადმოლვარა ცრემლები. პალიკო შეშინდა. დაუჭირა ორივე ხელით თავი, გადაუკოცნა სახე თან ჩაეკითხა ზრუნვა-შეშფოთებით:

— რა იყო, შენი ჭირიმე? ხომ არა გაიგონე-რა? ან ავად ხომ არა ხარ, ჩემო ანგელოზო?

— არა, დავიღალე... თითქო გულის სისუსტეც მომდის.

— დაისვენე, გენაცვალე. აი დღეს დავლაგდებით სრულებით და მერე აღარა შეგაწუხებს-რა. ქეთინომ კალთაში ჩაისვა ოქრო, დაუწყო მასაც ალერსი, თავის ნახატებსაც დააშტერდა, მაინც ვერ მოიშორა მაცდური სულის ღონება! თავს ძალა დაატანა, მოიკრიბა სიმხნევე, ესეც შეუდგა ოთახების დალაგებასა... გავიდა დღე, მეორეც ზედ მოჰყვა, ქეთინო არა ჩქარობდა არც არავის ნახვას, არც არავის მიღებას, ამას ებრძანებინა მსახურებისათვის, ვინიცობაა მოსულიყო ვინმე, ყველასთვის ეთქვათ, რომ ბატონები შინ არ იყვნენ. ქეთინო ჰგრძნობდა გულის დიდი ხნის დავიწყებულ ტკივილსა, უნდოდა, თავს ძალას ატანდა ქმარშვილში მიელო სალბუნება. ჩაუჯდა ხატვას, ისიც ხელიდან ვარდებოდა. რაკი პალიკო დარწმუნდა, რომ ქეთინო დაღალვის გამო ჰგრძნობდა უგუნებოდ ყოფნას, დამშვიდდა. იწყო ნაცნობებთან სიარული, სახლში კი ჯერჯერობით ვერ მოეწვია, რადგან ეშინოდა ქეთინო მეტად არ დაქანცულიყო. მესამე დღეც გათენდა, ქეთინოს მოუსვენრობა უფრო მწვავდებოდა, ღამე ძილი უკრთებოდა, არა შორდებოდა მშვენიერი ცოცხალი სურათი ოქროსი, საკითხავი, თუ როგორ არის მედიდური მაკინე? ან რას იტყვის, როდესაც ნახავს დიდება სახელ-მოხვეჭილ ქეთინოს! ნუ თუ კიდევ დასცინებს, იუკადრისებს? გუშინ პალიკომა სთქვა: ოქრო სახელმწიფო ბანკში ემსახურება და ეხლა კი უქეიფოდ არისო. მაშ ქეთინო და ოქრო სუნთქავენ ერთსა და იმავე ქალაქის ჰაერით? მერე, რას ამბობს მაკინე? განა არ უწყრება ამ ჰაერს? ნეტაი თუ გაგებული აქვს ოქროს ქეთინოს მოსვლა? უეჭველია... აკი გაზეთშია მოხსენებული! სადა სდგას? რომელს სახლში? შორს არის აქედან? რა სისულელეა? რაში ეკითხე-

ბა?! არა, მაინც საყურადღებოა ქეთინოსთვის...—ქალი დასუსტდა ამდენი ფიქრებით. ბავშვებს ეძინათ. პალიკო შინ არ იყო და ქეთინოს მარტოობა უფრო უცხოველებდა ამ აზრებს. ამასობაში კიდევაც დაღამდა, მსახურმა აანთო ლამპარი. საათმა რვაჯერ დაჰკრა.

— სად არის პალიკო?—გაიფიქრა ქეთინომ, აიღო წიგნი და ჩამოჯდა დივანზე, მაგრამ წიგნისა არა ეყურებოდა-რა. ლოდინს ბოლო მოეღო, რადგან პალიკო მოვიდა. ქეთინომ შეამჩნია ფარული მოწყენილობა. ის აჩქარებული ნაბიჯით მოჰყვა ოთახში სიარულსა, ებრძოდა უჩვეულო აზრებსა, სურვილსა. ქეთინო არ ჩააცივდებოდა ხოლმე პალიკოს, მეტადრე მაშინ, როცა შეატყობდა, რომ ეძნელებოდა მას თქმა.

— რა ნება მაქვს ვათქმევინო ის, რის თქმაც არა სურს? ეს მეტის-მეტი თავმოყვარეობაა!—იტყოდა ქეთინო და ჩაჩუმდებოდა, ან ვითომც არ შეამჩნევდა, თუ მიხვედრილი იყო რამეს, ცნობის-მოყვარეობა კი მასვე ნებას არ აძლევდა.

ქეთინო არა სცდებოდა, პალიკოს შეეტყო გიორგი შრომაშვილისაგან ოქროს უკანასკნელს დღეში ყოფნა. გიორგის ეამბნა დაწვრილებით, თუ რანაირად იტანჯებოდა ოქრო ქეთინოს სიყვარულით და, უეჭველია, უკანასკნელ წუთებში ქეთინოს ნახვა გატანჯულ წუთისოფელს სამოთხედ დაუმთავრებდა. გაოცებულ პალიკოს ვერ მოეაზრა, თუ რას ნიშნავდა მისი საქციელი ქეთინოსთან? გიორგისაც ჯეროვანად ვერ დაეკმაყოფილებინა ეს საკითხი, რადგანაც არ იცოდა, ოქროს მასთან ამ საგანზე არა ეთქვა-რა. პალიკო, როგორც თავ-შეწირული პატიოსანი არსება, თავს მოვალედ რაცხდა ეჩვენებინა მომაკვდავისათვის ქეთინო და თვითონაც ენახა, მაგრამ რაგვარად მოეხერხებინა? აი რაზე შეფიქრიანებულიყო და სწუხდა პალიკო. ეს ჩქარა წამოვიდა ქეთინოსკენ, რადგან დრო საშური იყო, ექიმისა და მნახველების აზრით ოქროს სიცოცხლის საათები უკვე დასთვლოდა. მაგრამ როგორ გაემხილა ქეთინოსთვის? დაემალა, თავი მიენებებინა? მერე ქეთინო ხომ მაინც გაიგებდა და მაშინ პალიკოს ეჭვიან თავმოყვარედ ჩასთვლი-

და? არა, ვერც აიტანდა ქეთინო ოქროს სიკვდილის უეცრად გაგონებასა და მის უნახაობას.

— სად იყავი, პალიკო?—ჰკითხა ამ დროს ქეთინომ და წიგნი გვერდზე გადააგდო.

— გიორგი შრომაშვილთან.

— როგორ არიან?

— ძალიან კარგადა... ჩინებული ცოლი შეხვედრია და ბედნიერად სცხოვრობენ... გიორგი გულმოდგინებით ჩასჯდომია თავის საქმეებს და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას... შენა, გენაცვალე, ხომ დაისვენე?

— მე?.. დავისვენე, მაგრამ მაინც ვერა ვარ კარგად, გული რაღაცნაირად შემომკვნესის.—უპასუხა ქალმა და შეხედა პალიკოს რომელსაც სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.

— ხანდახან მოხდება ხოლმე აგრე, როცა, ვთქვათ, კარგი ნაცნობის ავადმყოფობა, ან ზარალი მოგელის...—ძლივს დაათავა ყმაწვილმა კაცმა, იგრძნო კია, რომ კარგად ვერ მოუვიდა, მაგრამ რაღას იზამდა, წარმოთქმულს უკან ველარ დაიბრუნებდა.

ქეთინოს შიში დაეტყო, ხელი გამოართვა ქმარს და დაკვირვებით მიაჩერდა. იმანაც უკან აღარ დაიწია.

— პალიკო, აგრე გადაკვრით ნუ მელაპარაკები! უსათუოდ ცუდი რამ გაგიგია დედა-ჩემზე, დებზე... ან... ან მახლობელ ვისზედმე, არა?

— ჩვენი მშობლები ამ დღეებში აქ ჩამოვლენ... როსტომი ვნახე, აპირობდა სოფელში წასვლას, მაგრამ დარჩა... იმისი წასვლა ეხლა აღარ შეიძლება... წერილი ფოშტით გავგზავნე...

— რად დარჩა როსტომი? უსათუოდ მამულების შესახებ, არა?..

— არა, როსტომს მამულები დიდი ხანია მოუნელებია, ფულიც მთლად შეუჭამია... არა, ჩემო მეგობარო... ის დარჩა... ოქროს ავადმყოფობის გულისთვის...

— განა ის კიდევ ავად არის?—იკითხა ნელი ხმით ქალმა, გულმა საგრძნობლად გაიბრძოლა, თვალები ძირს დახარა,

პალიკოს ხელში მყოფი ამისი ხელი ათრთოლდა და მოშორდა მოალერსეს. სახე გაუყვითლდა.

— ავად არის...—მიუგო ნაღვლიანად პალიკომ.

— მერე?—ოდნავის ჩურჩულით დაუმატა ქეთინომ.

— მერე... მოვედი, რომ წაგიყვანო იმასთან, განახვო...

— პალიკო!—შეჰკივლა შეშინებულმა ქეთინომ და დაიწყო ცახცახი, თანაც ვედრებით მიაშტერდა ქმარს, რომელიც ამაზე ნაკლებ არ აღელვებულიყო.

— ჩემო მეგობარო, შენ უნდა ნახო ის... მოვალეცა ხარ...

— განა მოვალეც?.. პალიკო, შემიბრალე!..—დიდი ხნის შეგუბებული ვარამი ველარ მოთავსდა საწყალში, იქცა ცრემლის ნაკადულად და გადმოსკდა თვალებიდანა. ქეთინო ქვითინებდა და პალიკო კი უძრავად იდგა ერთ ადგილას მილურსმულსავით და ანგარიშ-მიუცემლად განაგრძობდა:

— დამშვიდდი, ქალო, ნუ გავიწყდება, რომ კაცი სატანჯველად არის გაჩენილი?

— ნუ თუ შენ მავალებ ოქროს ნახვასა, პალიკო?—წარმოსთქვა ქალმა, როდესაც შეიძლო დალაპარაკება. ეს მზად იყო აღარ დაეცადნა ქმრის პასუხისთვის, გაქცეულიყო ოქროსკენ, გულში ჩაჰკროდა და მასთან ერთად მიჰგებებოდა სიკვდილს. მაგრამ, როდესაც წარმოუდგებოდა მისგან თავ-დანებება, სიყვარულზე უარის-ყოფა, შემდეგ პალიკოს ასეთი ჩვეულებრივი თავ-შეწირული დავალება, რომ უსათუოდ ენახა ოქრო, თითქო ფრთებს აკვეცდნენ ამ სურვილს, სინიდისი გაღვიძებულიყო და ჩასძახოდა: რა ნება გაქვს ან უფლება ნახო ის?.. რა პასუხს მისცემ ქმარ-შვილსა?.. არა, ქეთინო, არა, შენი გადაწყვეტილება ასეთი იყო, რომ თავშეწირული მეუღლე და დედა უნდა ყოფილიყავი... შენ კი გინდა იქ წასვლა?.. გული კი ამავე დროსვე მოსთქვამდა:

— ოქრო ავად არის?.. ოქროს დავშორებივარ!.. მწყურიან იმისი ნახვა... რა ვუყოთ, რომ აღარ ვუყვარვარ, აღარ ვუნდივარ... მე კი ის მიყვარს, მეკი მას ვლოცულობ?.. მეყო ამდენ ხანს სულ-შეხუთვით ყოფნა, მეყოფა ის მარწუხები, რომ-

ლებიც მომაჭირე და გამაყრუე... გაყრუება და გაქრობა ერთი არ არის... თუ გეგონა ხმას აღარ გავიღებდი?.. ტყუილად... უცხო მხარიდან ვილტვოდი ჩემს სამშობლოში, სადაც ვიგულებდი მაცოცხლებელ იმედსა და ის ავად არის?.. მაშ მეც იმასთან მინდა სიკვდილი, იმასთან გაქრობა...

— თავი ანებე სისუსტეს, გული გაიამგრე, გონებას დანებდი, ყური უგდე,—განაგრძობდა პალიკოც.

— გონებას დავნებდე და იქ წავიდე?.. ოხ, არ შემიძლიან!—ქვითინებდა კვალად ქეთინო.

— მაშ აღარ გიყვარს?..—ქალს გააკანკალა ამ საკითხავზე.

— ხომ ვიცი, რომ გიყვარს, დარწმუნებული ვარ... მაშ თავს რაღად იტანჯავ?.. მასაც იამება... ქალი უფრო ეწვალებოდა, რადგან ხედავდა, რომ პალიკოს თვალები ჩასწვდენოდნენ ამის გულის სიღრმეში და ყოველივეს ხედვიდნენ...

— შენ ანგრე გგონია!.. არა პალიკო, მე მას ვეჯავრები. იქნება კიდევაც ეწყინოს... შენ კი ჩამციებიხარ, ნახეო.—ქალი ვედრებით უყურებდა და უსიტყვოდ შესთხოვდა:—ღვთის გულისთვის, მაღირსე მისი ნახვაო... პალიკო მიხვედრილიყო ამ სურვილს და დაჟინებითაც ჩასციებოდა... ქეთინო უფრო ადვილად გადასწყვეტდა, თუ რომ პალიკო სასტიკად გაწინააღმდეგდებოდა, მაგრამ დრომ უფრო ღონე და ხერხი გამოიჩინა. კარგა ბრძოლის შემდეგ ქეთინო დათანხმდა... ეს რავდენისამე წამის განმავლობაში გახდა, გაფითრდა, პალიკო ნაღვლიანად თვალს ადევნებდა ქეთინოს აჩქარებულ ანგარიშ მიუცემელად მოძრაობას, ის იცვამდა ცისფერ კაბას, რომელიაც არა ერთხელ ენახა ოქროს... პალიკოს გული სიშურისა და ეჭვებისაგან ნაჭერ-ნაჭრად იკემსებოდა... იტანჯებოდა... ეს მაინც იდგა თავის გადაწყვეტილებაზე, განეზრახა ცოლი მიეცილებინა სახლის კარებამდის, თვითონ წასულიყო გიორგისთან და იქიდან გამოვლაზედ წაეყვანა შინ ქეთინო, რადგან თვითონ იმ დროს მეტი იქნებოდა. თუ კიდევ დრო დარჩებოდა, შეიძლებოდა ცალკე ენახა... რავდენისამე ხნის შემდეგ ქეთინო და პალიკო ეტლში ჩასხდნენ. ქეთინო გაშტერებით იყურებოდა,

ხელცახოცით მალ-მალ იწმენდავდა თვალეში მორეულ ცრემლებსა.

## XLIV

ექიმისგან მიცემულმა წამალმა დაამშვიდა ოქრო, ჩაეძინა. მაკინემ ისარგებლა ამ შემთხვევით, მოაყვანინა ეტლი, უბრძანა მსახურს, რომ მალე დაბრუნდებოდა და თუ ბატონი იკითხავდა, შეეტყობინებინა თუ ეს წასულიყო გაიანესთან და გასწია თავის განზრახვის ასასრულებლად. ოქროს ეძინა, როდესაც მაკინე გავიდა, მაგრამ რამდენისამე წამის შემდეგ ისევ გამოიღვიძა. საშინელმა მწვავმა სიცხემ ნება აღარ მისცა მოესვენა. ამან ოთახს მიავლ-მოავლო თვალი, ეძებდა მაკინეს, რომელიც არა სჩანდა. შირმის იქით ცეცხლაპირას ისხდნენ ბესო და დედაკაცი. ხმა-დაბლა რაღაზედაც ჩურჩულებდნენ.

— ბესო,—სუსტად წამოიძახა ოქრომ. ბესო მსწრაფლ გაჩნდა მის წინ.—მაკინე სად არის?

— კნეინა, ბატონო, გაიანესთან წაბრძანდა, დამიბარა, ეხლავე დავბრუნდებით ერთადაო. თუ გნებავთ რამე, ჩვენ გვიბრძანეთ.—მორჩილებით დაუმატა ბესომ.

— შენ არ შეგიძლიან ასრულება... ძალიან ავადა ვარ! გაიანესთან რისთვის წავიდოდა, ხომ არ დაუბარებია იმას?

— არა, ბატონო... რა მოგახსენოთ, ასრე კი მოგახსენათ-და.

— განა ამ დროს მაკო უბრალოდ თავს დაანებებდა ოქროს! ავად ხომ არ გამხდარა განო! მაგრამ ორი საათი არ არის მას აქედ, რაც ორივ ცოლ-ქმარნი აქ ისხდნენ... ასე ერთს წამს რა დაემართებოდა?! ოქროს მოაგონდა გაყვითლებული ტანჯული სახე, გადაწყვეტილი პასუხი: ოქრო, გარწმუნებ, რომ შენ იმას ნახავო. იქნება იმასთანაც წავიდა! არა, ქეთინოსთვის ოქრო მეტია, ულირსია, ის ბედნიერია ქმარ-შვილით, რად უნდა განგებისგან მოტყუებული მომაკვდავი! ოქრო მეტად აღელდა, ამისთვის ყველა დაიკარგა, მარტო გიორგი და

ისიკო თავს არ ანებებენ, ხშირ-ხშირად დადიან, ხან წიგნებს უკითხავენ, ხან ებაასებიან... სულ ერთსა და იმავე საგანზე... თავიანთ სურვილთა და მოქმედებას წინ უშლიან... რა შეღავათია ოქროსთვის, რომ ისიკო მასწავლებელია და მისი შრომა ჩინებულ ნაყოფს იღებს! მაგრამ რატომ? ცოტათი მაინც... როგორც ქვეყნის მოყვარულ პირისთვის, მაგრამ ოქრო ეხლა ის აღარ არის, რაც იყო წინადა. არა, ყველა მობეზრებია. ტიტიკოს წერილი მოუვიდა, ის აპირობს ჩამოსვლას დღე-დღეზე. როგორ შეხვდებიან მაკინე და ის ერთმანეთსა.

მაკინე აღარას ამბობს, თითქო კიდევაც უნდა მისი მოსვლა! მასაც მოსწყინდა უსიამოვნობა, არჩია აპატიოს ჩემსავით ყველას დანაშაული! დიაღ, სვიმონი და დარისპანი ქუჩაში შეხვედრის დროს გზას უქცევდნენ, თითქო პირ-იქით ეს ყოფილიყვეს მათთან დამნაშავე.

„გიყვარდეს, შვილო, ყველა ისე, როგორც შენი თავი, გაუფრთხილდი ყველას, როგორც შენ გიფრთხილდებიანო“,—ერთ დროს ჩასძახოდა დიდედა მაგდანი... მერე ვინ უფრთხილდება ოქროს მაკინეს გარდა, წინად კი ვანოც მფარველობდა. ტიტიკო? ქეთინო? ამხანაგები? საზოგადოება? რა არის სისიცოცხლე და ცხოვრება? ვინ დღესასწაულობს დღევანდელი დღით? შორს ამგვარო ფუფუნებავ! დიე, ოქრო მოკვდეს, ამსრულებელი ძვირფასი დიდედის მოძღვრებისა. ამას უყვარდა ყველა, ყველას უფრთხილდებოდა და ამ ყველამ კი არ იცნო ესა. ოქროს სპეტაკი სული მიეგებება მაგდანს სასუფეველში, შესჩივლებს სოფლის უმადურებაზედ. საწყალი მაკო! რა უბედური დედა-კაცია! რა იყო მისი წარსული და როგორია აწმყო? მაკო უფრო შესაბრალისია, რადგან დაჰკარგავს თავის ერთად-ერთ ნუგეშსაც. როგორ გასძლებს? მაგრამ ტიტიკო რომ მოვა, ის სთხოვს ძმასა, რომ მან იკისროს მაკინე და ოქროს მაგივრად უპატრონოს. ოქრომ კვლავ თვალი მოავლო ოთახსა. დედა-კაცი და ბესო იქ აღარ იყვნენ. ის ოთახი, სადაც იწვა, კარგა ფართო სჩანდა, სარკმლები უყურებდნენ ქუჩას, საიდანაც შემოისმოდა ეტლების გრიალი და ხალხის ყრია-

მული.. კუთხეში პატარა მაგიდაზე იდგა ლამპარი ცისფერ აბაჟურ-ჩამოფარებული, ისე რომ მთელს ოთახს ეფინებოდა მკრთალი შუქი. ამას უერთდებოდნენ სარკმლიდან შემომყურე მთვარის სხივები. ოქროს ეჯავრებოდა ღამე სარკმლის კარების დახურვა. შეჰყურებდა ვარსკვლავებით შეჭედილ ცას, რომელზედაც აქა-იქ მისცურავდნენ თეთრი მსუბუქი ღრუბლები. მათ მიაშტერდებონენ ოქროს აღგზნებული თვალები, ვიდრე დაიღლებოდნენ, შემდეგ გადავიდოდა სხვა საგანზე. ოქროს თავი სადღაც უცნობ ქვეყანაში ეგონა. ყურში ურეკდნენ. აგერა ავადმყოფს გაოცება დაეტყო. იცოდა ოთახში იყო, მაგრამ თვალს სხვა სანახავი ეჩვენებოდა, ყურშიაც სხვა შეესმოდა. კედლის საათს ჩაკაჩუკი გაჰქონდა. ოქროს ეს ხმიანობა სამოთხიდან მოტანილ საკრავის ჰანგებად შეესმოდა. შუა ოთახში ჩამოკიდებულ ჭაღის ჯაჭვებზე დაინახა ორი თეთრი მოძრავი რაღაც, ეს რაღაცეები გაიზარდნენ, მიიღეს ფრინველთა სახე, ესენი ღუღუნებდნენ, ეალერსებოდნენ ერთი-მეორეს. ჭაღის ბროლი სინსილები ბრწყინავდნენ ათასფერად, თითქო ვერცხლის მსგავსს მდინარის სახეს იღებდნენ და ედემის ფრთოსანნი შიგა ჰყუმპალობ-ბანაობდნენ. ოთახი განათებული იყო მოწითანო შუქით. ოქროს შეუმჩნევლად შემოპარულიყვნენ სარკმლიდან მოჩინარი ღრუბლები, ყოველს საგანს გარს ეხვეოდნენ, სცურავდნენ. ავადმყოფი დასტკბა ამ სურათით, მოიხიბლა, მოიღალა, მისუსტდა და ჩათვლემას ჰლამოდა. ღრუბლები თანდათან გახშირდნენ, შეიკრიბნენ, შეიკუმშნენ; მერე იწყეს კვალად ნელნელა სვლა. რამდენიმე წამი კიდევა და ოქრომ დაინახა ახალგაზდა ქალი ცისფერ ტანისამოსში, ბეჭებზედ დაშვებული ნაწნავით. ის უღიმოდა, ხელს უშვერდა, თავისკენ იწვევდა. ავადმყოფი მიაშტერდა, იცნო მშვენება, ციური ანგელოზი ქეთინო. ქალი ხელით უგზავნიდა კოცნას, მაგრამ ეს კოცნა აქამდის აღარ მოდიოდა, არამედ მათ შუა ჩამდგარიყო ბურუსი, რომელიც ხარბად ისუტავდა. მასზე ცოტა მოშორებით აღმოჩნდნენ მაგდანი, ვანო.ოხ, რა კარგი იყო იმათთან! ოქრო თავს მხიარულადა ჰგრძნობდა. მოჩვენებათა იწყეს ნძრევა, უკან

დაიწიეს; ღრუბლები ისევ შეიკუმშნენ, მათში ამოიმართა ახ-ლა მაკინე თავისის სიმშვენიერით. ეს უთითებდა საითკენ-ღაც, ოქროც იმის ზე-გაელენის ქვეშ იხედებოდა. სანახავი მსწრაფლ შეცვლილიყო. ქეთინოს გვერდით ამოსდგომოდნენ ტიტიკო, თადეოზ, ესტატე, სვიმონ და მრავალი მისი ჯურის ხალხი... საშინელი შესაზარის სახეების მქონენი... უმანკო ქეთინოს ხა-ტება გადაქცეულიყო რქებიან ქაჯად...

— შორს მოჩვენებავ!.. შორს ტარტაროზებო!..—ამოიკვ-ნესა ავადმყოფმა, თვალებზე ხელი მიიფარა, მართლაც წუთს ყველა განქრა, ნაცვლად წინ წამოდგა სინამდვილე, ხველამ მოუარა, იძულებული გახდა თავი წამოეწია, რომ ნახველი ამოეღო.

— დაიცა, ოქრო, მე მოგაწოდებ...— შეესმა ამ დროს ხმა. თავ-დაღუნულმა ავადმყოფმა მთრთოლვარე ხელი წაავლო მკლავში მოლაპარაკეს... ამას ისევ თვალ წინ ელანდებოდნენ მოჩვენებანი, მთელის სხეულით ცახცახებდა...

— მაკო, ხომ მარტო ხარ? ღვთის გულისთვის თავი დაა-ნებე!..—შესძახა სუსტის ხმით ოქრომ.

— ოქრო, აბა მაღლა აიღე თავი, შემომხედე ვინა ვარ... —უთხრა აღელვებულმა ახლად მოსულმა. ოქრომ თვალები მიაპყრო, დაინახა ტიტიკო, რომელიც გაფითრებული წინ უდ-გა, ხელში ტასტი ეჭირა.

— ტიტიკო, შენა?... როდის მოხვედი მერე?...

— ეს არი ეხლა, ჩემო ძკირფასო, როგორ აგრე მარტოდ დარჩენილხარ?

— განა ღირსი არა ვარ სრულებით თავ-დანებებისაც კი?.. შენა?.. განა მაპატიე ჩემი შეცოდება?.. აკი ტიტიკო მე შენი ძმა აღარა ვარ, აღარც მეზობელი... ოქროს სამაგიეროდ ვი-ღაც უცხოელი დაგისახლე... და შეიძლება ჩემ გვარ ხალხის წყალობით გაგიმრავლდნენ იმისთანა მეზობლები, და თქვენ კი ფეხის მოსაკიდებელი ნიადაგიც აღარ დაგრჩეთ!.. და ამისთანა შემცოდესთან, თვით იუდასთან როგორ-ღა მოხვედი?..—ტი-ტიკო გაშტერებული უყურებდა, სიტყვის თქმას ველარ ახერ-

ხებდა. ერთი წელიწადი იყო, რაც ამას ძმა აღარ ენახა, რადგან დამდურებოდა, შემოსწყრომოდა, რომ წინდაუხედავობით იმოდენა მამული ხელიდან გამოეცალა და თვითონაც ღონე არა ჰქონდა როგორმე დაებრუნებინა. თუმცა ყველა ამას მაკინეს ასაბაბებდა, მაინც ოქროზედაც ბრაზდებოდა.

— სწორედ დაწყევლილია ჩვენი ოჯახი. არ ვიცი რა ვქნა, რა გზით ვუშველო. იქ კიდევ გაიანე და როსტომი კვალ წმინდად დაიღუპნენ, დღეს თუ ხვალ პარკ აკიდებულები კარებზე მოგვადგებიან... რაც უნდა იყვეს ჩვენია... მაგრამ მეც სადა მაქვს იმდენი ღონე, რომ ცოლ-შვილს ცალკე გავუძლვე და იმათაც ცალკე—ძლივს თავი ვალებიდან ამოვიშვი, ოჯახი არსებაში მოვიყვანე. ანომაც თავისუფლად ამოისუნთქა... თითქმის ბედნიერია... ახლა ხელ-მეორედ ავაშფოთო, ვაწვალო!.. აქაობა მივფუშ-მოვფუშო, რას ემგვანება?—იტყოდა ეს ნაღვლიანად, როდესაც ეყურებოდა ოქროს ავადმყოფობა, და თავს მოუსვენრადა ჰგრძნობდა.—იმათ ჩემი ოჯახი კი არა, ათი ამდენიც ვერ გააძლობსთ, მეც დავიღუპები.—დაუმატებდა, თან, კმაყოფილი, თვალებს მოავლებდა თავის განკარგებულ, შემუშავებულ, ამაგდებულ მიდამოს, გამშვენიერებულ, განახლებულ სახლებს, თხუთმეტის დღის ზვარს, სადაც საამოდ მობიბინებდა ნორჩი, სალი და სარგებლიანი იზაბელა... სხვა-და-სხვა გვარი სამუშაო იარაღები გაფერილნი შრომისგან მზის თვალზე ელვარებდნენ აქვე საჩეხ ქვეშა და აგონებდნენ ტიტიკოს იმ დროს, როდესაც წმინდა მრავალ აზრებისგან აღფრთოვანებული ოქრო იქადოდა მთელი ქვეყნის შრომის მოყვარე მუშაკად ქცევასა... ოქროს ეთქვა, ტიტიკოს განეხორციელებინა მისი სიტყვა. ტიტიკოს გული იტანჯებოდა ძმის ასეთს გაუბედურებაზე, აქამდის ცხრაჯერაც ჩავიდოდა ოქროსთან, რომელიც არ უჯერებდა და არ მოსდევდა აქა, მაგრამ არ უნდოდა, რომ მაკინეს შეხვედროდა... ანო უკმაყოფილებას არ აცხადებდა ქმრის სურვილზე, მის შესახებ, თუ როგორ ეშველა თავისქბისთვის, რადგან ესეც თანაუგრძნობდა აზრებშია.

— მე უნდა ვუპატრონო მათ, მე, ტიტიკომ, რომელსაც ტუჩი ამიბზუეს, თავის თანასწორად აღარ ჩამთვალეს, რადგან გული, გონება არ გავაყრუე და მათ დუდუკზე არ ვიხტუნე?... არა, ჩემი მშველელი, ჩემი მასულდგმულებელი ტკბილი დუდუკი იყვნენ ანოს შრომის მოყვარული ხელები, რომლებმაც მასწავლეს, ამომირჩიეს გზა ცხოვრებისა, იმისმა გონიერებამ და გულმა მიმიყრდნეს და ჩამომაშორეს მავნეთ... თორემ... მეც... მეც კი ცოტა დამიკლდა... დიაღ, ანო ჩემი მხსნელია, ჩემი მესიაა და თავს შემოვევლები მას, რადგან თავისებურად მეც შრომის შვილი გამხადა... მაგრამ არა, მოვალე ვარ რომ წავიდე და ვნახო ჩემი საწყალი ძმა, კიდევ შევეხვეწო, იქმნება ეხლა მაინც გაბედოს და მოვიდეს ჩემთანა... ოღონდ შეასრულოს ეს ჩემი სურვილი და თვით მაკინესაც შევურიგდები და ყოველივე წარსული ჩაილურის წყალმა დანთქას. მაკინეც მოტყდებოდა, არავითარი ვნება აღარ შეეძლება. ეს სახლი ჩემმა ანომ აავსო საკმაო დოვლათითა და სიყვარულით. — დაუმატა ტიტიკომ, როდესაც როსტომისგან მეორე წერილი მოუვიდა, ატყობინებდა ოქრო უარესად და უარესად ხდებაო. ამან წერილი მისწერა ოქროს, თვითონაც მოემზადა, რადგან ხელცარიელი არ აპირობდა ჩასვლასა. აიღო რამდენიმე ასი მანეთი შემოსავლიდან და სოფლურად დაბარგულმა გამოსწია. თუმცა მაკინეს შეხვედრა უძნელდებოდა, მაგრამ მაინც მტკიცედ ადგა თავის გადაწყვეტილებასა. აგერა მოვიდა სახლთანა, ბესომ კარი გაუღო, შეატყობინა რომ ამ ჟამად შინ არავინ იყო, გარდა ავადმყოფისა, რადგანაც მაკინე წასულიყო დასთანა. ტიტიკოს იამა, რადგან ძმის პირველ ნახვაზე არავინ დაესწრობოდა. მაგრამ რა დაინახა სიკვდილის პირ მიხწეული ოქრო, წუთს გაუქრა გულში ნადები მისდამი მდურვა, სიყვარულმა და სიბრალულმა გამსჭვალა, დაიმონა, ცრემლები გადმოაღვრევინა თვალებიდანა. ეს ხედავდა არა ოქროს, არამედ მარტო მის ლანდსა, აჩრდილსა.

— რა დროს მოტყუებაზე ლაპარაკია? — შესძახა ამან გულ აჩუყებულმა — კარგა იყავი, იცოცხლე და ყველაფერი შენ გე-

ნაცვალოს, რაც იყო იყო, წავიდა, ჩემო ძმაო,—დაუმატა ტიტიკომ და მოეხვია ოქროს, გადაჰკოცნა.

— მაშ ჩემ შეცოდებას მაპატიებ?—მაინც დაჟინებით ეკითხებოდა ოქრო.

— გაპატიებ... ოღონდაც... დამშვიდდი...—ტიტიკო ბავშვსავით გულამომჯდარი სტიროდა.—კარგა გახდი, ჩემთან წამოდი... ანომ დამაბარა, ამ ორ დღეში უსათუოდ უნდა ამოიყვანოვო... თუმცა შენი მამული გაიყიდა, მაგრამ სამაგიეროდ ჩემი იქ დაგხვდება, შეიმუშავე, როგორც გინდოდეს, რაც აზრში მოგივიდეს, შეასრულე, ჩემო ძვირფასო!—ეუბნებოდა ტიტიკო. ოქრო იღიმებოდა კმაყოფილებით.

— გმადლობ, ძმაო, მაგ თანაგრძნობისათვის... მაკინეს თავს ვერ დავანებებ... ცოდვაა, ნახე რარიგად იტანჯება და წვალობს? ეხლა მაინც შერიგდით, ჯავრად ნუ ჩამაყოლებთ საფლავშია...

— ოქრო, პატიოსნებას გეფიცები, რომ მე მას შევურიგდები, ოღონდ შენ კარგად იყავი, კმაყოფილი და იცოცხლე!

ოქროს გამოუთქმელი სიხარული გამოუკრთა თვალებში და მადლობის ნიშნად ხელი გაუწოდა. ექიმიც შემოვიდა. სწორედ ამავე დროს მოსულიყო ქეთინო და სასტუმრო ოთახში ელოდებოდა ექიმის გასვლას. ამან ყურადღება არ მიაქცია, როდესაც კარი შემოაღეს, განომ, როსტომმა და გიორგი შრომაშვილმა; ყველას ნაღველი გადაჰფენოდა სახეზე. როსტომმა და გაიანემ დაინახეს ქეთინო თუ არა, ღიმილით წამოვიდნენ ამისაკენ. მაგრამ ქეთინომ ცივად მიიღო, ორიოდე პასუხებით თავიდან მოიშორა და ისევ ჩაუფიქრდა თავის მწვალებელ გულის-თქმასა. მარტო ათასში ერთხელ თუ გამოეკითხებოდა გიორგის, რომელიც თანაგრძნობით უყურებდა ქეთინოს და მიხვედრილი იყო მის ფარულ წამებას. გიორგის უკვირდა, უოცდებოდა, რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ ქეთინოს უარი ეყო, ხელი ეკრა ოქროსთვის და დღეს კი საშინელი განწირულება ეხატებოდა. ყველა აქ მყოფნი ამ ჟამად მარტო ძლიერად ჰგრძნობდნენ, პირში კი სიტყვა გასწყვეტოდათ, მარტო მოუ-

სვენრად იყურებოდნენ ავადმყოფის ოთახისაკენ, საიდანაც უნდა გამოსულიყო ექიმი. ამანაც არ დაიგვიანა. გამოვიდა თუ არა, შუბლ-შეკრული დაეშვა სავარძელში ქეთინოს ახლო და პაპიროზს მოუკიდა. ვერავინ გაბედა დაკითხება და სმენად გადაქცეულიყვნენ.

— საშიში ხომ არა არის-რა, ექიმო!—მოკრთალებით მიმართა ამ დროს ქეთინომ. მკურნალმა შემობღვირა ქალსა, მაგრამ რა დაინახა ვედრებით შემყურე თვალები, წუთს მეტყველობა შეეცვალა, მორჩილი სახე მიიღო.

— საშიში?.. არა... ჰმ...—დაიწყო მან, მაგრამ ენა დაება, სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება ველარ მოახერხა, ჩაჩუმდა, თავზედ ხელი გადაისვა და კვალად შუბლ-ქვეშ გამოხედა ქალსა.

— სთქვით, ნუ მარიდებთ... სჯობიან წინდაწინვე ვიცოდეთ.—განაგრძო ქეთინომ. თუმცა ცდილობდა თავი შეემაგრებინა, მშვიდად ყოფილიყო, მაგრამ გაცრეცილი ტუჩები და მოელვარე თვალები აჩვენებდნენ, თუ ამ საკითხის პასუხი რა ძნელი გასაგონი იყო მისთვის.

— დამალვა შეუძლებელია, ქალბატონო, უარესისთვის მოემზადენით... ამ ორ სამ დღეზე ყველაფერი გათავდება...—დააბოლოვა ექიმმა, გამოუშვა პირიდან კვამლი, რომელიც გორგალსავით დაიხვია, შემდეგ გაიშალა სივრცეშია. ქეთინომ მიიფარა სახეზე ხელები და უძრავად დარჩა. გაიანემაც ქვითინი ამოუშვა. ექიმი კი საჩქაროდ შეუდგა რეცეპტის წერას.

— საათ ნახევრის შემდეგ მიეცით ხოლმე...—წარმოსთქვა მან, აიღო საჩქაროდ ხელში ქუდი, თავი დაუკრა ყველას და გავიდა. ქეთინოს ყურადღება აღარ მიუქცევია მკურნალისთვის. ეს გულში სტიროდი თავის დაკარგულ ოქროსა. მეორე კუთხეში გიორგი და ისიკო არწმუნებდნენ როსტომს, რომ კარგი იქმნებოდა თუ ოქრო წმინდა საიდუმლოს მიიღებდა!.. მაგრამ როსტომი და განო უარზე დადგნენ:

— რას ამბობთ, ყმაწვილო, ჯერ სამი დღეა მანამა... იქნება სრულიად მორჩეს... ექიმების სიტყვები ხანდისხან მტყუნ-

დებიან ხოლმე.—უპასუხა როსტომმა და გადადგა ნაბიჯი ოქროსთან შესასვლელად, სხვებმაც მას მიჰბაძეს...

— წამობრძანდით, კნეინა!...—წასჩურჩულა გიორგიმ ქეთინოს, რომელმაც მსწრაფლ ჩამოშალა ძირს ხელები.

— ღვთის გულისთვის... ეხლა არა... მე მინდა ოქროს ნახვა მაშინ, როდესაც სხვები იქ არ იქნებიან... ამათთან კი არ შემიძლიან...—მიუგებდა ჩქარ-ჩქარა ქეთინო.—ჯერ ნურას ეტყვით ჩემს აქ ყოფნაზე... თუ შეიძლება, მოახერხეთ ა',ე... დამავალეთ...—დაურთო ამან.

— ბატონი ბრძანდებით!—გიორგიც შევიდა ოთახში. დარჩა მარტოდ ქეთინო და ეხლა კი თავისუფლად მიეცა მწუხარებასა, თუმცა ცრემლი აღარა ჰქონდა... ქალმა გაიგონა კაბის შრიალი. უეცრად გაიღო დერეფანიდან შემოსასვლელი კარები, შემოვიდა შავებში მოსილი გაყვითლებული, თვალებ, გაგანიერებული, ჩამომხმარი მაღალის ტანის ხანში შესული ქალი, ეს პირდაპირ მიისწრაფებოდა აგრეთვე ოთახისკენა. ქეთინო შეკრთა მის დანახვაზე. უცნაურ ქალს არც კი შეუმჩნევია ესა... რავდენიმე წუთი და გაისმა კივილიც...

— ნუ თუ ყოველივე გათავდა?.. აკი მკურნალმა სთქვა, სამ დღეზედაო!—იმეორებდა ქეთინოს გარინდებული გული. შევიდა თუ არა მაკინე ავადმყოფთან, დაეცა მის წინ კვნესით და თავი დასდო საბანზე... თვალები მოხუჭა, სული განაბა... ტიტიკოს და ვაიანეს შეხვედრას გამოეწვია ცრემლები. განო იჯდა კუთხეში და სტიროდა. ტიტიკო კი უფრო მეტად გაფითრებულიყო, როდესაც დაენახა შეცვლილი, შეშლილი მაკინე...

— მაკო, საცოდავო!.. ცუდათა ვარ, მაზიარე!—წარმოსთქვა ოქრომ. მაკინეს სახე დაემანჭა და კვალად დაიკვნესა...

— მაკო, ამისრულე თხოვნა... ტიტიკოს შეურიგდი!—ამ სიტყვების გაგონებაზე კი მაკინე მსწრაფლ წამოვარდა ზეზე, გამობრუნდა, პირდაპირ შეხედა მის წინ მორჩილად მდგარ ტიტიკოს. მაკინეს თავრეტი დაესხა, გონება აერია, საზარლად დაიკივლა და ყელზე შემოეჭდო ძმასა.

— მაკო, ქეთინოც აქ არის... შენ რომ გინდოდა მისი ნახვა,—შეესმა ყურში გაიანეს ხმა. მაკინე გამოფხიზლდა, თითქო შვება იგრძნო, მოშორდა ტიტიკოს და ელვასავით გაჰქრა ოთახში... წუთს ეს იდგა ქეთინოს წინ და მთელის სხეულით ცახცახებდა, თან ხარბად უყურებდა.

— შეიძლება ავადმყოფი ვნახო?..—ჰკითხა ქეთინომ, დარწმუნებულმა, რომ ეს ელაპარაკებოდა ოქროს რომელსამე შორეულ ნათესავსა.

— თქვენ ქეთევან დიდებაშვილისა არა ბრძანდებით?—ჰკითხა მაკინემ.

— დიაღ,—მიუგო შეშინებულმა ქალმა, ამანაც მარტო ეხლა ხმაზე იცნო, ვინც იყო ეს უბედური. ქეთინოს არა სჯეროდა, თუ ეს სწორედ იყო ის მაკინე, რომელიც რავდენისამე წლის წინად უყურებდა ამაყად, მედიდურად, მოსახიბლავად.

— ოხ, რომ იცოდეთ რა საჭირო იყავით ჩვენთვის! ნუ მიყურებთ გაოცებული, ხომ ველარ გიცვნიათ ამაყი, ბედით გალიმული მაკინე, რომელიც სიძულვილით შემოგვყურებდით ოდესმე, დღეს კი სინიდისით და ღვთისგან განკითხული, თავზე ხელ-აღებული, გონება-დაბნეული წინ გიდგიათ? მე ორჯერსამჯერაც ვიყავი თქვენთანა, მაგრამ შინ არ დამიხვდით, მთელი ორი საათი ვიდექი თქვენს სასტუმროს კარებზე, გელოდებოდით. მეკარემ თითქმის კინაღამ გამლანძღა, კინაღამ პოლიციას შეატყობინა, რომ ველარ მომიშორა... დიაღ, მაკინე მოვიდა, თქვენს კარებთან გიახლათ და როგორც ოთხფეხი კავკავებდა, გელოდათ თქვენ, თავის ნუგეშსა... დიაღ, ნუგეშს, რადგან თქვენით გავახარებდი ჩემ ოქროსა.—შეშფოთებულმა ქეთინომ უკან დაიწია...

— კნეინა მაკინე და თქვენა? როგორ დავიჯერო! არა სცდებით!—შესძახა ამან.

— დიაღ, მაკინე, სწორედ მაკინე გახლავართ. შემიბრალეთ!

— მერე ისეთი რა გარემოება უნდა გქონოდათ, კნეინავ, რომ აგრე შეცვლილიყავით? ვერ მომიაზრებია! ვერ წარმომი-

დგენია.—დაუმატა ქეთინომ, როდესაც ძალ-ღონე მოიკრიბა. ესენი ჩაჩუმდნენ, ველარ მოახერხეს ლაპარაკის განგრძობა, რადგან როსტომი და გიორგი გამოვიდნენ სადღაც წასასვლელადა, და როდესაც მათ გაიხურეს კარი, მაკინემ კარგა სიჩუმის შემდეგ ისევა სთქვა:—კმარათ... რა დროს ჩემ ბედზედ გაოცებაა! წამოდით, ნახეთ თქვენთვის წინანდებურადვე ალტაცებული, თქვენი მოთაყვანე ოქრო... ეს რა შეესმოდა ქეთინოს! როგორ? მაშ ოქროს გული ისევ ამას ეკუთვნოდა?! როგორ დაიჯეროს იმ საქციელის შემდეგ? არა, მაკინე ეხლაც ატყუებს, ეს თავს ძალას ატანდა მაგრად ყოფილიყო, მეტადრე მაკინეს წინაშე. მაგრამ ის საშინელი დიდებული წამი, რომელიც შეახვედრებდა მომაკვდავ ოქროს, საზარელი იყო და თრთოდა.

— წავიდეთ, მეც იმის სანახავად მოვსულვარ.—ჩაილაპარაკა ამან.

— პატარა მოიცადეთ, თქვენმა მოულოდნელმა ნახვამ ცუდად არ იმოქმედოს... მოვამზადებ... გავამაგრებ...—უთხრა ცოტა სიჩუმის შემდეგ მაკინემ და დაწინაურდა. ეს რაღაც მცირე იმედსა ჰგრძნობდა ქეთინოს მოსვლის გამო. მაკინე მიუახლოვდა ოქროს ფეხ-აკრეფით. ის თვალებ-გახელილი ხშირ-ხშირად სუნთქავდა.

— ოქროჯან, არა გძინავს?—ჰკითხა ამან.

— არა...—წარმოსთქვა ავადმყოფმა და ხელი გამოუშვირა.

— ხომ არ გეწყინა, წელან რომ თავი დაგანებე და წავედი? იცი, სად ვიყავი?

— არა...

— ქეთინოსთან, მაგრამ შინ არ დამიხვდა.

— ცუდად მოქცეულხარ, მაკო, რომ შეგიწუხებია ბედნიერი, კმაყოფილი ქალი, რომელსაც დავიწყებია ჩემი არსებობა... აღარ გახსოვს შენი ოქროს თავმოყვარეობა? გეკითხა მაინც! თუმცა ნახევრად მკვდარია, მაგრამ იმდენი გონება კიდევ შერჩენია, რომ დაეშალა შენთვის იქ წასვლა...

— ოხ, მაპატიე, რომ იქ ვიყავი!—შესძახა მაკინემ და შეხედა ტიტიკოს, რომელიც დაღონებული იჯდა იქვე სკამზე.

განო ჩვეულებრივზე მეტად გაფითრებული შეჰყურებდა და-ძმათ და ეტყობოდა ფარულად იტანჯებოდა.

— იმასაც ჩემსავით სინიდისი აწამებს!—გაიფიქრა გულში მაკინემ და ტუჩები მაგრა მოკუმა.

— აკი შინ არ დაგხვედრია... ეგ კარგა მომხდარა, რადგან შეიძლებოდა გამწყრალიყო კიდევაც.—უიმედოდ განაგრძო ოქრომ.

— შემიბრალე! ნუ მტანჯავ, ოქრო! რა შემცდარი ხარ! რომ იცოდე, ხომ აღარ იტყოდი მაგ საშინელს სიტყვებსა? ქეთინოს ისევ უყვარხარ... ის განწირულებაშია... შენს სანახავად მოვა... იქნება კიდევაც მოვიდა...

ოქროს სახე გაუბრწყინდა.

— ჰა?... ქეთინოს ისევ ვუყვარვარ?... ქეთინო ჩემთვის სწუხს?.. ქეთინო მოვა?.. ოხ, ზეცავ, შენ ხომ არა მპირდები ამ შეუდარებელს ნეტარებასა?..

ქეთინო კარებთან მოსულიყო, კედელს მიჰყუდებოდა და ცრემლებით იმდუღრებოდა. შემდეგ ველარ მოითმინა, არ მიხედა მას, თუ ოქროსთან ვინ იყო, ანგარიშ-მიუცემლად წინ წამოდგა რამდენიმე ბიჯი. ოქრომ თვალი შეასწრო, წამოიწია და მიაშტერდა. ეს ცხადად ხედავს იმის ცისფერ კაბას, იმის მშვენიერ თმებსა. თვალ-წინ უდგას გაფითრებული ქეთინო. ნუ თუ კიდევ მოჩვენებაა! მაკინე კუთხეში მისულა, ისიც იქ თითქო გაქვავებულა ერთ ადგილს, შემკრთალი უყურებს ამ მოჩვენებას, გაზეცებულ ტიტიკოს და ცახცახებს.

— ოქრო,—დაიძახა ლონე-მიხდილმა ქეთინომ,—ოქრო, ჩემო დაკარგულო სიტკბოებავ!—კვალად განიმეორა მან და ლონე-მიხდილი სატრფოს წინ მუხლებზე დაემხო, ტუჩებით დააკვდა მის გამხდარ, გარჩეულ ხელებსა...

— ქეთინო?!...—ამოიკვნესა ოქრომ, ხელი შეახო ქალის თმას, ტანისამოსს. რა დარწმუნდა, რომ ნამდვილად ის იყო, აღელვებულმა, თვალებში ცრემლებ მორეულმა გულში ჩაიკრა ძვირფასი არსება. ხმას ველარ იღებდა, მარტო ხარბად უყურებდა ქეთინოს, თითქო ეშინოდა, დალაპარაკებაზე არ წართმევოდა ეს ნეტარება.

— ქეთინო! შენ ჩემთანა ხარ?.. ეს არის მაკოს ვაყვედრიდი, ნუ შეაწუხებ ბედნიერ ქეთინოს-მეთქი!.. შენ კი თვალები დაგწითლებია?.. რა ხელი აქვთ წყეულ ცრემლებს, ან გაცრეცილ ფერსა ნეტარ ქეთინოსთან?..—სვენებ-სვენებით ბოლოს ძლივს არკვევდა ოქრო.

— ოხ, ოქრო, ნეტარებას დავნატრი მას დღეს აქეთ, რაც ჩვენ ერთმანეთს მოვშორდით... მას აქეთ, რაც ალერსი დამიქვირე და აღარ მაღირსე პატარა ნაზარათევიც კი... გარშემო ჩამძახოდნენ: ოქრომ გიღალატა, ოქროს სხვა უყვარს, ოქრო ცოლს ირთავს, შენთვის აღარა სცალიანო, მეც მჯეროდა, თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა პირდაპირ დაგკითხოდი... მოისპო ჩვენი ნეტარების კავშირი თუ არა, სასოწარკვეთილებამ კინაღამ თან არ გადამიტანა, სამშობლოდან გადავიკარგე, მაგრამ გულში კი მარად ვატარებდი შენს მშვენიერ სახესა... თუმცა პალიკო შევირთე, რათა გამებედნიერებინა ის მაინც, რადგან ვატყობდი თუ რა გაგიჟებით ვუყვარდი, მაგრამ ჩემი გული მაინც შენ შემოგნატროდა... ოხ, ტკბილო ჩემო საამქვეყნიო დიდებავ; შემოგწირავდი ცას და დედა-მიწას, ჩემს სიცოცხლეს, სუნთქვას, ოღონდ კი ბედს შენი თავი ჩემს საკუთრებად გაეხადნა... მაგრამ დამშვიდდი, ეხლაც არა უშავს-რა... იცოცხლე... კარგა გახდი, შემდეგშიაც შეიძლება ვიყვნეთ მეგობრები, მოთაყვანე და-ძმა...—დაუმატა აღელვებულმა ქეთინომ, როდესაც შეატყო, რომ ოქროზე ძრიელ მოქმედობდა მისი ლაპარაკი. სახეზე გაოცება ემჩნეოდა, მაინც განაგრძობდა ქეთინოსკენ ხმა-ამოუღებლად ყურებას.

— ჰმ!.. ანგრე გიყვარდი და ისეთი წერილი კი მომწერე?!.—ბოლოს დაილაპარაკა დაღონებით მან.

— მე?.. წერილი მოვიწერე შენთანა?!.

— მოიგონე... როდესაც იმ წერილში საბედნიეროდ გზას მილოცავდი... და სწორედ იმ წერილის შემდეგ აღარ არის თავის ჭკუა-გონებაზე შენი ერთგული ოქრო.

— ჩემთვის პირველი გასაგონია, მე მოგწერე, უარი გითხარი?!, არა, სცდები, ტყუილად დაგიჯერებია!..

— ღვთის გულისთვის შემიბრალეთ...—შესძახა ამ დროს მაკინებ, მაგრამ ეს სიტყვები არ შესმენიათ ოქროს და ქეთინოს, რომელნიც დაუფარავად გადასცემდნენ ურთერთს ერთმანეთთან უნებურ შეცოდებასა.

— მაშ შენ წერილი არ მოგიწერია?—იკითხა კვალად გაოცებულმა ოქრომ.

— არა.

— მაშ რომელმა ბოროტმა მიხიმანა, მომწამლა?.. იქნება იმ წყეულმა დედა-კაცმა, ქეთინო, გახსოვს?..

— არა, შენი ჭირიმე, იმას მაგდენი სად შეეძლო! შემთხვევით შეგვხვდა, მაგრამ მართლა ისე სჩანს, რომ თითქო განგებას ელჩად გამოეგზავნა...

—ოხ, ის შეჩვენებული წერილი კი რომ არ მომსვლოდა, ვაპირობდი შენთან მოსვლასა, მაშინ კი ერთმანეთს ვეღარავინ დაგვაშორებდა!

— ნუ სწუხარ, ოქრო, ქეთინო ისევ შენია, გენაცვალე, შენი საკუთრებაა, თუმცა ბედმა სრულიად სხვა გზას, მოვალეობას შემაყენა. იცოცხლე, შენის სიცოცხლით მეც მაცოცხლე. შენ შემოგწირავ ჩემს არსებას, შენ შემოგწირავ სახელს, ჭკუას, გონებას, შენით ვისუნთქებ, შენით ვისულდგმულებ. ჯანაბას ყველა და ყველაფერი!—გაიძახოდა გრძნობა-მორეული ქეთინო, მხურვალედ ჰკოცნიდა ოქროს, რომლის გარდა ვეღარავის ხედავდა ოთახში... ტიტიკოსა და გაიანეს ვეღარ შეეძლოთ ამათი ტანჯვის მოსმენა და დიდი ხანია ოთახიდან გასულიყვნენ.

— რატომ ადრე არ მოხვედი, ქეთინო? სანამ... სანამ სიკვდილი ხელს შეახებდა ჩემს სულსა და სხეულს? ეხლა კი ყველაფერი დაკარგულია, ამაოა... მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ ამ წუთებით, შენს ჩემთან ახლოს ყოფნითა.

— ბედნიერიო?—მკაფიოდ შეესმა მაკინეს, რომელიც იატაკზე გართხმული ტანჯვით ყურს მიუგდებდა მსხვერპლთა უკანასკნელ ალერსსა და თვითეული ეს ალერსი საწამლავივით მწვავად უვლიდა გულ-გვამშია.—ბედნიერიო! აკი მა-

კო ელოდა იმ წუთებს, როდესაც ოქრო თავს ბედნიერად იგრძნობდა? მაშინ უნდა მის ფეხთა წინაშე წარმოეთქვა საშინელი აღსარება. ეს აღსარება შეინდობოდა მარტო ეხლა ოქროსა და ქეთინოსგან. მარტო ამ ჟამად იქმნებოდა ოქროსთვის ადვილად ასატანი და მაკოს სულსაც ეღირსებოდა შემსუბუქება! თუ არა და შორს მაკინევ! განვედი კათაკმეველო, ადგილი არა გაქვს იქ, სადაც წმინდა სიყვარული გაცხოველებულა, სადაც თავ-დავიწყებით უნდა დასტკბეს ტრფიალების ღმერთით. მაკინეს თვალ-წინ წამოუდგა თავისი წარსული სიყვარულიც და უფრო მეტად აღელდა... წამოდგა ზეზე, უხილავ ძალას აღარ გაუძალიანდა, ის ეწეოდა ოქროსა და ქეთინოსკენ...

— შემიბრალეთ! მომისმინეთ! მომეცით შვება! დამეხმარეთ! მომხედეთ!—დაიძახა მაკინემ და დაეცა ოქროსა და ქეთინოს წინ...

ამათ ჯერ გაუკვირდათ მაკინესაგან ეს საოცარი საქციელი, მაინც უნებურად გაწამდნენ, ელოდებოდნენ თუ რას იტყოდა უბედური, სახე-შეშლილი მაკო.

— ოქრო, განა შენ აღმერთებდი მაკინეს და კი არ იცოდი თუ რა ღირსი იყო შეჩვენებისა? ოქრო, განა შენ აღვიარებდი მას წმინდანად და მას კი ჯოჯოხეთშიაც აღარა აქვს ადგილი!—მოსთქვამდა მაკინე. მარტო ხანდისხან ეს მოთქმა თავდებოდა კვნესით, უცრემლო ქვითინითა, თუმცა კი ისევ განაგრძობდა დაჟინებითა. ოქრომ სცადა შეეყენებინა როგორმე მაკინე, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ გაუგონა:

— არა, არა, რა საჭიროა ჩემთვის ნუგეში ასე უდროვოდ. მეყო მოტყუება, კმარა, დავიღალე, მოვიქანცე... ოქროჯან, მე ვარ მიზეზი თქვენის დაშორებისა. ძმაო, ჩამქოლე!.. მე დავწერე ქეთინოს მაგიერ წერილი, შენს ნაწერებსაც არ ვუშვებდი ჩემს ხელს იქითა! ტიტიკოსთანაც შენი დაშორება, ოქრო, ჩემი ბრალია, ტიტიკო ყოველთვის შენი ერთგული მოსიყვარულე ძმა იყო, მაგრამ მე ჩამოგიღექით შუაზე. ყველა ეს მოვიქმედე მისთვის, რომ შენ ჩემთან დარჩენილიყავ. მიყვარდი,

გიფრთხილდებოდი, მეშინოდა ჩემს გარდა სხვა არავინ დაგ-პატრონებოდა და შენი ჩემდამი სიყვარული არ შეესუსტებინათ. მაგრამ რა ვიცოდი მე ჩაქოლვილმა, რომ საშიშარ მოლიპულ გზაზე ვიდქი და დღეს თუ ხვალ უფსკრულში დავინთქებოდი! რა ვიცოდი, თუ ასე ძვირად დამიჯდებოდა, დაგტანჯავდი და უნებური შემცოდე, ძმის არ გამტანი გამოვჩნდებოდა. ეხლა ვიცანი ჩემი თავი, რაცა ვყოფილვარ, მაგრამ რაღა დროსია, გვიან არის... შემიბრალეთ!.. მომასვენეთ, ჩამქოლეთ!..—დაუმატა მაკინემ კვალად და დაემხო პირქვე, დაიგრიხ-დაიმანჭა სულის კვეთებისაგან.. ქეთინოს ცალ ხელში ოქროს მთროლვარე ხელი ეჭირა, ხმა-ამოუღებლად მისჩერებოდა სატრფოს, ამისი გული იგმირებოდა მაკინეს ყოველ სიტყვის წარმოთქმაზე: თუმცა მიხვედრილიყო მის ვერაგობაზე, მაინც ვერ წარმოედგინა, თუ ასე ძლიერ გადააჭარბებდა ეს სისაძაგლე-თავმოყვარეობა. ოქროც გაშტერებული უყურებდა მაკინეს, ყურში შეესმოდა საოცარი მოთქმა, გულ-გონებას უქოთებდა... მის წინ იდგა შემცოდე, მიზეზი სიყვარულის დაკარგვისა, დამღუპველი ამის ყმაწვილ კაცობისა, მაღალ უზადო აზრთა მტაცებელი, განმანადგურებელი; წინ უდგა ბოროტი სული, მავნე... ოქრომ თვალები დახუჭა, თითქო თავი ისევ ლანდთა სამეფოში ეგონა.

— შემიბრალეთ!.. შემიწყნარეთ, თქვენ წინ დამნაშავე მაკინე!..

— როგორა?!. მაკინე შესაწყნარებელია?!. მაკინე შემცოდეა! უმანკო, მშვენიერი, ანგელოზი მაკო?!.—ოქროს ცხლად დაურბინა თავსა და გულში რაღამაც...

— ოქრო!..—შეჰკივლა ქეთინომ, მივარდა, დაუწყო ცხვირზე სასუნებლის სმა... ოქრომ გაახილა თვალი; სატრფოს ხელი გულზე მიიკრა... შემდეგ მოიშორა, წამოიწია ბალიშებიდან, დააშტერდა მაკინეს, შემდეგ თვალებზე ხელი მიიფარა, კვალად ჩამოიღო, შეხედა მაკინეს და ქეთინოს, მოწყვეტილი გადავარდა ბალიშზე... დააწძრია ბაგე, მაგრამ ხროტის მეტი არა აღმოხდა-რა... მარტო ხელით ანიშნებდა რაღასაც...

— ვაი ჩემს მოსწრებას!.. ვაი ჩემს ყოფასა! ნუ თუ ესეც გვიან იყო?!. — საზარლად დაიღრიალა მაკინემ, როცა შეატყო, რომ ოქრო ცუდად გახდა. წამოვარდა ზეზე, მაგრამ ისევ მალე უგონოდ დაეცა ძირსა. ოქრომ ვეღარავინ დაინახა და გადაატრიალა თვალები, თითქო ვიღასაც ეძებსო, და მერე კი სამუდამოდ დაეხშო. გონება-მიხდილი ქეთინოც გულზე დაემხო თავის ნეტარებასა. მალე მთელ ქალაქს მოედო ხმა: „ოქრო სარდიონიშვილი გარდაიცვალა ჰლექითაო“. უკვე მივიწყებული, თითქო ისევ აღსდგა, ყველანი შეიკრიბნენ გვამის უკანასკნელი დღის პატივსაცემლად. დიდი ყოფით ემზადებოდნენ მის დასაფლავებასა. დანიშნული დღეც თანაუგრძნობდა მგლოვიარობაში, დაყმენდილი იყურებოდა. როდესაც დიდ ქუჩაზე მიასვენებდნენ ცხედარს, მთელი ქალაქი გამოსულიყო პატივსაცემლად. მუსიკა უკრავდა სამგლოვიარო ჰიმნსა და გამოუთქმელ ნაღველს უსადგურებდა მსმენელს გულშია. ცხედარის ახლო მიმავალ ეტლიდან ხანდახან გაისმოდა დანჟღრეული სუსტი კივილი, მერე კივილი დადაბლდებოდა გამოურკვეველ სიტყვებად, მარტო მკაფიოდ გაისმოდა დაჟინებული — „გვიან-დააო“. გათოშილი ჰაერი უთანაზიაროდ ატრიალებდა ამ სიტყვას და წარმოთქმულს უკანვე უბრუნებდა. ამ სიტყვის მნიშვნელობა ცხადი იყო მეორე არსებისათვის; ისიც ახლო არ იკარებდა, არამედ გონება-დაბნეული მისჩერებოდა ცხედარს. შავებში მოსილი ქეთინო, რომელსაც გვერდზედ უჯდა პალიკო, თვალს არ აშორებდა დაუბრუნებელ გზაზედ მიმავალს ბედნიერებას, თავდანებებისათვის გულში საყვედურს აძლევდა, მისგან ითხოვდა შენდობასა და ჰპირდებოდა მალე შეხვედრასა. რამდენისამე დღის შემდეგ მაკინე ჩაირაცხა სულით ავადმყოფთა სიაში. როგორც გაიანე, ისე ტიტიკოც დიდადა სწუხდნენ ცალკე ძვირფასი ძმის დაკარგვას, ცალკე მაკინეს ასეთს შემაძრწუნებელს მდგომარეობაში ჩავარდნასა. ტიტიკომ მოინდომა წაყვანა თავისთან, მაგრამ ურჩიეს ისევ საავადმყოფოში შეეყვანა და იქ მკურნალების დახმარებით შეემსუბუქებინა მისი ავადმყოფობა. ტიტიკო დაბრუნდა გულმოკლული ისევ თავის სოფელში და

საყვარელ ტკბილ ანოს ზეგავლენით იოხებდა, იქარვებდა ამ საშინელ მწუხარებასა.

## XLV

განვლო ზამთარმა. გაზაფხულმა გააცოცხლა ბუნება. მრავალს ნეტარი აღდგომა გაუთენდა. მისგან შვება არ უგრძვნია პალიკო დიდებაშვილის ოჯახს; ჩაწყვდიადებულს უფსკრულში ჩაიყურებოდა და ელოდა სიკვდილს ისეთისავე ვედრება-მოუთმენლობით, როგორც ებრაელები ესწრაფებოდნენ აღთქმულ ქვეყნისაკენ. ქეთინო და პალიკო აღარ წარმოადგენდნენ ცოცხალ არსებათა, წამებულნი მწარე სამსალასა სვამდნენ ბედისაგან; მსხვერპლნი თანდათან სუსტდებოდნენ მტარვალთან შებრძოლებით; აჩრდილს დამსგავსებოდნენ. რამდენი ღონე, ძალა, მოთმინება, გონების ძალდატანება, გულის ჩაკვლა, გაყუჩება დასჭირდა ქეთინოს მაშინ, როდესაც ოქროს მოაშორეს უწყალოდ. დარწმუნებულმა, რომ თვით ბედნიერებამ მოიწყინა, მეტად ჩასთვალა და განზე გაუდგა, თავმოყვარეობის დახმარებით მოურიგდა გარემოებას, თავი შესწირა ხელოვნებას, მიეცა პალიკოს და აღუთქვა ჭეშმარიტი მეგობრობა, რამდენადაც შეიძლებოდა. ქეთინო და პალიკო სცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში მშვიდობიანად, თუმცა ქეთინოს არა ერთხელ დაეხატებოდა თვალ-წინ, ცხადად თუ სიზმარში, წარსული ნეტარება, მაგრამ გულშივე იმარხავდა და ქმართან აღარ ამხელდა. აი განგებას მოსწყინდა ამათი ასე ერთგვარი მდგომარეობა; როცა დაატყო სულით თუ ჯანით მოღონიერება, გამოიტაცა სამშობლო ქვეყანაში საწამებლად, იქ სადაც ქეთინოს კვალად აღუდგა მკვდრეთით თითქო მივიწყებული გამონაცადი. აღსდგა რამდენისამე წამით, მერე კი ისევ გაჰქრა და გულში დაუტოვა აღგზნებული საკირე, რომელსაც გარედან სიცხოველე არ ეტყობოდა, შიგ კი უხილავი ცეცხლი სწვავდა და ჰბუგავდა. ქეთინომ ნახა ოქრო უკანასკნელ წამებში, თვალები დაუხუჭა; მოისმინა მაკინეს საშინელი აღსარება, გაიგო, რომ

ოქრო უკანასკნელ წამამდე იყო, ამისი ერთგული მოთაყვანე, და მიიღო ტანჯვა მაშინ, როდესაც ქეთინომ არ იცოდა ყველა ეს. მიეცა სხვა არსებას, რომლისადმი გარდა სიბრალულისა და მადლობა-პატივისცემისა, არასა ჰგრძნობდა. თუნდ სახელი, დიდება! უმნიშვნელო იყო ოქროს სიყვარულთან შედარებით. ქეთინომ იგრძნო უნებური შეცოდება პალიკოსა და ოქროს წინაშე. ქეთინო გაქვავებული უჯდა ოქროს ახლო, მერე კი თვალთ დაუბნელდა, არსებობა შესწყვიტა, გონზედ მოვიდა მარტო მაშინ, როდესაც უკვე პალიკოს მიეყვანა სახლშია. სასუნებლებით აბრუნებდნენ ნატო, ეფემია და მაშო, რომელნიც სოფლიდან ჩამოსულიყვნენ. მაგრამ ქეთინომ გამოფხიზლების უმალ იგრძნო თავის არსების განადგურება. ეს გაოცებული უყურებდა გაფითრებულ, კრიჭა-შეკრულ პალიკოს და დიდი ხნის უნახავს ნატოს, დასა და მშობელსა, მაგრამ სიამოვნება ამას ხელს აღარ აკარებდა. ქეთინოს გული აღარასა ჰგრძნობდა, თითქო დაცარიელებულიყო. ვერც კი ხედავდა პალიკოს ტანჯულ სახესა. ეს იჯდა ხმა-ამოუღებლად, რასაც მიაჩერდებოდა, თითქო აღარ შორდებოდნენ მას თვალები. სიტყა დაჰკარგოდა, დასდუმებოდა ბაგე; ყურს უგდებდა გულის გამწარება-ჭირისუფლებას და კი არა სტიროდა. ცრემლებიც თითქო მოქანცულიყვნენ, განზედ გასდგომოდნენ. გაუხდელი დაწვებოდა ლოგინზე, თვალს მოატყუებდა, მერე კი ისევ იღვიძებდა, იწყობდა გულხელ დაკრეფით ოთახში სიარულს, ხან შეჩერდებოდა ოქროს სურათის წინ კარგა ხანს, მიიხედ-მოიხედავდა, სადმე კუთხეში თვალს მოჰკრავდა დაღონებულ პალიკოს... ეს ჰგრძნობდა ქეთინოს მდგომარეობასა, ჰგრძნობდა, რომ ამ ჟამად ეს მისთვის თავ-მომაბეზრებელია, თითქმის სიძულვილის აღმძრველიც, ვერ უბედავს დალაპარაკებას, თუმცა სწყურიან, უნდა გამოხმაურება. წინანდელი დამოკიდებულობა ნუ თუ დაკარგულია? რა მოუვა ქეთინოს?.. გაგიჟდება?.. მოკვდება?.. მაშ მოკვდება?!. პალიკოც შესწყვეტს სიცოცხლესა?.. პატარა ქალი, რომელიც ქეთინოს სახიერებაა?.. პალიკოს გული აუძგერდებოდა, მოეხვეოდა, ჰკოცნიდა, ფარულად ცხარე ცრემლებს დააბნევდა პაწია ცაცებზე...

— შვილებოთ, ჩემო ძვირფასო ქეთინო, ჩემო წმიდათა წმიდავ! შემიბრალეთ!..—მოსთქვამდა უსიტყვოდ გულშია პალიკო, თუმცა მსმენელი არავინ იყო, მარტო ქორფა ბავშვი ღიმილით, გაუგებარის ჭყროპინით უწეწავდა მას თმასა; მაგრამ აი ქეთინო თანდათან გამოერკვია, შეამჩნია პალიკოს განწირულება, ბავშვებსაც თავისი უგულობა, უყურადღებობა; გონება გამოეკითხა.

— რაში არიან დამნაშავენი?.. შეიწყალე, ქეთინო, შეიცოდე,—ჩასძახოდა განუწყვეტლად, გაჯიქებულ გულს ალბობდა, მაინც კი იმეორებდა: არარაობაო... პალიკომ სცადა დალაპარაკება, ისიც უგებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უარი არა სთქვა სოფელში წასვლაზე. პალიკომ თავისი დედა და ეფემია წინდაწინ გაგზავნა სოფელში, რადგან ატყობდა ქეთინოს, რომ ისინი თითქო აწუხებდნენ, თავს აბეზრებდნენ, თავისუფლად ვერა ჰგრძნობდა...

— იქ?.. იქ რატომ!.. ამბობდა ქეთინო... გულიც მისწევდა, თითქო იმედი ჰქონდა, რომ იქ დაისვენებდა... პალიკოც თითქო დამშვიდდა... ესენი ერთი კვირის შემდეგ წავიდნენ თავიანთ სოფელში, სადაც დახვდნენ ძველი ნაცნობები... გახარებული ნინო, თავის წამოზრდილ შაქროთი, რომელიც სასწავლებელში სწავლობდა პალიკოს წყალობით, თავს ევლებოდა ქეთინოს... თეკლე, ნატოც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ როგორმე ენუგეშებინათ. ნატოს კი გულში ეღდადა ჰქონდა ნაცემი და მადლიერი არ იყო ბედისა, რადგან ატყობდა, რომ ქეთინოს არ შეერთო პალიკო სიყვარულით, არამედ წაილაჯობით, და მშობლის გული თითქო შეურაცხყოფას ჰგრძნობდა... პალიკოს თავისი მამული, თუ სახლი ისევ ხელუხლებლად, უცვლელად დახვდა, მაგრამ სიამოვნება არ უგრძვნია... თვითონ სოფელში კი დიდი ცვლილება მომხდარიყო. გრიგოლა არამშვილი მეტად გაძრიელებულიყო, ის თითქმის ამაყად უყურებდა ყველა მათ, ვისაც წინად ფეხებში უვარდებოდა... დღეს ის მებატონეთა შორის ჩარიცხულიყო და სოფლის მცხოვრებნი მას უფრო ეფერებოდნენ, რადგან ეშინოდათ მის რისხვისა...

როსტომი და გაიანეც დაბრუნდნენ, გაიანე მგლოვიარობის გამო ჩაკეტილიყო სახლშია, როსტომი კი ჩვეულებრივად ფაციფუცობდა. კიდევ რაღაც საქმეებს ეპირებოდა... დღითი-დღე ქეთინო ფითრდებოდა, სუსტდებოდა ღონე აკლდებოდა, გულის სისუსტე მიაბინარებდა ისე, თითქო მართლა ეს არის ეხლა შესწყვეტავს არსებობასო. წინააღდგომოდა ძლიერი ძალა ქეთინოს, ახედებდა პალიკოსკენ, რომელიც ჩრდილსავით თანასდევდა ქეთინოს, თუმცა მოკრძალებით, სიფრთხილით. ქეთინო ატყობდა, რომ პალიკოს ასეთი უკან დევნა ნიშნავდა შიშსა, რათა ამას თავისთვის არა აეტეხნა-რა... აგერა ქეთინოს თვალები მოუხუჭია, კი არა სძინავს, ოთახში სრული მყუდროებაა, გაისმის თავშემაგრებული კვნესა, ეს გმინვა მოქმედობს ქეთინოზე, იხედება პალიკოსკენ, მას თვალებიდან გადმოსდის ცრემლის ნაკადი... ქეთინო წამოდგა, მივიდა ახლო, აიღო ხელცახოცი, ფრთხილად მოსწმინდა ცრემლები, შემდეგ დაუსვა შუბლზე ხელი, ესეც გაცხელებული ეჩვენა.

— პალიკო! შემიბრალე! — დაიკვნესა ქეთინომ. — შემიბრალე, ცოდვილი, შენი ულირსი! როდემდის ვიტანჯოთ?! — დაუმატა და ქვითინით დაემხო მის სახესა. პალიკომ დაღონებით შეხედა ქალსა, მაგრამ ტუჩები აღარ გააწვდინა საკოცნელად, აღარ დასძრა მკლავები მოსახვევნელად, არამედ განაგრძობდა გაშტერებით ყოფნასა... ქეთინო შეშინდა, დააჩერდა.

— პალიკო, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მაპატიე, — იმეორებდა ღონებით ქალი.

— რა გაპატიო, სანატრელო? რა გაქვს მოსატევებელი? მე კი დიდი დამნაშავე ვარ შენს წინაშე და გთხოვ შენდობასა. რატომ არ ვიცოდი, რომ შენი ჩემთან შეუღლება დაგტანჯავდა! გეფიცები, ქეთინო, რომ ვერ მოვისაზრე ესა... როგორ წარმოვიდგენდი, თუ ოქრო ბოლომდის შენი მოთაყვანე დარჩებოდა, თორე რა ღმერთი გამიწყრებოდა, რომ მე მას შევეცილებოდი... მე ვარ დამნაშავე, მე... მე რომ არ ჩაგციებოდი, იქნება აგცდენოდა გათხოვება, მოგეცადნა, შეხვედროდი ოქროს, გამოგერკვიათ ყველაფერი, შეგეტყოთ უსინიდისოს ვე-

რაგობა და გაბედნიერებულიყავით? ქეთინო, თუნდ მაპატიო, მაინც სიკვდილსავით უკანა მდევს ეს სინანული და მოსვენებას დამიკარგავს...

— პალიკო შემცოდე?! შენ, აღსავსე სულისა და გულის სისპეტაკით, სამსხვერპლო თავდადებული?! ოხ, არა, პალიკო; შენ წმინდანი ხარ, მოვალე ვარ გილოცო, მაგრამ ცოდვილი ქეთინო ვერ ახერხებს... გონება გაფასებს, გული... სამიწე გული კი გაუურწმუნებულია. შემიბრალე ქმარშვილის მოღალატე დედა-კაცი! მომე სიკვდილი, მომე მოსვენება!—პალიკო და ქეთინო ხშირად იწყებდნენ ხოლმე ერთმანეთთან ჩივილ-მოთქმასა, უწყალო გარემოებაზე. ესენი აღარ წარმოადგენდნენ ურთიერთის მახლობელ, მორიდებულ გამფრთხილებელ არსებათა, როგორც წინად იყვნენ, არამედ თითქო ერთგვარის ბედისგან დევნილი უცხო არსებანი შეხვედრილიყვნენ და ერთი მეორეს ჩამოართმევდა გულის ვალალსა, თან ცდილობდნენ რაიმე საშველი მიეცათ ერთმანეთისთვის... ამასობაში გარბოდა დრო, გარბოდა ჟამი.

## XLVI

— ჰა, დღეს რა დღეა?... სწორედ ის საშინელი დროა, როცა ჩემი დამღუპავი ოქრო წუთი-სოფელს გამოესალმა, დღესაც ესალმება ჩემი ქეთინო? ჩემი?! ჰმ, ჩემი?—ფიქრობდა მწარედ პალიკო, როცა უყურებდა ლოგინში ჩავარდნილ, გამხდარ, გაყვითლებულ, დახავხავიწებულ ქეთინოს, რომელიც ძლივსღა სუნთქავდა. ჩაეცვა თავისი საყვარელი ცისფერი ტანისამოსი, თმაც ისე დაეწვნეინებინა თეკლესთვის, როგორც პირველად შეხვდა ოქროს, სახეზე მოსვენება ეფინებოდა, ეკარგებოდა გაწამება... უსრულდებოდა დიდი ხნის ნატვრა, ტანჯვა ვეღარ აეტანა, წლის თავზე ეპირებოდა იქ, სანატრელ უცნაურ ქვეყნისკენ გაფრენას, იქ, სადაც ბედნიერება ელოდებოდა, სადაც თავის ნეტარება ოქროს გულში სამუდამოდ ჩაეკვროდა. აღარ შეეხებოდა მოშხამული ენა, არ მოხვდებოდათ ბოროტი თვა-

ლი. ქეთინო კმაყოფილი იყო, ყურს არ უგდებდა, თვალს აშორებდა მათ, რომელნიც ახლოს უსხდნენ და თვალებზე ცრემლის მდუღარება სდიოდათ. თვითონ როსტომი და გაიანეც თითქო საშინლადა სწუხდნენ და ხშირად მოდიოდნენ, ისინიც იმდუღრებოდნენ... მაგრამ მათი მწუხარების მიზეზი კი იყო უფრო ის, რომ გრიგოლას, როგორც საჯაროდ, ისე პოლიციის დახმარებით გამოეცხადებინა მათთვის, რომ აყრილიყვნენ სახლიდან, რომელიც მას სჭირდებოდა... როსტომს და განოს შემოხარჯოდათ უკანასკნელი ფულიც და დარჩენილიყვნენ ღვთის ანაბარა... მეტი ღონე არა ჰქონდათ, უნდა მიემართნათ ისევ ტიტიკოსათვის... დიაღ, სატირელი გასჩენოდათ ამათაც, თუმცა კი ვითომ ქეთინოს გამოისაც. პალიკო ყურადღებას არ ათხოვებდა არავის, ეს ხარბად უყურებდა ქეთინოს სახეში, თითქო უნდა საუკუნოდ დაიხსომოს ყოველი ნაკვთის მოძრაობაო.

— იქ მიდის, იმასთან! მე კი ვრჩები ამ საშინელ დაუნდობელ სოფელშია! რიღასთვის? ქეთინომ თავი დაიჭყლეკა, არ ისმინა პალიკოს ხვეწნა, მუდამ შესთხოვდა სიკვდილს; პალიკოსაც თავისი თავი აღარ ახსოვდა, ნატრობდა ქეთინოს დამშვიდება-კმაყოფილებას, ნატრობდა იქნება სიკვდილსაც, როგორც ქეთინოს დამაკმაყოფილებელს. დიაღ, პალიკოს უნდოდა ქეთინოს სიკვდილიც, რომელსაც თან გაჰყვებოდა თვითონაც. ეს უყურებდა ქეთინს, ელოდებოდა დიდებულ წამსა, როცა ძვირფასი არსება შესწყვეტდა სუნთქვა-ფეთქვას, მშვენიერი თვალები დაეხშობოდნენ... პალიკო ხშირად ათვალიერებდა მაგიდის უჯრაში შენახულ დამზადებულ დამბაჩას, უფრთხილდებოდა, როგორც წადილის შემასრულებელ საშუალებას... ქეთინოს წმიდა საიდუმლოება მიეღო, განდობოდა მოძღვარს და უცდიდა. . ხანდისხან მიმართავდა თვალებს პალიკოს, ოქროს, პაწია ქალს, ცრემლები მოერეოდნენ... მიიხმობდა პალიკოს ახლო, გადაუსვამდა თავზე ხელსა, ჰკითხავდა:

— ჰა, მეგობარო, ახლა კი მგონი მეღირსება მოსვენება, არა? აკი შენც გინდოდა ჩემი ბედნიერება? — დაუმატებდა, როცა პალიკოს სახეზე წაიკითხავდა შიშსა და განწირულებას.

— ჰო, გენაცვალე, მინდა, მწყურიან შენი მოსვენება...

— გწყურიან ჩემი სიკვდილი?—განაგრძობდა ნაღვლიანის ღიმილით მომაკვდავი, მაგრამ პასუხი არ ეყურებოდა.

— გწყურიან ჩემთვის სიკვდილი, რომელიც მომიტანს ნეტარება-მოსვენებასა,—კვალად გაიმეორებდა დაკითხებას.

— მწყურიან... მარტო მაშინ, თუ მეც აღარ დამტოვებ აქა.—შესძახებდა ესეც. ქალს დაღონება დაეტყობოდა, ხელები ბალიშზედ გადეშლებოდა. აი ეხლაც უყურებს ქეთინო პალიკოს და ეძახის. პალიკოც მიდის ახლო, ოთახში მარტო ესენი დარჩენილან.

— პალიკო! რა უნდა გითხრა!—ეჩურჩულება ნიავსავით წყნარა ქალი.

— რაი ჩემო... ჩემო...—ვეღარ ათავებს პალიკო.

— ვკვდები... ვმშვიდდები? მაპატიე, რომ ვერ შევიძელ შენი დაფასება.

— კვდები? მშვიდდები? მერე?—პალიკოსა სურს უთხრას, მე რაღას მეუბნებიო?.. მაგრამ ხმას იკმენდავს, ეს ხომ საყვედურია მოთაყვანისა, სალოცავისადმი?.. არა, მტლედ დაედება, თავს შემოევლება... სიკვდილი, რომელიც ორივეს დაამშვიდებს...

— პალიკო, ჩემი შვილები შეიძლებენ შენს ღირსეულად დაფასებასა... ჩემი გოგონა მოანანიებინებს ცოდვილ დედას შენდამი უმადურობასა. ის ჯერ მონათლული არ არის, შეგიძლიან უწოდო ჩემი სახელი, რადგანაც მე მგავს... შენი უმანკო პატარა ქეთინო მხურვალედ იწყებს ლოცვას თავის უწმიდესს მამისადმი. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მეგობარო!—ქალმა მკლავები მოხვია, მაგრამ ისევ მალე გახსნა, უნდოდა ეკოცნა, ტუჩები უძრავად დარჩნენ, მარტო რაღასაც ჩურჩულებდა... პალიკო იდგა მის წინ გაქვავებულ-გაფითრებული... ამ დროს მაშოს მოეყვანა ბავშვები, მათ ულიმოდა ნაღვლიანად ქეთინო. სახეზედ სინანული ეხატებოდა, რადგან არ გამოეცადნა გატაცებული თავ-დავიწყება ნაშობთა მიმართ, მაგრამ ეხლა რაღსა მოეწეოდა.

— გვიანღა არის!—იმეორებდა ქეთინო.

— გვიანღაა დაკარგულის დაბურნება! — ბანს აძლევდა აგრეთვე პალიკოს გულის კვნესაც. რავდენიმე წამი კიდევ და ქეთინო აღარ იყო... პალიკო გაშმაგებული ჰკოცნიდა ჯერ კიდევ თბილ გვამსა, ზედ ცხარე ცრემლებს აფრქვევდა.

— სიკვდილი მოსვენებაა! — ჩასწივლა ყურში რაღამაც. პალიკო წამოვარდა, მივიდა მაგიდასთან, უჯრას გამოსწია, ამოიღო დამბაჩა. .

— სიკვდილი მოსვენებაა! — იმეორებდა, აცახცახებულის ხელით სინჯავდა, ასწორებდა ჩახმახსა... ერთი წუთი და კიდევაც აღსრულებაში მოიყვანდა განზრახვას, მაგრამ ამ დროს იგრძნო ნაზი ცაცების შეხება. პაწია ქეთინო მოსულიყო, შემოხვეოდა მუხლებზე, რაღასაც შესწუწუნებდა. პალიკო მის დანახვაზე დაბარბაცდა, გრუზა-თმიანმა გოგონამ თითქო საყვედურით შეხედა.

— პალიკო, ძვირფასო მეგობარო, ხომ გიყვარვარ? მაშ რახან ანგრევ იზრუნე ჩემს სისხლზე და ხორცზე... ეს ხომ ჩემი უმანკო სულია, შეუმწიკვლელი?.. პალიკომ მსწრაფლ გადააგდო გვერდზე დამბაჩა, აიტაცა ხელში ქეთინო, გულზე მაგრა მიიკრა, დაუძახა ოქროს, სამივენი მივიდნენ ცხედართან, რომელსაც თავით უსხდნენ თმა-გაშლილი დედამთილი, მშობელი და დები. დაემხო მუხლებზე...

— ქეთინო! — შესძახა ამან მტკიცედ, მაგრამ ათრთოლებულის ხმითა. — ვფიცავ შენს სულსა, შენს სიყვარულს, რომ ვიცოცხლო... ვიცოცხლო მარტო იმისთვის, რათა ჩავდგე შენსა და პატარა ქეთინოს შორის... სანთელი არ გაგიქრო... იქ, ზეცას გიგულო შენ, ქვეყანაზე — ჩემი პატარა ქეთინო და ოქრო. ამით გაატარებს გამწარებულ დღეებს შენგან დაობლებული პალიკო! — პატარა ხანს უკან ოთახში გაისმა გულის მომწყვეტელი სულთათანა, რომელიც ტანში შლიდა პალიკოს, მაინც განაგრძობდა დაჩოქილი ლოცვას...

— განუსვენე უფალო, სულსა მხევლისა შენისასა! ღაღად ჰყო მოძღვარმა.

— განუსვენე, უფალო, მიე ნეტარება და მოსვენება. — ჩურჩულებდა გულში პალიკოც.

— განუსვენე, უფალო!—ზუზუნით იმეორებდა გარედან ქარიც, ამ ღაღადისს თანაუგრძობდა, წარიტაცებდა შორს, აჰქონდა მაღლა-მაღლა და გულ-მტკივნეულ მოზარედ უხმობდა ბუნებას.

ანასტასია ერისთავი

# მყინვარს

(ვუძღვნი განდეგილს)

მსურდა მენახე, მყინვარო,
გულს მუდამ ენატრებოდი;
ბევრჯელ ავსულვარ მაღლობზე,
მაგრამ ვერასა ვხედებოდი.

ეხლა კი ვსტკბები შორიდან
შენის ყურება-მზერითა,
მკერდამდის ჩამოფენილო
თეთრის ჯადარა წვერითა!

რა დიდებული რამა ხარ,
ამაყი, ბრგე და დიადი!
წარბს ვერც მტრის ხმალი შეგიხრის,
ვერც ღამის ბნელი წყვდიადი!..

თავს გადგას თოვლის გვირგვინი,
ზედ ცხრა მზის თვალი ტრიალებს,
შენგან დამცდარი სხივთ ჯარი
დაბლა ხევ-ხუვში ციალებს.

ძირს დაცემული მთა-ბარი
თვალ-წარბში შემოგცქერია,
რასაც შენ ეტყვი, ის სჯერათ,
სხვა მათთვის ყველა მტვერია.

ბარს ნაღვლად ისიც ეყოფა,
რაც გულს ასვია დარადა;
წინაც შენ იყავ ბჭე-კარი,
ახლაც შენ ჰყევხარ ფარადა.

გზას ნუღარ მისცემ ნიაღვარს,
დაჰკეტე კარი გულისა,
ვიდრე არ დადგეს დრო, ჟამი
შვებისა, სიხარულისა!..

ჩვენი მოხევეც მანდ არის,
შენს ძირში ასათვლავია,
იქნება ვინმე ჩაგზავნო,
კაი ხნის უნახავია.

ვაი თუ კიდევ კვნესოდეს
ობოლი გული სულითა
და მანდაც იტანჯებოდეს
ბეჩავ ძმათ სიყვარულითა!

მის გული მთელი ზღვა იყო:
შიგ ნაღვლის ტბორე დგებოდა,
იმ ტბით მანდ გული მიწისა
აქამდის გაივსებოდა.

გზა მიეც ცრემლთა ნაკადსა,
რომ გამოტბორონ გარედა,
იქნებ ჩვენც დაგვწვას მის ცეცხლმა
და ჩაგვაფიქროს მწარედა.

მას კი გულს ნამი აჰკურე
დილ-დილით ცივის ცვარისა,
მიწაში მაინც გაგრილდეს
ერთხელაც გული მკვდარისა!...

შ. მღვიმელი

ხევდურეთი

# ჰაიდა აქედან!

(საახალწლო ეტიუდი)

ახალ წლის წინა საღამო იყო. ძველს წელიწადს სული ხდებოდა და ახალი წლის საშობად უგუნი ლოგინად წვებოდა. აღმოსავლეთის ცივი, სუსხიანი ქარი საზარლად ღმუოდა და გრიალებდა, გაშიშვლებული ხეები ქარის შემოტევისაგან საცოდავად კვნესოდნენ და ჭრიალებდნენ.

ქარის ცივსა და მწარე კივილს ზედ ერთოდა მხიარული კიჟინა პატარა ბიჭებისა, რომელნიც მახლობელ ჭალიდან ჩიჩილაკის შესამკობლად სუროსა და კურკანტელას შინისაკენ მიარბენინებდნენ. კალანდის მისაგებებლად გურულები დიდს ფაციფუცში იყვნენ. ვერც ერთს მოზრდილს წევრს ოჯახისას უსაქმოდ ვერა ნახავდით, მხოლოდ პატარები მოუსვენრად დარბოდნენ ერთი კუთხიდან მეორისაკენ. აქ მოხარშულს ღორის თავს დაღრჭენილს კბილებში ცელქად თითს უდიტინებდნენ; იქ ხარბად თვალს გააყოლებდნენ მადის აღმძვრელს მშვენიერს საჭამურებს; ხან წმინდა ბასილის წვერებს ეპოტინებოდნენ და უფროსებს ჩიჩილაკის შემკობას უშლიდნენ.

ზალიკა ირემაიშვილმა კაი მოზრდილი ტვირთი ახალი მოჭრილი რცხილის შეშა ოდის აივანში დაჰყარა და სახლში შევიდა.

— ქალო, ხომ ყოლიფერი მზათაა? აბა რაცხაფერათ მოურჩქარეთ, თვარა ხომ იცით, რა დროს უნდა ავდგეთ. იმ ყაზილარმა მარშანდულათ არ შეგვარცხვინოს, თოფის სროლა არ მოგვასწროს!

— ციცავ, — მიუბრუნდა ზალიკა თავის უფროს ქალს, რომელიც ჩიჩილაკს ამკობდა, — გოუსწორე კურკანტელაი ჩიჩილაკს, რავა ჩაგიმალავს სუროში!

— ქალო, — ხელახლა მიმართა ზალიკამ თავის ცოლს, — რას უყურებ, აღარ დაწვებ ამ ყაზილარებს?

ამ დროს უეცრად რაღამაც აივნის იატაკზედ ბრაგვანი მოიღო და მოისმა ყრუ ხრინწიანი ხმა:

— გრისტიანი, ღმერთმანი, გრისტიანი!

ზალიკამ სარკმლიდან გაიხედა და მის თვალებს წინ საცოდავი სურათი წარმოუდგა: აივნის იატაკზე გველივით იხლაკნებოდა და ცივს ფიცრებს თავს ურახუნებდა თითქმის ტიტვლიკანა, მუხლებზედ დახოჭილი, ჭაღარა-შერთული მათხოვარი და მის გვერდით ხელ-გამოწვდილი, მამის ძველს, დაკონკილს ფარაჯაში გახვეული ათი-თერთმეტის წლის პატარა, შავგვრემანი ბიჭი, რომელნიც მასპინძელს რაღაც უცნობს ენაზედ მოწყალებასა სთხოვდნენ.

ზალიკას იმათმა სანახაობამ გული ჩაუთუთქა. თუმცა იმათი უცხო ენა მისთვის გაუგებარი იყო, მაგრამ კარგად ესმოდა, რომ უბედურები თავშესაფარსა სთხოვდნენ. ზალიკას გულით უნდოდა თავის ფართო ჭერ ქვეშ ისინიც შეეფარებინა, მაგრამ ცრუ-მორწმუნოებამ დასძლია, ჯიბიდან შავი ფული ამოიღო, მათხოვარს გაუწოდა და უთხრა:

— გლახა დროს მესტუმრეთ! აჰა, ძმიაჯ, ჭაიდა! — და კარი შემოხურა.

კარგა ხანს არახუნა საწყალმა იატაკზე თავი და იძახა: «გრისტიანი, გრისტიანიო», მაგრამ ამაოდ, ზალიკას მისთვის აღარ გამოუხედავს.

დიასახლისს შეებრალა საწყლები და ქმარს უსაყვედურა:

— რა გიჭირდა, კაცო, ღამე გაგეთევინებია იმ საწყლებისთვის?

— რას მიჩივი, ქალო, კითამ მე კი არ მინდა თუ? ამისთანა სიცივეში ძაღლსაც არ გააგდებს კაცი გარეთ, მარა, ხომ იცი, სხვა დღეა, ბედობაა!

ეს საბუთი ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ ზალიკას ცოლმა ენა ჩაიკვნიტა და ქმრისათვის ერთი სიტყვაც აღარ შეუბრუნებია.

ბევრი სხვა ზალიკა-ივანიკების კარებზე არახუნეს თავი საბრალო, შორის ოსმალეთიდან გადმოხვეწილებმა, მაგრამ თავშესაფარი ვერსად იშოვეს.

კარგა დაღამდა. მოკრიალებული ცის კამარა მოციმციმე ვარსკვლავებით შეიჭედა. მიძინებულს ქვეყანას დარაჯად თავს დაადგა ახლად გაბადრული მთვარე და სოფ. №-ის ეკკლესიის გუმბათზე მოყვითლულმა ჯვარმა მთვარის შუქზე ბრჭყვიალი დაიწყო და ჩვენი მათხოვრების ყურადღება მიიქცია. დაინახეს თუ არა ჯვარი საწყლებმა, სასოებით პირჯვარი გადიწერეს და თავის შესაფარებლად მისკენ მიმართეს. იმედიც არ გაუცრუვდათ. რამდენისამე წამის შემდეგ ისინი მიადგნენ მშვენიერს თლილი ქვის ეკკლესიას, რომელსაც გვერდით თლილი ქვისავე სამრეკლო ედგა. რის ვაივაგლახით საცოდავები გალავანზე გადაბობღდნენ და სამრეკლოსაკენ გასწიეს. სამრეკლოს ქვედა სართული აღმოსავლეთის მხრივ ღია დაუხვდათ, მაგრამ რა გაეწყობოდათ, როგორმე ღამე უნდა გაეთიათ. აქ იმათ სამი თავისი ამხანაგიც დახვდათ, რომელნიც ერთმანერთს მაგრა მიხუტებოდნენ და გაყინულს მიწაზედ ღრმად ეძინათ. მამა-შვილი ამ საბრალოებს დასაძინებლად გვერდით ამოუწვნენ, მაგრამ კარგა ხანს ისმოდა მათი კბილების რაკა-რუკი. ბოლოს დაქანცულობამ სიცივეს მაინც სძლია და საბრალოებს თვალები დაუხუჭა.

სძინავს მოხუცს, მაგრამ ვაი ამისთანა ძილს! იმ საშინელი დღის შემაძრწუნებელი სურათები, რა დღესაც სამშობლოდან გადმოიხვეწა, საბრალოს სიზმარშიაც თვალ-წინ უდგას და მალიმალ გულის გამგმირავი მწარე კვნესა ამოსქდება. აი ვითომც იმასა და მის ვაჟს, სალთანიკის, შინ ფიჩხი მიაქვთ... სოფელში რაღაც საშინელი ხმაურობაა... ფიჩხის კონა ძირს დააგდო და მაღლობიდან სოფლისკენ იცქირება... სოფელს ცეცხლი ეკიდება. ქურთები შემოსევიან და მის მეზობლებს მუსრს ავლებენ... საწყალი გულის კანკალით თავის ქოხისკენ იყურება. აი მისი ქოხიდან საშინელი კივილი მოისმა და გარედ გამოვარდა მისი საყვარელი ცოლი, ევდოქსია, ძუძუ-მწოვარა ვაჟით, რომლისთვისაც კაბის კალთაში ხელი ჩაუვლია და უკან მოსდევს მათი უფროსი ქალი ევლალია. ორ წუთსაც არ გაუვლია, ქოხიდან გამოვარდა ხანჯალ-ამოღებული ქურთი და დედა-შვილთ უკან გამოუდგა. საბრალოს უნდა გაიქცეს მისაშველებლად, მაგრამ მუხლები ეკვეთება, ფეხს ვერ ადგამს... აი დაეწია კიდეცა, ჩასცა ხანჯალი ერთს, მეორეს, მესამეს და სამივ დედა-შვილი მიწაზე დაალაგა.

სურათი გამოიცვალა. აი, კითომც მირბიან ისა და მისი სალანიკი უგზო-უკვლოდ ხშირს, ეკლებიანს ტყეში. მირბიან დღეს, მირბიან ხვალ... ქალამნები ფეხიდან გასძვრათ, ტანისამოსი მთლად შემოაგლეჯათ... გადაიარეს მთები, გატოპეს მდინარეები... მირბიან და მირბიან... აი გავიდნენ ერთს მშვენიერს ედემის მზგავს, ყვავილოვან მინდორში. ზემოდან რაღაც საუცხოვო, გონების წარმტაცი ხმები ესმის... მაღლა ცაში ანგელოზთა გუნდნი ირევიან და შემოქმედს «ოსანა»-ს უგალობენ... აი, აგერ მაღლა, მაღლა ცის სივრცეში თვალი მოჰკრა თავის საყვარელ ევდოქსიას, რომელსაც შვილებისათვის ხელი ჩაუვლია და ფრთებ-გაშლილნი ზემოდან დაჰყურებენ. მისი საყვარელი ვაჟი, მისი გელაზი, თავის პაწაწა ხელებს უქნევს და თავისკენ იწვევს. აი კითომც მისკენ დაბლა-დაბლა ეშვებიან... ჩამოუშვნენ კიდეც, დაავლეს ხელები და მაღლა აიტაცეს. სალანიკი ქვევიდან შებღავის, მეც წამიყვანეთო, მაგრამ იმის ტირილს ყურადღებას არ აქცევენ, მიჰქრიან ზევით ქარის უმალესად.

შუა ღამე გადავიდა. მამალმა იყივლა და ზალიკა ირემაიშვილის მაჭასელამაც დაიქუხა. იშვა ახალი წელი და ფეხ-ბედნიერს ხალხი თოფების ცემით მიეგება. თოფების განუწყვეტელ გუგუნისაგან მთა-ბარი ზანზარებს. წმინდა ბასილის წვერებიც აივრიალდა. მამა-კაცები ანთებული თაფლის სანთლებით და ლამაზად გაწყობილ ჩიჩილაკებით სადგომ სახლებსა და ჭურ-მარნებს ლოცვით გარს უვლიან; კოსტად მოკაზმული დედაკაცები ჩამოლოცვის გათავების შემდეგ ხონჩებითა და ჩიჩილაკებით სახლში შემობრუნებულს მამა-კაცებს მხიარული კისკისითა და ხარხარით ეგებებიან და შაქრითა და კამფეტებით აბერებენ. ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი ყველა დიდს ზეიმსა და სიხარულშია.

გათენდა. ეკკლესიის მნათემ, სვიმონმა, დიდი ზარი რამდენჯერმე ნელ-ნელა ჩამოჰკრა, შემდეგ თან-და-თან მოუხშირა და ბოლოს პატარებიც ააკრიმანჭულა. სოფელში თოფების გრიალი შესწყდა და სადღესასწაულოდ მორთული ქალი და კაცი ეკკლესიისაკენ გამოემართა. კარგა ხანს აკრიმანჭულა სვიმონმა ზარები, უკანასკნელად ყველასი ზედი-ზედ ორჯერ თუ სამჯერ ერთად ჩამოჰკრა და ძირს დაუშვა. მან მხოლოდ ახლა შენიშნა სამრეკლოის ქვეშ მიწაზედ

დაყრილი საწყალი მათხოვრება. ერთი მათგანი წამომჯდარიყო და გაყინულს ხელებზე იორთქლავდა. დანარჩენებიც საცოდავად იშმუშნებოდნენ.

— აი გამოგაყრუეთ ჩემმა გამჩენმა! ამდენი ხანია ზარებს ვრეკავ და კიდევ არ გამოღვიძებიათ ამ ოჯახ დაქცეულებს! ეი, ბურდა,—ვითომ-და მიუთათრულა მათ სვიმონმა,—გედი, გედი! რას უყურებთ, თქვე ოჯახქორებო, აღარ წასვალთ, საცაა წირვა დადგება!

— გრისტიანი, ღმერდმანი, გრისტიანი!—ეუბნებოდა მნათეს საწყალი, თან პირჯვარს იწერდა.

— რომ გიჩივი, არ გეყურება? წადით-მეთქი აქედან! მამაო იოვანე, რამდენი ხანია ვეჩიჩინები ამ ოჯახქორებს, მარა არ იქნა, ჰეფერი გავაგოხე.

მიმართა სვიმონმა მომავალს თმა-ჭაღარა, კარგა ჩასუქებულს მღვდელს, რომელსაც უკან რამდენიმე გლეხი მოჰყვებოდა.

— უი, ბიძიავ! მაგათთან ტკბილი სიტყვებით რას გააწყობ! წუხელის შემომიცვივდნენ ეს უწმინდურები და, სანამ თითო-ოროლი ჯოხი ზურგში არ ვუთავაზე, ვერას გზით ვერ მოვიშორე თავიდან.

მამა იოვანემ გრძელი ყავარჯენი მოიმარჯვა და მწოლარე საწყლებს გადაუცხუნა. საბრალოები ზეზე წამოცვივდნენ, მხოლოდ ერთი მათგანი ადგილიდან არ დაძრულა და დასხეული ფარაჯის ქვემოდან მწარე კვნესა გამოისმა.

— წაბილწეს წმინდა ადგილი! ჭაიდა აქედან, თქვე უწმინდურებო!

— ბადონა, ბერზენი გრისტიანია, ღმერდმანი, გრისტიანი!—შეჰბღავლეს საწყლებმა მამა იოვანეს.

— უჰ, კარგად ვიცი, რაც ქრისტიანები ბრძანდებით! თათრებია, მ—მ—ები, სოფელ-სოფელ დაეთრევიან და ხალხს ატყუებენ «გრისტიანი, გრისტიანიო». ჭაიდა აქედან!

და მამა იოვანეს ყავარჯენი ხელახლად მაღლა აიმართა. თმაბურძგვნილმა პატარა ბიჭმა ფარაჯას ხელი დააფარა და რაღაცას საცოდავად შეჰბღავოდა, მაგრამ მამა იოვანეს ყავარჯენმა მალე წაა-

ლებინა მას უკან ხელი. ვისაც მუხლებში ცოტაოდენი ღონე კიდევ შერჩენოდა, მალე ზეზე წამოხტნენ და მუნჯულით ეკკლესიის გალავანს გაშორდნენ.

— თქვენ რაღას უყურებთ, ჭაიდა აქედან!—დაუყვირა მღვდელმა პატარა ბიჭს და მწოლარეს ფეხი წამოჰკრა.

მოხუცმა თავი წამოჰყო და რაღაც გაუგებრად დუდღუნი დაიწყო.

— ა, აღარ გეყოთ?!. გასწით თორემ...—და მღვდელმა ჯოხი ისევ მოუღერა,

მოხუცი მიჰხვდა, რომ იქ აღარ ედგომებოდა და კვნესით გარეთ გამობობღდა. პატარა ბიჭიც ავადმყოფს მამას გვერდით გაჰყვა.

— ერთი უყურეთ, რავა მიფორთხავს! ჩემი მაკურთხებლის მადლმა, ერთი-ორი ლაზათიანი ჯოხი რომ მივაყოლო ახლა იმას კოჭებში, მაშინ ნახავთ, რა ფეხის სიმარდე გამოიჩინოს. ასე ატყუებენ ქვეყანას ეს არა წმინდები!

— კი შენმა მადლმა!—კვერი დაუკრა მოძღვარს ზალიკამ.

— გუშინ საღამოს იყვნენ აგინი ჩემსას და სწორედ ასე დაფორთხავდა სახლის წინ, სანამ ფული არ მივეცი.

როცა საწყლები გალავნის კარებიდან გავიდნენ, მღვდელი ეკკლესიაში შევიდა და წირვას შეუდგა.

«შეიყვარე მოყვასი თვისი»...—კითხულობდა მღვდელი წმიდა სახარებას და ხალხი ზეცისადმი თვალებ-აპყრობილი და გულში-ხელების ცემით ღმერთს ცოდვების მოტევებასა სთხოვდა.

წირვაც გათავდა. ხალხი ეკკლესიიდან გამოიშალა და რაზმებად დაეწყო. აი დააგრიალა ერთმა რაზმმა თოფები, შემდეგ მეორემ, მესამემ და შედლუღის გრიალი გაზაფხულის ქუხილივით მთა-ველს გუგუნით მოედო. ყველა ერთმანეთს ახალ წელს ულოცავენ, ჰკოცნიან და კამფეტებსა და სხვა-და-სხვა ხილს უცვლიან...

კარგა ხანს მხიარულების შემდეგ ხალხი თოფების ცემითა და სიმღერით ეკკლესიიდან შინისკენ გაემართა. გამოსცდნენ თუ არა გალავნის კარებს, სიმღერა უცებ შესწყდა. მომღერლები თავს წაადგნენ საბრალო მათხოვრებს. პატარა ბიჭს მამისათვის ფარაჯა წაეხურა, თავით ამოსჯდომოდა და საცოდავად ზლუქუნებდა. ერთ-

მა გლეხმა ფარაჯა გადასწია და, რა დაინახა მიცვალებულის უკან გადატრიალებული, გადმოთეთრებული თვალები, ეკალ-ნაჩხვლეტივით უცებ ხელი უკან წამოიღო.

— უჰ! ქე არ მომკვტარა აი ვუბედური!

— ოჰ! დასტურ? დასტურ?

მოისმა აქეთ-იქიდან გლეხების გაკვირვებული ხმა.

— რაღა დღეს მოკვტა მაი ვუბედური, — უკმაყოფილოდ თავი გაიქნია მამასახლისმა, — ახლა პარტაკოლი, დამარხვა... სულ ხლაფორთი და დავიდარაბა! ჯანაბა მაგათ თავსა და ტანს, კაი დღესაც აღარ მოასვენებს კაცს!..

— მამაო იოვანე, აი ვუბედური მომკვტარა აგერ, — მიჭმართა მამასახლისმა მომავალს მღვდელს, — რა ვუყოთ, რავა უნდა დავმარხოთ?

მღვდელმა მიცვალებულის დანახვაზე სასოებით პირჯვარი გადაიწერა. მიცვალებულის ყელზედ მან სპილენძის ჯვარი შენიშნა და მამასახლისს უპასუხა:

— რაკი ყელზედ ჯვარი ჰკიდია, თათარი იყოს, გინდა ური, სულ ერთია, ჩვენ მაინც ქრისტიანული წესით უნდა დავმარხოთ. ჯერ შენ შენი მოვალეობა შეასრულე: პრატაკოლი შეადგინე და მიცვალებულს თავზედ ყარაული დააყენე, ცოდვაა, ძაღლებმა არ დაჭამოს. ზეგამდი რამენაირად მოუარეთ, ზეგ კი დავმარხოთ.

მაშინვე მწერალი მოიყვანეს და ოქმი შეადგინეს. შემდეგ მიცვალებული სამრეკლოს ქვეშ დაასვენეს. მამასახლისს უნდოდა ყარაული დაეყენებინა, მაგრამ ეს საჭირო აღარ დარჩა, რადგანაც საწყალი ობოლი უბედურს მამას თავიდან არ შორდებოდა.

**იასონ ნიკოლაიშვილი**

13 იანვარი 1897 წ.

დ. ძველი-სენაკი.

# გლეხი-კაცის ისტორია

## სამშობლოს განსაცდელი

### 1792

### ნაწილი მეორე

### ერკმან-შატრიანისა

### IV

დიდად გვასიამოვნა მარგალიტას წერრილმა და გულიც დაგვიამა. სულ მცირე რომ ვსთქვა, ასჯერ მაინც წამიკითხავს თავით ბოლომდე, რადგან ჩვენებურები ხომ იყვნენ და იყვნენ, და უცხოელნი უარესს მიშვრებოდნენ: ყოველი გამვლელ-გამომვლელი, ვინც კი ჩვენს დუქანში ჩამოხტებოდა, ერთი კი მოგვესალმებოდა და მაშინვე იმ წერილს მოიკითხავდა:

— მართლა, პატრონო ივანე, პარიზიდან თურმე ამბები მოგსვლიათ. რა სიკეთეს დაგვდებთ, რომ ჩვენც გაგვაგონოთ... ერთი ჩარექი წითელი ღვინო ჩამოასხი, ბიჭო!

და ნათლია-ჩემიც მაშინვე მე მომიბრუნდებოდა:

— გაიქე, მიხო, წერილი ჩამოარბევინე. ხომ იცი, ხატებს უკანა დევს.

დამსვამდნენ და თავით ბოლომდე, სულ უკანასკნელ სიტყვამდე წამაკითხებდნენ. გარს იმოდენი ხალხი შემომეხვევოდა, რომ ჰაერს მიხშობდნენ და სუნთქვას მიკრავდნენ. გულმოდგინედ ისმენდნენ ყოველ სიტყვას, ზოგჯერ ერთსა და იმასვე სამჯერ-ოთხჯერ მათქმევინებდნენ, ჰკვირობდნენ და თან გაუ-

*) „მოამბე“, № VIII, 1897 წ.

გებარ სიტყვებისას გვეკითხებოდნენ. კიდევ კარგი რომ ნათლია ჩემი იქ იყო და ის მიხსნიდა ხოლმე გაჭირვებიდან: ისე ახსნიდა და განმარტავდა ყოველ საგანს, თუნდა თავის დღეშიც არსად ჰქონოდა ნახული, მაგალითებრ კლუბებს, თეატრს და სხვას, თითქო პარიზში დაბადებულა და იქ აღზრდილაო.

ბოლოს, როდესაც კითხვას გავათავებდი და განცვიფრებული მსმენელნი თავთავიანთსას იტყოდნენ, წამოიშლებოდნენ, თავიანთ საქმეებს მიხედავდნენ და თან კი იმედიანად გაიძახოდნენ:

— საქმე პარიზია! ოღონდ კი პარიზელი პატრიოტები გამაგრდნენ და ჩვენ ვერავინ გაგვტეხავს!

დიდად გაამხნევა ქვეყანა მარგალიტას წერილმა და საჭიროც იყო, ღვთის წინაშე, ჩვენი გამხნევება: რაკი დარწმუნდნენ დიდებულნი თავად-აზნაურნი და ეპისკოპოსები, რომ საერო კრებაში ვერას გახდებოდნენ, რადგან მესამე წოდების წარმომადგენელნი შიგ კრიჭაში უდგნენ, ძალით განიზრახეს ბატონ-ყმობის შემოღება. მაგრამ საკუთარი ძალით კი არა! თითონ ვერა ბედავდნენ ბრძოლას—საშიშიაო!... ჩვენში უთანხმოებას და სიძულვილსა სთესდნენ, რომ ჩვენვე ამოგვეჟლიტა ერთმანეთი. და თუ ესეც არ იკმარებდა, გერმანელებს მოიშველიებდნენ. ნანსში უკვე სცადეს ეს ხერხი და ერის მცველ ჯარს, მილიციას ხალხი აჟლეტინეს. ეს პირველი ცდა იყო და ახლა ეპისკოპოსები მეორეს გვიმზადებდნენ, უფრო საშინელს, რადგან შუღლსა და სიძულვილს სთესდნენ პატრიოტებსა და ღვთის მმოსავ ხალხის შორის; ჩვენი სარწმუნოება იმას გვიბრძანებს, საუკუნო განსვენებას საიქიოს ვიმზადებდეთ და... დახეთ პატრიოტებს! იმათ სააქაო ურჩევნიათ საიქიოსაო! რად გინდათ სულით ხორცამდე დაღუპვა და საუკუნო სასჯელი?! ვისაც საეკკლესიო მამულები გიყიდნიათ, ისევ ეკკლესიას დაუბრუნეთ, რათა მოგეტევენენ შეცოდებანი თქვენნიო...

აი რა ნიადაგზედ აღორძინდა ჩვენი ისტორია. მაგრამ ამას თქვენ უკეთა ნახავთ.

გიორგობისთვის გასულს 1790 წ., კალიასავით შემოგვესივნენ ბერები. გვიკვირდა, რადგან დარწმუნებული ვიყავით გაი-

ხიზნენო და ისინი კი ძველებურად ნავარდობდნენ სოფელ-სოფელ. ფალსბურგელი მამა გასპარი, ბერ-მონოზანი როოსი და სხვ. და სხვ., რომელნიც აგერ ექვსი თვე სრულდებოდა ჩვენ სამძღვარ გარედ გვეგონნენ. იმავე დროს ძველი წეს-წყობილების მომხრე მღვდლებმაც თავი წამოყვეს და გახარებული მიდი-მოდიოდნენ მთელს ჩვენს მხარეში. ნეუვილლერში, ანრიდორფში, სავერნში და ბევრგან სხვაგან კრებები ჰქონდათ. ვხედავდით, რომ რაღაცას გვიპირებდნენ, რაღასაც გვემუქრებოდნენ, მაგრამ რას, როგორ? არავინ-რა იცოდა. ჩვენც რასაკვირველია ფთხილად ვიყავით, მეტადრე ისინი, ვისაც საეკკლესიო მამული ჰქონდა ნაყიდი.

— ხომ გაიხიზნენ, და... რაღად დაბრუნდებოდნენ, თუ ავი არა სწადიანთ-რა!—გაიძახოდა ხალხი და გულის ფანცქალით ელოდა ხვალინდელ დღეს.

უცბად ხმა გავარდა, საერო კრებას დიდი ბრძოლის შემდეგ დაუდგენია, რომ მღვდლებმა ერთგულება უნდა შეჰფიცონ კონსტიტუციას, თუ არა და გადაეგნენო.

აი რამ გამოიწვია ეს გარდაწყვეტილება:

რაკი დარწმუნდნენ ეპისკოპოსები, რომ საეკკლესიო მამულებს ხელთ ველარ იგდებდნენ, რადგან რომ ეთქვათ რამე, ყველა ეტყოდა: დალოცვილებო სულ საიქიოს გაიძახით და სააქაოს კი შავი მიწის გულისთვის ლამის სისხლი ჰღვაროთო! ადგნენ და სხვაფრივ მოაგვარეს საქმე: წინადადება შეიტანეს, რომლითაც ითხოვდნენ, საერო კრებამ კათოლიკეთა სარწმუნოება საფრანგეთის საერო სარწმუნოებად აღიაროსო. საერო კრება რომ ამ მახეში გაბმულიყო, მაშინ ორი მეფე გვეყოლებოდა: ხორციელი პარიზში და სულიერი რომში. მაგრამ კრებამ უარ-ჰყო, რადგან „ადამიანს სულიერ მეფედ ღმერთიც ეყოფა, რომელიც ყველაფერს ხედავს, ყველაფერსა სჯის და არ ჰსაჭიროებს თავის სამაგიეროდ სხვა დააყენოს ვინმე სულიერ მეფედ“.

ამ პასუხზედ იმისთანა ბრიყვული ლანძღვა-გინება და მუქარა თურმე შექნეს ეპისკოპოსებმა, რომ საერო კრებამ დაადგინა: დღეიდან ეპისკოპოსებსა და მღვდლებს თვით ხალ-

ხი ირჩევდეს, როგორც ქრისტიანობის პირველ ხანებში ყოფილაო.

წარმოიდგინეთ, რა გაბრაზებულნი იქნებოდნენ ეპისკოპოსები! კარდინალი როანელი, არხიეპისკოპოსი ტრეველი და მრავალნი სხვანი წარჩინებულნი პირნი ეკკლესიისა წინააღუდგნენ ამ დადგენილებას და დასწყევლეს მის დამდგენელნიც და აღმსრულებელნიც. მღვდლებს ისევ თითონვე ნიშნავდნენ და სწორედ იმ დროსვე დაბრუნდნენ სამზღვარ-გარეთ გაპარულნი ფალსბურგელი მ. გასპარი, აგენოელი მ. ბარნაბე, მოლსეიმელი მ. ჟანვიე, შლესტატელი მ. ტიბერი, ბერ-მონოზანი როოსი, ანდელოელი მ. ოლცერი და ბევრნი სხვანი. შემოესივნენ ისევ საფრანგეთს და იმოდენი წვრილ-წვრილი წიგნაკები მოჰფინეს ხალხში, რომ იმოდენი ფოთოლი არ დასცვივა შემოდგომას ჩვენს ტყეს. ეს **აპოკალიფსით**, ეს **საერო გულთამხილავით**, ეს **წამება ლუი XVI-სათ**, ეს **ფიქრები ბ. ბურკისა რევოლიუციას შესახებათ!** ხალხში ასობით და ათასობით ავრცელებდნენ ამ პატარა წიგნაკებს, რომლებშიაც სულ იმასა სწერდნენ, რომ საერო კრებამ ქვეყანა დაღუპა, ხარჯს ნუღარ მისცემთ, რადგან სამეფო ბედ-იღბალს ურიები და პროტესტანტები-ღა განაგებენო! განა არ გვირჩევნია ერთს მეფეს ვემსახურებოდეთ, თუნდა ჰკუათხელიც იყოს იგი, ვიდრე თორმეტჯერ ასს ყაჩაღსაო? განა ცხადი არ არის, რომ ადამიანის უფლებათა აღიარება მტკნარი თვალთ-მაქცობა არისო? ასსიგნაციები ისე დაეცემიან ფასში, რომ აღარ ღირდნენ არცა ჩალადაო და სხ. და სხ. ერთი სიტყვით, ყოველგვარი ცილის-წამებით სარგებლობდნენ, რომ ქვეყანაში სასოწარკვეთილება და მით შუღლი ჩამოეგდოთ.

იმავე დროს სამხრეთ საფრანგეთში კვლავ დაიწყეს ხალხის ჟლეტა და საერო კრებაც დარწმუნდა, რომ თუ საღსარს არას იღონებდა, საუკუნოდ აირევოდა საფრანგეთის ეროვნება; და ამიტომ დაადგინა, მღვდლები და ეპისკოპოსები კონსტიტუციას ერთგულებას შეჰფიცვენ... ამით მაინც ვაიძულებთ მღვდლებს უთანხმოების მაგივრად საზოგადო სიყვარულს ჰქადაგებდნენო.

მაგრამ უნდა გენახათ, რა ამბავი ჰქონდათ ქალებს! აბა მაშინ დარწმუნდებოდით, რომ ქვეყნის წარმატება ქალების ხელში ყოფილა! გათენდებოდა და ბერი ბენედიქტეც გამოჩნდებოდა თავისი ჯორით. მოდიოდა, თან გულში ხელს იცემდა და მოსთქვამდა:

— დიაღ, ახლა კი ცხადადა სჩანს, რა უფსკრულში ჩავარდა ჩვენი წმინდა ქვეყანა! სულს აქეთ აღარა შეგვარჩინესრა, წაგვართვეს, რაც კი მონასტერში მიბარებული გვქონდა რამე. მერე ვისი მობარებული? საწყალი, ღარიბ-ღატაკი ხალხის მობარებული — თქვენ უკეთ შეგვინახავთ წმ. მონასტერშიო! წაგვართვეს, დაგვლუპეს, მაგრამ რა გვეთქმოდა? ვიყავით ჩვენთვის გაჩუმებულნი!.. ალბად ღვთის ნებააო, ვიძახდით და პირჯვარს ვიწერდით! მარაგმ ესეც არ იკმარეს იმ ღვთისა და ქვეყნის მტრებმა! მამულები ხომ წაგვართვეს და გაგვიყიდეს და ახლა მოგვდგომიან, სულიც უნდა წაგიწყმინდოთო!

და თან ქვითინებდა, მდუღარე ცრემლს იწმენდდა და გულამოსკვნილი მოსთქვამდა:

— უნდა წავწყმინდოთ! ქვეყანა უნდა წავწყმინდოთო!

ნათლი-ჯალაბი ეკატერინე, ლეტუმიეს ცოლი და ერთობ ყველა ქალები გაიგონებდნენ თუ არა იმის მოთქმას, გავარდებოდნენ, გარს შემოეხვევოდნენ, ხელს ცისკენ აღაპყრობდნენ და რაღასაც მოსთქვამდნენ ბერის სანუგეშოდ.

სწორედ იმავე დღეს გამოიარეს ჩვენ სოფელში მ. ჟანვიემ და სხვა ბერებმა და ყველანი ბერი ბენედიქტესავით მოსთქვამდნენ და პირს იხოკდნენ. ვალენტინი ძალიან შესწუხდა; იდგა შუა სამჭედლოში და იძახდა: მეფე თავის დღეში არ ინებებს, რომ სულიერი მამანი საერო კრებას დაუმორჩილოს!.. მეორედ მოსვლაა რაღა! მაგრამ მოიცადონ! ციდან ანგელოზთა გუნდი ჩამოვა და ვაი იმ მღვდლის ბრალი, რომელიც გაბედავს და საერო კრებას ერთგულებას შეჰფიცავსო! ახლომახლო სოფლები — მიტტელბრონი, კატრვანი, ბიშელბერგი და სხვანი ვალენტინისა და ჩვენი ქალების თვალით უყურებდნენ საქმეს, რადგან საკუთარი მსჯელობა ჯერ არც კი გაჰღვიძე-

ბოდათ და სულ ყველაფერს ისე სჯიდნენ, როგორც ბერები ჩასძახოდნენ.

თითონ ნათლია-ჩემიც კი ცუდ გუნებაზედ იყო. სადილს უკან, როდესაც თვალცრემლიანი ნათლი-ჯალაბი გარეთ გავიდა, ნათლია-ჩემი ჩემკენ წამოვიდა, კარგა ხანი მიყურა და მერე მკითხა:

— შენა, მიხო, შენ რაღას იტყვი?

— მე იმას მოგახსენებთ, ნათლია-ჩემო, რომ თქვენს შეშინებასა ცდილობენ ბერები — უნდათ შეაშინონ, ვისაც კი საეკკლესიო მამულები უყიდნია და ისევ ხელთ იგდონ. განა არა ხედავთ, რომ ეს ბერები ჭეშმარიტი სულიერი მამანი არ არიან და მარტო თავიანთ საქმეებს ირიგებენ? ჭეშმარიტი სულიერი მამანი მარტო სოფლის მღვდლები არიან, რადგან ჭეშმარიტად ეკკლესიასაც და ხალხსაც მარტო ისინი ემსახურებიან; იმათ არც სიცხის დარიდება იციან, არც სიცივის და უგზოობისა და სულ ფეხით დადიან ჩვენს მთებში, რომ უნუგეშოდ არ დასტოვონ ის უბედურნი, რომელთაც თავისი დღენი ბატონთათვის უმუშავნიათ. და თითონ კი შიმშილის მეტი არა უნახავთ-რა. ვინ განიკითხავს ყველასაგან ჩაგრულს ჩვენს ხალხს, თუ არ სოფლის მღვდელი? და სწორედ იმ დროს, როდესაც ეკკლესიისა და ხალხის ერთგული მსახური სოფლის მღვდელი ცარიელი ჭადითაც კი ძლივს იძლობს კუჭს, ჩვენი უქნარი ბერები სულ ქეიფსა და დროს გატარებას უნდებიან. აღარც ღვთისა რცხვენიათ, აღარც ერისა და დაურიდებლივ ლოთობენ და მრუშობენ, თითქო ბერად იმისთვის შემდგარან, რომ უფრო ხარბად და დაურცხვენლად დასწაფებოდნენ ყოველ მიწიერ სიტკბოებას. ახლა კი, რადგან იმათ მამულები გაუყიდეს და სოფლის მღვდლებს ჯამაგირი დაუნიშნეს, გიჟები იქნებიან სოფლის მღვდლები რომ საერო კრებას უმტყუნონ და თავი გასწირონ ბერებისთვის და იმ ეპისკოპოსებისთვის, რომელთაგან შეურაცხყოფის და დაჩაგვრის მეტი არა მოაგონდებათ-რა. როცა მოხდებოდა ხოლმე და ვინმე მღვდელს ეპისკოპოსობა ეღირსებოდა, სხვა ეპისკოპოსები მასხარად იგდებდნენ

და უკადრისობდნენ—ჩვენ ჩვენს ყმას გვერდზედ არ მოვისვამთო! მე დარწმუნებული გახლავართ, რომ ყოველი მღვდელი, მღვდელი რომელსაც საკუთარი თავი და თავმოყვარეობა აქვს, კონსტიტუციას ერთგულებას შეჰფიცავს და, თუ გამოჩნდა ვინმე და უარი განაცხადა, ეგ დაუნდობელი ეპისკოპოსის შიშით მოუვა და არა იმ რწმენით, რომ მღვდელი ეპისკოპოზს ემსახურება და არა ხალხსაო.

დიდი სიამოვნებით მისმენდა ნათლია-ჩემი. მხარზე ხელი დაამადო რომ გავათავე და მითხრა:

— იცი, მიხო, მართალი სთქვი, რაცა სთქვი! ჩვენდა საუბედუროდ ხალხი და მეტადრე ქალები უსწავლელი და განუვითარებელნი არიან. ჩვენ მარტო ის-ღა შეგვიძლიან, რომ პატრიოტებს მივემხროთ და თუ ღმერთი გაუწყრათ ბერებს და კონსტიტუციის წინააღმდეგ გაბედეს რამე, ჩვენც მაგრა დავდგეთ და ღირსეული პასუხი გავცეთ.

სწორედ ამ დროს შემოვიდა ნათლი-ჯალაბი და ახლა იმას მიმართა ნათლია-ჩემმა:

— იცი, ეკატერინე, თუ კიდევ დაგინახე აგრე დაღვრემილი და დაღრეჯილი, წავალ და რაც პიკშოლცში მამული ვიყიდე, ისევ მონასტერს შევწირავ. ერთი კალთა ფული ჩავყარე იმ ოხერში, დეე ფულიც დაიკარგოს და მამულიცა! მართალია, სრულიად გავღატაკდებით და ბერი ბენედიქტეს სასაცილოდ გავხდებით, მაგრამ შენ მაინც აღარა გნახავ აგრე დაღრეჯილს.

ძალიან გაჯავრებით უთხრა და ნათლი-ჯალაბიც მაშინვე სამზარეულოში გავიდა, რადგან კარგად იცოდა, რომ პასუხად სამართლიანს ვერას ეტყოდა.

განა იმისთანა ოჯახსა ნახავდით სადმე, რომ იგივე უთანხმოება და უსიამოვნება არა ყოფილიყო აღძრული, რაც ნათლია-ჩემის სახლში იყო? ჩვენსა უარესი იყო. საღამოზე შინისკენ რომ გავწევდი, წინადვე ვიცოდი, რას მეტყოდა დედა-ჩემი, როგორ გამიმეორებდა ბერების ნაქადაგევს. დედა-ჩემს იმათი მხარი ეჭირა, ვინც ასე ულვთოდ ეკიდებოდა გლეხ-კაცს.

სულ იმას მიძახდა, რომ უკუნითი უკუნისამდე გეენაში იქნები შთანქმული, რადგან არ გინდა აღიარო, რომ საერო კრება მარტო ურიათაგან და მწვალებელთაგან შესდგება, რომელთ წადილი ღვთისა და სარწმუნოების უარ-ყოფა არისო. მწყევლიდა, მლანძღავდა, მაგრამ რას ვეტყოდი? დიდი ხანი იყო, რაც გადავწყვიტე, დედი-ჩემისაგან ყოველიფერი მომეთმინა და ხმას არ ვიღებდი. მამა-ჩემიც თავ-ჩაქინდრული მუშაობდა და ხმის ამოღებას ვერა ჰბედავდა. საბრალო მამაჩემი!

გავიდა რამდენიმე დღე. საერო კრებამ დაადგინა: მღვდლები, ეპისკოპოსები და არხიეპისკოპოსები ამ დადგენილების გამოცხადების დღიდან პირველსავე კვირა დღეს წირვის შემდეგ დაიფიცავენ, რომ „ერთგულად ემსახურებიან ერს, კანონს და მეფეს; დაუზარებლივ აღასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამწყსოსადმი და ყოველი ღონისძიებით ეცდებიან კონსტიტუციის დამყარებას". დაიფიცავენ ეპისკოპოსები და უმაღლესი პირნი საეპისკოპოსო ტაძრებში და მღვდლები თავთავიანთ ეკკლესიაში, მამასახლისის, ნაცვალის და სოფლის სხვა მოხელეთა და სამწყოს წინაშე; ყოველი მღვდელი ორის დღის წინად გამოუცხადებს მამასახლისს და სამწყსოს, რომ კონსტიტუციისადმი ფიცს დასდებს თავის ეკკლესიაში; ვინც დანიშნულ ვადაზედ ფიცს არ დასდებს, გადაყენებულ იქმნება და მის ნაცვლად თანხმად კონსტიტუციისა ამორჩეულ იქმნება სხვა.

მოუთმენლად ველოდით მომავალ კვირას, რომ გვენახა ჩვენი მღვდლებთაგანი ვინ დაიფიცავდა და ვინ არა. და მანამ კი ბერები უფრო და უფრო გაფაციცებულნი დაძვრებოდნენ და ყველგან არეულობას და მომავალის შიშსა სთესდნენ. მაგრამ ყველანი ხედავდნენ, რომ დიდებულთ და სასულიერო წოდებას უკანასკნელი ღონისძიებისათვის მიემართათ, რომ დაკარგული დიდება და ქონება კვლავ მოეპოვათ და რადგან იმათი გამარჯვება არავის უნდოდა, უფრო და უფრო ერთდებოდნენ მოქალაქენი, მუშები, ჯარის-კაცნი და გლეხ-კაცნი. ვისაც კი თავისი ქვეყანა უყვარდა და სამშობლოდ საფრანგეთი მიაჩნდა და არა დიდებულთა და ეპისკოპოზთა ბატონობა,

ყველა ერთად იყო და თავისუფლების მოსაპოვებლად ემზადებოდა.

ნათლია-ჩემმა მიბრძანა, ლუტცელბურგს მოგვიხდება წასვლა, მინდა მამა ქრისტეფორე ვნახო... აქამდე ჩვენი აზრისა იყო მცონარე ბერების შესახებ და მგონი ეხლაც არ გვიმტყუნოსო.

ამას იმიტომ ამბობდა, რომ ხმა გავარდა, მღვდელს ერთს ვერ იპოვიან, ერთს, რომ სულზედ ხელი აიღოს და კონტიტუციას ერთგულება შეჰფიცოსო. ჩვენც ეჭვი შეგვეპარა. მაგრამ მამა ქრისტეფორე პატიოსანი, ჭკვიანი კაცი იყო და უპირველეს ყოვლისა თავისი ვალდებულება გააჩნდა. ხუთშაბათს, 3 იანვარს 1791 როდესაც გარეთ საშინელი თოვლი მოდიოდა და ჩვენ გაჩქარებულნი ვმუშაობდით სამჭედლოში, უცბად კარი შემოაღო მამა ქრისტეფორემ თავისი ძველი ანაფორით და უშველებელი ქოლგით. შემოაღო კარი და შემოგვძახა:

— გამარჯვებათ თქვენი! რა თოვლია ეს დალოცვილი, ესა! თუ არ გადაიღო, ამაღამ ერთ ადლზედ მეტს დასდებს.

— მობრძანდი, მამაო! — შესძახა ნათლია-ჩემმა და ჩაქუჩი იქით გადასდო.

— რაღა დროსია, შე კაი კაცო, აგერ საცაა შებინდდება. ქალაქს ვიყავი, გამოვაცხადე, კვირას დავიფიცავ-მეთქი და არ მინდოდა ისე გამევლო, რომ შენთვისაც არ შემეტყობინებინა. იქნება მოახერხოთ და ამოიაროთ შენ და მიხომ; ძალიან მასიამოვნებთ.

— მაშ დაიფიცავ, მამაო?

— დიაღ, კვირას, წირვა რომ გამოვა. ღამე მშვიდობისათ, გარეთ სტეფენი მელის. კვირასა ვთქვათ დანარჩენი.

ნათლია-ჩემიც თან გაჰყვა და მე კი ვალენტინს გადავხედე, რომელიც ისე იდგა, თითქო უცბად მეხი დაეცა და პირის მოკუმაც კი ვეღარ მოასწროვო: სახე გაგრძელებოდა, თვალები დარგვალებოდა და გაშტერებული რაღასაც გასცქეროდა. ჩემს კმაყოფილებას კი საზღვარი არა ჰქონდა. გარეთაც სიამოვნებით ბაასობდნენ მ. ქრისტეფორე, ნათლია-ჩემი და სტეფენი.

ბოლოს ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, და ის იყო უნდა გზას გასდგომოდნენ, რომ მ. ქრისტეფორემ შემომძახა:

— უთუოდ უნდა ამოხვიდე, მიხო, შენი იმედი მექნება.

— აკი არავინ დაიფიცავსო?—შემოგვძახა ნათლია ჩემმა.—მე კი იმ თავითვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯერ ღვთის მადლით, მრავლად მოიპოვებიან საფრანგეთში იმისთანა კაცები, რომელთაც თავში ტვინი აქვთ და არა ბზე და, მაშასადამე, ჩვენკენ იქნებოდნენ და არა იმ მუქთახორა მცონარეებისკენ, რომელთაც დაუჯინიათ: ჩვენ ბატონები ვართ, ქვეყანა და დიდება ღმერთს ჩვენთვის მოუნიჭებია და გლეხი-კაცი და სხვა საქონელი კიდევ იმიტომ გაუჩენია, რომ ჩვენთვის იმუშავონო! იმას ხომ აღარ ამბობენ, რომ ყველანი ადამის შთამომავალნი ვართ და, მაშასადამე, თანასწორად დიდებულნი.

როდესაც კარგ გუნებაზე იყო ნათლია-ჩემი, აღარას დაინდობდა და იქამდე მიაღწევდა ხოლმე, რომ სულელსა და რეგვენს უწოდებდა, ვინც რაიმე აზრში იმას არ ეთანხმებოდა. მე კი გაზვიადებული ყველა მეჯავრებოდა, მეტადრე ჩვენი ძველი ქარგალის გამო, რომელიც ხმას არ იღებდა, მაგრამ გულში კი ძალიან ბრაზობდა. აშკარადა სჩანდა, რომ მოთმინება ელეოდა და მეტს ვეღარ აიტანდა. ვიცოდი, რომ დაუნდობელი ნათლია-ჩემი ერთხელაც იქნებოდა ძალიან აწყენინებდა, ისიც ვეღარ მოითმენდა, პასუხს გასცემდა ოსტატს და აირევოდა იქაურობა.

იმ საღამოს ამგვარი არა მომხდარა-რა, რადგან ნიკოლი დროზედ მოვიდა და ვახშმად წაგვიყვანა; ჩავიცვით და ჩვეულებისამებრ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. მეორე დღეს გავიგეთ, ფალსბურგელ მღვდლებს იოტს და იმმელს ჯერაც არ გამოუცხადებიათ დაფიცებაო; ფალსბურგში მდგომ რაზმის მღვდელს კი გამოეცხადებინა, კონსტიტუციას ერთგულებას შევფიცავო. სალაპარაკოდ ეს-ღა გვქონდა. კვირას დილა ადრიანად გავსწიეთ ლუტცელბურგისკენ ნათლია-ჩემმა, მე, ლეტუმიემ, კოშარმა და ბევრმა კიდევ სხვა პატრიოტებმა.

აღარა თოვდა. პატარა ეკკლესია სავსე იყო ხალხით, რომელიც მთიდან ჩამოსულიყო, რომ ფიცისთვის ეყურებინა. ამ-

ბობდნენ, ბერებს შეუგულიანებიათ ხალხი და ვაი თუ ავი ჩაიდინონ რამეო, მაგრამ მთელი ქვეყნის ბერებიც რომ შესდგომოდნენ, ეს მთიულები თავიანთ საყვარელ მამა ქრისტეფორეს არ უღალატებდნენ, რადგან ყველასაგან დიდად პატივცემული კაცი იყო, ესეც რომ არა ყოფილიყო, მამა ქრისტეფორეს ძმა მატერნი და რამდენიმე კიდევ სხვა იმის ნათესავი ჩამოსულიყო დაგსბურგიდან და სულ იმისთანა მოსხვეპილი ბიჭები იყვნენ, რომ იმათი შიშით ვერავინ რას გაბედავდა. დიაკვანთან იდგნენ და გალობდნენ ყველანი. ყველაფერი რიგიანად იყო. მამა ქრისტეფორემ წირვა გამოიყვანა და შემდეგ ცოტაოდ წინ წამოდგა, ხელი ცისკენ აღაპყრო და მაღალი ხმითა სთქვა, რომ ყველას ჰსმენოდა:

— ვფიცავ ერთგულად ვემსახურო ჩემს სამწყსოს და კეთილ სინიდისიერად მივუძღოდე მას სიმართლის გზაზედ. ვფიცავ ერთგულად ვემსახურო ერს, კანონს და მეფეს. ვფიცავ, ყოველი ღონისძიება ვახმარო კონსტიტუციის დასამყარებლად და სახელდობრ იმ მუხლისა, რომელიც სამღვდელოებას შეეხება.

ხალხი დაიშალა და ეკკლესიაში ჩვენა და მამა ქრისტეფორეს ნათესავები-ღა დავრჩით. გარეთ წესიერება არავის დაურღვევია. ცოტა ხანს უკან ჩვენც გამოვედით ეკკლესიიდან და ყველანი მამა ქრისტეფორემ მიგვიწვია.

— აი რა რიგიანად გათავდა ყველაფერი, — უთხრა გზაში ნათლია-ჩემმა. — გვიანღაა, ეხლა ბერები ვეღარას გააწყობენ.

მამა ქრისტეფორე ჩაფიქრებული იყო.

— ჯერ კიდევ იქნება დიდ განსაცდელში ჩავვარდეთ, ვინ იცის? საქმე ის არის ჩვენ ჩვენს მოვალეობას არ ვუმტყუნოთ.

მამა ქრისტეფორემ აკურთხა სუფრა. დავსხედით და სადილი ისე გავათავეთ, რომ ხმა არავის ამოუღია. მამა ქრისტეფორეს დედა ნამტირალევი იყო და ჩვენც დავღონდით. სადილი რომ გავათავეთ, ის გარეთ გავიდა და მამა ქრისტეფორემ გვითხრა:

— ხედავთ! აი უბედურების დასაწყისი, აი დედა-შვილთ შორის უთანხმოების და სიძულვილის ჩამოგდება. დღეს აქ არის

ხვალ მთელ ქვეყანას მოედება და ოჯახს ვეღარა ნახავთ, რომ იგივე უთანხმოება არ უთხრიდეს ძირს! საწყალი დედა-ჩემი! ტირის, რად დაიფიცეო. უბედურება არ არის? ბერებს უფრო მეტი გავლენა ჰქონიათ დედა-ჩემზედ, ვიდრე მე და მე დალუპული, სულით ხორცამდე წაწყმენდილი ვგონივარ. რა ვქნა? რა ვუთხრა?

— ეჰ, კარგი ერთი! — შეჰყვირა იმედიანად წათლია-ჩემმა. — ჩემი დედა-კაცი უარეს დღეს მაყენებს. რა ვუყოთ? ცოტა ხანი კიდევ და მაგასაც ბოლო მოეღება. ბერებს იქითვე გავისტუმრებთ, საიდანაც მობრძანებულან და ჩვენი ქალებიც თვალს აახელენ და ჭეშმარიტებას დაინახავენ.

მაშინ მამა ქრისტეფორემ იმისთანა სიტყვა სთქვა, რომ ჩემს დღეში აღარ დამავიწყდება:

— არც აგრე ადვილად, როგორც შენ ამბობ, ჩემო ივანე, რადგან ჩვენი ბერები და ეპისკოპოსები ქვეყანას დაღუპავენ და თავიანთ საკუთრებას და უპირატესობას კი არავის შეაწევენ. გვიკრძალავენ, კონსტიტუციას ერთგულებას ნუ შეჰფიცავთო, რადგან კონსტიტუციამ იმათ სწორედ ის წაართვა, რაც მათ სარწმუნოებაზედაც კი უფრო ზევით აყენებდა. განა კონსტიტუცია ეწინააღმდეგება რაშიმე წმინდა სახარებას? არა! და თითონაც კარგად იციან, რომ კონსტიტუცია ყველაფერში ეთანხმება ჩვენს სარწმუნოებას. აგერ თვრამეტი საუკუნე სრულდება მას შემდეგ, რაც იესომ დაადგინა სამღვთო და უწმინდეს კანონებად ის, რასაც დღეს კონსტიტუციამ „ადამიანის უფლებათა აღიარება" უწოდა. იესომ ბრძანა: გიყვარდეთ ერთმანერთი, რადგან ძმანი ხართო... გაჰყიდეთ, რაც რამ გაბადიათ, ფული გლახაკთ დაურიგეთ და მე შემომიდექითო. ჩვენი ბერები კი გაყიდვის და დარიგების წილ, სულ მეტისა და მეტის სიმდიდრის მოხვეჭასა ცდილობენ. იმის მაგივრად რომ კაცთა შორის თანასწორობის შემოღებას ცდილიყვნენ, ისინი სულ მეტისა და მეტის უპირატესობის შეძენას ცდილობდნენ. იმის წილ რომ ცდილიყვნენ და დაემყარებინათ ნება ღვთისა ქვეყანასა ზედა, ვითარცა ცათა შინა, სულ იმის ცდაში იყვნენ

რომ თავიანთი მოძმენი დაემცირებინათ და დაეჩაგრათ სულითაც და ხორცითაც. იმათ ისა სწყინთ, რომ კონსტიტუცია სახარების განმეორებაა. ისინი ცოცხალნი იყვნენ და მღვდლებსა და ეპისკოპოსებს ხალხი ირჩევდეს?! ხალხი რომელიც სათნოებით არის სავსე და თავის მოძღვრადაც მარტო პატიოსანს და გაურყვნელს მუშაკს აირჩევს, როგორადაც ქრისტიანობის პირველ ხანებში იყო ხოლმე?! ის არ ურჩევნიათ პომპადურისა და იმისთანავე უნამუსო ქალებისაგან მიიღონ ადგილები, რომელთათვის კაცი მარტო მაშინ არის ღირსეული, როდესაც ლამაზია, კოხტა, კარგი გვარის შვილი, კარგი მოლაპარაკე და კარგი არშიყი. უნამუსო ქალების წყალობით არის ნაკურთხი კარდინალი როანელი და მრავალნი სხვანი, რომელნიც არცხვენენ და საუკუნოდ ჩირქად შერჩებიან ჩვენს ეკკლესიას. განა იმათ ხალხი აირჩევდა? აირჩევდა კი არა, პანღურის-ცემით გახეთქავდა, რადგან გული აერევოდა ყოველს პატიოსან კაცს იმათ დანახვაზე. მაშ რა თვალით შეხედავენ როანელები კონსტიტუციას, რომელიც ამტკიცებს დღეის შემდეგ დევნილ იქნებიან უღირსნი და უნამუსონიო?! რა თვალით შეხედავენ როანელები კონსტიტუციას, რომელიც ამტკიცებს ხალხის ბედი ხალხის ხელთ იყოს და როგორც ენებოს, ისე განაგოს თავისი საქმენიო?! ჰგრძნობენ, რომ იმათ ბატონობას ბოლო მოეღო, რომ იმათ თავისი გაათავეს, და ახლა სამართალი და კანონი-და განაგებს ქვეყანას. თუ ღმერთმა ინება და მღვდლები, უბრალო სოფლის მღვდლები, რომელნიც ბერებს მასხარად ჰყავდათ აგდებული, კონსტიტუციას მიუდგნენ და თავთავიანთ სამწყსოში ქადაგებით შეაგნებინეს ხალხს ახალი წეს-წყობილების ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა, მაშინ აღარა გვიჭირს-რა და კონსტიტუცია ურყეველ საფუძველზე იქნება გამაგრდებული. ამით აასრულებს მღვდელი თავის დანიშნულებას, ამით ემსახურება იგი ამ ქვეყნად ქრისტეს მცნების დამყარებას და ყველასაგან პატივცემულიც ამით იქნება. აბა მაშინ გაბედონ ქვეყნის დამღუპველმა ბერებმა და ის ჩაიდინონ, რასაც დღეს ჩადიან! მაშინ თვით მღვდელი შეებრძოლება მათ და

მღვდელთან ერთად მთელი ერიც! აბა მაშინ შემოვა ჩვენში ის ცვლილება, ის დიდებული რევოლიუცია, რომელიც თვით იესომ დაიწყო ჯვარცმულმა. რად ინდომებენ ამას ბერები? იმათი სანატრელი ეხლა ის-ღა არის, რომ ჩვენში უთანხმოება ჩამოაგდონ და ერთმანეთს წაგვკიდონ. და სწორედ იმ დროს, როდესაც ძმა ძმაზე გალესავს იარაღს და აიერევა ქვეყანა, სწორედ იმ დროს შემოგვესევიან სამზღვარგარეთიდან გახიზნულები და თან უცხოელ ჯარებს შემოგვისევენ — პრუსიელებს, ავსტრიელებს, რუსებს, რომ იმათი დახმარებით დასთრგუნონ სახარების სიტყვაც და ადამიანის უფლებანიც, დაიბრუნონ დაკარგული უპირატესობა და დიდება და ისევ უღელში შეგვაბან! იმათ ამის მეტი არა უნდათ-რა! ასე თვალთმაქცურად სამშობლოს მტრობას ისინი პოლიტიკას ეძახიან. ისიც ვინა? ის სულიერი მეუფენი, რომელნიც გაიძახიან: ქრისტეს მოადგილენი ვართ ამ ქვეყნადაო! განა ქრისტემ პოლიტიკა იცოდა?! იმას რომ პოლიტიკა სცოდნოდა, განა ხალხს მიუდგებოდა და წამებული და ჯვარცმული იქნებოდა? განა ისიც, მეფე დავითის შთამომავალი, მეფეებს და დიდებულთ არ მიუდგებოდა ხალხის წინაალმდეგ?! განა ისე გაისტუმრებდა სატანას ამპარტავნებისას, რომელიც ეუბნებოდა: გადახედე ამ ქვეყანას... სულ შენი იქნება ეს სოფლები, ეს მთები, ეს მდინარენი, თუ მუხლს მოიდრეკ ჩემს წინაშეო! სად იყო მაშინ რომანელი? მუხლს მოიყრიდა კი არა, სულ ფოფხით მივიდოდა სატანასთან და ფეხებს გაულოკავდა. ჩვენთვის ტანჯულს კი არავითარი პოლიტიკა არა ჰქონდა და მეც, ერთი უბრალო სოფლის მღვდელი, იმის მცნებას და მაგალითს მივდევ და არა დიდებულ ეპისკოპოსების მაგალითს, რომელნიც ისე სცხოვრობენ და იმისთანა საქმეებს სჩადიან, რომ ქრისტიანი კი არა, ურჯულოც არ იზამს. დიაღ, მე ხომ ერთი უბრალო მღვდელი ვარ და ჩემს დღეში სახარებას არსად ვუმტყუნებ და ჩემი ქვეყნის მტრებს არ შევევედრები: მოდით, ჩემი სამშობლო აიოხრეთ-მეთქი!

თავით-ფეხამდე თრთოდა ამას რომ ამბობდა, ფერი წაუვიდა და სულს ძლივს-ღა იბრუნებდა. რომ გაჩუმდა, მატერნი მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— მართალი ხარ, ქრისტეფორე, და დარწმუნებული იყავი, რომ ჩვენც ყოველთვის იესოსკენ ვიქნებით და არა რომანელისკენ. ამას წინადა ვნახე... ისა და თავისი ცოლი... სხვის ცოლი... სხვისთვის წაურთმევია ცოლი! რა საშინელებაა!

და ყველამ პირჯვარი დაიწერეს.

— თქვენ რომანელის ცოლი გაგკვირებიათ!—შესძახა ნათლია-ჩემმა.—იცით რამდენი უნამუსობა გვინახავს სულიერ მამათაგან? განა ადამიანის ენა მოსთვლის მათ საქციელს?! საკვირველი ის არის, იმათ მაყურებელ ხალხს როგორ შერჩა სარწმუნოება და ღვთის შიში? კარგი ის არის, რომ ხალხი ბრმა ჰგონიათ და დარწმუნებულნი არიან, რასაც ვუბრძანებთ, აასრულებს, ჩვენი ყურმოჭრილი ყმა არისო.

— მართალია, სთქვა მამა ქრისტეფორემ, ხალხის თვალში იმათ ყოველი ღირსება დაჰკარგეს! მართალია იმათ ხალხი პატივს აღარა სცემს, მაგრამ ესეც იცოდეთ, რომ ბევრ ცილს დაგვწამებენ სოფლის მღვდლებს, რომლებმაც სამშობლოს და მის ახალ კანონებს ერთგულება შევფიცეთ. ქვეყნის წინაშე სარწმუნოების მოღალატეებად გამოგვიყვანენ და მით მეგობარს და ნათესავს შეგვაძულებენ... ბევრს ტანჯვას მოგვაყენებენ! მაგრამ სულყველა რომ მე მამტყუნებდეს, სულ რომ გამშორდნენ დედაც, მამაც, ძმებიც და მეგობრებიც, ოღონდ სინიდისი დამშვიდებული მქონდეს და ღმერთთან არას ვტყუოდე, მე არავისი-რა მენაღვლება! და თუ ვინატრებ რასმე, მარტო იმას ვინატრებ, რომ იმათ თავიანთი შუღლის და უთანხმოების მთესველი პოლიტიკით, რომლითაც ცდილობენ ერმანეთს შეგვაკლან, მეფე არ დაღუპონ და მეფესთან ერთად ჩვენი უბედური დედოფალი და მათი მახლობელნი. ჯერ ძნელად დაიძვრის ხალხი, მაგრამ თუ დაიძრა, ზღვასავით მოედება ქვეყანას და თუ აღარავინ დაინდო და ბევრი სისხლი დაღვარა, იმათი ბრალი იქნება, იმ პოლიტიკოსებისა! ან რა უფლებით გვიკრძალავენ სოფლის მღვდლებს, ნუ დაიფიცავთო?! განა არ იციან, რომ იმ მღვდელს, რომელიც ერის ერთგულებას არ დაიფიცავს, ხალხი იჭვის თვალით დაუწყებს ცქერას? გან მით სამწყსოსა და მოძღვარ

შორის უნდობლობას არ აჩენენ? განა მით იმ რწმენას არ უნერგავენ ყოველ პატიოსან კაცს, რომ სარწმუნოება მოსისხლე მტერი ყოფილა ძმობის, თავისუფლების, თანასწორობის და ერთობა ყველა იმ რწმენისა, რომლისთვის წამებულ იქმნა იესო და რომლის განხორციელებას ცდილობს რევოლიუცია?! მარტო ერთმა ღმერთმა უწყის, რამდენი არეულობა დატრიალდება ჩვენს ქვეყანაში!

ესა სთქვა მამა ქრისტეფორემ და ორი წლის შემდეგ 1793 წელს, როდესაც გილიოტინისკენ დასახოცად ხალხს გაატარებდნენ ხოლმე—ქალებს, მოხუცებულებს, მღვდლებს, მოქალაქებს, მუშებს, გლეხ-კაცებს,—მაშინვე მამა ქრისტეფორეს სიტყვა მომაგონდებოდა და წაოვიძახებდი:

— აი გახიზნულთა და ეპისკოპოსთა პოლიტიკის შედეგი!

კარდინალი როანელი, თავადი არტუა და იმათი მეგობრები რეინის გაღმა იყვნენ, სამზღვარგარეთ და ჩვენი ეპისკოპოსები უცხოეთში ევედრებოდნენ ღმერთს ჩვენი ქვეყნის დაღუპვას. დასავლეთ საფრანგეთში და ვანდეში მღვდლებმა არ ინდომეს ფიცის დადება, ხალხი ააჯანყეს და იარაღით წინააღუდგნენ საერო კრების გარდაწყვეტილებას. დიდებული ეპისკოპოსები იმათ შორიდან აქეზებდნენ და თითონ კი სეირს უცქეროდნენ. გულში კიდეც დაგვცინებდნენ: რა სულელი ყოფილა ჯერ ისევ ხალხი, რომ ჩვენისთანა ურმერთოთვის ერთმანეთსა ჟლეტავენო! მართლაცა-და, ვანდელი გლეხ-კაცები რომ დაჰფიქრებოდნენ თავიანთ საქციელს, თავიანთ დროშაზედ სამ სიტყვას გამოხატავდნენ: „მონობა, უსწავლელობა, სიღატაკე!“, რადგან ისინი ძველებური მონობისა და სიღატაკის დასაცველად იბრძოდნენ.

ორჯელ თუ სამჯერ გამოაცხადებინა თავადმა არტუამ: მოვდივარ, რომ ვანდელებს წინ წარვუძღვე ბრძოლაშიო; კიდეც მოუახლოვდა ინგლისელი გემით ჩვენს ნაპირს, მაგრამ როცა რესპუბლიკელების ზარბაზნის ხმა შეესმა, უკანვე გაეშურა და აჯანყებული ვანდელები ღვთის ანაბარად მიატოვა. ამას შემდეგში ნახავთ. ამისთანა სიმხდალე მგონი ბევრს არავის ჩაედინოს!

კიდევ კარგა ხანი დავრჩით იმ დღეს მამა ქრისტეფორეს-თან; საერო საქმეებზე და ფიცზე ვილაპარაკეთ და ორი საათი რომ დაჰკრა, წამოვიშალენით, რადგან ჰუპელებს დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი და ეშურებოდნენ. მოძებნეს თავიანთი ჯოხები, ხელი ჩამოგვართვეს და გასწიეს მთისკენ; ჩვენც გამოვეთხოვეთ და ქვეით წამოვედით.

საშინელი სიცივე იყო. გაჩქარებული მიდიოდა ნათლია-ჩემი და თან მელაპარაკებოდა:

— ღვთის მადლით, ძალიან კარგად გაიარა დღევანდელმა დღემ, მიხო. ერთხელ კიდევ შერცხვნენ ბერები და, მერწმუნე, ჩემი პიკჰოლცის მამულის ფასი ერთი ათად გახდა გუშინ წინ-დელს აქეთ.

მე კი მამა ქრისტეფორეს სიტყვა მიტრიალებდა თავში: მაგონდებოდა იმისი განმარტება დიდებულთა და ეპისკოპოსთა პოლიტიკისა და მომავალისაგან კარგს არას მოველოდი.

ჳ

იმ დროს დიდი ცვლილება მოხდა ჩვენს სამჰედლოში და მინდა დაწვრილებით გიამბოთ ყველაფერი, რადგან იმ დღიდან იწყება ჩემი ბედნიერება, თუმცა პირველ ხანებში ძალიან გულ-ნაწყენად ვიყავი.

ვალენტინი პურს იქვე ჩვენს მეზობელ რიგოსთანა სჭამდა და ბინაც იქვე ჰქონდა. მოხუცებული რიგო და იმისი ცოლი დიდ პატივსა სცემდნენ მით უფრო, რომ უშვილონი იყვნენ, და სულ ბატონობით იხსენიებდნენ. იმასაც ძალიან მოსწონ-და ეს პატივის-ცემა, რადგან სრულიად ეთანხმებოდა მის აზ-რებს, რომ როგორც მთასა და ბარს ვერა გაასწორებს-რა, ისე ადამიანთა შორის ყოველთვის იქნება დიდი და პატარა, ღარი-ბი და მდიდარიო. საღამოზედ საქმეს რომ გაათავებდა, ავიდო-და რიგოსთან, სავარძელში გამოიჭიმებოდა და სუფრას მიუ-ჯდებოდა. რიგოს ცოლი არასა ზოგავდა, ღვთის წინაშე, და ხორცი რომ არა ჰქონოდა, ერბოკვერცხს მაინც მიართმევდა.

იჯდა ჩვენი ვალენტინი და შეექცეოდა! თანაც წითელ ღვინოს მიირთმევდა! საბრალო მოხუცებულები კი, თუმცა იქვე ისხდნენ, თავიანთვის ლობიოს შეჭამადს ან კარტოფილს გაიკეთებდნენ და იმაზედ გადაივლიდნენ. ვალენტინის აზრით, აქ საძრახისი არა იყო-რა, ის დახელოვნებული ქარგალი იყო და ისინი კი გადაყრუებული ბებრები

— მე სულ სხვა ვარ და ისინი სხვა, — იძახდა ვალენტინი. — დიდი რამ მოხდება, თუ იმათაც ჩემსავით ხორცი არ მიირთვეს! იმთ სულიც ეყოფათ!

როდესაც კი რიგოს ცოლი პურის-ცხობას დააპირებდა, ვალენტინი ორ პატარა ქადას გამოაცხობინებდა და მეც მიმიპატიჟებდა: წამოდი, პირი ჩავიკოკლოზინავოთო. მარანში ცოტა რამ ღვინო ჰქონდა ბოთლებით და ქადას ერთ ბოთლ ლორენულ თეთრ ღვინოსაც დაატანდა ხოლმე; რიგოც იქვე იყო ყოველთვის და არ მახსოვს, ერთი ყლაპი მიეწოდებინოს მოხუცისთვის. აბა ყელში როგორ რამე ჩამივიდოდა, იქვე ისხდნენ საბრალო ცოლ-ქმარი და პირში შემოგვცქეროდნენ! მაგრამ ვალენტინს კი ვერას ვეუბნებოდი, რადგან ვიცოდი, ჩვენი ღირსების ასეთი დამცირებისთვის ძალიან გამიწყრებოდა და იქნება ერთმანეთსაც შევძულებოდით.

ხანდახან ჩემს პატარა ძმასაც მიიწვევდა ხოლმე. ქადის სუნზედ პატარა სტეფანეს ნერწყვი უშრებოდა პირში და სუფრას რომ შემოვუსხდებოდით, ისე გამოიტენდა ორივე ყბას, რომ სიცილით ვიხოცებოდით. ვალენტინს ძალიან უყვარდა სტეფანე და კვირაობით სულ თანა ჰყავდა ჩიტებზედ რომ დადიოდა; თანაც ასწავლიდა, რომელი ფრინველი როგორ უნდა დაიჭირონ და გამოიყენოს კაცმა. ჩიტებზედ იყო გადარეული, როგორც მოგახსენეთ, და ბევრიცა ჰყავდა გალიებში; საჭმელს ფრინველს კარგა ლამაზად შეექცევოდა და მგალობელს საკვირველი მოხერხებით უვლიდა, რადგან გაგიჟებით უყვარდა ჩიტების გალობა. კათათვის გასულს რომ იმის ოთახში ასულიყავით, რიგოს სახლის მეორე სართულში, გაგიკვირდებოდათ, იმოდენი ფრინველი ჰყავდა გალიებში. ეს კია, რომ მგალობ-

ლებს ზამთარში არ ინახავდა: სად ვუშოვო ბუზი და მატლიო? შემოდგომაზედ გაუშვებდა ხოლმე რაც ბულბული და შაშვები ჰყავდა და მარტო იმათ შეინახავდა, რომელნიც მარცვალსა კენკავენ. ეხლაც მიკვირს, როგორა სძლებდა იმოდენა გალიებში, ჩიტებში და ფეტვში. დაიღუპებოდა, ფეტვი რომ ეყიდნა და თითონვე სთესდა ჩვენი სოფლის ბოლოში ერთ პატარა მიწაში.

ზამთარში, როცა კი დრო ჰქონდა, იჯდა და ჩიტის მახეებს აკეთებდა. სალაპარაკოდ ჩიტების მეტი არა ჰქონდა-რა და ცხენს არსად გაატარებდა, რომ ძუა არ დაეძრო.

რევოლიუციამდე იმის სალაპარაკო მარტო ჩიტები იყო და არ მახსოვს, რომ ერთხელაც არის სხვა საგანს შეხებოდეს რასმე; მაგრამ საერო კრების შემდეგ ვალენტინი სულ რაღასაც ფიქრობდა და ისე დაღონდა, თითქო ქვეყნის ცოდვას ვერ ერევაო. როცა კი მარტონი დავრჩებოდით სადმე, ის მაშინვე ნათლია-ჩემის სანდურავს და საყვედურს მოჰყვებოდა და სულ იმას იძახდა, ამაყი და წინდაუხედავი კაციაო.

— ამ უკანასკნელს ხანს სულ გამოტვინდა ჩვენი ოსტატი; — იძახდა ვალენტინი, — იმის სანატრელი ეხლა ის-და არის, რომ ტურტლიანი გლეხები თავადიშვილებს გაუთანასწოროს და ვიღაცა ივანე მჭედელი დეპუტატად ბრძანდებოდეს. მაგის ჯურის პატრიოტისთვის ხომ შეუძლებელი არა არის-რა! ასე ჰგონია, ქვეყანა კიდეც გადააბრუნა და წმინდა კარდინალის პალატებს და მამულებს დაეპატრონა! რაკი ერთი წარმოიდგენს, ასე უნდა იყოსო, გაჯიქდება და აღარც სულიერ მეუფეთა წყევლა-კრულვისა ერიდება, აღარც ღვთისაგან კურთხეული მეფისა და იმის ჯარისა! იმას ხომ არა ფიქრობს, რომ ცაში ღმერთი და ქვეყნად მეფე წმინდა უნდა იყოს ყველასთვის და ვაი იმის ბრალი, ვინც მათ გაუპატიურებას მოიწადინებს! მთელი ქრისტიანობა ამხედრდება და მიწასთან გაასწორებენ უბედურს.

თან მწარედ იცინოდა. სამჭედლოში, რასაკვირველია, ვერა ბედავდა ამაზედ ლაპარაკის ჩამოგდებას, მაგრამ ხანდახან დიდი ლანძღვით მოიხსენიებდა საერო კრებას, მილიციას და საერო

კრების ყველა მომხრეს; ნათლია-ჩემიც იძულებული იყო ყური მოეყრუებინა. რას იზამდა, ყელში ხომ არა სწვდებოდა? ისიც ძალიან ეჯავრობდა, რომ თავის სახლში, თავის სამქედლოში არ შეეძლო თავისუფლად ელანძღა დიდებულნი და ეპისკოპოსნი, ვალენტინისა დიდი პატივისცემა ჰქონდა და რაც შეიძლებოდა თავს იმაგრებდა... ვიდრე ცუდს ამბავს გაიგებდა რასმე. მაშინ კი მოერეოდა ბრაზი, გაჩუმებული დიდი ხანი იყო, თითქო ალს გულში იტრიალებსო, მაგრამ ვეღარ გასძლებდა და წამოიყვირებდა:

— ის უსინიდისონი, ის ღვთისა და სამშობლოს მტერნი, ისა!.. იმას კი არ იტყოდა, ვისა ლანძღავდა.

ვალენტინმა კარგად იცოდა, რომ ოსტატი დიდებულებზედ და ეპისკოპოსებზედ ლაპარაკობდა და ახლა ის უპასუხებდა, თუმცა არც ის დაასახელებდა, ვისზედ ამბობდა:

— რას იზამთ? ეს ქვეყანა რომ უსინიდისოთ და ღვთისა და სამშობლოს მტერთ არ დარჩენოდათ, ხომ არც ასე აირევოდა ჩვენი ცხოვრება.

გადახედავდა ნათლია-ჩემი და შეუტევდა:

— ქვეყანას რეგვენები ღუპავენ, რომელნიც თავიანთ ცხვირს იქით ვერას ხედავენ!

— ჭეშმარიტია. მეტადრე ის რეგვნები, რომელთაც თავის თავი სოლომონ ბრძენის სწორად მიაჩნიათ!

და შეჰყვებოდნენ. გაბრაზდებოდა ნათლია-ჩემი, სისხლი თავში აუვარდებოდა. ვანლენტინი ფერმიხდილი იდგა ხოლმე ჩაქუჩზედ დაყრდნობილი. მე კი გული მელევოდა შიშით,— ვაი თუ ერთმანეთს მისწვდნენ-მეთქი.

მაგრამ მამა ქრისტეფორეს დაფიცებამდე ლაპარაკი ლაპარაკად რჩებოდა და ავად თუ კარგად მაინც რიგდებოდნენ. მას შემდეგ კი, მეტადრე 1791 იანვრიდან, ისე დღე არ გავიდოდა, რომ ახალი ამბავი არა მოგვსვლოდა-რა და ყოველ ახალ ამბავს ცხარი კამათი მოსდევდა; ხან იმას იტყოდნენ, რომ ამა და ამ სოფლის მღვდელმა დაიფიცაო; ხან იმას, რომ საერო კრების წევრ მღვდლებს ხელმეორედ დაუფიცნიათო; ხან რასა და ხან რასა.

ნათლია-ჩემი ამ ამბებზედ სულ ცას დაეწევოდა ხოლმე. გაიგებდა რასმე სასიამოვნოს და მაშინვე „წავა, წავას“ დასძახებდა. ვალენტინს კი ფერი მისდიოდა. ერთ დილას ხმა გავარდა, რომ ოტუნელ ეპისკოპოზს ტალეირან-პერიგოს, მიუხედავად პაპის განკარგულებისა, განუძრახავს თავისი ლოცვა-კურთხევა უძღვნას იმ მღვდლებს, რომელთაც კონსტიტუციას ერთგულება შეჰფიცესო.

ნათლია-ჩემს ისე გაუხარდა, რომ ყვირილს მოჰყვა: სწორედ ქრისტეს მოციქულია ტალეირან-პერიგო; საეკკლესიო მამულეპი იმის წინადადებით გაიყიდა; სამშობლოს საკურთხეველი იმან აკურთხა და ახლა თუ ნაფიც მღვდლებს თავისი ლოცვაკურთხევა არ მოაკლო, სწორედ რომ წმინდათა შორის ჩასარიცხავი გახდებაო. . . . ვისაც ცოტაც არის პატიოსნება შერჩენია, თავი უნდა მოიხაროს მის წინაშე... ვირები ყოფილან ის ეპისკოპოსები, რომელთაც არ დაიფიცესო!

ვალენტინი თავის საქმეზედ იყო, რაღასაცა სჭედდა და ხმას არ იღებდა. მაგრამ უცბად, სრულიად მოულოდნელად მივარდა ნათლია-ჩემს, ცხვირ-წინ აეტუზა და შეჰყვირა:

— მაგას მე მაგონებთ განა? მე მაგონებთ განა? ჰო-და, თუ აგრეა, თქვენი ტალეირან-პერიგო იუდაა მოღალატე! და უარესი იუდები არიან, ვინც იმას აქებენ!

ნათლია-ჩემმა უკან დაიწია. ისე უცბად მოხდა ყველაფერი, რომ ჯერ გონზედ ვერ მოსულიყო.

ვალენტინი კი თავისას იძახდა:

— ვირებიო! ჩვენი ეპისკოპსები ვირებად გახადა!.. ვირი შენა ხარ, შე დიდ-ყურა, ამპარტავნებით და ამაოებით სავსე ვირო!

ამ სიტყვებზედ ნათლია-ჩემი ცოფიანივით მივარდა, მაგრამ ვალენტინმა ასწია ჩაქუჩი და დაუყვირა:

— აბა, მობრძანდი!

საშინელი სანახავი იყო ჩვენი ქარგალი. მე რომ შუაში არ ჩავვარდნოდი ერთი უბედურება დატრიალდებოდა:

— ღვთის გულისთვის, ნათლია-ჩემო! რას შერებით? ვალენტინ, არა გრცხვენიან?

თითქო გონებაზედ მოვიდნენ და შერცხვათ ერთმანეთისაო, ორივემ ხელები დაუშვეს. ფერ-მიხდილნი იდგნენ ორივენი და ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ. ნათლია-ჩემს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ მოახერხა. ვალენტინმა კუნჭულში მიაგდო თავისი ჩაქუჩი და დაიყვირა:

— ახლა კი კმარა! კიდევაც კარგად მოვითმინე-და! რაც მე ამ ორ წელიწადში ავიტანე, სხვა უჩემო... ჩემს მაგივრად სხვა ქარგალი ეძებეთ, მე აქ აღარ დავდგები!

— ჯანაბამდე გზა გქონდეს! — შეჰყვირა ნათლია-ჩემმა. ძლივს არ მოვიშორებ ამ წუპაკ არისტოკრატსა!

— ანგარიში გამისწორეთ!... და მოწმობაც მომეცით, რომ სრული თხუთმეტი წელიწადი ვიმუშავე თქვენთან! გეყურებათ? კარგი იქნება თუ ავი, მოწმობა უთუოდ უნდა მომცეთ! ვნახოთ ერთი როგორ მოწმობას მისცემს თქვენისთანა პატიოსანი პატრიოტი ჩემისთანა წუპაკ არისტოკრატს!

და კარი გაიჯახუნა.

ნათლია-ჩემი კი მძიმედა ქშინავდა, მაგრამ მალე დამშვიდდა და მითხრა:

— ნახე, რა მიყო იმ მხეცმა, იმანა?!

— გაბრაზებული კაცი ყველაფერს იზამს, ნათლია-ჩემო. უმფროსი ბრძანდებით, უნდა აპატიოთ. არ იცნობდე — კიდევ ჰო, მაგრამ ხომ იცნობ, რა პატიოსანი კაცია და გამოცდილი ხელოსანი. რასაც თქვენ იმასა ლანძღავდით... იმას თუ იმის მომხრეებს, ეგ სულ ერთია, კიდევაც ბევრი მოითმინა-და!

— როგორ?! მაშ სულ ჩემი ბრალი ყოფილა! მაშ მტყუანი მე ვყოფილვარ?!

— დიაღ, ძალიან გალანძღეთ, და... ისიც კაცია! განა არ იცით, რა ძალიან უყვარხართ, რა ერთგულად გემსახურებათ... ლამის ერთი სიტყვის გულისთვის დაჰკარგოთ კაცი!

ჯერ იუცხოვა, ეს როგორ გამიბედაო, და გაშტერებული შემომცქეროდა. მერე გაიარ-გამოიარა და მითხრა:

— მე ოსტატი ვარ!... ოსტატი არა ვყოფილიყავ, მე ვუჩვენებდი სეირსა!... მაგრამ მაგას თავი დავანებოთ. იცი, მიხო,

ეგ ძალიან კარგი, რომ პირდაპირ მითხარი, რასაც ფიქრობდი. ძალიან ვნანობ, რომ თავი არ შევიკავე. დიაღ, ძალიანა ვნანობ... ეხლა რაღა ეშველება!... არა, რა მომაგონებდა, რომ ისე ეწყინებოდა იმ ტყის ნადირს, იმასა!

რაკი ვნახე, რომ ნანობდა, ავიღე ქუდი და საჩქაროდ რიგოსას ავვარდი; მინდოდა ვალენტინი მენახა და შემერიგებინა როგორმე: ისე მიყვარდა ჩვენი ქარგალი, რომ მეგონა, ეს რომ წავიდეს, დაიღუპება ჩვენი სამჭედლო-მეთქი. ნათლია-ჩემი კარგად მიხვდა, რასაც ვაპირობდი, მაგრამ არა მითხრა-რა.

ვალენტინი იჯდა და მოხუცებულებს უამბობდა, ჩხუბი მოგვივიდაო. ისე შეშინებულიყვნენ ორივე ცოლ-ქმარი, თითქო ვალენტინს კი არა, იმათ შემთხვევოდათ ეს უსიამოვნება.

— რა მოხდა იმისთანა, ვალენტინ, რომ თავი დაგვანებო? თუ ოსტატი გაცხარდა, შენცა არა დააკელი-რა. ცოტა რამ მეტი ჰკადრეთ ერთმანეთს... განა მაგისთვის უნდა გაგვექცე! დაივიწყე ყველაფერი, ვითომც არა მომხდარა-რა. ნათლია-ჩემიც ყველაფერს დაივიწყებს... იქნება გგონია ჯავრი ჩაიყოლოს შენი! ვაიმე, ვაიმე! მაშ არა გცნობია! განა არ იცი, რა პატივისმცემელია შენი!

— პატივცემული და ეგრე! — დამემოწმა რიგო.

— რას ვაქნევ იმის პატივისცემას?! საერო კრებამდე მეც ძალიან მიყვარდა ჩვენი ოსტატი, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმან ჟამთა უბედურებით ისარგებლა და საეკკლესიო მამულები დაისაკუთრა, აღარც იმისი პატივისცემა მინდა და აღარც სიყვარული. გარდა მაგისა, მე ისა მწყინს, რომ დაუჟინია — კაცნი თანასწორნი უნდა იყვნენო. რაც ღმერთს დიდად და პატარად გაუჩენია, მაგან უნდა გაასწოროს, მაგ უღმერთომ, მაგანა?! დღევანდელი დღე დაიხსომეთ და პირში ჩამაფურთხეთ, პირში, თუ ის სიხარბემ არ დაღუპოს! და ახიც მოუვა!.. შენ კი, ჩემო მიხო, შენი საქმე სულ სხვაა: შენი ცხოვრება ისე დატრიალებულა, რომ მჭედელი ივანეს და შოველის ხელში ჩავარდნილხარ, შენი რა ბრალია! დღეს რომ უწინდელივით მიმდინარეობდეს ჩვენი ცხოვრება, ერთი ოთხი-ხუთი წლის შემ-

დეგ შენც ოსტატად დაგლოცავდნენ; თუ ფულს ვერ მოახერხებდი, მეც დაგეხმარებოდი; ფალსბურგში ნოტარიუს ბუალოსთან ცოტა რამ ფული მაქვს შენახული. მერე ცოლს შეირთავდი, დავიწყებდით ერთად მუშაობას და საკუთარი შვილები თუ არ მეყოლებოდა, შენს შვილებზედ მაინც გავიხარებდი.

გული ამოუჯდა, თვალთ ცრემლი მოერია. მე კი ჩემსას გავიძახოდი:

— ნუ, ჩემო ვალენტინ, ნუ წახვალ! ხომ იცი, უშენობა რა ძნელი იქნება...

უცბად წამოხტა, თვალებზე ხელი მოისვა და გარდაწყვეტით დაიძახა:

— დღეს ხუთშაბათია... ზეგ, შაბათ დილით მივდივარ. კაცმა თავისი მოვალეობა უნდა იცოდეს და აასრულოს კიდეც. აქ დავრჩე, ამ ცოდვილთა და ღვთის მტერთა ბუდეში, რომ სული წავიწყმინდო და საუკუნოდ დავიღუპო?! აქამდისაც ძალიან შევცდი, რომ არ გავექეც აქაურობას! მაგრამ რა მექნა, რომ ჩვეულება და ხასიათის სისუსტე ვერ დამეძლია! ახლა კი ველარა დამიჭერს-რა, ყველა კავშირი გაწყვეტილია! ძალიან კმაყოფილიცა ვარ, რომ ძლივს თავს დავახწევ ამ ჯოჯოხეთს! ოსტატს უთხარი, რომ ხვალ სალამოსთვის ყველაფერი მზადა ჰქონდეს, გესმის? მე იმასთან ლაპარაკი აღარა მსურს... ეგონება ჩემ აზრზე დავიყოლიებო!

ადგა და თავის ოთახში ავიდა. მე კი დაღონებული გამოვედი გარედ, თოვლით სავსე ქუჩა გადავიარე და ნათლია-ჩემის დარბაზში შევედი. ნიკოლი სუფრასა შლიდა; ნათლი-ჯალაბიც იმას ეხმარებოდა; ეტყობოდა ოსტატს ყველაფერი ეამბნა, რომ ასე დაღონებული იყო. თითონ ნათლია-ჩემს გულ-ხელი დაეკრიფა და ბოლთასა სცემდა დარბაზში.

— რაო, მიხო?

— რაო, ნათლია-ჩემო, და ისაო, რომ ზეგ დილით ადრე აპირობს წასვლას და გთხოვათ, ხვალ სალამოსთვის ყველაფერი შეუმზადოთ.

— ძალიან კარგი, იმის ჯამაგირი მზადა მაქვს და მოწმობაც ამაღამვე დავუწეროთ, თუ კი არ იშლის და თავს გვანებებს. მაგრამ, მოდი, მიხო, ერთხელ კიდევ გადირბინე და უთხარი, წასვლის წინ ისე მომექცეს, ვითომც არა მომხდარა-რა ჩვენ შორის... ჩემს მაგივრად სთხოვე სადილად გადმოვიდეს და პირობა მიეცი, რომ არც დიდებულთ ვახსენებ, არც ბერებს და არც პატრიოტებს. აგრე უთხარი... განა ისეთი რა მოხდა, რომ წასვლის წინ ერთი ჩარექი ღვინით გზა არ დამალოცვინო და ხელი არ ჩამომართვა-თქო! პოლიტიკა პოლიტიკად-თქო, უთხარი, და კაცის დაკარგვა კი არ ვარგა-თქო.

ძალიან მოლბა საწყალი ნათლია-ჩემი, ბოდიშს იხდიდა რადა თავის ქარგალის წინაშე. მაგრამ როგორ ვეტყოდი,-გვიანღაა, იმას შენთან ლაპარაკიც აღარ უნდა-მეთქი.

სწორედ იმ დროს გამოვიდა სახლიდან ვალენტინი და ჩვენ ფანჯრებ წინ გაიარა, ეტყობოდა ქალაქს აპირობდა ჩასვლას ფულის გამოსატანად ნოტარიუსისაგან. ნათლია-ჩემმა საჩქაროდ ფანჯარა გააღო და დაუყვირა:

— ვალენტინ! ჰაი, ვალენტინ!

ვალენტინმა ისე ჩაიარა, ვითომც არც კი გაუგონია. ნათლია-ჩემს კი ისევ ბრაზი მოერია და შეჰყვირა:

— ვერა ხედავთ იმ რეგვენს, რომ ხმასაც აღარა მცემს! ხედავთ, რა გესლიანი გული ჰქონია! არა, დავაშავე, ვაწყენინე, ვგრძნობდი, რომ მტყუანი მე ვიყავი და ძალიანაცა ვნანობდი, რად ავჩქარდი-მეთქი... ჰო და ეხლა აღარა ვნანობ! ეხლა კმაყოფილიცა ვარ, რომ ასე მოხდა. ხედავთ იმ წუპაკს, იმასა, იმ არისტოკრატს, იმასა, რომ ჩემთან ლაპარაკსაც აღარ კადრულობს!

განჯინა გააღო, საწერ-კალამი გადმოიღო და მითხრა:

— დაჯე, მიხო, ერთი მოწმობაც დავუწეროთ იმ ბრიყვსა!...

გაბრაზებულია-მეთქი, ვიფიქრე, კარგს არას დამაწერინებს!

— სადილს უკან არ ემჯობინება, ნათლია-ჩემო... თქვენც უფრო დამშვიდებული იქნებით.

— არა, არა! — შემომიტია გაბრაზებით, — დავწეროთ და გავათავოთ, რომ თავიდან მოვიშოროთ ის მხეციც და იმის მოწმობაც!

ხომ ისე გაჯავრებული იყო და იმისთანა მშვენიერი მოწმობა დამაწერინა, იმისთანა სამაგალითო ხელოსნად და კაცად გამოიყვანა თავისი ქარგალი, რომ რამდენჯერმე დავეკითხებოდი ხოლმე, სანამ დავწერდი. სამაგალითო, გამოცდილი ხელოსანიც ის იყო, პატიოსანი კაციც ის იყო, ერთგული და პატრონისთვისაც თავდადებულიც ის იყო... ძალიან ვნანობ, რომ თავს მანებებს, მაგრამ კერძო გარემოებათა გამო უნდა დავშორებოდით ერთმანეთს და ყველა ქარხნის პატრონს ვურჩევ ქარგლად აიყვანოს, რადგან უკეთესს ვერავის იშოვისო.

დაწერილი ერთხელ კიდევ გადამაკითხვინა, მოიწონა და ხელი მოაწერა.

— მორჩა და მოისვენა! აი ეს იმის ჯამაგირი და ესეც მოწმობა. ან ამაღამ გადაუტანე ან ხვალ დილით. ფულის მიღებისა ბარათი ჩამოართვი. თუ გითხრას, გამაცილეო, ხომ იცი ხელოსნებში ჩვეულებადა აქვთ ერთმანეთის გაცილება, შაბათს სრულიად თავისუფალი ხარ, მთელი დღე, და გაჰყევი სადამდინაც უნდოდეს... აბა, ახლა კი დავსხდეთ.

წვნიანი უკვე სუფრაზედ ედგა და დავსხედით.

იმ დღეს საიმისო აღარა მომხდარა-რა. ვალენტინი აღარ ამოვიდა და ფული და მოწმობა მეორე დღეს მივუტანე. რომ შევედი, ის თავის გალიებსა და მახეებს ალაგებდა. მოწმობა მივეცი, ფული მივუთვალე. მოწმობისა არა თქვა-რა და პირდაპირ ჯიბეში ჩაიდო. ფულისა ბარათი მომცა.

— ახლა კი ყველაფერი რიგზედ არის! ოღონდ იცი, მიხო, ეს გალიები, ეს ფრინველები და მარცვალი სულ შენთვის და პატარა სტეფანესთვის მიჩუქებია. იქნება გამოიყენოთ რაშიმე.

დიდი მადლობა გადავუხადე.

— ხვალ უნდა გამაცილო; სავერნის მხარემდე ჩამომყე და იქ გამოვეთხოვოთ ერთმანეთს. ოსტატი ამის უარს ვერ გეტყვის.

— არა, არ მეტყვის. ნათლია-ჩემმა ხვალ მთელი დღით დამითხოვა.

— დაგითხოვდა, მაშ არა?!. ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო, ნათქვამია... მაშ აგრე, ხვალ დილის რვა საათზე მივდივართ.

მეორე დღეს რვა საათზედ გზას გავუდექით. ვალენტინის გუდა მე ავიკიდე და თითონ უკან მოდიოდა, ჩემს კვალზედ, რადგან საშინელი თოვლი იდო. მოდიოდა, მაგრამ ძალიან უჭირდებოდა სიარული, რადგან მთელი თავისი ძალღონე მკლავებში ჰქონდა და ფეხით ძალიან სუსტი რამ იყო.

მშვენიერი სუსხიანი დღე იყო. ზემოდან თოვლით მოფენილი ალზასი მოჩანდა თავის ტყეებით და სოფლებით; შორს, შორს რეინი მიიკლაკნებოდა. მშვენიერი იყო იმ ზამთრის დღეს ჩვენი მხარე და მით უფრო სამწუხარო უნდა ყოფილიყო ვალენტინისთვის შორს სადღაც გადაკარგვა. ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ერთ დუქანში მივედით. ისე ვიარეთ მთელი საათი, რომ ხმა არ ამოუღია.

სხვა დროს სავსე იქნებოდა მეურმეებით ეს დუქანი, მაგრამ იანვარში მთაში სიარულს ვერავინ ბედავდა და დუქანში არავინ იყო.

თოვლში დამარხულსა გავდა პატარა დუქანი. ერთი ვიწრო ბილიკი რომ არა ყოფილიყო გაჭრილი, და კომლი არ დაგვენახა ამომავალი, იქნება უდაბური გვგონებოდა და არც კი შევსულიყავით.

ბუხართან ერთი დედაბერი იჯდა და სთვლემდა; იქვე გვერდით ჯარა ედგა. დედაკაცის გარდა თურმე ფინიაც ყოფილიყო დაზგის ქვეშ, მაგრამ ყეფა მაშინ დაგვიწყო, როდესაც მასპინძელი გავაღვიძეთ. ჩვენი ფეხის ხმა რომ გაეგო, შეშინებოდა და დაზგის ქვეშ შემალულიყო.

მოხუცებული მარტო იყო, ქმარი სავერნს წასულიყო სავაჭროდ. ერთი ხელადა ღვინო მოგვიტანა და ყველი და პური. ვალენტინმა თავისი ბოხჩა სკამზედ დასდო და გულ-ხელ დაკრეფილი იქვე ჩამოჯდა, მე იმის პირდაპირ დავიჭირე ალაგი. მოხუცებულს ისევ ჩასთვლიმა.

— აქ კი გამოვეთხოვოთ ერთმანეთს,—მითხრა ვალენტინ-მა,—ღმერთმა გაცოცხლოს ჩემო მიხო!

— ღმერთმა გაცოცხლოს, ვალენტინ! ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს!

— გმადლობ! ხომ ძნელია ჩემი ყოფა და ვერ წარმოიდგენ, რა კმაყოფილი ვარ ჩემის გარდაწყვეტილებისა და რა დამშვიდებული გულით გავუდგები ჩემს გზას. ძლივს არ დავახწიე თავი იმ მაცდურთა ბუდეს! წავალ აქედან, აქაურს მტვერსაც კი არ გავიყოლებ ფეხსაცმელზედ და ცოდვილი სულისთვის ვიზრუნებ რასმე. განა აქამდის კი არ უნდა წავსულიყავ? განა მოსაკლავი არა ვარ, რომ ამოდენი ხანი იმ ბაბილონში ვიყავ! მოსაკლავი ვარ, მოსაკლავი, განა მე არ ვიცი! მინდოდა წავსულიყავ, განა არ მინდოდა! მაგრამ შეჩვეული ჰქირიო, ხომ გაგიგონია... სუსტია ადამიანი, სუსტი და გაუბედავი.

იჯდა და მოსთქვამდა. მაშინვე თვალ-წინ წარმომიდგა დედა-ჩემი, მეტადრე როდესაც რომელიმე დაუფიცავი მღვდლის ქადაგებას მოისმენდა და შინ დაბრუნდებოდა. დედა-ჩემი კი არა, ბერი ბენედიქტე ლაპარაკობდა. ბოლოს თვალები ცას ალაპყრო, ხელები გაშალა და დაიძახა:

— დადგა დრო სინანულისა!.. ყოველ შეცოდებას სინანული უნდა მოსდევდეს. მართალია, მე ძალიან გვიან დავადექ გზასა სინანულისასა, მაგრამ იქნება შემინდოს დაგვიანება ღმერთმა, შემიბრალოს და მაცხონოს.

— რა ვქნა, სად მიხვალ, ვალენტინ?

დამაცქერდა, თითქო მსინჯავს, ღირსია ნდობისა თუ არაო.

— შენ გეტყვი, მარტო შენ გეტყვი, სადაც მივალ. შენ გეტყვი, რადგან შენ და შეუმჩნევლად გულით ჩვენკენა ხარ; ღიალ, მავნე გავლენა, თორემ აქამდე შენც ჩვენთან იქნებოდი. ეს კია, მიხო, რასაც გეტყვი, საიდუმლოდ უნდა დარჩეს! ის კი არ იფიქრო, რომ გავცე, საქმე წაუხდებათო. საქმის წახდენა განა ჩვენ ხელთ არის? ღვთის განგებას ვერავინ შესცვლის... დადგა უკვე აღსასრული ბაბილონისა! ჯერ ეს თოვლი ისევ აქ იდება, რომ ყველას თავის საქციელისამებრ მიეწყვის... შენ

აგცდება სასჯელი... დიახ, შენ აგცდება! სასჯელი მაგრამ... იმ ხეებსა ხედავ, მიხო... გაზაფხულზედ მაგ ხეებზედ იმდენი ფოთოლი არ იქნება, რამდენსაც ზედ პატრიოტს ჩამოვარჩობთ!

ძალიან დამალონა ღვთის წინაშე ამ სიტყვამ.

— რატომ, ვალენტინ, შესაძლებელია, რომ აგრეც მოხდეს, ძალიან ადვილადაც... მაგრამ მანამ ხომ უნდა იყო სადმე?

— მანამ მაინცში ვიქნები,—სთქვა საიდუმლო კილოთი ვალენტინმა და მძინარე მოხუცს გადახედა.—მანამ მინდა მეც იქ შევაფარო თავი, სადაც ჩვენი დიდებულები ბრძანდებიან და, სხვათა შორის, ღვთისაგან კურთხეული თავადი არტუა. ის-ღაა ჩვენი იმედი! მაინციდან შემოვალთ საფრანგეთში, ლიონს დავიმორჩილებთ და სამეფოს დედა-ქალაქად გავხდით, რადგან პარიზი უკვე გახრწნილია და ისე უნდა აღიგავოს მიწის პირისაგან, რომ კვალიც აღარსად დარჩეს. გენერალმა ბენდერმა ძალიან ჭკუა ასწავლა ჰოლანდიელ პატრიოტებს! ახლა საფრანგეთის პატრიოტების რიგია. ნახავ, მიხო, რა ავი დღე დაადგებათ! ქვეყნის ჯარები მოადგებიან საფრანგეთს; ერთი რიგი სავუიდან შემოესევა, მეორე ბელგიიდან, მესამე შვეიცარიიდან, ისპანიიდან, ინგლისიდან. ამ ჯარებს წინ ჩვენი გახიზნული დიდებულნი წამოუძღვებიან, რათა გაანთავისუფლონ ულმერთოთაგან ულმერთოდ წამებული საფრანგეთი. მაშინ დადგება დღე სასჯელისა და შენდობისა! შევუნდობთ ყველას, ვინც კი შეინანებს და თავს მოიხრის... და ვაი იმათ, ვინც მაცდურს აჰყოლია! ვაი ანტიქრისტეს, რომელმაც ეკკლესიას მამულები გამოსწირა! ვაი ღვთისა და მეფის მოწინააღმდეგეთ, რადგან ულმობელი იქნება მათთვის მახვილი გამარჯვებულთა! ვაი ივანე ლერუს, ლეტუმიეს, ელოფ კოლენს და მათ მიმდევართ! იმათთვის უკვე დაგრეხილია ყელსახვევი კანაფისა! შენ კი ნუ გეშინიან! შენ კეთილი გულის პატრონი ხარ, ღვთისმამის პატივისმცემელი და მანუგეშებელი. ყველას თავის საქციელისამებრ მიერწყვის, ჩემო მიხო. ოღონდ ეს კი იცოდე, როდესაც ჩვენი დიდებულნი ალზასში შემოვლენ, შენ სხვებს ნუ აჰყვები და იარაღს ნუ აიღებ მათ საწინააღმდეგოდ. მერ-

წმუნე, ერთი ვერ გადარჩება, ერთი იმათგანი, ვინც რევოლიუციას მიუდგება! ისე კარგად მოაწყო ყველაფერი თავადმა არტუამ, რომ ვერავინ გადარჩება, შენ არ დაიძრა, დეე ლეტუმიე წავიდეს, კოშარი, ჩვენი ოსტატი! მაშინ ჯარებიც ჩვენ მოგვემხრობიან, ჩვენა და ჩვენს ბატონებს. დიაღ, დაიწყებენ სიარულს და პირდაპირ პარიზისკენ გასწევენ, რომ დედაბუდიანად ამოსწყვიტონ პატრიოტები!

მოსთქვამდა ჩვენი ვალენტინი! მე კი დაღონებული შევცქეროდი და ვფიქრობდი: ვაიმე, ვაიმე! ჭკუაზე შეშლილა ეს უბედური-მეთქი!

— ეგ ძალიან კარგი, ვალენტინ, რომ შენც გახიზვნას აპირობ და მაინცს მიდიხარ. მაგრამ შენ იქ რა გინდა? ჯარისკაცად გამოადგე, კიდევ ჰო, მაგრამ ვიცი, რომ ვერა-და! მერე შენს ხანში...

— ეეჰ, ჩემო მიხო, კაცი იყოს, თორემ სასარგებლო საქმეს ყოველთვის იშოვის. ჩემთვისაც გამოჩნდება საქმე: ცხენოსან ჯარში დამნიშნავენ სადმე ნალბანდად და ამით მაინც დავეხმარები ჩემი სამშობლოს განთავისუფლებას.

აღარა ვუთხარი-რა და რადგან ხელადა ცარიელი იყო, მინდოდა ერთი მეც მომეთხოვა, მაგრამ აღარ ინდომა:

— კმარა, მიხო, კმარა! ხომ იცი ღვინო... ერთი ჯამი აცხონებს და ორი კი წაწყმედავს კაცსა.

ღვინის ფასი გადაიხადა, გუდა წამოიკიდა და გარედ გავედით. გზაზედ რომ გავედით შედგა, მომეხვია და ხმის ამოუღებლივ სენჟანდეშუსკენ დაეშვა. კარგა ხანი ვუყურე, მაგრამ უკან აღარ მოუხედნია, წელში გაჭიმული მიდიოდა, და თუმცა ქამრამდე თოვლში იფლოდა, მაინც ისე ამაყად მიაბიჯებდა, თითქო ოცის წლის ბიჭიაო.

მეც შინისკენ გავეშურე. ვალენტინის ნათქვამი მე გიჟის ნაროში მეგონა, რადგან ჯერ არ ვიცოდი, რომ საფრანგეთიდან გახიზნული დიდებულნი და ევროპიელნი მეფენი დაკავშირდებოდნენ და ამხედრდებოდნენ ჩვენი ქვეყნის გასანადგურებლად. მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რომ გახიზნულები არც ფრანგები

იყვნენ, არც გერმანელები, არც რუსები, არამედ დიდებულნი და ერთმანეთს შველოდნენ და ეხმარებოდნენ, რომ ხალხი უღელში ჰყოლოდათ შებმული.

ვალენტინის მუქარა მე იმისთანა საშინელებად მიმაჩნდა, რომ, აკი ვამბობ, გიჟია და როშავს-მეთქი, ვიძახდი.

შუადღე იყო ნათლია-ჩემისას რომ მივედი.

— სიდედრსა ჰყვარებიხარ, მიხო!—დაიძახა ნათლია-ჩემმა.— ისა? წავიდა?

— დიალ, გიახლათ.

— საით?

მაგრამ პასუხი აღარც მათქმევინა და განაგრძო:

— მაინცისკენ წავიდოდა ის სულელი! წავა და გახიზნულებს მოსძებნის... აბა დასხედით და იმის ხსენებაც ნუღარ იყოს ამ სახლში!

ძალიან მხიარულად იყო სუფრაზედ.

— ახლა კი მარტონი დავრჩით, ჩემო მიხო! ახლა კი აღარავის დაველოდებით და, რაც გვინდა, იმას ვიმღერებთ! გარდა ამისა, ცოტა რამ ცვლილება უნდა მოხდეს ჩვენს სამჭედლოში. ძალიან კმაყოფილი ვარ შენი მიხო; ყოველთვის ერთგული იყავ ჩემი ოჯახისა და იმედი მაქვს შემდეგშიაც... მართალია, ვალენტინის ოდენი არ შემიძლიან, რადგან მართალი უნდა სთქვას კაცმა, ძაან-ძაან დახელოვნებული მჭედელი იყო ის მამა-ცხონებული; მაგრამ გონებით შენ ათასი ხარ და ის არც ერთი! გონება და საქმის სიყვარული ჰქონდეს კაცს, თორემ ისე დახელოვნდება, რომ სასწაულთ-მომქმედი გახდება.

სადილი გავათავეთ. ის იყო წამოვიწიე, მაგრამ მხარზედ ხელი დამადო და მითხრა:

— მოითმინე, ცოტა რამ სალაპარაკო გვაქვს მე და შენ... ისე შენს მტერს დაეცალოს ოჯახი, როგორც ეს ხელადა არის, ჩემო ეკატერინე.

ნათლი-ჯალაბი ღვინის ამოსატანად გავიდა. მე კი გაკვირვებული შევყურებდი ნათლია-ჩემს და ვფიქრობდი, ნეტავი რა უნდა მითხრას, რომ ასეთი ნასიამოვნები არის-მეთქი?

ცოტა ხანს უკან ნათლი-ჯალაბმა ღვინო მოგვიტანა და თი-თონ სამზარეულოში გავიდა ქურქლის გასარეცხად. დიდ დარ-ბაზში მარტონი დავრჩით მე და ნათლია-ჩემი.

— აქ არავინ შეგვაწუხებს, — მითხრა ნათლია-ჩემმა და ღვინო დამისხა.—იმისთანა თოვლი დევს, რომ ეხლა მგზავრი არავინ მოვა... ხომ იცი, მიხო, რა ძვირფასი მამულია ჩემი პიკ-პოლცის მიწები. ლიქსპეიმის ახლო მიდამოში იმისი დარი მიწები არსად მოიპოვება. მართალია, ცოტა რამ ქვიშა და კირი ურე-ვია, მაგრამ მით უკეთესი, უფრო ფიცხი იქნება. რას დასთესს კაცი, რომ ზღვად არ იქცეს?! მერე რა დასვენებული მიწე-ბია! მე შენ გითხრა, ხვნით შეაწუხებდნენ ბერები! მაგრამ რა! არცა ხმარობდნენ და არც უვლიდნენ ის უბედურები! ქვემო-თა ნაწილში წყალი შეუგდიათ, დაუგუბებიათ შიგა და ის მშვენიერი საბალახე ჭაობად უქცევიათ. იმისთანა უვარგისი ბალახი მოდის, რომ საქონელი ახლოც არ ეკარება. შენ უპატრონობა სთქვი, თორემ ბოლოში რომ რუ გაეჭრათ და წყალისთვის გზა მიეცათ, ეხლა ძვირფასი მამული იქნებო-და. რას შეიწუხებდნენ თავს ბერები? რა გაჭირება იმათ ად-გათ, რომ მამულის ყადრი სცოდნოდათ! დილით - საღამომ-დე ქეიფს ეწევოდნენ და მაინც ულეველი ჰქონდათ სარჩო-საბადებელი. რომ ველარა სჭამდნენ, ღორები ულპებოდათ! დიაღ, იმას მოგახსენებდი... ზემო ნაწილში კიდევ იმისთა-ნა უზარმაზარი კაკლები და პანტები დგას, ისე აქვთ ფეს-ვი გამდგარი, რომ თუ ცულმა არ უშველა, იქ გუთანი ვე-რას გახდება. ფიჩხი ჩამოვა, ფიჩხი, რომ სამ წელიწადს ვერ დავწვავთ! ერთი სიტყვით, მოვლა უნდა, თორემ ოქროს მადა-ნია ის დალოცვილი. აი ჩემო მიხო, რამდენს ავნებს ქვეყანას ბერების სიზარმაცე და დაუდევრობა! მე რომ შარშან გუთანი შემეტანა, ეხლა ბეღელი სავსე მექნებოდა პურით. შარშან თუ ვერ მოვახერხე წლეულს უთუოდ უნდა მოვუარო საქმეს. დავიწყე კიდეც! სახლი ინგრევოდა და შევაკეთებინე: ახალი ჭერი დავხურე და ბოსლის შენება დავიწყე. საქმე ის არის, რომ ქვემო ნაწილში რაკი გავაშრობ, ძალიან პატივი დამჭირ-

დება და ხომ იცი, ვისაც პატივი უნდა, საქონელი უნდა გაიჩინოს. გავიჩენ კიდეც. ეკატერინეს მზითევი ფლეისჰეიმში ხელუხლებლადა მაქვს და ძალიანაც ვასარგებლე; ამ დუქანსაც კარგი სარგებლობა მოაქვს; ისე რომ მოვახერხებთ, როგორმე, საქონელსაც გავიჩენთ და მამულსაც მოვუვლით. ეს კია, რომ მე აქაურობას თითქმის ვეღარას გამოვადგები: ხომ იცი გლეხიკაცისა უმთავრესი ის არის, რომ მიწასაც თითონ ჩაჰყურებდეს, მოჯამაგირეებსაც თითონ ამუშავებდეს, საქონელს თითონ უვლიდეს, გუთანიც თითონ გაჰქონდეს; ყველაფერსაც თითონ უნდა აკეთებდეს, თორემ ათასიც რომ დახარჯოს, ვერას გაარიგებს. მთელს გაზაფხულს და შემოდგომას იქ ვიქნები; კვირაში ერთხელორჯელ დაგხედავთ; ეკატერინე უჩემოდაც კარგად გაუძღვება დუქანს; მაგრამ სამჭედლოსთვის კი მინდა ვინმე, რომ საქმეს გაუძღვეს და ეგ კი მინდა შენ დაგავალო, ჩემო მიხო, ჩემს მაგივრად შენ უნდა იყო სამჭედლოში. ქარგალიც შენვე უნდა იპოვნო ვინმე შენი გუნებისა, რადგან პასუხის-მგებელი შენ იქნები და, მაშასადამე, არჩევანიც შენზედ უნდა იყოს დამოკიდებული. დღეიდან თუმანი გექნება თვეში, ექვსი მანეთის მაგივრად. ეს იცოდე, ჩემო მიხო, რომ თუ კაცი საქმეზედ მუყაითად არის, მარტო თავის თავს შესძენს, რასაც პატრონს შესძენს. მგონი შენც იცი, როგორ მიყვარხარ, რადგან ჩემი გაზრდილი ხარ და ყოჩაღი ბიჭიცა ხარ. ჩემი ნათლული ხარ... მე კიდევ ღმერთმა შვილი არ მაღირსა... ეცადე, შვილო, და... ხომ გესმის!...

ტირილი მომივიდა და ძლივს-ღა წავილუღლუღე:

— ნეტავი ღმერთმა იმდენი შემაძლებინოს, ნათლია-ჩემო, რომ თქვენი სიკეთე გადამახდევინოს. არა ვიყავი-რა და კაცი გამხადეთ. ნეტავი კი შემეძლოს დაგიმტკიცოთ რითიმე ჩემი სიყვარული!..

— კარგად მოიქეც, ჩემო მიხო, და მე მეტი დამტკიცება არ მინდა.—მერე მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— იშრომე, გიყვარდეს შენი ოჯახი და ღმერთიც დაგიმადლებს და კაციც. მე რომ შვილი მყოლოდა, ვინატრებდი, შენ დაგვვანებოდა... აგრე! გაზაფხულამდე კიდევ ერთად ვი-

მუშავოთ; თუ გაკლია რამე, იმასაც გასწავლი და მერე კი შენ დაგილოცავ სამჭედლოს. შენ მანამ ქარგალი იზრუნე ვინმე.

დიაღ, ადამიანის სიცოცხლე დიდი ტანჯვა-წვალებაა, მაგრამ ხანდახან ნეტარი დღეებიც გამოერევიან ხოლმე; ნათლია-ჩემმა რომ მიბრძანა, სამჭედლო შენთვის ჩამიბარებიაო, ასე მეგონა, ერთი პატარა სამჭედლო კი არა, მთელი სამეფო ჩამაბარეს-მეთქი და ამაყად წამოვიწიე: მეც კაცი ვყოფილვარ, მეც შემძლებია ჩემად საქმის გაძღოლა-მეთქი. მომაგონდა ჩემი მარგალიტა, თვალ-წინ წარმომიდგა იმისი აღტაცება, ამ სასიამოვნო ამბავს რომ გაიგებდა. მაგრამ უფრო იმიტომ მიხაროდა, რომ ჩემი ჯამაგირით ადვილად შემეძლო პატარა სტეფანე ლუტცელბურგში მიმებარებინა ვისთვისმე, რომ მამა ქრისტეფორესთან სასწავლებლად ეარნა; სულ იმის ოცნებაში ვიყავი, რომ ჩემი სტეფანე სოფლის მასწავლებლად უნდა გამოვიყვანო-მეთქი. რომ არ შესწავლებინა, ის თავის თავს ვერ აცხოვრებდა, სოფლის საკვები გახდებოდა და ამას რომ წარმოვიდგენდი, ისე შემრცხვებოდა ჩემი თავისა, თითქო ჩემს ძმას უკვე ვუღალატე, შემეძლო და იმის სწავლისათვის ფული დავიშურე... ახლა მამა-ჩემი როგორ გაიხარებდა!

ვეღარ გავუძელ ამ ფიქრებს და ნათლია-ჩემსა ვთხოვე, თუ საქმე არა გაქვთ-რა, ცოტა ხანი დამითხოვეთ, შინ ავირბენ-მეთქი.

— გაიქე და გაახარე თქვენები,—დასტური დამცა ოსტატმა.

თვალის დახამხამების უმალ ავედი ჩვენსა. მამა-ჩემი, სტეფანე და მატურინი კალათებს სწნავდნენ და ძალიანაც გაუკვირდათ ჩემი ისე უდროვოდ მისვლა. დედა-ჩემი ბუხართან ჭურჭელსა რეცხდა; ერთი კი გადმომხედა და ისევ თავის საქმეს შეუდგა.

— რა მოხდა, მიხო?—მკითხა შეშინებულმა მამამ.

— ნათლია-ჩემმა თვეში თუმანი დამინიშნა, მამა-ჩემო!— შევყვირე გახარებულმა. იცით, ვალენტინი წავიდა. სამჭედლოს მე უნდა გავუძღვე და თვეში თუმანი მექნება. ნათლიამა სთქვა: გაზაფხულზედ პიკჰოლცში მივდივარ მამულის მოსამსახურე და ჩემს ალაგას შენ უნდა იყო და ქარგალიც შენვე უნდა დაიჭიროვო.

მაშინ მამა-ჩემმა ხელები ცისკენ აღაპყრო და შესძახა:

— ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ წყალობის თვალით გადმოხედე ჩემ წვრილშვილს, შე მადლიანო?!... ძლივს, შვილო, ძლივს! ვინც შენ გიცნობს, ყველა იტყვის, რომ ღირსეულად დაუჯილდოებიხარ ნათლია-შენს სამაგალითო შრომისა და ერთგულებისათვის.

წამოდგა და გულში ჩამიკრა.

— სტეფანეს უნდა უხაროდეს, მამა-ჩემო, სტეფანეს! რამდენი ხანია მინდოდა მამა ქრისტეფორესთან გამეგზავნა სასწავლებლად და ფული არა მქონდა.

დედა-ჩემმა არც კი გამათავებინა სიტყვა. წამოხტა და შეჰყვირა:

— სტეფანე არსად წავა! მე არ მინდა რომ ეგეც ღვთის მგმობელი გამოვიდეს! არ მინდა, არა!

ამ სიტყვებზედ მამა-ჩემს ფერი ეცვალა. უცბად შემოტრიალდა, დედისკენ მიიწია და გაბრაზებით უთხრა, ხრინწიანი ხმით, თითქო არჩობენო:

— შენ არ გინდა?! მე მინდა! გეყურება? მე! მე! ვინ არის აქ სახლის პატრონი და უფროსი? შენ არ გინდა?! მე მინდა! შენს საუკეთესო შვილს ის უხარიან, ჩემს ძმას ვასწავლი, კაცად გამოვიყვანო და შენ კი მადლობასაც არ უხდი! შენ შენი ნიკო და ლიზა გირჩევნია, განა?! რომელთაც აღარც კი ვახსოვართ, რომელთაც ვეთაკილებით და ვეზიზღებით! შენ ისინი გირჩევნია განა?! ლუკმას არ მოგვაწოდებენ, შიმშილით რომ ვწყდებოდეთ! შენ ისინი გირჩევნიან განა!...

ისე გაჯავრდა, რომ ყველანი კანკალმა აგვიტანა. დედა-ჩემი ბუხართან ატუზულიყო და ხმის ამოღებას ველარა ბედავდა. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მამა, თვალი გაუშტერა და უთხრა:

— შე უმადურო, შენა! ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვაც კი გშურს შენი შვილისთვის, რომელიც შენც გაცხოვრებს და ამოდენა ოჯახსაც!

მაშინ კი დედა-ჩემმაც გულში ჩამიკრა და დაიწყო:

— განა არ ვიცი, რომ კარგი შვილი მყავს!.. გულკეთილი და ოჯახის ერთგული.

ხომ იმოდენა უსიამოვნება მახსოვდა დედი-ჩემისაგან და ვგრძნობდი, რომ მაინც ვუყვარდი. ბავშვები ტიროდნენ. მამა-ჩემი კი იდგა ისევ ისე აღშფოთებული, ფერ-მიხდილი და საშინელი თვალით დასცქეროდა დედას. ბოლოს მოვიდა, ხელი მტაცა და თავისკენ გამიტაცა:

— მოდი, ერთხელ კიდევ გაკოცო, ჩემო იმედო! ვისაც შენისთანა შვილი ჰყავს, იმას საშიში და საწუხარი აღარა აქვს-რა.

და ქვითინი დაიწყო. დედა-ჩემი ბუხართან იჯდა და რაღასაც მოსთქვამდა, ისე რომ სიხარულის წილ ჩვენს სახლში ტირილი-ღა გაისმოდა.

ბოლოს როგორც იყო დამშვიდნენ ყველანი. მამა-ჩემმა პირი დაიბანა, საკვირაო ტანისამოსი ჩაიცვა და მითხრა:

— დღეს აღარ ვიმუშავებ. მოდი, მიხო, ნათლია-შენთან ჩავიდეთ. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს და კეთილის-მყოფელს. რა კარგი ვქენ, რომ იმას მოვანათვლინე ჩემი ბიჭი! სწორედ ღვთის განგება იყო, ღვთისა!

გზაზედ თოვლი მოყინული იყო და მამა-ჩემი ძლივს მოდიოდა, თუმცა ხელი ჩემს მხარზედ ედო და თავს ისე იმაგრებდა. თვალები უბრწყინავდა. სულ იმას გაიძახოდა: დიდი ბედნიერება მომივიდა, რომ ივანე ავირჩიე შენს ნათლიადაო. დაინახა თუ არა ნათლია-ჩემი, შორიდანვე დაუყვირა:

— ივანე! მადლობის გადასახდელად გიახლები!

ნათლია-ჩემი წინ გამოეგება და ძალიანაც ესიამოვნა ჩვენი მისვლა. მივუსხედით გაჩაღებულ ბუხარს და საღამომდე მხიარულად ვლაპარაკობდით ჩვენს საქმეებზედ, მოსავალზე, ნათლია-ჩემის ახალ მამულებზე და საერო კრებაზედ. ვახშმადაც აღარ გაგვიშვეს. კარგა ღამე გასულიყო და ჩვენებს ყველას ეძინათ, შინ რომ მივედით.

## VI

დადგა 1791 წ. სტეფანეს ლუტცელბურგში გერტრუდა არნოლდთან ვუშოვნე ბინა, რომ სასწავლებლად მამა ქრისტეფორესთან ევარნა და მართლაც ისე მშვენივრად სწავლობდა, რაც ხანი იქ იყო, რომ უკეთესი აღარ შეიძლება.

ნათლია-ჩემმა ამ იანვრის განმავლობაში უფრო გარკვევით გამაგებინა თავის სურვილი: გარდა იმისა, რომ სამჭედლოს უნდა გაუძღოლოდი, მევე უნდა ჩამეწერა დუქნის დავთარში, რასაც ვიყიდდით, ან გავყიდდით, რადგან ნათლი-ჯალაბმა წიგნი არ იცოდა. მევე მაბარებდა სხვა ანგარიშებსაც, ისე რომ ერთი თვალი რომ გადაევლო, ყოველთვის ცხადად დაინახავდა თავის საქმეების მდგომარეობას.

დედა-ჩემს ჯერაც უკვირდა: როგორ გაბედა ჩემმა კაცმა, რომ ისე შემომიტიაო? მაგრამ შეშინებული ველარას ბედავდა და ერთს-ღა გაიძახოდა:

— ეჰ, მადლობა ღმერთს! თუ ერთი მატურინიც დავაყენეთ სადმე კარგ ადგას, მერე კი აღარა გვიჭირს-რა!

ამაზედ მეცა ვფიქრობდი, მაგრამ იმისთანა არეულობის დრო იდგა, რომ ვისაც შეძლება ჰქონდა რამე, უცნობ მოსამსახურეს ისე ერიდებოდა, როგორც მგელს; ეგეც რომ არა ყოფილიყო, ვალენტინის წასვლის შემდეგ ძალიან ამაყად ვიყავ და როგორღაც მეჯავრებოდა, რომ ჩემი და სადმე მოახლედ მდგარიყო.

ჩვენს ბედნიერებას აღარა აკლდა-რა.

მაგრამ უბედურება სულ სხვა მხრიდან გვეპარებოდა. იმ წელს იანვარში და თებერვალში იმოდენი ხალხი გაიხიზნა, რომ გვეგონა, საფრანგეთში დიდებული აღარავინ დარჩებაო. „წითელი წიგნი“ მთელს ქვეყანას მოჰფინეს და იქა ჩანდა რა ულვთოდ ეფლანგათ სახელმწიფო ხაზინიდან ფული, რა სამარცხვინოდ ეძლიათ დიდებულთათვის პენსიები და საჩუქრები— 50 მილიონი წელიწადში, როდესაც უბედური ხალხი სახელმწიფო ხარჯს ველარ ასდიოდა და შიმშილითა წყდებოდა. მთე-

ლი ერი ზიზღით შესცქეროდა დიდებულთ და ისინიც ძულებულნი იყვნენ გახიზნულიყვნენ; გზას ვეღარ აუქცევდით, ისე იყო გაბმული იმათი ეტლები ყველა გზაზედ; ღამე რომ ქალაქის კარს მიადგებოდნენ და დაკეტილი დახვდებოდათ, გარშემო უვლიდნენ, ტყუილად დრო არდავკარგოთ, ვიდრე მეკარე კარს გაგვიღებსო. იმდენნი გადიოდნენ სამძლვარ გარედ, რომ ბოლოს პატრიოტებიც შეაფიქრიანა ამ გარემოებამ.

საერო კრებაზედ პასპორტის შესახებ ატყდა ბაასი. მირაბო ამტკიცებდა, სირცხვილია კაცს ან წასვლა დაუშალოთ ან მოსვლაო; მაგრამ პასპორტების გაუქმება მაინც ვერ მოახერხებს და ხალხის ერთგული მილიცია ყველა მიმავალს ეკითხებოდა, რად მიხვალთ კობლენცს ან ტურინსაო? და როდესაც მიმავალნი გაჯიუტდებოდნენ და პასუხისგებას არ ინებებდნენ, დარაჯები დაემუქრებოდნენ: გვიპასუხეთ, თორემ ამ ქალებს დავაპატიმრებთ და ვნახოთ მართებლობის განკარგულება რას იტყვისო. უნდა გენახათ რა უეცრად შეიცვლებოდა ხოლმე დიდებულთა სახის გამომეტყველება: ერთ წამს წინად განრისხებული და მუქარის მფრქვევი თვალები უცბად მოკრძალებით და ვედრებით-და გამოიყურებოდნენ; დიდებულნი, რომელნიც წინად სალამსაც არ აღირსებდნენ ამ ხალხის შვილთ, დღეს ხელს ართმევდნენ, „ჩემო კეთილო მეგობარო"-ო უძახდნენ და იქვე პატარა დუქანში ხალხის სადღეგრძელოსა და გამარჯვებასა სვამდნენ. სიცილად არა ჰყოფნიდათ მილიციელებს ეს თინთლიბაზობა, მაგრამ ბოლოს თავს დაანებებდნენ ხოლმე და გზას დაულოცავდნენ:

— ღმერთმა კეთილი გზავრობა მოგცეთ, ბატონებო!

რას იზამთ? ფრანგებს ყოველთვის გვიყვარდა ხუმრობა და, რაც უნდა გაჭირებაში ჩავვარდეთ, ჩვენ მაინც გულს არ ვიტეხავთ და ვხუმრობთ.

ბერებიც თავისას არ იშლიდნენ, რასაკვირველია, და ყველგან იმას ქადაგებდნენ, ვინც დაიფიცა, ღვთისა და ერის მტერი ყოფილაო. ალზასში მოგროვილიყო 1500-მდე კაცი, დაეძახნათ — ჩვენა ვართ ნამდვილი კათოლიკენი და ვინც კაცია გა-

ბედავს და იმ მღვდელს გადააყენებს, რომელმაც არ დაიფიცაო! დადიოდნენ და ყვიროდნენ:

— თავად არტუას გაუმარჯოს!

საერო კრებამ თავისი გამომძიებელი გამოგზავნა—გაიგე, რა უნდათო? ისინი კი უფრო გათამამდნენ და ყვირილი დაიწყეს:

— ჩამოვარჩოთ გამომძიებელიო!

მოთავეედ თავადიშვილები ჰყავდათ. რაკი ნახეს სტრასბურგელმა პატრიოტებმა, ძალიან თავს გავიდნენო, ხალხი წაიყვანეს და ისე გაჰფანტეს, რომ მათი ხსენებაც აღარ დარჩენილა.

მეფის მომხრე გაზეთები უცხოელი ჯარების შემოსევას გვემუქრებოდნენ.

სარგემინისკენ მიმავალი ცხენოსანი რაზმი ფალსბურგში რომ შევიდა, ხალხში ხმა გავარდა, ეს რაზმი ერის წინააღმდეგია და ბრძოლა ატყდება თუ არა, მაშინვე მტერს მიუდგებაო. ფალსბურგში მყოფთ ჯარის-კაცთ რამდენიმე ცხენოსანისთვის ალპირი დაეჭირათ და ეთხოვნათ, დაიძახეთ: „თავისუფალ ერს გაუმარჯოსო!“ მაგრამ ცხენოსანთა რაზმს ხმალი ეშიშვლა და ცხენებისთვის გაეტანინებინა ფალსბურგელები. საავადმყოფოში დაჭრილები და დაშავებულები ვეღარ ეტეოდნენ. ცხენოსანთ იმით ესარგებლათ, რომ ფალსბურგელები უიარაღოდ ყოფილიყვნენ და არავინ დაენდოთ. მიუხედავად ამისა, მეფე ლუი XVI არამც თუ გაამტყუნა, მადლობაც გადაუხადა ცხენოსანთ, რომელნიც შემდეგში, როდესაც მეფემ გაპარვა განიზრახა, თან ახლდნენ ავსტრიისაკენ მიმავალ მეფეს. ფალსბურგელ რაზმს კი დიდი საყვედური გამოუცხადეს; დასასჯელად სადღაც გადაიყვანეს და იმათ მაგივრად ის რაზმი ჩააყენეს, რომელიც თავგამოდებული იყო მეფისა და დიდებულთათვის.

ძნელი წარმოსადგენია, რა აღშფოთებულნი იყვნენ პატრიოტები. რაც ხანი ჩვენში იდგა ის რაზმი, არც ერთს პატიოსან კაცს სალამი არ უღირსებია იმათ უფროსებისათვის. ჩვენი კერუ, რომელიც მილიციის სამხედრო ვარჯიშობაში გვშველოდა და იმასთან ერთად სხვა ათისთავები თავის რაზმს

გაჰყვნენ და დავრჩით ცარიელები. მიმავალნი სარბურგამდის მივაცილეთ და იქ ძმობა შევფიცეთ ერთმანეთს.

სწორედ ამ დროს გაიპარნენ მეფის მამიდები და თან თორმეტი მილიონის ოქრო წაიღეს და სამი მილიონიც ვალები დასტოვეს: რა უშავს, სახელმწიფო ხაზინიდან გადაიხდიანო. მაგრამ გაპარვა ვერ მოახერხეს და ბურგონში რომ დაიჭირეს გაპარულები, შეშინებულებმა საერო კრებას წერილით გამოუცხადეს თავიანთი ერთგულება:

„ჩვენ საერო კრების და კანონის წინააღმდეგნი არ გახლავართ. ერთგულ მამულისშვილად გვიგულეთ თქვენი პატივისმცემელნი და უმორჩილესი მოახლენი...“

საერო კრებამ ნება მისცა, საცა გენებოთ, იქ მიბრძანდითო. და თუმცა ნათლია-ჩემი ძალიან ჯავრობდა, რატომ ხელშეკრულები არ მიიყვანეს პარიზშიო, მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ საერო კრებას საფრანგეთის ყველა კარები ღია უნდა ჰქონოდა მიმავალთათვის, ოღონდ კი ყველასთვის ეცნობებინა, რომ ვინც გაიხიზნება, სამშობლოში თავის დღეში ვეღარ დაბრუნდებაო.

მაგრამ ყველას თავისი აზრი ჰქონია. დარწმუნებული ვარ, ლუი XVI რომ სამზღვარგარეთ გასულიყო და გერმანიას შეჰკედლებოდა, ან ინგლისს, სწორედ იმდენს ყურადღებას მიაქცევდნენ, რაც უგანათლებულეს თავად არტუას. დარწმუნებული ვარ, რომ ის დიდებულნი, რომელნიც საფრანგეთიდან გაიხიზნენ, ძალიან ნანობდნენ და სულ იმასა ნატრობდნენ, ნეტავი შეიძლებოდეს ჩვენი მიწა-წყალი ერთხელ კიდევ ვნახოთო; მეტადრე როდესაც დარწმუნდნენ, რომ წასვლა ადვილი იყო და დაბრუნება კი შეუძლებელი გაუხდათ.

საერო კრების ნებართვით ისარგებლეს მეფის მამიდებმა და რომს წაბრძანდნენ. ის იყო და ისა, მას შემდეგ იმათი აღარავის-რა გაუგონია.

დიდი არეულობა იყო პარიზში. ამას გაზეთებში ვკითხულობდით, რომლებიც შოველისაგან მოგვდიოდა. ხალხი იჭვის თვალით უყურებდა დიდებულთ და ბერებს და სულ იმის შიშ-

ში იყო, ხაფანგში გაგვაბავენო. კამილ დემულენი, ბრისსო, ფრერონი და სხვანი, რომელთაც თავი განწირული ჰქონდათ და აღარაფრისა ეშინოდათ, ყველგან და ყოველთვის სიფრთხილეს ურჩევდნენ ხალხს:

— გაფრთხილდით! უცბად არ მოგვეპაროს მტერი! უმრავლესობა თქვენის დეპუტატებისა მტერს მიუდგა. ლეოპოლდი და ვილჰელმი შერიგებულან, რომ უფრო მეტი ჯარი შემოგვისიონ. ფთხილად იყავით! მზად იყავით! ეცადეთ, არ მოგატყუონ მტრებმა და არ მიგაძინონ!

ერთ დღეს წმინდა ანტონის უბნელებმა პარიზში მოინდომეს ვინსენის ციხის დანგრევა. ლაფაიეტი წინ გადაუდგა და იმდენი ეხვეწა, რომ ხალხი დამშვიდდა და დაიშალა. იმავე დღეს მეფის სასახლეში საიდანღაც ხუთასი შეიარაღებული დიდებული შეიპარა და როდესაც ჰკითხეს, რა გინდათო? უპასუხეს:

— მეფის უერთგულესი ქვეშევრდომნი ჩვენა ვართ და გვინდათ გაჭირებაში თან ვახლდეთო.

სასახლიდან მაშინვე გამორეკეს და მეფე ლუი XVI გამოაცხადა, მე მეფის-მცველ ჯარად მილიციის მეტი არავინ მინდაო. მიუხედავად ამისა ხალხი მაინც უნდობლად უყურებდა მეფეს და თვალს არ აშორებდა: არა გვიეშმაკოს რაო. ცოტახანს უკან ხმა გავარდა, მეფე შეუძლოდა ბრძანდება და ექიმს ურჩევნია, ჰაერი უნდა იცვალოთ, სენკლუს ჰაერი ძალიან მოგიხდებათო. მაგრამ შეიყარნენ ბაზრის დედა-კაცები—ზოგი ხილითა ვაჭრობს, ზოგი თევზით, ზოგი ძველი ტანისამოსით—და შეევედრნენ: ნურსად წახვალ, თავს ნუ დაგვანებებო! ნეტავი ის მაინც ეფიქრათ იმ საწყლებს, თუ რას არგებდა ხმათ მეფე, პარიზში იქნებოდა, თუ სენკლუში? ასე ეგონათ, მეფე რომ წავიდეს, ქვეყანა დაიღუპებაო. იმას ხომ არა ფიქრობდნენ, რომ ხალხი კი ყოველთვის იშოვის მეფეს და მეფე თავის დღეში ვერ იშოვის ხალხს, თუ თავისი დაჰკარგა. მაგრამ რა? ყველაფერს ერთად ვერ მიხვდება კაცი.

მარტის გასულს ნათლია-ჩემი თავის მამულში წავიდა პიკ-ჰოლცში და სამჰედლოში მე და ახალი ქარგალი სვიმონ ბენ-როტი-ღა დავრჩით. თითქმის ყოველ დღე წვიმდა; წვრილმანი საქმე არაფერი გვქონდა, რადგან ჯერ გზები არ ვარგოდნენ და მგზავრებიც ბევრი არავინ იყო; ვიდექით და ფალსბურგის ეკკლესიის მოაჯარს ვაკეთებდით; დღესაცა ნახავთ ჩვენს გაკე-თებულს მოაჯარს, ბალკონზედ რომ ახვიდეთ. რაკი გავათავეთ, მე ყოველ დღე ფალსბურგს ჩავდიოდი მოაჯრის გასამართა-ვად და სვიმონი შინა მუშაობდა.

სწორედ იმ დროს მოუვიდა ბრძანება ჩვენგან შეძულე-ბულ რაზმს, რომელიც ფალსბურგს იდგა, ისევ ქ. მეცს უნდა გადახვიდეთო. ამბობდნენ, გენერალი ბულიე რაღასაც აპირობს და უნდა მეფის ერთგული ჯარები სუყველანი თავისთანა ჰყავდესო. იმ რაზმის მაგივრად ჩვენს ქალაქში ოვერნელი რაზ-მი გადმოიყვანეს, რომელიც ერის ერთგულად ითვლებოდა და ყველასაგან პატივცემული იყო. ამერიკის განთავისუფლების დროს დიდად ისახელა თავი ოვერნელმა რაზმმა და ნანსში რომ არეულობა მოხდა, პირდაპირ გამოაცხადა: ჩვენ ჩვენების წინააღმდეგ ვერ წავალთო. კლუბში დიდი ქებით მოიხსენია ოვერნელი რაზმი ქლოოდ კოლენმა, გვიამბო, რამდენი გამარ-ჯვებით უსახელებია მას თავი და შემოვიდნენ თუ არა ფალს-ბურგში, ხალხი წინ გაეგება და ჯარის-კაცებმა და ხალხმა ერთ-მანეთს ძმობა შეჰფიცეს.

მაგრამ ოვერნელებსაც ჰქონდათ თავიანთ უფროსებთან გა-სასწორებელი ანგარიშები და არ გასულა დიდი ხანი, იმისთა-ნა ამბავი მოხდა, რომ დიდებულნი, თუ კი ტვინი ჰქონდათ და ფიქრი შეეძლოთ, ძალიან უნდა ჩაფიქრებულიყვნენ. საქმე იმაში იყო, რომ უფროსები, სულ დიდებული გვარის-შვილი ყმაწვილი კაცები, ულმერთოდა სცემდნენ ჯარის-კაცებს.

აპრილის დამდეგი იყო. ეკკლესიაში ვიყავით მე და ორი დღიური მუშა, როდესაც უცბად ნაღარის ხმა შემოგვესმა და ჯარის ფეხის ხმა. მაშინვე გარედ გავედი. ოვერნელი რაზმი წყობილად ჩამოვიდა მოედანზედ, იქვე ეკკლესიასთან გაჩერდა

და გასწორდა. გადავხედე და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა: მთელს რაზმში უფროსთაგანი ერთი არავინ იყო. ისინი თურმე იქვე ყავახანაში ბრძანდებოდნენ და ქაღალდსა თამაშობდნენ. ნაღარის ხმაზე ისინიც გარეთ გამოცვივდნენ, ზოგი უქუდოდ, ზოგი უიარაღოდ. წინამძღოლი, მარკიზ დეკურბონი, გაბრაზებული მივარდა თავის ჯარის-კაცებს და ეს რა ამბავიაო?—ეკითხებოდა. მაგრამ ნაღარას ისევ ისე სცემდნენ და პასუხი არავინ აღირსა. რაზმიდან სამი მოხუცებული ათისთავი გამოვიდა, და რაზმის წინ დადგნენ. სამივე სულ მთლად გათეთრებული, მაგრამ ჯერ ისევ მაგარი კაცები იყვნენ და ისე ყოჩაღად ეჭირათ თავი, იტყოდით, ოცი წლის ბიჭები არიანო. მოედანზედ ხალხი იკრიბებოდა. ფანჯრებიდან ქალები იყურებოდნენ.

ნაღარა დააყენეს. მაშინ ერთმა სამთაგანმა ჯიბიდან რაღაცა ქაღალდი ამოიღო და დაიყვირა:

— ათის თავო რავეტ! წინ წამოდექი.

რავეტი გამოვიდა და წინ გამოეჭიმა.

— ათის თავო რავეტ, ოვერნელმა რაზმმა შენ აგირჩია თავის წინამძღოლად.

იქვე ხეზედ მიაყუდა ახალმა წინამძღოლმა თავისი თოფი, ხმალი ამოიღო, ხელმეორედ დაჰკრეს ნაღარა და რაზმა თოფებით და მედროშემ თავის დროშით სამხედრო სალამი მისცეს ახალ წინამძღოლს.

იმისთანა ჩემს დღეში არა მინახავს-რა. რაზმის უფროსებს რომ გაებედნათ და ხმა ამოეღოთ, მთელი რაზმი მივარდებოდა და ცოცხალი აღარავინ გადაურჩებოდათ. ეს რომ წარმოიდგინე, თრთოლამ ამიტანა. თავის-და საბედნიეროდ უფროსები კარგად ხედავდნენ, რომ საქმე უკვე წაგებული ჰქონდათ და ხმა ამოუღებლივ ისევ ყავახანაში შევიდნენ.

წინამძღოლის შემდეგ, რაზმმა წინამძღოლის ნაცვალი აირჩია, მერე მაიორები, კაპიტნები და ბოლოს ათის თავები. სამი საათი იყო, რომ ყველაფერი გათავდა და რაზმი ბინაზედ წასასვლელად ემზადებოდა. სწორედ იმ დროს გამოცვივდნენ

ყავახანიდან რაზმის უფროსები და რაღასიც თქმას აპირობდნენ, მაგრამ ახალმა წინამძღოლმა დაასწრო:

— ბატონებო, ექვსი საათის შემდეგ აქ თქვენგანი აღარავინ უნდა იყოს!

მერე რაზმს მიუბრუნდა:

— ჩქარი ნაბიჯით მარცხნივ... იარეთ!

მეორე დღეს რაზმის დიდებული უფროსთაგანი ერთი აღარ იყო ქალაქში.

სამი კვირის შემდეგ 24 აპრილს საერო კრებამ წერილი მიიღო სამხედრო მინისტრისაგან, რომელშიაც აწერილი იყო, „აჯანყება ოვერნელი რაზმისა, რომელმაც განდევნა თავისი კანონიერი უფროსები, კერძო ამხანაგობად აღიარა თავისი თავი და თავის ამორჩეულთა გარდა უმფროსად და მბრძანებლად აღარავინ მიიჩნია“. მე ესა და მრავალი სხვა სიცრუვე იმ დროინდელ გაზეთებში წავიკითხე. ვისაც მართალი ნებავს, მართალიც ეს არის, რომ ოვერნელი რაზმის ჯარის-კაცნი ხალხისკენ იყვნენ; მოსწყენოდათ თავხედური ქცევა თავიანთ უმფროსებისა, რომელთაგან უდიერი ცემა-ტყეპის მეტი არა ახსოვდათ-რა; გარდა ამისა, რად გვინდა იმისთანა უმფროსები, რომ ბრძოლის ველზე გვიღალატონ და მტერს მიუდგნენო,—იძახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მინისტრი ისე უჯავრდებოდა ოვერნელს რაზმს, ბევრმა სხვა რაზმმა ჩაიდინა იგივე და მთელ ჩვენს ჯარს რომ ოვერნელებისთვის მიებაძნა, მაშინ აღარც იმისთანა გენერლები გვეყოლებოდა, რომელნიც ცდილობდნენ თავიანთი ჯარი საერო კრების წინააღმდეგ წაეყვანათ, ან ბრძოლის დროს მტერს მისდგომოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ კვირა დღეს ნათლია-ჩემიც მოვიდა. ყველაფერი რიგზედ დახვდა და ძალიან კმაყოფილი იყო. ლიქსჰეიმიდან გაზეთები მოიტანა და იქიდან გავიგეთ, რომ მირაბოს თქვენი ჭირი წაეღო; რომ მეფე-დედოფალი და ჯარის-კაცნი ძალიან სწუხდნენ მის გარდაცვალებას; რომ საერო კრებამ მის გარდაცვალებისა გამო დაადგინა: ახლად აგებულ წმ. ჟენევიევის ტაძარში დაკრძალულ იქმნან სამშობლოს

მასახელებელნი შვილნი. კანონმდებელი კრება გადასტყვეტს, ვინ იქნება ღირსი ამ დიდებისა. ჰონორე მირაბო კრებამ ღირსადა სცნა ამ დიდებისა. ეს რომ წავიკითხეთ, შოველის მოწერილი მოგვაგონდა მირაბოს შესახებ და გაკვირვებულნი დავრჩით.

იმავე გაზეთებში ეწერა, რომ ლუი XVI ძალიან მოწადინებული იყო სენკლუში გაეტარებინა რამდენიმე ხანი; მაგრამ რაკი მილიცია და ხალხი ეწინააღმდეგებოდა მის წასვლას, მეფე საერო კრების სხდომას დასწრებოდა და საყვედური ებრძანებინა: რად მიყურებთ აგრე უნდობლადაო? რა ნდობა უნდა ჰქონოდა ხალხს მეფისა, როდესაც სასახლე ყოველთვის გატენილი იყო დიდებულებით და ბერებით და პატრიოტი იქ ერთი არავინ შესულა თავის დღეში; მეფის მომხრე გაზეთებს გადასინჯავდით და სულ იმას ჩივოდნენ, ჯარში დისციპლინა აღარ არის, საერო კრება ქვეყანას ღუპავს, ხალხი და მოქალაქენი თავზედ დაგვასხდნენო; წიგნებს იტყვით-და, ქვიშაზედ უმრავლესად მოჰფინეს პატარ-პატარა წიგნები საერო კრების და რევოლიუციის საძაგებლად და საგინებლად, და იქამდის უსინიდისონი იყვნენ, რომ ზოგს კამილ დემულენის თხზულებად ასაღებდნენ, ზოგს მარატისად, ზოგს მამა დიუშენისად, რომ უფრო მალე გაევრცელებინათ და პატიოსანი კაცისთვის ჩირქი მოეცხოთ. ამოდენა სულმდაბლობის, ლაჩრობის, სიცრუის და ცილისწამების მნახველ ხალხს, გიჟი იქნებოდა, რომ რაიმე ნდობა შერჩენოდა მეფისა.

განა ვალენტინის სიტყვა და ბერების ქადაგება არა კმაროდა, რომ ბრმასაც კი თვალი აეხილა და დაენახა, ვინ უნდა ყოფილიყო ქვეყნის მოღალატე! არა, ერთს აღარა ჰქონდა მეფის ნდობა, ერთს, და ეს ჩვენი ბრალი კი არა, თავისი ბრალი იყო, თვით მეფისა და იმის დამღუპველ მრჩეველებისა. ვისაც ხალხის ნდობა უნდა, აშკარად და პატიოსნად უნდა მოქმედებდეს; წინ ქვეყნის მატყუარა თინთლიბაზები არ უნდა გაისტუმროს თავის მაგიერად. თუ ერთხელაც არის სიცრუვე შეამჩნია ვისმე ხალხმა, ნდობის ალაგას უნდობლობა ჩნდება და თან სიძულვილიც.

რაკი ნახა ნათლია-ჩემმა, რომ ყველაფერი რიგზედ იყო, მეორე დღეს ისევ თავის მამულში წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ პაპმა პი მეექვსემ საქვეყნოდ დასწყევლა ის მღვდლები, რომელთაც საფრანგეთის კონსტიტუციას ერთგულება შეჰფიცეს. იმათ ამითი არაფერი დააკლდათ, მაგრამ საერო კრების მოწინააღმდეგენი კი უფრო გათამამდნენ. კორსის კუნძული ააჯანყეს; პარიზში კლუბის ფანჯრები ჩაამტვრიეს. სამაგიეროდ პატრიოტებმა დასწვეს სახალხოდ პაპის ბრძანება, რომლითაც მღვდლებსა სწყევლიდა; ვოლტერის ნაშთი წმ. ჟენევიევის ტაძარში დაასაფლავეს, ეკკლესიების ზარები გადაადნეს და ფული მოაჭრევინეს; უგანათლებულეს თავად კონდეს შეატყობინეს, დაბრუნდი თორემ აღარც რამე უფლება შეგრჩება, აღარც მამულიო.

მაგრამ დამშვიდების მაგივრად უარესად გამძვინვარდნენ. ბრიკონტ-რობერში იმათი მომხრე ჯარის-კაცები ღამე სახლში უცვივდებოდნენ პატრიოტებს და კაცსა და ქალს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ხალხი ღელავდა. ცხადი იყო, აუცილებლად უნდა შევბრძოლებოდით ერთმანეთს და ეს მით უფრო გვემძიმებოდა, რომ საიმედო წელიწადი იდგა და მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანდა: ყვაოდა ჩვენი სოფელი, ყვაოდა ჩემი მარგალიტას ბაღი.

ერთს-ღა ვნატრობდით:

— რა ბედნიერები ვიქნებოდით, რომ დამშვიდებული ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა! განა ის არა კმარა ჩვენისთანა უბედურთათვის, რომ სიცივეც ჩვენ გვაწუხებს და შიმშილიც, როდესაც ღმერთი ჩვენზედ მოიცლის ხოლმე და განრისხდება! წლეულს მაინც თავი დაგვანებონ, ძლივს ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედა! ნუ თუ წლეულსაც ვერას გავხდებით და ჩვენს მოსავალს პრუსიელებს და ავსტრიელებს გაათელინებენ ჩვენი მოღალატე ძმები?!

ერთ დილას ხმა გავარდა, მეფე გაიპარაო; მთელი შამპანი და მესსენი მილიციელებით გაივსო; ყველა გზაზედ და ბილიკზე დარაჯები დგანან და გაუსინჯავად არავისა სტოვებენ;

ყველგან ზარსა რეკენ და ნაღარას უკრავენ, რომ ხალხს აცნობონ მეფის გაპარვა... ვინც იმის კვალს იპოვნის, საშვილიშვილოდ გაკეთდებაო. ეს ამბავი ჩვენში სამმა ალზასელმა მოიტანა, რომელნიც სარბურგიდან მოდიოდნენ. შორიდანვე ყვირილი დაიწყეს იმათმა ცოლებმა:

— შენ იყავ ჩვენი შემწე, წმინდაო ღმერთო!.. დავიღუპენით, დავიღუპენით, ხალხო!

კაცები კი, რაც შეეძლოთ, ცხენებს მიერეკებოდნენ.

— რა მოხდა, მდევარი ხომ არ მოგდევთ?

— ქაჯს ჯაჭვი დაუწყვეტია!—დამიყვირა სიცილით ერთმა, რომელიც, ეტყობოდა, ნასვამი იყო. ერთმა ქალმა დამიძახა სასოწარკვეთილებით სავსე კილოთი:

— მეფე გაპარულა!

ცოტა ხანს უკან ორმოცამდე კაცმა გაირბინა ჩვენი დუქნის წინ; ქალაქში ყოფილიყვნენ ბაზარში და ახლა თავიანთ სოფლებისკენ გარბოდნენ, რომ მეფის გაპარვა ეცნობებინათ. იმათგან გავიგეთ, რომ დედოფალი და ბატონიშვილიც თანა ჰყავსო.

მაშინ კი მეც გავბრაზდი მეფეზედ. მანამდე, რაც უნდა ვამეგონა, ან წამეკითხა, არა მჯეროდა და სულ იმას ვიძახდი, შეუძლებელია, ფიცს როგორ გასტეხს-მეთქი? თრთოლამ ამიტანა, ჩაქუჩი კედელსა ვტყორცნე და დავიძახე:

— მოგვატყუა! მოგვატყუა იმ შერცხვენილმა, იმანა!

მაგრამ მალე დავმშვიდდი და რადგან დუქნის წინ დიდ-ძალი ხალხი მოგროვილიყო, მეც იმათთან მივედი და ვუთხარი:

— მეფე იმიტომ გაიპარა, რომ კობლენცს გაეიდეს და ჩვენი მტრები მოსძებნოს. გერმანელი ჯარი მზად არის და ჩვენს მეფეს-ღა ელის, რომ საფრანგეთს შემოესიოს; ვილჰელმმა და ლეოპოლდმა უიმისოდ შემოსევა ვერ გაბედეს, რადგან ეშინოდათ, ხალხმა მეფეზედ არ იყაროს ჩვენი ჯავრიო და ახლა, რა საკვირველია, აღარას დაერიდებიან.

ნათლია-ჩემი რომ იქა ყოფილიყო, მაშინვე ნაღარას დაააკვრევინებდა და მილიციას გაიყვანდა გზის შესაკრავად, მაგრამ

არც ის იყო შინა, არც ლეტუშიე და არც სხვანი: სულ მინდორში იყვნენ. მე ეს უფრო მაწუხებდა... ეხლა რომ მომაგონდება ხოლმე, სიცილი წამსკდება; მაშინ კი ასე მეგონა ჩვენს მეტი გზაზედ არავინ გავა-მეთქი. იმას ხომ არა ვფიქრობდი, რომ ათასობით იყო გასული ხალხი და მილიცია გზების შესაკრავად; გარდა ამისა, რაღა სტრასბურგზედ წამოვიდოდა მეფე, რომლესაც ბელგიისკენ ან ქ. მეცისკენ უფრო მოკლე გზა არის და სამზღვარს უფრო მალე მიაღწევდა? რას იზამთ, რომ სიყმაწვილე აჩქარებულია.

ყველანი ხედავდნენ, რომ მეფე წასული იყო ჩვენი მტრების შემოსაყვანად და ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლად. მტერიც აღარ დაიგვიანებდა, რაკი მზად იყო და შემოგვესევოდა. ეს იმისთანა რწმენად გახდომოდა დიდსაც და პატარასაც, რომ თვით საერო კრებასაც კი უეჭველ ჭეშმარიტებად სწამდა იგი და მეორე დღეს დილით, 25 თიბათვეს ყველგან—ეკკლესიების და სამამასახლისოების კარებზედ და, ასე გასინჯეთ, დუქნებშიაც კი გაკრული იყო დადგენილება საერო კრებისა, რომ ყველას წაეკითხა და მზადა ყოფილიყო, სადარაჯოდ. ჩვენსა ეს დადგენილება თვით ნათლია-ჩემმა მოიტანა პიკჰოლციდან, თითონვე გააკრა დუქანში და თან საშინელი სიტყვითა ლანძღავდა მეფეს და დედოფალს.

„21 თიბათვე 1791.

„საერო კრებამ დაადგინა:

**მუხლი 1.** ერის მცველი ჯარი მთელს სამეფოში იარაღ ქვეშ იყოს და ბრძანებას ელოდეს.

**მუხლი 2.** თემები: ნორი, პადეკალე, ეურა, ზემო და ქვემო რეინი და გერმანიის მხრივ მთელი სამძღვარი ქუდზედ კაცს გამოიყვანენ, თუ საჭიროებამ მოითხოვა.

**მუხლი 3.** სხვა თემები 2—3 ათასს კაცს გამოიყვანენ.

**მუხლი 4.** ყოველი მამულისშვილი, თუ ისურვებს სამშობლოს დახმარებას, მილიციაში ჩაეწერება.

**მუხლი 5.** მილიციის ჯარის-კაცები რაზმებად იქნებიან განაწილებულნი; რაზმში ათი წყობა იქნება, წყობაში ორმოცდა ათი კაცი.

**მუხლი 6.** წყობის უმფროსად იქნებიან კაპიტანი და ორი იმისი ნაცვალი.

**მუხლი 7.** რაზმის უმფროსად იქნებიან წინამძღოლი და ორი იმისი ნაცვალი.

**მუხლი 8.** უმფროსს და იმის ნაცვლებს თითონვე ამოირჩევენ რაზმი და წყობა.

**მუხლი 9.** ჯამაგირი მიეცემათ მილიციელს დღეში ერთი წილი—ერთი აბაზი; ნაღარის დამკვრელს—ერთ-ნახევარი; სურსათის გამგეს—ორი; კაპიტანის ნაცვალს—სამი; კაპიტანს—ოთხი; რაზმის წინამძღოლის ნაცვალს—ექვსი; წინამძღოლს—შვიდი.

**მუხლი 10.** როდესაც მილიციელების სამსახური საჭირო აღარ იქნება, ჯამაგირი აღარ მიეცემათ და დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნებიან.

**მუხლი 11.** დაუყოვნებლივ შედგენილი იქნება სახელმძღვანელო წესდება ჯარისთვის.

სიტყვა-სიტყვით გადმოგიწერეთ ეს დადგენილება, რადგან მაშინ პირველი იყო ქუდზედ კაცის გაყვანა და რაც შემდეგში რესპუბლიკა გამოჩენილმა გენერლებმა ასახელეს, სულ ამ დროს დაეწყოთ სამსახური, დაუსვენებლივ ებრძოლათ მტერთან და ათჯერ და ოცჯერ კი არა, ურიცხვოდ მრავალჯერ დაემარცხებინათ გამოჩენილი მხედართ-მთავარნი ფრიდრიხისა, ფრანსუასი, პავლესი, ვილჰელმისა და ალექსანდრესი. სულ კი უბრალო გლეხი-კაცის შვილები იყვნენ! დამარცხებულნი სულ დიდი გვარიშვილნი იყვნენ, დიდებულ წინაპართა დიდებული შთამომავალნი და გამარჯვებულნი კი გლეხი-კაცები, გლეხი-

კაცის შვილები, რომელნიც მარტო საერო კრებამ აღიარა ადამიანად. როგორ იცვლება ყველაფერი წუთისოფელში!

ეს დადგენილება ცხადად გაჩვენებთ, რა ნდობის თვალით უყურებდა საერო კრება ჩვენს მეფეს, რადგან ხალხი მტრის წინაალმდეგ კი არა, მეფის დასაჭერად გაჰყავდა, არ გაგვეპაროს და მტრებს არ შემოუძღვესო! რაკი მეფე სამზღვარს გასცდებოდა, მერე შიში აღარაფრისა ჰქონდა და იმისთანა ლაშქარს წამოასხავდა, რომ საუკუნოდ მონებად გაგვხდიდა ჩვენცა და ჩვენს შთამომავალთაც. მაგრამ ღმერთი სამართლიანია, ღმერთი ხალხისა და კონსტიტუციისაკენ იყო და არა ბერებისა და სასახლისაკენ და საქმე სულ სხვაფრივ დატრიალდა. ღმერთი, იმისმა მადლმა, თორემ რაც იმათ ეშმაკობა ჩაიდინეს, რაც იმათ მახეები გვიგეს და ორმო გვითხარეს, განა ჩვენ იმათ ვაჯობებდით! იმისთანა სიფთხილით გაეპარებინათ მეფე, ისე მოემზადებინათ ყველა, რომ უთუოდ უნდა გაგვპარვოდა, ღვთის განგება რომ არ ჩარეულიყო საქმეში. ერთმა საწყალმა ფოსტის მოხელემ, პატრიოტმა დრუემ კი გააკავა დიდებული მეფე და ისევ პარიზისკენ დააბრუნა. სამძლვარიდან ერთი საათის სავალზედ დაიჭირეს, სოფელ ვარანში. გენერალ ბულიეს მეფის გასაყვანად ცხენოსანი ჯარი გამოეგზავნა. დრუემ რომ ნახა, ძვირფასს პატიმარს წამართმევენო, ბოგირზედ ურემი ჩახირა და მით შეაჩერა მომავალი ცხენოსნები. დიაღ, ღვთის განგებამ სხვაფრივ განსაჯა ეს საქმე.

მეფის გაქცევაც და დაჭერაც დაწვრილებით იყო აწერილი გაზეთებში. ჩვენი დუქანი ხალხით გაივსო, რომ გაიგეს, დაუჭერიათო. შინ რომ ველარ ეტეოდნენ, გარეთ იდგნენ ფანჯრებთან, კარებთან და ეზოში. ქუჩაც კი სავსე იყო ხალხით. ნათლია-ჩემმა მიბრძანა, დაზგაზედ ადიო, და მეც ვიდექი და მაღალი ხმით ვკითხულობდი გაზეთებს. რომ წავიკითხე, დრუეს დაუჭერია-მეთქი, ერთხმივ შეჰყვირა იმოდენა ხალხმა:

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს!

მაგრამ მეფის გაპარვამ ისე არ ააღელვა ხალხი, როგორც გენერალი ბულიეს წერილმა, რომელიც საერო კრებისათვის

გაეგზავნა, როდესაც მეფე სალსალამათი პარიზში მიებრძანებინათ. წერილი და რა წერილი! საერო კრებას და მთელს ერს ემუქრებოდა ის თავხედი, დაგვნებდით, თორემ მთელს ევროპას შემოგისევთო. აი თქვენი თვალითა ნახეთ. მთელი წერილი რა საჭიროა და იმ ადგილებს კი ამოვწერ, სადაც ცხადადა ჩანს ღალატი:

„ლუქსემბურგი 25 თიბათვეს 1791. დიდებულ მეფეს უქმად ჩაუარა ამ ცდამ. უნდოდა ბორკილი დაემტვრია, მაგრამ ბრმა ბედმა, რომელიც განაგებს სახელმწიფოთა ცხოვრებას, უმუხთლა და კვლავ თქვენს ხელში ჩააგდო"...

ხედავთ რა ლექსით იწყობს? დაუკვირდით, ამ სიტყვებს: „ბრმა ბედმა, რომელიც განაგებს სახელმწიფოთა ცხოვრებასაო". მაშ ყველაფერი ბედზედა ყოფილა! მაშ ღმერთი არა ყოფილა! განა ცხადი არ არის, რომ დიდებულთ ღმერთი არა სწამებიათ! განა ცხადი არ არის, რომ უღმერთონი უღმერთოდ მოგვექცევოდნენ, ქრისტიანებს მონებად გაგვიხდიდნენ და სასაცილოდ გახდიდნენ მაცხოვარის მცნებას, რომლითაც ჩვენ ყველანი ძმანი ვართ და თანასწორნი... „გიყვარდეს მოყვასი შენი..." დიაღ, ძალიან ვუყვარდით!

მაგრამ მაგას თავი დავანებოთ და ვნახოთ, რას გვემუქრება. ჯერ იწერება, მეფემ წასვლა ჩემის რჩევისამებრ გაბედა, რადგან გვინდოდა მონმედში გაგვეყვანა, სადაც მისი ერთგული ყმანი არიან შეკრებილნი. რაკი თავს დავახწევდათ, ბრძანებას გასცემდა, რომლითაც საერო კრება დაშლილად ჩაითვლებოდა; მის მაგიერ ახალ კრებას მოუწოდებდა თავის გუნებისად და იმ ახალი კრების დადგენილებით დაგვიბრუნებდა დიდებულთ ყოველ უპირატესობას, რაც კი როდისმე გვქონია...

წერილს ასე ათავებს:

„დამიჯერეთ, თქვენგან შობილი გველი არა მარტო ჩვენს მეფეს, მთელი ქვეყნის მეფეებს ემუქრება. ისინიც ძალიან კარგად ხედავენ ამ მუქარას და უკვე ემზადებიან, რომ ყველანი ერთად და ერთ დროს შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას. მე კარგად ვიცნობ ჩვენს სამხედრო ძალ-ღონეს; ჩვენს მდგომარეობაში

მარტო გიჟს შეუძლიან რაიმე იმედი იქონიოს. შემოვლენ უცხოელი ჯარები და ისე დაგსჯიან, რომ თქვენი სახელი სამაგალითოდ დარჩეს მომავალთათვის. აქამდე მებრალებოდით, მაგრამ თქვენ ისე იქცევით, რომ მე მარტო ამგვარად-ღა შემიძლიან თქვენთან ლაპარაკი. **მეფე-დედოფალი თქვენს ხელთ არიან, მაგრამ იცოდეთ, მთელი ქვეყნის ხელმწიფენი თქვენ გაზღვევინებენ, თუ მათ ავნეთ რამე. პარიზში ქვა-ქვაზედ აღარ დარჩება, თუ გაგიბედნიათ და მეფე-დედოფლისთვის ერთი ბეწვი დაგიკლიათ თმიდან. მე გზები კარგად ვიცი, უცხოელ ჯარებს მე შემოვუძღვები.** ეს წერილი წინამორბედია ევროპის ხელმწიფეთა მანიფესტისა. ისინი უფრო გარკვევით გაგაგებინებენ, რომ თავიდან ვერ აიცილებთ ომს, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ჩვენი ქვეყნის წარყვნას. ნახვამდის, ბატონებო!“

ამაზედ მეტი რაღა გნებავთ? მეფე დედოფალს რომ დამართნოდათ რამე, ჩვენ უნდა გვეზღო მთელი ქვეყნის მეფეებისთვის. ბულიემ კარგად იცოდა ჩვენი სამხედრო ძალღონე, კარგად იცოდა გზები და **თითონ შემოუძღვებოდა მტერს თავის სამშობლოში** და პარიზში ქვას ქვაზედ აღარ დასტოვებდა!

სალამოზედ მამა-ჩემს წავუკითხე ეს წერილი და კინაღამ თავისი დაემართა, ისე ეწყინა. თავში ხელი შემოიკრა და შეჰყვირა:

— ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ შენი გაჩენილია ის სამშობლოს მოღალატე! ჩემმა ნიკომაც კარგად იცის გზები... რომ იკადროს და მტერს შემოუძღვეს..., არა, ღმერთმა მაგ დღეს ნუ მომასწროს!

— ეჰ, მამა-ჩემო! შენ გეზიზღება ეგ საქციელი... შენ ხომ დიდებული არა ხარ! აბა შენც მეფისაგან დანიშნული გენერალი იყო; დიდი პენსიები გქონდეს და წარჩინებული, სახელოვანი კაცი იყო! ერთი საწყალი გლეხი კაცი ხარ, რომელსაც ტანჯვის მეტი არა გახსოვს-რა. რა არის შენთვის სამშობლო? რის მაქნისაა, რის მარგებელი? შენ სამშობლოსაგან მზის შუქის მეტი არა მიგიღია-რა და შენთვის ესეცა კმარა, რომ თავდავიწყებით გიყვარდეს იგი. შენ ვერც კი წარმოგიდგენია,

რომ შეიძლება კაცმა თავის სამშობლოს უღალატოს! იმიტომ რომ გლეხი-კაცი ხარ! დიდებულთათვის კი სამშობლო იქ არის სადაც მრავალი ყმა ეყოლებათ ყურმოჭრილი საქონელისავით დამონავებული და თანაც მწყალობელი მეფე, რომ არც ჯილდოს აკლებდეს და არც პატივისცემას. ისინიც რომ იძულებულნი იყვნენ ჩვენსავით ხნან, სთესონ ან მთელი დღე სადმე საჭედლოში იმუშაონ და მეფე თავიანთი ნამუშავრით შეინახონ, მერწმუნე აღარც მეფის მომხრენი იქნებიან.

და მართალსაც ვამბობდი: მეფე რომ უკანვე მოიყვანეს და თავის სასახლეში შეაბრძანეს, ყველა დარწმუნდა, რომ იმის ბატონობა უკვე გათავებული იყო და ძველებურად ველარ გაუბოძებდა აქეთ-იქით ძვირფასს საჩუქრებს; უნდა გენახათ, რამდენმა ერთგულმა დიდებულმა უმტყუვნა მაშინ მეფეს! უნდა გენახათ, რამდენნი გაეპარნენ! დუნკერკში მდგომი რაზმის ყველა უფროსები ერთ ღამეს ავსტრიელებთან გადავიდნენ; ლილში მდგომი რაზმის უფროსებმა მოინდომეს ღამე მტრის ჯარისთვის კარი გაეღოთ, მაგრამ ჯარის-კაცებმა და მოქალაქეებმა გაუგეს. საშინელ მდგომარეობაში ვიყავით; სულ იმას ვშიშობდით ამალამ თავადი კონდე და მეფე ლეოპოლდი შემოგვესევიან ასი ათასი კაცითაო. მთელი საფრანგეთი გაიძახოდა, ლუი XVI მეფობის ღირსი აღარ არისო, რადგან ფიცი გასტეხა და სამშობლოს მტერს მიუდგა... თუ ჩვენ მტერი გვყავს ვინმე, ყველაზედ უარესი მტერი თვით მეფე არის, რადგან ჩვენდა საწინააღმდეგოდ აპირებს მოხმარებას იმ ძალისას, რომელიც ჩვენ სამშობლოს დასაცველად მივანიჭეთო. ყველანი ვგრძნობდით, რომ მეფე საშინელ, მომაკვდინებელ მუწუკად გადაგვქცევოდა და მუწუკს წამლობა უნდოდა.

პარიზელი გაზეთებიდან ჩანდა, რომ იქაური პატრიოტებიც ამ აზრისანი იყვნენ. მაგრამ ვინ დაგვესვა ლუი XVI ალაგას? ზოგნი ამბობდნენ, მეფე გადავაყენოთ და იმის ალაგას ბატონიშვილი დავსვათო; და რადგან ჯერ პატარაა, თანხმად კონსტიტუციისა რეგენტი დავუნიშნოთო; ზოგნი ამბობდნენ, მეფე არ გვინდა, ერთი კაცი ამოვირჩიოთ და კანონების ასრუ-

ლება იმას მივანდოთო; სხვანი ამბობდნენ, რესპუბლიკა გვინდაო. მაგრამ იაკობელების კლუბში რობესპიერი ცეცხლს აფრქევდა რესპუბლიკის წინაამდეგ: საქმე საქმეა და არა სახელიო! თითონ უნდა ვარგოდეს, თორემ სახელი ვერ გააკეთებსო, იძახდა; განა არ შეიძლება ხელმწიფე გვყავდეს და დიდად ბედნიერნი და თავისუფალნი ვიყვნეთ; როგორადაც შეიძლება იმისთანა რესპუბლიკა დაამყაროთ, რომ მონობის დაღი დაგვასვათ ყველასაო. ფრერონი მარტო ლუი XVI გადაყენებას თხოულობდა: როგორც ჭკუაზედ შეშლილი ჰკარგავს ყოველ უფლებას, ისე მეფე ლუის ალარავითარი უფლება არა აქვს ტახტზედ ბრძანდებოდესო. პეტიონიც რობესპიერის აზრისა იყო; ბრისსო, კონდორსე და თავადი ორლეანელი რესპუბლიკისკენ იყვნენ. მე კი მგონია, რომ იმ დროს რომ შესძლებოდა ვისმე და ლუი XVI ალაგას უგანათლებულესი თავადი ორლეანელი დაესვა, რესპუბლიკასაც დაივიწყებდა, თავის რესპუბლიკურ აზრებსაც და... სამშობლოს სამსახურისთვის მეფობასაც იკისრებდა; ოღონდ უნდა დაერწმუნებინათ კი, რომ ყველაზედ ძლიერი ის იქნებოდა, რადგან ჭკვიანი კაცი იყო და ძალიან კარგად ხედავდა, რომ მარატის, კამილ დემულენის და ფრერონის გადამკიდეს სამეფო ტახტზედაც კი არ ექნებოდა მოსვენება. მაგრამ ორლეანელი არავის მოჰგონებია: ჯერ რევოლიუციურ საქმეებში გამოუცდელნი ვიყავით და უმთავრეს ყურადღებას იმას ვაქცევდით, რომ ხელსახოცივით ვცვლიდით ჩვენს მართებლობას: დღეს მეფე, ხვალ რესპუბლიკა, ზეგ სახელმწიფო! შემდეგში დავრწმუნდით რომ უმთავრესი გამოცვლა კი არა, მართებლობის შერჩენა ყოფილა.

აგერ სამი კვირა სრულდებოდა და საერო კრება ამ საგნის სჯას არ ათავებდა. ერთმა ნაწილმა საერო კრებისამ—ეპისკოპოსებმა და დიდებულებმა, რომელთაც მარჯვენა მხარეს ეძახდნენ, იუკადრისა მეფისა და დედოფლის ლანძღვა და გამოაცხადა: კრებაზედ ვივლით, მაგრამ აღარც რაიმე მონაწილეობას მივიღებთ და არც კანონიერად ჩავთვლით თქვენს დადგენილებასაო. ამ განცხადებამ თავისი გავლენა იქონია. მაგ-

რამ რა? ბარნავი, ლამეთი და დიუპორი, რომელთაც „პრელებს“ ეძახოდნენ, რადგან ჩუმად სასახლეში დაიარებოდნენ და მეფეს ნუგეშსა სცემდნენ, წამდაუწუმ სიტყვას თხოულობდნენ, ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ და გარკვეულს კი არას ამბობდნენ. დრო გადიოდა... ბოლოს ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა და საერო კრებასა სთხოვა, მეფე გადააყენეთო. რამდენჯერმე მიმართა ხალხმა საერო კრებას ამ თხოვნით; მაგრამ ყურადღებაც არ მიაქციეს მათს სურვილს. აღელვებული ხალხი მარსის მინდორზედ მოგროვდა, რომ იქ, სამშობლოს საკურთხეველზედ ახალი თხოვნა დაეწერა, უფრო სასტიკი და მძლავრი; პარიზის მამასახლისმა ბ. ბაილიმ გზაში შეაგვიანა ისინი, ვისაც ეს თხოვნა კრებაში უნდა მიეტანა; ისინი რომ საერო კრების დარბაზში შევიდნენ, იქ უკვე დაედგინათ, რომ შეუძლებელია მეფე სასჯელში იქმნას მიცემული, რადგან იგი ღვთისაგან კურთხეული და, მაშასადამე, ხელ-შეუხებელი არისო. **ეს იმას ნიშნავდა, რომ მეფეს შეეძლო საფრანგეთში პრუსიელები და ავსტრიელები შემოეყვანა, ქვეყანა გაენადგურებინა და თითონ კი არაფრის და არავის შიში ჰქონოდა.**

მაშინ დარწმუნდა ხალხი, რომ საერო კრება, შამა გრეგუარის, შოველის, რობესპიერის და სხვათა გარდა, სრულიადაც არ ასრულებდა იმ საქმეს, რომელიც მას ხალხმა მიანდო. ზღვასავით ღელავდა საფრანგეთი. კლუბებში ჰექა-ქუხილი ასტეხეს ორატორებმა. ფრერონმა გამოაცხადა კორდელიერების კლუბში, რომ რევოლიუციას დამატება უნდა, თორემ სრული არ არისო. პატრიოტებმა პირობა შეკრეს, მარსის მინდორზედ შეკრებილიყვნენ, ახალი თხოვნა შეედგინათ და რამდენიმე ათასი კაცისთვის მოეწერინებინათ ხელი.

საერო კრებას ძალიან ეჯავრა ეს გარდაწყვეტილება, რადგან ხედავდა, რომ ამის შემდეგ ან ის-და უნდა ყოფილიყო, ან ხალხი. ლაფაიეტმა და ბაილიმ ბრძანება მიიღეს: სასტიკად აღასრულეთ კანონი, რომლითაც ჯარის უმფროსმა სამჯერ უნდა სთხოვოს შეგროვილ ხალხს — დაიშალენითო — და თუ სამ-

ჯერ თხოვნის შემდეგ არ დამორჩილდნენ, იარაღი უნდა იხმარონ და ისე დაფანტონ ხალხი. ამ ბრძანების ასასრულებლად დიდი ძალი ჯარები შეაგროვეს პარიზში.

მეორე დღეს დილა-ადრიანად გაეშურა ხალხი მარსის მოედნისაკენ. სამშობლოს საკურთხეველში, სწორედ იქ, საიდანაც ორატორებს უნდა ელაპარაკათ, ხალხმა ორი ჯაშუში იპოვნა დამალული. ორივეს თავები გააყრევინეს, შუბზედ ააგეს და მთელი პარიზი შემოატარეს. ორ საათზედ ლაფაიეტი და ბაილი მოვიდნენ ჯარებით და სასტიკად აასრულეს საერო კრების ბრძანება; ზოგი ამტკიცებს ერთხელაც არ უთქვამთ ხალხისთვის დაიშალენითო; ზოგნი ამბობენ კანონისამებრ სამჯერ უთხრესო. უთხრეს თუ არ უთხრეს ეგ სულ ერთია, საქმე ის არის რომ დაერივნენ უიარაღო ხალხს და არც ქალი დაინდეს, არც ბავშვი, არც მოხუცი! ბევრნი დახოცეს, ბევრი დააშავეს და დაასახიჩრეს. რა მადლობას ეტყოდნენ საერო კრებას მეფე-დედოფალი და გახიზნულნი! დიდებულნი და ბერები!

საერო კრების ბრძანებით იყო, რომ ჯარმა ხალხზედ პირველად იხმარა იარაღი. საერო კრების ბრძანებით იყო, რომ ხალხი ორად გაიყო და შემძლებელმა ნაწილმა მდაბიო ხალხს ბრძოლა აუტეხა. ამაზედ მეტი უბედურება განაღა იქნება რამე? ეს ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა და ამ უბოლოვო ბრძოლის ბრალია იმოდენა ომები და ბოლოს მტარვალის გამეფება.

ბაილიმ და ლაფაიეტმა ბრძანება გასცეს—კამილ დემულენი და ფრერონი დაიჭირეთო; ორივენი გაიქცნენ, მაგრამ მალე უკანვე დაბრუნდნენ; დაბრუნდნენ აგრეთვე მარატიც და დახოცილთა ნათესავები. საშინელება ყოფილა ძმათა შორის ბრძოლა! და კიდეც ეს ბრძოლა შეგეძინა მეფე ლუი XVI გაპარვამ. ეს დასაწყისი იყო და დანარჩენიც თავის დროზედ მოჰყვა.

საერო კრებამ, რომელიც ისე ერთგულად ემსახურებოდა ხალხის განთავისუფლებას; კრებამ, რომელმაც ძმობა, თანასწორობა და თავისუფლება აღიარა; კრებამ, რომელმაც იმო-

დენი მოწინააღმდეგენი დაამარცხა; საერო კრებამ თავი შეირცხვინა, როდესაც საქმე მეფეს შეეხო და ისიც რითი? მეფე ღვთისაგან კურთხეულია და მაშასადამე ხელშეუხებელია, რაც უნდა დამნაშავე იყოსო. სწორედ იმ აზრს დაადგა, რომელიც ეწინააღმდეგება გონებასაც, სამართალსაც და თვით საერო კრებისგანვე დადგენილ კონსტიტუციასაც. რომ დავუფიქრდები ხოლმე ამ გარდაწყვეტილებას საერო კრებისას, მაშინვე გონებრივი ძალის სისუსტე წარმომიდგება, მეტადრე როდესაც მას დიდი ჯამაგირი ეძლევა და ამ ჯამაგირისა გამო იძულებულია ხან შავი გაათეთროს, ხან თეთრი გააშავოს. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ წამხდარს, დალალულს და შესყიდულს კრებას დიდი დღე აღარა ჰქონდა: კონსტიტუცია თითქმის მზადა ჰქონდათ და ახალი ამორჩევები უნდა მომხდარიყო.

(შემდეგი იქნება).

# ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

## III *)

### რეალიზმი და იდეალიზმი.

I. იდეალიზმი და რეალიზმი რომ ცალკ-ცალკე ავიღოთ, არც ლიტერატურაში და არც ფილოსოფიაში იგინი ნამდვილს არას წარმოადგენენ. ერთიც და მეორეც მხოლოდ ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთს რომელსამე მხარეს გვიხატავენ. ამ მხარეს ცხოვრებისას შეუძლიან ასე თუ ისე განსაკუთრებული უფლება მოიპოვოს ზოგიერთთ შორის, თუნდაც უმრავლესობაში, და შემდეგ რომელისამე ხელოვნურ ნაწარმოების მასაზრდოებელ წყაროდ გარდიქმნეს. მილანის ტაძარზე, რომელსაც თერთმეტი ათასი სხვა-და-სხვა ქანდაკებაამშვენებს ადამიანისა და ცხოველების სახით, თითქოს მთელი ქვის ქვეყანა გაშენებულაო ზედ, სერაფიმებიც ისრევე ცოცხლად მოსჩანან, ჰმოძრაობენ, როგორც გორგონები; ამ ხელოვნების სამთავროში, რომელიც ჩვენისავე (კაცთა) საზოგადოების ნიმუშია, ანგელოზებსაც და ნადირებსაც—ყველას თავ-თავისი განსაზღვრული ადგილი უჭირავთ. გამვლელი და მნახველი აი, მხოლოდ რასა თხოულობს ამ ხელოვნურ ნაწარმოებთაგან: მზეზედ ცოცხლებს ემზგავსებოდნენ, თლილი მარმარილო ისრევე ბზინავდეს, როგორც ადამიანის შიშველი ტანი.

Moïse, pour l'autel, cherchait un statuaire;
Dieu dit: «il en faut deux»; et dans le Sanctuaire

*) იხ. „მოამბე“ № VIII, 1897 წ.

Conduisit Oliab avec Bélisèel:
L'un sculptait l'idéal et l'autre le réel *)

მწერალის მიერ დახატული ყველა ტიპი,—იდეალისტი იქნება იგი, თუ რეალისტი,—ერთგვარად კარგი როდია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მეტი სიცოცხლე ეტყობა თითოეულს იმათგანს. როგორც ვნახეთ, ცხოვრებაა მხოლოდ ერთად-ერთი პრინციპი და საზომი მშვენივრობის დასაფასებლად; დაბალი, ე. ი. მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრება იმდენად მშვენიერი ვერ არის, რამდენადაც მაღალი ცხოვრება,—ცხოვრება ზნეობრივი, გონებრივი. მაგრამ ვიმეორებ კვლავ, ჩვენთვის აქ ცხოვრებასა აქვს აზრი, და უმჯობესია ცოცხალი გონჯი იქმნას დასურათებული,—თუმცა ყოველს სიგონჯეს მსწრაფლ-წარმავალი და დროებითი ხასიათი აქვს,—ვიდრე უსიცოცხლოდ იქმნას იდეალი დახატული და სამკუთხედისა და ექვს-კუთხედის მაგვარ განყენებულ ხაზებიდან იქმნას იგი შედგენილი. მეტის-მეტად განკერძოვებულს მატერიალიზმს ხელოვნებაში უძლურობის ნიშანი დაესმის ხოლმე, მაგრამ მეტის-მეტად პირობითი იდეალიზმიც ამაზედ უარესია: იგი შუა გზაზედ გაჩერება, მიმართულების შეცდომაა, უაზრობა და მშვენივრობის ღალატია!...

ყოველსავე ხელოვნებას აზრად ისა აქვს, იმასა სცდილობს, რომ რაიმე წარმოადგინოს განკარგებულის სახით. პირველ დროის განუვითარებელი ხელოვნება სინამდვილეს განგებ ალამაზებდა; ხშირად სრულიად ჰყრყვნიდა; დღევანდელი ხელოვნება კი რაც შეიძლება ღრმა აზრს უძებნის მას. მაშინ როდესაც დღევანდელი ანატომისნი თავის სურათებისთვის უბრალო ფოტოგრაფიასა და ფოტოგრავიურას ხმარობენ, რომ ბუნებითი სინამდვილე საგნებისა სასტიკად დაცულ იქმნას, მე-XVI, XVII

*) „La Légende des siecles".

„მოსე საკურთხევლისათვის მექანდაკეს ეძებდა;
ღმერთმა უთხრა: «აქ ორიაო საჭიროა»,—და წმიდათა წმიდაში
ოლიაბი და ბელიზეელი შეიყვანა;
ერთმა იდეალი გამოაქანდაკა, მეორემ—სინამდვილე".

და თითქმის მე-XVIII საუკუნის ანატომოსნიც კი,—სწავლულნი და არა მხატვარნი,—მარტო იმასა სცდილობდნენ, რომ საგანი მხოლოდ ნამდვილისათვის დაეგვანებინათ, ესტეტიური ეფექტი და გარეგანი მწყობრი მოხაზულობა დაეცვათ; იგინი მაგალითად, ძარღვებს,—პატარებსა და დიდებს,—თავიანთის შესართავით ისე ჰხატავდნენ, რომ საზოგადოდ სასიამოვნო შეხედულობისა, ლამაზები გამოსულიყვნენ. ასეთი ფანტაზია უფრო კი მაშინ იჩენდა ხოლმე თავს, როდესაც ადამიანის ტვინსა ჰხატავდნენ; მათის აზრით, ნერვების კლაკნილი ზოლები მხოლოდ შემთხვევითს მოვლენას შეადგენდა და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბუნების შესწორებაც შეიძლებოდა, რადგანაც დეტერმინიზმი, ეს ყოველ საგნისა და მოვლენის შემაკავშირებელი სწავლა, უცოდინარობისა გამო, ექვს გარეშედ მიაჩნდათ. ამისათვის, სულ უმნიშვნელო და წვრიმალს მოხაზულობას საქვეყნო მნიშვნელობას აწერდნენ და ეგონათ,—ერთის რომელისამე კლაკნილ ნერვის სახე რომ შევცვალოთ ტვინში, მთელის კაცობრიობის ცხოვრების მიმართულება შეიცვლებაო. ბუნების ესტეტიკა ამა თუ იმ კერძო სურათში კი არაა, იგი ყველა საგნის სურათსა და სახეშია მოთავსებული და აი, სწორედ ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ამ გვარი შესწორება წამრყვნელად ითვლება. შეუძლებილია ადამიანი იმ მხატვარს შეედაროს, რომელიც მხოლოდ ერთად-ერთის აზრისათვის,—თვალი დაატკბოს, კიუვიეს მიერ აღმოჩენილს ტვინის შტოებრ მოხაზულობას ალამაზებს და რთულს კვანძს ნერვებისას განგებ აუბრალოვებს.

მშვენიერება სულ მთლად **უბრალო** არასოდეს არა ყოფილა,—იგი მუდამ **რთულია**, მხოლოდ **გაადვილებული**, **გაუბრალოებული**. იგი მუდამ სულ რამდენისამე სახელმძღვანელო აზრისაგან შესდგება, რომელიც მრავალს სხვა-და-სხვა სახესა და იდეას ნაცნობისა და საგნის სავსებით გამომხატველის სიტყვით აღბეჭდავს ხოლმე. მაშასადამე, უვარგის კლასიკურ მწერალთა იდეალიზმი, რომელიც მშვენივრობას განგებ და ძალდატანებით ჰზღუდავდა სულ მცირე რამდენისამე ღარიბის იდე-

ითა და სახით, ხაზების სასტიკად გატარებით, გადაჭარბებულის ერთურთთ შორის შეთანხმებით და ყოველგვარის შესწორებით, რაც კი ბუნების სამთავროში ამ აღნიშნულ გეომეტრიულს ფორმებს არ ეთანხმებოდა, სრული შეცდომა იყო.

„იდეალიო, — სამართლიანად ამბობს ამიელი, — ნამდვილს ცხოვრებაზედ ძალიან მაღლა როდი უნდა იდგეს, თუ რომ ჰსურთ ამ იდეალს არსებობისათვის ბრძოლაში თავისი უპირატესობა და გავლენა ჰქონდესო“. მხატვრებმა, რომანების მწერლებმა და აგრედვე ზნეობის მქადაგებლებმა ეს სიტყვები გულში ღრმად უნდა ჩაიმარხონ. ხელოვნებასაც კი იდეალი მხოლოდ მაშინ და იმდენად გამოადგება, რამდენადაც იგი ნამდვილს ცხოვრებას უახლოვდება, უკვე არსებობს სადმე, ესე იგი განხორციელების დრო უდგება; „შესაძლებელი“ იგივე „სინამდვილეა“, მხოლოდ ჯერ განუხორციელებელი და დღეს თუ ხვალ შესასრულებელი. იდეალიო, — ამბობს ქვეით ამიელი, — არის ხმა, რომელიც თავისს „არას“ მეფისტოფელივით შესძახის ყველა არსსა და საგანსაო: „არა, ჯერ შენ კიდევ მზად არა ხარ, ჯერ სრული და სავსებით განვითარებული არა ხარ, არ შეიცავ იმ უკანასკნელს სახეს, რომელსაც შემდეგ შენივ საკუთარი ევოლიუცია მოგანიჭებსო“. მაგრამ ამას ის უნდა დავძინოთ, რომ სინამდვილეც აუცილებლივ იდეალს უნდა ეთანხმებოდეს და არ ეუბნებოდეს: „არა, მე შენ არ გიცნობ; შენ ჩემთვის უცხო ხარ და უაზრო, შენ ჩემთვის ყალბი ხარო“, ესე იგი უსათუოდ საჭიროა იდეალი და სინამდვილე ერთურთის შემაერთებელნი, გამსჭვრეტელნი იყვნენ, ერთუთის ძირითადს აზრს არ ეწინაღმდეგებოდნენ.

მიუსსე ამბობს:

Malgré nous, vers ciel il faut lever les yeux *).

შეიძლება ეს ლექსი იდეალურ ესტეტიკის ფორმულად მივიღოთ. ზოლა სრულიად წინააღმდეგს ფორმულას იძლევა:

*) „უნებურად თვალნი ზეცას უნდა მივაპყროთო“.

ერთი იმის გმირთაგანი, რომელიც სალიტერატურო კამათის ტიპს წარმოადგენს, ერთხელ ბალახზედ იყო იდაყვ-დაყრდნობით წამოწოლილი; ეს ამბავი სოფლად მოხდა, ზაფხულში.

„იგი მწვანეზედ დაეცა ზურგით, ხელები მიწაზედ გაართხო, ბალახში ჩამალა და დედამიწას დაუწყო ფოთინი, თითქოს შიგ გულში უნდა ჩაუძვრესო“. გმირი ჯერ იცინის და ოხუნჯობს, მაგრამ შემდეგ ამ აღტაცებულის სიტყვებითასრულებს ლაპარაკს:“-ო, კეთილო დედამიწავ! წამიყვანე, შენ ხარ ყველას დედა, წყარო ცხოვრებისა, სიცოცხლისა! შენ ხარ უკვდავი, სამარადისო! ქვეყნის სული შენში ტრიალებს, შენშია ის ცოცხალი ძალა, რომელიც ქვასაც კი გულში უვლის და ამ უზარმაზარს, უძრავს ხეებს გვინათესავებს, გვიძმობს! დიაღ, მსურს შთამნთქა; აი, ეხლა მთელის ჩემის არსებით ვგრძნობ, როგორ მეხვევი, მამხნევებ! შენ, შენ იქმნები ჩემის ნაწარმოების პირველი ძალა, მისი საშუალება, მისი აზრი, ის უსაზღვრო საკურთხეველი, რომელშიაც თითოეულს საგანს ქვეყნის არსთა სუნთქვა ასულდგმულებს! მერე, ნუ-თუ თითოეულის იმათგანისათვის კიდევ ცალკე სულია საჭირო, როდესაც ეს დიადი სული არსებობს!“.

დედამიწაში შთანთქმა, მაშინ როდესაც სხვანი ზეცამდის ამაღლებას ოცნებობენ,—აი, ჭეშმარიტად ორი, ერთი მეორის წინაამდეგი შეხედულება ცხოვრებასა და ხელოვნებაში; მაგრამ ეს წინაამდეგობაც ისრევე პირობითია, როგორც დედამიწის გული და მის ასწვრივ ცის უმაღლესი წერტილი, რომლებიც მუდამ ერთსა და იმავე ხაზზე აწყვია.

დედამიწას რომ ღრმადა და ღრმად ვუთხაროთ გული, ბოლოს ისევ ზეცა გამოჩნდება. როგორც ძველის დროის დიდებულს ბუნებისმეტყველს ლუკრეციოსს, ისე თანამედროვე ბუნებისმეტყველთაც ერთი გულითადი სურვილი აქვთ, რომ მხოლოდ დედამიწის ნაყოფიერების ღმერთას ემსახურნენ, ვენერისა და ციბელას სიმბოლიური სახე ერთს კულტში მოაქციონ; მაგრამ ციბელას მისნი ძველნი თაყვანისმცემელნი მუდამ ურანოსის (ზეცის) განუყრელ მეგობრადა სთვლიდნენ.

ამისათვის ჩვენც უნდა გვახსოვდეს, რომ ძველი ღმერთა ზეცისაგან არის განაყოფიერებული, იგი გარს არტყია, რომ დედამიწამ თავისის წინსვლისათვის სუბუქ ზეფირის ტალღებს უნდა მისცეს თავი, ამ ღვთაების უხილავ მოძრაობით ჰღელავდეს, ღვთაებისა, რომელიც ესოდენ მასზედ ახლოც არის და შორსაც ერთსა და იმავე დროს.

II. პირველს საჭიროებას მხატვრისათვის შეადგენს ნიჭი იმისა, რომ **ჰხედავდეს**. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია. გოტიე ამბობს: „ყველა ადამიანი კი არა **ჰხედავს**. მაგალითად ვთქვათ ოც და ხუთი კაცი შემოვიდა; ამათგან მხოლოდ სამს შეუძლიან ქაღალდის ფერი გაარჩიონ. ავიღოთ, მაგალითად ვინმე X; იგი ვერ შეჰნიშნავს, ეს მაგიდა რგვალია, თუ ოთხკუთხი... მთლად ჩემს ძალას აი, რა შეადგენს; მე ვეკუთვნი იმ გუნდს ხალხისას, რომელთათვისაც **ხილული ქვეყანა არსებობს**.“ ყველა ეს კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ხილული ქვეყანა ხომ რომელისამე დამფასებლისათვისაც არსებობს, რომელიც ყველაფერს კარგად არჩევს, სახლის მორთულობასაცა და ოთხკუთხ და რგვალ მაგიდებსაც. აქ უმთავრესი მნიშვნელობა პირადს აზრებსა და შეხედულებასა აქვს, იმას, თუ საგანს როგორა **ჰხედავს** ადამიანი; საყურადღებოა ის კუთხე, რომლიდანაც ეს ხილული ქვეყანა მოსჩანს, უმეტესად კი საყურადღებოა ის საშუალება, რომლითაც **უხილავობა**, რომელსაც თითოეული ჩვენგანი თან ატარებს, ხილულს უერთდება.

თვალი უდიდესი გამომკითხველია; იგი ყოველს საგანს ეკითხება—რა ხარო? „რას მეტყვი, ხეო ბებერო, ჩემს ქოხზედ გადმოწოლილო? რას მეუბნები, ყვავილო, ფანჯრის ძირს დავიწყებულო?“ მე მსურს ვიცოდე ამბავი ყოველისავე, რასაც კი ვხედავ. ყოველსავე ცოცხალს არსებაში უმეტესად ის მომწონს, რაც ამ წამთან შედარებით გაცილებით შორსა სდგას, მომწონს ის, რასაც ახალს, განსაკუთრებულს ცხოვრებაში შევყევარ. უდიდესს ხელოვნებას ის შეადგენს, რომ ადამიანმა **საგანთა სული** გაიცნოს, წარმოიდგინოს, ე. ი. გაიგოს ის, თუ აღნიშნულს ინდივიდუმს დანარჩენებთან რა აკავშირებს, თითოეულს წუთს მთელს ხანასთან რა აერთებს.

გაქსუებულს სულს შეხედულებაც გაქსუებული აქვს, თვითონ ხელოვნებაც ასეთივეა. ამ რიგად თითოეულს მაკვლევარსა და დამკვირვებელს უთუოდ რაიმე დააქვს იმ ქვეყნიდან, რომელსაც აკვირდება. ასე, მაგალითად, ვარსკვლავი იზიდავს მტვერს, რომელიც მას მოგზაურობის დროს წინ ჰხვდება. Gout capita, tot astra (რამდენიც თავია, იმდენი ვარსკვლავია). ამ მიმზიდველობაში თითოეულს საგანს თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს; იგი იმ იდეათა **სისტემის** სიმდიდრით განიზომება, რომელსაც საგანი უერთდება. ის, რაც ყველაზედ უდიდესად მიგვაჩნია, შეიძლება სრულიად უმნიშვნელოდ გარდიქმნეს, ხოლო სულ უბრალო საგანი უდიდესი შეიქმნეს; როდესაც პირველს ადგილს შევუცვლით, მეორესაც თავისი ადგილი შეეცვლება.

ქვეყანა, ანუ კაცობრიობა რომ ესტეტიურად წარმოვიდგინოთ, ეს კიდევ იმას არ ჰნიშნავს, რომ იგინი რაღაც შემთხვევითის გარემოებისა, ან გრძნობისა გამო აღვადგინოთ; არა, ჰნიშნავს მას, რომ იგინი ძირითადს აზრს შევუთანხმეთ, ე. ი. ავტორის „მე"-ს, რომელიც თავისს მხრივ ქვეყნისა და კაცობრიობის აზრს შეძლებისამებრ სრულადა და მოკლედ უნდა შეიცავდეს. თუ რომ ავტორის „მე" განკერძოვებულ და იშვიათ იდეების კრებულს წარმოადგენს, რომლებიც სისტემატიურად არ არიან დალაგებულნი და არც კავშირი აქვთ, თუ რომ დასასრულ, ავტორის „მე" სრულს „მიკროკოსმს" (პაწია ქვეყნიერობას) არ წარმოადგენს, მისი ნაწარმოებნი მკითხველს განცვიფრებაში მოიყვანენ, აღიტაცებენ (ბოდლერის სიტყვით, მშვენივრება აღტაცებას უდრის), მაგრამ მსწრაფლ-წარმავალნი იქმნებიან. განცვიფრება და აღტაცება მხოლოდ მაშინ არის ხანგრძლივი, როდესაც ადამიანს დიდხანს დააფიქრებს, გამოიწვევს მთელს წყებას აზრებისას, რომლებიც ერთი მეორეს მწყობრად მისდევენ და ბოლოს ერთს რომელსამე **საზოგადოდ** დამთავრებულს წარმოდგენას დაადგენენ. თუ რომ გსურთ გამაკვირვოთ, ჯერ თქვენ უნდა გქონდეთ ნიჭი ფილოსოფიურის განცვიფრებისა მსოფლიოს წინაშე, განცვიფრებისა, რომელიც,

პლატონის სიტყვით, წყაროა ფილოსოფიისა. განცვიფრება მხოლოდ დიდის მოაზრის თვისებაა; სხვისი გაკვირვება კი და ერთის წამით გატაცება მასხარათა ხელობაა. იგი, რაიცა გვაკვირვებს, გვხიბლავს და ჭეშმარიტად მშვენივრებაა, ახალს როდი რასმე წარმოადგენს; იგი მხოლოდ ახალს **სამართლეს** იძლევა, რომლის შესათვისებლადაც ბევრად თუ ცოტაძ სინტეტიური (ნახულ-გაგონილის შემაერთებელი), დამჯდარი გონებაა საჭირო. ორიგინალობა (თავისებურობა) ასეთის გონებისა მისს ცალმხრივობასა და უნორმალობაში კი არაა, არა! იგი იმ სისრულესა და ჰარმონიაში მოიპოვება, რომელიც სხვას სრულიად არ უჩანს, იგი იმ ნიჭშია, რომელიც სინამდვილეს ყოველ მხრივ თვალ-წინ დაგვიხატავს ხოლმე. ბაირონმა სთქვა:

> Are not the mountains, waves, and skies a part
> Of me and my soul, as I of them?
> (განა მთები, ტალღები და ზეცა არ შეადგენენ ნაწილს
> ჩემის სულისას, ისევე, როგორც—მე იმათსას?)

ბეკონის სიტყვით: Ars est homo additus naturae, მხატვარი ბუნებას ნახევარ სიტყვითა (უცბად) სცნობს; ანუ სხვაფრივ რომ ვსთქვათ, მხატვარში ბუნება თავისს თავს თითონა სცნობს. ხელოვნება მხოლოდ იმას გამოსთქვამს ხოლმე, რასაც ბუნება გაუგებრად ტიტინებს; იგი შესძახის: „აი, ის, რის თქმაც შენა გსურდა!“

იტალიელთა მუზეუმებში ზოგიერთი ძველი ქანდაკება-ძეგლები შემაღლებულს ძელებზედა სდგანან; ქანდაკებათა მცველნი თავისს სურვილისამებრ მიაბრუნ-მოაბრუნებენ ხოლმე, სხვადა-სხვა მხრიდან უჩვენებენ მნახველებს და ხან ერთს მხარეს მიაყენებენ ხოლმე სინათლეს და მეორეს დასჩრდილვენ, ხან მეორეს. ხელოვნებაც ასე ეპყრობა სინამდვილეს. ხელოვნური ნაწარმოები და თითონ საგანი, რომლიდანაც იგია აღებული, რომ ერთი მეორეზედ დაიდებოდეს, რომ ამითი ნამდვილად გამოირკვეს რამდენად ერთი მეორეს ეთანხმებიან, მაშინ უთუოდ შევნიშნავდით, რომ იგინი ერთი მეორისაგან მუდამ განირჩევიან მხოლოდ რამოდენისამე მხრიდან; ნამდვილი საგანი და

მისი ხელოვნურად შექმნილი სახე რომ ყოველის მხრით ერთი მეორის მზგავსნი იყვნენ და მათემატიკურად შეთანხმებულნი, მაშინ აღარც ხელოვნება იქმნებოდა. სამაგიეროდ, მეორე მხრივ იგინი რომ ერთი მეორეს არაფრით არა ჰგავდნენ და არ უახლოვდებოდნენ, მაშინ ხელოვნებაც გამოუსადეგარი იქნებოდა. აუცილებლივ საჭიროა, რომ ეს ორი სახე—ნამდვილი და ხელოვნური,—ძირითადად მაინც უსათუოდ ერთი მეორეს ემზგავსებოდნენ; მაგრამ ხელოვნურს ნაწარმოებს უიმი-მისოდ უთუოდ ღირსება დაკარგული აქვს, თუ მხატვარი თავისს ნაწარმოებს ახალს ნათელს არ აყენებს. ერთხელ ერთმა მოგზაურმა აი, რა მოთხრა ერთის მთის მწვერვალზედ, სწორედ იმ დროს, როდესაც გარშემო მთის მწვერვალებზედ განთიადის პირველმა სხივებმა შეითამაშეს: „ახლა თქვენ შემოქმედების მაგვარს წამს ესწრებითო“. და აი ესრეთი შემოქმედება საგნებისა, რომლებიც სხვა-და-სხვა სხივებში სხვა-და-სხვა გვარად მოსჩანან ხოლმე, არის ნამდვილი ქმნილება ხელოვნებისა.

## IV

### ნამდვილი რეალიზმი ტრივიალიზმისაგან რით განირჩევა.

სწორედ გაგებული რეალიზმი სრულიად წინააღმდეგია იმისი, რასაც **ტრივიალიზმის** ქვეშ იგულისხმებენ. რეალიზმი ჩვეულებრივის ცხოვრების ამა თუ იმ სურათს ისეთს ძალას უდგამს, რომელიც მისდა ნათლად დასახატავად საჭიროა და უარჰყოფს ყოველგვარს გაცრუებულს, მოსაწყენსა და საზიზღს მხარეს, რომელსაც ტრივიალიზმი არ ერიდება. ამ რიგად ნამდვილი რეალიზმი ცდილობს ნამდვილი გაცრუებულ საზიზღრობისაგან გაარჩიოს; ამიტომაც შეადგენს იგი ხელოვნების საძნელო მხარეს. მართლაც-და საქმე ხომ ის არის, რომ პოეზია აღმოჩენილ იქმნას ისეთ გარემოებათა და საგანთა შორის, რომლებიც სრულიადაც არ გვეჩვენებიან პოეტურად მხოლოდ იმის-

თვის, რომ ჩვეულება მათს ესტეტიურს ემოციას ჩრდილს აყენებს. იმ ქუჩასაც, რომლითაც ყოველ დღე დავდივარ და რომელიც ჩემ ხუთ თითივით შესწავლილი მაქვს, თავისი პოეზია აქვს, მაგრამ ამას თითქოს არა ვგრძნობ და უფრო ძნელია მივხვდე, ვიდრე იტალიისა, ან ესპანიის რომელისამე პატარა ქუჩის პოეზიას, ან რომელისამე უცხო მხარის მშვენივრობას. ამ შემთხვევაში საჭიროა ძველნი გრძნობანი კვლავ განვიახლოთ, ვპოვოთ ახალი მასში, რაც უკვე დაძველებულია, როგორც ჩვენი ყოველ დღიური ცხოვრება, ნაჩვევისაგან მოულოდნელი რამ აღვადგინოთ. ამისათვის მხოლოდ ერთი საშუალებაა: ღრმად გავსჭვრიტოთ სინამდვილე, ღრმად ჩავსწვდე მისს აზრს, რასაც უიმისოდ მხოლოდ გარეგნობით, ზეზეურად ვავლებ თვალს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ჩამოვხსნათ ის ფარდა, რომელიც ჩვენ მიერ ყოველდღიურს ნანახსა და ნამოქმედარს გადაჰფარებია და სჩრდილავს, ხელს გვიშლის საგანი იმ სახით მოსჩანდეს, როგორსაც ნამდვილად ატარებს. მაშ თუ ასრეა, განა რეალური ხელოვნება უფრო საძნელო არ ყოფილა შედარებით იმასთან, რომელიც ცდილობს მხოლოდ ფანტასტიურ ელემენტებით მიიპყრას ჩვენი ყურადღება? უკანასკნელს ხელოვნებას ნაკლები **შემოქმედება** სჭირია, რადგანაც ფანტასტიური სურათები თავისის შემთხვევითის აგებულობით სიზმარივით შორს გაგვიტაცებენ ხოლმე, ნამდვილზედ დამყარებულ რეალიზმისათვის კი პოეზია და მშვენივრება არასოდეს შემთხვევითს ხასიათს არ ატარებენ: იგინი წარმოადგენენ ისეთ რამ ახალს **აღმოჩენას**, რომელიც შეგნებულად, წინადვე განზრახულის აზრით არის აღდგენილი და მთლად გამოცდილ-ნანახზეა დამყარებული, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ წინად არეულ-დარეულად, ბუნდოვანად გვეჩვენებოდა; ერთი სიტყვით, იგი რაღაც ახალია, შენიშნულა იმ ადგილას, რომელსაც ადრე ყველანი **უცქეროდნენ**, მაგრამ ვერა **ჰხედავდნენ**. რეალური და საზოგადო ცხოვრება, ეს ის აარონის კლდეა, სიცხისაგან და მზისაგან შეტრუსული და თვალის დამღლელი, რომელსაც ერთი სალი წერტილი-ლა შეჰრჩენია თითქოს; საკმაოა, შევეხოთ ამ

წერტილს, რომ მაშინვე თვალის გამხარებელმა, გრილმა, საამომ, ხალხთა გულში იმედის ჩამდგმელმა და აღმაფრთოვანებელმა, ცხოველმა წყარომ გადმოსჩქეფოს და გაიშალოს. მაგრამ საჭიროა, სწორედ ამ წერტილს შევეხოთ და არა სხვას, თუნდაც ზედ მიკრულს; საჭიროა, ამ უშნო და გულ-მიუზიდველ ქვის არსებაში ცოცხალის, სასიამოვნო წყლის სიგრილე ვიგრძნოთ.

## სხვა-და-სხვა თავგადასავალის წარსულში გადატანა და მოგონებათა პოეზია.

**ტრივიალიზმის** თავიდან ასაცილებლად ორი საშუალება არსებობს, — ცხოვრების სილამაზე გაძლიერებულ იქმნას, ისე კი რომ იგი არ წაირყვნას; ეს საშუალებანი თვით რეალიზმისათვის ერთგვარს იდეალიზმს შეადგენენ. სწარმოებს ეს უმთავრესად საგანთა და შემთხვევათა წარსულს დროში გადატანით, ან ადგილის დაშორებით, რის გამოც ჩვენის გრძნობების სიმპატია და ერთურთთ შორის დაახლოვების გრძნობა ფართო ადგილს იკავებს, მთელი ჩვენი წარმოდგენა ქვეყნიერობის შესახებ იზრდება.

იმ ნაყოფის შესახებ (ანუ ეფექტისა), რომელიც დროის დაშორებით წარმოსდგება, ჯერ ის კითხვა გვებადება, თუ როგორს ესტეტიურს ემოციას ახდენს თვითონ მოგონება: მოგონება სიმპატიის ერთ-ერთი ფორმათაგანია, იგია სახელდობრ თავისავ თავის სიმპატია, სიმპატია მის აწმყო „მე“-სი წარსულ „მე“-ს მიმართ. ხელოვნება მოგონებას უნდა ჰბაძავდეს; ხელოვნებასაც მოგონებასავით აზრად ის უნდა ჰქონდეს, რომ ოცნება აამუშავოს, გრძნობა აამოქმედოს. ხელოვნების პოეზიას, ძირითადად, ხშირად „მოგონებათა პოეზიას“ უწოდებენ; მხატვრობრივი წარმოდგენა გვაიძულებს ვიმუშავოთ მხოლოდ იმ სურათებისათვის, რომლებსაც თითოეულს ჩვენგანს მეხსიერება

აძლევს. ამ რიგად, თითქოს თვითონ მოგონებაშივე მოიპოვება ხელოვნების ზოგიერთი ელემენტი. მართლაც-და, როგორც სპენსერი ამბობს, მოგონება თან ატარებს იმ ნიშნებს, რომელნიც ესტეტიურს ემოციას სრულიად განასხვავებენ. რა არის მოგონება, თუ არ იმავ ოცნების სრულიად უანგარიშო ცელქობა, ვინაიდან საქმე წარსულთანა აქვს, რომელიც არასოდეს აღარ მოხდება? გარდა ამისა მოგონება უადვილესი ფორმაა „წარმოდგენისა“ — იგი ყველაზედ მეტად იზოგავს ძალას. უდიდესი ხელოვნება პოეტისა ანუ რომანების მწერალისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში მოგონებანი აღადგინოს: სილამაზეს ჩვენ მხოლოდ მაშინა ვგრძნობთ, როდესაც იგი რაიმეს მოგვაგონებს; მაგრამ თვით ხელოვნურ ნაწარმოებთა სილამაზეც განა იმაში არა მდგომარეობს, თუ რამდენად ცოცხლად აღადგენს ჩვენს ხსოვნაში ამა თუ იმ მოგონებას? ხშირად დროც ისრევე ჰმოქმედებს საგნებსა და ადამიანის თავგადასავალზედ, როგორც ხელოვანი: იგი ყველაფერს ალამაზებს და იმავე დროს სიმართლეს არ ეწინააღმდეგება, რაღაც თვალთმაქცობით ახერხებს ამას.

მოგონების ესრეთი მუშაობა მეცნიერულად ამ რიგად აიხსნება. ჩვენს აზრში არსებულ შთაბეჭდილებათა შორის არსებობისათვის ბრძოლის მაგვარი ჭიდილი ხდება; შთაბეჭდილებანი, რომელთაც საკმაოდ ძლიერი მოქმედება ვერ იქონიეს ჩვენზე, სრულიად ჰქრებიან და დასასრულ მხოლოდ უძლიერესნი შთაბეჭდილებანი-ღა რჩებიან. მაგალითად, როდესაც მდინარის პირად ნანახს ქალას ვიგონებთ, ჩვენ სრულიად ვივიწყებთ იმ წვრიმალს გარემოებას, რომელიც მართალია ვნახეთ, მაგრამ ვერ შევნიშნეთ; ვივიწყებთ ყოველივეს, რასაც თავისი განკერძოვებული, თავისებური ხასიათი არა ჰქონდა, რასაც **მაჩვენებელი და შთამგონებელი** ელემენტი არ მოეძებნებოდა (signicatif ou suggestif). დავივიწყებთ დაღლილობასაც, რომელიც იმ დროს გამოვცადეთ, რასაკვირველია, თუ რომ იგი მცირედი იყო, დავივიწყებთ ყოველგვარს მცირედს უსიამოვნობასა და ათასს სხვა რა გინდა-რას, რომელთაც იმ დროს

ჩვენი ყურადღება მიიპყრეს: ყველა ეს გაჰქრება, უმნიშვნელოდ დარჩება. შეგვრჩება მხოლოდ ის, რამაც ღრმა შთაბეჭდილება იქონია, ცოცხალი და ცხოველი კვალი დასტოვა: ჰაერის სიგრილე და სისაღე, ბალახის სირბილე, ფოთელთა ჩრდილი, მდინარის სურათი და სხვ. ამ თვალსაჩინო საგანთა შორის ერთი ჩრდილი წარმოსდგება, მხოლოდ იგინი იქმნებიან შინაგანის სინათლით განათებულნი. სხვაფრივ რომ ვსთქვათ, მთელი ეს ძალა, ჩვეულებრივად მეორე ხარისხოვან და ცვალებად შთაბეჭდილებად ქცეული, შეჯგუფდება, რიგზედ დაეწყობა და ბოლოს წარმოსდგება სრული სურათი, რომელიც ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს და ესტეტიურს ხასიათს მიიღებს. საზოგადოდ ყოველივე უმნიშვნელო შთაბეჭდილება და ყოველივე წვრიმალი გარემოება ესტეტიურს ემოციას მხოლოდ ჰვნებენ! ამ რიგად, მოგონება, ჰსპობს-რა ყოველგვარს უმნიშვნელო ელემენტს, ამითი ემოციის გაძლიერებას ხელს უწყობს. უკეთ რომ ვსთქვათ, ზოგიერთ გარემოებათა ესრეთის დაჩრდილვითა და განყენებით იგი საგანს ალამაზებს. გარდა ამისა, მოგონება მუდამ სცდილობს დასჩრდილოს იგი, რაიცა სამძიმო იყო და შეინარჩუნოს მხოლოდ ის, რაც სასიამოვნო, ან სამწუხარო იყო. ყველამ უწყის, რომ სულ უდიდესს ტანჯვასაც-კი შეამსუბუქებს ხოლმე დრო; განსაკუთრებით-კი სუბუქსა და გაურკვეველს ტანჯვასა და წვრიმალს უსიამოვნებას დასჩრდილავს ხოლმე, რომელიც ცხოვრებაში ადამიანს აფერხებს, მაგრამ სიცოცხლეს ვერ შეაყენებს ხოლმე. ესრეთი ტანჯვა გზად ამოსულ მცირე ჯაგებს მოგვაგონებს. თქვენ, მართალია, ივიწყებთ ამ წვრიმალს გარემოებას, მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლის და თქვენს სასიამოვნო ემოციას უერთდება. იგი იმ მწარე სითხეს ემზგავსება, რომელიც ღვინოს ურევია, მაგრამ რომელიც ფიალის ძირ-ში არა რჩება დალექილი და ორთქლად ქცეული ჰაერს შეერთვის ხოლმე სმისავე დროს. როდესაც რომელსამე ძვირფასს ადამიანს მოველით, ვნაღვლობთ; შემდეგ როცა მას პირმღიმარესა ვხედავთ, უცბად ვივიწყებთ იმ დრომდე განცდილს ხანგრძლივს მოლოდინს, ნაღველსა და მთელი

ის დრო ისე გვეჩვენება, როგორც შავი წერტილი, რომელიც თავისს თავად უნდა გაჰქრეს; ეს უბრალო მაგალითია იმისა, რაც ცხოვრებაში მუდამ ჟამს ხდება. ყოველივე, რაც კი უფერული, მკრთალია (ე. ი. ცხოვრების უმეტესი ნაწილი), ბურუსივით გაიბნევა, გაიფანტება, რომელიც საგანთა ნათელს მხარესა სჩრდილავდა და ჩვენ თვალ-წინ დარჩება მხოლოდ ის სხვა-და-სხვა იშვიათი წამი, რომელნიც სიცოცხლეს შრომის ღირსადა ჰხდიან. მთელი წარსული თითქოს ამ ტანჯვის ფას სიხარულით აღსავსე არის, თუმცა, ნამდვილად რომ ვსთქვათ, ჩვენი სიცოცხლე ესოდენ საამო, ესოდენ სამწუხარო, ესტეტიურად ესოდენ ძვირფასი არა ყოფილა.

ჩვენში ახლა თებერვალია და მინდვრები ირგვლივ თოვლით დაფარულია. დღეს სადამოთი, მზის ჩასვლისას, ბაღში შევედი; ნელის ნაბიჯით ვიდოდი თოვლში. ყველგან, მარჯვნივ თუ მარცხნივ, მაღლა თუ დაბლა ჯაგები და ხის ტოტები თეთრად იყო გაპენტილი და ჩამავალ მზის სხივებზედ ვარდის ფრად ბჭყვრიალებდა; მოსჩანდა ურიცხვი თოვლის ნაპერწკალი, ენით გამოუთქმელი ელვარება ჰკრთოდა ყველგან; კუნელი თითქოს ჰყვაოდა, ჰყვაოდნენ ვაშლისა და ნუშის ხეები; თითქოს ატამი და უბრალო ბალახიც კი ჰყვაოდა; ერთი სიტყვით, გაზაფხული იდგა, მხოლოდ უფრო მკრთალი, ვიდრე ჩვეულებრივი და აუმწვანებელი. მაგრამ, ჰხედავთ ყოველივე როგორ გაყინულა? ეს უსაზღვრო, აჰყვავებული სწორი ყინულად გადაქცეულიყო, ყვავილის კოკრები თითს მიყინავდა. ამ უსიცოცხლო, მაგრამ საამო ყვავილებს რომ შევყურებდი, მომაგონდა ის ნაზი და ტკბილნი მოგონებანი, რომელთაც ჩვენს არსებაში თავი მოუკრებიათ, სძინავთ და რომელთა შორისაც ჩვენ დავძრწით და ვცდილობთ, კვლავ მათ შორის გაზაფხული და სიჭაბუკე აღვადგინოთ. ჩვენი წარსულიც იგივ თოვლია, რომელიც მძიმედა სცვივა და იყინება. იგი თვალ-წინ ბოლო-დაუსრულებელსა და საუცხოვო სანახავობას, ნათელმოსილსა და სპეტაკს გულწარმტაცს სურათებს გადაგვიშლის ხოლმე, რომელნიც მხოლოდ იმავ ახალს ილიუზიას წარმოა-

დგენენ. ჩვენნი წარსულნი ვნებანი ამ დროს რაღაც უცხო (გარეშე) სანახავობად გვეჩვენება: ჩვენი სიცოცხლე ცოცხალ-მკვდარ ნაწარმოების შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზედვე. ამ მოგონებათა შორის მხოლოდ იგინი რჩებიან ცოცხლად, მხოლოდ მათ შეუძლიანთ იცოცხლონ, რომლებმაც უფრო ღრმად გაიდგეს ფესვი, რომელთაც მეტი შთაბეჭდილება იქონიეს. ამ რიგად მოგონება მსაჯულია ჩვენის ემოციებისა, იგი უტყუვრად არკვევს, თუ თითოეულს მათგანს რა ძალა აქვს. სუსტნი მათგანნი დავიწყებას ეძლევიან, თავისსავ მსჯავრს თან ატარებენ.

ამ რიგად ზემოდ ნათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ჩელოვნისათვის საუკეთესო ნიადაგი მოგონებაა, სახელდობრ მოგონება იმის შესახებ, რაც წინად უნახავს, ან უგრძვნია, ვიდრე ხელოვანი შეიქმნებოდა. ხელობას შეუძლიან ნაგრძნობ-ნანახი შესცვალოს შემდეგ, მაგრამ თვითონ ყმაწვილობის სულის მოძრაობის შესახებ მოგონებათა შეცვლა კი არ შეუძლიან; იგინი მუდამ ახლები არიან და აი, ამ მტკიცე მასალით ჰქმნის ხელოვანი თავისს სიცოცხლით სავსე ნაწარმოებს. ევგენია გიუერენი თავისს ძმის ქაღალდების გადასინჯვის შემდეგ აი, რას სწერდა: „ეს მკვდარი საგნები უფრო მეტს შთაბეჭდილებას ახდენენ ჩემზედ, ვიდრე მათი ბადალი ცოცხალი საგნები; **უკვე ნაგრძნობის გრძნობა** უფრო ძლიერია, ვიდრე **პირველი გრძნობათა**“. დიდრო სწერდა: „**არტისტმა რომ მატიროს, თითონ არ უნდა სტიროდესო**“. დიდროს ამის გამო შემდეგი სამართლიანი შენიშვნა მისცეს: იგი **არ უნდა სტიროდეს**, მაგრამ **წინად კი უთუოდ უნდა ეტიროსო.** აუცილებლივ საჭიროა, რომ მისს ლაპარაკის კილოს წინედ ნაცად და უკვე წარსულ გრძნობათა კვალი ღრმად დასჩნეოდეს. მწერლის შესახებაც ესევე ითქმის.

კლასსიკურმა სკოლამ კარგად იცის დროის დაშორება რა მოქმედებას იქონიებს ხოლმე; მაგრამ ეს სკოლა რომელსამე თავვგადასავალს მხოლოდ **განყენებულს** წარსულში გადიტანს ხოლმე. რასინის ბერძნები მხოლოდ სახელით არიან ბერძნები

იმ დროისა, რომელსაც ავტორი აკუთვნებს იმათ; აქ აღნიშნული დრო მხოლოდ დაღია და სხვა არაფერი, იგი მაშინდელს ბერძნებს არაფრით არ ახასიათებს. **ისტორიული** სკოლა მხოლოდ **განყენებულ** წარსულის თავგადასავალს მოგვითხრობს, იგი რეალურია და დროის დაშორებითა და შორეულ ეფექტით ჰხატავს ყოველისფერს იდეალურად. სპენსერი ამტკიცებს, რომ ყოველივე საგანი, რომელიც კი უწინ სასარგებლო იყო ხალხისათვის და ახლა ეს სარგებლობა აღარ შეუძლიან, მშვენიერია, თუმცა განმარტვით არ განმარტავს ამას; ჩვენის აზრით, ამას ორი მიზეზი აქვს: პირველი ის, რომ ყოველივე, რასაც კი ადამიანისათვის სამსახური გაუწევია, უნებლიედ იპყრობს ადამიანის ყურადღებას, მაგალითად, იარაღი, ავეჯი და ჭურჭელი, რომელიც მამა-პაპას უხმარია; ეჭვი არ არის, იგინი ჩვენს **ყურადღებას იზიდავენ**, მაგრამ ჩვენი **სამსახური კი აღარ შეუძლიანთ**; ამის გამო იგინი სრულიად ჰკარგავენ იმ თავმობეზრებისა და მოწყენის ხასიათს, რომელსაც საგნების ყოველ-დღიურს ხმარებას აუცილებლივ თანა სდევს ხოლმე. იგინი ახლა მხოლოდ უანგარო თანაგრძნობას-ღა იწვევენ ჩვენ შორის. ისტორიის განსაკუთრებული ნიშანი ის არის, რომ იგი ყოველს მოვლენას აფართოვებს და პოეტურადა ჰხატავს. ისტორია სწმენდს და ასუფთავებს ყოველივეს. ამგვარად შემდეგ მხოლოდ საგნის ესტეტიური და დიდებული ხასიათი-ღა რჩება; თითოეულს უბრალო და სულ მცირე ფაქტსაც კი აღარა აქვს-რა ისეთი, რაიცა თავმოსაბეზრებელი, საზიზღი, მდაბალი, სამარცხვინო და მოუხეშავი, ყოველ-დღიურ ხმარებისაგან გაცვეთილია: ამ რიგად წარსულში გადატანილ საგნისაგან ჩვენს გონებაში მხოლოდ მისი უბრალო სახე, ის წინასწარი გრძნობა რჩება, რომელმაც იგი შეჰქმნა. ის კი, რაც უბრალოა და იმავ დროს ფესვი ღრმადა აქვს გადგმული, დაბალს, საზიზღარს არას შეიცავს. გალლების (ძველი ფრანგები) დროის შუბი მხოლოდ იმ დიდს იდეას მოგვაგონებს, რომელმაც იარაღი შეჰქმნა, ე. ი. მოგვაგონებს ძალისა და თავის დაფარვის იდეას. შუბი ივივე გალლია, რომელიც თავისს საცხოვრებელს სახლს,

თავისს მიწასა ჰმფარველობს. ჯვაროსანთა ლაშქრობის დროის შურდული მხოლოდ შორეულ დროთა, ჩრდილო და სამხრეთ მცხოვრებთა შორის უძველეს ბრძოლათა ფანტასტიურს სურათებს დაგვიხატავს ხოლმე თვალ-წინ. ყოველივე, რაც კი ისტორიის საშუალებით მოაღწევს ხოლმე ჩვენამდის, მუდამ უბრალო სახით წარმოგვიდგება ხოლმე. პირიქით ჩვენის დროის ყოველდღიურ საჭიროების სასარგებლო საგნები პროზაიკულად რჩებიან, თუ რომ თავმომაბეზრებელი, მდაბალი ხასიათი აქეთ. აი, ეს გარემოებაა მიზეზი, რომ „სასარგებლო“ ისტორიულად, მშვენივრად გარდიქმნება ხოლმე. ძველის დროის ნაწარმოები ერთგვარი სინამდვილეა, დროისაგან განწმედილ-განსპეტაკებული.

ან-ანი

(შემდეგი იქნება)

# ტბათანიდან წოვათამდის

(მგზავრის შენიშვნები)

II

## ალაზნის თავიდან წოვათამდის.

ალაზნის თავი და მისი მდებარეობა.—ალაზნის თავი როგორც საზაფხულო საძოვარი ცხვრისა.—ნაროვანის მთები და მათი მიდამოები.—მონადირეს თავგადასავალი.—ალაზნის თავი, როგორც ფილტვების ავადმყოფობისაგან გამკურნებელი ალაგი.—ბინაში მისვლა.—ძაღლები და მათი უუსაჭიროესობა მწყემსისათვის.—მწყემსის მოთხრობა.—ავადმყოფი მწყემსის მორჩენა.—ხორცის მოხარშვა.—ცხვრის მისვლა ბინაში.—არყის ხის ქერქის სანთელი.—ქუმელი როგორც საჭმელი მწყემსებისა.—მეცხვარეების ჭამა.—ცხვრის ბინა.—ქოხი.—ნაცნობის ბინაში.—ბაჟი.—ცხვრის მოწველა.—ყველისა და ხაჭოს გაკეთება.—ყალი.—ჯოყალის გორა და მისი ისტორია.—ღამე.—წვიმა.—დილა.—გამგზავრება წოვათაში.—გზაზე მლოცავების დახვედრა და ბავშვის წყალში დახრჩობა.—დედაკაცის „ქადაგება“.—მთის გადალახვა.—სურათი.—ხევში.—წოვათას ჩასვლა.

ალაზნის თავს, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, თუშები უწოდებენ მდინარე ანდაქის ყოისუს სათავეს. ხევს აქვს მიმართულობა ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ესაზღვრება ჩრდილოეთით უკვე მოხსენებული ნაროვანის მთები, აღმოსავლეთ ნაროვანის მთის შტო და დასავლეთ-სამხრეთიდან უმთავრესი ქედი. ალაზნის თავი ფრიად ვაკე და გაშლილი ხეობაა. არ არის ჩამწრწვალი, როგორც წიფლოვანის ხეობა. ალაზნის თავი მშვენიერ სურათს წარმოადგენს საყორნის მთიდან: მის გაშლილ ვაკეზე მოდინარეობს წყნარად ანკარა ყოისუ, აქეთ-იქიდან მას ემატებიან

მჩქეფარე წყლები. ზევიდან ამ ხევს დაჰყურებენ ნაროვანის და მის შტოს კლდე-ჩონჩხიანი, თოვლით მოსილი წვერები. ამ მთების მიუდგომელი დაკიდული შავი კლდეები აშინებენ მაყურებელს, აძლევენ თავსაფარს არჩვსა და ჯიხვს. გაშლილ მწვანე მთის კალთებზე დაიფანტულა თეთრად ცხვარი. მთის ძირებში წყლის კიდეებზე მოსჩანან ცხვრის ბინები და თუშური ნაბდის ალაჩუყები.

ნაროვანის მთებიდან ორი წყალი ჩამოდის და ემატება მარცხნივ ყოისუს: ერთი სამროვანის და მეორე «ყურის» («ყურ» წოვურ ენაზე ნიშნავს კუთხეს). ამ წყლების სათავეში მუდმივი ყინულებია. ყინულს, რომლიდანაც იღებს წყალს სამროვანის წყალი, დიდი მანძილი უჭირავს და იმყოფება უმთავრეს ნაროვანის მთის მიდამოში. ყინული ზოგ-ზოგ ალაგას გასხეთქილია და იმ გასხეთქილზე ჩუხჩუხით ანკარა წყალი მიმდინარეობს. ხანდახან წყალი გასხეთქილში ისევ გაიყინება და ამ ნაირად იკარგება ნაპრალი. გასკდება ახლა სხვა ალაგას. გაყინული გასხეთქილები საშიშარია მონადირესთვის. რამდენისამე წლის წინად ორი მონადირე წავიდა სამროვანის მთებში სანადიროდ (ამ მთებში ბევრი ჯიხვი და არჩვი იცის). როდესაც ყინულზე გადადიოდნენ, პირველს უცებ ჩაუტყდა ყინული ქვეშ და დაიკარგა უფსკრულში. ეს ისე უცებ მოხდარიყო, რომ უკან მომდევარს ამხანაგს ვერც კი შეემჩნია. ჩავარდნილს ძლივ-ძლივობით ხმა მოუწვდინა. მის ამხანაგი ჩამოსულიყო ალაზნის თავში და შეეტყობინებინა თუშებისთვის ბანებში. თექვსმეტი კაცი საბლებით წასულიყვნენ ჩავარდნილის ამოსაყვანად. თუ არა ვცდები, გადაებათ ერთი ერთმანეთისათვის ცხრა საბელი (საბელი თითქმის ორ საჟენს აღემატება), ჩაეშვათ ნაპრალში და ამოეყვანათ ძლივ-ძლივობით. მე თვითონ მიამბო ჩავარდნილმა, რომ ნაპრალში სოლივით ჩავეჭედეო; ათას ფეროვნად ლაპლაპებდნენ ყინულის კედლებიო, ბნელოდა საშინლად, ზემოთ რომ ამეხედნა ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებითაო. ხანჯლით საფეხურებს ვაკეთებდი კედლებში და ისე ამოვდიოდი, რამდენადაც ლაჯები გამიწვდებოდაო.

ყინულების წყლები და მშრალი წმინდა ალპიური მთის ჰავა იწვევენ ამ ხევში ფილტვებით ავადმყოფებს. მოდიან სხვა-და-სხვა სატკივრით ავადმყოფებიც. სამროვანის და ყურის წყლის კიდეებზე

აკეთებენ ნაბდის ალაჩუყებს და მთელი ზაფხული სცხოვრობენ. ზოგნი ნაროვანის მთებზე მიდიან საცხოვრებლად იმ განზრახვით, რომ წმინდა ყინულის წყალი სონ და ყინული ჭამონ. ზედ ყინულის ნაპირებთან აკეთებენ ალაჩუყებს. ზოგი ავადმყოფი, ვისაც სისუსტის გამო არ ძალუძს ყინულზე ასვლა, ალაზნის თავში რჩება და ყინულს იქ უზიდავენ. ყინული და მისი წყალი წამლად მიაჩნიათ. ვითომ უკარგავს ტანში დაბადებულ სიცხესო, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს შემცდარი აზრი უნდა იყვეს. საზოგადოდ, მწყემსები ციებას და სიცხეს ცივი წყლით იკურნებენ. როდესაც გაციებს, მწყემსი პირდაპირ ვარდება ცივ წყალში, როგორიც არის სამროვანის და ყურისა, რომლის ტემპერატურა 5—6° არ აღემატება. ერთხელ ალაზნის თავში მე თვითონ გამაცია და შემდეგ მომცა სიცხე. მწყემსებმა მირჩიეს მებანავნა წყალში. რამდენჯერმე ვიბანავე და მართლაც მას აქეთ არც სიცხე და არც ციება არ მჩვენებია. ამ ნაირი ბანაობა, რასაკვირველია, საშიშია, მით უმეტეს დაუჩვეველ კაცისათვის.

ალაზნის თავში წოვა თუშებს ცხვარი ჰყავთ ზაფხულობით. აქვთ გამართული ბინები, რომლებშიაც სწველავენ ცხვარსა და აკეთებენ ყველს. ბინის ავეჯს, როგორც ქვაბებს, გასრებს, ყველის გასაკეთებელ ჭურჭელს, ხონჩა-ტაბაკებს, ზამთრობით იქვე გამოქვაბულში ინახავენ. გამოქვაბულები ბევრი ხვდება მთაში და ზოგნი ისეთი დიდებია, რომ შეუძლიან თუნდ ასი კაცი მოითავსოს. გამოქვაბულებშივე ინახავენ სამემოდგომოდ მარილის ქვებს და ფქვილის ტომრებს. გამოქვაბულებში ფქვილი და მარილი არ ფუჭდება, არც სველდება და თუ ვინმე მსუნაგმა არ მოპარა, საღად შერჩება პატრონს.

ჩავეშვით ალაზნის თავში თუ არა, მე და ერთი ჩემი თანამგზავრი მივედით სამროვანის წყალზე ერთ ნაცნობის ბინაში. მივუახლოვდით ბინას თუ არა, გამოცვივდნენ ძაღლები და მოგვესივნენ. მოგეხსენებათ რა საშიშრები არიან ცხვრის ძაღლები. თუ დროიანად არ მოგვეშველა პატრონი, ცუდად იქნება მიმსვლელის საქმე. მწყემსები კარგად იცნობენ თავიანთ ქოფაკებს და ამისათვის გამოცვივდნენ თუ არა, მაშინვე გამოედევნენ უკან და მშვიდობიანად მიგვიყვანეს ბინაში.

მწყემსი ძვირად აფასებს თავის ძაღლებს. ძაღლის ცემა იშვიათი მოვლენაა მწყემსობაში. თუ სხვამ ხელი ახლო, ე. ი. დაარტყა რამე, ისე ეწყინება, თითქო მისთვის ეცემნათ. ძაღლის გულისთვის ბევრი ჩხუბი და დავიდარაბა ჩამოვარდნილა მწყემსებ შორის. ამ ნაირი მწყემსის სიყვარული ძაღლებისადმი ადვილად აიხსნება: მწყემსს ღამით თუ დღით თან დასდევს განუშორებლივ ძაღლი, როგორც ერთგული ამხანაგი ჭირში და ვარამში. ძაღლის ერთგულება და მისი სამსახური მწყემსს ესაჭიროება უფრო ბნელ ღამეებში, რადგანაც უფრო ხედავს და ისმენს. ძაღლი მთელი ღამე ხან-დახან გარს უვლის ცხვარს და თუ შენიშნა ან ნადირი, ან კაცი, უყეფს ასტეხავს და მით ატყობინებს პატრონს. ბნელ ღამეში მწყემსი ვერ ხედავს საით მხარეს არის მტერი და აქ ძაღლი ანიშნებს მას. ერთი გასაკვირი გონიერი თვისება აქვს ძაღლს: მწყემსები ლაპარაკობენ, რომ ღამე, როდესაც ერთი მხრიდან ტყის მსუნაგი ან მავნე კაცი მოეპარება და ძაღლი იმ მხარეს ცხვრის ნაპირას ყეფას დაიწყებს, სხვა პირას მოყარაულე ძაღლი თურმე ადგილიდან ფეხს არ გასდგამს; რაც უნდა ალიაქოთი ასტყდეს, ძაღლი ჭყეფს ერთ ალაგას. დახელოვნებულმა ქურდებმა იციან: ერთი მივა ერთი მხრიდან, რომ ძაღლები გაიტყუილოს და ამ დროს მეორე მხრიდან, სადაც ძაღლი არა ჭყეფავს, მივა ცხვარზე მეორე. მწყემსი ვერაფერს ვერა ხედავს. ის მიდის იქით, საითაც ძაღლები ჭყეფენ. ძაღლი თავის მხრითაც თავ-გადადებულია პატრონისათვის. მომხდება ხოლმე იმისთანა შემთხვევა, რომ, როდესაც მწყემსს ჩხუბი მოუვა ვისთანმე, ძაღლი წაექომაგება პატრონს და ეცემა პატრონის მტროქეს. და თუ ორივესა ჰყავს ძაღლები, მაშინ უკანასკნელები ერთმანეთს ეცემიან.

ძაღლის თავგადადებულობაზე ერთმა მწყემსმა მიამბო შემდეგი: ერთ ზაფხულს ალაზნის თავში ვიყავი ცხვარშიო. ერთ დღეს გაღმა მთით სერიდან მწყემსის ყვირილი მომესმა. ბევრი ვუგდე ყური, მაგრამ კილო ვერ გავარჩიე, რადგანაც შორს იყო. ბოლოს ვიფიქრე ცხვრის ნოტო ხომ არ გამოსხლტა და იმაზე ყვირის-მეთქი. გავიხედ-გამოვიხედე და ერთ ალაგას შევნიშნე ნავალი, რომელიც ხევში ჩადიოდა. ნაწვიმარი იყო იმ დღეს და ნავალი კარგად

გმჩნეოდა. მე ნავალს მივყვებოდი და მწყემსი კი იქიდან არ იშლიდა ყვირილს. ნავალი ტყეში ჩავიდა და ერთ წიფელთან დაიკარგა. წიფელის ძირს ორმო ჰქონდა, მეც ვიფიქრე, ამ ორმოში ხომ არ შეეფარა ცხვარი-მეთქი. ნასავალი არ იყო, რომ ჩავსულიყავი ძირს, რადგანაც ჩავიდული ფერდო იყო. წამოვწექი პირქვე და ჩავიძახე ორმოში. ჩემი დაძახება და დათვის ღრიალი ერთი იყო. ორმოში თურმე ცხვრის მაგივრად დათვი ყოფილიყო თავის ორი ლეკვით. მწყემსი ამაზედ მიყვიროდა და აბა მე რა გულს გავიდოდი. გამოვარდა უზარმაზარი დათვი. საშინლად ღრიალებდა და მისი ლეკვებიც ღმუილით ბანს აძლევდნენ. რა მექნა, სწორე მოგახსენოთ, შემეშინდა, მით უმეტეს, რომ არყის ხის ჯოხის მეტი არა იარაღი არ მებადა. დაღონებული ხანდახან ჯოხს დავარტყამდი ხოლმე თავში. გაქცევა ვერ გავბედე, რადგანაც მეშინოდა უკან არ დამდევნებოდა და პანტასავით არ დავეჟეჟნე. ორ ცეცხლშუა ვიმყოფებოდი. ვიდექი წიფელს ამოფარებული და შევცქეროდი დათვს. ჩემი იღბალი, რომ მაღალი ბექი იყო და ზედაც წიფელი უშლიდა, ამისათვის ვერ ამოდიოდა დათვი ჩემთან, თორემ შენს მტერს, რაც დამემართებოდა. ღრიალებს დათვი და შიშისაგან მეც უფრო ვღრიალებდი. აბა მოდი და, თუ ღმერთი გწამს, ნუ დაიღრიალებ, როდესაც დათვი გაბრაზებული პირიდან დორბლებს ისვროდა, თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა და მეც არსაიდან საშველი არა მქონდა. სიბრაზისაგან დათვი მოგლეჯდა ხის ტოტს და მესვროდა; ხანდახან აიღებდა ქვას და დუდუნით წიფელს ხვდებოდა. იმ დროს მე წიფელს ვეფარებოდი. ბრაზმა იქამდის მიიყვანა მხეცი, რომ ჰგლეჯდა ბალახს და ტოტებში სრესდა. ბოლოს თითო სილა შვილებსაც აჭამა. ცდილობდა ჩემკენ ამომხტარიყო, მაგრამ ამაოდ რჩებოდა მეცადინეობა. ბოლოს საშინელი ღრიალით ატოტდა უკანა ფეხებზე და ის იყო უნდა ამომხტარიყო და ამ დროს უცბად ისრიალა ჩემს უკანიდან ძაღლმა, ეტაკა დათვს, ტოტებზე დამდგარი გადააყირავა და ორივემ ბრძოლაში ჩაიტანეს ერთმანეთი ხევში. «მე რაღას ვაკეთებდიო,—განაგრძო მწყემსმა,—მეც მოვკურცხლე აღმართზედ, რაც ძალა და ღონე მქონდა. როდესაც ცხვარს მივუახლოვდი, უცბად უკანიდან რაღაც ქშენა მომესმა. თავში დათვმა გამიელვა, შეშინებული მივიხედე

უკან და დავინახე, რომ რამდენსამე ალაგას დაჭრილი სისხლიანი ჩემი ერთგული ქედანა*) მომდევდაო».

ძაღლი, რასაკვირველია, ვერ მოჰკლავდა დათვს, მაგრამ ბრძოლის დროს გაუსხლტებოდა ხელიდან, რადგანაც იგი უფრო ბევრად მარდია დათვზე.

აი ძაღლი! ეს გონიერი პირუტყვი ხედავდა თავის პატრონს განსაცდელში და შეებრძოლა ბევრად მასზე ღონიერს დათვს, რომ ამით, თუნდაც გაეწირა თავი, დაეხსნა პატრონი. ამისათვის, ვიმეორებ, მწყემსი, როგორც ადამიანს, ისე ეპყრობა ძაღლს: შუაზე უტეხავს ლუკმა პურს; ძაღლს მისცემს და თვითონ კი მშიერი დარჩება. ყოველ მეცხვარეს, მთაშია თუ ბარში, დანიშნული აქვს ალაგი, სადაც იგი ღამით ცხვარს აყენებს. ბინაზედ რომ რამე ბარგი ჰქონდეს, ძაღლს აბარებს, უკანასკნელი ჰყარაულობს ბინას, არსად არ წავა და არავის წაალებინებს რამეს. თუ წაღება სურთ, ჯერ ძაღლი უნდა მოკლან და შემდეგ წაიღონ. ხანდახან მწყემსი ნაბადს დააგდებს ხოლმე სადმე და ძაღლი ჰყარაულობს.

მივედით ბინაზე, პატრონი იქ არ ყოფილიყო. მწყემსებმა გვითხრეს, რომ იგი სხვის ბინაზედ წასულიყო. იქ ერთი ახალგაზრდა მწყემსი გამხდარიყო უცბად ავად და მის სანახავად წასულიყო. ბევრი ხანი არ ველოდენით. მოვიდა. მოგვესალმა თუ არა სტუმართმოყვარე მთიელი, მაშინვე მიუბრუნდა მწყემსს, რომ საჩქაროზედ ყაურმა გაეჩაღებინა. მწყემსმაც საჩქაროზე ჩამოიღო კარსზე ჩამოკიდებული ხორცი, დაკუწა პატარ-პატარა ნაჭრებად და ქვაბით შედგა ცეცხლზე. საკიდელის მაგივრად მოღუნული ჯოხი ერჭო მიწაში. ამნაირ ჯოხზე ეკიდა ქვაბი.

მეცხვარეები ბინაზე მისულ კაცს ძალიან პატივსა სცემენ. თუ ხორცი არა აქვთ იმ ჟამად, ცოცხალს დაჰკლავენ.

ვკითხეთ ავადმყოფის შესახებ და თურმე ფერდის ქარი მოსვლოდა და იმისაგან ყოფილიყო ავად. რა ექნათ და რა არა მწყემსებს, რომ ავადმყოფი მოერჩინათ. ხან გახურებული ქვა ტილოში შეხვეული დეედოთ იმ ალაგას, სადაც სტკიოდა, ხან ცივი წყალი

*) ძაღლის სახელია.

ელევინებინათ და თან თბილი; მკლავიდან სისხლი გამოეშოთ და ბოლოს, როდესაც ზემო მოყვანილი წამლებით არა ეშველა-რა, თოფის წამალი წყალში გახსნილი დაელევინებინათ. როგორც იყო ძლივ-ძლივობით მოებრუნებინათ. მაშ რა ექნათ, რაც შეეძლოთ, ის იხმარეს, რომ გამოეხსნათ თავიანთი მოძმე. დიაღ, ყველა მწყემსი იმ ბედისაა, რომ სადმე ან მთაში, ან ბარში უპატრონოდ, თავის სახლს, თავის ოჯახს მოშორებული, ღვთის ანაბარამ დალიოს სული. დიდ ბედნიერებად სთვლის მწყემსი თავის სახლში სიკვდილს. მაგრამ ბევრი არ ეღირსება ხოლმე. ზოგი მათგანი ზვავის ქვეშ ჰპოვებს სამარეს, ზოგი კლდეზე გადავარდნილი კვდება, ზოგი ბინაზე ლევს სულს უბრალო სატკივრისაგან უპატრონობის გამო და ზოგი ხდება მსხვერპლად დაუნდობელი ტყვიისა!

ავადმყოფის შემდეგ ლაპარაკი ჩამოაგდეს ცხვრისა და ყველის შესახებ. «ვისაც რა სტკივა, ის მასზე ლაპარაკობსო»,—ამბობს რუსული ანდაზა. როგორც ეტყობოდა ლაპარაკიდან, ცხვრის პატრონი არ იყო მადლიერი არც ცხვრისა და არც ყველისა. დიდი თოვლის გამო მთებში დროით ვერ გადასულიყო ცხვარი ალაზნის თავში და ამისათვის ჯანდაკი დარჩენილიყო. ამ მიზეზის გამო ყველიც კვალინდებურად ვერ მოეწველათ. ცხვრის ჯანდაკად დარჩენას აბრალებდნენ კიდევ ჩიჩხარს, რომელმაც ძალიან დააზიანა ზამთარში. ამ საუბარში იყვნენ მოლაპარაკენი, როდესაც ბინაზედ ცხვარი მოვიდა ღამე დასადგომად. მწყემსმა მოაქუჩა ერთ ალაგას ცხვარი და თვითონ მოვიდა ჩვენთან. მწყემსი ცხვრის პატრონის შვილი ყოფილიყო. მოვიდა თუ არა, სალამის შემდეგ გვითხრა, სიბნელეში რას ზიხართო?—აბა რა ვქნათ, როდესაც სანათი არა გვაქვს,—ვუპასუხეთ ჩვენ.—როგორ თუ სანათი არა გაქვთ? ამ სიტყვებთან გაგვეცალა. არ გაიარა ბევრმა ხანმა, მოვიდა ისევ და ხელში ეჭირა რამდენიმე არყის ხის ქერქი. გაჰკრა სპიჩკა, მოუკიდა ქერქს და ჩასო შუა მიწაში. ქერქი მშვენივრად იწვებოდა ნელ-ნელა ტკაცა-ტკუცით. დაიწვებოდა ერთი ქერქი თუ არა, მივაშველებდით მეორეს. ამნაირად ვისხედით სინათლეში.

ალაზნის თავში არყის ხეს ხმარობენ მეცხვარეები ბინაზე შეშად. მთელი ტყეებია ამ ხისა, მხოლოდ არა ხევში, არამედ მთის

კალთებზე. ქვემოდ და ქვემოდ, ხევ-ხევ სვდება ფიჭვი. ნედლ არყის ხეს მალე არ ეკიდება ცეცხლი და ბევრი დროც სჭირდება, რომ გახმეს. ამისათვის მეცხვარეები ქერქს აცლიან და ისე ახმობენ. ქერქს, როგორც სანთელს, ისე ხმარობენ, როგორც ზემოდ დავინახეთ, და თვით ხეს შეშად. შეშას, თუ ტყე ახლოა, ბინაზე ზურგით ზიდავენ და თუ შორს არის, ცხენებით და ვირებით. მოიტანენ თუ არა, ფოთლებს გასხეპავენ, ქერქს გააცლიან და ააყუდებენ, რომ დროისნად გახმეს.

ერთმა მწყემსმა ყაურმიანი ქვაბი მოიტანა და დაგვიდგა შუაში. სხვამ ქუმელი მოზიდა. ქუმელს ანუ სალს აკეთებენ ქერისას. ქერს ხლიან და დახლილს ფქვავენ. მწყემსმა გამოიღო ბარგიდან დაზელილი გაკეთებული ტყავი, ტომრიდან ამოიღო ფქვილი, შიგ წყალი ჩაასხა, წყალს მარილი უყო, დაზილა ხელებით და წინ მოგვიტანა ტყავზე. მეცხვარეები მთაში ქუმელს ხმარობენ, პური ვერ გამოადგებათ, რადგანაც ჯერ ერთი, რომ ბევრად უფრო ძვირია ქუმელზე, მეორეც ის, რომ პურს გამოცხობა უნდა. სადა აქვს მწყემსს მთის წვერზე შეშა? ან სადა აქვს მას დრო, რომ გამოაცხოს, მით უმეტეს ნოტიო ამინდის დროს, ცის ქვეშ? ქუმლის კეთება ადვილია: ცივი წყალი ბევრია, მარილიც თანა აქვს და დაზელა ადვილია. მეცხვარეები ქუმელს გუდაშივე ზელენ: ჩაჰყრიან ქუმელს, შიგ წყალს ჩაასხავენ, მოუჭერენ პირს და ზელენ. ხანდახან მწყემსი, როდესაც დრო არა აქვს, რომ დაჯდეს, მაგალითად, როცა მისდევს თავის ცხვარს, ფეხზედ ზელავს გუდაში ქუმელს. ბარში კი პურს ხმარობენ. ბარში ცხვარი ღამით ბინაზე მიდის და ბინა ყველაფრით მოწყობილი აქვთ. დილით ჩაიდებს გუდაში პურს, გაუდგება ცხვარს და საღამოზედ ისევ მივა ბინაზე. ზამთარში ცხვარი შორს არა სცილდება ბინას. მთაში კი სულ სხვა გარემოებაში არიან. ცხვარი შორს ჰყავთ ბინასთან, მწყემსს ორ-სამ კვირით მიაქვს ბინიდან ქუმელი ცხვარში და მინამ არ გაუთავდება, ბინას ვერ დაინახავს, თუ სხვა საქმე რამ არ აღმოუჩნდება.

არა მგონია, რომ მწყემსისთანა ბევრი ხორაგის მჭამელი სხვა რომელიმე ხელობის კაცი იყოს; ამასთანავე ძალიან ეტანებიან სიმსუქნეს. ყაურმანი შესდგება ხორცისა და ქონისაგან. ხორცსა

სჭამენ და ზედაც კონზით ქონსა სვრეპენ, როგორც წყალს. სიმსუქნის ამნაირი ჭამა მწყემსისაგან არ არის მაინცა-და-მაინც საკვირველი, თუ მივიღებთ მხედველობაში სასტიკ ჰავას კავკასიის მთებისას. მწყემსი ბევრ სასტიკ სიცივეს იტანს და მას ქონი ესაჭიროება, როგორც სითბოს მიმცემი. ესკიმოსები და სამოედები ხომ თითქმის პიტალო ქონით იკვებებიან და თვით რუსებიც, როგორც მოგეხსენებათ, ქონს არ აირიდებენ. რაც შეეხება მწყემსების ბევრს ჭამას, ამის შესახებ მწყემსებში დადის ანდაზა, რომ ერთ მწყემსს სანაძლეოზე ერთი თიკანი ყაურმად შემზადებული მარტო შეეჭამა. მთელი ღამე ეყვირნა საცოდავ მწყემსს: «სეტავი მშიერსო!» და დილაზე სული დალია. მწყემსის სიკვდილს მეცხვარეები მით ხსნიან, რომ ყაურმასნის შემდეგ ცივი წყალი დალია და იმისგან მოკვდაო. სიკვდილის მიზეზი სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს ჩვენის ფიქრით. საზოგადოდ, თხის ქონი მალე იყინება და მწყემსმა თუ მართლა ზედ ცივი წყალი დალია, რასაკვირველია, ქონი გაიყინებოდა კუჭში და ამის გამო უკანასკნელი ვეღარ იმუშავებდა თავის რიგზე. სიკვდილი აუცილებელი ხდება ამნაირ შემთხვევაში.

ღამე სუყველანი იქვე გარედ დავწექით ნაბდებში გახვეული. ცა მოწმენდილი იყო და აბა ამნაირი ღამე ხომ უფრო ცივია ბარშიაც კი და მთაში ხომ ცივა და ცივა. დილით რომ ავდექით ნაბდებზედ თრთვილი იდვა.

მეორე დღეს ჩემი თანამგზავრი დილასვე ფარსმაში წავიდა (პირიქით თუშეთი). მე იმ დღეს ალაზნის თავში დავრჩი, რადგანაც ჩემი მიზანი იყო წოვათაში წასვლა დღეობაში. დღეობა მესამე დღეს იმართებოდა და ამისათვის შემეძლო ერთი დღე ალაზნის თავში გამეტარებინა (ალაზნის თავიდან წოვათამდე ერთი დღის მანძილია).

ბინები ალაზნის თავში წოვა-თუშებს აქვთ გაკეთებული წყლის ნაპირებზე მთის კალთების ძირებში. საბინე ადგილად არჩევენ უფრო იმისთანებს, რომლიდანაც შეეძლოს ცხვარს მთაზე გასვლა საძოვრად და წყალიც ახლო ჩაუდიოდეს. თითქმის სუყველას ბინები ნაროვანის მთის და მის შტოს ძირებში აქვთ გამართული. ყოველ ბინაზე წყლის ახლო გალავანი აქვთ აშენებული. გალავანი

ზოგი ქვისაა და ზოგი წნელებით დაწნული. გალავნები დაბლებია და ერთ მხარეს ვიწრო კარები აქვთ. გალავნებში ამწყვდევენ ცხვარს წველის დროს და კარებში, რომ ცხვარი არ გამოვიდეს, იმავე არყის ხის წნელებით დაწნულ კარს უკეთებენ. გალავნებში ცხვრისაგან ტალახი და სხვა უწმინდურება დგება და ამისათვის აკეთებენ წყლის ახლოს, რომ შეეძლოთ წყლის მიშვება და მით გაწმენდა. ამ გალავნების გარდა სხვა გალავნებიცა აქვთ. ამ გალავნებში ყველის გუდებს ინახავენ. ბოლო დროს დაიწყეს ქოხების აშენება, რადგანაც ქოხებში უფრო გრილად ინახება ყველი და ამას გარდა ყოველ სხვა ბარგსაც ინახავენ. ქოხს ქვისას აკეთებენ. ზემოდან ყავარზე ხის შტოები ფოთლებითურთ აქვთ დაყრილი. შტოებზედ ბლომა მიწას აყრიან. ქოხი ბნელია. ყოველ ბინაზე სდგას ორი ტოტებიანი კაჩხო, რომელზედაც გადადებულია გძელი ხარიხი. კაჩხოებზედ და ხარიხზედ ახმობენ ხორცს, რომელსაც უწოდებენ თუშები «ყაღს». ცხვრის ხორცს წვრილ-წვრილ ასოდა სჭრიან, ამარილებენ და ჩამოჰკიდებენ მაღლა ნიავზე კაჩხოსა და ხარიხზედ გასახმობად. როდესაც კარგად გახმება, ტომარაში ან გუდაში ჩაჰყრიან და მიაქვთ შინ ოჯახისათვის. ყაღს საჭმელად ხმარობენ. სჭამენ უმსაც, როგორც ლორს, და უფრო კი ხარშავენ. მოხარშული უგემურია, რადაც ძველი სუნი გაჰკრავს. ყაღს მარტო თუშები აკეთებენ მწყემსობაში.

სადაც მე ვიყავი, იმ ბინის ზევით, სამროვანის წყლის კიდეებზე რამდენიმე ბინა იყო. ერთი ნაცნობის ბინაზე გავიარე. იქნებოდა ათი საათი, როდესაც ბინაზე მოვიდა ცხვარი. ცხვარი უნდა მოეწველათ. გაუღეს გალავნის კარები და ჯერ კაცი შეაგდეს შიგ, შემდეგ კაცს მიჰყვა ცხვარი. უკაცოდ ცხვარი ვერ იღებს გზას, ამისათვის ყოველთვის კაცი უძღვება წინ. თუ ცხვარი ერთ რიგად ვერ ჩაეტევა გალავანში, ორად ჰყოფენ, ჯერ ერთ ნახევარს მოსწველენ, მერე მეორეს. შერეკეს თუ არა პირველი ნახევარი, მწყემსებმა გაიხადეს ზემო ტანისამოსი—ჩოხა და ტყავი, ახალუხი ჩაილაგეს შარვალში, სახელოები აიწიეს მკლავებზედ, აიღეს ხელში კასრები და ჭაი-ჭყით შეცვივდნენ გალავანში. ზოგი კარებიდან შევიდა და ზოგი პირდაპირ გალავანზე გადავიდა. დაიჭირდნენ თითო ცხვარს, მო-

უშვერდნენ რაც შეეძლოთ ორივე ხელებით ძუძუს, რის გამოც რძე შხუილით ჩადიოდა კასრში (კასრები ხისა აქვთ, ხვდება იშვიათად რკინისაც). ცხვარი ტკივილისაგან საცოდავად ათასნაირად იკრუნჩხებოდა და თხა ხომ ბღავილს მორთავდა ხოლმე მაშინვე. ვინც პირველად გამოიტანდა სავსე კასრს, ის იქებოდა და, საზოგადოდ, ყოველი მწველი ცდილობს, რომ პირველად გამოიტანოს. ამით მას შეუძლიან ისახელოს თავი, როგორც კარგი მწველავი. იქვე გალავანის გარეთ იდგა რძის ჩასასხმელი დიდი ხის ჭურჭელი, რომელიც იგივე რძის სადღვებელია, მხოლოდ ბევრად განიერია და ერთ მხარეს პირ-ახდილი. გამოიტანენ კასრით რძეს თუ არა, მაშინვე ჭურჭელში ასხავენ გაწურულს. საწურავი ჭურჭლის პირშივეა გაკეთებული. საწურავი ან ხის, ან ქერქის რგოლია, რომლის ქვეშ გარჭობილია წვრილი ჯოხები; შიგ ბლომად ბალახს სდებენ და რგოლში ჩასხმული რძე იწურება ბალახში და გაწურული ჩადის ჭურჭელში. რასაკვირველია, ამნაირი საწურავი არ ვარგა. რაც უნდა იყოს; ბალახი ჯერ ერთი, რომ ვერ გასწურავს რიგიანად რძეს და მეორეც, თავის სუნსა და გემოს მისცემს ცოტად მაინც. ჭურჭლის ზემოდან ნაბდები აფარია, რომ რძემ სითბო შეინახოს; ჩაასხმენ თუ არა, მაშინვე დააფარებენ. მორჩნენ ცხვრის მოწველას. ცხვარი მთის კალთაზე გაიშალა. შეუდგნენ ყველის კეთებას. ყველის გამკეთებელი ერთია, რასაკვირველია, უფრო მცოდნე და გამოცდილი ყველის კეთებაში. რძის დახედვით აძლევენ დვრიტას. მიცემულს დვრიტას კარგად აურევენ რძეში ან ხელით, ან ამისთვის დანიშნულ ჯოხით. $^1/_4$—$^1/_2$ საათის განმავლობაში რძე ჩაიკვეთება (რძის ადრე და გვიან ჩაკვეთება დვრიტის სიძლიერეზე ჰკიდია). ჩაკვეთილ რძეს სჭყლეტავენ ხელით. დაასცლიან, ვიდრე ჩაკვეთილი რძე არ ჩაწვება, დელამოტი შეიკუმშება და შრატს გამოიცლის. შრატს იღებენ ქვაბში და შეკუმშულ დელამოტს დასჭრიან სანჯლით, ამოიღებენ ხელით პარკის კუთხეში გასაწურავად. კუთხეში სდებენ, რომ რკალი ფორმა მისცეს ყველს. პარკში ხელით დაქანჩავენ და როცა შრატი აღარ ეცლება, გადმოაბრუნებენ და დასდებენ ქვაზე. დევს ამნაირად საღამომდის, ან მეორე დილამდის. როდესაც ყველი საკმაოდ გაშრება, ამოიღებენ პარკიდან დ სდებენ გუდაში. გუდა ცხვრის ტყავისაა. მატყლს წმინდად გაჰპარ-

სვენ, გაპარსულ პირს შიგნით მოაბრუნებენ, ყელში მაგრად შეჰკრავენ ბაწრით, ზომით მარილს ჩაჰყრიან და შემდეგ ჩასდებენ ყველს. ყველზედ ისევ მარილს დააყრიან, მერე ჩასდებენ მეორე ყველს, მესამეს და ამ რიგად იქცევიან, ვიდრე გუდას გაავსებენ. ზოგში სამის მეტი არ ჩადის და ზოგში კი ექვსიც ჩადის. როდესაც ჩაალაგებენ გუდაში ყველს, დამარილებულ წყალს ასხავენ. გაბერავენ, შეუკრავენ მაგრა პირს და დასდებენ გრილ ადგილს. დრო-გამოშვებით გუდას აცვალევინებენ გვერდს, რომ მარილი თანასწორად გაუჯდეს. თუშური ყველი, საზოგადოდ, განთქმულია ჩვენში. ჩამოაქვთ კახეთში და ადგილობრივვე ჰყიდიან. თუშური ყველი კახეთშივე ისმარება, კახეთის გარეშე თითქმის არც გადის, თუმცა ტფილისში ბევრჯერ ჰყიდიან ამ სახელით ოსურის და სხვა ყველსა. ნამდვილი განთქმული თუშური ყველი მოდის ალაზნის თავიდან და წოვათიდან, სხვა მთებიდან, როგორც ლეკისა და თრიალეთისა ვერ გამოდის იმ ღირსების ყველი. ბევრად ნაკლებია, ნამეტნავად თრიალეთისა, თუმცა იგივე თუშური ცხვარია და იგივე თუშები აკეთებენ; თუშების ყველის შორის ამ ნაირ განსხვავებას ღირსებაში მიაწერენ მთას, ბალახს და ჰავას, ტემპერატურას. მართალია ეს თუ არა და რაშია მიზეზი — ამ ხელობის სპეციალისტებმა უფრო იციან. იმათ გამოიკვლიონ და ჩვენ თავი დავანებოთ ამ კითხვასა. ნაჭოს შრატიდან აკეთებენ. შრატს ნელ ცეცხლზე მოადუღებენ დიდროან ქვაბში. ნაჭო იკრიფება ქვაბის პირას. შემდეგ იღებენ პარკში და უკანასკნელს ჩამოჰკიდებენ მაღლა, რომ კარგად გაიწუროს. როდესაც გაიწურება, ხონჩაზე ამოიღებენ, დაამარილებენ, დაზელავენ და ჩასდებენ გუდაში. ნაჭოს თუშები არა ჰყიდიან. აკეთებენ შინ, ოჯახში სახმარებლად.

თუშები ორ თვეს სწველავენ ცხვარს. თიბათვეში და მკათათვეში. გაზაფხულზე არა სწველავენ. თიბათვის პირველ რიცხვებში (იმაზეა დამოკიდებული თუ რა დროს გადავა ცხვარი ალაზნის თავში) დედლებისაგან აშორებენ ბატკნებს. ბატკნებს ცალკე აძოვებენ მაღალ მთაზე და დედებს სწველავენ დღეში ერთხელ. როდესაც მოვა დრო, რომ უნდა შესწყვიტონ წველა, მაშინ უცბად არა სწყვეტენ. უცბად რომ შესწყვიტონ, ცხვარს ძუძუები რძის ჩადგომისაგან დაუსივდებათ და ამას გამო ბევრი ცხვარი ზიანდება. ამასა-

თვის ბოლოს დროს ჯერ დღე-გამოშვებით სწველავენ, მერე ორ დღის გამოშვებით და ამ ნაირად ცხვარიც შრება უვნებლად.

სამროვანის და ყოისუს შორის, სადაც თუშეთის გზა ჩამოეშვება საყორნის მთიდან ხევში, ერთი პატარა, რგვალი, ვაკე წვერიანი გორა სდგას. ამ გორას ჯოყალის გორავს უწოდებენ თუშები. ნება მიბოძეთ მოგითხროთ თუ რისთვის ეძახიან ამ გორას «ჯოყალისა»-ს, ვინ იყო ჯოყალა: დასაბამიდანვე თუშებს ჰყავდათ დაუძინებელი მტერი: ლეკი, დიდო და ქისტი (ჩეჩენი). ეს სამი მომიჯნავე ბუსურმანი ხალხი სწეწავდნენ სამ მხრიდან ამ მუჭა ხალხს თუშებს, მაგრამ ამ უკანასკნელს ქუდი არ მოუხრია მტრის წინ არასოდეს, პირიქით თვითონ პარტიზანულ ლაშქრობით მთა-მთა ჭალა-ბელაქნამდის ჩადიოდა და ჰბუგავდა დაღისტანის სოფლებს.

ქარის თავს დაჰკრეს მილარი, თუშთა დაიგდეს მთანია
მთებს ჩამოითარეშებენ წინ დამდგომ ვინღა არია!...

სისხლის ღვრა და ერთი-ერთმანეთის თავს დასხმა გამწვავდა თუშებსა და ჩეჩენ-დაღისტნის შორის უფრო იმ დროიდან, რაც შამილმა შეაერთა ჩეჩენ-დაღისტანი და ამით გაძლიერებულმა აღმართა დროშა რუსეთის წინააღმდეგ. შამილს, რასაკვირველია, სურდა გამოეგლიჯა ეს მამაცი, გაუტეხარი და თავ-გადადებული თავის სამშობლოს ხალხი რუსების ხელიდან. ამისათვის შამილი ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ გაეხორციელებინა თავისი მიზანი. ჯერ ტკბილ სიტყვებით და უხვ პირობებით მიმართა შამილმა და შემდეგ, როდესაც თუშებმა უარ-ჰყვეს, ხმალი და ცეცხლი შეიტანა ამ მხარეში. როგორც იმ დროის მომსწრენი ამბობენ, შამილს თურმე ეთქო, რომ ოღონდ თუშები შემიერთდნენ და სუყველას ნაიბობას მივცემო. დიდი პოლიტიკოსი იყო შამილი. ერთი თუში, გამოჩენილი თავისი სიტყვით და გავლენიანი თუშებში, ტყვედ იქმნა წაყვანილი ლეკებისაგან. ლეკებმა ეს თუში მიჰგვარეს შამილს. შამილმა თავისთან დაიჭირა თუში. ერთ დილას, სეირნობის დროს თურმე მოიხმო თუში და მიმართა შემდეგი სიტყვებით: «თუშებო, რა გინდათ ჩემგან, ან თქვენ და ან ქართველებს. რათ მეწინააღმდეგებით. მე ხომ თქვენი მტერი არა ვარ. ვებრძვი ჩვენს საერთო მტერს

—რუსებს და თქვენ კი არ მასვენებთ. მე მსურს გავრეკო კავკასიიდან საზიზღარი გიაურები და აღვადგინო ჩემი მამა-პაპის სამეფო ტახტი. შენ გაგიკვირდა, რომ ვთქვი ჩემი მამა-პაპის სამეფო ტახტი? არავისთვის არ მითქვამს და არც არავინ არ იცის მე ვინა ვარ და გარემოება მაიძულებს, რომ შენ გაგიმჟღავნო ჩემი ვინაობა.*) მე ვარ თქვენივე მეფე ერეკლეს შვილის ალექსანდრეს შვილი. ბატონიშვილი ალექსანდრე, როდესაც სპარსეთში იმყოფებოდა, სცხოვრობდა ერთ ხანას ასულთან. ხანის ასული ბატონიშვილისაგან ორსულად შეიქმნა. რომ მამის რისხვა აეცილებინა თავიდან. იგი ვიღაცას გადმოჰყვა დაღესტანში და აქ მშობა მე—შამილი. დიახ, მე მეფე ერეკლეს ჩამომავლობიდანა ვარ და მსურს აღვადგინო სახელოვანი პაპის ტახტი და საქართველოს თავისუფლება. ყველა შამილის მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. თუშებმა თავისი არ დაიშალეს და არ ზოგავდნენ არაფერს, რომ დაეცვათ რჯული და მიწა-წყალი.

ბევრი ხნის ბრძოლამ მძლავრ რუსეთთან ძალიან გააღარიბა ჩეჩენ-დაღისტანი. მამა კაცები განუწყვეტელ ბრძოლას უნდებოდნენ და იხოცებოდნენ უწყალოდ. მხარეში მეურნეობა შესწყდა, შემოსავალი მოისპო, მტერი შეუბრალებლად ბუგავდა ყოველ მხრიდან დაღისტნის ავლა-დიდებას. სადაც მტერმა ფეხი შესდგა; იქ სიცოცხლე ისპობოდა. თვითონ მცხოვრებნი ანებებდნენ თავს სოფლებსა და გარბოდნენ ცარიელნი უშიშარს ადგილებში. ჩამოვარდა საშინელი შიმშილი, რამაც დაჰბადა მტაცებლობა. გუნდ-გუნდად დადიოდნენ მთებში ჩაჩან-ლეკები და თუ შეხვდებოდათ ცხვარი, ცხენი, ძროხა, მოჰკლავდნენ პატრონს და საქონელს გარეკავდნენ. ხანდახან ჩამოდიოდნენ კახეთში, დღით იმალებოდნენ ტყე-ღრეებში და ღამე შედიოდნენ სოფლებში, რომ მალვით იქნებოდა თუ უძალოდ, ეშოვნათ რამე დავლა. თუშები ლაპარაკობენ, რომ ლეკები ყოველთვის ცდილობდნენ როგორმე ცოცხალი დაეჭირათ კაცი და ტყვედ წაეყვანათ. ჩაჩან-ლეკების ამნაირი მოქმედება აიხსნება მით, რომ ტყვეს გამოისყიდდა პატრონი და ამით ცოტა მაინც კუჭს გაიძღობდა მშიერი ლეკი. თუშებს ჰყავდათ აქა-იქ მთებში ცხვარი,

*) შამილის ვინაობა ჯერ არ არის გამოკვლეული.

ლეკებმა ეს იცოდნენ, დაესხმებოდნენ სადმე მთაში მწყემსს, მოჰკლავდნენ და ცხვარსაც გადარეკდნენ დაღისტანში. სანდახან მთელი ჯარი გადმოდიოდა თუშეთში და ათასობით გადაჰყავდათ ცხვარი. ერთი ამნაირი შემოსევა ალაზნის თავში მოხდა დაახლოვებით 45—46 წლებში. შემოესივნენ ჩაჩანიდან ქისტები ჯოყოლის წინამძღოლობით. წოვა-თუშებს უფრო ქისტებთან ჰქონდათ საქმე, ვიდრე დიდო-ლეკებთან, რადგანაც იგინი უფრო ახლო იყვნენ.

ამ საუკუნის ოც და ათ წლებში ერთი ქისტის თემი მოინათლა ქრისტეს რჯულზე და შეურიგდა რუსებს. მაგრამ ეს შერიგება ხანგრძლივი არ იყო. შერიგებულ ქისტებს შორის გამოჩნდა ერთი წინამძღოლი—ჯოყოლა, კაცი მამაცი და ლაშქრობის მოყვარე. ჯოყოლა გადუდგა რუსებს, მოისმო თანამემამულენი და დაიწყო სოცვა და რბევა რუსების ქვეშევრდომებისა. არც წოვა-თუშები გადურჩნენ მის რბევას. ერთხელ დიდი ჯარით გადმოსულიყო ბორბალოს მთაზე ალაზნის თავში და იმ გორაკზე, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ, დამდგარიყო ბაირაღებით. ამის შემდეგ გორაკს დარქმო «ჯოყოლი»-ს გორა. ისე უცბად და მოულოდნელად ყოფილიყო ჯოყოლის შემოსევა ალაზნის თავში, რომ თუშებს ვერც კი გაეგოთ დროზედ. სანამ აქა-იქ მთებიდან თუშები შეიკრიბებოდნენ, ჯოყოლას მოექუჩებინა რამდენიმე ათასი ცხვარი და ნაროვანის მთაზე გადაერეკა ჩაჩანს. თუშებს ვერ მოესწროთ. ხელდახელ, ვინც იმ ჟამად ალაზნის თავში იმყოფებოდნენ, ისინი დაედევნენ, მოუჭრეს გზა, ჩასაფრებულებმა მოჰკლეს რამდენიმე ქისტი, მაგრამ მაინც ცხვრის დაყრევინება ვერ შესძლეს. გადიოდა დრო. ჯოყოლა ხან ერთ ალაგას გამოჩნდებოდა, ხან მეორეში. სწრაფად და მოულოდნელად იტაცებდა ცხვარს. ბოლოს 1851 წელში ჯოყოლა გამოჩნდა ბორბალოს მთაზე რამდენიმე ქისტით და თან რამდენიმე ხევსურიც ჰყოლიყო. ბორბალოს მთიდან ჯოყოლას გამოეგზავნა ხევსურები ალაზნის თავში ივანე ცისკარაშვილთან *), რომელიც იმ დროს თუშეთის მოურავად იყო, რომ მას სურდა მასთან ოლაპარაკება. ცისკარაშვილს აღეთქვა

*) ივანე ცისკარაშვილი ფრიად მოხუცებულია და ამ ჟამად ტფილისში ლევს თავის სიცოცხლეს. კარგად აქვს შესწავლილი საზოგადოდ მთის ცხოვრება და მისი შრომა „Записки о Тушетіи“ საყურადღებო მასალაა თუშეთის შესწავლისათვის.

მშვიდობა და სრული მფარველობა. ჯოყოლა ქისტებითურთ ჩამოსულიყო ალაზნის თავში, სადაც თუშები მოგროვილიყვნენ ცისკარაშვილის თავობით. თუშებს პატივით მიეღოთ ქისტების ბელადი: დეეგოთ ნაბდები, დეესოცნათ ცხვრები, გეემართნათ წვეულება, ერთი სიტყვით, თუშებს ეცადნათ, როგორმე გული მოეგოთ ქისტებისა. მიზეზი ამ ცდილობისა ის იყო, რომ როგორმე შეერიგებინათ მოუსვენარი ჯოყოლა, რომელიც დიდ ზარალს აძლევდა. სასმელთაგანი არყის მეტი არა ჰქონოდათ-რა თუშებს. როდესაც ივ. ცისკარაშვილს ვერცხლის თასით მიეწოდებინა არაყი, ჯოყოლას არ მიეღო. როდესაც მიზეზი ეკითხნათ, სხვა ქისტებს ეთქვათ, რომ ბელადს დაძმობილება სურს ცისკარაშვილთანაო. დაძმობილება მამაკაცებში და დადობილება დედაკაცებში ჩვეულებრივი მოვლენაა მთაში ყველა მცხოვრებთა შორის. დაძმობილება ვერცხლით იციან. ღვინოში (თუ ღვინო არ არის, შეიძლება სხვა რამ სასმელი) ჩასდებენ ვერცხლის ფულს და ისე სვამენ. ხან ერთი სვამს, ხან მეორე ცოტ-ცოტათი. ბოლოს, დაცლის დროს ვერცხლი ვისაც შერჩება პირში, იმისია. რასაკვირველია, ვერცხლი ვისიც არის, ის ისე მოახერხებს, რომ ძმობილს შერჩეს. ცისკარაშვილი და ჯოყოლა დაძმობილებულიყვნენ. რაც დრო გადის, სხვა ბევრ ჩვეულებებთან ეს შესანიშნავი კარგი ჩვეულება— ძმობილობაც ავიწყდებათ მთაში. წინად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ საზოგადოდ მთიელები დაძმობილებას. ძმობილი და ღვიძლი ძმა ერთი იყო მთიელისთვის. როდესაც მტრობა სუფევდა მთიელების ერთ-ურთ შორის და მისვლა-მოსვლა ამათთვის შეუძლებელი ხდებოდა, თითქმის ყველა მთიელს ჰყავდა ძმობილი სხვა-და-სხვა თემებში. დასჭირდებოდა რამე, პირდაპირ მიდიოდა მტრის სოფელში და დარწმუნებული იყო, რომ არა დაემართებოდა-რა მას ძმობილის სახლში; ძმობილი, როგორც ღვიძლ ძმას, დაჰფარავდა მას. არამც თუ დაფარვა, არამედ ხელსაც შეუწყობდა, თუ რამე საქმე ჰქონდა მტრის ქვეყანაში და გაჭირების დროს თავსაც შესწირავდა. ბევრი ყოფილა მთის ცხოვრებაში იმისთანა მაგალითი, რომ რომელიმე მტრის ბანაკში მისულიყოს ძმობილთან და არა ვნებოდეს-რა; ბრძოლის დროს, როდესაც ერთმანერთს შეხვდებოდნენ, ხელს გაუწვდენდნენ ერთიერთმანერთს.

დამორჩილების შემდეგ ჯოყოლას გაემჟღავნებინა მოსვლის მიზეზი. ისევ შერიგება სდომებოდა. სთხოვდა რუსის მთავრობას ეპატიებინა მათთვის გადადგომა. თუშებს, რასაკვირველია, გახარებოდათ. ცისკარაშვილს გაეგზავნა კაცი თიანეთს მაზრის მზრუნველთან—ლევან ჩოლოყაშვილთან ჯოყოლის შერიგების შესატყობინებლად. ამის შემდეგ თვითონ ჯოყოლა მისულიყო წარჩინებულ ქისტებითურთ თიანეთში და გამოეცხადებინა სრული ქვეშევრდომობა რუსეთისა. ამის შემდეგ რამდენიმე წარჩინებული თუში გადასულიყო ქისტეთს და ჯოყოლის შემწეობით გადმოესახლებინათ ერთი სოფელი პანკისს*) კახეთში. ამ დროს პანკისის ხეობა წარმოადგენდა ერთს უღრან ჭალას, რომელზედაც ღრიალით მოქუხდა ალაზანი. უღრან ჭალაზედ გადიოდა საცალფეხო გზა, რომელზედაც წოვები რეკავდნენ ცხვარს და თვითონაც ჯალაბითურთ იარებოდნენ. შეუვალ უტყვ ტყით შემოსილი პანკისი აძლევდა თავშესაფარს მსუნაგ ლეკის გუნდს; ჩასხდებოდნენ ტყეში და აქედან იპარებოდნენ სოფლებს კახეთში, მიჰყავდათ ტყვე და სხვა. აი ამისათვის გადმოასახლეს თუშებმა შერიგებული ქისტები, რომ ეს ალაგი, როგორც იტყვიან, გაემაგრებინათ და ამით დაემშვიდებინათ ეს მხარე. მაგრამ მოსტყუვდნენ. არ გაიარა მას შემდეგ ბევრმა ხანმა, რაც გადმოსახლდნენ, რომ მოუსვენარი ქისტები აიყარნენ პანკისიდან და ჩაჩანს გადავიდნენ. თუშები დაედევნენ მათ უკან დასაბრუნებლად და დაეწივნენ წიკლოვანის ხევში. ქისტებმა თოფები დაუშინეს. შეტაკებაში მოიკლა ერთი თუში, გამოჩენილი კაცი ელიზბარიძე, რომელსაც ვაჟკაცობით ვლადიმირის ორდენი ჰქონდა მიღებული და განათლება კი არა, ხელის-მოწერა არ იცოდა. თუშებმა ვერა გააწყვეს-რა და ქისტები გადავიდნენ. ჯოყოლა ჩაჩანში დაიჭირეს და, როგორც მოღალატე, წარუდგინეს შამილის შვილს ყაზი მაჰმას, რომელიც ჩაჩანის მმართველად იყო იმ დროს. ყაზი მაჰმას ბრძანებით თავი მოჰკვეთეს ჯოყოლას. თუშები მაინც არ ისვენებდნენ, გადავიდნენ მეორედ და ისევ გადმოიყვანეს ქისტები პანკისს.

*) პანკისი კახეთის დასავლეთ-ჩრდილოეთის კუთხეს შეადგენს (თიანეთის მაზრა).

ქისტებმა ააშენეს ალაზნის მარჯვენა კიდეზე სოფელი; სოფელს დაარქვა ბელადის სახელი «ჯოყოლის სოფელი». ეხლა ჯოყოლის სოფელი კარგა მოზრდილია და გაშენებული. მცხოვრებნი მართლმადიდებელ რჯულს აღიარებენ, თუმცა ჯერ გარეგნობით; აქვთ სასოფლო სკოლა და თუმცა ეკკლესიაცა აქვთ, მაგრამ არავინ არ იარება, პირიქით წირვა-ლოცვის დროს ოხუნჯობენ და მღვდელს სასაცილოდ იგდებენ.

საღამოზე ბინაზედ დავბრუნდი. სამროვანის მთებიდან შავი ღრუბელი ჩამოწვა ალაზნის თავზე. წვიმას გვიქადიდა. ამისათვის მე და ბინის პატრონი ქოხში მოვეთავსენით ღამით. შუა ღამეა. ძილში მომესმა: — ადექ, ადექ, არ გესმის, რა ამბავია ჩვენს თავს? წამოვხტი, გავიხედ-გამოვიხედე, მაგრამ ბნელოდა, რას დავინახავდი. — რა არის? — ვკითხე განცვიფრებულმა. — რა არის და, წყალი შემოგვივიდა ქოხში, ვერა ჰგრძნობ, რომ გუბეში წევხარ? დავტოტნე ჩემი არე-მარე, მაგრამ წყალი კი არა, სველიც არსად იყო. — აქ არა არის-რა, ალბად შენ თუ გესტუმრა წყალი, — გავეხუმრე. — ჩემკენ გუბე სდგას, ცოტა იქით მიიწი მაინც, რომ წამოვწვე. დავუთმე პატარა ალაგი. საშინელება იდგა გარედ, კაცს ეგონებოდა, ცა ინგრევაო. მეხის გრგვინვა რაღაც საშიშარ ზარსა სცემდა იმ არე-მარეს. საშინელი სიბნელე იდგა. ხანდახან იელვებდა და გაანათებდა მთის წვერებს და ხევს. მოდიოდა წვიმა. მეხის გრგვინვა, წვიმის და ადიდებულ სამროვანის წყლის ღრიალი ბნელ ღამეში რაღაც ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. მაგრამ მთის კაცი ბუნებისა და ჭექა-ქუხილის შვილია, მკითხველო, იმნაირი ამინდი ჩვეულებრივია მისთვის; ის ჭექა-ქუხილში აღიზარდა, ჭექა-ქუხილში რაღაცას მშობლიურს ჰგრძნობს იგი. ბინის პატრონი გავიდა გარედ, შემოიარა ბინა, დახედა ცხვარს, გააფრთხილა მწყემსები, შემდეგ შემოიარა ქოხი, რომ გაეგო, თუ საიდან შემოდიოდა წყალი, შემოვიდა ისევ ქოხში და არხეინად შეუდგა ყალიონის წევას.

გათენდა. ღრუბლის ნამცეციც აღარსად იყო. მთის ხევებში გვიან ამოდის მზე. სანამ მზე ამოვიდოდა, საკმაოდ ციოდა. მიწა გაჟღენთილი იყო წვიმით. აღელვებულ სამროვანის წყალს თან მიჰქონდა იქაურობა. მაგრამ, რადგანაც სათავე ახლო აქვს, ჩქარა

ჩაჯდა თავის კალაპოტში და ისევ ანკარად დაიწყო დენა. მე სიცივისაგან ვიკუმშებოდი და ბინის პატრონი კი ფეხშიშველა დადიოდა. როდესაც ვკითხე, თუ რად დადიოდა, ხომ შესცივდებოდა, სიცილით მიპასუხა: — ჩვენ, მეცხვარეები სიცივეში ვართ გაზრდილნი. შენ ქალაქის ცხოვრებამ გაგანაზა და იმისთვის გცივაო. დიახ, არა სცდებოდა ბუნების შვილი...

აჰა, მზემაც ამოჰყო თავი ნაროვანის მთებიდან და აალაპლაპა თოვლიანი მთის წვერები. წვერებიდან ნელ-ნელა ძირს ხევში ჩამოდიოდა და შემდეგ მთლად ხევი მოჰფინა თავისი მადლიანი სხივებით. რა საყვარელია მზე, ნამეტნავად სიცივეში, მკითხველო? მის სინათლეს და სითბოზე მთელი ბუნება იღვიძებს. სანამ მზე ამოვიდოდა, მკვდრის სიჩუმე იდგა ხევში და როდესაც მზემ გაანათა, თითქო გამოეღვიძაო, ცხვარი ბღავილით მოედო მთის კალთებს და მწყემსმაც ზედ დააკვნესა სალამური. ძაღლებმა ყეფა დაიწყეს, ბინებზედ დაიწყო ხალხის მოძრაობა და ცხენებმაც დაიწყეს ბინების გარშემო ჭიხვინ-სიხვინით თარეშობა.

იმ დღეს სამს თანამგზავრთან გავწიე წოვათისაკ. წოვათაში გადასასვლელად უნდა გადაგველახა ფრიად მაღალი ქედი, რომელიც ჰყოფს წოვათის ხევსა და ალაზნის თავს და შეადგენს, როგორც ზემოდ ავღნიშნეთ, ნაროვანის მთის შტოს. გზა ჯერ ხევ-ხევ ჩადის, შემდეგ გადადის ყადონის მთაზე. უკანასკნელი ზემო მოხსენებულ ქედის ნაწილს შეადგენს. ყადონის მთა ფრიად მაღალია. მის წვერზე ყოველი მცენარეობა ისპობა და, რადგანაც წრეულ ისევ ბითუმად თოვლს ეჭირა, ამისათვის ვერ შევძელით ამ გზით გადასვლა. წოვათაში გადასვლა შეიძლებოდა ისე, რომ სულ ხევ-ხევ უნდა გვევლო და შემდეგ იქ, სადაც ყოისუს წოვათის ხევი ერთვის, აგვეხვია და ხევ-ხევ ავსულიყავით წოვათაში. ეს გზა შორს უხვევს და ამისათვის ჩვენ გვინდოდა როგორმე მოკლე გზა მოგვენახა. იყო ერთი გზა, რომელიც ყადოჩის ქვევით გადადიოდა ქედზე, მაგრამ არც ერთმა არ ვიცოდით. რა გაეწყობოდა, მივდივართ ხევ-ხევ. ყადონის ქვემოდ ალაზნის თავის ხევი უფრო და უფრო ვიწროვდება, ამისათვის გზა აღმოსავლეთ მთის ფერდოზედ მიდის. ზოგან ფერდოები კლდიანია და ამისათვის რამდენჯერმე უხდება მგზავრს

წყალში გასვლა და გამოსვლა, ქვემოდ და ქვემოდ ორი მხრიდან ტოტების მატებისაგან ყოისუ უფრო და უფრო მატულობს. ზოგ ვიწრო ალაგებში ისე საშიშრად მიექანება ყოისუ, რომ გასვლა საკმაოდ უჭირდება ცხენს—ტალღები მხედარს ფეხებამდის სწვდება.

როდესაც ყადონის მთას მივუახლოვდით, შეგვხვდნენ მგზავრები, წყლის პირას კაკეზე ჩამოესადნათ ცხენებისათვის. მგზავრები მლოცავები იყვნენ. დედა-კაცები მაღალი ხმით სტიროდნენ და ერთი მათგანი ხანში შესული ცხვირ-პირს იგლეჯდა და მიწაზე ახარტყუნებდა ხელებს. ჩვეულება მოითხოვდა, რომ ჩამოვმხტარიყავით ცხენებიდან და ისე მივსულიყავით მიზეზის გასაგებად. ცოტა ზევით ცხვრის ბინა იყო მთის კუნჭულში. ბინის პატრონის 8—9 წლის ბავშვი ჩამოსულიყო წყლის პირას და სხვა ბავშვებთან ერთად თურმე თამაშობდა. თამაშობის დროს წყლის კიდეზედ ბელტო ჩანგრეოდა, ჩავარდნილიყო წყალში (ყოისუში) და წყალს წაეღო. გამოუდევნენ კაცები და ყალონის მთის ქვევით მკვდარი გამოიტანეს. ჩვენ როცა მივედით, ბინაში მიასვენებდნენ. დამხვრჩალის მამა წოვათს გადასულიყო სალოცავად და ჩვენ გვთხოვეს გარდაგვეცა უბედურება. მლოცავნი, რომელნიც დაგვისხდნენ, გზიდან დაბრუნებულნი ყოფილიყვნენ. დედა-კაცს, რომელიც ტიროდა და ცხვირ-პირს იგლეჯდა, გზაზედ ბნედა მოსვლოდა. რადაც უცნაური სატკივარია და არც მთლად მიემგზავსება ბნედას. ავადმყოფი მაღლა ლაპარაკობს, ტირის, ცხვირ-პირს იგლეჯავს და დედა-მიწას ეცემა ხოლმე. ლაპარაკობს რომელისამე წმიდანის პირით. მაგალითად: «შენ რომ დამპირდი ჩემ დღესასწაულში მოსვლას კურატით და საწირავით, რად მომატყუილე, რატომ არ მოხვედი, დაგისჯით...» და სხვ. ამისთანები. ზემო მოხსენებულ დედა-კაცის ქმარს აღეთქვა წოვათის სამების წმიდა გიორგის დღესასწაულში ლუდის დადგმა და კურატის სამსხვერპლოდ მიყვანა, მაგრამ არაფერი არ მოეხდინა და ისე მიდიოდა. მის მაგიერად მის გაყრილ შვილს ლუდიც გამოესადნა და კურატიც მიეყვანა სალოცავის კარებთან. გზაზე ზემო მოხსენებულ დედა-კაცს უცბად დაეწყო სამების წმ. გიორგის პირით ქადაგება (თუშები ამ ნაირ მოვლენას ქადაგობას

უწოდებენ). ქადაგებიდან სჩანდა, რომ წმ. გიორგი ემუქრებოდა მათ მოტყუებისათვის. «...რად მომატყუილეთ, თქვენ დამპირდით, თქვენი ვალი იყო, თქვენ უნდა მოსულიყავით ჩემ კარზე და თქვენი შვილი კი მოკვდა, თქვენ ნუ მოდიხართ, ღირსნი არა ხართ!...» გაიძახოდა საშინელი წივილით ავადმყოფი. მლოცავნი უკანვე დაბრუნდნენ ტბათანაში.

ჩვენ განვაგრძეთ გზა. ერთ მთის კალთაზე დავინახეთ პატარა ბილიკი, რომელიც მთაგრეხილზე მიდიოდა. გზის ახლო ბალახზე წამოწოლილიყო პატარა მეცხვარე ჩალმა*) (ალაზნის თავი უადონის ქვევით ჩალმა თუშებს ეკუთვნის, უადონის მთა მიჯნად ითვლება.) ჩალმას ვკითხეთ, შეიძლებოდა თუ არა იმ გზით წოვათას გადასვლა. იმან დაგვარწმუნა, რომ ის გზა წოვათას გადადიოდა. ჩვენც გავუდექით იმ გზას და მივდივართ აღმართ მთა-გრეხილზე. მწვანე ბალახი და ათასფეროვანი ყვავილები ამკობდნენ მთას. მთის გრილი სიო როგორც ყანას ისე აღელვებდა. აქ-იქ ფერდობზე გამომძღარი ცხვარი დაყრილიყო და მათი მწყემსებიც გძელ-ბალნიან ტყავის ქუდებით შორიახლო მოსჩანდნენ. რაც მაღლა და მაღლა ავდივართ, იმდენად, თითქო ცას ვუახლოვდებით, ჩნდება შორს და შორს მთების მწვეტიანი ქედები. ზოგი აჭრელებულია თოვლით, რომლის შუა და შუა მოსჩანან შავად კლდეები. ქედებს ჰყოფენ ხევები, რომელზედაც მთის წვეროებიდან თეთრად ჩამოდიან ხევ-ხევ ზვავები. უკანასკნელნი ზოგ-ზოგან გაწყვეტილან, გაწყვეტილიდან ღრიალით გაშმაგებული დაჭრილი მხეცივით გამოსტის ქაფად ქცეული წყალი, გზაზე ხვდება კლდე; ან დიდრონი ქვა, კარდება ქუსლით ძირს და ისევ ეკარგება სხვა ზვავის ქვეშ—უფსკრულში. ზოგგან მარტოკა, როგორც მაქრის თავი, ამუდებულა თოვლ-ყინულით მოსილი მთის წვერი და ამაყად გადაჰყურებს გარშემორტყმულ მთებს.

აჰა მივაღწიეთ წვერს. წვერზე ბალახი ხშირი აღარ იყო, მთის სიმაღლის გამო. აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად დარჩენილიყო ქვიშის შორის, როგორც ოაზისი უდაბნოში. ავედით თუ არა წვერზე, ჩვენი ყურადღება მიიქცია ანდაქის ქედმა, რომელიც ისევ ბითუმად თოვლს ეჭირა.

---

*) თემი.

ავედით წვერზე, მაგრამ იქ გზა დაგვეკარგა. ნავალი იქ აღარ ეტყობოდა და აქა-იქ ისევ თოვლს ეჭირა ალაგები. არც მწყემსი ვინმე შეგვხვდა, რომ გვეკითხა გზა. რას გავაწყობდით, უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო, რადგანაც დაბრუნებული, ხევ-ხევ რომ წავსულიყავით, დღესასწაულს ვერ მივუსწრობდით. როგორც იყო, უგზო-უკვლოდ წვერს გადავედით და გადავხედეთ ერთ პატარა ხევს. ხევს იქით მთის გრეხილზე გზა მოსჩანდა. იმედი მოგვეცა, რომ ჩვენი გზა ის იქნებოდა.

— ჭეი!...უუ!—მოგვესმა ხმა. გავიხედეთ და დავინახეთ რამდენიმე მგზავრი გაღმა მთის ქედზე. ეტყობოდათ, რომ ისინიც სალოცავად მიდიოდნენ წოვათაში. დავრწმუნდით ახლა კი, რომ სწორედ მივდიოდით. სანამ ხევში ჩავიდოდით, უგზო-უკვლოდ ვიარეთ. ხან თოვლზე გვიხდებოდა სიარული, ხან მშრალზე. როგორც იყო ჩავედით ხევში. ხევი პატარაა და სათავეში გაშლილი. ჩავედით თუ არა ხევში, ზვავის ნაპირას მოვისვენეთ, რომ ცხენებს ცოტა შიმშილი მოეკლათ.

რა მშვენიერს სანახაობას წარმოადგენს, საზოგადოდ, მთის ბუნება, მკითხველო: იქნება შენ არ გივლია მთებში და მხოლოდ წარმოდგენილი გაქვს მთის ბუნება, მის სიდიადე, სხვა-და-სხვა წიგნებიდან და სურათებიდან? განა იმათ შეუძლიანთ დაგიხატონ, წარმოგიდგინონ თვალ-წინ მთა ყველა თავის სიმშვენიერებით? არა და არა, მკითხველო. ნუ გჯერა. იგი მხოლოდ მკრთალი აჩრდილია სინამდვილესი. იგი ოცნების სუსტი ნაყოფია. ზემო მოხსენებული რომ წაიკითხო, იქნება გაგეცინოს; მაგრამ იმედი მაქვს, რომ, თუ შენ თვითონ როდესმე მოგიხდება მგზავრობა მთაში და რომელიმე მთის წვერიდან გარდასხედავ მთებს, მის მწვანე კალთებს, კლდეებს, მჩქეფარე ჩხატებს და თოვლით მოსილს წვერებს, მაშინ დამეთანხმები და აღფრთოვანებული წამოიძახებ:—«არა, ტყუილი ყოფილა. კაცს არ ძალუძს მთების ბუნების, მის სიდიადის სინამდვილის გამოხატვა!.. რა კალამს, რა მხატვრის ხელს შეუძლიან გადმოგცეს ჩხატების მშვენიერება. აი ხედავ: ჯერ წყნარად და შხრიალით ხტის წყალი ღრეზე; შემდეგ ხვდება გზაზე დაკიდული კლდე და იქ, თითქო დაჭრილი მხეციაო, ღრიალით ვარდება ძირს და, ქაფად

ქცეული, ხტომით განაგრძობს გზას ისევ ღრეზე უმთავრეს ჭევისკენ. მწვანე ბალახი თავის ათასფეროვან ყვავილებით კიდეებიდან დახრილა და ხან ჩაჰყოფს თავს, თითქო ბანაობსო მდუღარე წყალში, ხან ისევ ამოჰყოფს. წყალიც ამ დროს ეჩურჩულება მას, როგორც შეყვარებული. ყური რომ უგდო, ჩსატი ხან წყნარდება და ამ დროს ნელი შხრიალი გესმის, ხან უცბად იღრიალებს და ხან როგორღაც კვნესის გულ-მოსაკლავად ადამიანივით. ასე გგონია, ხან ტირის, ხან იცინის და ხან მდუმარედ კვნესის დაჭრილივითო. ერთი სიტყვით, მთელი სიცოცხლეა გამოხატული!.. ჩსატის ხმას; როგორც მშობელი შვილს, ძირს უფსკრულიდან მდუმარედ ბანს აძლევს უმთავრესი ხევი. ესლა გადახედეთ კლდეს, როგორ საშიშრად დაგყურებთ, თითქო გემუქრებათ, რომ არ მიეკარო და ხელი არ ახლო ჩემს შვილებს—ჯიხვებს და არჩვებს, რომელნიც კალთაში გამიზდიაო. ამ დროს იხუვლა რაღაცამ თქვენს თავზე ცაში. აიხედეთ, ხედავთ როგორ დანავარდობენ დედალ-მამალი არწივი, როგორ ეთამაშებიან იმ ცის კიდეზე ერთმანერთს. გასხლტება ერთი, მას მისდევს მეორე. აჰა მოეწია. ამ დროს უცბათ ორთავემ იხუშეს მძლავრად ფრთები და ყრიყინით ჩამოეშვნენ პირდაპირ ძირს. ამ დროს ისმის ისეთი ხუილი, თითქო საშინელი ქარი ასტუდაო. ხუილზე სხვა ფრინველები, როგორც ყვავ-ყორნები, სვავ-ქორები, ყიყილით იფანტებიან აქეთ-იქით და ივარგებიან, რომ აიცილონ თავიდან მრისხანე და ყოვლად ძლიერი მეფე ფრინველთა!..

მაგრამ ჩემს სუსტს კალამს განა შეუძლიან სინამდვილით დაგიხატოთ ყოველივე ეს! შეურაცხყოფა მივაყენე და იმედი მაქვს მაპატიებს. ბუნებასთან ერთად შენც როგორღაც თავისუფლად ჰგრძნობ შენს თავს. მთელი შენი არსება მთაში, აღფრთოვანებული გაჰგებარ შენთვის მაღლით, მიელტვის სადღაც შორს ცის კიდესკენ, როგორც გარშემორტყმული მთის თოვლიანი წვეტები. მოგაგონდება აქ ქალაქის ცხოვრება და თვალ-გაუწვდენელი უფსკრული დაგესატება მთასა და ქალაქს შორის. მთებში ყველაფერს ადევს ეს ელფერი, რომელიც თვით ბუნებას მიუნიჭებია მისთვის. აქ არა არის-რა გარდასხვაფერებული, დამახინჯებული კაცის ხელოვნებისაგან და გემოვნებისაგან. აქ ბუნება ისევ მეფობს და ქალაქში კი კაცის ხელოვნებამ დაამახინჯა იგი. მთე-

ბის ხევებში შეგხვდებათ პატრიარქიალური, თავ-მდაბალი და უცბიერო-მთიელი. მისი გული ისევე წმინდა და ხელუხლებელია, როგორც ბუნება, რომლის შვილიც ის არის. მთიელებ შორის არ არის უფროს-უმცროსობა, როგორც ჩვენ გვესმის. სუყველანი ერთი ბუნების შვილნი არიან. მთაში არ შეგხვდება ცხვირ-აწეული, ამპარტავანი მოხელე, რომელიც ცხოვრებას ისე დაუმახინჯებია, რომ მარტო ადამიანის სახე-და შერჩენია. არ შეგხვდებათ აგრეთვე საცოდავი გაფითრებული კანცელარისტი, რომელიც თავის სიცოცხლეს ოთხ-კედელშუა ქაღალდების გადაწერაში ლევს!...

გავუდექით გზას. ხევიდან გზა ფერდოზე ელმად მიდიოდა. გზა არ იყო სანდო, რადგანაც ქვიშაზე მიდიოდა და ცხენი ვერ იმაგრებდა ფეხს. გზის ორსავე მხრივ როგორც ალმასები, წვეტიანი სიპი ქვები იდგა და თუ ამ ქვებზე წაქცეულიყო ცხენი, მაშინ ფათერაკი რამ დაემართებოდათ ცხენსაცა და მხედარსაც. ამნაირი ქვები ძალიან ბასრია და თუ ცხენმა, ან კაცმა როგორმე ფეხი მოასხვედრა ამნაირ ქვას, ცუდად დაიკოდება. მგზავრობაში ბევრს ცხენს ადენინებს ხოლმე სისხლს ამნაირი ქვები. გადავედით ქედზე. გზა ისევ დაგვეკარგა. ქედიდან ჩავეშვით პატარა ღელეში და იქიდან გადავხედეთ წოვათას. ღელიდან ერთი მთაგრეხილით პირდაპირ ჩავეშვით წოვათაში.

## III

## წოვათა და სამების დღესასწაული

წოვათის მდებარეობა.—ეთელტა.—ინდურთა.—საგირთა.—წართო.—სახლებისა და კოშკების აგებულება.—საგირთის წახდენა ნიაღვრისაგან და მისი შედეგი.—სამების სალოცავი.—დროშები.— ქართული წარწერა დანგრეულ სახლის ქვაზედ ეთელტაში.—ფიწალოს სალოცავი და მისი დღესასწაული.—მოხუცთა საუბარი. —სამების დღესასწაული.—დეკანოზი და მისი ქადაგება (ლოცვა).—მოხუცის სიმღერა.—ცხენების ჭენება.—სხვა-და-სხვა დროს-გატარება მლოცავებისა.

წოვათა მდებარეობს ხევში, რომლის მდინარე ერთვის, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ანდაქის ყოისუს მარცხნივ. წოვათის ხეო-

ზა თავში ფაქე და გაშლილი ჭერობაა, მაგრამ ქვემოდ და ქვემოდ, რაც უოისუს უახლოვდება, უფრო და უფრო ვიწროვდება. ჩრდილოეთის მხრივ პატარა ნაროვანის მთების შტო ჩამოდის და შუა წოვათაში თავდება, ისე რომ ეს შტო ორად ჰყოფს ხევის სათავეს. წოვათა შესანიშნავ ბუნებრივს სიმაგრეს წარმოადგენს. მის გარშემორტყმული მთები მაღალი და მიუდგომელია. მიუდგომელია იმისთვის, რომ ზოგი კლდიანია და ზოგიც მარტო ერთს თვეს, მარიამობისთვეს, არიან განთავისუფლებულნი თოვლისაგან. სხვა დროს მარტო ხევხევ შეიძლება დაუბრკოლებლად შესვლა წოვათაში. ამ ალაგის საცხოვრებლად არჩევას წოვების-მიერ, რასაკვირველია, ისტორიული საფუძველი აქვს. ის დრო საშიშარი იყო, დრო სისხლის-ღვრისა, მუდმივი ომისა და ერთი-ერთმანერთის ხოცვა-დაგვისა. ამისათვის ხალხი უფრო ბუნებრივ მაგარ ალაგებს ეძებდა საცხოვრებლად, მით უმეტეს, ხალხი ნახევრად-ველური იყო. მას არ ძალედვა ხელოვნური სიმაგრეები გაემართა და მით დაეცვა თავისი უფლება. ამისათვის ხალხი უფრო ბუნებრივს სიმაგრეებს ეძებდა საცხოვრებლად. წოვათაში ხუთი ნასოფლარია: ეთელტა, საგირთა, ინდურთა, წარო და მოზართა. ეთელტა მდებარეობს ზემო აღნიშნულ ნაროვანის შტოს მარცხენა კალთაზე. სახლები ამ სოფელში ორ რიგად არის აშენებული; რიგებსა ჰყოფს წყარო, რომელიც გამოდის სოფლის თავში და ერთვის უმთავრეს ხევს, რომელიც ყადონის მთიდან იღებს წყალს. ეთელტის თავში პატარა ზღუდეა აშენებული, რომელზედაც სხვა-და-სხვა ნადირის რქები აწყვია. ეს ყორე წმინდა ფიწალის ნიშია და შეადგენს ეთელტელების სალოცავს. საგირთა მეორე ხევის სათავეში მდებარეობს კავეზედ. ინდურთა აშენებულია მთავრეხილის ძირში. მოზართა სძევს ინდურთის ცოტა სამხრეთისკენ და წარო კარგა მოშორებით წოვათის ხევის სივიწროეში.

ზემო აღნიშნულ სოფლებ შორის სამს სოფელს: ეთელტას, ინდურთას და წაროს-და შერჩენია რამდენიმე დაუნგრეველი სახლები. სხვა ორი სოფელი წარმოადგენენ მხოლოდ მიყრილ მოყრილ ქვის ზღუდეებს. იმ სახლებითაც, რომელნიც სამს სოფელში შერჩენილან, მწყემსები სარგებლობენ. წოვათაში ზაფხულობით ცხვარს ამოვებენ და ბინა ამ სახლებში აქვთ. საზოგადოდ, სახლები და ცი-

ხე-სიმაგრეები პიტალო სიპი ქვით არის აგებული, სახურავიც იმავე ქვისაა. ზოგი სახლი ერთ სართულიანია და ზოგიც ორ სართულიანი; რომელსამე მხარეს ბალკონიცა აქვთ. კარები დაბლებია და ვიწრო; რკვლად არიან მოყვანილები, როგორც ეკკლესიაში. ყოველ სოფელს საერთო ციხე-სიმაგრე ჰქონია, რასაკვირველია, უფრო მიუვალ ბუნებრივს სიმაგრეებში. ციხეების ფორმა ორნაირია: ოთხკუთხი და რკვალი. ორივე ფორმის ციხეები მაღლა და მაღლა ვიწროვდებიან. ქუელტის ციხეები (ორია) სოფელზე კარგა მოშორებით ერთს დაშვებულს კლდეზე არიან აგებულნი. მგზავრს გაუკვირდება, თუ როგორ აშენებდნენ ამ ციხეებს ამნაირ მიუვალ ალაგებში, როგორ ზიდავდნენ ქვებს და სხვა მასალას და შიშიანობის დროს როგორ ირეკავდნენ საქონელს! მაგრამ, ნათქვამია: გაჭირვება ყველაფერს შეაძლებინებს კაცსაო. სიმაღლით, მოყვანილობით და აგებულობით ყველა ციხეებზედ შესანიშნავია ისდურთის სამი ციხე. ეს სამი ციხე სდგას სოფლის თავში მთის ცხვირზე და შეერთებულნი არიან გალავნით. ციხეები ფრიად მაღლები არიან, ხელოვნურად აგებულნი და სწორეები. ციხიდან თხრილი ჩადის მიწის ქვეშ ხევში წყლის ამოსატანად შიშიანობის დროს. ყველა კოშკები და აგრეთვე თვით სახლები, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, აგებულია პიტალო ქვითა და ისე ხელოვნურად, რომ მაყურებელი განცვიფრებაში მოჰყავთ. არც ქვიშით, არც კირით არ არიან ქვები გამაგრებულნი და, მიუხედავად ამისა, ციხეები ბევრი წლების განმავლობაში არ დაქცეულან, ისევ მკვიდრად, ამაყად სდგანან უვნებლად.

წოვათაში დასაბამიდანვე სცხოვრობდნენ წოვა-თუშები. ამ ციხე-კოშკებიდან იცავდნენ თავისუფლებასა და რჯულს. წოვების ვინაობასა და მათ წარსულსა და აწმყოს ცხოვრებაზე აქ არაფერს არ ვიტყვით, რადგანაც ჩვენს საგანს არ შეადგენს. აქ ვიტყვით, მხოლოდ, რომ წოვები ლაპარაკობენ დამახინჯებულ ღლიღურს ენაზედ და ქართული ენის გავლენის ქვეშ ყოფნის გამო უფრო მახინჯდება და მოვა დრო, რომ სრულიად ბოლო მოეღება. როდის დაანებეს თავი წოვებმა წოვათას და გადმოსახლდნენ ალვანში, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, სიბნელით არის მოცული, მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ისინი მეთვრამეტე საუკუნეზე ადრე უნდა იყვნენ გადმო-

სახლებულნი, რადგანაც მეფე თეიმურაზ II-ის დროს ალვანში იხსენებიან, როგორც ერთი გუჯარი ჰმოწმობს. ალვანში გადმოსახლების შემდეგ წოვებს თავი არ დაუნებებიათ წოვათისთვის, ზაფხულობით მაინც გადადიოდნენ საცხოვრებლად. ამ საუკუნის დასაწყისში საგირთაში მოვიდა დიდი ნიაღვარი, რომელმაც ისე წაახდინა სოფელი, რომ სახლი კი არა, ქვაც აღარ დაუნარჩუნებია ქვაზე. მცხოვრებმა თავი დაანებეს სოფელს; ამის შემდეგ რამდენსამე წელიწადს ისევ წოვათაში გადადიოდნენ, შემდეგ რუსეთის მთავრობას სთხოვეს ზაფხულში საცხოვრებლად ტბათანის მთა. მთავრობამ შეიწყნარა მათი თხოვნა. ეს მოხდა ამ საუკუნის ორმოცეულ წლებში. საგირთელებმა თავი დაანებეს წოვათას. მათ მიჰყვნენ სხვა სოფლის წოვებიც და მის შემდეგ წოვათას აღარ გადადიან და რჩებიან ტბათანაში.

დაცარიელდა წოვათა. უპატრონოდ დარჩენილი სოფლები მიინგრ-მოინგრნენ, მხოლოდ ერთი-ორიოდე ციხე, უვნებლად შერჩენილი, ამტკიცებს, რომ ხევი ერთის დროს სიცოცხლითა სდუღდა.

მართალია, აღარ სცხოვრობენ ზაფხულობით წოვათაში თუშები, მაგრამ არც დავიწყებული აქვთ იგი. როგორ დაივიწყონ მამა-პაპათა სალოცავები. როგორ შეიძლება წელიწადში ერთხელ მაინც თაყვანი არა სცენ იმ წმინდანებს, რომელნიც მათი მფარველნი არიან; სალოცავებს, სადაც ასვენია დროშები.

წოვათაში სამი სალოცავია: ერთი ქთელტისა, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, ფიწალო, მეორე სამების წმინდა გიორგისა. უკანასკნელი ინდურთელების სალოცავია და სდგას შუაგულ წოვათაში ზემო აღნიშნულ ნაროვანის შტოს ცხვირზედ; მესამე სალოცავია წაროსი. ამ სამივე სალოცავის დღესასწაული ერთსა და იმავე დროს სდება. საღამოზე ფიწალოსი ქთელტაში და მეორე დღეს სამების და წაროსი. დრო დანიშნული არ არის, მხოლოდ უკანასკნელს მკათათვის რიცხვებში იმართება კვირა დღეს და მის სწორზე მარიამობის მარხვა დგება.

მლოცავები, რომელნიც სახვეწრად მიდიან, წინადვე ლუდსა ხდიან. სოფ. ინდურთაში ლუდის გამოსახდელი ქვაბია საზოგადო და იმ ქვაბში ხდიან ყველანი. სამების სალოცავი სდგას შუაგულს

წოვათაში, ზემო აღნიშნულ ნაროვანის შტოს ცხვირზე. სალოცავი სახლის მსგავსი დაბალი ოთხკუთხი შენობაა, შიგნით არა ხატი არ ასვენია, გარდა რამდენისამე დროშისა. დროშა ბაირაღია, რომელზედაც სხვა-და-სხვა ფეროვანი ხელსახოცები და რამდენიმე ეჟვანი ჰკიდია. მლოცავები შაბათ საღამოს იკრიბებიან სალოცავის წინ გაშლილ ვაკეზე, ათევენ ღამეს და მეორე დღეს, კვირას, ჰმართავენ დღესასწაულს.

ჩავეშვით წოვათაში თუ არა, ჩემი თანამგზავრი მლოცავები პირდაპირ ღამის სადგურზე წავიდნენ, სადაც სხვა მლოცავები იყვნენ ჩამომხტარნი. მე ეთელტას გავწიე, რადგანაც იმ დროს იქ ფიოწალოს სალოცავთან მლოცავნი იყვნენ სამხვეწროდ შეკრებილნი. სოფლის ბოლოს სხვა მლოცავების ცხენებთან ერთად მეც გავუშვი ჩემი ცხენი და ფეხით ავედი შუა სოფელში სალოცავთან. სოფლის თავში ამ სალოცავის წინ ერთი დანგრეული სახლი შემხვდა და ამ სახლთან შევჩერდი თუ არა, ზემოდან ერთმა მლოცავმა მითხრა, რომ ის სახლი ჩემი წინაპრების სახლია და დაწერილი ქვაც დევს კარებში. სახლს დასავლეთის მხრის კედელი-ღა შერჩენოდა. ამ კედელს პატარა კარები ჰქონდა; კარის მარჯვენა მხრივ ერთ პრტყელ ქვაზედ აღმოვიკითხე ქართული წარწერა: «ეს სახლი აღვაშენე მე თუშმან გიორგიმან ბუქურაულმან ჩყვ(კ)სა წელსა». კარგად არ ირჩეოდა რომელი ასო იყო, ვ თუ კ.

ავედი სალოცავთან. მლოცველნი ზოგნი სალოცავის წინ იდგნენ ქუდ-მოხდილნი და სანთელს ანთებდნენ, ზოგი გამკლავებული გასისხლიანებული ხანჯლით ხელში იდგა და შეჰყვიროდა: აბა ვისა გყავთ საკლავი, მომიყვანეთო! ზოგი იქვე ატყავებდა ცხვარს, რომლის გარშემო დახვეოდნენ ძაღლები და კუდის ქნევით ადევნებდნენ თვალს ყოველ ყასბის მოძრაობას. იქვე ახლო დედა-კაცები სწმენდავდნენ კუჭ-ნაწლავებს *).

ცოტა მოშორებით დამდგარიყო ჯგუფი ხნიერ კაცებისა და ჰქონდათ ბაასი მათი წინაპრების წოვათაში წარსულ ცხოვრებაზედ. —ეჰ, იმათი ცხოვრება სჯობდა ჩვენსას, ისინი თუმცა ამ სახლებში სცხოვრობდნენ, მაგრამ ჩვენზედ უფრო ბევრად ჯანმრთელები იყვ-

*) კუჭსა და ნაწლავებს საჭმელადა ხმარობენ.

ნენ,—წამოიძახა ერთმა, რომელსაც, როგორც სახის ფერი უმტკიცებდა, შეჭპარებოდა სატკივარი.—რას ამბობ, კაცო,—გააწყვეტინა მეორემ,—ხომ არ გაგიჟებულხარ, სამოთხეს ჯოჯოხეთს არჩევ? ჩვენი წინაპრები აქ შიმშილით იხოცებოდნენ. არ გაგიგონია, რომ დღიურ საზრდოდ კაცკაცს ორი ქანო ქუმელი ჰქონდა და დედაკაცს კი ერთი. აბა, რა სიცოცხლე უნდა ყოფილიყო?!—გამაძღრობა რად მინდა, თუ კი სნეული ვიქნები?—უკმაყოფილოდ სთქვა პირველმა.—კასეთში ერთი წლის სიცოცხლე მირჩევნია, აქ, ამ ორმოში, ათი წლის სიცოცხლეს.—დაამთავრა პირველმა.

მორჩნენ კურატებისა და საკლავების ხოცვას. სალოცავის წინ მლოცველნი სალოცავის წინ მწკრივად დასხდნენ ორ რიგად. ყველამ თავთავისი საჭმლები და სასმელი გამოიღო სუფრაზე. სანამ პურს შეექცეოდნენ, ერთმა დაილოცა: «მლოცველნო, შეგეწიოთ, თქვენი მფარველი იყოს, აგაშოროთ ყველა ჭირისაგან ფიწალოს წმინდა გიორგიმ.»—«შენი შემწე იყოს», — უპასუხეს ერთხმად სხვებმა. შენაყრდნენ ცოტად და ერთად გასწიეს სამების სალოცავისკენ ღამის გასათევებლად. სანამ დაღამდებოდა, მე გავწიე ინდურთაში. შევედი თუ არა სოფელში, პირველ სახლიდანვე ჩემს ყურს მოესმა სალამურისა და ტაშის ხმა. დრო-გამოშვებით ტაშისა და სალამურის ხმას მოჰყვებოდა ძახილი: ჰა, შენი ჭირიმე, ბარაქალა. ეტყობოდა, იმ სახლში ახალგაზდებს ტაშ-ფანდური გაემართათ და დროებას ატარებდნენ. რამდენიც სოფელში შევდიოდი, იმოდენად აქეთ-იქითა სახლებიდან გამოდიოდა ლხინის ხმაურობა. ზოგგან მღეროდნენ, ზოგგან თამაშობდნენ, ზოგგან ჩუმა სალამურის ღუღუნი გამოდიოდა და ზოგგანაც ფანდურზე დამღერდნენ. ერთი სიტყვით, ინდურთა იმ საღამოს ხარობდა და მისი გამხარებლები ახალგაზდა მწყემსები იყვნენ. რა ქნან მწყემსებმაც, სულ ცხვარს დაჰყურებენ, სულ ერთნაირად მიჰფრინავენ მათი სიცოცხლის დღეები; წელიწადში ერთხელ-ორჯელ შეხვდებათ ამნაირი დღეები და მაშინაც რომ არ იღხინონ და არ გაატარონ დროება, როგორც სურთ, ხომ ჯოჯოხეთად გარდაექცევათ სიცოცხლე!...

დაღამდა. სიბნელემ მოჰფინა წოვათის არე-მარე. მხოლოდ სამების სალოცავი კაშკაშებდა მლოცავების-მიერ ანთებულ სანთლე-

ბით. წინ კაკეზე მლოცავებს აქა-იქ აენთოთ დიდი ცეცხლი და გარს შემომსხდარნი ლხინობდნენ. სალოცავს გარშემო ბუზივით ესხვევოდნენ მლოცავნი. ქალი და კაცი არეულიყვნენ ერთმანერთში. ზოგი ეხლა მიდიოდა სანთლების ასანთებად, ზოგი ჩამოდიოდა და ზოგი პირჯვრისწერით ევედრებოდა წმინდა გიორგის. სალოცავთან ჩუმი ლოცვა იყო და მის წინ კაკეზე კი მხიარულობას გაეშალა ფრთები: ჩონგურისა, სალამურისა და სიმღერის ხმები და მასთან მოსწრებული სიტყვები მოლხინეებისა, რომელსაც სიცილ-ხარხარი მოჰყვებოდა, არეული იყო ერთი-ერთმანერთში. რომ შეგეხედნათ, რა მხიარული სახე ჰქონდათ ყველას! გარჩევა არ იყო, დიდი, პატარა ყველა მონაწილეობას იღებდა მხიარულებაში. აი გაჩაღდა სალამური, წამოხტა ვინმე ახალგაზდა ნაბადითურთ და დატრიალდა ცეცხლის გარშემო. გაშალა მკლავები და მასთან გაიშალა მისი ნაბადიც. გაფარფარებული მისი ნაბადი ხვდებოდა ცეცხლის გარშემომსხდარ თანამოლხინეებს.—შე ოჯახქორო, ნაბადი მაინც მოიხადე, ნუ დაგვაბრმავე!—წამოიძახებს რომელიმე. მოთამაშეს არა ესმის-რა, იგი გატაცებულია თამაშით.—დასხედეთ, დასხედეთ, ბიჭებო, რა კარგ ლეკურს თამაშობს ეს დასალუპავი!—დაცინვის კილოთი წამოიძახებს ერთი.—მაშ არა და შენა გგავს, შენმა მზემ!—გააწყვეტინებს მეორე მეორე კუნჭულიდან. შეჩერდა მოთამაშე და ულოცავს სხვას. უკანასკნელი ბევრ ხვეწნას არა თხოულობს, გადმოხტება და ჩამოუვლის. თამაშობის გაცხარების დროს შესწყდება სალამური, ეს ნიშანია იმისა, რომ უნდა იმღერონ. მოთამაშენი დადგებიან ერთად ერთმანერთის მხრებზედ ხელებ-გაწყობილნი. ჩამოვარდება სიჩუმე. დაიძახებს პირველი და იმეორებს მეორე. როდესაც გაათავებენ სიმღერას, სალამურს ისევ დაუკრავენ. ჯერ ერთი თამაშობს, მეორე ამ დროს ტაშს უკრავს, შემდეგ პირველი უკან გადადგება ტაშის-კვრით და მეორე ითამაშებს. გაათავებენ თუ არა, შემდეგ ითამაშებენ სხვები. ამ დროს ცოტა მოშორებით მეორე გუნდსაც არა სძინავს. ცეცხლის მაგივრად კართოფილის სანთელი უნთია. იმ გუნდში ქალებიც იღებენ მონაწილეობას, მხოლოდ ჩრდილში სხედან მანდილ-ჩამოფარებულები, რომ არავინ მოჰკრას თვალი. აქაც

იგივე ტაშ-ფანდური და სიმღერაა, მხოლოდ ერთს კუთხეში ხნიერებს გაუშლიათ წინ სუფრა და ერთი მათგანი დამღერის მომტირალი ხმით ფანდურზე და დანარჩენები მდუმარედ ყურს უგდებენ. მლოცავნი მხიარულობენ და მათ გარშემორტყმული მთის ბუნება კი მდუმარეობს. სიმღერის ხმა და აღფრთოვანებული ამოძახსება ახალგაზრდობისა გრგვინვასავით გაისმის მთის ხევებში.

მლოცავების მხიარულობამ დილამდის გასტანა. დილაზედ გავიდგამოვიდა ხალხი, რომ მიესხედნა თავისუფლად გაშვებულ ცხენებისათვის. კინ იცის, იქნება ჯოგს მოშორებული ცხენი უკვე ალაზნის თავში გადავიდა, ან დაისლართა საბელში და გადავარდა სადმე ხევში. ათ საათზე მლოცავები შეგროვდნენ სალოცავის წინ და ელოდნენ დეკანოზს. ხანდახან მღვდელი გადმოდის ხოლმე ტბათანიდან და ასრულებს წესს; წრეულს კი მღვდელი არ იყო და დეკანოზს უნდა აესრულებინა. არც დეკანოზი იყო იმ ჟამად სალოცავთან. უკანასკნელი ცხვარში იმყოფებოდა. ცხვრის პატრონს, რომელსაც ქადაგი ედგა მწყემსად, ინდურთაში ჰქონდა ბინა და თვითონაც სოფელში იმყოფებოდა. საზოგადოდ, წინაპრების დროს დეკანოზების წოდება ეკუთვნოდა რომელსამე საგვარეულოს, რომლის წარმომადგენლებს ჰქონდათ მინიჭებული წესის ასრულება. წოვებში ორი საგვარეულოა, რომლის წარმომადგენლებს შეუძლიანთ მხოლოდ დეკანოზობა. ერთი ამ საგვარეულოს წარმომადგენელთაგანი, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, თუმცა წოვათაში იმყოფებოდა, მაგრამ იმ ჟამად ცხვრის პატრონს ცხვარში გაეგზავნა. მლოცავნი უდეკანოზოდ რჩებოდნენ. ეს შეუძლებელი ხდებოდა. ამისთვის სთხოვეს ცხვრის პატრონს განთავისუფლებინა ქადაგი იმ დღეს. უკანასკნელმა გაგზავნა სხვა მწყემსი, რომ დეკანოზი გამოეგზავნა და თვითონ იქ დარჩენილიყო. ცხვარი ახლო მთაში ყოფილიყო, ისე რომ ბევრი მოლოდინი არ დასჭირდათ მლოცავებს, მოვიდ დეკანოზი. მოვიდა თუ არა, მლოცავებმა მიიყვანეს სალოცავის კართან, ვისაც ჰყავდა, სამსვეწრო კურატი: მოზვერი და ცხვარი (სამსვეწროდ სამებას დღესასწაულში ბატკანი მიჰყავთ). დეკანოზი შევიდა სალოცავში, გამოიტანა დროშები (არ მახსოვს, სამი იყო დროშა თუ ოთხი), სამი სალოცავის კედელზე კარებთან

ააყუდა და ერთი ხელში დაიჭირა. ქუდ-მოხდილმა დეკანოზმა დაანჯღრია დროშა, რის გამო ეჟვნებმა წკარუნი დაიწყეს. მლოცავნი სმენად გარდაიქცნენ. დეკანოზმა დაიწყო მაღალ მჭეხარი ხმით ქადაგება, რომელიც მომყავს აქვე. ქადაგება, ჩემდა სამწუხაროდ, არ არის დასრულებული. მიზეზი ამისა იმაშია, რომ, როდესაც ვთხოვე დეკანოზს დამეწერა ლოცვა, მაგდენად არ ეჭაშნიკა უკანასკნელს. მითხრა კი, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, არ დაამთავრა. ბევრი ვთხოვე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დაუმატებია. რატომ, რისთვის— ამისა რა მოგახსენოთ. თუმცა ქვემოდ მოყვანილი ქადაგება არ არის დასრულებული, მაგრამ მკითხველი, მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, საკმაო წარმოდგენას იქონიებს. აი ქადაგება: «წმიდაო ღმერთო, წმიდაო სამებაო, წმიდაო თევდორე, წმიდაო გიორგი, ლაღო ლახტნო, გმირნო კოპალნო, ნერგის ანგელოზნო, ღვთეო, ღვთის-მშობელო, ოთხის კუთხის მომვლელნო, წმიდაო გიორგივ სპეროზისაო, წმიდაო გიორგივ მაკვახისაო, წმიდაო გიორგივ ლაშარისაო, წმიდაო გიორგივ წყაროს თავისაო, წმიდაო გიორგივ ალავერდისაო, წმიდაო გიორგივ აწყვერისაო, ცხრა ოც და სამო წმიდაო გიორგივ—თქვენ უშველეთ ქუდოსანთ-მანდილოსანთა, ფურსა, მეფურესა, კბოსა, მეკბორესა, კარსა, მეგუთნესა, ცხვარსა, მეცხვარესა, ცხენსა, მკედარსა, მონადირესა, ააშორეთ ადორებულ წყალსა, დაგორებულ ქვასა, მოქნეულ ხმალსა, ..........»

ქადაგების დროს დეკანოზი სხვადასხვა დროშებს აყდარუნებდა და ისე სხაპა-სხუპით ამბობდა ლოცვას, რომ შეუჩვეველი ყური თითქმის ვერ გაარჩევდა თითო სიტყვას. მორჩა თუ არა ქადაგებას, დეკანოზი შეუდგა ყასაბივით გამკლავებული კურატების კვლას. მლოცავებს თითო-თითოდ მიჰყავდათ. დეკანოზი ჯერ ანთებულ წმინდა სანთლით ჯვარედინად ამოტუსავდა მსხვერპლის შუბლს ლოცვით და შემდეგ გაუსომდა ხანჯალს, სისხლის ფრქვევით მსხვერპლი პატრონს მიჰქონდა იქვე დანიშნულ ამისათვის გალავანში და ატყავებდა. ბევრ უმანკო პირუტყვს მოუღო ამ ნაირად ბოლო. გალავანი, სადაც იტყავებოდა ცხვარი და სხვა კურატი, აივსო სისხლით, ისე რომ ქალაქის საყასბოს წარმოადგენდა. დეკანოზის წინ სალოცავის გალავანზე ერთი დიდრონი პტყელი ქვა იდვა, რომელზედაც

მლოცავნი საწირავს სდებდნენ. უკანასკნელი შესდგებოდა ფუღისაგან და წმინდა სანთლისაგან. ეს სულ სდებოდა სალოცავის კარების წინ. შემოსული საწირავი, ყველა დაკლულ კურატის ბარკალი და ტყავი დეკანოზს ეკუთვნის. გაათავა თუ არა თავის მოვალეობა, დეკანოზმა ფული ჩაიჩხრიალა ჯიბეში, ტყავები იქვე გაჰყიდა და ბარკლები ტომარაში ჩალაგებულები შინ წაიღო.

სალოცავის წინ, სადაც მლოცავები იდგნენ, რამდენიმე ალაგას ცეცხლი აანთეს. შემოდგეს ქვაბები და ჩაყარეს ხორცი მოსახარშად. როდესაც მოიხარშა ხორცი, გაშალეს სიგძეზე სუფრა და სუფრის ორივე მხრივ ჩამომწკრივდა ხალხი. მამა-კაცები ერთად და დედა-კაცები ცალკე ისხდნენ. პური და სასმელი ყველას თავთავისი ჰქონდა, ხორცი და ლუდი საერთო. ლუდით სავსე სადღვებლის მსგავსი ჭურჭელი იდგა სუფრის ნაპირას. ყველასი, ვინც გამოხადა ლუდი, სულ ერთ ჭურჭელში იყო მოთავსებული. ვინც კურატით და ლუდით იყვნენ სამსხვერპლოდ მოსულნი, ისინი მასპინძლობდნენ, ისინი ალევინებდნენ სხვა მლოცველებს ლუდს და ურიგებდნენ წვნიან-ხორციან ჯამებს. ხორცი ტაბაკებით დაჰქონდათ და ხელით უდგანტავდნენ სუფრაზე ხორცის ნაჭრებს, ლუდის დამტარებელი ზოგი ჩაის ჭიქით ასმევინებდა, ზოგი ჯიხვის რქით და ზოგი დიდრონი ხის ჯამებით. ზოგი არაყს ალევინებდა. არაყი შინ გამოხდილი იყო პურისა. თუშების თქმით, ბევრი ლუდის სმის დროს არაყი უსაჭიროესობას შეადგენს. არაყის მეოხებით კუჭი მალე ინელებს ლუდს, უამისოდ გაუჭირდება, რადგანაც ლუდი ცუდი მოსანელებელი სასმელია. სანამ პურს შეექცეოდნენ დეკანოზმა განიმეორა ქადაგობა მჯდომარემ. სხვებიც ისხდნენ ამ დროს. ჩქარა იჩინა თავი მხიარულობამ. რეცდნენ უზომოდ ერთი-ერთმანერთში ლუდსა და არაყს, ამის გამო სასმელი უფრო და უფრო ედებოდათ მათ. გაისმოდა სიმღერა ხან ერთ მხარეს ხან მეორეს. ამას მოჰყვა ცეკვა და ტაშფანდური. საზოგადოდ, წოვები თითო-თითო თამაშობენ, მხოლოდ ბოლოს დროს შიგა და შიგ შემოიღეს ორისა. ეს შედეგია ქართველების გავლენისა. იმ დროს, როდესაც მხიარულობამ ფრთა გაშალა, ერთმა ჭაღარა მოხუცმა ჩამოჰკრა ფანდურის სიმებს. ყველანი სმენად გადაიქცნენ.—შენ გიშველა ღმერთმა! ერთი გული

აგვიტოვე, მოგვაგონე ძველი მამა-პაპური დრო,—წამოიძახა ერთმა მასთან მჯდომარე ფრიად მოხუცებულმა და ოხვრით გადახედა ინდურთის ცისე-კოშკებს. მოხუცებულის სიტყვებზე მომღერალმაც უფრო აღფრთოვანებით ჩამოჰკრა სიმებს, თვალი მოავლო წოვათის ნანგრევებს და დაიძახა დაბალ მომტირალ ხმით:

შამილის შვილმა შეკაზმა სალაშქროდ ცხენი შაჭიო
ჩამოვიდოდა ნაქერალს*), ტბათანს დაავლო თვალიო,
ტბათანას ვერას შეუხვალთ, ვეფხვებთ შეგიკრეს გზანიო,
ემაით დაბრუნებულმა წყაროანს დაჰხურ ცანიო.
წყაროვანაში აიღო ცხვარ-ცხენი-ხაროვანიო,
ძაღლი თან გაჰყვა რხერი, თეთრი ქედანა ჰქმნიაო.
შეიტყო ივანპურამა—აბჯარს გაჰქონდა წკრიალი.
შეგიტყვეს გომეწრელებმა—ცხენების დადგა გრიალი.
შეგიტყვეს წოვათ შვილებმა—სამებას დაჰკრეს ზარები.
წელთა აისხეს აბჯარი, ცხენთ ჩაანათეს ნალიო.
მოეწევიან წყაროვანასა, უწვიმოთ ჰქუხდა ცანიო.
სისხლისა ღვარი დაბრუნდა, დადგა ცოდვა და ბრალიო,
თუშნი და ლეკნი ომობენ, ნისლით შემოსეს მთანიო!—
ალთეს და ჩალთეს ლეკები, ჭალას დაყარეს მკვდარიო:
ას ოც და ათის ლეკისა თოთხმეტ წავიდა სალიო.
გძელ ყანას მოეგებება მამამთილს თავის რძალიო:
— მამამთილო, შვილი რა უყავ, თინიბეგ—ჩემი ქმარიო?
— თინიბეგ წყაროვანას გავწირე დაჭრილი როგორც მხალიო,
თავთა დაუსვი ნიშნადა ნამტვრევი შუბის ტარიო.
ფეხთა დავაბი შავრაი*), ტიროდა როგორც ქალიო!..
სატირლად ჩამოდიოდა შავის ყორანის ჯარიო;
ჩამოსხდებოდნენ თავითა, ტიროდნენ როგორც დანიო!..

გაათავა მომღერალმა სიმღერა. გადადო ჩონგური გვერდზე. სიმღერამ აღმაფრთოვანებელი გავლენა იქონია მსმენელებზე. მოხუცებულნი, რომელნიც მოესწრნენ ომიანობას, შამილის დროს, მოუთხრობდნენ ახალგაზრდებს რომელიმე შეტაკებას მტერთან. ახალგაზრდები კი ნატრულობდნენ წინანდელ დროს, მტერთან შეტაკებას; ჰკიცხავ-

*) მთის სახელია.

*) ცხენის სახელია.

დნენ აწინდელ მშვიდ დროს, რომ არ შეუძლიათ წინანდებურად ვაჟკაცობა გამოიჩინონ.

კარგა ხანს გასტანა ლხინ-თამაშობამ. უკანასკნელი შესწყდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ორმა ახლაგაზრდა მხედარმა მოაჭენეს ცხენები სალოცავის კარამდის. ეს იყო ნიშანი, რომ ცხენების ჭენაობა დაწყობილიყო. ამ დღესასწაულში ცხენების ჭენაობა სარწმუნოებრივ ჩვეულებაა თუშებისა. ხალხი აიშალა და, ვისაც მონაწილეობის მიღება სურდა, წავიდა ცხენის მოსაყვანად. მალე მოიყარეს თავი მხედრებმა. ზოგი მათგანი ტიტველ ცხენზე იჯდა. ჩავიდნენ ვაკე ბოლოს, დადგნენ მწკრივად და ერთად გამოაჭენეს სალოცავისკენ. კარებამდის უნდა მოეჭენებიათ. მანძილი თუმცა მოკლეა, მაგრამ, რადგანაც სალოცავი მთის ცხვირზე სდგას, ბოლოს აღმართი ხვდება. ეს აღმართი საკმაოდ ქანცავს ცხენებს. ზოგი მხედარი, რომელიც მუხლებში მაგარია, შეუდგება აღმართს თუ არა ცხენი, ჩამოხტება და ქვეითად გარბის სალოცავის კარამდის. ბევრი ასწრობს ცხენებს და აქ გასაკვირი არაფერია, რადგანაც მარდი მუხლ-მაგარი კაცი ყოველთვის გაასწრობს აღმართში ცხენს, მით უმეტეს, რომ ცხენი აღმართში ვერც მაგდენად გარბის. სალოცავში ლუდით სავსე ქვაბი სდგას და ერთი კაცია დანიშნული, რომელიც სალოცავის კარებთან სდგას ლუდით სავსე ყანწით და ვინც პირველი მიაჭენებს, ყანწიდან ლუდის დალევა იმას ეკუთვნის.

გააჭენეს რამდენიმე რიგობა ცხენები თუ არა, ახლა მლოცავნი შეუდგნენ სხვა გვარ დროს-გატარებას. გავიდა რამდენიმე ვაჟი ვაკეზედ ველად, აირჩიეს ორი «დედა» და არჩევანით მოთამაშენი ორად გაიყვნენ. «წინკაობა» უნდა ეთამაშნათ. ეს თამაშობა მდგომარეობს შემდეგში: ორად გაიყოფებიან თუ არა, ერთი ნაწილი სდგას მუხლებზე და ხელებზე, მეორე გარს უვლის, ცდილობს როგორმე ქუდი მოსტაცოს და მიიტანოს დანიშნულ ალაგას. მსხდომარენი კი ცდილობენ როგორმე «გასჭრას» მეტოქეთაგანი. «გაჭრა» მდგომარეობს იმაში, რომ უნდა მოასკვდროს ფეხი და თუ მოასკვდრა, მაშინ მჯდომარენი ადგებიან და მდგომარენი დასხდებიან. თუ ქუდი მოსტაცეს, მსხდომარენი მისდევენ უკან და ცდილობენ როგორმე წაართონ. სუყველას თუ მოსტაცეს ქუდი (იშვიათად მოხდება ხოლ-

მე), მაშინ უნდა მდგომარენი შეისხან ზურგზე და დანიშნულ ალაგამდინ, სადაც ქუდები აწყვია, მიიყვანონ.

დაიწყო თამაშობა. მსხდომარენი ცდილობენ როგორმე მოასხვედრონ ფეხი მდგომარეებს და უკანასკნელნი კი უვლიან გარშემო და შეჰყურებენ მსხდომარეების ქუდებს, როგორც მგელი ბატკანს. აი მოულოდნელად სტაცა ერთმა ქუდში ხელი და გარბის. წამოცვივდნენ მსხდომარენი და მისდევენ ქუდის წასართმევად. წამოჰკრა ქვას ფეხი ვინც მოიტაცა ქუდი და ზღართანი გაჰხდა. მასზე გადაყირავდა პირველი მდევარი, მეორე, მესამე და ამ ნაირად დადგა მთელი გორა. ვინც ქვეშ მოექცა — ქუდის მომტაცი — ქვეშიდან ღრიალებს: «მოვკვდი, დავიხრჩვი, ამიშვითო!..» მაგრამ მას ყურს ვინ უგდებს. არის ერთი სიცილ-ხარხარი. წაართვეს ქუდი, ახლა მოსტაცა მეორემ. გამოეკიდნენ, მაგრამ ამაოდ, ვერ დაეწივნენ და ქუდი წაღებულ იქმნა. აი წასრიალდა ერთი, ქუდის მოსატაცად, მაგრამ მის საუბედუროდ ქუდის პატრონმა მოსდო ფეხი და თამამი ქუდის მდომი ყირამალა გადავიდა. ასტყდა მსხდომარეების კიჟინა. მდგომარენი დასხდნენ და პირველებმა დაუარეს. ამ რიგად კარგა ხანს ითამაშეს. შემდეგ დაიწყეს მანძილზე სტომა. აქაც მოიჯერეს გული და დაიწყეს ორ კაცის მხრებზე გადებულ საბელზე სტომა. ამ დროს გადაესვენა კიდეც მზე ყადორის თოვლიან მთის წვერს. ცივმა მთის სიომ დაჰბერა. სალოცავის გორის წინ შეიკრიფნენ იგივე ახლებული ახალგაზდები, ჩასჭიდეს რამდენიმემ ერთი-ერთმანეთს მხრებში ხელები და ამ ნაირად გააკეთეს რგოლი. მათზე შესდგა მეორე რიგობა. ქვევითა რიგის შუა დადგა ერთი და დაიმღერა. მას მისცეს სხვებმა ბანი და ისე ავიდნენ აღმართის სალოცავის კარებამდინ. იქიდან ისევ ისევ ჩამოვიდნენ ძირს.

დაბნელდა. მლოცავნი შეიკრიბნენ, როგორც წინა ღამეს. გააჩაღეს ცეცხლი და მთელი ღამე სიმხიარულეში გაატარეს. ღამე ცა მშვენიერი და ვარსკვლავებით მოჭედილი იყო. გათენდა და დღესასწაულიც გათავდა. მლოცავებმა შინისკენ გასწიეს.

იგ. ბუქურაული

# „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები

## XLI

პოემის-თავში «წასვლა ავთანდილისაგან მეორედ გაპარვით და ტარიელის შეყრა», თინათინის მიჯნურის მგზავრობა და ამასობაში მისი ტირილი სატრფოს სიშორისათვის ქსრეა მოყვანილი (გვ. 186—187):

827. სთქვა: „ჩემო, შენი შორს-მყოფი კრულია, ვინცა დადუმ-
„რადგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს, [დეს,
„თვალთა მტირალთა შეხედვა შენივე სწადდეს და უნდეს,—
„სჯობს სიყვარულსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს!

828. „მე რა ვქნა შენად შეყრამდის, ანუ რას მეჭვდე ლხენასა!
„თავსა მოვიკლავ მე, თუცა შენგან არ ვეჭვდე წყენასა,
„მაგრა შენ გაწყენს (?) ჩემისა არ-სიცოცხლისა სმენასა;
„მოდი და მივცნეთ ცოცხალთა თვალნი ცრემლისა დენასა“! *)

830. იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისად,
„ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
„ვინ გმორჩილებენ ციერნი ერთი იოტის წამისად,
„ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად!

831. „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,
„შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჯაჭვნი მაბია რკინანი!
„ბროლ-ბადახშისა მძებნელმან სათნი დავკარგენ მინანი,
„მაშინ ვერ გავძლე სიახლე, აწ სიშორესა ვინანი“.

832. ამას მოსთქმიდის, იწოდის, ვითა სანთელი დნებოდის,
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის;
რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა იამებოდის;
მას ამზგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის.

---

*) მე-829 ხანა სურათებიანს „ვეფხის-ტყაოსანის“ ტექსტს გამოკლებული აქვს.

833. მთვარესა ეტყვის: „იფიცე სახელი ღვთისა შენისა,
„შენ ხარ მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,
„შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა,—
„მიაჯე შეყრა პირისა, შენგამო შენებრ მშვენისა“!

834. ღამე ალხენდის, დღე სჯიდის, ულის ჩასვლასა მზისასა;
რა წყალი ჰნახოს, გარდახდის, უჭვრეტდის პავლსა წყლისასა;
მასთანა ჰრთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,
კვლავ გაემართის, ისწრაფდის წასვლასა მისვე გზისასა.

835. მარტო მოსთქმიდის, სტიროდის ტანად ალვისა ხიანი,
მინდორს თხა მოჰკლის, სადაცა ადგილი დაჰხვდის კლდიანი,
შესწვის, სჭამდის და წავიდის პირ-მზე, გულ-მარიხიანი,
იტყვის: „დავყარენ ვარდნი და აჰა მე ვაგლახიანი“!

836. აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა,
მიუბნობდის, რას მოსთქმიდის, რას ტურფასა, რაზომ გვარსა;
ზოგან თვალი გაეწითლის ვარდსა ბრჭყლითა ნახოკარსა;
ქვაბნი ჰნახნა, გაეხარნეს, ზე გავიდა ქვაბთა კარსა.

ჩემის აზრით, ამ ეპიზოდში ჩაწნულია ხუთი ყალბი ხანა—მე-830, 831, 833, 834 და 835,—რომელიც პოეტის ანკარა და ჩარიგებულს მოთხრობას ამღვრევს.

მე-827 და 828 ხანაში ავთანდილის დაწყობილს მოთქმას რომ გავცილდებით, პირველსავე სიტყვაზე ენა წაგვებორძიკება: «იტყვისო». რისთვის არის ეს «იტყვის», ავთანდილს რომ სიტყვა არ გაუწყვეტია? კარგსა არას მოასწავებს ეს «იტყვის» და მართლაც აქედან იწყება ასირებული სქოლასტიკა.

«ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისად», — მზე ხატია მზიანისა ღამისად! გესმით, მკითხველო?... არც მე მესმის. მეტად ღრმა რამ სიბრძნე უნდა იყოს. მივმართოთ ჩინებულს თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებას: «ღმერთი არის მზე დაუბადებელი და უნივთო, ნათელი. ხატი და სახე არის მზიანისა ღამისად, ესე იგი (?) განმანათლებელი არის ღამისა; ესე იგი ღამე უმეცრებას ნიშნავს და მზე—ნათელსა ცნობისა ღვთისასა. ღამე მიუწვდომელობა არის ღვთისა და მზიანი ღამე ის არის (?), რაოდენ შესაძლებელი არის კაცისა გონებისაგან, ვიცნობდეთ და აღვიარებ-

დეთ ღმერთსა, როგორათაც იოანნე მოციქული, ღვთის-მეტყველი და მახარებელი იტყვის სახარების პირველს თავში: «ნათელი ბნელსა შინა სჩანს».—ესე იგი გონება კაცისა, თუმცა ღმერთს ვერ მისწვდება, ბუნებითა და არსებით რომ ესრეთ იცნას, როგორათაც სხვა ადვილად საცნობი ნივთები, მაგრამ ცნობა ღვთისა, რაოდენ შესაძლებელი არის, სარწმუნოებით და ბუნებითის ცნობით კაცსა აქვს ესე თვის შორის; და სახითა ამით ნათელი იგი ღვთისა ცნობისა მას ბნელსა, ესე იგი გონებასა შინა კაცისასა, არის გამოჩინებული».

შევჰყურდეთ განმარტებულის მეტაფიზიკას და დავეთანხმოთ, ვითომც ლექსი ესრე უნდა გადითარგმნოს: მზე არის ხატი (სახე) მზიანის (განმანათლებელისა) ღამისად (ბნელისა). კეთილი და პლატონსანი ბრძანებაა, მაგრამ თუ ლექსის აზრი მხოლოდ ის არის, რომ მზე ღვთის ხატია,—როგორღა გაუჭირდა რუსთაველს ამ აზრის ნათლად და მარტივად გამოთქმა, ვით ვერ მოუძებნა შესაფერი ფორმა? რა ისეთი ღრმა და მიუწვდომელი სიბრძნე შეემთხვა, რომ პირდაპირ ვერ გამოსთქვა და რაღაც გაუგებლობის ნისლით შემოსა? რა შეემატა თვით აზრს მაგ გაუგებლობით,—უფრო ამაღლდა და «საღმრთოდ გასაგონი» შეიქმნა თუ? ან როგორ შეეფერება ლექსის ფორმა თავისს აზრს: მზე ხატია მზიანის ღამისა? განა «საღმრთოდ გასაგონი» აზრი კალამბურით და მაევრობით უნდა გამოითქვას? რუსთაველს ეგ ჩვეულებად არა აქვს. ლექსის ენაც რუსთაველისეულს არა ჰგავს: «ვინ გთქვისო»,—მერე ვინ არის ეს «ვინ», რომელიც «სთქვის?»

«ერთ-არსებისა ერთისა, მის უფამოსა ფამისად, ვის ემორჩილებენ ციერნი ერთი იოტის წამისად»,—იმავე თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით,—ნაშნავს სამგვაროვანსა, დაუსაბამოსა და სამარადისო ღმერთსა, რომლის ხატი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მზე არის და რომელსაც ციერნი დაუყოვნებლივ ემორჩილებიან. ხოლო «ციერნი არიან: ანგელოზნი, განა სხვანი ღვთისა მიერ დაბადებულნი მნათობნი (მაშასადამე მზეც?) პლანეტნი და ყოველნივე ციურნი დაბადებულნი». ასე რომ მზე არის ხატი მზიანისა ღამისა, რომელსაც მზე ემორჩილება. დასტური, უებრო სიბრძნეა!..

«ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად!» — ამდენი სქოლასტიური ქებათა-ქება იმითი გათავდა, რომ «შეყრამდის მიაჯეო!» უცხო არ არის, რომ ღვთის-მეტყველებისა და საღმრთო-წერილის ცოდნა კაცმა იმაში გამოიყენოს, რომ მიჯნურის სვეწნა გამოსთქვას?!

მე-830 ხანის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ «ეს ლექსი ლოცვა არისო. აქ რუსთაველი გამოაჩინებს თავის თავსა, რომ საღმრთო წერილიც კარგათ და ზედმიწევნით სცოდნია, რადგანაც რომ ღვთის-მეტყველურს გვარზედ უთქვამს ეს ორი ლექსი». ხოლო, რა მე-830 და 831 ხანის ლექსების განმარტებას გაათავებს, კომენტატორი ამ ღირს-შესანიშნავს «შესწავლებას» დასძენს: «ესე არა თუ ავთანდილის თქმული არის. თუ იყო ვინმე ავთანდილ, — არაბი იყო. არც ქრისტიანი ყოფილა და არც ქრისტიანობის ჟამსა, რომ ამას ღვთის-მეტყველება სცოდნოდა და იმაზედ ელაპარაკნა. მაგრამ სტიხისა ამის მომქმედი, ვეფხის-ტყაოსნის შემთხზველი რუსთაველი, თითონაც ქრისტიანე იყო და საქრისტიანოს ქვეყნისა, და ეს ლექსები ამ წიგნში ამისთვის უთქვამს, რომ იცოდნენ ყოველთა წამკითხველთა «ვეფხის-ტყაოსნისათა», რომელ რუსთაველ ასეთი ბრძენი ყოფილა, რომ საღმრთო-წერილიც კარგა სცოდნია და ღვთის-მეტყველებაცა».

სჩანს, რომ კომენტატორს კარგად უგრძვნია მე-830 ხანის უადგილობა; მიმხვდარა, რომ ეგ სიტყვა ავთანდილის ნათქვამი ვერ იქნება, რადგან არც მისს მდგომარეობასა და არც მისს ვინაობას შეესაბამება. ამიტომ ერთი-ღა ყოფნის საბაბი მოუგონებია ხანისათვის, ვითომც რუსთაველს მაგის თქმით თავისი ღვთის-მეტყველების ცოდნა უნდა გამოეჩინა.

თუმცა სწავლულობით თავ-მოწონება მწიგნობარის თვისებაა და არა პოეტისა, მაგრამ, ვსთქვათ, რუსთაველსაც ეს სენი სჭირდა. ესრედაც რომ იყოს, მაინც დასაჯერებელი არ არის, რომ მე-830 ხანა რუსთაველს ეთქოს. ღვთის-მეტყველების ცოდნის გამოსაჩენად ნუ თუ რუსთაველი სხვა ღონეს ვერ მოიგონებდა, იმის გარდა რომ ავთანდილისათვის შეუსაბამო სქოლასტიკა წარმოეთქმევინებინა? მთხრობელის ხელშია, შესაფერი შემთხვევა იხელთოს, ან

თუნდ მოთხრობაც შესწყვიტოს და რამდენიც უნდა თავისი აზრი და გრძნობა გამოთქვას, რათა თავის სწავლულობა გამოაჩინოს. პოემის ტექსტში ხშირად შევხვდებით ხოლმე პოეტის ინდივიდუალურს ფიქრსა და გულის-ნათქვამს, აფორიზმსა ან მოსაზრებას; სადაც გამოისახვის მისი ფილოსოფია, ზნეობა, ან შეხედვა მის გმირების საქციელსა და მდგომარეობაზე, მაგრამ რუსთაველი არასოდეს არ დაბრმავებულა ისე, რომ თავისი პირადი აზრი და გრძნობა რომელიმე გმირისათვის მიეჩემებინა, მისს ხასიათისა და ვითარების წინააღმდეგ. სადღა იქნებოდა რუსთაველის უებრო მოთხრობის სინამდვილე და ბუნებრივობა, მისი ფსიხოლოგიური სისწორე, ავთანდილს რომ სადმრთო-წერილის ქადაგება დაეწყო, ფატმანს რომ სამასცოხნო ზნეში ვისთვისმე ესწავლებინა, და მეფე როსტევან მიჯნურობაზე ლაპარაკს მოჰყოლოდიყო?... პოეტის სიტყვა—«რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს»—ოღონდაც, მაშინ გამართლდებოდა!

რუსთაველს თუ თავის ღვთის-მეტყველების ცოდნის გამოჩენა ნდომოდა, უკეთესს შემთხვევას როდის ნახავდა, თუ არ ავთანდილის ლოცვის დროს, გაპარვის წინ,—აბა ბურთი და მოედანი მაშინ ჰქონდა! ვინ უშლიდა, მთელი საქრისტიანო სწავლა ლექსად გადაეთქვა? თვარა რა დროს შესაფერია,—მიჯნური მგზავრობაში სატრფოს საშორესა სჩიოდეს, მის ნახვას ნატრობდეს, და ამასობაში კატეხიზმოს მჭევრ-მეტყველებდეს? მაგრამ საქმეც ის არის, რომ რუსთაველს არც ავთანდილის მგზავრობის დროს, არც მისს ლოცვაში და არც სხვაგან სადმე გამოუჩენია ისეთი სქოლასტიური ღვთის-მეტყველება, რა გვარსაც მე-830 ხანაში ვხედავთ. რუსთაველის სარწმუნოება ბრძნული და სწავლებული არ არის, არამედ მარტივია და წრფელი; ყველგან, სადაც კი ღმერთისა და მისს თვისებას ახსენებს, მისი აზრი და სიტყვა ნათელია; ჭკუას ძალას არ ატანს, რომ ღმერთზე სთქვას ისა, რაც იცის და რაცა სწამს. რუსთაველის სიბრძნე გაუგებელი როდია და განმარტება არ ეჭირება. მოისხენიეთ პოემის წინასიტყვაობის დასაწყისი, ავთანდილის ანდერძი და მისი ლოცვა და მრავალი სხვა ადგილები, სადაც პოეტის სარწმუნოება იხატება,—სად შეგხვდებათ ესეთი განზრახ დაბნელებული და ნაწვალადე-

ბული აზრი ან ფრაზა, როგორიც მე-830 ხანაშია? რასაკვირველია, ეს ხანაც ერთის იმ მწიგნობართაგან დაწერილია, რომელთაც ავთანდილის ანდერძს მე-785 ხანა მიუმატეს «ამმაღლებელის სიყვარულზე» (იხ. ამ წერილის მე-XXXVII თავი) და საღმრთო წერილის დოგმატების შემოტანით სწადდათ უფრო დაემშვენებინათ რუსთაველის პოემა, ვითომც აემაღლებინათ მისი აზრი და «საღმრთოდ გასაგონი» გაეხადათ.

თუ მე-830 ხანას მისს ცრუ სიბრძნეს ჩამოვაცილებთ, მისი იდეა თავით თვისით არარას თავისებურს წარმოგვიდგენს. ხანის იდეა ნასესხია ავთანდილის სხვა მოთქმიდან, რომელსაც წარმოსთქვამს გმირი სხვა მგზავრობის დროს, ტარიელისით ფრიდონისას რომ მიდის. იქ ავთანდილი სხვა-და-სხვა მნათობთა მის სიყვარულის მფარველობას ეხვეწება (გვ. 211):

951. მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გიაჯების შენ, უმძლესა მძლეთა მძლესა,
„ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,
„მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“.

ამ ხანის უკანასკნელი ლექსი და მე-830 ხანის მეოთხე ლექსი—«ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად»—ცხადად გვიმტკიცებს, რომ ორსავე ხანას ერთი მიზანი აქვსთ. მაგრამ ამ ხანების შედარებითვე გნახავთ, თუ რა გვარად ესაუბრებიან თავიანთ საგანს პოეტი და მწიგნობარიც; როგორ ჰსახავს იმავე მზესა რუსთაველი და ყალბის-მქნელიც. შედარება ამან პოეტურის გამოსახვისათვის კი არ გამოიყენა, არამედ თავის სწავლულობის გამოსახენად, ამის გამო მისი ნასესხა მოუფიქრებელი და თავის საგნის შეუსაბამო გამოდგა, რადგან მზესა, ვით ღვთაებრივის სინათლისა, ერთ-არსებისა და დაუსაბამობის ხატს, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მიჯნურთა შეყრისა და კიდეგანობის ბედთან,—არც ერთი ხსენებული თვისება მზისა, არც სინათლე, არც ერთ-არსება და არც მისი მარადისობა მიჯნურის ბედის შემქცევი არ არის.

რუსთაველი კი სწავლულობის სახელის მოხვეჭას არ წაეკიდა, არამედ, ავთანდილის სათხოვარის-და გვარად, შესაფერი მზის

თვისება გამოსახა. ვინც მდაბალსა გაამაღლებს, მეფობასა მისცემს სხვასა, იმ «უმძლესთა მძლეთა მძლესა» მზესა დიადამც ძალუძს ავთანდილის ბედზე იმოქმედოს, ღამე დღედ შეუქციოს, და ამიტომაც მართებულია მიჯნურის თხოვნა მზისადმი სატრფოს გაუყრელობისათვის. ამასთანავე ისიც საყურადღებოა, რომ მზის ძლიერების გამოსახვისათვის პოეტს ისეთი არა უთქვამს-რა, ნათელი და ადვილი გასაგები რომ არ იყოს; არც ფილოსოფოსნი და არც ღვთის-მეტყველნი შეუწუხებია, — და აბა რა აკლია მისგან ნახატს მზის ყოვლად ძლიერებას?

*

ავთანდილის ლოცვა მე-831 ხანაშიც გაგრძელდება: «ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი, შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჯავრნი მაბია რკინანი!» ვითომც იასის თინათინის მიჯნური. თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებისამებრ, «ხატად ღვთისად ძესა და სიტყვასა ღვთისასა, უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს იტყვიან»; ხოლო «ფილოსოფოსნი წინანი არიან მოციქულნი საღმრთონი, ეკლესიის მოძღვარნი და ქრისტეს მორწმუნენი ბრძენნი». არა მგონია, მწიგნობრობის გამბედაობა და უმეცრება იქამდის მიაღწევდეს, რომ ავთანდილ ესრე ცხადად გააქრისტიანოს, და ვეჭვ კომენტატორს ესეთი შემცდარი აზრი მეტის გულსმოდგინებისა და მეტის ბრძნობისაგან მოსვლოდეს. ამას გარდა ბატონიშვილის განმარტებაში ერთი აშკარა შეცდომაც არის: მოციქულების წინ იყვნენ ძველის საბერძნეთის ფილოსოფოსნი, რომელთა სწავლა საქრისტიანო ეკლესიამაც შეიწყნარა, მაშასადამე, ქრისტეს მორწმუნეთათვისაც «ფილოსოფოსნი წინანი» სოკრატ, პლატონ, არისტოტელი და სხვ. არიან და არა მოციქულნი საღმრთონი.

ჩემის აზრით, მე-831 ხანა მე-830 ხანის მიბაძვით არის დაწერილი. ერთის მწიგნობარის ლექსმა — «ჰე, მზეო, ვინ ხატად გიქვის მზიანისა ღამისად» — სხვა მწიგნობარს საღერღელი აუშალა და ამანაც მოინდომა თავის სიბრძნით «ვეფხის-ტყაოსანი» დაემშვენებინა; თავისებური კი არა მოუგონებია-რა, აიღო მხოლოდ მე-830 ხანის ტემა და მისი ბუნდოვანი აზრი გამოაცხადა: იქ მზე «მზიანისა ღამისად» ხატად არის დასახული, აქ

კი იგივე მზე—პირდაპირ «ხატად ღვთისად». მაგრამ მარტივად გამოთქმული აზრი მწიგნობარის მოსაწონი არ არის. აზრი თავის თავად რაც უნდა ჭკვიანი იყოს, მისს თვალში ფასი არ ექნება, თუ სიბრძნის ნიშანი ზედ არ აზის. ამიტომაც თავისი ნათქვამი მწიგნობარმა მაშინვე ბრძენთა ავტორიტეტით შეამოწმა: «გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანიო». ესრედ, მე-831 ხანის პირველი ლექსი გაგრძელებაა მზისადმი ავთანდილის ლოცვისა და «ხატად ღვთისად» მზეს შეეხება და არა ქრისტეს. ვგონებ, ესეთი ახსნა ლექსისა უფრო ჭკუაზედ ახლოა, ვინემც ბატონისშვილის განმარტება, თვარა მეტად ამაო სიბრძნე იქნება, კაცი რომ ქრისტეს ევედრებოდეს და ესრე მიჰმართოს: «ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი!» არამც თუ გამიჯნურებულს მოყმეს, მგონია, არც ერთს ახირებულს მწიგნობარსაც თავის დღეში ეგრე არ ულოცნია.

მაგრამ ყალბის-მქნელს «ხატად ღვთისად» მზეც რომ დაესახა, ფილოსოფოსების ხსენება მაინც ამაო სიბრძნე იყო. ეგრეთი დასახვა ღვთისა ისევე ძველია, როგორც თვით ღვთის იდეა; მას აქეთ რაც ღმერთი იცნეს, მისი მზედ დასახვა ხალხში გავრცელებულია; რასაკვირველია, ეს ხატი რუსთაველის დროსაც ცნობილი იყო და თუ ჩვენი პოეტი მას იხმარებდა, ავტორიტეტის მოწმობა არ დასჭირდებოდა. ავთანდილის სხვა მოთქმაში,—ფრიდონისას რომ მიდის,—რუსთაველი თისათისის მიჯნურს ბევრს ისეთს ათქმევინებს, რაც იმ დროს დიდს სიბრძნედ ითვლებოდა. გმირი ევედრება პლანეტთა, რომელთაც თავ-თავისი ეტლი ჰქონდათ მიჩნეული: ზუალ—ეტლა სევდიანთა, მუშთარი—მოსამართლეთა და სხვ. და ავთანდილის აჯაც მათის ეტლის-და გვარად შეწყობილია. აქ რუსთაველმა, რასაკვირველია, ასტროლოგიის ცოდნა გამოაჩინა, მაგრამ რომელს ერთს ლექსში იმოწმებს ვარსკვლავთ-მრიცხველთა ან ფილოსოფოსებს? რომელს ერთს მნათობს უწოდებს, მის სახელის ნაცვლად, ესეთს ფრაზას: ვის სნეულთ ეტლად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი? არსად არ იმჩნევს რუსთაველი მაგისთანა ცრუ-სიბრძნეს, არამედ ყველა ცთომილს პირდაპირ თავ-თავის სახელს უწოდებს და მათს ეტლს ისე იხსენიებს, თითქო არას ჩვეულებრივი და უცნობი არა უთქვამს-რაო.

მე-831 ხანის მეორე ლექსი, — «შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჯაჭვსნი მაბია რკინანი, — მწიგნობრულის მრავალ-სიტყვაობითა და გაზვიადებით სავსეა: «ტყვე-ქმნილი» ავთანდილ ვითომც მართალი საქმით იყო და შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ყალბის-მქნელმა მეტაფორას დაუმატა «ჯაჭვსნი მაბია», მერე ესეც ეცოტავა და «რკინანიც» აჰკიდა. ამ სახით, მიჯნურობისაგან ტყვე-ქმნილი გმირი თან და თან ტუსაღად გადაიქცა.

მზისადმი ლოცვას ავთანდილ ესრე ათავებს: «ბროლ-ბადახშისა მძებნელმა სათნი დავკარგე მისანი, მაშინ ვერ გავძლე სიახლე, აწ სიშორესა ვინანი». რაღა თქმა უნდა, რომ «ბროლ-ბადახში» აქ ტარიელია და «სათნი-მისანი» — თინათინ, ვისის გაყრასაც მიჯნური ვითომც ეხლა ნანობს. ავთანდილის გული ორად გაიყო: მეგობრისაკენ ისწრაფვის და სატრფოს სიშორესა ნაღვლობს, ხოლო რით გათავდა ეს ორის გრძნობის კვეთება, არსად სჩანს, ყალბისმქნელი უწყალოდ სტოვებს ავთანდილს გზა-გაუხსნელ მდგომარეობაში.

ავთანდილის სულის მდგომარეობას, ტარიელისას წამოსვლის დროს, რუსთაველი ესრე გვიამბობს (გვ. 185):

825. . . . მივა და მისტირს გულ-მდუღრად, ვერ იტყვის ცრემლთა
წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა, [მცრობასა,
უჭვრეტდის, თვალნი ვერ მოჰხსნის, თუ მოჰხსნის, მიხდის ცნობასა.

826. რა მიიახლის დაბნიდად, ვერ ხელ-ჰყვის გაძვრად ენისად,
მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან, მზგავსად დილარჯის დენისად;
ზოგჯერ დაბრუნდის, იჭვრეტდის ლონედ პატიჟთა თმენისად;
რა გაემართის, არ იცის, მას თუ არბევდის ცხენი სად.

ამ ლექსებსა და შემდგომს მე-827 და 828 ხანებში ცხადად იხატება გმირის სულის კვეთება. მისს გულში იბრძვის ორი ძლიერი გრძნობა: სიყვარული და მეგობრობა, და ხანამ მათი ბრძოლა არ გათავდება, მოყმე ისე იქანჯება და იტანჯება, რომ უილაჯობისაგან ლამის თავი მოიკლას. მაგრამ გონიერი გმირი გონს მოდის და თავის გულსა სძლევს: სატრფოსათვის თვალებს ცრემლისა დენას მისცემს და მეგობრისათვის, «დაყოვნებისა მოშიში, ისწრაფვდის, იარებოდის». ბრძოლა გარდასწყდა და ავთანდილ არც ეჭობს

და აღარც ტორტმანობს, ამას იქით სატრფო მისს გონებას თუმცა არა შორდება,—მისი ხსოვნა მისს განზრახულს მაინც ვერ შეაცვლის და ვერც შეასუსტებს; ავთანდილ გულდასმით და პირდაპირ თავისს საგანს გაუდგება.

ავთანდილის ხასიათი იმით არის შესანიშნავი, რომ აზრი ყოველთვის გამორკვეული და ნათელი აქვს და ნდომა განსაზღვრული და გარდაკვეთილი: კარგად იცის, რასაც ამბობს და კარგად ესმის, რაც უნდა. მისს სალს გონებას და გულს ყოველი ეჭვი და ტორტმანი სძულს, განუსაზღვრელსა და ორჭოფოვანს მდგომარეობაში დიდს ხანს ვერა სძლებს. პირველს მგზავრობაში, როდესაც «ვეფხის-ტყაოსნის» ყოველი ძებნა ამაო შექმნა, მოყმემ ცხადად გამოარკვია თავისი მდგომარეობა და, თუმცა არაფრად ეჭაშნიკებოდა შინ ცარიელი მისულიყო, მაგრამ მაინც დაბრუნება გარდასწყვიტა· მერმე ტარიელ რომ ჰპოვა, მისი ამბავი შეიტყო და კვლავ მისვლა აღუთქვა,—სატრფოს სანახავად ერთს წამად შინ შემოქცეული, წაუსვლელობას ვეღარ ითმენს, ყველა ბედნიერებას მოსწყდება და იპარება. ეხლაც, სატრფოს რომ მოშორდა და მოვალეობის შეგონებას აჰყვა, ორს მიმზიდველსა და საპირისპირო ძალასაგან შეპყრობილი, ავთანდილ მალე თავს დააღწევს განსაცდელსა და ისევ თავის განზრახვას დაადგება. ცხადია, რომ ამ არჩევანის შემდეგ წუწუნი და ჩივილი გმირს აღარ შეშვენის, რადგან სატრფოს დათმობა და მეგობართან წასვლა თითონვე გადასწყვიტა და თუ ამის გამო ჭირში ჩავარდა, «თავისისა ცნობისაგან» მოუვიდა.

მაგრამ, კაცი რომ თავს შეიკავებს და გონებას გულის-თქმაზედ აუფლებს, ესეთი გამარჯვება ნებისა დაუსჯელად მაინც არ ჩაივლის, —გრძნობა თითქო ჯავრს იყრისო და კაცს გულს დაუწვავს. ამიტომ მე-825—828 ხანებში გამოსახული ავთანდილის სულის დრამა რომ გასრულდება, პოეტი სამართლიანად დასძენს:

832. ამას მოსთქმიდის, იწოდის, ვითა სანთელი დნებოდის,
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის.

და ამიტომაც არის შემცდარი და დაგვიანებული ავთანდილის ჩივილი იმისთვის, რომ სათნი-მინანი ბროლ-ბადახშზე გავცვალეო და სატრფოს სიშორეს კინანიო.

მე-831 ხანის სტილის დასახასიათებლად მოვიგონოთ: «ჯა-ჭვი მაზის რკინასა» და «სათნი დავკარგე მისანი»,—ეს ორი უშნო ფრაზაც საბუთად კმარა, რომ ლექსი რუსთაველისა არ არის. უცნაური ხანის რითმები, რომლეიც «რკინასის» გარდა, მე-811 ხანიდან არის ნათხოვარი (გვ. 182):

811. რა გამოვიდა, ვეზირმან სძებნა, ვერ ჰპოვა მინანი,
მართ გაპარვასა უთხრობდეს მონანი, ცრემლთა მდინანი;
მან სთქვა: „მე დარბაზს ვერ შევალ, მახსოვან დღენი წინანი;
„ვინცაღა ჰკადრებს, მან ჰკადროს, რაცა ვთქვი, მასცა ვინანი“.

ნეტა, რა რითმების ქესატობა დაადგა რუსთაველს, რომ თავის თავი გაჰქურდა?!...

*

როდესაც რუსთაველი მე-832 ხანაში ამბობს:

რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა იამებოდის;
მას ამზგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის....

როგორა გგონიათ, მკითხველო, ამ ლექსის შემდეგ პოეტმა ავთანდილ რომ ალაპარაკოს, ვის უნდა მიმართავდეს გმირი თავისს სიტყვასა? იტყვით, თუ «ვარსკვლავთა უჭვრეტდის და ეუბნებოდისა», რასაკვირველია, ვარსკვლავებს დაელაპარაკებოდაო!.. მეც მაგას მოველოდი, მაგრამ მე-833 ხანაში ვიღაც მელექსე რომ მოგვახსენებს, ვარსკვლავთ კი არა—«მთვარესა ეტყვისო»,—ვის დავუჯეროთ?..

თუ ეს სიცრუეც მე-833 ხანის სიყალბეს მაინც ვერ ამხელს, ავყვეთ მელექსესა და ვნახოთ, რას გვეტყვის: «მთვარესა ეტყვის (ავთანდილ): «იფიცე სახელი ღვთისა შენისა».—ვინ არის ის ღმერთი, ვისის სახელსაც ავთანდილ მთვარეს აფიცებს? თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, «მესტიხენი მთვარესა დიანად დასახვენ (დიანა ღმერთი, ასული იუპიტერისა). და აფიცებს ავთანდილ მთვარესა და სთხოვს შეამდგომილობასა, რათა კვალად ღირს ჰყოს შეყრასა საყვარლისა თვისისა, ესე იგი შეამდგომელ მექმენო, რადგანაც შენა მიჯნურობისა, ესე იგი სიყვარულისა სენისა უფალი ხარო, ესე იგი სიყვარულისა ვნებაც შეგიძლიანო, მოთმინებისა მოცემაცა და საყვარელთან შეამდგომლობაცაო. ჩემი საყვარელი შენ-

გამო და შენს მსგავსად არის მშვენიერის პირის მქონეო, და იმას გვალად შემყარეო».

ბრძნული მითოლოგია რუსთაველს თავის პოემაში არსად მოუხსენებია, — და საგონებელია, რომ არც იცოდა ეს მითოლოგია, — ამიტომ ვინც მე-833 ხანას რუსთაველს მიაწერს, არავითარი საბუთი არ ექნება სთქვას, ვითომც მთვარის ღმერთად დიანა უნდა იგულისხმებოდეს. ხოლო ჩვენთვის სულ ერთია, რომელს ღმერთსაც უნდა აფიცებდეს ავთანდილი მთვარეს: დიანას, თინათინს, თუ ღმერთის დამბადებელსა, — ლექსი თავით თავისათ უმნიშვნელოა, მხოლოდ ვედრებითი მიმართვაა მთვარისადმი. ყურადღების ღირსი აქ ის არის, რომ მელექსე მთვარეს მიჯნურობის სენის მომცემად, მის მკურნალად და მიჯნურთა შუამდგომლად ჰსახავს. რაც მე, ზემოდ, მე-830 ხანის მიბაძვის შესახებ მკითხველს მოვახსენე, იგივე მე-833 ხანაზე ითქმის. ესეც მიბაძვაა ავთანდილის მოთქმისა, ფრიდონისას წასვლის დროს, როდესაც გმირი მთვარეს ევედრება (გვ. 212):

957. მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვმჭლდე-
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ როგორ ვბნდები; [ბი;
მიდი უთხარ: „ნუ გასწირავ“! მისი ვარ და მისთვის ვკვდები.

თავის დროების მეცნიერებისა-მებრ რუსთაველი მთვარეს «მოწყალეთა და სნეულთა ეტლად» ჰსახავს, და ამ თვისებისდა გვარად ავთანდილი ევედრება მთვარეს, როგორც მისსავით სნეულსა და გულშემატკივარს არსებას. საყურადღებოა, რა სისწორით გაყვანილია აქ პარალელი ავთანდილის და მთვარის ვითარებისა: ვით მთვარე მზისაგან ილევა და ივსება, ეგრედვე მიჯნური თავის მზის სატრფოსაგან ისჯება და იშვება. ორივეს ერთი სნეულება სჭირთ — ორივენი მზეს შესტრფიან და მაშასადამე მთვარეს ესმის მიჯნურის «სჯანი», შეიბრალებს და მისს სატრფოს ეტყვის კიდეც საყვარელი არ გასწიროს. ესრედ გამოთქმული ავთანდილის ვედრება პოეტური სურათია, რომელსაც იდეად აქვს რუსთაველისვე აფორიზმი: «წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალებისო».

მე-833 ხანა რომელსღა მხატვრობითს სურათს წარმოგვიდგენს? მთვარის როლი აქ უცნაურად გამოიცვალა: მწიგნობარის გა-

მოსახვისა-მებრ მთვარე ავთანდილსავით მზის სიყვარულით სნეული კი არ არის, არამედ სიყვარულის მეუფეა, ვისაც ნებავს მიჯნურობის სენს მისცემს, თუ უნდა ამ სენისაგან მოარჩენს, ისურვებს — მიჯნურთა შუამავლად გახდება. შეუძლიან, თუ არა, მთვარეს მაგისი ქმნა — რა მოგახსენო, ის კი ცხადაა, რომ თვითონ საქმე უფრო მაჭანკლის ხელობისაა: შეაყვარებს, შუამავლად დადგება და სიყვარულის წამალს მოჰგვრის.

დიაღ, მაჭანკლობა მთვარესათვის დასაძრახი ნუ იქნება, — ვნახოთ თვითონ როგორ-და არის გამოხატული: «შენ ხარ მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა». თუ კაცი მიჯნურია, მიჯნურობის სენი დიაღ სჭირს, და მაშ რომელი მიჯნურობას სენი უნდა მისცეს კიდევ მთვარემ? «მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა» ისეთივე უგუნურობაა შინაარსით და პლეონაზმი ფორმით, როგორც მაგალითად: ჭლექჭთა სიჭლექის მიმცემი, ან ცოცხალთა სიცოცხლის მიმნიჭებელი.

მესამე ლექსშიც ერთი უშნო და უგუნური პლეონაზმს ვემთხვევით: «შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა». თუ მოთმინების თმენა შეიძლება, კაცი ჭირს შეიჭირვებს, ნაღველს ინაღვლებს და ღმობიერებას შეიღმობს და სხვ. უკანასკნელს ლექსში — მესამე პლეონაზმი: «მიაჯე შუქი პირისა, შენგამო შენებრ მშვენისა»! თუ თინათინ მთვარის გამო მშვენის, მთვარისაგან გადაცემული შვენება მთვარისებრი კიდევ იქნება, ისევე როგორც მზისგან მინიჭებული სინათლე, მთვარისა მზისებრი სინათლე აღარ არის.

*

მთვარისადმი ვედრების შემდეგ, მე-834 ხანიდან კვლავ იწყება ავთანდილის მგზავრობის ამბავი, თითქო მე-832 ხანაში შეწყვეტილის მოთხრობის გაგრძელება არისო. დიაღაც ესე უნდა ყოფილიყო, რადგან ავთანდილს თავისი მგზავრობა ჯერ არ დაუსრულებია, მაგრამ მგზავრობის ამბავს თუ გავარჩევთ, აღმოჩნდება, რომ მას შიგან ყველა მართალი არ არის: რაც მე-834 და 835 ხანაში ნაამბობია, საამბობლად არა ღირდა და რუსთაველის მოთხრობას არა ჰგავს.

«ღამე ალხენდის, დღე სჯიდის, ელის ჩასვლასა მზისასა», — გვაუწყებს კიდეც მელექსე, მაგრამ იმას კი არ გვეუბნება, რად ალ-

ხენდა ავთანდილს ღამე, ან დღე რად სჭიდა, ან მზის ჩასვლას რისთვის ელოდა? რუსთაველმა მე-832 ხანაში რომ გვიამბო, «რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა იამებოდის», შემდეგ ლექსშივე შეგვატყობინა გმირის სიამოვნების მიზეზი დღისით სჯისა და ღამით ლხენისა? თუ მიზეზი იგივეა, რაც რუსთაველმა სთქვა, მაშინ ლექსი ხომ გამეორება იქნება, მეტი და უვარგისი. დარჩა მხოლოდ ერთი შესაძლებელი მიზეზი, ისა რომ ავთანდილს დღისით სიცხე აწუხებდა და ღამით სიგრილე ასიამოვნებდა და ამიტომ ელოდა «ჩასვლასა მზისასა».

მე ერთხელ მოვახსენე მკითხველს და ახლაც ვიმეორებ, რომ რუსთაველი ხორციელის ტანჯვის მხატვარი არ არის, ბევრს არა ნაღვლობს, თუ რაოდენ აწუხებს ავთანდილს და ტარიელს შიმშილი ან წყურვილი, სიცხე ან სიცივე; როგორა სძლებს ტარიელ «უსტავარ-ნასლოლი», ან დაარჩენს თუ არა ავთანდილს მგზავრობაში მისი მშვილდი და «ისართა პირები». გმირთა გარეგანს, მატერიალურს მდგომარეობას პოეტი მხოლოდ იმდენად გვიხატავს, რომ მათი ხორციელობა არ დაგვავიწყდეს, მათი ადამიანური ნაქვთი თვალწინ ცხადლივ გვიდგეს და არა უსხეულო მოჩვენებასავით, თვარა უპირატესი საგანი რუსთველისა გმირთა გულის ვითარებაა. თვალი მუდამ მათის სულის მდგომარეობაზე უჭირავს და მათს აზრსა, გულის-თქმას, ყოველს სულიერს ცხოვრებას, ერთის სიტყვით, შინაგანს ცხოვრებას გვიამბობს.

მაგრამ ამ შემთხვევაში რუსთაველს რომ ავთანდილის მგზავრობის სიძნელის აღწერა მოეწადინა კიდეც, სიცხისაგან შეჭირვებას მაინც არ ახსენებდა, რადგან გმირი ისეთს დროს მგზავრობდა, როდესაც სიცხეები ვერ შეაწუხებდა. მოიხსენიეთ, რომ ავთანდილ ტარიელს პირველად რომ გაეყარა, დაჰპირდა, ორი თვის შემდეგ მოვალო (ხანა 665). ახლა თავისს მეგობართან დანიშნულს დროზე მივა და რამდენისამე დღის შემდეგ აქედან ფრიდონისას გაემგზავრება. ფრიდონისას წასვლის დროს, ტარიელს რომ გამოესალმება, სთხოვს, ერთი წელიწადი მომიცადეო (გვ. 206):

930. აქავ ქვაბსა მომნახვიდი მე, ამბავსა ყოველგნით მკრეფსა;
ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამა'ა ვარდ-იეფსა,
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ჰყეფსა.

მერე, ერთის წლის შემდეგ, ავთანდილ ტარიელთან რომ დაბრუნდება, პოეტი ესრე აგვიწერს იმ დროს (გვ. 293):

1322. მოწყურვილ-იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა, და სხვ.

აქედან ჩანს, რომ ავთანდილის მეორედ წასვლა ტარიელისას გაზაფხულს მოხდა, ქვეყნით მწვანის ამოსვლის დროს, როდესაც სიცხე ჯერ ისეთი ძლიერი არ არის, რომ კაცსა სჯიდეს და მზის ჩასვლას ანატრებდეს... ასე რომ მე-834 ხანის პირველი ლექსი რა აზრისაც უნდა იყოს,—ან მეტი გამეორებაა ან სიცრუეა.

«რა წყალი ჰნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა, მასთანა ჰრთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა»,— განაგრძობს მელექსე ავთანდილის მგზავრობის, ან უკეთ რომ ვსთქვათ—შესვენების ამბავს. გახსოვსთ, მკითხველო, რუსთაველის ტურფა სურათი (ხანა 84, გვ. 19): «ნახეს უცხო მოყმე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა,.... ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა»? ნუ გგონიათ, ამ ლექსს იმიტომ ვახსენებდე, ვითომც დიდად მიმაჩნდეს, რომელსაც მე-834 ხანა ჰბაძავს, არა—უნებლიედ მომაგონდა, რადგან იქაც მოყმე წყლის პირსა ზის და სატრფოს სიშორესა სტირის,—და აქაც—მსგავსება დიდი არის. რაიცა სურათის იდეას შეეხება, მხოლოდ სხვა-და-სხვაა. პოეტისაგან ნახატი ტარიელის ჭმუნვა ისევე არა ჰგავს მწიგნობრისაგან აღწერილს ავთანდილის მწუხარებასა, როგორც, მაგალითად, ნამდვილი, წრფელი ყრმაწვილთა ღხინი არა ჰგავს იმ ღხინს, რომელსაც ფოტოგრაფიის ჰაივანში გამართავენ ხოლმე, დახატულის ბაღით, ცარიელის ბოთლებით და «მშრალის ქეიფით». ერთი ნამდვილი სიამოვნებაა, მეორე კი—პრანჭვა. მტირალი ტარიელ «წყლისა პირსა» თუ «სჯდის», ეგ იმიტომ რომ წასასვლელი არსად იყო; იმისთვის «ყველაი სწორის, გაჭრა და გაუჭრელობა»; იარება თუ ჰზის, ყველგან და ყოველთვის ტირის, და წყალთან ჯდომა მხოლოდ შემთხვევა იყო. პოეტმა ტარიელ ესრე განგებ კი არ დასვა,—მოდით და უკურეთო!—მეფე როსტევან და ავთანდილ ანაზდად წაესწრნენ და ნახეს მისის ჩვეულებრივს მდგომარეობაში.

მწიგნობარი კი «დაყოვნებისა მოშიშსა» ავთანდილს შეაყენებს, ცხენიდან წყლის პირს გადმოსვამს, «ჭავლსა წყლისასა» აჭვრეტინებს, მხოლოდ იმისთვის რომ ცრემლის ნაკადი წყალს შეაერთებინოს,—ისევე როგორც რამდენიმე უმაწვილი კაცი ერთმანერთს დაჰპირდებიან, საქმეს მოსცდებიან და ფოტოგრაფიაში შეიყრებიან, რომ ლხინი წარმოადგინონ, და ყველა თავ-თავისს პრანჭვას რომ გაათავებს... «ველად გაემართის, ისწრაფდის წასვლასა მისვე გზისასა».

მაშ რისთვის და იყო მზის ჩასვლის ლოდინი, წყლის პირს ჩამოხდომა, წყლის ჭავლის ჭვრეტა და მასთან ცრემლთა ნაკადის შერთვა, თუ ავთანდილ ისევ თავის გზას შეუდგებოდა? ტირილის მეტი სხვა რა მოხდა, რის გულისათვისაც გასწრაფებული მოთხრობა მგზავრობისა შეგუბდა და მთელი ერთი ხანა უნდა გვეტოპნა, რომ ისევ ავთანდილის სვლისათვის თვალი მიგვესწრო? რად შეაყენეს ავთანდილ, განა გზა და გზა ტირილი არ შეეძლო? დიაღამც შეეძლო და პოეტმა გვიჩვენა კიდეც მაგისი ღონე, როდესაც მე-825 და 826 ხანაში გმირის სულის კვეთება გამოგვიხატა: «მივა და მისტირს გულ-მდუღრად, ვერ იტყვის ცრემლთა მცრობასა».

*

წყლის ჭვრეტით რომ გაძღება, შიგ ცრემლებს ჩაღვრის და ესრე ტყუილად რომ მოსცდება, გმირი წამოვა და.... «მარტო მოსთქმიდის, სტიროდის ტანად ალვისა ხისანი». ავთანდილის მოთქმაზე პოეტმა მე-832 ხანაში მოგვახსენა, მისს ტირილზედაც რამდენჯერმე გვითხრა და თითონ მწიგნობარმა ხომ მთელი ერთი ხანა გველაპარაკა, და ეხლა ხელახლად მოთქმასა და ტირილზე ლაპარაკი რაღა ასირებული ჩაციებაა?! ლექსის უგვანობაც გასინჯეთ: თავის-თავადაც ხომ ფუჭია, და მელექსე შეუსაბამს სიტყვებსაც უმატებს, რომ მისი სიცარიელე როგორმე შეავსოს. «მარტო მოსთქმიდისო»,—თითქო არ ვიცოდით, რომ ავთანდილს არავინ ახლდა; «ტანად ალვისა ხისანი»,—თითქო ამ ეპიტეტს რამე მნიშვნელობა აქვს მოთქმისა და ტირილის დროს?

«მინდორს თხა მოჰკლის, სადაცა ადგილი დახვდის კლდიანი, შესწვის, სჭამის და წავიდის პირ-მზე, გულ-მარიხიანი»... თუმცა

მოთქმისა და ტირილის შემდეგ ასე უსაშუალოდ სადილის გამართვა მოულოდნელია, მაგრამ გეხსომებათ (გვ. 42):

194. თუცა მხეც-მქნილი ავთანდილ გულ-ამოსკვნით და კვნესითა,
ეგრეცა ჭამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა,
ისრითა მოჰკლის ნადირი, როსტომის მკლავ-უგრძესითა,
შამბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი დააგზო კვესითა.

195. ცხენსა მისცა საძოვარი, ვირემ მწვადი შეიწოდეს, და სხვ.

იტყვიან: თუ პირველს მგზავრობაში ავთანდილ ესრე ისვენებდა, სჭამდა და თავის ცხენსაც აძოვებდა, ეხლა რატომ-და არ ჩამოხდებოდა და არ ისადილებდა? ნუ თუ მე-835 ხანა ყალბად უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ გმირმა თხა მოკლა, შესწვა და სჭამა? დასტურ, გზაში შესვენება და ჭამა თავით თვისით ტექსტის სიყალბის საბუთად ვერ ჩაითვლება. რასაკვირველია, ავთანდილ, ტარიელის ქვაბამდის დაუყოვნებლივ და მშიერი ვერ ივლიდა, მაგრამ საქმე ის არის,—რამდენად საჭიროა მაგის ხსენება? რას შესძენს მოთხრობას ამბავი ავთანდილის სმა და ჭამისა ან წყლის პირს ტირილისა? როდესაც მთხრობელი თავის გმირის მგზავრობაზე ამბობს: «დაუყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის»,—ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომც მთხრობელი გმირს გზაში არც დაასვენებს, არც დააძინებს, არც ასმევს და არც აჭმევს; არამედ იმასა, რომ მგზავრობის ჩვეულებრივსა და უმნიშვნელოს მოვლენასა და შემთხვევას აღარ გვიამბობს, რადგან სხვა, უფრო ყურადღების ღირსი, სათქმელი აქვს.

ზემოყვანილს მე-194 ხანას პირველის მგზავრობის მოთხრობაში განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, როგორც შესასკვნელს ორს საყურადღებო ამბავს შუა. ამ ხანას მიუძღვის ამბავი ავთანდილისაგან ვეფხის-ტყაოსნის ძებნისა, მისი ვერ პოვნისა და დაბრუნების დაპირებისა, და მოსდევს ამბავი ავთანდილის და თურქთა შეყრისა და ტარიელის სადგურის მიგნებისა. სანამ მსმენელი ერთს ამბავს გულში ჩაისახვიდეს და მეორის მოულოდნელის და საყურადღებო ამბის სმენას შეუდგებოდეს, მანამ საჭიროა მისმა გულის-ყურმა შეისვენოს, ღონე მოიკრიბოს; ამიტომაც მთხრობელი ამ ორთა

ამბავთა შესასვენელში ისეთს საგანზე უბნობს, რომელიც ჩვეულებრივია, მსმენელის გულის-ყურს არა ჰღალავს, რათა შემდგომი არა-ჩვეულებრივი ამბავი უფრო მოულოდნელი გახდეს და უფრო გარკვევით გამოცხადდეს. ამგვარსავე ღონეს ოპერის შემთხზველი ხმარობს ხოლმე, როდესაც ორს სიმღერას შუა სადასა და უმნიშვნელო სმებს ჩაურთობს ხოლმე, რათა მსმენელთა ყური შეასვენოს და მომავალის სიმღერის კილო უკეთ შეასმინოს. ამისთვის გვიამბობს რუსთაველი ავთანდილისაგან ნადირის მოკვლასა, მწვადის შეწვას და ცხენის სამოვრად გაშვებას, თვარა ყველა ეგენი სამი წლის მგზავრობაში განა პირველად მოხდა, რომ მხოლოდ ეხლა საამბობი გამხდარიყო?

რაღა მნიშვნელობა აქვს მე-835 ხანაში მოყვანილს ავთანდილის ჭამის ამბავს? რომელს ანაზდეულსა და საყურადღებო ამბავს მოასწავებს, რომელს მოთხრობის ეფექტს გვიმზადებს? — ავთანდილ ნაცნობის გზით მიდის, არრა ფათერაკი არ ემთხვევა და ტარიელის ბინას დაუბრკოლებრივ და თავისს დროზედ მიაღწევს, მე-835 ხანა კი მხოლოდ იმას გვაცნობებს, რომ ავთანდილ გზაში ნადირობით ივებებოდა და საგზალს სურჯინით თან არ ატარებდა, სხვა არაფერს.

მე-835 ხანის თვალი უკანასკნელი ლექსია. — ავთანდილ, თხის მწვადს რომ შესჭამს, წამოკა და «იტყვის: დავყარენ ვარდნი და აჰა, მე ვაგლახიანი!» მშიერია — თავისს თინათინს სტირის, გამძღება და — ისევ საყვარელი აგონდება. საწყალი მწიგნობარი! დიაღამც არ იცოდა, რომ მაგ ლექსით ავთანდილის ჭმუნვას სამასხაროდ გახდიდა, თორემ გულში კეთილი განზრახვა ჰქონდა: თავისი მოგონებული ხანა უნდოდა როგორმე შემდეგ ხანისათვის გადაება. ავთანდილის ჭამაზედ რომ მოილაპარაკა, როგორ უნდა გადასულიყო პოეტის ლექსზე — «აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა» (ხანა 836)? — რასაკვირველია, შემთხვევის შესაფერი რამ სიტყვა ავთანდილისათვის უნდა წარმოეთქმევინებინა... და აჰა, წარმოათქმევინა ვაგლახიანსა! შეტოპვით კი შესტოპა, მაგრამ თავი ვეღარ დააღწია.

სანამ მე-835 ხანას თავს დავანებებდეთ, მისი სტილიც გავსინჯოთ. პირველს ლექსში ხომ ვნახეთ მწიგნობრული მრავალ-სი-

ტყვარობა, – შემდეგს ლექსში კი უარესს ვემთხვევით: «მინდორის, სადაც ადგილი დასვლის კლდიანი»,—ძალიან გარკვევით და განსაზღვრით თქმულია, მაგრამ მაინც შეუძლებელი რამ არის, რადგან სადაც კლდიანი ადგილია, იქ მინდორი ვეღარ იქნება. ასე რომ მაინც გამოუცნობელი დარჩა: სად მოკლა ავთანდილმა თხა—მინდორის, თუ კლდიანს ადგილსა?

მესამე ლექსში ეპიტეტები წარამარად ჩასმულია: რა შესაბამია «პირ-მზეობა და გულ-მარისიანობა» (?) მწვადის შემწველისა, ან მწვადის მჭამელისა, ან ნასადილევის წამსვლელისა? უურადღების ღირსია სიტყვა «გულ-მარიხიანი». დ. ჩუბინაშვილის თქმით, «გულ-მარიხიანი» გულ-მხიარულს ნიშნავს. თითქო მგრე უნდა იყოსო, რადგან თხის მწვადით გაძღარი ავთანდილ, საგონებელია, გამხიარულდებოდა, მაგრამ გულ-მხიარული თუ არის, რაღა ჰკლოვობს: «დავუყარენ კარდნი და აჰა, მე კაგლახიანიო?!» თეიმურაზ ბატონიშვილი სიტყვას ესრე გვიხსნის: «მარიხ ვარსკვლავი არის, ერთი ცთომილთაგანი. მარიხ მარს არის, რომელსაცა გვენი ძლიერებისა, სიმხნისა, გულოვნებისა და მებრძოლობისა ღმერთად უწოდებდეს». ასე რომ გულ-მარიხიანი გულით მხნესა და გულოვანს უნდა ნიშნავდეს. ამ ახსნასაც თითქო არა უშავს-რაო: შესაძლებელია, ჭამის შემდეგ ავთანდილ გამხნევებულ და გაგულოვნებულიყო, მაგრამ ის წყეული «აჰა, მე კაგლახიანი» კაცის სიმხნეს რომ მაინც არ ეთანხმება!.. დასასრულ, ვახტანგ მეფის განმარტებისამებრ: მელექსე «აქ კიდევ ავთანდილს აქებს და იმის გულს მარიხს უდრის. მარიხს მესისხლედ იტყვიან, და გულ-ჯავრიანად მოუყვანია.» ეს კი მართალია, რომ მარიხს მესისხლეთ ეტლად იტყვიან, მაგრამ თხის მწვადით მაძღარი ან კარდის-დამურელი ავთანდილ ვის სისხლს ეძიებს ან გულზედ რად მოდის,—ამას კომენტატორი არ გვიხსნის. ამ ურთიერთის წინააღმდეგს ახსნაში, თქვენ, მკითხველო, რომელიც მოგწონთ, ირჩიეთ, მე კი მგონია, რომ «გულ-მარიხიანი» ქართული სიტყვა არ არის და მწიგნობრის მოგონილია მხოლოდ რითმისათვის, ისევე, როგორც «ჩავაკვარაბაკე» და სხვა ამისთანები.

საინტერესოა, მე-194 ხანის სტილი მე-835 ხანის სტილს დაუპირდაპიროთ და ვნახოთ, როგორ მოგვითხრობენ ერთისა და

იმავე ამბავს ყალბის-მქნელი და რუსთაველი. პოეტის მოთხრობის დამამშვენებელი მისი ანტიტეზაა—აზრიანი, მოსწრებული და ავთანდილის მდგომარეობის ნამდვილი გამომსახველი, რომელშიაც გმირის სულიერს ტანჯვას ეპარისპირება მისი ხორციელი შეწირვება «ადამის ტომთა წესითა.» ეს ტურფა ანტიტეზა მე-194 ხანის იდეა არის; მე-835 ხანა კი მხოლოდ მგზავრობის შემთხვევათა აღწერაა, რომელსაც არავითარი იდეა არ აცხოველებს. რუსთაველის ხმარებული ეპიტეტი «მხეც-მქნილი» და «როსტომის მკლავ-უგრძესითა» შემთხვევის შესაფერად ახასიათებს ავთანდილის უკიდურესს ჭმუნვას და მისს უფრო მშვიდობისნობას; ყალბის-მქნელმა კი ვერც ერთი ეპიტეტი ვერ შეათვისა ავთანდილის მდგომარეობას,—სულ ყველა ააცდინა.

*

მკითხველს რომ მე-830, 831, 833, 834 და 835 ხანების სიყალბე უფრო თვალსაჩინოდ წარმოუდგეს, ვთხოვ ეს ხანები ტექსტს გამოაკლოს და ავთანდილის მგზავრობის ეპიზოდი ესრე წაიკითხოს:

827. სთქვა: „ჩემო, შენი შორს-მყოფი კრულია, ვინცა დადუმდეს,
„რადგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს,
„თვალთა მტირალთა შეხედვა შენივე სწადდეს და უნდეს,—
„სჯობს სიყვარულსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს!

828. „მე რა ვქნა შენად შეყრამდის, ანუ რას მეჭვდე ლხენასა;
„თავსა მოვიკლავ მე, თუცა შენგან არ ვეჭვდე წყენასა,
„მაგრა შენ გაწყენს ჩემისა არ სიცოცხლისა სმენასა;
„მოდი და მივცნეთ ცოცხალთა თვალნი ცრემლისა დენასა“!

832. ამას მოსთქმიდის, იწოდის, ვითა სანთელი დნებოდის,
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის;
რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა იამებოდის;
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის.

836. აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა,
მიუბნობდის, რას მოსთქმიდის, რას ტურფასა, რაზომ გვარსა;
ზოგან თვალი გაეწითლის ვარდსა, ბრჭყლითა ნახოკარსა;
ქვაბნი ჰპოვნა, გაეხარნეს, ზე გავიდა ქვაბთა კარსა.

შეუგინებელი, პირველ-ხატი და უნაკლო სიტურფე რუსთაველის შემოქმედებისა თავის-თავად გამოცხადდა, რა წამს მისი შემბღალველი უწმინდურება ჩამოვაცალეთ. ეპიზოდის ერთიანობა და სისრულე, მჭიდრო გრამატიკული და ლოგიკური კავშირი ხანებს შუა გაწვდენილი მაშინვე აღმოჩნდა, აზრის მიმდინარეობის ამრევი ლექსები შიგ რომ აღარ ეჩრებიან.

უეჭველია, რომ ავთანდილის მოთქმა მე-828 ხანაში დასრულდა, იმიტომ რომ გმირმა აქ გამოსთქვა უაღრესი თავისი მწუხარება,—თავის-მკვლელობის განზრახვა. ასეთს უკიდურესს გამოსახვას გრძნობისას სხვა ვეღარა დაერთვის, რომ მკითხველის გულში დასმული პირვანდელი შთაბეჭდილება არ შეასუსტოს ან სრულებით არ წარხოცოს,—მაშასადამე მე-828 ხანას უსათუოდ და უსაშუალოდ უნდა მისდევდეს მე-832 ხანა, და არა სქოლასტიური ლოცვა მზისადმი.

ცხადია აგრეთვე მე-832 და 836 ხანების კავშირი. რუსთაველი რომ ამბობს: «აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა»,—ეს იმას შეეხება, რასაც ავთანდილი ვარსკვლავთა ეუბნებოდა; და თუ პოეტი ამბობს: «ვერ ვიტყვით»,—მაშ არცარას იტყოდა და «მის ყმისა ნაუბარს» არ მოიყვანდა. ამიტომ მე-832 და 836 ხანებს შუა რაც უნდა იყოს ჩართული, ყველა მეტი და უადგილო იქნება.

ალ. ს—შვილი

# შავი-ჭირი (ჟამი)

და

# მის წინააღმდეგ საბრძოლი საშუალებანი

---

## წინასიტყვაობა

ინდოეთში მოვლენილი შავი ჭირის გავრცელება და შორეულ ქვეყნებში მისი გადასვლ-გადმოსვლა იმდენად მოსალოდნელი გახდა, რომ კარგა ხანია ყველა სახელმწიფოებმა მის დასახვედრად გაცხარებული მზადება დაიწყეს. ევროპას შავი ჭირით მოდებულ ქვეყნებთან მისვლა-მოსვლა აქვს გამართული, და ამ მისვლა-მოსვლას ადვილად შესაძლებელია შავი ჭირიც გადმოჰყვეს, კარანტინებმა ვერ დაგვიფარონ, და ევროპის სახელმწიფოებს და ქვეყნებს შემოერიოს. გზა ორნაირი აქვს: ხმელეთით შეიძლება რუსეთში შემოვიდეს და ზღვით—დასავლეთ ევროპაში. ამ ორ გზაში საშიში კი უფრო ზღვა არის. თუ შავი ჭირის შემოსვლა მოსალოდნელია, მაშ საჭიროა ყველა ღონის-ძიება ვიხმაროთ, მოვემზადოთ მის წინააღმდეგ საბრძოლველად; საჭიროა გავიცნოთ საზარელი მტერი, მისი ძალა, თვისებები, რომ ჩვენი ბრძოლა უფრო საზრიანი და მოფიქრებული იყვეს. მეცნიერებამ ბევრი რამ შეიტყო ამ მხრივ და, დაიმედებულიც არის, რომ შავ-ჭირს მოუმზადებელი არ დახვდება. მხოლოდ საჭიროა, რომ მეცნიერებისაგან შეძენილი ცოდნა და გამოკვლეული საშუალებანი ყველამ შეიტყოს, ყველამ გაითვალისწინოს, რათა უფრო ყველა წინადვე მოემზადოს, რომ თავის თავს და მეცნიერებას ამ მოსალოდნელ ულმობელ ბრძოლაში საუკეთესო და შეგნებული სამსახური გაუწიოს. ამიტომ საჭიროა და სასურველი, რაც შეიძლება ბევრი დაიწეროს შავი-ჭირის შესახებ, რაც შეიძლება მეტად გავრცელდეს საზოგადოებაში და ხალხში ამ მოარულ სენზე ცნობები. გაზეთების და ჟურნალების გარდა საჭიროა აგრეთვე პატარ-პატარა ბროშურები, რომელშიაც თავი მოყრილი ექნება შავი-ჭირის შესახებ ყველა ცნობებს, რომლებიც აქა-იქ გაზეთებშია გაფანტული. ჩვენც

ამიტომ შევადგინეთ ეს პატარა წერილი. ვგრძნობთ კი, რომ წერილს აჩქარების ნიშნები ატყვია, მაგრამ იმავე დროს იმედიც გვაქვს, რომ იგი საზოგადოებას ცოტაოდენ სარგებლობას მაინც მოუტანს; ჩვენთვის ესეც საკმარისია.

აქვე ვასახელებთ იმ წყაროებს, რომლებითაც ამ წიგნაკის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდით და რომლებიდანაც ზოგი ერთი ალაგი პირდაპირა ვთარგმნეთ.

1. ეიგერი. „შავი-ჭირის ისტორია", მოთავსებულია ჟურნალ „პრაქტიჩესკაია მედიცინა"-ში. ეხლა ცალკე წიგნად გამოვიდა.

2. პრივატ-დოც. კაბრიჩევსკი. „შავი-ჭირი და მის წინააღმდეგ საბრძოლი საშუალებანი", ცალკე ბროშურა.

3. სოკოლოვი ექიმი. ცალკე ბროშურა შავ-ჭირზე.

4. პრივტა-დოც. გერცენშტეინის წერილები „შავი-ჭირის მოლოდინში", გაზეთ „პრაკტიჩესკაია მედიცინა"-ში დასტამბული.

5. პროფესორების დაუბეჭდელი ლექციები.

6. კლემპერერი. „ბაქტერიოლოგია" და სხვ.

სად გაჩნდა სულ პირველად შავი-ჭირი, იყო თუ არა უწინაც, და თუ იყო, რა ძალა გამოუჩენია, რომელი ქვეყნები შემოუვლია, სად უფრო ხშირად უჩენია თავი და სად არის მისი საბუდარი, საიდანაც დრო-გამოშვებით გადმოფრინდება ხოლმე და გვეწვევა ეს საზარელი და არა-სასიამოვნო სტუმარი? აი ის კითხვები, რომლებიც უნდა გამოირკვეს და პასუხი მოგვცეს შავი-ჭირის ისტორიულმა შესწავლამ. შავი-ჭირის ისტორიის დაწვრილებით შესწავლით მეცნიერება ამ კითხვებს იკვლევდა და იკვლევს კიდევაც, მხოლოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ისტორიულ ცნობებს შავ-ჭირზე და იმ დასკვნებს, რომლებიც მეცნიერების წარმომადგენელთ უკვე გამოუთქვამთ.

ეგვიპტე, ინდო-ჩინეთი — აი ის ქვეყნები, საცა შავი-ჭირი მუდამ ბუდობს, საცა თავის შესაფერი საცხოვრებელი ბინა უპოვნია და საიდანაც, თუ პირობებმა ხელი შეუწყეს, სხვა ქვეყნებისკენაც გამოინავარდებს ხოლმე. იქ თვით ბუნება უწყობს ხელს შავი-ჭირის გავრცელებას. მაგალითად, ეგვიპტეში მდინარე ნილოსი ყოველ წლივ ადიდების დროს ჰზიდავს ლამთან ერთად მრავალ უწმინდურებას, დამპალ ბალახს, ფოთლებს, დამპალ ნიადაგში მოფუსფუსე წვრილმან ცხოველებს, რომლებიც ზაფხულის სიცხეებში იხრწნებიან და ჰაერს სწამლავენ. აი სწორედ ამისთანა ჰაერი და ნიადაგი უნდა შავ-ჭირისაც გასავრცელებლად. გარდა ამისა თვით ცხოვრება ორთავე ზემო მოყვანილ ქვეყნების მცხოვრებლებისა ისე მოწყობილი, რომ შავი-ჭირი თავისთვის კარგ ნიადაგს ჰპოვებს. ინდუსის ცხოვრება, — აგვიწერს სახელ-განთქმული ექიმი რუ, — უწმინდურებაში და გამოუვალ გაჭირვებაში მიმდინარეობსო. იქაურების ასეთი სიღარიბე, უსუფთაობა, შეჯგუფული ცხოვრება და მრავალი სხვა ამგვარი პირობა ხელს უწყობს არა მარტო შავ-ჭირს, არამედ სხვა ყოველგვარ გადასადებ ავადმყოფობას.

უწინაც შავ-ჭირს არა ერთხელ დაუწიოკებია მრავალი ქვეყნები და დიდ-ძალი ხალხი გაუწყვეტია. დრო-გამოშვებით მოედებო-

და ხან ერთს ქვეყანას, ხან კი ისე გაძლიერდებოდა, რომ დედამიწის უმეტეს ნაწილს შემოივლიდა. თავზარ-დაცემული ხალხი ამ მოვლენას «ღვთის რისხვას» ეძახდა, გარბოდა და თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა. სახლშიც გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფს, კარზე უარესი დღე ადგებოდა: შიმშილი, სიცივე მთა-ტყეებში, შიში და სასოწარკვეთილება; რასაკვირველია, ყველა ეს უხეირო საშუალება იყო სენის წინააღმდეგ საბრძოლველად, და ამიტომაც უფრო მეტი ხალხი იხოცებოდა ულმობელ სენისაგან. როგორც მაშინდელი მემატიანენი მოგვითხრობენ, — შავ-ჭირიანობას სოფლებ-ქალაქებში ერთს კაცს ვერ ნახავდითო, მინდვრები შეუმუშავებელი რჩებოდა, ვაჭრობა ისპობოდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივი საფუძვლები ირყეოდნენ და ხალხს დაქვეითება ემჩნეოდაო.

ან კი რა უნდა ექნა მაშინდელს უცოდინარ ადამიანს უხილავ მტერთან, ვის გამკლავებოდა, როცა მტერს ვერ სცნობდა, მისი არაფერი იცოდა, მტერი კი მუსრს ავლებდა, არავის ინდობდა! მაშინდელ ადამიანს ერთად-ერთ გადასარჩენ საშუალებად ჭირიანი ალაგიდან გაქცევა მიაჩნდა. «მოდი და ნუ გაიქცევი, როცა ნამდვილად იცი, რომ დამარცხებული იქნები და შენ ძალის მოხმარებაც არ შეგიძლიან, არც კი იცი, ვის, ან რის წინააღმდეგ იხმარო ძალა და ხერხიო».—ასე ჰფიქრობდა უწინდელი ადამიანი, ამასვე ასწავლიდნენ და ურჩევდნენ მაშინდელი სწავლულები და ექიმები. მაგრამ ეხლა დრო გამოიცვალა, კაცობრიობამ მეტი ცოდნა შეიძინა, ბუნების ბევრი საიდუმლოება გამოიცნო და არც შავი ჭირის მიზეზი დარჩა გამოუცნობელი. ადამიანმა იცნო ეხლა დაფარული მტერი, შეისწავლა მისი თვისებები, დაიმზადა და ამზადებს საჭირო იარაღს, დაიმედებულია, რომ გამარჯვებული დარჩება ამ მოსალოდნელ სენთან ბრძოლაში.

შავი-ჭირი ახალი მოვლენა არ არის. მის შესახებ ქრისტეს მოსვლის წინა დროებიდანაც გვაქვს ცნობები, მაგრამ ეს ცნობები კანტი-კუნტი ცნობებია და რიგიანად არაფერს გვატყობინებენ, მხოლოდ გვარწმუნებენ, რომ შავი-ჭირი იმ ძველ დროშიაც ყოფილა.

ქრისტეს დაბადების შემდეგ მე-VI საუკუნიდან დაწყებული მე-XIII საუკუნემდის უფრო ხშირად იხსენიებენ მემატიანენი შავ-

ჭირს და მის მძვინვარებას. მხოლოდ მე-XIV საუკუნეში შავმა-ჭირმა იმისთანა ძალა იჩინა, ისე მედგრად მოედო თითქმის მთელ ქვეყნიერებას, რომ სხვა ამისთანა მაგალითი ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. როგორც მაშინდელი მკვლევარნი და მემატიანენი გადმოგვცემენ, შავი ჭირი თურმე პირველად დაიწყო და გაძლიერდა შუა აზიაში, გადმოვიდა საქართველოში და აქედან რუსეთში და დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა. რუსეთიდან შემდეგ ისევ შავი ზღვის მიდამოებს დაუბრუნდა. დასახელებულ ქვეყნებში 1351 წლიდან დაწყებული 1382 წლამდის გასტანა (31 წელიწადი) და, როგორც ვიცით, ევროპაში 25 მილიონი, ე. ი. ყველა მცხოვრებლების მეოთხედი იმსხვერპლა (ოთხ კაცზედ ერთი კაცი მომკვდარა). მხოლოდ აზიას ამავე დროს 23,480,000 კაცი დაუკარგავს. ცალკე კი გერმანეთში 200,000 სოფელი ისე განადგურდა, რომ ერთი მცხოვრები აღარ დარჩა. საფრანგეთში ბევრგან 200 კაცზე ორი-და რჩებოდა ცოცხალი. იტალიამ მცხოვრებელთა ნახევარი დაჰკარგა. მთელი ქალაქების და სოფლების მუსვრა-წყვეტაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო მკვდრების წესიერი დამარხვა და ცხედრებს ან წყალში ჰყრიდნენ ან უშველებელ ორმოებში. აი ის საზარელი სურათი შავი-ჭირის მძვინვარებისა მე-XIV საუკუნეში. რასაკვირველია, აქ მოყვანილი რიცხვები ნამდვილს დაშორებულნი უნდა იყვნენ, მაგრამ შავი ჭირის საშინელ მმუსვრელ ხასიათს კი ცხადად გვიჩვენებენ. ამავე რიცხვიდან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა მძიმე შედეგი უნდა მოჰყოლოდეს ხალხის ცხოვრებაში ამ ულმობელ ჟლეტას.

შემდეგ მე-XVII საუკუნეში კიდევ შემოვიდა შავი-ჭირი ევროპაში, თუმცა ისეთი ძალა აღარ გამოუჩენია. ორი წლის განმავლობაში (1601—1603) მარტო მოსკოვს 127,000 მცხოვრები მოაკლდა. მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან შავმა ჭირმა ეგვიპტეში, ალჟირში, სპარსეთში და სომხეთში დაიბინავა.

ცოტა უფრო ვრცლად მოვიხსენიოთ შავი-ჭირის ისტორია ჩვენში. მე-XIX საუკუნემდის ნამდვილი ცნობები არ მოიპოვება არსად შავ-ჭირზედ საქართველოში, მხოლოდ ერთი კია ნაჩვენები, რომ 1798 წ. შავი-ჭირი გეორგიაში მძვინვარებდაო. შემდეგი ცნობები კი თოლოცანს უნდა დავუმადლოთ. 1802 წელს დეკემბერში

შავი-ჭირი ტფილისს და მის მიდამოს მოედო. 1803 წლისთვის იმდენად გაძლიერდა, რომ ამ ადგილებით არ დაკმაყოფილდა და იმერეთისკენ, რაჭაში გადვიდა. ამავე წლის ნოემბერში მოედო კახეთს და კავკასიის სხვა კუთხეებს. 1804 წ. შავი ჭირი განელდა და ამ წლის 12 მარიამობისთვეს ტფილისში აღარ იყო. ამ შავ-ჭირიანობას (1802—1804) ტფილისში 368 კაცი მომკვდარა; გორში და ახლო-მახლო სოფლებში—298.... ამ რიცხვებიდან სჩანს, რომ სხვა დიდ შავ-ჭირიანობასთან შედარებით, შავი-ჭირი საქართველოში იმ ხანად ძლიერ სასტიკი არ ყოფილა. 1805 წ. დროებით მიყუჩებულმა შავმა ჭირმა იჩინა ისევ თავი და მოზდოკიდან ყუბანისა და ასტრახანისაკენ გასწია. ასე მიყოლებით შემდეგ და შემდეგ ზევით, რუსეთისკენ იწევდა. 1811 წ. უბრუნდება თერგის მიდამოებს და 1812 წ. გაზაფხულზე ისევ ტფილისში შემოდის, აქედან გადადის იმერეთს, და იქ 1813 წლის მარიამობისთვემდის იბუდებს. ამავე 1813 წელს, სექტემბერში შავი-ჭირი ძლიერდება ტფილისში, ბაქოში, დარუბანდში. ამგვარად ვხედავთ, რომ შავ-ჭირს ოცს წელიწადს თავი არ დაუნებებია საქართველოსთვის; ცოტა ხნით მიყუჩების შემდეგ ისევ და ისევ თავი უჩენია. 1813 წლის შემდეგ საქართველოს თავს ანებებს და ბუნაგი სომხეთში გადააქვს. იქ დადის ერთი ადგილიდან მეორეში, ხან ერზერუმს ეცემა, ხან სპარსეთისკენ გადივლის; ასე გადად-გადმოდის დასახელებულ მხარეებში 1843 წლამდე და შემდეგ სრულიად ჰქრება. ამ ხნის განმავლობაში ერთხელ კიდევ ეწვია საქართველოს შავი-ჭირი და მას შემდეგ ჩვენი მხარე თავისუფალია შავი-ჭირის მძვინვარებისაგან. ეს დრო 1840—1841 წლები იყვნენ. ამავე წლებში შავი-ჭირი იყო დალმაციაში და კორფუს კუნძულზე.

ევროპაში არასოდეს პირველად არ გაჩენილა შავი ჭირი და ყველა ის შავი-ჭირის ეპიდემიები, რომლებსაც ევროპაში ალაგი ჰქონიათ, უთუოდ აზიიდან ყოფილა შემოტანილი. ამ ბოლო ხანებშიაც 1894 წელს მარტში შავი-ჭირი ხელ-ახლად გამოჩნდა ჩინეთის ქალაქ კანტონში და რამდენისამე თვის განმავლობაში 60,000 ადამიანი იმსხვერპლა. აქედან გადავიდა ჰონგ-კონგოში და შემდეგ ინდო-ჩინეთის აღმოსავლეთ მხარეებს მოედო. შემოდგომაზე 1896

წელს შავი-ჭირი ბომბეიში გამოჩნდა. შეშინებული ხალხი გაიქც-გამოიქცა და თან შავი-ჭირიც გაიტან-გამოიტანა, ისე რომ შავი-ჭირი ინდოეთში დიდ მანძილზე მოედო. ეს გავრცელება და თავისჩენა შავი-ჭირისა იმდენად მძლავრია, რომ სადა კი მივიდა, რომელ ქალაქსაც კი დაერია, ყველგან ხალხს მუსრი გაავლო და უწინდებურად ევროპის ქვეყნებსაც გადმოსვლას უქადის. ეს გადმოსვლა ჭირისა მით უფრო მოსალოდნელია, რომ ევროპის ქვეყნებს ჭირიან ქალაქებთან მისვლა-მოსვლა აქვთ გამართული. დიაღ, გადმოტანა შავი-ჭირისა ადვილია, და ამიტომ საჭიროა დაუღალავი თვალის დევნება და სიფრთხილე, საჭიროა ეგრედ წოდებული კარანტინები ყველა იმ გზებზე, საიდანაც კი შავ-ჭირს შემოსვლა შეუძლიან. ამ გარემოებას დიდი ხანია ყველა სახელმწიფოებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს. ვენეციაში სახელმწიფოების წარმომადგენელთა კრება იყო, რომელზედაც გამოარკვიეს ყველა ის საშუალებანი, რომლებითაც უნდა ეცადნონ დაიფარონ ევროპის ქვეყნები ჭირის შემოსვლისაგან.

ისტორიული ცნობები გვიჩვენებენ, რომ შავი-ჭირი გადასადები სენია. იგივე ისტორიული შესწავლა შავი-ჭირისა ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ევროპაში მე-XIX საუკუნეში თუმცა ჩნდებოდა დრო-გამოშვებით შავი-ჭირი, მაგრამ ყოველი შემდეგი ეპიდემია წინაზე უფრო სუსტი ყოფილა. ამისი ახსნა ადვილია: განათლებულმა და დაწინაურებულმა ევროპის ხალხმა შეიგნო ყველა ის პირობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ სხვა-და-სხვა მოსრულ სენის გავრცელებას. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უმჯობესდებოდა მისი ცხოვრება, იმდენად უფრო კარგად ეწყობოდა თვითეული ადამიანი სახლით, სასმელ-საჭმელით, თუ ტანისამოსით, იმდენად მეტ ყურადღებას აქცევდა ნიადაგისა და ჰაერის ავ-კარგიანობას, სველ ჭაობიან ადგილებს აშრობდა და მით ჰაერსაც ასუფთავებდა. ამიტომ, რაც დრო გადიოდა, სხვა-და-სხვა სენი ფეხს უფრო ველარ იკიდებდა და მალე ისპობოდა. ეხლა დასავლეთ ევროპიელებს დიდი იმედი აქვთ ცხოვრების კეთილ-მოწყობისა და ისე არ შიშობენ, როგორც მაგ. რუსეთი.

იწყება შავი-ჭირი ნელ-ნელა; პირველ ხანებში იგი აქა-იქ იჩენს თავს, თითო-ოროლა კაცს იმსხვერპლებს ხოლმე. ეს გარემოება ხალხის ყურადღებას ჯერ არ იქცევდა, მაგრამ, როცა ერთი ადამია-

ნისაგან მეორეს გადაედებოდა, მეორისაგან მესამეს და შემდეგ უცებად იფეთქებდა, თითქო ჰკერს, დედა-მიწას ყველგან და ყველაფერს გაუჯდა მისი შხამით, მხოლოდ მაშინ მოვიდოდა ხოლმე გონს მმართველობა და საზოგადოება, მხოლოდ მაშინ მიმართავდა სხვა-და-სხვა ღონის-ძიებას, მაგრამ სამწუხაროდ დაგვიანებული-და იყო ხოლმე. მიასწევს რა შავი ჭირი გავრცელების და გაძლიერების უკიდურეს წერტილს, მისი ძალა თანდათან იწყებს კლებას და რამდენიმე თვის, ზოგჯერ წლის შემდეგ ჭირ-ნახულ ადგილს ან სრულიად დაანებებს თავს, ან არა და მიყუჩდება რამდენიმე ხნით, რომ მერე ისევ იფეთქოს და ყოველი ახალი თავის ჩენის დროს იმავე ადგილზე თანდათან მცხოვრებლების ნაკლები რიცხვი იმსხვერპლოს. ერთია შავი-ჭირის გაჩენის, გაძლიერების და ჩაქრობის ხასიათი. ამას გვასწავლის უწინ ყოფილი შავი-ჭირიანობის მაგალითები.

შავი-ჭირის გავრცელებაზე რა ფაქტორებს უფრო აქვთ გავლენა?

აქვს თუ არა, მაგალითად ჰავას, სიცხე-სიცივეს რაიმე გავლენა შავ-ჭირზე? ამ კითხვაზე გადაწყვეტილი პასუხის მიცემა ჯერჯერობით ძნელია, რადგანაც ისტორიული ცნობები საამისო მასალას არ გვაძლევენ და ბოლო დროების დაკვირვება-გამოკვლევანი ამ მხრივ საკმარისნი არ არიან. მაგალითი ჩვენ თვალ წინ არის, რომ ამ ჟამად შავი ჭირი ინდოეთში, ცხელ, ტროპიკულ ქვეყანაში მძვინვარებს. მე-XVIII საუკუნეში კი შავი ჭირი მოსკოვს ზამთარში ავლებდა მუსრს. თუმცა ამასთანა მაგალითები ხელს გვიშლიან რაიმე გადაჭრით გარდაწყვეტილებას დავადგეთ, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ შავი ჭირი ნოტიო და ზომიერი ჰავის ქვეყნებში უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს და როგორც დიდი სიცხეები, ისე დიდი სიცივე შავი ჭირის გაძლიერებას ხელს უშლის. ამის დასამტკიცებლად შავი-ჭირის ისტორიაში მაგალითებს ბლომად ვპოვებთ: ეგვიპტეში ზაფხულობით, როცა მწვავი მზე ნიადაგს ახმობს და ჰაერს აშრობს, შავი ჭირი ისპობა; ტროპიკის ცხელ ქვეყნებს საზოგადოდ უფრო იშვიათად ეწვევა ხოლმე შავი-ჭირი; მესოპოტამიაში დადგებოდა თუ არა ზაფხული, შავი ჭირიც ისპობოდა (თოლოცანი).

სამაგიეროდ შემოდგომობით შავი-ჭირი თითქმის ყველგან უფრო ძლიერდებოდა. ფლორინსკი გვითითებს იმ ფაქტზე, რომ რუსეთში შავი-ჭირი ყოველთვის შემოდგომაზე შემოდიოდაო. **წელიწადის დროს, გეოგრაფიულ მდებარეობას, ნიადაგს** არავითარი გავლენა არ აქვს შავი-ჭირის გავრცელებაში, თუ მათთან დაკავშირებულ სითბო-სიცივის ცვლილებებს მხედველობაში არ მივიღებთ.

**ჰიგიენური პირობები.** ვისაც კი რამე გამოუთქვამს შავი-ჭირის შესახებ, ყველა იმ აზრის თანახმაა, რომ არა-ჰიგიენურად მოწყობილი ცხოვრება ხელს უწყობს შავი-ჭირის გავრცელებას. როცა კი სადმე შავ-ჭირს უმძვინვარია, ყოველთვის მეტი წილი ღარიბი და ღატაკი, ბნელ, ვიწრო და უსუფთაო სახლებში მცხოვრებნი, ხეირიან სმა-ჭამას მოკლებული ხალხი უმსხვერპლია. მეორეს მხრით, უფრო მდიდრებს, სუფთა და ნათელ სახლებში მცხოვრებთ, კაი სმა-ჭამაში მყოფთ ან სულ არ მიჰკარებია, და თუ მიჰკარებია, მათგანი ყოველთვის გაცილებით ნაკლები მოუკლავს. ამის დასამტკიცებელი მაგალითი ბევრია. აი თუნდ ინდო-ჩინეთში, ქალაქ კანტონში 70,000 ადამიანი მომკვდარა შავი-ჭირით, ინგლისის ახალშენში კი რომელიც ქალაქის შუა გულშია მოქცეული, ავადაც კი არავინ გამხდარა. რას უნდა მიეწეროს ეს გარემოება? რა თქმა უნდა ახალშენის სამაგალითო ჰიგიენურ პირობებს და სისუფთავეს—ინგლისელების გადარჩენა, მხოლოდ მეორე მხრით დანარჩენი მცხოვრებლების გამუსვრა კი—უსუფთაობას და კულტურულად დაქვეითებულ მდგომარეობას.

**მიზეზი შავი-ჭირისა: ბაცილა და მისი თვისებები.** რა არის შავი-ჭირის მიზეზი? რა გამოიწვევს ხოლმე მას? ამ სამი წლის წინად (1894 წ.) ახალგაზდა სწავლულებმა, ერთმა იაპონელმა—კიტაზატომ (Kitasato) და მეორემ ფრანსუზმა იერსენმა (Jersin) თითქმის ერთსა და იმავე დროს, ერთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩინეთში შავი-ჭირით მკვდარ გვამებში ბაცილები აღმოაჩინეს. ეს ბაცილები არიან მიზეზი შავი-ჭირით ავადმყოფობისა. უამათოდ შავი-ჭირით ავადმყოფობა შეუძლებელია. საცდელად ბულიონში, ან აგარზე გამრავლებული ახლად აღმოჩენილი ბაცილები

ვირთაგვებს, ზღვის გოჭებს და სხვა ცხოველებს ტყავის ქვეშ შეასხეს და აი როგორი სურათი მიიღეს: ის ადგილი, საცა ბაცილები შეასხეს, დასივდა, ანთება დაეტყო, ახლოს მდებარე ჯირკვლები დასივდნენ და ამგვარად ბუბონები გაჩნდნენ. ცხოველი 2—5 დღეში კვდება და გაჭრა გვიჩვენებს, რომ ბაცილები მთელს სხეულში ყველგან არიან გავრცელებულნი: სისხლში, ღვიძლში, ელენთაში, თირკმელებში; დასიებული ჯირკვლები, როგორც მიკროსკოპიული გამოკვლევა გვიჩვენებს, ხომ სულ ბაცილელებით არიან გამოტენილი. აი დამამტკიცებელი საბუთი იმისი, რომ იერსენის და კიტაზატოსაგან აღმოჩენილი ბაცილა არის თვით ის მიზეზი, რომელიც შავი ჭირით ავად ხდის ადამიანს. თაგვებს რომ პურთან ერთად ეს ბაცილები შევაჭამოთ, ავად ხდებიან და იხოცებიან. შავი ჭირის ბაცილის აღმოჩენისა და მისი თვისებების გაცნობის შემდეგ ცხადი შეიქმნა ამ სენის გავრცელების პირობები, და წამლობა რაციონალურ ნიადაგზე დამყარდა.

შავი ჭირის ბაცილა იმდენად პატარაა, რომ მის დასანახავად ათასჯერ გამადიდებელი მიკროსკოპია საჭირო. იგი გარეგნობით ბოლოებ-დამრგვალებულ ჩხირს მოგვაგონებს, და თვით ამიტომაც ჰქვიან მას ბაცილა. თავისით მოძრაობა არ შეუძლიან; თუ პირობები ხელს უწყობენ, საკვები მასალა აქვს და მის ირგვლივ სითბოც არა-ნაკლებ 37°-ისაა, 24 საათი საკმარისია, იმდენად გავრცელდეს, რომ მთელ სხეულში თავისუფალი ადგილი აღარ დასტოვოს და მით ადამიანი მოჰკლას. აი პრივატ-დოცენტი გაბრიჩევსკის გამოკვლევანი შავი-ჭირის ბაცილის შესახებ: 20° სიცივე ბაცილას ვერა ჰკლავს. 58° სიცხეს, როგორც იერსენმაც გამოიკვლია, საათის განმავლობაში ვერ იტანს და კვდება. 100° სიცხე კი ბაცილას რამდენსამე წამში ჰკლავს. მეორე უმთავრესი ფაქტორი, რომელიც შავი-ჭირის ბაცილასა ჰკლავს, ეს მზის შუქია. მზის სხივები მას ძლიერა სწყენენ და, როგორც გაბრიჩევსკიმ გვაცნობა, მალე ჰკლავენ. ბნელაში კი ბაცილა დიდ ხანსა სძლებს. გაშრობას, თუ მზის შუქი არ მოხვდა, კარგად იტანს. 1%-იანი ხსნილი კარბოლის სიმჟავისა ერთ საათში ჰკლავს; სულემა უფრო სწრაფად და მძლავრად მოქმედობს ბაცილაზე. 1%-იანი კირის წყალი უცბად უსპობს

ბაცილას სიცოცხლეს. ეს ფრიად საგულისხმო ცნობები ბაცილის შესახებ ცხადად გვიჩვენებენ რა პირობები უფრო უწყობენ ხელს და რომელნი უშლიან მის გავრცელება-გამრავლებას.

**როგორ ეყრება ადამიანს შავი ჭირი.** შავი-ჭირი უთუოდ ალაგობრივ იწყება და ადამიანი მხოლოდ მაშინ ხდება ავად, როცა შავი ჭირის ბაცილა იპოვნის გზას და სხეულში შევა. მაგრამ რა გზა არის ეს გზა? ჯერ ერთი, ბუნებითი გზები, პირი და ცხვირი. პირიდან შეიძლება საჭმელთან ერთად სხეულში შევიდეს, თუ საჭმელი უსუფთაო და როგორმე ბაცილებ-მოცხებულია. ამიტომაც საჭიროა სიფრთხილე საჭმელში. ცხვირიდან კი შეიძლება შესუნთქულ ჰაერს ჩაჰყვეს ფილტვებში. უკანასკნელი მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, როცა მტვერთან ერთად ბაცილა ჰაერშია. თუ იგი მტვერმა არ აიტანა, ბაცილას თავისით ჰაერში გადასვლა არ შეუძლიან. მაშასადამე, ბაცილის ჰაერში ასვლის მიზეზი მტვერი ყოფილა. ეს გარემოება ნათლად გვაგონებს, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ჰაერი უვნებელი ვყოთ და ამ მხრივ შავი ჭირის შეყრის შიში თავიდან ავიცილოთ. ჰაერის სისუფთავეზე მუდამ თვალი უნდა გვეჭიროს, მტვერსა და სხვა უწმინდურებას ვერიდოთ. ამ ორი აქ მოყვანილი ბუნებითი გზით უფრო იშვიათად ეყრება კაცს შავი ჭირი. ამ მხრივ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ ხელოვნურ გზებს, აქედან უფრო ხშირად ხდება ადამიანი შავი-ჭირით ავად: ნაკაწრი, ჭრილობა ხელ-ფეხზე, ან სხვაგან სადმე ტანზე, პატარა წყლული საკმარისია, თუ ამ ადგილებს ბაცილა მოხვდა როგორმე, რომ იგი სხეულში შევიდეს. მთელ, დაუზიანებელ ტყავს რომ გატანოს, იმდენი ძალა არა აქვს, მაგრამ თუ ტყავის სიმთელე დაირღვა, გაიკაწრა ან გაიჭრა და ბაცილაც იქვეა, მაშინ ადვილად გაიკვალავს გზას და ტყავში ჩავა. თუ ეს მოხდა, ადამიანი შავჭირ შეყრილია. იქნება იკითხონ, საიდან უნდა მოხვდეს ხელზე ერთი ბეწვა ნაკაწრს ბაცილაო? საიდან, და თუნდა ჰაერიდან, თუ უკანასკნელი უსუფთაო და მტვრიანია; ავადმყოფიდან, თუ მას უვლით და მისი ნახველი, ჩირქი ან სხვა რამე გამონაჟონი მისი სხეულიდან განზე მოგვეცხოთ; საგნებიდან, ავეჯიდან, ტანისამოსიდან, საჭმლიდან თუ იგინი ავადმყოფს როგორმე ხვდებოდნენ და საკმარისად წამლებით უვნებელ ყოფილნი არ არიან.

ამ გვარად შეეყრება კაცს შავი-ჭირი. შემდეგ დაიწყობა თვით ავადმყოფობა, რომლის აღწერაზედაც ახლავ გადავალთ.

**ავადმყოფობის მიმდინარეობა, სურათი შავი-ჭირით ავადმყოფობისა.** ავადმყოფობის მსვლელობა შეიძლება ოთხ ხანად გავყოთ. პირველი, ეგრედ წოდებული დაფარული ხანა ორიდან შვიდ დღემდის (2—7) გასტანს ხოლმე, მაგრამ ამ სამზღვრებს, როგორც გვიჩვენებს მრავალი სწავლული ექიმის გამოცდილება-დაკვირვება, დაფარული ხანა ხშირად გადასცილდება და 17 დღემდისაც გაჭიანურებულა. ამიტომ საკარანტინო მიზნებისთვის დაფარულ ხანად 12—15 დღესა სთვლიან. ამ ხანას დაფარული ხანა იმიტომა ჰქვიან, რომ ამ 2—7 დღის განმავლობაში საშუალო რიცხვით, ადამიანი ავადმყოფობას ვერა ჰგრძნობს და სხეულში შესული ბაცილა ჯერ-ჯერობით თავს ვერ იჩენს. მაგრამ ამავე ხანებში ბაცილა გამრავლდება და ამასთანავე დადგება მეორე ხანა, როცა ადამიანი იგრძნობს უღონობას, დაჰკარგავს მადას და წელიც ტკივილს დაუწყებს, შეამცივნებს და ზმორებას დააწყებინებს. აი ავადმყოფობის დასაწყისი პირველი ნიშნები. ავადმყოფობა თანდათან მატულობს: პირველ ნიშნებს მოჰყვება ციების მაგიერი ცხელება, თავის ტკივილი, უგემურობა; ავადმყოფს პირი უშრება და წყლის წყურვილი უვარდება; სახე მისი ფერს ჰკარგავს და გამოუძინებელ მთვრალი კაცის სახეს მიუგავს, თვალები უცვივდება, ლაპარაკი უძნელდება და ყველა ნაირი გრძნობა უდუნდება; გულს რაღაც სევდა აწვება; ამას მოჰყვება ნაღველით გულის რევა, მწველი დამტანჯავი ციებ-ცხელება. ამ ხანას თუ ადამიანი ცოცხალი გადურჩა, დადგება მესამე ხანა, რომლის განმავლობაშიაც ავადმყოფს ტყავი უხურდება, უხმება, ბაია-გაგანიერებული თვალები ემღვრევა და უსისხლიანდება; ენა სქელი და ლორწო გადაკრულია, ხან კი თეთრი, თითქო კირში გაგანგლულიაო. ამ ხენაშივე უსივდება ჯირკვლები, უფრო ხშირად საზარდულის (პავკის), ხან იღლიის და უფრო იშვიათად ქვედა ყბის ქვეშ მდებარე ჯირკვლები. დასივებულ ჯირკვლებს ბუბონებს ეძახიან. მათზე გადაკრული ტყავი მგრძნობიარე ხდება და ხელით შეხება ძრიელ სტკენს. ჯირკვლების დასივებას ხან მუწუკების გამოყრაც მოსდევს ხოლმე, უფრო კისერზე და ფეხებზე. არა იშვია-

თი მოკლენაა აგრეთვე სიჩხლის ამონახველი და ცხვირიდან სისხლის დენა. მკერდი, მუცელი და ხელ-ფეხი ხშირად ლურჯ-წითლად არის მოწინწკლული. ეს იმასა ნიშნავს, რომ სისხლის პატარა მილები გამსკდარან და ტყავის ქვეშ სისხლი გამოღვრილა. (ალბად ამ ლურჯი პარტახტის ბრალია, რომ მე-XIV საუკუნეში სენისთვის შავი-ჭირი დაურქმევიათ). მაჯა წამში 90 ჯერ უცემს და სუსტია. შარდზე თავის დროზე ვერ გადის; ხან უშარდობა ემართება. თუ ავადმყოფი ამ ხანასაც გადურჩა, მაშინ მე 6—8 დღეზე ავად გახდომიდან, ავადმყოფს ოფლს ასხამს, ჯერ თავზე და სახეზე, შემდეგ მკერდზე და ბოლოს მთელ ტანზე; რამდენსამე საათს ავადმყოფი ოფლში ცურავს. ოფლის შემდეგ ავადმყოფს სიცხე ნელდება, გონზე მოდის, სევდა გულიდან ეყრება, ბუბონები ეწრუვიან და საქმე მორჩენაზეა მიმდგარი. ეს იქნება მეოთხე და უკანასკნელი ხანა. მაგრამ უფრო ხშირად სამწუხარო ბოლო მოსდევს ხოლმე. ავადმყოფს სიცხე არა ნელდება, მოუსვენრობა ემატება, ხან ცხვირიდან სისხლი დენას დაუწყებს, სლოკინი უვარდება და ადამიანი კვდება.

აქ ჩამოვთვალეთ ყველა ის ნიშნები, რომლებსაც თანდათანობითი ადგილი უჭირავთ შავი-ჭირით ავადმყოფობაში; დავასახელეთ და ავწერეთ ყველა ხანები, წარმოვადგინეთ ავადმყოფობის სრული, ტიპიური სურათი.

მაგრამ შესაძლებელია ავადმყოფობის სხვანაირი მსვლელობაც; შეიძლება ყველა ეს ნიშნები ერთ ავადმყოფს არ გამოაჩნდეს, შეიძლება ზოგიერთი ხანა არ გამოიაროს. ზოგი ადვილად, უფრო მსუბუქად ხდება ავად, ზოგი კი უფრო ძნელად. ბავშვები და მოხუცებულები საზოგადოდ, სუსტი აგებულობის ადამიანი უფრო ძნელად ხდება ავად, ვიდრე საღი და ჯანმრთელი. გარდა ამისა ეპიდემიის თავსა და ბოლოში უფრო მსუბუქად ხდებიან ავად და რჩებიან კიდეც, მხოლოდ შავ-ჭირიანობაში, როცა სენი უფრო გაძლიერებულია, როგორც ავადმყოფობა, ისე მორჩენაც ძნელი და საეჭვოა.

ავადმყოფობამ, შეიძლება, აი კიდევ როგორ ჩაიაროს:

შავი-ჭირის ბაცილამ სხეულში შესავალი კარი თუ ხელზე ნახა, იმ ადგილს, საცა შევიდა, ჯერ მოშენებას, გამრავლებას და-

წყებს, შემდეგ იღლიამდის გაჰყვება და იქ ჯირკვლებს დაასიებს. მსუბუქ შემთხვევაში ავადმყოფობა შეიძლება ამით გათავდეს, ბაცილა და მისი შხამი სხვაგან აღარ წავიდეს. ჯირკვლები ისევ დაპატარავდებიან დონემდის, ან გამოირწყვიან და ავადმყოფი გასაღდება. შავი-ჭირი შეიძლება ფეხზე სადმე დაიწყოს, იქ ჰპოვოს ბაცილამ თავისუფალი გზა; მაშინ იგი და მისი შხამი შემოჰყვება ფეხს და საზარდულის ჯირკვლებს დაასიებს. აქაც შეიძლება ავადმყოფობა ამით გათავდეს. ზოგჯერ მუწუკებსაც გამოაყრის ხოლმე ზურგზე, კისერზე, ფეხებზე, მსუბუქ შემთხვევაში ესეც მალე გაუვლის და ავადმყოფი რჩება (pestis ambulatoria). ყველა ამისთანა მსუბუქ შემთხვევაში ავადმყოფი პატარა უგემურობასა ჰგრძნობს, დასიებულ ჯირკვლებზე კანი სტკივა, აზმორებს და ტანში მოშლილია. ამათი თავდება მსუბუქი ავად გახდომა, რომელსაც ადამიანი ფეხზე იტანს.

მაგრამ მეორე მხრით, შეიძლება ავადმყოფობა საზარდულისა და იღლიის ჯირკვლებით არ გათავდეს, ბაცილამ და მისმა შხამმა გადალახოს ეს საზღვრები, გადავიდეს სხვა ჯირკვლებზე და ისინიც დაასიოს. მაშინ შხამი მთელ სხეულს მოედება, დააზიანებს კაცის ნერვებს, სისხლის ძილებს და გულს, შეაჩერებს და მოშლის კუჭის მუშაობას; ავადმყოფს ტანიდან ასაქმებს, შარდი უმცირდება და ხან სულაც ეკარგება, ავადმყოფი ბოდავს, ბრძოლაში და ბორგვაში, თითქოს ლოგინიდან წამოდგომას აპირობსო. ყველა ეს ავადმყოფის გვემულება სისწრაფით ხდება და შეიძლება ადამიანი 2—3 საათში გათავდეს (pestis siderans). ამ ორ უკიდურეს, მსუბუქ და მძიმე შემთხვევათა შუა შეიძლება მოვათავსოთ საშუალო ძალის შემთხვევანი.

აქ ავადმყოფობა გძელდება 3—4—5 დღემდის. თუ ამ ხანის განმავლობაში ავადმყოფი არ მოკვდა, მაშინ იმედია მორჩენისა. ეს იმედი იმდენად მეტია, რამდენიც ავადმყოფობა ნელის ნაბიჯით მიდის, რამდენიც იგი უფრო დიდხანს გასტანს. ეს სხვა-და-სხვა გარემოებებზეა დამოკიდებული: ან თვით ბაცილა, რომელმაც ავადმყოფობა გამოიწვია, მისუსტებული, ძალა-გამოლეული იყო, ან თვით ადამიანი იყო იმისთანა, რომლის სხეულსაც ავადმყოფობასთან

მეტი ბრძოლა შესძლებია და მომრავლებული ბაცილა მისი შხამიანურთ დაუძლავს. როცა ავადმყოფობა ნელა მიმდინარეობს, მაშინ კაცის სხეულს საშუალება ეძლევა დაიმზადოს, მოიკრიბოს ძალა, გაიკეთოს გამკურნავი თავისივე შრატი (ასილე ქმევიი) და შეებრძოლოს გარედან შემოსულს ბაცილას და მის შხამს, როგორც უცხო და მეტს ელემენტს მოსაშორებლად. მაგრამ თუ ავადმყოფობის მსვლელობა სწრაფია, სხეული გაჭირვებულ მდგომარეობაში გარდება, ხანი არ ჰყოფნის საბრძოლველად მოაწყოს თავისი ძალები. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ სხეული შავი-ჭირის შხამს აიტანს, მაგრამ შემდეგ ძალა გამოლეული, მასუსტებული კვდება შავი-ჭირისაგან კი არა, არამედ სხვა ავადმყოფობისაგან, რომელმაც შავი-ჭირისაგან დამაბუნებულ, დაზიანებულ სხეულში ფეხი მოიკიდა, გასამლიერებლად შესაფერი ნიადაგი მოიპოვა.

**შავი-ჭირისაგან მოხდენილი ცვლილება ადამიანის სხეულში.** შავი-ჭირით მკვდარი ადამიანის გაჭრა შემდეგს ანატომიურ სურათს წარმოადგენს: გულის მარჯვენა ნახევარი სისხლით არის სავსე; ხორცი მისი ფერ-დაკარგული და მოდუნებულია, სისხლი ოდნავ შედედებული და შავი ფერისაა; ღვიძლი და ელენთა გადიდებულნი არიან; ნაღვლის ბუშტი მოშავო და სქელი ნაღვლით არის სავსე. კუჭის ლორწოვან განზე აქა-იქ მოშავო წინწკლებია, რომლებიც სისხლის გამოღვრას ამტკიცებენ. თირკმელები გადიდებულნი და მუქი ფერისანი არიან; შარდი ბუშტში სისხლით არის შეღებილი. მაგრამ ყველაზე მეტი ცვლილება ჯირკვლებს ეტყობათ, ისინი დასისხლიანებული და გადიდებულნი არიან. საკუთარი ფერი დაუკარგავთ, მათ გარშემო ქსოვილები დაჩირქებულან. კისრის ჯირკვლებთან ერთად იღლიის ჯირკვლებიც დასიებული არიან. საზარდულის ჯირკვლებს წელის შიგნეულ ჯირკვლებთან აქვთ კავშირი, და პირველების დასივება მეორეზედაც გადადის.

**ხანგრძლივობა, ბოლო და შედეგი შავი-ჭირით ავადმყოფობისა.** შავი-ჭირით ავადმყოფობის ხანგრძლივობაზე გადაწყვეტით არა ითქმის-რა; მთელი ავადმყოფობა ერთ შემთხვევაში შეიძლება სულ რამდენიმე საათში გათავდეს, მეორე შემთხვევაში კი დიდ ხანს გასტანს. საშუალო ხანგრძლივობად კი მიღებულია დრო რამ-

დენიმე საათიდან ვიდრე 6—8 დღემდე. ავადმყოფი ზოგჯერ პირველ-ან მეორე, უფრო კი ხშირად მე 3—5 დღეზე კვდება. თუ ავადმყოფობამ ამაზე მეტი ხანი გასტანა, მაშინ მორჩენის იმედია; იმედი უფრო მეტია, თუ ავადმყოფმა სენს მე-7—8 დღემდე გაუძლო. რჩება ადამიანი ნელ-ნელა, დიდი ხნის, 3—4 კვირის განმავლობაში. სრულიად გასაღებას ზოგჯერ ამაზე ნაკლები ხანი უნდება. რჩენის დროსაც მოსალოდნელია ზოგიერთი გაძნელება და გართულება ავადმყოფობისა, რომელიც არა ნაკლებ საშიშია ადამიანისთვის. მაგალ. ბუბონების დაჩირქებას შეიძლება ჩირქის სისხლში შერევა მოჰყვეს, და მარტო ეს საკმარისია, რომ კაცი წუთი სოფელს გამოესალმოს.

**გამოცნობა და შედეგის შეტყობა.** როგორ შევიტყოთ, რომ ავადმყოფი შავი-ჭირით არის ავად და არა სხვა ავადმყოფობით? თუ შავი-ჭირი ძლიერად მოსდებია მხარეს, ზემო მოყვანილი ნიშნების მიხედვით, ადვილია შავი-ჭირით ავადმყოფობის გამოცნობა. მაგრამ თუ ჯერ შავ-ჭირს მხარეში თვალსაჩინოდ თავი არ უჩენია, ან შემთხვევა შავი-ჭირიანობის გათავების, განელების ხანებს ეკუთვნის, მაშინ ზოგჯერ ფრიად ძნელია შავი ჭირის გამოცნობა და ამ მხრივ ბევრ კაი ექიმს მოსვლია შეცდომა. საქმე იმაშია, რომ შავი-ჭირისთანა ნიშნები ზოგ სხვა ავადმყოფობასაც აქვს ხოლმე, ამისთანაა მაგ. შავი-სახადი; შავი-ჭირის მუწუკების სუზარას (ტილეხის) მუწუკებისაგან გარჩევა ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც არის, რადგანაც ისინი მთლად ერთმანეთსა ჰგვანან. ზოგჯერ ათაშანგით ან სატკბურით ავადმყოფს თუ ციება შეეყარა, შავი-ჭირით ავადმყოფისთანა ნიშნები გამოაჩნდება. ეს მაგალითები საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ზოგჯერ შავი-ჭირის გამოცნობა ძნელია. მაგრამ გარეგანი ნიშნების გარდა ეხლა გვაქვს იმისთანა საშუალება, რომლის შემწეობითაც ნამდვილად და შეუშლელად შეგვიძლიან შავი-ჭირი სხვა მის მსგავს ავადმყოფობისაგან გავარჩიოთ. ეს საშუალება მიკროსკოპია, მხოლოდ მის მოხმარებას ცოდნა უნდა და მათი გამოკვლევა ყველას არ შეუძლიან.

ვსთქვათ, გამოვიცანით ავადმყოფობა, გავიგეთ ისიც, რამდენად აქვს ავადმყოფს სხეულში გამჯდარი შავი-ჭირი, როგორ-და შევი-

ტყობთ, რა მოჰყვება ამ ნაირ მდგომარეობას. ამის გათვალისწინებას თვით ავადმყოფობის თავიდან ბოლომდის ცოდნა შეგვაძლებინეს.

თუ შავი-ჭირი იმ მხარეზე ძლიერ არის მოდებული, სწრაფი, მძაფრი ხასიათისაა, მაშინ ავადმყოფის მომავალი სამწუხაროა. შავი-ჭირიანობის დასაწყისში და ბოლოში კი უფრო არის მორჩენის იმედი. ბუბონების გაზრდაც თავის კვალობაზე კაი ნიშანია, რადგანაც იგი ავადმყოფობის ნელად მიმდინარეობის მომასწავებელია. ბუბონების გამორწყვაც აგრეთვე მოასწავებს. საზოგადოდ თუ ავადმყოფობამ 4—5 დღეს გადააცილა, დიდი იმედია მორჩენისა. შემდეგის გასათვალისწინებლად წლოვანობასაც აქვს მნიშვნელობა: ბავშვები და ბებრები უფრო ვერ იტანენ შავ-ჭირს. კისერზე ჯირკვლების დასივება და სისხლის დენა ცუდი ნიშნებია. აგრეთვე პარტახტის გამოყრა, ბოდვა. ბოლოს, როგორც ყველა გადასადები სენის, აგრეთვე შავი-ჭირის ეპიდემიასაც ყოველთვის ერთი და იგივე ძალა არა აქვს.

**სიფრთხილე, თავის მოვლა და წამლობა.** თუ იმ დროის მიებათ, რომლებიც უწინ ჰქონიათ, ახლანდელ ჩვენ დროის-მიებებს შევადარებთ, მათ შორის დიდ განსხვავებასა ვპოვებთ. უწინ სახელმწიფოები არავითარ მტკიცე საშუალებებს არ ხმარობდნენ, რომ მოარული სენისთვის გზა შეეკრათ, ჭირიანი ქვეყანა საღი ქვეყნისაგან მოეჭრათ. თვით საზოგადოებაც განვითარების იმ უმდაბლეს ხარისხზე იდგა, რომ შავ-ჭირთან ბრძოლა შეუძლებელი ხდებოდა. როგორც ვსთქვით; გასაკვირველი არ იყო ის ზომები, რომლებსაც მაშინდელი განათლებული და გაუნათლებელი ხალხი ხმარობდა ჭირის წინააღმდეგ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ზღაპრებს, რომლებიც იმ ხანად შავი-ჭირის გაჩენაზე გავრცელებული იყო.

მაგალ. მე-XV საუკ. ჩრდილო საფრანგეთში, Proyes მმართველობას ასე ეგონა, რომ შავი-ჭირის მიზეზი ზაფხულის სიცხე, ქუჩების და სახლების უწმინდურობაა და ამიტომ გასცეს ბრძანება, ვინც შავი-ჭირით ავადმყოფს უვლის, წითელი ტყავის ტანისამოსი ატაროს, ფეხებზე ეჟვნები დაიკიდოს, რომ მისი მოახლოვება შორიდან გაიგონ და ჩამოეცალონ. სახლებზე, სადაც ავადმყოფები წვა-

ნან, ყველგან თეთრ ჯვრიანი ბაირაღები იყვეს მიკრულიო. უსასლკარო გლახები 24 საათის განმავლობაში ქალაქიდან გავიდნენ, და თუ ამ ბრძანებას არ შეასრულებენ, სცემენ და ყურებს დააჭრიანო.

რაც შეეხება უწინდელ წამლობას, ის ბევრნაირი იყო, მაგრამ ყველა გამოუსადეგარი და შემთხვევითი. ერთი ექიმი ყინულით ტანის სრესაც ურჩევდა. მეორე თამბაქოს წევას; მესამე კიდევ პერანგის მარილ-წყალში გავლებას; ვითომ და «სიდამპლის» წინააღმდეგ ზოგი მჟავე საჭმელს და სიმჟავეების სმას ურჩევდა: ლიმონს, ძმარს, მჟაუნას წვენს და სხვ.

ეხლა კი სულ სხვაა: სახელმწიფო და საზოგადოება ისე პასსიურად აღარ ეკიდება ამ საყოველთაო მტერს, იგი დიდა ხანია შეერთებული ძალით შავი-ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ ღონისძიებებს იკვლევს.

ხალხთა შორის სანიტარულმა კონფერენციამ ვენეციაში შეიმუშავა ზომები, რომლებითაც უნდა მოუჭრას გზა შავი-ჭირის გავრცელებას და მის ევროპაში შემოსვლას. აი თვით ის ზომებიც.

1. თუ რომელიმე ევროპის სახელმწიფოში ავად გახდა ვინმე, ეს შემთხვევა ამ სახელმწიფომ უთუოდ კონფერენციაში მონაწილეობის მიმღებ სახელმწიფოებს უნდა შეატყობინოს და ყოველ კვირა ავადმყოფობის მსვლელობა აცნობოს.

2. სამზღვრებზე აუცილებლად საჭიროა დეზინფექცია.

3. სმელეთის კარანტინები, როგორც უსარგებლონი, არ უნდა იქმნენ

4. ყველა შავი-ჭირით გამსდარი სადეზინფექციოდ უნდა იქმნეს შეკავებული.

5. ჭირიან ქვეყნიდან მოსულებს ექიმებმა ათის დღის განმავლობაში თვალი უნდა ადევნონ და არსად გაუშვან.

6. გადმოსასახლებლად გამომგზავრებულ ბოშებისთვისსამზღვრები შეკრული უნდა იყვეს.

ყველა ეს ზომები, ჭირიანი ქვეყნებიდან მომავალი გემების დაუცხრომელი თვალ-ყურის დევნება იმედს გვაძლევს, რომ შავჭირს შემოსასვლელი გზები გადაჭრილი აქვს. ჯერ ამ ზომებით ებრძვიან ევროპის სახელმწიფონი, და მათი გონება იმისკენ არის

მიქცეული, შავი-ჭირი არ შემოუშვათო, მაგრამ ეს მხოლოდ სხვა მრავალ ზომებთა შორის ერთი ზომაა. რასაკვირველია, როცა კითხვა სიკვდილ-სიცოცხლეზეა მიმდგარი, იქ ყოველი ღონის-ძიება უნდა იხმარონ; მხოლოდ კარანტინულ ზომებზე დიდი იმედი არ უნდა დავამყაროთ. მართალია-და, განა შესაძლებელია კაცმა დარწმუნებით სთქვას, რომ კარანტინებს ზღვაზე თუ ხმელეთზე, რაც უნდა ფრთხილი იყვეს იგი, შავი-ჭირი ვერ შემოეპარებაო? რასაკვირველია, არა. ეს რომ ასე იყვეს, მაშინ რაღა მზადება, რაღა წამლები და სისუფთავე გვინდოდა: დავაყენებდით კარანტინებს და სრული იმედი გვექნებოდა, რომ ჭირი ვერ შემოგვივიდოდა. მაგრამ ეს ესე არ არის; კარანტინები შავი-ჭირის შემოსვლას დროებით შეაჩერებენ, მხოლოდ სრულიად შეკავება კი არ შეუძლიანთ. ამ გარემოებას დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს, და ყველა ის, რაც ხალხის სანიტარულ მდგომარეობას აუმჯობესებს, ასუფთავებს ჰაერს, წყალს და ნიადაგს—ყველა ეს როგორც შავი ჭირის, ისე სხვა გადასადებ სენისგან საუკეთესო და საიმედო ფარადა სცნეს. ექიმები მიუინებით აქცევენ საზოგადოების ყურადღებას ამ გარემოებაზე და მართალნიც არიან. ამასვე გვეუბნება ყოველ დღიური გამოცდილება, ამას გვასწავლის წარსული, სხვა-და-სხვა ეპიდემიის ისტორია და ამასვე გვიმტკიცებს ინდოეთის ეხლანდელი მაგალითი.

«სიფაქიზე და განცალკევებაო», აი უებარი წამალი შავი-ჭირის წინააღმდეგო,—ამბობს სკორიჩენკო და დასამტკიცებლად ჩინეთის ქალაქ კანტონის მაგალითი მოჰყავს (იხილე ზევით).

ეს განცალკევება პირველი ღონის-ძიებაა, რომელსაც მმართველობამ და საზოგადოებამ უნდა მიჰმართოს, თუ როგორმე შავი-ჭირი სახელმწიფოში შემოვიდა და რომელიმე კუთხეში, ქალაქში ან სოფელში გაჩნდა. ამისთანა ქალაქს თუ სოფელს ალყა უნდა შემოერტყას, სხვა ადგილებისაგან მიმავალი ყველა გზები შეეკრას, რომ შიგ მცხოვრები ხალხი აქეთ იქით არ გაიქც-გამოიქცეს და მით სენი მთელ ქვეყანას არ მოსდოს. თვით ქალაქში ფართოდ მოიხმარონ ჰიგიენური და საექიმო საშუალებანი. ეს კაი საშუალებაა შავი-ჭირის სათავეშივე მოსპობისა. ამ საშუალების საზრიანობას მაგალითი გვიმტკიცებს.

აქ ჩამოთვლილ საშუალებებს გარდა, რომელთ გამოყენება მმართველობის და მთელი საზოგადოების ხელშია, გვაქვს კიდევ სხვა, წმიდა საექიმო საშუალებანი, მაგრამ სანამ მათ აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროა წინ წავუმძღვაროთ ზოგიერთი ცნობები სენის გატან-გამოტანის, საგნებიდამ გადადების და ამ მხრივ სიფთხილის შესახებ.

ბუბონებიდან გადმოსული ჩირქი, აი რა არის საშიში და რას უნდა უფრთხილდეს ადამიანი. როგორც ზევითაც ვსთქვით, დასივებული ჯირყვლები ბაცილებით არის გამოტენილი. აი ეს აუარებელი რიცხვი ბაცილებისა გადმოსდევს ჩირქს და თუ მოეცხო ტანისამოსს ან სხვა რამე საგანს, ბაცილებიც თან გაჰყვებიან და ამ ნაირად შავი-ჭირი ყველგან ვრცელდება, ამიტომ ჩირქს და ავადმყოფის სხვა გამონავალს, ამონახველს, რადგანაც იმათშიაც არიან ბაცილები, უსათუოდ წამლები უნდა დაესხას, საჭიროა მათი დეზინფექცია. ყველა ამ გვარი დარიგების შესრულება, რასაკვირველია, ძნელია მაშინ, როცა სენი მძლავრად მოედება ერთბაშად ბევრს; სად შეუძლიან უბრალო ხალხს ყველა ეს მოიმოქმედოს! ამიტომ საჭიროა ავადმყოფები საავადმყოფოში გაგზავნონ ხოლმე, სადაც ყველა ეს ღონის-ძიება მიღებული იქნება, და ეს თვით ავადმყოფისთვასაც საჭიროა, რადგანაც იქ უფრო კარგად მოუვლიან, და მით სენის გაძლიერებასაც ბოლო უფრო ადვილად მოეღება.

შემდეგ, შემჩნეულია, რომ შავი-ჭირი ვირთაგვებს ძლიერ ემტერება და მუსრს ავლებს. თითქმის შავი-ჭირის ამოჩენის მხარეში მათი მუსვრა წინ მიუძღვის ხოლმე. ჩინეთში იერსენმა ჭირიან ქალაქების ქუჩებში დახოცილი ვირთაგვების აუარებელი რიცხვი ნახა. ვირთაგვები ერთმანერთს სჭამენ და მით უფრო ვრცელდება მათ შორის შავი-ჭირი, ამავე დროს მხარეშიც გააქვთ-გამოაქვთ. რადგანაც ვირთაგვები სახლებში სცხოვრობენ, ამიტომ საჭიროა სიფთხილე და თვალის ჭერა, დახოცილი ვირთაგვების დეზინფექცია და ღრმად მიწაში ჩაფლა, ხოლო ცოცხლების გაჟლეტა და მათი დამარხვაც. ესევე ითქმის თაგვებზეც. იერსენმა გამოიკვლია და დარწმუნდა, რომ შავი-ჭირი ბუზებსაც ავლებს მუსრს, აქედან სჩანს, რომ ჭირის გადატანა და გავრცელება ბუზებსაც შესძლებიათ, ამ

მხრივაც გაფრთხილება გვმართებს. შავი-ჭირი შეიძლება შინაურ ცხოველებსაც გადაედოს, მაგ. ძაღლებს, კატებს, სხვების შესახებ ჯერ ცნობები არა გვაქვს. მესამე, რასაც უნდა გაუფრთხილდეს კაცი, ეს სასმელ-საჭმელია. ესენი შეიძლება ჭირიანმა თაგვებმა მოშხამონ, ბაცილები პურს, ფქვილს, წყალს და სხვა სანოვაგეს მოსცხონ. რადგან შავი-ჭირის ბაცილა მაღალ სითბოს ვერ უძლებს, ამიტომ სრულიად საკმარისია დუღილი, რომ მოშხამული წყალიც კი უვნებელი გახდეს. ახლად მოხარშულ საჭმელში ბაცილები თუნდაც რომ იყვნენ, მკვდრები არიან და ვნების მოტანა არ შეუძლიანთ.

ეჭვს გარეშეა, რომ ტანისამოსით და სხვა საგნებით, რომლებიც ასე თუ ისე ავადმყოფს ხვდებოდნენ, სენის გადატანა-გავრცელება შეიძლება. ტანისამოსზე თუ სხვა საგანზე მიმხმარი ბაცილა კარგა ხანს ცოცხლობს და იქიდან ადვილად შეიძლება ზევით დასახელებული გზებით ადამიანის სხეულში გადავიდეს.

ფრარი (Frari) მოგვითხრობს, რომ ერთ მონასტერში შავი-ჭირი გაჩნდა. მოძღვარმა მონასტრის ყველა ქაღალდები და წიგნები ცალკე ყუთში ჩააწყობინა და თვითონ ოთხი წლით მონასტერს გაშორდა. ოთხი წლის უკან დაბრუნდა, გააღო ყუთი და ქაღალდები ამოალაგა; მოძღვარი და მასთან მყოფი რამდენიმე ბერი ავად დასხდნენ. ამისთანა მაგალითები და კიდევ ახალი ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი შავი-ჭირის ბაცილის შესახებ გვიმტკიცებენ, რომ შავი-ჭირის ბაცილა შესაფერ პირობებში დიდხანს სძლებს და მომშხამავ ძალას იჩენს.

იერსენმა 3—4 სანტიმეტრის სიღრმეზე მიწაშიაც იპოვა შავი-ჭირის ბაცილები. მაშასადამე შავი-ჭირის გადადება მიწიდანაც შესაძლებელი ყოფილა. მიწაში რომ ბაცილას ხანგრძლივი სიცოცხლე შეუძლიან, ამას გვიმტკიცებს ზოგიერთი მოწმობა, რომ ძველი, შავი-ჭირით მკვდრების სასაფლაოების გათხრის შემდეგ შავ-ჭირს ხელ ახლად თავი უჩენია. საექიმო მეცნიერებას შეუძლიან სამართლიანად თავი მოჰქონდეს შავი-ჭირისგან მოსარჩენ წამლისგამოგონებით ამ ბოლოს დროს. ეს უებარი წამალი არის ეგრედ წოდებული შავი-ჭირის საწინააღმდეგო შრატი. განსაცვიფრებელ ცნობებს გვაწოდებს იერსენი, შრატის მომგონი, ამ წამლის მოქმედების

შესახებ. ეს წამალი იმდენად ძლიერია და მალე უხდება, რომ სულ მოკლე ხანში არჩენს ავადმყოფს, ჯერ-ჯერობით ოც და ექვსი კაცის შესახებ გვაქვს ცნობები, რომლებიც იერსენმა შრატით არჩინა და ოც და ექვსში მხოლოდ ორი მოუკვდა, ისიც იმიტომ რომ შველა დაგვიანებული იყო. ოც და ექვსში ორი, ე. ი. ასში შვიდი-ღა კვდება ამ წამლობის შემდეგ, როცა უწინ ასში ასივე კვდებოდა, ავად გამხდარს შველა აღარა ჰქონდა. ამისთანა სასწაულმოქმედი წამალი, იმედი უნდა გვქონდეს, შავი-ჭირისაგან ბევრს დაგვიფარავს. აი ერთი მაგალითი ამ წამლის მოქმედებისა: ახალგაზრდა ჩინელი, 18 წლის ყმაწვილი, უკვე რამდენსამე დღეს უქეიფოდ იყო, რომ უცბად მარცხენა იღლიაში ტკივილი იგრძნო; ეს მოხდა 26 ივნისს, დილის 10 საათზედ. შუადღისას მისცა სიცხე და იძულებული შეიქმნა დაწოლილიყო. საღამოს 5 საათზედ იერსენმა 10 კუბ. სანტიმ. (ორი ჩაის კოვზი) შავი-ჭირის საწინააღმდეგო შრატი ტყავ-ქვეშ შეასხა. ამ ხანობაში ავადმყოფს უკვე პირსაქმება და ბოდვა დააწყებინა. ეს ავადმყოფის საშიში მდგომარეობის ნიშნები იყო. 6 და 9 საათზე კიდევ და კიდევ შეასხა შრატი. შუაღამიდან ავადმყოფს დამშვიდებით ეძინა, დილის 6 საათზე გამოიღვიძა და უკეთესობა ეტყობოდა. სიცხე თანდათან გამონელდა, ღონე მიეცა, ბუბონები დაუცხრნენ და ავადმყოფი გასაღდა.

შემჩნეულია, რომ რამდენიც უფრო ადრე იქნება ხმარებული შრატი, იმდენი უფრო იმედია მორჩენისა. თითო ავადმყოფს შრატი 10—90 კუბ. სანტიმეტრამდის უნდება.

შავი-ჭირის საწინააღმდეგო შრატი არა თუ ავადმყოფს არჩენს, არამედ ის თვისებაცა აქვს, რომ თუ საღმა ადამიანმა იგი შეისხა, მას ძნელად-ღა შეხვდება შავი-ჭირი. შრატის შესხმით ადამიანის სხეულში მზადდება იმისთანა ნიადაგი, სხეული იმისთანა თვისებას იძენს, რომ შავი-ჭირის ბაცილა იქ ველარა ბოგინობს. მხოლოდ შრატის შეშხაპუნებით შექმნილი თვისება სხეულს ორ კვირაზე მეტს არა რჩება; მაგრამ თუ ჟამი კიდევ მძვინვარებს და ავად გახდომა კიდევ მოსალოდნელია, მაშინ ადამიანს შეუძლიან ხელმეორედ შეიშხაპუნოს შრატი და მით კიდევ ორი კვირით აიცდინოს შავი-ჭირის შეყრა. რაც შეეხება იმ კითხვას, გაქრება თუ არა

საკმარისი შრატი, ამ მხრივ იმედია, რომ იგი ბლომად იქნება, რადგანაც უკვე ყველგან შეუდგნენ მის დამზადებას: პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში.

როგორ აკეთებენ შრატს? აი კიდევ ერთი საკითხავი შრატის შესახებ. შრატის დამზადება დიდ შრომასა და წვალებას ითხოვს:

აგარზედ (ერთგვარი მცენარის ლორწოა შეზავებული) მოშენებულ და აგარიანადვე პირველად 58 გრადუსამდის გაცხელებულ შავი-ჭირის ბაცილებს ცხენს ძარღვში—ვენაში შეასხამენ. ცხენს ამას შემდეგ სიცხეს აძლევს, ტემპერატურა 40—41,5 გრადუსამდის ადის და ამ დონეზე რამდენსამე დღესა სდგას. შემდეგ სიცხე თანდათან გამოსწორდება და ორი კვირის შემდეგ ამ ოპერაციას ხელახლად გაიმეორებენ, მხოლოდ რამდენიც ცხენი ეჩვევა, იმდენი უფრო და უფრო, სიცხით ძალა-გამოლეულს კი არა, მხამიან და ღონიერ ბაცილების ნაშენს ასხამენ. ეს ხან-გამოშვებითი ოპერაციები იმდენ ხანს გასტანენ, სანამ ცხენი ბაცილების წმინდა ნაშენის შესხმას არ აიტანს. ამის შემდეგ კი ცხენი შავ-ჭირს შეჩვეულია და მისი სისხლისაგან მიღებული შრატი შავი-ჭირისაგან მკურნავი წამალია. ერთი ცხენისაგან მიღებული შრატი 60—80 ავადმყოფისა ჰყოფნის.

ამ ბოლო დროს მოგვივიდა ცნობები, რომ ხავკინმა შემოიღო შავი-ჭირისაგან მხსნელი აცრაო; ასაცრელად იგი გაცხელებით დასუსტებულ შავი-ჭირის ბაცილების ნაშენსა ხმარობს. პირუტყვებზედ ცდის შემდეგ, ხავკინმა თავის თავზედაც სინჯა ეს აცრა და მკერდის გვერდზედ 10 კუბ. სანტიმეტრი, 70° გრადუსამდის გაცხელებული, შავი-ჭირის ბაცილების ნაშენი შეისხა. აცრის შემდეგ ხავკინს სიცხე მისცა, ნაჩხვლეტი ალაგი დაუსივდა და ასტკივდა. 24 საათის შემდეგ ყველა ამან გაუარა და ხავკინი უვნებელი დარჩა.

შრატის გარდა საჭიროა მაშველი საშუალებანიც: ჯანის გამაგრება ხეირიანის საჭმელ-სასმლით, ჰიგიენური ცხოვრებით; წყალი, რძე და სხვა ამისთანა უთუოდ ნადუღი უნდა დალიოს. ადამიანი ტყავის გაჭრას ან გაკაწვრას უნდა ერიდოს და, საზოგადოდ, კანი მთელი შეინახოს. თუ სადმე ჭრილობა აქვს ან ნაკაწრი, შავი-ჭირით ავადმყოფს და საეჭვო საგნებს ერიდოს, მისებურად ავადმყოფის-

თვის კარგია ცოტაოდენი ღვინის სმა. ავადმყოფობის დროს, ზოგჯერ ადამიანს შარდი ეკარგება, გარზე ველარ გადის, ეს ცუდი ნიშანია და ამისთანა შემთხვევაში საჭიროა შარდის მომგვრელი და ტანიდან მოსაქმებელი წამლები.

თუ ავადმყოფი მორჩენაზეა, კარგია გასები, ბანაობა, ნოყიერი და სუფთა საჭმელი, მაგალითად რძე და სხვანი.

## დეზინფექცია

დეზინფექციას მიზნად აქვს წამლებით, ცხელი წყლით, ორთქლით, გახურებული ჰაერით და კიდევ სხვა საშუალებებით შექმნას იმისთანა პირობები, რომ გადასადები სენის გამომწვეველმა ორგანიზმოებმა ვერ იხეირონ, ან თუ ისინი უკვე გაჩენილნი არიან, დახოცოს, მათ გამრავლებას ხელი შეუშალოს და მათი შხამი ადამიანისთვის უვნებელი ჰყოს. სხვა-და-სხვა საშუალებათა შორის მდუღარე წყალი ფრიად ღონიერია და რამდენიმე წამში ყველა ნაირ ბაცილასა ჰკლავს. გახურებულ ჰაერს უფრო ნაკლები ძალა აქვს; იგი კოხის გამოკვლევით 100 გრადუსამდის გახურებული მხოლოდ საათ ნახევარში ჰხოცავს ბაქტერიებს; ამ უკანასკნელებს სიცივისა აგრე რიგად არ ეშინიანთ, როგორც სიცხისა. სიცივეში, მართალია, მათი გამრავლება ჩერდება, მაგრამ სიკვდილით კი არა კვდებიან, და თუ შესაფერ პირობებში ჩავარდნენ, ისევ იწყებენ მოშენებას. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვსთ სიცივეზე და გახურებულ ჰაერზე წამლებს, ქიმიურ საშუალებებს, — სიმჟავეებს, მარილებს, ტუტეებს. მათ შორის დავასახელებთ სულემას, ტიმოლს, კალის საპონს, სალიცილის სიმჟავეს, კარბოლის სიმჟავეს, როგორც უფრო ღონიერ და მაგარ საშუალებებს.

ახლა ავწეროთ, როგორ უნდა იხმაროს კაცმა ეს წამლები სხვა-და-სხვა შემთხვევაში და რომელი უფრო გამოსადეგია ამა თუ იმ საქმეში.

**ხელების დეზინფექცია.** თუ ვინიცობაა ადამიანს ავადმყოფის მოვლა მოუნდა, შეუძლებელია ხელებზე არა გადაედოს-რა, ამიტომ მათი მოვლა, წამლებით გაბანა სენის გადადების ასაცდენად უსათუოდ საჭიროა. ხელები ჯერ კარგად უნდა დაიბანოს წმინდა წყლით

და საპნით, ფრჩხილები სუფთად გამოიწმინდოს და შემდეგ 80%-იან სპირტში გავლებული ტილოთი გაიწმინდოს, ან 0,1%-იანი სულემის ხსნილი ხელებზედ გადაივლოს (ერთი წილი სულემა 1000 წილ წყალში უნდა გაიხსნას, ამისთანა ხსნილს სუბლიმატი ჰქვიან).

**პირის დეზინფექცია** რადგანაც მაგარი წამლებით არ იქნება, თბილ წყალს, ბორის სიმჟავეს (100 წილ წყალზე 4 წილი ბორის სიმჟავე) ან კიდევ მარილ-წყალს (1000 წილ წყალზე 6 წილი უბრალო მარილი) უნდა მივმართოთ და ან ერთით ან მეორეთი პირი ვირეცხოთ ხოლმე.

**ლითონის იარაღის დეზინფექცია.** ყველას სჯობია ლითონის იარაღი 5 წამის განმავლობაში წყალში ადუღოთ. წყალს კარგია 1% სოდა მიემატოს, იარაღი აღარ დაჟანგდება.

ყველაზედ საშიში და საფრთხილო სენის გავრცელებაში შარდი, ამონახველი, ჩირქი და ავადმყოფების ტანიდან სხვა გამონავალია.

**განავალს,** ყველაზე უმჯობესია, ეგრედ წოდებული კირის რძე დაესხას ბლომად. ავადმყოფს უნდა ჰქონდეს რამე ჭურჭელი, რომელშიაც ცოტა კირის რძე იქნება ჩასხმული, შემდეგ განავალს ზევიდანაც ბლომად კირის რძე უნდა დაესხას. ერთი საათი სულ კმარა, რომ განავალი უვნებელი გახდეს. კირის რძე დიდი ხნისა არ უნდა იყვეს.

აი მისი მომზადება: კირს დააქრობენ, დამქრალი კირის ერთწილს ოთხ წილ წყალში გახსნიან და კირის რძე მზად არის.

**ფეხის ალაგებისთვის** იგივე კირის რძე ყველასა სჯობია. ამ რძეს ფეხის ალაგში მიასხ-მოასხამენ და ორმოშიც ბლომად ჩაასხამენ. კირის რძე ძვირად არა ჯდება და ადვილი მოსამზადებელიც არის, ამიტომ კაცმა იგი არ უნდა დაიშუროს.

განავალის და ფეხისალაგების სადეზინფექციოდ ხმარობენ კიდევ კარბოლის სიმჟავეს, ლიზოლს და სხვ. მაგრამ ესენი კირის რძეზე ძვირადაც ჯდება და მას ერთიც არა სჯობია.

**შარდი,** როგორც სენის გამავრცელებელი, იმდენად საშიში არ არის, მაგრამ უყურადღებოდ ისიც არ უნდა დაიტოვოს. აქაც კირის რძე ყველა საშუალებებსა სჯობია.

**ნახველი** არ უნდა გასხმოთ. ამისთვის საჭიროა ავადმყოფმა წყლიან ჭურჭელში აფურთხოს. სანამ ნახველი სველია, საშიშა არ არის, მაგრამ თუ გახმა და მტვრად ჰაერში ავიდა, თან ბაქტერიებს აიტანს და ჰაერი მოიშხამება, საშიში გახდება. ცხვირსახოცში, იატაკზედ ავადმყოფმა არამც და არამც არ უნდა გააფურთხოს. ჭურ-

ჭელში მოგროვილი ნახველის გადაღვრამდის, უთუოდ წამალი უნდა დაესხას, რომ ბაქტერიები დაიხოცნენ.

ამისთვის ხმარობენ 10%-იან ლიზოლს, 5—10%-იან კარბოლის სიმჟავეს, ან 0,2%-იან სულემას. ამ წამლების დასხმა არა კმარა, რადგან ზევიდან დასხმული წამალი ნახველს ყველგან ვერ გაუჯდება, ამიტომ საჭიროა წამლისა და ნახველის არევა. ნახველი, თუ ძლიერ ბევრი არ არის, შეიძლება ცეცხლშიაც დაიწვას.

**თეთრეული.** საეჭვო თეთრეულს ნახევარ საათის განმავლობაში ნავთ შერეულ საპონ-წყალში ადუღებენ. (2 ვედრო წყალზე საჭიროა ნახევარ გირვანქა და 10 მისხალი მწვანე საპონი, და ორი კოვზი ნავთი). შემდეგ ცივ წყალში გაავლებენ, კიდევ ცხელი წყლით და საპნით გარეცხავენ, ხელმეორედ გაავლებენ ცივ წყალში და მზეზე გაჰფენენ. ავადმყოფისაგან გასვრილი თეთრეული მაშინვე სველ ტილოში უნდა გაახვიონ და გასარეცხავად ისე იქმნეს გატანილი.

**ლოგინი** უნდა ხშირ-ხშირად გამზევდეს, ზედ შუაგულ მზეზე გაიფინოს. ტახტებს, ტყავის ავეჯს და სხვას 5%-იანი კარბოლის სიმჟავე უნდა შეესხას.

**ტანისამოსისთვის** კარგია ფორმალინი. ტანისამოსს ყუთში, ან სკივრში აწყობენ და მათ შუა და შუა ფორმალინ გამჯდარ ტილოებსა ჰფენენ. ორი საათი სულ საკმარისია, რომ ტანისამოსი უვნებელი გახდეს. ფორმალინს ცოტა არ იყოს ცუდი სუნი აქვს. მისი მოშორება ამიაკით შეიძლება.

**საჭმელი** თავის დღეში ავადმყოფის ახლო არ უნდა დადგათ, იმის ოთახშიაც კი არ უნდა შეიტანოთ; ჭურჭელი, რომელშიაც საჭმელს ინახავთ, კარგად უნდა იყოს თავ-დახურული. ავადმყოფის მონარჩენი კი უნდა მაშინვე დაიწვას. რძე და წყალი აუდუღარი არ უნდა დაილიოს.

**სახლსაც** კაი მოვლა უნდა. ავადმყოფის ოთახში სურათები, ფარდები და ყველა მომეტებული ავეჯი, რაც კი მტვერს ძლიერ იღებს, არ უნდა იყოს. ავადმყოფის შემდეგ ოთახს ათი საათით სტოვებენ ცარიელს, რომ მტვერი ძირს ჩამოვიდეს და შემდეგ 5%-იანი კარბოლის სიმჟავეს მიასხ-მოასხავენ პულვერიზატორით; ავეჯს 3%-იანი კარბოლის სიმჟავე უნდა დაესხას, ისე რომ არც ერთი კუთხე, არც ერთი ავეჯი არ უნდა გამოეპაროს წამალ-დაუსხმელი და გაუსუფთავებელი. ამეებისათვის კარბოლის სიმჟავე და კირის რძე ყველაზედ უფრო გამოსადეგნი არიან.

კოტე ელიოზიშვილი

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია.

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი.

# ქართველთა ამხანაგობის

## გამოცემანი

(ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ ბაღის კუნჭულში)

| | მ.—კ. |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . . | 1—20 |
| იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერივე ყდით (თითო) . . . . . . . . | 2—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . | „—80 |
| იგივე მშვენიერი ყდით. . . . . . . | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . . | „—15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი . . . . . | „—30 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . . | „—40 |
| იგივე შვენიერი ყდით . . . . . . . | „—90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I . . . . . . . . | 1—20 |
| იგივე ტომი II . . . . . . . . | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით . . . . | 2—50 |
| იგივე ტომი III . . . . . . . | 1— „ |
| იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . | 3— „ |
| ჩანგი . . . . . . . . . | 1— „ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . . . | „—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I . . . . . | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . | 2—50 |
| იგივე ტომი II . . . . . . . | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . . . . . . | „—75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე . . . . . . | 1—50 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა . . | 1—50 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . . | 1— „ |
| იგავ-არაკნი, მისივე . . . . . . . | „—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . . | 2—50 |
| ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯ. ორბელიანისა . . . . . . . . | „—25 |
| საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი | „—40 |
| მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . . | „—40 |

| | |
|---|---|
| აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა . . . . . | 1— „ |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . | 1—60 |
| დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა . . . | „—25 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . . . | „—30 |
| სიბრძნე ბალავარისი . . . . . . | „—30 |

---

Вышла въ свѣтъ и продается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ новая книга

**Юрія Кази-Бека**

# „ВСЕГО ПОНЕМНОГУ"

***Очерки и разсказы***

ИЗДАНІЕ

**ІАСЕ РАЧВЕЛИ**

ЦѢНА 1 РУБ., СЪ ПЕР. 1 РУБ. 25 КОП.

Выписывающіе изъ склада, С.-Петербургѣ, Екатерининская ул., д. № 6, А. Б. Лефебвръ, за пересылку не платятъ.

ლ[ოს] არა ჩვენგან და არა სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან, აწე გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურა ოდეს ნუ მოუშლით და შეცილებით, თუინიერ შეწევნისა და თანა დგომისაგან კიდე, დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქჳსა ტნ, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის ბირთუელისითა. **შაჰნავაზ, მარიამ** (ჩართულები)

ქ. ესე წყალობა და ბძანება ჩვენცა ასრევე დაგვიმტკიცებია, ნურავინ შლად ყოფთ. ქჳსა ტჟდ, ქრისტიშობისთვის კგ.

| ნაზარალიხან |

---

**315.** ნასყიდობის წიგნი გერმანოზისშვილის პაატასი. 40×25,5 სანტ., დაწერილია გასანთლულ ქაღალდზე, ნუსხა მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი. შესავალი და წყევლა განგებ გამოუშვით.

**1669, თიბათვის 20.** ქ... ესე უკუნის ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცილებელი, მიზეზ დაუდებელი, დრო შემოუვდებელი წიგნი ნასყიდობისა მოგეცით **ჩვენ თაყამა ასნბეგისშვილმა და ძმა ჩემა ასლამაზ და შვილმა ჩვენმა გიორგიმ და ასლან**, მომავალმა სახლისამ ჩვენისამა ყოველ თავე, **თქუენ გერმანოზისშვილს პატას და შვილს თქუენს პაპუას და ბუგუნას და იასეს**, მამავალთა ყოველთა სახლისას თქუენისთა, მას ჟამს ოდეს მოგყიდეთ ჩვენი ალალი მიწა ხუთის დღისა **მაწევნურს** ხევის პირში, ხოდაბუში, ორის დღის დამპალ წყაროს, და ავიღეთ ფასი სრული და უკლებელი, და რომლითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა. აწე ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, კელ-გეწიოდეს გასყიდათ, გასმზითვად, რა რიგადაც შენს ალალს მამულს მართებდეს... აწე არის ამის მოწამე თავად ღთი, კაცთაგან **პაპუნა გოსტასაბისშვილი, ზაალ ფალავან-ხოსროსშვილი**, ისე

---

[1]) წინა გვერდი ამ სიგელისა დაბეჭდილი იყო, როდესაც ჩვენ ნამდვილი ვიპოვნეთ. ნამდვილი 50×21 სანტ. დაწერილია გასანთლულს ქაღალდზე რგვალი მხედრული ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი. მოგვყავს აქ უმთავრესი განსხვავება: სტრიქ. 7 ზემოდამ დაბეჭდილია საყვარელმან, უნდა სასურველმან. სტრიქ. 20 დაბეჭდილია რადგანაც, უნდა რარიგადაც; სტრიქ. 23 დაბეჭდილია. ჩვენთა, უნდა ჩვენცა. ნამდვილი გვაქვს აგრევე № 413. აქ სტრიქ. 14 დაბეჭდილია ტცემლარესი უნდა იყოს ტყემლარესი; სტრ. 15 დაბეჭდილია რარა იმას, უნდა რასა იმან. სტრ. 16 დაბეჭდილია ცვირალს უნდა ყვირალს.

**თამაზისშვილი**, **თულასშვილი დონდარა**, კიდევ **თულასშვილი შიოშ**, **მანგლელის სახლთხუცესი შატა**, ჯოესშვილი ივანა, დავითა გუნჯილაშვილი, ჯერასშვილი ღთისია. მე **თუმანისშვილს სულხანს** დამიწერია, მოწამეც ვარ. მთიბათვის კ, ქჳს **ტნზ**. † † † †.

---

**316.** გაყოფის წიგნი ფარეთხუცის და ოთარ ბარათაშვილისა, ამ წიგნის მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი აზნაური გაბრიელ თუხარელის მიერ.

**1671, ენკენისთვის 1.** ნებითა და შეწევნითა ღთისათა ესე წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ ფარეთხუცესმა სამა და ჩემა ძმა შიოშმა, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩემისათა, თქვენ ესავს ბარათაშვილს ოთარსა და მეჯინიბეთ ხუცეს თქვენსა ვარაზასა, შვილთა თქვენსა პაპუასა, შვილთ და მომავლთა სახლისა თქვენისათა: **ჩხეკი** გაუყოფარი გვქონდა და ხელმწიფის ბრძანებით ფარეთხუცესი წამოვიდა და წავედით **წინწყაროს** და გავიყავით, და უფროს უფროსი კაცები დაგვესწრენ. ასე გავიყავით: ზედა წინწყაროს სამძღვრამდინ თქვენ გერგოთ და ქვევით სამძღვრამდინ მე მერგო ასე და ამ პირობით, ჟამთა ვითარებით [თუ] შემოგვეცილოს ვინმე ან ზევით სამძღვარსა და ან ქვევით სამძღვარს, ისევე საერთოთ ვილაპარაკოთ, გახდეს ერთათ, გადავწყვიტოთ, თუ გამოგვერთვას, ვიმატოთ რამე, ისიც საერთო იყოს. სხვა ძმობისა და ერთმანეთან ხელი არა გვქონდესრა ამ მამულზედ. არის ამისი მოწამე რატიშვი[ლი], პაპუნა გოსტაშაბიშვილი. მე შიოშ საკაძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ, ქჳს **ტნთ**, **ენკენისთვის** დამდეგს [ ].

(მის ასლთან თანასწორეთ გადავწერე აზნაური გაბრიელ თუხარელი).

---

**317.** ნასყიდობის წიგნი ოთარ ბარათაშვილისა, 29×19,4 სანტ., დაწერილია ქაღალდზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი. შესავალი განგებ გამოუშვით.

**1679.** ქ.... ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა მტკიცე

და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც მე ისაჰანაშვილმა პანიამა და საზვერელმა და დათუნამა მოგყიდე ჩემი მამული ვენაკი მისის სამძღვრითა თქვენ ბატონს ოთარსა და ბატონს....[1]) და ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. არის ამისი მოწამე ღმერთი და ყოველნი მისნი ესე ზემო წერილნი ღთისანი. კაცთაგან არის ამისი მოწამე: გერგიძე ბასილა და ჯოესშვილი ივანა, ელისბარაშვილი ქიტია. მე დამიწერია თევდორეს, მოწამეცა ვარ ამისი, დაიწერა ქჰნსა ტნიზ. † † †.

---

**318.** ნასყიდობის წიგნი პაატა ბარათაშვილისა. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს პეტრე არდაზიანოვის მიერ გადაწერილი ლურჯ ქაღალდზე, ნიშნები არა აქვს. შესავალი და წყევლა გამოუშვით.

**1679, თებერვლის 8.** ქ.... ნასყიდობის წიგნი და პირი მოგახსენე მე ბარათაშვილმა იასემ და ჩემა შვილებმა—გუგუნამა, ავთანდილ და გიორგიმ, თქვენ ბარათაშვილს მეჯინიბეთ უხუცეს პაატას და თქვენთა შვილთა—პაპუასა, გუგუნასა და იასეს ასე და ამა პირსა ზედან, რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვს კახაბრისშვილის გიორგის ნაქონი მამული ერთი საკომლო, რისაც მქონებელი ყოფილიყოს მისის სახლკარითა, გარეშემოთა, ბაღჩითა და ბოსტნითა, სახნავ-სათესითა, მთითა და ბარითა, საბზელ-კალოთა, გზითა, წყლითა და ყოვლის სამზღურითა და სამართლითა თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის მოგვიყიდნია.... არიან ამის მოწამენი: სააკაძე შალვა, დიასამიძე დიასამ, ყარაბუდაღ შიოშისშვილი, და მე გიორგის ლალაძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქჰს ტნიზ, ფებერვლის Ⴡ. † † † †

---

**319.** ნასყიდობის წიგნი ოთარ ბარათაშვილისა. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს ხელში პეტრე არდაზიანოვის მიერ გადაწერილი. შესავალი გამოტოვეთ.

**1679, მარტის 13.** ქ... ესე... [წიგნი] მტკიცე და შეუცვალებელი მოგეც მე ბ მოგყიდე ჩემი მამული ვენახი მე ხაზანას-

[1]) აქ ჩვენს დედანში ერთი სიტყვა განგებ წაშლილია.

**შვილმა** დათუნა და ძმამ ჩემმა იოვანემ, ბერუკამა და გულისვარდიმ თქვენს **ბატონს ოთარსა** და ავიღე ფასი სრული, რასაც ჩემი გული შესჯერდებოდა. არის ამისი მოწამე გერერგიძე მახუა და მერაბაშვილი ბერუკა, ქუაბულა. მე თევდორეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, დაიწერა თვესა მარტსა იგ, ქკს **ტნიზ**. † † † †

---

**320.** ნასყიდობის წიგნი ოთარ ბარათაშვილისა. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე გადაწერილი დავით ჩილიაევის მიერ. შესავალი და წყევლა გამოვტოვეთ.

**1679, მარტის 13.** ... ესე ნასყიდობის პირი და ფიცი ⴃ წიგნი მოგეც მე ჩეკურასშვილებმა ბერუკამა და ლაზარემ და დათუნამა ⴃ ზუბიასშვილმა მაზიტამა ⴃ მამავალთა სახლისა ჩვენისა ყოველთავე: მოგყიდეთ ჩვენი ნასყიდი ვენახი **თქვენ ბატონს ოთარსა** მისის სამძღვარითა, ასრე რომე დაგვექირა და ავიღეთ ფასი სრული, რასაცა ჩვენი გული შეგჯერდებოდა....

არის ამისი მოწამე ერაპეტასშვილი ლაზარეს სიმამრი დათუნა, ებალა, ფარეშასშვილი სეხნია, **მე მღუდელს თევდორეს** დამიწერია და მოწამეცა ვარ, დაიწერა თვესა მარტსა იგ, ქკნსა **ტნიზ**. † † † †.

---

**321.** ნასყიდობის წიგნი ოთარ და პაატა ბარათაშვილებისა. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს პატრე არდაზიანოვის მიერ გადაწერილი, შესავალი და წყევლა გამოუშვით.

**1679.** ქ... ესე... **ნასყიდობის პირი**, ფიცი და წიგნი მოგეც მე ბარათაშვილმა ზაალ და ჩემა და ჩემა შვილებმა იოსიამ, როსებ და ქაიხოსრომ და მომავალმან ჩემა ყოველთავე, თქვენ **ბარათაშვილს ოთარს, მეჯინიბეთ უხუცეს ბატონს პაატას**, შვილთა **პაპუასა, გუგუნასა** და **იასეს** ⴃ მომავალთა შენთა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედან რომე დაგვექირათ და მოგყიდეთ **ტბის ხიზანაშვილის ხატისას** კერძი მესამედი ვენახი და ავიღეთ ფასი სრული და უკლები, რომლითაც ჩვენი

გული შესჯერდებოდა. ვინც ეს ჩვენგან მოცემული წიგნი და პირი შეგიშალოს, თავადმცა რისხამს ღთი და ყოველნი მისნი წმნდანი, ზეცისანი და ქვეყნისანი, მასამც ედების კეთრი გეზის, შიშთველი იუდას, ძრწოლა კაენისა და დანთქმა ფარასი და მატლით შეძინება დიოსკორესი და ჩვენთამცა ცოდვათა მზღველნი არიან მას მეორეთ მოსვლასა, და გამთაებელნი ღთნ აკურთხნეს. არიან ამის მოწამენი და დამხდურნი შოშიასშვილი ყჳრაბუდახ, დიასამიძე კაცია და დიასამ, კორღანაშვილი მანდენა და მე გიორგის ლაღაძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, ქჳს ტნიზ.

---

**322.** ნასყიდობის წიგნი იესე ბარათაშვილისა. 30 × 20,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი. ბოლოს წყევლა გამოუშვით.

**1689.** ქ. ნებითა და არსებითა დაუსაბამოსა ღთისა თანა ესე ნასყიდობისა მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ ქავთარისშვილმა გუგუნამა და ჩემა ძმამა დავით თქვენ **მეჯინიბეთ ხუცისაშვილს იასეს**, ასრე რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ალგეთის პირს ვენაკი, ქვეითა ალგეთის პირამდი, იქით სამძღვრათ ოთარის ორღობამდინ, აქეთ იონათამის ყმის ვენაკის სამძღურამდინ, ზეით საქალაქო თავს რომ შარა გარდაუვლის, ავიღევით ფასი სრული, რითაც რომ ჩვენი გული შესჯერდებოდა, გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ, და ნურაოდეს ნუ მოგიშალოს. ყოველის კაცისაგან მოუდევარი იყოს, თუ ვინმე ამ საქმეზედ წამოგედაოს და ან სიგელი წაამოაყენოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. არის ამისი მოწამე ბარათაშვილი შიოშ, დიასამიძე დიასამ, შალვა სააკაძე, თამაზისშვილი ავთანდილ, მტებელი მღებარი მურათხანაი, იმისივ მსახური საიყმასშვილი დათუნა, აბრამასშვილი ოქიტა, ჯერასშვილი მღთისია, მე როსებს დამიწერია და მოცამეცა ვარ... ქჳს ტოზ.

---

**323.** წყალობის სიგელი მეფე გიორგი XI-სა მიცემული იესე გერმანოზისშვილისადმი. ამ სიგლისა ჩვენ პირი გვაქვს მხოლოთ პეტრე არდაზიანოვის-მიერ გადაწერილი. ნიშნებათ იშვიათად ნახმარია თითო წერტილი.

**1675—1695.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ მეფეთ მეფემან პატრონმან **გიორგიმ** და თანა მეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან **ხორაშან**, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და მსახურთა ყმათა, **გერმანოზისშვილს იასესა** და შვილსა შენსა **ოთარს**, მას ჟამსა ოდეს აბულფათისშვილის ნაქონს **ტბის** ზავის გვიაჯენით, მოკითხული ვქენით და იმ ვენახზედ უწინაც თქვენი დახარჯული იყო, ზოგი ამიტომ და ზოგი ამისთვის რომ წყალობას გვიაჯე, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ტბის აბულფათიშვილის ნაქონი ვენახი, კევგალმა რაც კახიშვილის ვენახი აძეს იმიანათ, თავი შარამდინ, ბოლო გზამდინ, ერთი გვერდი გამანაურამდინ, მეორე გვერდი უსუფას სამძღვრამდინ. ეს თქვენთვის გვიბოძებია. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არას ხვათა მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენის გამრიგენო, ბძანება ესე თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. დაიწერა ბძანება ესე კელითა კარისა ჩვენის **მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის გაგისათა** |გიორგი|.

---

**324.** ნასყიდობის წიგნი გერმანოზისშვილის იესესა, 45×23 სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი.

**1706, თიბათვის 7.** ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა ღმრთისა, მამისა და სულისა წმინდისა, მეოხებითა ყოველთა წმინდათა მისთასა, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა მტკიცე, უცვალებელი, მიზეზ შემოუღებელი, ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი ფიცი და პირი მოგეცით და მოგყიდეთ ჩვენ ფალახოსროს შვილის-შვილმა ბადურ, ძმამა და შვილმა სახლისა ჩვენისა, მამავალთა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედა და-

გვექირა ჩვენთა წილში ნარგები ძმათაგან გამოყოლილი ხატისასშვილის ვენაკი ერთი არეკალი, თქვენის ზვრის პირს ზედით, თქვენს ზვრამდინა, იქით ხუცის ვენაკამდინა, ქვეშეთ ხატის ვენაკამდი, აქეთ ოთარის და პაატასა ნასყიდს ვენაკამდინ, სარწყავითა, ურწყავითა და მისის სამართლიანის სამძღვრით, ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან თქვენ **გერმანოზისშვილს იესესა, შვილთა თქვენთა ოთარსა და გერმანოზს**, არაოდეს არ მოგეშალოს ესე ჩვენგან ნასყიდობა. ვინცა და რამანცა ეს ჩვენგან მონასყიდობა მოშალოს, პასუხის და პირის მომცემი ჩვენ ვიყოთ. არიან ამისი მოწამენი თავად ღმერთი, მერმე ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, კაცთაგან დამხდომნი და გამრიგენი **ზალისშვილი ქაიხოსრო** [ქაიხოსრო], **ქავთარისშვილი გუგუნა, იორამისშვილი გიორგა** †, **როსაბისშვილი ელისბარ** †, **ქაიხოსროსშვილი როსტომ, ბეჟანასშვილი ბეჟან** [ბეჟან], გლეხი კაცი, თავად სულ ტბელნი, ჯოისშვილი ჯოია, მეძმაშვილი გოდერძა, მხიისასშვილი მღრდელი იოსებ, სულ ერთ პირათ ტბელნი და ჩხიქთელი. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე თიბათვე ერთ კვირა ჩამოსულსა, კელითა წინამძღვრის დომენტისათა. ქკს **ტუდ**—ა [მონა ღთისა დომენტი]

აშიაზე: ქ თამაზასშვილი ბარამა †, ქავთარიშვილი გიორგი [მონა ღთისა გიორგი].

---

**325.** ნასყიდობის წიგნი იასე ბარათაშვილისა. 52×23 სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ზოგჯერ ორ-ორი, ზოგჯერ სამ-სამი წერტილი.

**1706, მარტის 15** ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე **თქვენმა ბიძას შვილმა, ყარაზასშვილმა ლუარსაბ**, თქვენ **ჩემს ბიძა შვილს იასეს, შვილსა თქვენსა ოთარს და გერმანოზს**, ასე ამა პირსა ზედა, დაგვექირა და მოგყიდეთ ოთარისა და პაპუას წილი სასახლე, მარანს გარდა, **სკუბრის პირს** რომ ლოდი ძეს იქამდისი, აუსახანეს ქვეით პირამდის თალარის ნახევარი, ზეით მარნისკენ,

მუხას იქით რომ ლოდი ძეს, იქამდი, გუგუნას ბაღის ბოლოს რომ გზა გაივლის **ბურჟღულეთისკენ**, იმას ქვეით კიდევ ქვეით ტბური გზა რომ გაივლის, იმას ზეით საგუბართან რომ ლოდი ძეს, იმის შემოსორ, ამ სამძღვრებით ეს სასახლე მამიყიდნია, ამიღია ფასი სრული, რასც ჩემი გული შეგჯერდებოდა, შენაზე აღარა დარჩა რა. არის ამისი მოწამე ჯერ ღ~ი და მერმე ყოველი მისი წმიდანი, ცისა და ქვეყანისანი, კაცთაგან **დოლენჯისშვილი ზაალ, ნამანგლელ[ა]ვისშვილი როსტომ, გოშტაშაბისშვილი ამილღაბარ, აბაშის შვილი დავით, საკამე შალვა, შემაზა შვილი გარსევან, მესხის შვილი მახარა, გელიტას შვილი ბერია, რევაზას შვილი რევაზა, ტერტერას შვილი სარქისა, ბატონის ყაფიჩი უსინა. მე მერიქიფეს ზურაბს** დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მარტის ნახევარს გასულს, ქჳს **ტჟდ**. [ ] [ ] [ ] [ ].

---

**326.** ნასყიდობის წიგნი ოთარ გერმანოზისშვილისა. 28.7×15 სანტ., დაწერილია ქაღალდზედ მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

**1723, იანვრის 23.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, მამისა და ძისა და სულისა წმინდისათა, ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე ქიშინსშვილმან [1]) ნასყიდამა და მომავალმა სახლისა ჩემისათა, თქვენ **გერმანოზისშვილს ოთარსა და გერმანოზს** და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომე ჩემის ძმის გაყრის უკან ჩემი წილში ნარგები სახლები შიგნითი დარბაზი, იმას აქათ ერთი სხვა ოთალი, კიდევ მესამე ოთალი [2]) რასაც გაიტანს კოტინას ბაღის კედლამდი, გზით მოგეც და ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეჯერდა. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა. ვინცა ამას შემოგეცილოს, პასუხი მე მივსცე. არის ამისი მოწამე პ~დ ღთი, კაცთაგან თაყაშვილი იასე, ჩემი ძმა

---

[1]) ამ ადგილას ნამდვილში სიგელი ამოჭრილია, მაგრამ ეს სიტყვა იკითხება ნამდვილის პირში, რომელიც გადაწერილია პეტრე არდაზიანოვის-მიერ.

[2]) დედანში აქ და წინეთაც სწერია: ოთლი.

გიუა, კოტინასშვილი დანელა, ბეგაშვილი თამაზა †, მჭედელი ნასყიდა, ბერუასშვილი ალხაზა, გულისასშვილი ბერუა. მე ქავთარისშვილს მამუკას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე სიგელი ქჳს უია, იანვარს კგ. † მე ზაზუნაშვილი მოწამე †, ბეჟან საგინაშვილი † მილახვარბაში თამაზა | მონა ღთისა მილახვარბაში თამაზა | გუდარეხის დეკანოზი †.

---

**327.** ნასყიდობის წიგნი, 28,5×22 სანტ., დაწერილია ქაღალდზედ რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

**1727, თიბათვის 1.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა და ყოველთა წმიდათა მისთაათა, ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე **შალუტაშვილმა შიომ**, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, თქვენ **ბეჟანს და შვილსა თქვენსა ლუარსაბს**, დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ნასყიდი მიწა, ბატონის ჩემის შეკითხვითა და ბძანებითა, **ფორქალისში** ერთის დღის მიწა, აქეთ თქვენის მიწის საქცევამდის, და ოქრუასშვილის მიწის საქცევამდის, იქით ქუცნასშვილის ბერუკას სამძღურამდის, ავიღე ფასი სრული და უნაკლულო. გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ, რაგვარადაც სხვას ალალს მონასყიდეს, თუ ვინმე ამას წამოგედაოს, მასმცა რისხავს ღთი და ყოველნი წმინდანი. არის ამისი მოწამე ჯერაშვილი დათუნა [1]), მღუდელი იოსებ †, ჯოეშვილი ჯოია †, იაგულაშვილი გიორგა †, დიდმელა ბერუა †, ელიზბარაშვილი დათუნა †, და შერმაზანს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თიბათვის დამდეგს, ქჳს უიე †.

---

**328.** წყალობის წიგნი მუსტოფა-ბეგისა. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში პეტრე არდაზიანოვის მიერ გადაწერილი.

**1733, ენკენისთვის 23.** ქ. ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ ენაგეთის ბატონი მუსტოფა-ბეგ შენ ჩვენსა გლეხსა

[1]) აქ დედანში ადგილია დატოვებული.

ხატისა, ასე რომ თავობით შენი ყოფილიყო, მოკითხულობა ვქენი და ახლა ჩვენც გიბოძეთ პარნუმეკსშვილის მამული თავისი ვენახითა, მიწითა, წყლითა, შესავლითა და გასავლითა, გაქვს და გქონდეს, გიბედნიეროს ღმთმა, ნურავინ, არავინ იყოს შენი მოცილე და მოდავე. დაიწერა ენკენისთვის კგ გასულსა, ქკს უკა |მუს ტობეგ|

---

**329.** განჩინება მეფე თეიმურაზ II-სა მარაბდის მამულის შესახებ. ამ განჩინებისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში პეტრე არდაზიანოვის გადაწერილი, თუმცა პეტრე აქ ჩვეულებრივათ არ ამოწმებს, რომ მისი გადაწერილია. ამ განჩინების ბოლოს მოყვანილია კიდევ ორი წერილი, რომელნიც იმავე წელს ეკუთვნიან.

**1752, აპრილის 15.** ქ. ამას წინად **ოთარ გერმანოზიშვილს** თავის წილი მამული **მარაბდას** პაატა გერმანოზისშვილისათვის და ყარაბუდახისშვილისათვის მიეყიდნა, მერმე ოსმალობას მამული წაერთმიათ და პაატა მისულიყო, ოთარისათვის ისევ თავის თეთრს თხოვნა დიეწყო, ოთარს იმ ხელათ თეთრი ვერ უშოვნა და თამასუქით მიეცა პაატასთვის, და ნასყიდობის სიგელიც ისევ პაატას ქონდა, მერმე ავის დროს ბედით ოთარ სხვაგან წასულიყო, პაატას ის მამული უსეინ ბეგისათვის მიეყიდნა, მერმე **ჟუან ბეგს გუგუნასთვის მიეყიდნა,** მერმე მოვიდა ოთარ და ჩვენ მლთიე ცხებულს მეფეთ-მეფეს პატრონს თეიმურაზს მოგვახსენა, რომ ჩემი მამული პაატას უსამართლობით სხვაზედ გაუყიდნიაო, ჩვენ გავშინჯეთ და მოკითხული ვქენით: რადგან პაატას ოთარისათვის თავისი თეთრი ეთხოვნა, თამასუქი გამოერთმია, პაატა ოთარს იმ მამულს ვერ გაუყიდდა, ჩვენ ამისი სამართალი ასრე გვიბრძანებია, ოთარს თეთრი გამოვართვით **შაშუასა და გუგუნასი მიგვეცათ და ის მამული ოთარს დარჩა,** ამასთან ხელი არავის აქვს. აპრილის იე, ქკს უმ. |მეფე თე იმურაზ|

მამებარა მე ისმეილ-ბეგს ჩემი თალაბისაგან ოთარის გერმანოზიშვილის კელით თექვსმეტი თუმანი და ორი მინალთული და ათი შაური მარიამობისთვის დამდევს, ყურთი-ბეგის

და დაზაალ-ალას მოწმობითა, და მე იბრაჰმას კელია და მოწამეცა ვარ, კიდევ ამისი მოწამე **პაატა გერმანოზისშვილი** და გიორგი ყარაბუდახისშვილი [  ].

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე გერმანოზისშვილი პაპა უზბაშიმ ჩემს ბიძა თვესა დ თავის შვილი[1]) ნიკოლოზას, ასე რომ შენი მამულის მარაბდის სიგლები მქონდა, ექვსი თუმანი თეთრი გამოგართვი და სიგლები შენ მოგეცი, არის ამისი მოწამე ყარა მდივანი და ეშიკაღაბაში ზაზა და სუფრაჯი ზურაბა, და მე მუშრიბი ზურაბს დამიწერია, იანვრის იდ, ქჳს უმ. [  ] [  ].

---

**330.** დავთარი გერმანოზიშვილის ოთარის, გერმანოზის, ნიკოლოზის და იესეს ნარგების მამულებისა. ამ დავთრის მარტო პირი გვაქვს ხელში გადმოწერილი ნამდვილისგან აზნაური კოლეჟსკის რეგისტრატორის იოელ ალექსიევის მიერ 1822 წელს, აგვისტოს 14, ტფილისს. ნუსხა შემდგარია განცალკევებულის ბარათებისაგან. ამათში 17 ბარათისა ჩვენ ნამდვილები გვაქვს ხელში. ამგვარ ბარათებს ჩვენ ფრჩილებში უწერთ: „ნამდვილი“. და ნამდვილებიდან ვბეჭდავთ. ყველა ბარათები, რომელთაც თარიღი აქვთ, ეკუთვნიან 1756 წელს, ხოლო ერთი ეკუთვნის 1712 წელს. ჩვენ ხელში გვაქვს აგრეთვე მეორე ნუსხის პირი, სადაც გამეორებულია ზოგიერთი მუხლები ჩვენი დავთრისა.

**1756.** ა. ქ. ერგო **ოთარს** საუფროსოდ **ცხეკვს** გრიგოლაშვილი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო.

ბ ერგო საუფროსოთ **ოთარს ტბის** დათუნასშვილ, სუარესოთა **აბელიას** ერაპეტასშვილი ბეკანა ერგო **ოთარს**.

გ ერთ წილად ეგლეთალას(?) იედიგარასშვილი ალიხანა ერგო **ოთარს**.

დ ერთ წილად აბელიას არაბისშვილი გეუა, ჯიმირუას მამულით, დარბაისელი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო **ოთარს**.

ე ყველიერაშვილი ქიტუა ასე დაიდვა: ორი წილი **ნიკოლოზსა** და მესამედი **პაპუასა**. ქჳს უმდ. [  ] (ნამდვილი).

---

[1]) ეტყობა აქ შეცდომებით არის გადმოწერილი დედნიდან.

ვ ერთ წილად ვერხნალას ოქროპირისშვილი თამაზა თავისის ყმით ერგო **ღთარს** (ნამდვილი).

ზ ერთ წილად **ზას** ფრიდონასშვილი, მამისპასშვილი, ახალკაცისშვილის მამულით, მერაბას მამული ერგო **ღთარს** (ნამდვილი).

ჱ ქაიხოსროს იმედო აბელის[1]) მამასახლისო და აბელიელნო, მერმე წლევანდელი კარაჯა თქვენი ბატონს აულია. ახლა არ აძლევთ. სადმე ამას ნუ ალაპარაკებთ, რაც ხარაჯა იყოს მიეცით, რომ თამასუქი დაიხსნას, უარი ხარაჯისა არ იქნება, სულხან, ეს გაურიგეთ მიაცემინე, რაც სამართლიანი კარაჯა იყოს, ახლაც მოსცენ [ ].

თ ერთ წილად ანანა ძ ლამაზა სჳლხანა შვილისა ძ არუთინას ფარდათ ერგო **ნიკოლოზს**, ქჳს უმდ. [ ] (ნამდვილი).

ი ზუარი კოდაბუნები სამათ გაიყონ, იქით და აქეთ შეფარდონ, და რომელიც ნაპირი ერგოს, ვარაზამა დაიჭიროს შუა, და და ერთი ნაპირი პაპუამა და გუგუნამ დაიჭიროს, გუგუნას რომ ვენახი აუშენებია მარაბდას, იმისი ზომა ერთი **ღთარს** აულია და ერთი **კარაზას**, თუ რომ აკლდეს, გაზომონ და მიწა მოუმატონ [ ] [ ].

ია ერთ წილად **აკრისი სხლნარ-რეკშნის** ფარდათ ერგო **გერმანოზს** (ნამდვილი).

იბ ერგო **ღთარს** საუფროსოდ საუარესოდ სხალნარს ადომელაშვილი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს (ნამდვილი).

იგ ერგო **ღთარს** საუფროსოდ აბელიას სეხნია, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

იდ ერგო **ღთარს** საუფროსოდ საუარესოდ ბერია, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო მარაბდას (ნამდვილი).

იე ერთ წილათ სასახლისა წ[ყ]ლის აქ[ა]თ ერახშვილის სამძღრამდინ ერგო **გერმანოზს** (ნამდვილი).

ივ ერთ წილად მარაბდას არაბისშვილის აქელსშვილი ელიარა, პეტისაზ სულთანშვილი მამული.... [2])

იზ ერგო საუფროსოდ **ღთარს** მარაბდას კორხმაზაშვილი ხოსიტა, დღე რისაც მამულის მქონებელი იყო.

---

[1]) დედანში სწერია აბელის, ეს სომხური ფორმა არის აბელიის სახელისა.

[2]) აქ დედანში შენიშვნაა: ამ ბარათის ნახევარი არა სჩანს.

იჱ ერგო **ოთარს** საუფროსოთ ენაგეთს მამასახლისი ბერუა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო (ნამდვილი).

ით ერთ წილად **ზას** ჯამასპა პაპუჩაშვილი, რისაც მამუმულის მქონებელი იყო, ერგო. (ნამდვილი).

კ ერგო **ოთარს** ცორკუთს კათმზასშვილის მამული ერგო ოთარას, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, საუარესოთ—სამადასშვილის მამული.

კა ერგო **ოთარს** საუფროსოდ მცოერეთს ქობელაშვილი მახარა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს (ნამდვილი).

კბ ერგო **ოთარს** საუფროსოთ საუარესო კოხოტას მამა შვილი შოშიტა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო.

კგ ერგო **ოთარს** საუფროსოდ სხალნართ დარბაისელი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო (ნამდვილი).

კდ ჩვენი ბძანება არის იასაულო, მერმე ენა[გე]თს რომ გურმანოზისშვილს გასამყრელ კაკია ბერიასშვილი ასატურა, ზეიდალასშვილი ნასყიდა, ალიხანასშვილი ოსია, ამ სამს კვამლს კაცზე კელი აუმართე. დათუნას და პაატას მიაბარე, ამათთვის წყალობა გვიქნია. **ერეკლე** (?) (ნამდვილი).

კე ერგო საუფროსოდ **ოთარს** ბეთენიას... დ საბიაშვილი, დღეს რისაც მამულის მქონე.. (ნამდვილი).

კვ ერთ წილად ენაგეთს უსიტა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო, მამუკასა და გოზალაშვილის საქას ფარდათ.

კზ ერთ წილად ანდრიას ნარიმანასშვილი ბეჟუა ერგო **გერმანოზს.**

კჱ მიეცა იასეს საუმცროსოდ ტბის გუგუნას აშენებული სასახლე და რაც ადგილი სასახლედ დაუჭერია ერთ პირად ნაშენებით და კარ მიდამოთი, შესავალ-გასავლითა, საჯინიბო, კალოსაბძლით, სახაბაზო-სამზარეულოთი, მარნითა ქვევრის ს.. [1])

კთ ერთ წილად ეგრენთალს ევნეზა ერგო **ოთარს**, ერგო **ოთარს.**

ლ ერთ წილათ აკურისი ჩვენი წილი მამული. კარუტას შვილი ოქრუა, ბელების მამული, ქთლელის მამული, სიხორაულოთი,

---

[1]) აქ შენიშვნა არის: „ამ ბარათს ბოლო აკლია“. ნამდვილი ჩვენ გვაქვს ხელში—და მართლაც აკლია.

კოკატლისი, პირმიწეთი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყნენ, სულხან (სხლნ) რევაშლის ფარდია, ერგო **გერმანოზსა**.

ლა ერთ წილად ცრო რაზმაზასშვილი, ერთოფარა სულხანასშვილი, ერთ წილად ზალასშვილის მამული, ერთ წილად ხოსრუას მამული, მზვრის და კვადაბუნი სანახევრო ერგო გერმანოზს, ამისი საუფროსო ისევე შიგავ არის ოთარს [ ]...[1])

ლბ ერთ წ[ი]ლ[ა]დ სწლი (?) დიგ მზეითი ერგო ოთარს. (ნამდვილი).

ლგ ერგო საუარესოდ **ოთარს** საუფროსოდ მარ-ოლუზაშვილი, დღე რისაც მამულის მქონებელი იყოს, ათის დღის მიწით (ნამდვილი).

ლდ. უგანათლებულესო მოწყალეო კელმწიფევ, ეს ჩემი ძმა მთას რომ გადმოაფრინე და თქვენ კი დაემალენით, ძნელი საქმეა, ხომ მიცნობთ და გრძელს საუბარს დავიდუმებ, თქვენი უმორჩილესი მონა იოანე. ჩ. ჯ. მ, ჩემა ძმამ კელს კოცნა იკადრა, აგრევე იოანე მიბაშმა, კაია და გაგვიკითხე, ჩამოდი შეგირიგებ ერთის თოფითა.

ლე ...ლად ანდრის ნარიმანა ...ი სეხნია ერგო [ო]თარ[ს],

ლვ სარდლის კეთილად სახსენებელო ძმაო ოთა[რ] და გერმანოზ, მერე ეს შენი ყმა ფატია და გიორ[გი] ...სათვის აპატიე, მე შუა შემოვსლივა . . . მ არ აპატიო, სხვა რაც მართ. . . . მსახუროს, რომ წაახდინო რაღა . . . . . თუ ჩემი ძმობა გინდა რაც წაგერთმევინო . . . . [ ].

ლზ ესე წიგნი მოგეცით მღთის თავდებობით [თ]ქვენმა ძმისწულმა დათუნამ, პატამ და . . . . ბიძა ჩვენს იასეს, ასე რომ სახლისკაცობაში ლაპარაკი ჩამოგვივარდა და უფროსობა თქვენ დაგანებეთ, უთქვენოთ ჩვენ არც გაგიყიდოთ პური და ღვინო, არაცა-რა დაგირბოით ყმა, არც გამოვიყვანოთ ძიძა და ტყვე, არც გავათარხნოთ გლეხი, რაც საერთო ვალი იყოს, ვასაერთოთ, გადვიხადოთ, და რაც საცალკეო იყოს, ცალკე გადვიხადოთ, რაც სახლში სმა და ჭამა მოგვინდე[ბა], ხომ ერთი იქნება, და რაც პური და ღვინო გარდარჩეს, ან საქვრიო, ან

---

[1]) აქ დედანში შენიშვნა არის: ამ ბარათის ბეჭედს იქით აღარა ჩანს ცოტაოდენი წერილი.

რაც თეთრი იყოს შემოსავალი, ოთხი წილი თქვენ და სამი ჩვენ, თუ ამაში გაგიმტყუნდეთ, ჯერ ვიყო მღ~თის შემცოდე და მერე ვახტანგ მეფის მუხანათი, არის მისი მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან გოშტაშაბიშვილი ამილღბარი [ ], ყარაბუდხისშვილი გიორგი, ზაზუნაშვილი ქაიხოსრო, საგინაშვილი ბეჟან, მე მოლარეთხუცეს გივს დამიწერია [ ] და მოწამეც ვარ ამისი. ქჳს **უ**, ქრისტეშობისთვის **იზ**, [ ].

ღ~ ამის წიგნი მოგეც ჩვენ **ლიპარიტისშვილებმა ზაალ და ბეჟან და პაპუნამა, თქვენ ბარათაშვილსა ოთარსა**, ასრე რომე ჩვენი მემკვიდრე ყმა ბენიასშვილი ალდგომელი მოგყიდეთ და მისნი შვილნი ყოვლის კაცისაგან მოუდევარი, ავიღეთ თეთრი სრული და უკლებელი, რითაცა ჩვენი გული შესჯერდებოდა, არის ამისი მოწამე თავად ღ~თი და ყოველნი მისნი წმიდანი ღ~თისანი, ზეცისა და ქვეყანისანი, კორციელნი და უკორცონი, მოგცეს და გიბედნიეროს ღ~ან თქვენსა ერდგულსა სამსახურში. არის ამისი მოწამე და დამხდური **მაგლელ მთავარ ეპისკოპოზი ნიკოლოზ, სუფრაჯი ბარათა, მე სადუნასშვილს წინამძღვარს დამიწერია და მოწამეცა ვარ** + + +.

---

**331.** არძა გერმანოზისშვილის გიორგისა და არძაზე მიწერილი ბძანება ირაკლი მეორისა. 21,5 × 16.5 სანტ. დაწერილია ქაღალდზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ აქა-იქ ნახმარია თითო წერტილი.

**1770, თებერვლის 8.** ქ. ღ~ან ბედნიერის კელმწიფის ჰქირი გერმანოზისშვილს გიორგის მოსცეს. ამას მოგახსენებთ: მე რომ დაობლებულვარ, ჩემს გამდელს ორი საკომლო მამული **მარაბდიდამ** თუშმალ იბრეიმასათვის მიუყიდ[ი]ა, სამი თუმანი გამოურთმევია, ჩემთვის არა მოუხმარებია რა, კახეთს წასულა, მე ორის სამის წლისა ვყოფილვარ, უპატრონოთ გაუშვივარ, და ის სიგელი იმ ჟამში არავის დაუბექდავს, მოახლისაგან მამულის გასყიდვა როგორ იქნებაო, თუშმალ იბრეიმა რომ მომკვდარა,

მერმე იმის ნაცოლარი ჩემს განაყოფს პაპუას შეურთავს, ის დაუბეჭდავი სიგელი ჩემს განაყოფს პაპუას დაუბეჭვდვინებია მოწმებისათვის ჩემს შეუტყობლათ. ამ მიზეზით ქვრივი თითონ ჰყვანდა, იმ მამულსაც სათავისოთ გამოელოდა. ქართლში არ მომხდარა, რომ მოახლეს მამული გაეყიდოს, ასე უსამართლოთ მეკარგება, ღთი გაგიმარჯვებს, სამართლის მოწყალება მაღირსე, პაპუასათვისაც უკითხამთ, ისიც მოგხსენდება, რაც მოუხსენებია, თებერვლის Ⴇ, ქკს ჟნႧ.

თავში წარწერა:

ქ ეშიკაღათბაშო ზაალ, ესენი მდივანბეგებთან მიაყვანე და სამართალი უსაჯონ, თებერვლის იბ, ქკს ჟნႧ [ერეკლე].

---

**332.** არძა გერმანოზისშვილის გოგიასი და არძაზე მიწერილი ბძანება ირაკლი მეორისა. ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. არა, სჩანს ვისი გადაწერილია.

**1775, მარტის 2.** ქ ღთონ ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს გერმანოზისშვილს გოგიას. მე პატარა ობოლი გხლებივარ და ჩემს გამდელს თუშმლის იბრეიმასთვის ორი საკომლო მამული მიუყიდნია, მამის ჩემისაგან არ არის გასყიდული, და ჩემის ძმისა და სახლის კაცისაგან არ არის გაყიდული. ამდონი თქვენი წყალობა იყოს, რომ ის ნასყიდობის წიგნი გამოატანინოთ, რომ იმ წიგნის გასამტყუნებელი წიგნი და ჰუჯეთი მეცა მაქს და სამართალი გვაღირსეთ, ღთი გაგიმარჯვებს, მარტს ბ, ქკს ჟდგ.

თავში წარწერა:

ქ ეშიკღაბაშო დიმიტრი, ეს რომ ასე ჩივის, იმ მამულის ნასყიდობის წიგნიც ჩვენთან მოიტანე და ესენიც ჩვენს წინ მოიყვანე. მარტის დ, ქკს ჟდგ [ბეჭედი მეფე ერეკლესი]

---

**333.** არძა საგინაშვილის პაპუასი და არძაზე მოწერილი ბძანება ერეკლე მეორისა. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზედ დაწერილი. გადამწერი არა სჩანს. პირი ორი ცალი გვაქვს.

**1785, დეკემბრის 31.** ღთონ ბედნიერის კემწიფის ჭირი მათს მიწამტვერს საგინაშვილს ბოქოულთხუცეს პაპუას მოსცეს, დოლენ-

ჯიშვილი იოანე თქვენი პირის სანაცვლო რომ შეიქნა, რაც ყმა და მამული დარჩა, ან თქვენი წყალობა, ან თავისი სამკვიდრო, სრულობით თქვენ მოგართვათ, ორმოცდა ათი თუმანი ვალი დარჩა და ორი ქალი, ერთი ამილახორისშვილის ნათხოვნის და ჯერ უქორწინოა ⴃ მეორე ძიძასა ჰყავს. ამ ვალისა ⴃ ობლებისათვის იმისი ყმა და მამული მე მომაბარეთ ოქმითა. თქვენი ბძანება მაქვს, ყმა და მამული უნდა გაუყიდო, იმის ვალსა და ობლებს გზა მივცე, ერთი თავისი ნასყიდის ყმის გასყიდვა მოვინდომე, კობიაშვილი ნინია წამომექიდა, იმისის მიზეზით არავინ იყიდა, ერთი კომლი იმის სამკვიდრო ეფთვიმე წინამძღვარს მივყიდე მარაქაშვილი[1]); გლახა ციციშვილის სახლობამ თავისი სიძე ამილღაბარ ციცისშვილი წამომადავა, ამისი გვარი ჩემი ნასყიდიაო, მანამდის იოანე ცოცხალი გახლდათ, არავინ ედავა და ვერცავის რა გაუტანია, ახლა მკვდარმა რა პასუხი გასცეს, და ან მე რა ვიცი იმისი ყმისა და მამულისა. მიცვალებულნიც დაუმარხავნი არიან და ობლებიც ისე გახლავან, წყალობას ვითხოვთ, როგორც გიბძანებიათ, ისე აღუსრულდეს, ვალიც ცალკე აწუხებსთ. დეკემბერს ლა, ქკს ულგ.

თავში წარწერა:

ჩუენი ბძანება არის, ბოქოულთხუცესო პაპუავ, მერმე კურთხეულის დოლენჯიშვილის იოანეს ყმა და მამული რაც დარჩა, იმაზე სიტყვა არავისა აქვს და ვერცარავინ ხმას ამოიღებს. თუ სიტყვა ჰქონდა ვისმე, იმის სიცოცხლეში უნდა ედავნათ, ახლა მიცვალებულს ველარავინ ედავება, გლახა ციციშვილი ვის ჰქვიან და ან ვინ არის, თუ მართლა იმისია, მაინც ჩემი იქნება, თუ იოანესია და მაინც იმისი ვარისი მე ვარ. მე შენთვის ნება და ბძანება მომიცია, რომ როგორც ამას წინათ გვებძანებინოს და ჩვენი ოქმი გეპიროს, ისე უნდა აღსრულდეს, ვისაც უნდოდეს, იმისი ყმა და მამული იყიდოს, ხათრიჯამნი იყვნენ, რომ იმათი მოდავე არავინ იქნება, ილაყბებს ვინც, იმაზე ხმას ამოიღებს, შენთვის იმისი ვარისობა ვვიბო-

[1]) ამ სიგელის მეორე პირში, რომელიც ჩვენ გვაქვს ხელში, სწერია: მარქარაშვილი.

ძუბია, შენ იმისი ყმა და მამული, ვინც მოინდომოს, მიჰყიდე და იმის ვალსა და ობლებს გზა მიეც, და ვისაც სიტყვა და სადავო ჰქონდეს, ჩვენ გველაპარაკნენ და პასუხს ჩვენ მივცემთ. იანვარს ბ, ქჳს უოდ, ალბათ რომ ეს ასე უნდა იქნას |ერეკლე|.

---

**334.** ნასყიდობის წიგნი მილახვარ ბაბანაშვილისა. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. არა სჩანს ვისი გადაწერილია პირი.

**1787, აპრილის 21.** ნებითა და შეწევნითა ღთისათა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულის წმინდისათა, ამინ, ეს ამიერითგან უკუნისამდინ ჟამთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი დაგიწერე და მოგეც მე საგინაშვილმა ბოქაულთხუცესმა პაპუამა შენ ბაბანაშვილს მილახვარს, ასე რომ **ივანე დოლენჯიშვილი** ამიერ სოფლით გარდიცვალა. იმ ივანეს ორი ობოლი ქალი დარჩა და ვალიც მრავალი დარჩა, იმ ვალის მიზეზით მისის უმაღლესობისაგან მებძანა იმისი ყმისა და მამულის გასყიდვა და იმის ვალებში მიცემა, რადგან მეფისაგანაც ბძანება მქონდა, ავიღე და მოგყიდე, ლალფეროზასშვილი ნასყიდა და ბერუა, ივანე დოლენჯიშვილის მეკვდრე ყმა, და ავიღე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩემი გული შეჯერდებოდა, რომ ერთი იოტის ფასი შენზედა აღარა დარჩომილა რა. არის ამისი მოწამე სარდალთ ხუცესი მუხრანის ბატონი იოვანე |იოვანე| და სალთხუცესი გიორგი გურჯი |გიორგი გურჯი| და მე ბათაშვილს რამაზას დამიწერია და მოწამეცა ვარ, აპრილის კა, ქჳს უოე |რამაზა ბათოვი|

---

**335.** ვალის აღების ბარათი, 22,5×18 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

**1793, მარტის 1.** ქ. ავიღე მე **ლომინანთ გიორგაშვილი ოჩანა**, შენ ბედნიერის დედოფლის პირის ფარეშისაგან ათი

თუმანი ქალაქის ზარაფხანის ახალი თეთრი, რომ იქს ნახევარი ოე, ამდენი. ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს კელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე, და მოგეცი ამ თეთრის გირაოდ ჩემი სახლები, რომ მე შიგ ვდგავარ, ის სახლები, და ღ̃თნ გვაშოროს, თუ რომ ჩემს თავს ერთი რამ ჯუქამი მოვიდეს, იჩემმა შვილებმა, შენის თეთრის პასუხი მოგცენ და, თუ გაქსარჯო, სამდივნო და საიასაულო მე ონანამ გავიღო. არის ამისი მოწამე ფეთხაინის ეკლესიის დეკანოზისშვილი ტერ-სტეფანე [  ][1]), არყუთაშვილი ფარსადანა, და მე ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერ-ალაქელასშვილს გასპარას ზემოხსენებული ონანას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ, დაიწერა მარტის დამდეგს, ქკს უპზ. გასპარ (ხელჩართულად).

---

**336.** მზითვის წიგნი იოანე დოლენჯისშვილის ქალის ანნასი. წიგნი დაწერილია ლურჯ თაბახიან ქაღალდზედ ნუსხა მხედრულის ხელით.

**1796, აგვისტოს 15.** ქ იონე დოლინჯისშვილის ქალის ანნას მზითვი. აგვისტოს იე, ქკს უპდ[2]).

ბ ქ ხატი ორი.

გ ქ დავითნი, ლოცვები და ვახტანგიანი.

ა ქ ჯვარი თავისის ჯაჭვით, ჯაჭვი იყო მომხო მარგალიტი, ოქრო და გიშერი.

ა ქ ღილი ხუთ მარცვლიანი, ბუდშური, კაი მარგალიტი.

ბ ქ ბეჭედი ორი, ერთი ზურმუხტი და მეორე იაგუნდი.

ა ქ საყურე იაგუნდი და ზურმუხტი უსხდა.

ა ქ საპირის ფარშოს ყუთი.

ა ქ საპნის ნალბაქი ვერცხლისა.

ა ქ წებოს თასი ვერცხლისა.

ა ქ ბაბადანი ვერცხლისა.

ა ქ კოლოფი ვერცხლისა.

ა ქ სადაფი ვერცხლით მოჭედილი.

---

[1]) აქ სომხური საეკლესიო ბეჭედი უზის სომხურისავე წარწერით.

[2]) უკანასკნელი ოთხი სიტყვა დაწერილია არა ტექსტის ხელით.

ვ ქ თმის საყოფი ჩხირბი, ჩოფი, ჩქიფი, ხილალი ვერცხლისა.

ა ქ პირის მარგალიტი ერთი თალლითისა.

ბ ქ სარკე ორი: ერთი ოთახისა, მეორე თავ-სახურავისა.

ა ქ ქოვლიხნა ვერცხლის მუყაიაშისა.

ა ქ პირის ასახვეჭვი მუყაიაშისა.

ა ქ ყასბა ერთი.

ბ ქ ლეჩაქი ორი შილაიისა.

თ ქ ცხრა ნახვარი მუმიის თასაკრავი.

ბ ქ სალმური ლეჩაქი და თასაკრავი.

ა ქ ხელსახოცი მუხლზე გადასაფარებელი.

ბ ქ ორი გული ოქრომკედი.

ა ქ ერთი დიდი კოჭი მუყაიაში, ორ სტილიანი.

გ ქ სამი კოჭი მომცრო.

ა ქ თალათინის კოლოფი ხაითი სავსე.

ა ქ კრიალოსანი ერთი, მომხო ქარვა და ქარვა ხუთასი.

ა ქ კრიალოსანი მეორე, შავი მარჯანი.

ა ქ მესამე მძივისა.

ა ქ სანემსე კალისა.

ვ ქ ფირფიტ[ე]ბი ორი ქარვისა, ოთხი მინისა.

ბ ქ ორი მაკრატელი, ერთი კავისა მომცრო, მეორე დიდი.

ა ქ ჩახჩურ საკრავის ფირფიტები ერთი დასტა.

ბ ქ ჩხირბი ქისისა ორი დასტა, ერთი თითბრის, მეორე რკინისა.

გ ქ სამი ფითილა.

გ ქ გრხილი სამი.

ა ქ ერთი ჩადრი.

ა ქ მწვანე ხავედის ქათიბი, ორის არშიით, გილანის ლილით, სინჯაბით სავსე.

ა ქ კაბა ერთი ალისფერი დარაისა ზორტით და ჩაფრაშტით.

ბ ქ სარტყელი ერთი დიბისა, მეორე ქარმსანისა.

ბ ქ ორი ახალუხი ყალაქრისა.

ბ ქ ორი მოვი.

ბ ქ ორი ფათიშო(?)

ბ ქ ორი წყვილი სათახჩაფუშე ატლასი, ერთი შავი, მეორე მწვანე.

ა ქ ზეწარი ყუთნისა აკვნისა.

ა ქ სუზანი ერთი.

ა ქ ერთი აბანოს პერაგი თავისის შესამშრ[ა]ლებით.

ა ქ ფუტა ერთი დარაისა.

ა ქ ბოხჩა ჩარჩმისა.

ა ქ ბოხჩა იედიის დარაიისა, დიდი ტოლომისა.

ა ქ ერთი დარაისა.

ა ქ დორი ერთი ხავედისა, ოქრომკედიანი.

ა ქ დორი მეორე ტილოსი.

ბ ქ საბანი ორი, ერთი თავრიზისა, მეორე რუსული.

ბ ქ ბალიში ყუათუკისა.

ბ ქ დოშაქი ტილოსი.

ა ქ ხალიჩა ერთი.

ა ქ ქეჩა ერთი აქაური.

ა ქ ფარდაგი ერთი აქაური.

ა ქ ერთი წყვილი მაფრაშა.

ა ქ სუფრა ერთი ყალაქრისა.

დ ქ ოთხი კალის კოვზი.

ვ ქ დანა-ჩაგალი ექვს-ექვსი.

ა ქ ერთი დასტა ჩალის კოვზი,

ა ქ ნამ[ა]ქთარი კალისა.

ა ქ მაშრაფა კალისა.

ა ქ მაშრაფა ბროლისა.

ბ ქ თეფში ორი, ხვარაშნისა ქაშანური.

გ ქ სამი თეფში ზღვისა

ა ქ ერთი შადალი თითრბისა.

ა ქ ერთი დიდი ქვაბი, ცხვარი ჩავიდოდა.

ა ქ მეორე მომცრო, ხუთი ჩარ[ე]ქი ჩავიდოდა.

ა ქ მესამე პატარა.

თ ქ ცხრა თეფში სპილენძისა.

თ ქ ცხრა ლაბაქი სპილენძისა.
ზ ქ შვიდი მათლაბა კალისა, ჯამის მაგივრათ.
ა ქ ჩაიდანი სპილენძისა ყურიანი.
ა ქ ალთაბა სპილენძისა.
ა ქ თუგი.
ა ქ სათლი აბანოსი.
ა ქ ზადუკი ერთი.
ა ქ მოახლე ერთი.
ქ მარანი სამგზავრო კალისა.
ა ქ შლაპა ერთი
ა ქ საულვაშე მარგალიტით ნაკერი.
ა ქ ჩოხა ბარანი სამ თუმნიანი.
ბ ქ აბგა ორი, ერთი უხმარებელი, მეორე ნახმარი.

### ქ ზითვს გარდა რაც წაიღო:

დ ქ ოთხი ხატი.
ვ ქ სამოციქულო პარაკლიტონი ზატ[ი]კი
ბ ქ ორი ბეჭედი, ერთი მარგალიტისა, მეორე ლაჟვარდი თავისის ოქროთი, გასაკეთებელი ერთი მისხალი ოქრო იყო.
გ ქ მარგალიტი სამი მარცვალი, მომხო.
ბ ქ ორი შადა მარგალიტი ხოჟარი.
ბ ქ ორი მისხალი ჰიოტა.
ა ქ ერთი თეთრი იაგუნდი.
გ ქ სამი გრხილი.
ა ქ ერთი სტილი წმინდა მინა.
ა ქ ერთი ქარვა ხუთოს და ქარვის კრიალოსანი.
ბ ქ ორი მძივის კრიალოსანი.
ბ ქ ორი სანემსე კალისა.
თ ქ ათი მასხალი ვერცხლის კილიტა.
ა ქ ერთი ჩარექი კილიტა თიობრისა.
ა ქ პირის მარგალიტი ერთი თალლითისა,
ა ქ ერთი ყალაქრის სახალუხე.
ა ქ ერთი პერაგი თაფთისა.

ა ქ ჩადრი ერთი.
ბ ქ ორი ადლი ხასყირმიზი ყანაოზი.
გ ქ სამი ჩარქი შეიდიში.
ა ქ ბოღჩა დარიბაბთისა ერთი.
ა ქ ბოღჩა დარაისა ერთი.
ა ქ ერთი სუზანი თეთრი.
ა ქ ორი ბანბის ფუტა.
ა ქ ჩემი ძველი ჩადრი.
ქ მარანი თავის გაწყობილობით
გ ქ სამი ფინჯანი თავის ლანბაქით.
ბ ქ ფადნოსი ორი.
ქ არაყის სირჩა ორი ბროლისა.
ბ ქ ორი სირჩა კალისა არაყის სასმელი.
ბ ქ ორი სირჩა კალისა ღვინის სასმელი.
ა ქ ერთი სირჩა ბროლისა ღვინის სასმელი.
ბ ქ ჩაის საწურვი და კოვზი ვერცხლისა.
ა ქ გაზი კბილისა.
ბ ქ ოთხი მინა.
ა ქ ერთი ჩაიდანი კალისა ლულიანი.
ა ქ მორე ჩაიდანი კალისა.
ა ქ ჩაიდანი თითბრისა.
ა ქ ჩაიდანი ჩინურისა.
ა ქ ყავადანი კალისა.
ქ ესენი მარნისა არის.
ა ქ ჩაჩქანი ერთი.
ბ ქ თოფი და კმალი.
ა ქ უნაგირი თავისის იარაღით უყაჯროფ.
ივ ქ თექვსმეტი კალის თეფში.
იბ ქ თორმეტი კალის ლანბაქი, ლაგრის მსგავსი.
ა ქ ბადია დიდი კალისა თავისის ზარფუშით და ლაგრით და კოვზით.
ა ქ მეორე კიდევ ბადია თავისის ლაგრით და ზარფუშით
ა ქ კოკა სპილენძისა.

ა ქ საწველელი სპილენძისა.
ბ ქ ტოლჩა ჭისა თავისის ჯაჭვით და თოკით.
ა ქ წისქვ[ი]ლის იარაღი რკინისა.
ა ქ წერაქვი დიდი.
ა ქ ცული.
ა ქ საჩეჩელი.
ქ ყადაღის ლურსმბი კარის რაზები.
ა ქ ზანდუკი ასტარხნისა.
ქ თულუფთანი თითბრისა.
ქ დროშა ჯარისა.
ქ ერთი დასტა სურათი თავისის კოლოფით და მინით.
ქ [იონეს] სურათი.

ქ ჭაღრაკი (?) ორი პილოს ძვალისა, ერთი სრული, მეორეს ორიოთ აკლდა.

ა ქ ერთი ქარიმხნის შალის სარტყელი.
ბ ქ შადალი ორი ერთი წყვილი
ბ ქ სარკე და მაკრატელი.
ა ქ ფარდაგი ხორაშნისა ნახმარი.
ა ქ ნაკერი ხელსახოცი ერთი.
ა ქ ერთი თავრიზის საბნის პირი.
ა ქ დოშაქის პირი ტილოსი თავისის ჩითით.
ქ აქადაზი.

---

**337.** წყალობის წიგნი მეფე სვიმონისა. ამ წიგნისა ჩვენ ექვსი სხვადა-სხვა ხელით გადაღებული პირი გვაქვს. შესავალი (პირველი ექვსი სიტყვა) მხოლოთ ორს ცალშია. ნამდვილი ღეროლდიაში ყოფილა წარდგენილი 1820 წელს.

**1591, აგვისტოს 7.** ჩვენ ღთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან სვიმონ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა ყმასა, ბარათაშვილს იოანეს და ამილღაბარს, მას ჟამსა ოდეს მოგვადეგით კარსა და თქვენის მამულის წყალობისა წიგნსა გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, წიგნითა, ამით შეგიწყალეთ და

გიბოძეთ[1]) სოფელი **ამლივა** კვამლი ხუთი, **ტბის** კვამლი ერთი, **თაკვს**[2]) კვამლი ერთი, **გაკეს** კვამლი ერთი, **დვალთას** კვამლი სამი, **ურწოს** კვამლი ორი, **მერეს** კუამლი ერთი, **ფუტრეკს** კვამლის სამი, **წანგენახს** კვამლი ერთი, **ელფიას** კვამლი ორი, **აკურისს** კვამლი ერთი, **ანდრიათ** კვამლი ერთი, **ერტასს** კვამლი ერთი, **ახალშენს**[3]), **აზიკუს**[4]) კვამლი ორი; ნასოფლარი **ერდონა**[5]), ნასოფლარით ეგანი, ნასოფლარი **დიაკონნი**, ნასოფლარი **მარიამნი**[6]), ნასოფლარი **კოზრი**[7]), ნასოფლარი **ლოლოვნა**, ნასოფლარი **ზვარეთი**[8]), ნასოფლარი **ქოთიაში**, და ნასოფლარი **უკანაშაგნი**, **კვესეთს** ნაოხარი ერთი, **დიდებას** საგლეხო ერთი, **ტურისუბანს** საგლეხო ერთი. ესე ყოველივე მისითა შენითა და ოხერითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, უხნავითა, სარწყავითა, ურწყავითა, სათიბითა, უთიბითა, მთითა და ბარითა, ტყითა და ჭალითა, და ყოვლითურთ მისითა სამართლიანითა საზღურითა, გქონდეს თქვენ იოანეს და ამილღაბარს, და გიბედნიეროს ღთნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა ქვეშე. გიბრძანებთ, ბრძანებისა ჩვენისა მორჩილნო ტარუღანო[9]), მელიქნო და სხვანიც მოხელენო და კარისა ჩუენისაგან წარვლენილნო მოსაქმენო, ბრძანება და წყალობა ესე ჩუენი თქვენცა ასე გაუთავეთ და ნუ ვინ შეუცვლით. დაიწერა წიგნი და ნიშანი ესე ქჳს **სოთ**, თვესა აგვისტოსა შვიდსა, კელითა თუმანისშვილის მაველისათა. **მეფე სვიმონ** (ჩართული)[10]).

---

1) ორს ცალში სწერია მოგიბოძეთ.
2) ერთს ასლში სწერია თაკუს, მეორეში თაყვს, სხვებში თაკვს.
3) ზოგიერთ ასლებში სწერია: ახაშენს.
4) ზოგიერთებში სწერია აზიკვს, ერთში აზიკს.
5) ერთ ასლში სწერია ერდოთი.
6) ორ ცალში სწერია მარიამი.
7) ერთ ცალში სწერია კოხრი.
8) ზოგიერთებში სწერია მზვარეთი.
9) უმეტეს ნაწილში სწერია ტარუღებო.
10) ქვემოთ ზოგიერთ ასლებში მოყვანილია მუსულმანური წარწერა.

**338.** წყალობის წიგნი მეფე სვიმონისა. ამ წიგნისა ჩვენ მხოლოთ პირი გვაქვს ხელში.

**1590, გიორგობისთვის 20.** წყალობითა ღ̃თისათა. ქ. ჩუენ ღ̃თივ გვირგვინოსანმა, მეფეთ მეფეთა, სვიმეონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალე და გიბოძეთ თქვენ ბარათასშვილს იოვანეს, მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა და მამულისა [წ]ყალობასა გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ **მოლაგს** სამართლიანი თქვენი კერძი მამული შენი და ოხერი მისისა მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, სახნავითა და უხნავითა, და სამართლიანის მისის სამძღვრითა, მთითა ვიდრე ბარამდი თქვენთვის გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ̃თმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან. აწე გ[ი]ბ[ძან]ეთ ალგეთის პირის ტარუღანო, მელიქნო და სხვანო მოსაქმენო, კარისა ჩუენისა წარვლენილნო, ვინ გინდა ვინ იყუნეთ, მერმე ესე ჩვენგან ნაწყალობე[ვი] მამული თქუენცა ასრე გაუთავეთ, რა რიგ[ა]დცა ამ ფარვანში ეწეროს [ბეჭედი თათრული], ნუ[ჲ]რ[ა]ს შეშულით და ნურცარ[ა]ს შე[ე]ცილებით. დაიწერა ნიშანი ღ̃ ბ[ძან]ება ესე ქჳსა სოჱ (ჳ?) [ბეჭედი თათრული], გიორგობისთვეს კ, კელითა კარისა ჩვენისა მწიგნობრისა რევიშვილის ზილიყიყარისათა. **სვიმონ** (ჩართული).

---

**339.** წყალობის წიგნი მეფე სვიმონისა. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში.

**1627** ქ. ნებითა და ღ̃თისათა ჩუენ მეფემან პატრონმა სუიმონ ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა ყმასა, ბარათაშვილს, ბოქაულთ უხუცეს ყაფარბეგს, თქუენთა შვილსა, მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა და საჩინოს ნაქონს **გაკეს** დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ რაც **გაკეს** საჩინოს ჰქონებია მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, და უხნავითა, შენითა და ოხრითა, საძებრითა

და უძებრითა და ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, თქუენთვის სამკვიდროთ და სამამულედ გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ̃თმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან. აწე უზედესთა (უკეთესთა?) მოგახსენებთ და უქუედესთა გიბძანებთ, კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარვანაშია ეწეროს, და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანა დგომისა და შეწევნისაგან კიდე, დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქჳს ტიე, ხელითა კარისა ჩუენსა მდივან-მწიგნობრის ოქრუაშვილის შერმაზანისათა. **სვიმონ.**

აშიაზედ:

ქ. ესე ბძანება ასრე უნდა გათავდეს: [ბეჭედი თათრული]

---

**340.** წყალობის წიგნი მეფე სვიმონისა. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში.

**1628, მარტის 30.** ქ: ნებითა ღ̃თისათა, ჩვენ მეფემან პატრონმან, სუიმონ ესე წყილობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ იოანეს შვილს გოსტაშაბს, და შვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, მას ჟამსა [ოდეს] მოგვადეგით კარსა და მამულის წყალობასა დაგვეაჯენით, ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენისავე ბიძაშვილის ყაფარბეგის ნაქონი, რისაც მამულის მქონებელი ან **ამღივს**, ან **ერდოს**, ან **გაკეს** ყოფილა, ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამზღურითა თქუენთვის სამკვიდროდ და სამამულედ გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ̃თმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან. აწე მოგახსენებთ კარისა ჩვენისა ვექილ ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინ გინდა ვინ იყვნეთ, და ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაათავეთ, რარიგადაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანშია ეწეროს, და ნუ რა ოდეს ნუ შეუშლით თანადგომისა და შეწევნისაგან კიდევ. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე: ქჳს

ტიგ: მარტს: ლ., ხელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა ოქრუაშვილს შერმაზანისათა: სვიმონ;

აშიაზედ:

ქ. ესე ბრძანება ასრე უნდა გათავდეს | თათრული ბეჭედი |

---

**341.** განჩინების წიგნი ნახიდურელთ და თამრგვალელთ ადგილზედა ცილობის შესახებ. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში.

**1654.** ქ. ზე ადიდოს ღ̃თნ უძლეველი მეფეთ მეფე ჩვენი პატრონი როსტომ, ბრძანებითა მათითა ჩვენ დავითიშვილი ბოქაულთხუცესი ელისბარ მოვედით: ნახიდურელნი და სვეტისცხოელის ყმანი თამრგვალელნი მიწებზედ ცილობდენ, მოვედით და მოვასხენით იმა ხეობის მახსოვარნი კაცნი, გავსინჯეთ სამზღვრები, რაზედაც ცილობდენ, მახსოვრის საქმითა, მოგვარებულის საქმით გარდავსწყვიტეთ: სვეტისცხოელის ყმანი—გედეონისშვილი პაპუნა, ძმისწული მისი ქაიხოსრო, მაღალასშვილი გედეონ და დეკანოზი ქაიხოსრო, სხვანი აზნაურშვილნი და მსახურნი მოვიდნენ, ჯვარი და ხატი მოიტანეს და ფიცზედ იდგნენ. ჩვენ არც სვეტისცხოვლის ყმანი ვაფიცეთ და არც ნახიდურელნი, და მოგვარებულის საქმით გარდაუწყვიტეთ: თავს კვირაცხოელის ბოლოს რომ აბაშისშვილის ნაზვრევი რომ არის, იმის ბოლოს, რასაც ქვაყრილი გაიტანს, ქვემო ქალაქის შარა რომ გაივლის, იქამდი, იმის იქით **დოლოჯენის** სამზღვრამდი, იმის იქით კვირაცხოვლისაკენ ნახიდურელთ დარჩა, თამრგვალელთ ხელი ნუ აქვსთ, და იმის იქით სვეტისცხოველს დარჩა, და ნახიდურელთ კელი ნუ აქვსთ, და არცა რ[ა]ს ემართლებიან, რადგან მახსოვრები ამავ ძველს სამზღვარზედ გაგვიძღვნენ და სამზღუარი გვიჩვენეს, ჩვენც ასრე შევატყევით, რომ ძველი სამზღვარიც ის იყო, და ჩვენც იმაზედ გარდაუწყვიტეთ. დაიწერა ქ̃კს ტმბ | ელისბარ |.

აშიაზედ:

ჩვენის ბრძანებითა ნახიდურელთა და თამრგვალელთ საცილობელი ასრე გარდასწყდა და დღეის უკან საქმე ნულარა აქვსთ და ნურცავინ სვეტისცხოველს შეეცილება | როსტომ |.

---

**342.** წყალობის წიგნი მეფე როსტომისა. ამ წიგნის მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1654, გიორგობისთვის 4.** ქ. ჩუენ მეფეთ მეფემან, ჴელმწიფემან, პატრონმან როსტომ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და ნამსახურთა ყმათა, გოსტაშაბისშვილს პაპუნასა, და მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა და თრიალეთის პირს **აზიკის** ნაოხრის აშენებას დაგვეაჯენით, შეგიწყალეთ და გიბოძეთ, ასრე რომე ჩვენს საბატონოს გარეთად რას ალაგით და სხჳს ქუეყანით კაცი მოვიდეს, ვერა კაცი ვერ შემოგეცილოს და ასრეც გვითარხნებია, რომ ვერა ჩვენმა მოსაქმემ კაცმან ვერ ისაქმოს და არცა-რა სათხოვარი და გამოსაღები აქნევინოს. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე: ქჳს **ტმბ**, გიორგობის **დ**: **როსტომ:** [ბეჭედი თათრული] [ბეჭედი თათრული].

---

**343.** წყალობის წიგნი მეფის შაჰნავაზისა. ამ წიგნისა პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1659. აპრილის 28.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისითა ჩვენ ღთივ გვირგვინოსანმა მეფეთ მეფემან, ხელმწიფემან, პატრონმან შაჰნავაზ, თანამეცხედრემა ჩვენმა, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმა მარიამ, და ძემან ჩვენმან სასურველმა, პატრონმა არჩილ და პატრონმა გიორგიმ, ესე ამიერ ჟამთა და ხანთა სამკვიდროთ და საბოლოოთ მტკიცე და უცვალებელი გასათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისაებრ მრავალფერად ნამსა-[ხურთა] ყმათა, ბარათაშვილს, გოსტაშაბისშვილს ყლიჯიყორჩს პაპუნასა, შვილთა შენთა გოსტაშაბს და ყაფარბეგს, და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს მოგვადექით კარსა და ალგეთზედ თქვენს სამკვიდროს სოფელს **დოლოგნას** გვეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით, ცოტას ხანს ლოლოვნის ნახევარი

ყორხმაზასშვილს გურგენს დაეჭირა და, ვითაც გურგენ ჩვენს ორგულობაში გაერივა, გაუწყერით და წავახდინეთ, თქვენი სამკვიდრო ლოლოვნა ასრევ თქვენ დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ. რაც იქ ან მოსული და ან ნასყიდი გლეხი გურგენს ესახლა, ერთს ჩვენს მეცხორესა და წისქვილს და მეწისქვილეს გარეთ, უკლებლათ სიგლითა ამითა დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ გურგენის ნაქონი მამული და გლეხი, ასე რომე რაც იქ გლეხი ესახლა, ვერცავინ აგიყაროს და არცავინ შემოგეცილოს, გქონდეს და გიბედნიეროს ღ~თნ ჩვენსა ერთგულათ სამსახურსა შიგან და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეფეთა მეპატრონეთაგან. აწე გიბ[ძანე]ბთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, დღეს ვინც იყვნეთ და ან დღეის წაღმა ვინცავინ იქნებოდეთ, თქვენც ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით მისის წ[ყ]ლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, სარწყავითა, ურწყავითა, მთითა და ბარითა, საქმითა და სამძღვრითა უნაკლულოთ დაგვიმკვიდრებია. დაიწერა ბ[ძანე]ბა და ნიშანი ესე ქ~ს ტმზ, აპრილის კ~, ხელითა მდივან-მწიგნობარის კარისა ჩუენისა ყორღანაშვილის შაველისათა [ბეჭედი შან ავაზისა] **მარიამ** (ჩართული).

ქ რაც ლოლოვნას ჩვენი სახასო რუ და წისქვილი ანუ სხვა მიწები არის, ისიებიც ხელშეუ[ვ]ალად გვიბოძებია, ქ~ს ტნ, თიბათვის იბ. **შანავაზ.**

---

**344.** წყალობის წიგნი შაჰნავაზ მეფისა. ამ წიგნისა ჩვენ ორი პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე ნაწერები.

**1672, თებერვლის 10.** ქ: ნებითა, და შეწევნითა ღ~თისათა ჩვენ ღ~თივ აღმართებულმან, ღ~თივ დამყარებულმა და ღ~თივ გვირგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიონიანმან, მეფეთ-მეფემან, ხელმწიფემან პატრონმა **შაჰნავაზ**, თანა მეც ხედრემან ჩუენმან დადიანის ასულმან, დედოფალთა დედოფალმა, პატრონმა მარიამ, პირმშომან და სასურველმა ძემან ჩვენმა, პატრონმა გიორგიმ, პატრონმა ლევან, პატრონმა ლუარ-

საბ, და პატრონმა სულეიმან, ესე ამიერ უკუნისამდეი ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და მრავალ ფერად თავდადებით ნამსახურთ ყმათა, ბარათაშვილს ყლიჯ-ყორჩს პაპუნასა გოსტაშაბისშვილსა, შვილთა თქვენთა გოსტაშაბს, ყაფარბეგს, თამაზს, და ნიკოლოზსს, მამავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა და ერტის თქვენს სამკვიდროს ერთს კუამლს გლეხს მეხრისშვილს პაპუნას, შალვას, გიორგის და ბასილას დაგვეაჯენით, მოკითხული ვქენით, თქვენი სამკვიდრო იყო, და ჟამთა ვითარებისაგან ცოტას ხანს გამოგრთმევოდათ, და თურქისტნისშვილს მისცემოდა, აწე ისრევე თქვენ და შვილსა თქვენთა გიბოძეთ ყოველითურ მათის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა, რისაც მამულისა ალაგის პატრონი ერტის ყოფილიყოს ისრევე იმით გვიბოძებია, აგრევე ენაგუთს, ჩვენი სახასო ზვარი თქვენის ერთგულობის და სამსახურის სამუფქოდ გიბოძეთ მისის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა, გქონდეს, და გიბედნიეროს ღთნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა, და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა ჩვენთა ჩამომავალთა ხელმწიფეთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩუენისა ვაქილ-ვეზირნო და ვინ გინდა ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, თქვენცა ბძანება და ნიშანი ესე ასრე გაუთავეთ და ნუ მოუშლით, თვინიერ შეწევნისა და თანა დგომისაგან კიდე, დაიწერა ინდიკტიონსა ჲდ მეფობისა ჩუენისასა, ქკს ტნი. თებერვლისა ი. ხელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თუმანისშვილს გიორგისითა: |შანავაზ|.

---

**345.** წყალობის წიგნი მეფე გიორგისა. ამ წიგნისა პირი გვაქვს მარტო ხელში. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

**1688, მაისის 4.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩვენ ღთივ ალმართებულმან, ღთივ დამყრებულმან და ღთივ გვირგვინოსანმან, იასიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატი-

ონმა, მეფეთ მეფემა, ხელმწიფემან, პატრონმან გიორგიმ, და თანა მემცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმა ხორეშან, პირმშომან და სასურველმა ძემან ჩვენმან პატრონმან ბაგრატ, ესე ამიერ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და მრავალ ფერად ნამსახურთა ყმათა, გოსტაშაბისშვილს პაპუნასა, შვილთა თქვენთა გოსტაშაბს, თამაზს, ყაფარბეგს და ამილღაბარს, და მომავალთა თქვენთა ყოველთავე, მას ჟამს ოდეს ფალავან ხოსროსშვილი დურმიშხან უშვილოდ გარდავლინდა და იმისის მამულისაგან წილის დადების წყალობას დაგვეაჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ დურმიშხანის კერძის მამულისაგან ერთ კომლათ **ერწოს** ზუბიასშვილი მამუკა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერთ კომლათ **მოღაკვს** ყიფიანი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერთ კომლათ **ბეთენიას** მამის იმედი, ამაზე აძევს სალარისშვილი ნისყიდა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყუნენ, ერთ კომლად **ცხნარს** ჭაბუვაშვილი თამაზა, იქავ შაეერდაშვილი ადუა ზედ დაგვიდებია, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერთ კომლად **ქვათეთრის** მამუკა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, და იქავე გოგიასშვილი სადება, მისის კერძის მამულით; **ჭანდარს** და **ხვინთქმას** იმის კერძის მიწისა და ნასოფლარისაგან, რაც მიქელაძისათვის არ გვიბოძებია, მისის მესამედისაგან მესამედი მიწა და ნასოფლარი თქვენთვის გვიბოძებია. ესენი ყოვლის მამულითა, მიწა წყლითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, უხნავითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად, გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შიგან. ესე ასრე გაგითავედეს და აროდეს არ მოგეშალოს არც ჩვენგან და არც ჩვენთა ჩამომავალთა მეფეთა და მეპატრონეთაგან, აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და ყოველნო მოსაქმენო, ბ[ძანე]ბა და ნიშანი ესე ჩვენი თქვენც ასე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩვენგან ნაწ-

# მ ო ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი  ჟ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეოთხე

№ X

ოქტომბერი, 1897

ტფილისი

სტამბა ქომ. წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა. Тип. Груз. Изд. Т-ва.

1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 октября 1897 г.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


I—დაუდეგარი. — წერილი მეგობართან. ია ეკალაძისა . 1

II—სიმღერა. — ლექსი ვაჟა-ფშაველასი. . . . 31

III—შემდეგ რა იქნება? — ამბავი კოტ მურლიკისა. თარგმანი ე. მ—შვილისა . . . . . . 33

IV—ივდითი — ტრაგედია ხუთ მოქმედ. ჯიაკომეტისა . 41

V— * * * — ლექსი მღვიმელისა . . . . . 103

VI—გლეხი-კაცის ისტორია. — ნაწილი მეორე. — ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. . . 107

VII—მეგრული ანდაზები. — ჩაწერილი თ. სახოკიას-მიერ. 162

VIII—„ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები. — XLII და XLIII — ალ. ს—შვილისა . . . . 1

IX—თ. ნ. ზ. ჭავჭავაძის სახსოვრად. — ვ. პოტტოსი . 21

X—პესსიმიზმი ქართულ ლიტერატურაში. დ. გურამიშვილი. — მ. ბოლქვაძისა . . . . . 30

XI—ცხოვრება და ხელოვნება. ჩვენი ახალგაზდობა. — კიტა აბაშიძისა . . . . . 54

XII—მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში. — ნ. წერეთლისა . . . . 97

XIII — ბიბლიოგრაფია. I. **ბრჭყალები.** პოლ ერვიესი, კ. ა. II. **ქართლის ცხოვრება.** დასაბამიდან მეათცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი: საქართველოს დასაწყისიდან ვახტანგ გორგასლანამდე. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. თბილისი. 1897 წ. ფასი 40 კაპ. **ი. მ—ანი.** III. **„ბავშვების მოკეთე“ ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებელი.** შედგენილი ალ. ნათაძის-მიერ. ფასი 30 კაპ. Z. . . . . 119

XIV—განცხადებანი.

დამატება:

XV—საქართველოს სიძველენი . . . 417—432

# დაუდეგარი

## წერილი მეგობართან

(დავიწყებული კაცის დღიურიდან)

I

... ბედმა თუ გარემოებამ,—ჩემო მეგობარო ტროფიმე,—ამ ზაფხულსაც სხვის მოსამსახურე, სხვის ხელში შემაყურებელი გამხადა... შენ ხომ იცი, დედი-ჩემის ამბავი! იმ დღიდან, რაც სამსახურს თავი დავანებე უზრდელ უფროსთან შეკამათების გამო და სოფელში დავბრუნდი, დღე და ღამ მოსვენება არა მქონდა დედი-ჩემისაგან. უკანასკნელად მოთმინებიდანაც კი გამომიყვანა.

— ბიჭო, შვილო,—მომაცივდა ერთს დღეს,—მაგოდენა კაცი გამომიზრდიხარ, მიწვავს, მიდაგნია, ლეჩაქის ყურით გამომიკვებიხარ... როგორც იყო, სამსახური იშოვნე და ღვთისგან მოცემული ერთი ლუკმა პური გაგვიჩნდა... რა გინდოდა, რაზე დამისხი ცეცხლზე წყალი, რატომ არ დააყენე ეგ შენი წანკლიანი ენა, რომ აბურაგანი ამოგიკრეს და დღეს მშიერები ვართ? აი, ხვალ ბზობაა, და ჩვენ კი დაობებულ პურით უნდა მივეგებნეთ ამ დღესასწაულსა. ერთი გირვანქა თევზის ფასი მაინცა გვქონდეს, რომ ხვალ გავიხსნილოთ!.. ქრისტიანი არა ხარ? ღმერთი არა გწამს? ეს ხომ ყველა შენი ბრალიაო!

მე გაჩუმებული ვიწექი ჩვენი ფშატის ქვეშ ახლად აბიბინებულ ბალახზედ და იქვე, ყორის ძირში გამონასკვილ იის ბუჩქს ხარბად მივჩერებოდი: ოხ, რა ლამაზები იყვნენ ეს სო-

სანი ყვავილები!.. გაზაფხულის მზეც მორცხვად დაჰნათოდა ქვეყანას; ახლად სულ-ჩადგმული, ლამაზად შესარული და შეყელვილი ვენახი ყელ-მოღერებული შესჩერებოდა ლურჯად მოკამკამე ცას. სრულიადაც არ იყო ჩხუბის დრო, მაგრამ დედა-ჩემი მაინც არ ისვენებდა.

— აბა, რა უყავ, შე უკეთურო, შენი კაკარდიანი ქუდი?.. მერე როგორ გიხდებოდა? შენ რომ იმას დაიხურავდი, ასე მეგონა, ჩემს პირმშოსთვის ხელმწიფობა მიუციათ-მეთქი. ვაი, ვაი, დადეგ თვალო და ყურო, რა უბედურება დამემართა, გენაცვალეთ! ქვეყანა შემომნატროდა: შენი შვილი ნაჩალნიკობას თუ არა, პრისტავობას მაინც მიიღებსო (ღმერთი, რჯული, ტროფიმე, ჩემს დღეში პოლიციაში არ მიმსახურნია და არ ვიცი, ვის დაურწმუნებია დედა-ჩემი ჩემს ნაჩალნიკობაზე!) და დახეთ, დახეთ, ანაზდეულად არ გამიქრა კერაში ცეცხლი, მოულოდნელად არ გადმომივარდა შვილი ხელმწიფის ტახტიდან, თქვენი ჭირიმეთ!

როგორც არ მოგკლავ, ტროფიმე, კრინტი, ხმა არ დამიძრავს, პირიქით, თითქოს მე არ მელაპარაკებოდა, მხარი ვიცვალე და ბალახს დავუწყე წიწკვნა.

— ნეტა ახლა, ე ჩაჩი რომ დაგიდვია თავზე და გიჟი მოშანასავით წამოგორებულხარ მაგ გახუნებული ხალათით,— უმაღლებდა თანდათან ხმას დედა-ჩემი,—ერთმა რიგიანმა კაცმა მაინც დაგინახოს, ნახე, როგორ მასხარად აგიგდებს, შე უკეთურო!.. ეგ არ არის შენი ვაჟკაცობის ბოლო? მაშინ (ე. ი. როცა კაკარდიანი ქუდი გეხურაო) და ეხლა ერთი შეხედულობისა არა ხართ, შენმა სიცოცხლემა!

— აღარ უნდა გაათავო-მეთქი?—წავიდუდუნე, მაგრამ დედა-ჩემი ისე ხმა-მაღლა და გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ვერ გაიგონა ჩემი სიტყვები.

— ბიჭობა ის კი არ არის, ხალხს რომ ემალები და მთელი დღე ჩაჰღირღიტებ მაგ ვერანა წიგნებსა, აი, კიდევაც მაგათ აგირიეს ეგ ტვინი, მაგ კუდიანების დაწერილებმა! საქმე ის არის, გელათის გლახასავით აბრანძულო, ემა შენი მშვე-

ნიერი ტანისამოსით გაბძანდე საზოგადოებაში. უყურე, პამპულად გაგხდიან თუ არა? მაგითი დაამთავრე ჩემი ამოდენა შრომა და ამაგი რაღა? აი, მიწამ გიყოს პირი, რომ თვალით მაინც აღარ ვუყურებდე ჩემს წამხდარს ჭირნახულსა!

ჯერ ისევ ვსდუმდი. ამისთანა ქება-დიდება ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო!

— ადე, ადე, აქედან დამეკარგე, შე სულკატიანო, თორემ მამი-ჩემის, დეკანოზი ფილიპეს სული არ წამიწყმდება, ამ მარგილს თავში დაგთხლიშავ! — შეჰკივლა ჩემის სიჩუმით მოთმინებიდან გამოსულმა დედა-ჩემმა და მართლა მარგილს წამოავლო ხელი. ახლა კი ხუმრობა აღარ იყო... ხმა უნდა გამეცა.

— რა გინდა, დედილო, რასა ჯავრობ? — ტკბილი ხმით შევეკითხე.

— შენი ჩაჩი და ჭუჭყიანი ლურჯი ხალათი! რა უნდა მინდოდეს? ცხოვრება მინდა, ცხოვრება, დიდება და პატივი! რით ვერ მეყო ამდენი სიღარიბე და დამცირება!

— ბიჭოს, კარგი რამა გდომებია-მეთქი! — უეცრად წამოვიძახე და, სწორე გითხრა, გულიანადაც გადვიხარხარე.

— აი, უცუნა, უცუნა, ვიდრე სხვა ჭირი აგიტყდებოდეს! უსირცხვილოდაც რომ იღრიჭები! — დაიღრიალა დედამ და მარგილი მომიღერა. მე ადგომა ვიკადრე, მარგილს ხელი მივაშველე, სიცილი შევწყვიტე და ვუთხარი:

— მოითმინე, დედა-ჩემო, შენ ისეთი საგნები ჩამოთვალე, რომ ადამიანი სწორედ მაგის გულისთვის იკლავს თავსა... მხოლოდ შენ ეს მითხარი, დღეს, ამ ჟამად რასა თხოულობ ჩემგან, მგონი, თევზი გინდოდა, არა?

— თევზიც მინდა, ღვინოც, პურიც, არაყიც, გოგოცა და ბიჭიც! ერთი სიტყვით, ცხოვრება ისეთი, როგორიც შეეფერება ჩემი ხნისა და წოდების ადამიანსა! — თქაფა-თქუფით, ამოუსუნთქელივ ჩაილაპარაკა დედამ და დაუმატა: — გესმის თუ არა?!.

— მერე, მე რავქნა, საიდან მოგართვა ყველა ესენი?

— მე რავქნა, — ტუჩის მოგრეხითა და დაცინვის კილოთი გაიმეორა ჩემი სიტყვები, მერე ნაღვლიანად ამოიოხრა და განაგრძო: — შენ ის უნდა გექნა, რომ სამსახურისთვის თავი არ უნდა დაგენებებინა. დღეს თუ სამი-ოთხი თუმანი ჯამაგირი გქონდა, ხვალ მეტს გაგიხდიდნენ, წინ წავწევდნენ და ჩვენი ცხოვრება გაუმჯობესდებოდა... ხოლო თუ ღმერთი გაგიწყრა და თავი დაანებე, ახლა სხვა გზას უნდა დაადგე, სხვა სამსახური იშოვნო, დღე და ღამე გაასწორო და მაცხოვრო..: მოვალე ხარ, მოვალე, შე თვალებ-დასაბრმავებელო!.. აკი გეუბნები, რით ვერ მეყო ამდენი გაჭირვება?!.

— იცი, რა გითხრა, დედილო, — დავუმდაბლე ხმასა; — ყველაზე კარგი ქვეყნად პირველად სულის სიმშვიდე, სიდინჯეა... აპილპილებაზე ხომ არ არის საქმე? აი, დავუკვირდეთ ჩვენს თავსა, გარემოებასა და ისე ვილაპარაკოთ...

აქ, რასაკვირველია, ბევრი რამ შემეძლო მეთქვა — დედი-ჩემისთვისა, შემეძლო ამეხსნა, რად ვიყავით ჩვენა თუ სხვა ბევრი ჩვენისთანა, ღარიბები და ზოგი კი მდიდარი და დაწინაურებული, მაგრამ კუჭის მრწამსისაგან აღელვებულს, სიღარიბისაგან გულ-გატეხილს და უმეცრებისაგან შეპყრობილს ადამიანს, ხომ იცი, ცარიელი სიტყვებით ვერას შეასმენ... დედა-ჩემმაც ყოველივე ჩემი მოსაზრება პირველადვე შორს დაიჭირა.

— რაც გინდა ჰქენი, მე კი მაცხოვრე! — გაიძახოდა.

ბოლოს საქმე რომ გაჭირდა და ვეღარაფრით გავაჩუმე, ახლა სახარების სიტყვებს მივმართე. ვიფიქრე, თუ სადმე გავლენაა, ისევ სამღთო წერილს მაინც უნდა ჰქონდეს ამაზედ გავლენა, რადგანაც, შენ ხომ იცი, ტროფიმე, დედა-ჩემი მღვდლის ქალი, მღვდლისავე ქვრივია, პატარაობითვე საყდარში მოსიარულე და სარწმუნოებაში აღზრდილი.

— დედა, აკი შენ ღვთის-მმოსავი ხარ და სახარების კითხვაც გიყვარს-მეთქი. არსად გაგიგონია იესოს-მიერ ნათქვამი სიტყვები: „მცირესა ზედან კმაყოფილ იყავ, რათა მრავალსა ზედან დაგამყაროს უფალმანო...“ დღეს თუ ღარიბები ვართ და მარტო დაობებული პური გვაქვს, ოღონდ უსამართლობას

ნუ გავექელვინებით და იქნება ხვალ გამოკეთდეს ჩვენი საქმე... ან არა და, ხომ იცი, „არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაცი“.

— იქით დამეკარგე! — დამელრიჯა დედა-ჩემი. — შენ რომ სახარების სიტყვების მიმდევარი ყოფილიყავ, არც ის დაგავიწყდებოდა, რომ უფროსის მორჩილი უნდა იყო, დედას პატივი უნდა სცე... მაგრამ შენ რომ მე პატივსა მცემდე, ვიღაც ოხრების გულისათვის უფროსს, ჩვენს მაცხოვრებელს კი არ გალანძღავდი.

აქაც მოვტყუვდი! ცხოვრების მოთხოვნილებამ დედა-ჩემს ნამდვილი მღვდლური კილოკავი აპოვნინა და მასთან „დოღმატიური“ ლაპარაკი ისეთივე უნაყოფო დარჩებოდა, როგორც სხვა ლიტონი სიტყვები. მაინც კიდევ შევეცადე, როგორმე დამემშვიდებინა, მაგრამ დედამ აღარ დამაცადა და გულისწყრომით დაიწყო:

— დამშვიდდიო!.. შენმა დღეგრძელობამ, აი ონოფრეანთ ტიტიკო თუ „მირონი სუდობას“ მოელის ამ დღეებში და იმისი წუნკლიანი დედა სიხარულით ფეხზე აღარა დგას, მე გვერდებში გამიჯდა რაღა? შენც ხომ თითქმის იმის ამხანაგი იყავი, შე გლახა; ბევრით კი აღარ არის შენზედ დიდი, მაგრამ, რომ არსად მოისვენე, ყველას ნიორივით გადაესხი, დაუდეგარო, და სულ იმას გაიძახი: „არა მარტო პურითა სცოცხლობს კაციო!“ აბა, მაშ მიბრძანდი, შენმა სიკვდილმა, იმასთან და ფეხი გაშალე! მამა-შენი, შე უბედურო, ხუთი თაბახითა სჯობდა ონოფრე მღვდელსა, მაგრამ აგე, იმისი შვილი დიდი კაცი, ჩინისა და ჯამაგირის პატრონი შეიქნება და შენ კი აგრე უნდა იხეტიალო. ნეტავი-და მე, ბლაღოჩინის ცოლსა, აფსუს, დეკანოზის ქალო, რა უბედური შვილი გამოგივიდა! — სასოწარკვეთილებით გაიქნია გაშლილი ხელები, თითქოს თითისტრიდან [illegible] იხვევსო, თვალები ცრემლებით აევსო და განაგრძო:

— ნუ თუ გგონია, შე უბედურო, პირში რომ არას გეუბნევიან, მადლიერი გყავს ვინმე? ქვეყანა დიდლიდანაა, ქვეყანა შენ დაგცინის, შენ კი გაიძახი „არა მარტო პურითა

სცოცხლობს კაციო! აი მეხი კი დაგაყარე! დღეს რა გნებავს სადილათა, ყაბლუ-ფლავი, თუ ბოზბაში?.. მოგიგდებ ე დაობებულ პურსა და თავში ქვა იეცი!.. არა, არა, მეტი აღარ შემიძლიან! მისამარას ჭკუა მოიკრიფე, პატარა ხომ აღარ ხარ, ამ კვირია, ოც და ხუთის წლისა შეიქმნები, ოც და ხუთი ხატი და ჯვარი გაუწყრეს, ვინც შენ გადაგრია,—თითი მოიკაკვე, როგორც სხვა ასი და ათასი მსახურებს და წელში იღუნება, შენც ისე მოიქეცი, თორემ წმიდა თევდორე ტირონელს გეფიცები, ერთ დღეს ქვეყანას თავზე დაგახვევ და საჯაროდ შენს დედა-შვილობაზე ხელს ავიღებ. ხომ არ გინდა ციხეში გამოგალპობინო, კუდი რომ ათასგან გიდევს!... მე დედა ვარ და უფლება მაქვს ჩემი საცხოვრებელი მოგთხოვო!...—გაცეცხლებით დააბოლოვა დედა-ჩემმა, ერთი ხარივით შემომიბღვირა და თოფნაკრავივით გაბრუნდა...

— ღმერთო, ღმერთო, რამდენი შეურაცხყოფა, რამდენი უსამართლობა მომაყენა თავისი სიტყვებით დედა-ჩემმა, მაგრამ იმ ჟამად მე ის არ გამიმტყუნებია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავ-ზარსა მცემდა მე და დედას შორის ასეთი სხვა-და-სხაობა გულის-თქმა-მისწრაფებათა და მეორეც ამიტომ რომ, მართლაც, იმ კვირის განმავლობაში, როცა ეს ამბავი მოხდა, სანათიც კი არა გვქონდა, არამც თუ საჭმელი! რამდენჯერ დამინახავს რუს პირას ჩამომჯდარი, მოხუცი დედა-ჩემი, როგორ ალბობდა ხოლმე დაობებულ პურს, სჭამდა და თან მდუღარებას აფრქვევდა. ოხ როგორ ვიტანჯებოდი მაშინ, რა ბოღმითა და ცეცხლით მევსებოდა გული!...

დედა რომ თვალთაგან მიმეფარა, სევდის გასაქარვებლად სოფელში გავლა მოვიწადინე. ბოგირზე გასვლის დროს დავინახე: დედა-ჩემი რუს პირად კედელს მიჰყრდნობოდა და გულამოსკენითა ტიროდა!...

ეჰ, ჩემო ტროფიმე, ვისაც ამგვარი ამბები არ გადაჰხვედრია და ან არ დაჰკვირვებია ჩვენი ხალხის დახავსება-დაჩიაკებასა, შეიძლება იმას სასაცილოთაც არ ეყოს ჩემი ნაამბობი და „ესტეტიკურად“ ვერ დასტკბეს, მაგრამ მე კი?... ოხ, ნეტა შე-

მეძლოს თითოეულის გულში ავაპრიალო ის ცეცხლი, რომელიც მე იმ დროს გულზედ მეკიდა და რომელსაც ბოროტებადაჩაგვრისადმი შურის-ძიება ჰქვიან!...

## II

თვალი ავარიდე მომტირალ დედას და მწარედ დაფიქრებული გავყევ რუს ნაპირს. დინჯად მოჩბურტყუნებდა პატარა რუ ჩემს გვერდით და რაღაც საიდუმლო კითხვებს მაძლევდა. მე კი თანდათან ვბრაზდებოდი, გული ყელში მებჯინებოდა; ასე გასინჯე, იმ ჟამად გვირილა-ყაყაჩოთი მორთული მინდორი და მედიდური კაკლის ხეებიც კი თითქმის შემჯავრდა და, თუ კვლავ ვსტკბებოდი ხოლმე მათის მზერით, ახლა მინდოდა საშინელი ქარიშხალი ამოვარდნილიყო, სულ მთლად გაექელა მშვენიერი ზედა-პირი დედამიწისა, მიენგრ-მოენგრია ქვეყანა და თუ ბოროტებას არ ამოფხვრიდა, ლაჩარი და ღარიბი ადამიანები მაინც ამოეწყვიტნა, რომ იქნება ამდენი უბრალო ცრემლი საკვლავოდ მაინც არ დაღვრილიყო. მაგრამ... თითქოს ჩემს ჯიბრზე, მინდორი თანდათან უფრო ლამაზდებოდა, მდინარე კვლავ ლუკლუკებდა, და გაზაფხულის მზე უფრო და უფრო საოცნებოთა ხდიდა მინდვრის ყვავილებს! რომ ისოდე, ველარ მოვითმინე ბუნების გულ-გრილობა, აფთარივით მივარდი გვირილის ერთ კონას, ძირიანად ამოვგლიჯე მიწიდან და გაბრაზებით გადავისროლე მდინარეში!...

თითქოს გულზე ცოტათი მეფონა, მაგრამ სახეზე კი ალბად მეტის-მეტი ცუდი ფერი უნდა მმდებოდა, რადგანაც, მივუახლოვდი თუ არა თადეოზიანთ სახლსა, წინ მომეგება თადეოზ ირემაძის ახალგაზდა ქალი, მანო და გაკვირვებით ჩამეკითხა:

— რა მოგსვლია, ავად ხომ არა ხარ?

— არა, რამ შეგაშინა-მეთქი.

— მომაკვდავის ფერი კი გადევს და რჭვიცი! შემო, შემო შინ და ყველაფერი მიამბე. — მითხრა მანომ და ამ სიტყვებით ოთახში შემიძღვა.

ეს ოთახი უბრალოდ იყო მოწყობილი. აქა-იქ ჩამომდგარიყვნენ ხის სკამები. ერთ კედელთან იდგა ხალიჩა-ფარდაგგადაფარებული პატარა ტახტი. ხის, შეუღებავი იატაკი სისუფთავისაგან ისე კრიალებდა, რომ გული გაგინათლდებოდა... მე ტახტზე ჩამოვჯექი. მანომ კი ჩემს პირდაპირ სკამი დაიდგა. ერთხანს ორივე ვსდუმდით.

— ახლა აღარ უნდა სთქვა, რა მოგივიდა? ძლივს გამიბედა მანომ და თვალები წყლით აევსო.

— არაფერი მომსვლია... მე და დედა კიდევ შევლაპარაკდით... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვუპასუხე და მანოს სიახლოვით ცოტა რამ სული მოვითქვი. ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

— არა, უნდა წავიდე სადმე, ჩემო კარგო, რაიმე კერძო საქმეს მოვეკიდო, თორემ ასე ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია-მეთქი, დავასრულე.

— რომ არ შეიძლება, რა უჯიათი ადამიანია ე. დედაშენი! — ნაღვლიანად სთქვა მანომ და დიდრონი სევდით სავსე თვალები ერთ წერტილს დააშტერა.

— ნუ იტყვი მაგას, ჩემო მანო — ვუსაყვედურე — დედაჩემი კი არ არის უჯიათი, უჯიათი ის ცხოვრებაა, რომელიც მაგ-გვარ ადამიანებსა ჰქმნის. მე არა მწყინს დედის საქციელი, მხოლოთ გულს მიკლავს ის გარემოება, რომ უმისოთაც ჩვენი სუსტი ძალ-ღონე შინაურებთან ბრძოლას უნდა მოვახმაროთ; მაწუხებს ის მოვლენა, რომ ჩვენი, დახავსებულ აზრების მქონე ნათესავებ-ნაცნობები ცხარე ცრემლებით წინ გვეღობებიან და ხელებს გვიჭერენ; გამხნევების ნაცვლად, ლამის ქვით ჩაგვქოლონ და წაქეზების მაგიერ, ლამის თითონვე მიგვცენ სატანჯველში! ასეთი დარეტიანებულნი არიან უკუღმართ დროთა ბრუნვისაგან! დიახ, დიახ, ჩემო მანო, სწორედ თანამედროვე ცხოვრებისაგან არიან დაშინებულნი და ეს ცხოვრებაც უნდა გვეჯავრებოდეს... გიმეორებ, კერძოდ არა მწყინს დედი-ჩემის საქციელი, პირიქით მეცოდება, მებრალება კიდეც!.. რა ჰქნას, ცხოვრება უნდა... მსურს მეც სხვასავით კეთილ-დღეობაში ვიყო!.. არა, არ ეძრახვის! თუმცა კი გატეხილად რომ გითხრა;

ვინ იცის რამდენი ყმაწვილი კაცისა თუ ქალის კეთილი მისწრაფება გამდნარა და კიდევ გადნება დედი-ჩემისთანების ცხარე ცრემლში, რამდენი შექმნილა უსახო, უთვითნებო და სხვის ყურ-მოჭრილ ყმად, მარტო იმიტომ, რომ თავისიანებს დაუძლევიათ, თავისიანებს და მათ წუწუნ-ყვედრებას ველარსად გაჰქცევია. აქაც ხომ ისევ ცხოვრებაა დამნაშავე...

— ეჰ, ჩემო კარგო, შენ დამნაშავედ არავისა ჰსცნობ ხოლმე, ყველაფერს ცხოვრების სიბინძურეს აბრალებ!.. სიტყვა გამაწყვეტინა მანომ.

— და მე მგონია მართალიცა ვარ!.. სწორედ ცხოვრების ათასგვარი გაჭირვება, ამავე ცხოვრებაში გათახსირებული, გარეცხილი ადამიანობა და ისევ ცხოვრების უკუღმართი გარემოებანი ჰქმნიან ხოლმე ბოროტ-მოქმედთა და ლაჩართა უმრავლესობასა...

— ეგ სულ ერთია, კიდევ გამაწყვეტინა სიტყვა მანომ, — თუ ბოროტ-მოქმედნი არიან, იგივენი დამნაშავენიც უნდა იყვნენ...

— რასაკვირველია, ფაქტი ფაქტად დარჩება ყოველთვის — ვუპასუხე მე — მაგალითად, თუ ცნობილია, რომ გლახაკმა ნიკომ თედოს ცხენი მოიპარა, ეჭვს გარეშეა, რომ თედოს ცხენის ქურდი ნიკო ყოფილა. მაგრამ, ახლა ეს ვიკითხოთ: რად შეირცხვინა ნიკომ თავი, რათ იქურდა? რამ აიძულა? აი ამ კითხვებს რომ გამოვუდგეთ, შეიძლება წავაწყდეთ ცხოვრების იმ უკუღმართობას, რამაც აიძულა ნიკო ქურდობაზე, რამაც აიძულა თავისი პატიოსანი სახელი შეელახა; ამასთანავე; თუ მეტის მეტი გულქვაანნი არა ვიქნებით, შეიძლება გაჭირვებული ნიკოს საქციელი გავამართლოთ და იგი პასუხ-საგებელი არ გავხადოთ: სხვანაირადა ვსთქვათ: ნუ გავუჭირებთ ნიკოს საქმეს და არც ცხენს მოიპარავს!.., მე შენ დაგარწმუნებ, მანო, თუ იგივ ნიკო [illegible] არცა შიან, არცა სწყურიან, არც მისი ადამიანობა და კეთილი მისწრაფებაა ვისგანმე შელახული, თავისს დღეში ბოროტ-მოქმედებას არ ჩაიდენს, საქვეყნოთ თავს არ მოიჭრის. მაშასადამე, საზოგადოთ, [illegible] კი

არა, თვით ცხოვრებაა დამნაშავე, დამნაშავე არიან ისინი, ვინც თითონა სცხოვრობენ და შენ კი არ გაცხოვრებენ!..

— აბა როგორ ლაპარაკობ, ტიმოთე, განა ზოგიერთ ადამიანს ბუნებითად არა აქვს ცუდისკენ მიდრეკილება? გაიკვირვა მანომ.

— ეგ ხომ ავადმყოფური მოვლენაა და საზოგადოთ ყველაზე ვერ ვიტყვით! მეცნიერებამაც დიდი-ხანია დაამტკიცა, რომ ზოგ კაცს თან დაყოლილი აქვს ბოროტება, მაგალითად იბადებიან ბუნებითი ქურდები, კაცის-მკვლელები, გამცემლები და სხვა. მე მაგის შესახებ არც გიხირდები. მხოლოდ ნუ დავივიწყებთ, რომ თუ დღეს ყოველ ფეხის გადადგმაზე ვხედავთ ათასგვარ ბოროტ-მომქმედებს, ვხედავთ ათას დალაჩრებულ და აზროვნება-გადაბრუნებულ, სულით დაკნინებულ ხალხსა, ეს კი ცხოვრების ბრალია... თუ გვინდა შემცირდეს და თითქმის კიდეც მოისპოს ბოროტ-მოქმედება, თუ გვინდა ადამიანი ადამიანობამდის ამაღლდეს და საქონელივით არა ბღაოდეს, უნდა მოისპოს ხალხის შემავიწროებელი გარემოებანი, უნდა გავრცელდეს სწავლა და განათლება!.. მაშინ და მხოლოდ მაშინ გამოჩნდება ვინ არის ავად-მყოფი და ვინ არის კარგად-მყოფი... მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან გულ-გრილად მოვიშოროთ თავიდგან დაავად-მყოფებული წევრი საზოგადოებისა, მინამდის კი ყველა დამნაშავეს სიბრალულით უნდა ვეპყრობოდეთ, მინამდის თვით ცხოვრებას უნდა ჩავუდგეთ კრიჭაში.

— ჩავუდგეთ, ჩავუდგეთ!.. ძალიან კარგი სიტყვებია, ჩემო ტიმოთე, მაგრამ...—გულ-ამოსკვნითა სთქვა მანომ.

— ვიცი, რაც გინდა სთქვა... სწორედ მაგ „მაგრამ“-შია დამარხული ძაღლის თავი და ამ ძაღლის თავის ამოსათხრელად განათლება და ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა შეერთებული, დიდის და პატარისა. თუმცა, ჩემი აზრით, ერთი კაციც არ უნდა შეუშინდეს ამ ბრძოლასა! ერთ მუჭა ბდღვირს ხომ აადენს ხალხის გოლგოთასა, ერთი ბეწოთი ხომ შეეხება საერთო წყლულსა? იმედია, ამაზე მაინც დამეთანხმები, ჩემო მანო, და მიმიხვდი კიდეც, რაც უნდა ვსთქვა.

— მივხვდი, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია?—კვლავ დამეკითხა მანო.

— მე რომ მკითხო, მანიკო, საერთოდ, ან „ჰო“ და ან „არა“ სჯობიან ძალლურ ცხოვრებასა, მაგრამ... ხშირად მარტო გმირი ჰხედავს ხოლმე თავის განწირვასა, ის გმირი, რომელსაც დაბრმავებული ბრბო ჯერ სტანჯავს, ჯვარს აცვამს ხოლმე და მერე პირქვე ემხობა ჯვარის წინაშე ცოდვების მოსანანიებლადა!

— ნეტარება იმ გმირს!—წამოიძახა მანომ,—გამარჯვებ მაინც იმისია!..

— ჰაი, ჰაი!—ვუპასუხე მე და ორივენი დიდ ხანს, დიდ ხანს ჩუმად ვიყავით.

III

მანოანთ ოთახის პატარა სარკმელში მზემ შემოიხედა და მისი სხივთა კონა სვეტად ჩამოდგა ჩემსა და მანოს შუა, თითქოს დასაზვერად მოსულა და უნდა გაიგოს, რასა ჰფიქრობენო. სწორე გითხრა, ტროფიმე, არც ამ სხივთან და არც შენთან დასამალავს არას ვფიქრობდი... ვნატრობდი მხოლოდ: ნეტა ჩვენი მომავალი დედები მაინც იყვნენ გულ-კაჟნი და გაჭირვებამ არ დასჩაგროს-მეთქი... ის იყო მანოსთვის უნდა მეკითხნა კიდეც, ივარგებდნენ თუ არა მისი სკოლის ამხანაგები ცხოვრებასთან საბრძოლველად, მაგრამ მანომ დამასწრო და სიჩუმე დაარღვია:

— მე ეხლა ისევ დედა-შენზე ვფიქრობდი... მიკვირს, ღმერთმანი, რად არიან ასე დაქვეითებულნი ჩვენებურ სამღვდელოთა ცოლები თუ ქალები? განა მათში უფრო არ არის გავრცელებული სწავლა-განათლება?—დამეკითხა მანო.

მე გავიცინე.

— რას იცინი? განა ტყუილს ვამბობ?

— არა, მაგრამ მაგას ბევრი თავისებური მიზეზები აქვს.

— მაინც?

— მაგაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, ჩემო მანო! კვლავ, ოდესმე...

— განა არ შეიძლება საზოგადოდ ითქვას?

— საზოგადოდ რა ვთქვა იმის მეტი, — ვუპასუხე მე, — რომ ჩვენი მამა-პაპა (ნუ დაივიწყებ, რომ მე მღვდლის შვილი ვარ), იმ თავით ამ თავამდე, მქადაგებელია: შიშისა, ძრწოლისა და მორჩილებისა. ეს არის მათი დანიშნულება. კერძოდ, ჩემი თმოსანი ძმები მოკლებულნი არიან რიგიან განათლებასაც, განათლებას სულით და გულით, რასაკვირველია, თორემ დიპლომიანები ძლიერ ბევრი გვყავს... ტყუილად წარმოგიდგენია, მანო, რომ რაიმე საფუძვლიან ცოდნას ფეხი ჰქონდეს მოკიდებული ჩვენს ოჯახებში. ხშირად თვით დიპლომოსანიც კი ჰკარგავს ხოლმე ადამიანურ მოსაზრებას და უბრალო ხავერდის „სკუფია“ ურჩევნია მთელ შენს საქართველოს. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ქართველ ნაკურთხებს თავისი უნარი აღარა აქვთ და სხვის ყურებადა და თვალებად არიან გარდაქცეულნი... ძალიან იშვიათად შეგხვდება ცოცხალი, თვით-ცნობიერებით აღსავსე ოჯახი ჩვენის წოდებისა. მამასახლისი, თუ ნასვამი არ არის, დაღვრემილი და ყურებ-დაცქვეტილი გამოიყურება, თითქოს ზარის დარეკას უცდის, რომ ეს ერთად-ერთი საქმეც თავიდან მალე მოიშოროსო. დიასახლისს თვალები სულ კარებისკენ უჭირავს... ბავშვები დაშინებული, ან მეტად გააჯზნევებული ჰყავთ. რიგიანი წიგნი მათ სახლში არ მოიპოვება და ხშირად უბრალო გაზეთსაც კი ვერა ნახავთ... საიდუმლოება უვიცობისა და ცრუმორწმუნეობისა სულს გიხუთავს. როგორც დედა-ჩემსა და სხვა „ფოფოდიებს“ (ქართლში ეს სიტყვა ისე მიაჩნიათ, როგორც, მაგალითად, თავადის ცოლებს „კნეინა“. „ფოფოდია“, თუ არ დაუძახე, ძლიერ იწყენენ) უხილავთაგან: ჭინკისა, ქაჯისა, ეშმაკისა და ტარტაროზისა, ხოლო ხილულთაგან ბოქაულისა, მაღალი სიტყვისა და დამუქრებისა ეშინიანთ, ისე მართლა ღვთისა და კეთილი ანგელოზებისა რომ ეშინოდეთ და მათ მცნებას მისდევდნენ, მაშინ ხომ მთელი ქვეყნის წარმატებას არ

ერჩივნებათ... გარდა ამისა საშინელი შურიანები არიან, ნამეტნავად „ფოფოდიები“: ერთმანეთისათვის პირში სულიც კი შურთ და ცისამარა დღეს ერთმანეთს დასცინიან, თუმცა კი ერთმანეთზედ დამცირებულნი, დაქვეითებულნი და უმეცარნი არიან... მე ეს მინახავს და მიგრძვნია, ჩემო მანო, და, სწორე გითხრა, უარესიც ბევრი ითქმის... ერთი კარგი მხარე კი ღვთის წინაშე ისა აქვთ, რომ შვილებს, მომავალთაობას, ამრავლებენ, დავასრულე ღიმილით.

მანომ გულიანათ გადიხარხარა და გვერდზე მომიჯდა... მანოს მოახლოვებამ რაღაც სითბო მომიმატა, გულმა საშინლად ცემა დამიწყო, განუსაზღვრელი სიტკბოება ვიგრძენ და მეც თავი მხარზე დავაყრდენ..

— ოჰო, შეყვარებულიცა ყოფილხარო! ვიცი წამოიძახებ, ჩემო ტროფიმე.

— დიახ! მე და მანოს დიდიხანია ერთმანეთი გვიყვარს, თუ კი ამ სიტყვით სავსებით გამოიხატება ჩვენი დამოკიდებულება, რადგანაც სიტყვა სიყვარული წარა-მარა ხმარებით ცოტა არ იყოს გაფერმკრთალებულია. ნუ კი გამიჯავრდები და გიჟურ თავ-დავიწყებასაც ჩვენში მგონი სიყვარულს ეძახიან!..

მე და მანოს კი ერთ წუთსაც არ დაგვიწყებია, რომ უბრალო სიკვდილის შვილები ვართ; არ დაგვიწყებია, რომ ცხოვრებაში ჩაფლულნი, ცხოვრებას უნდა გავუმკლავდეთ; არ დაგვიწყებია, რომ მტერიც ბევრი გვყავს, მოკეთეცა, ბევრი შურით გვიყურებს და უფრო ბევრი დაცინვის თვალითა და ამიტომ ჩვენი ერთად ყოფნა—მუსაიფი უფრო თავ-დაჭერილი, უფრო წინდახედული და მოფიქრებული იყო, ვიდრე იმ შეყვარებულთა, რომელთა შესახებ არა ერთი და ორი გადაჭარბებული მოთხრობა—რომანია დაწერილი... გული ახდილათ გეუბნევი, არ მახსოვს, თუნდა პირველ ხანებშიაც კი, ისეთი ზიზილ-პიპილა გვჩვენებოდეს ქვეყანა და მისნი არსნი, როგორსაც აგვიწერენ შეყვარებულთა მესაიდუმლენი... კერძოთ მე (და ალბათ მანოსაც) ისიც დიდის ნეტარებით მავსებდა, მატკბობდა და მაფრთოვანებდა, რომ ჩემ გვერდით ვხედავდი ისეთ ადამიანს,

რომელიც სულით და გულით თანამიგრძნობდა და ამ თანაგრძნობას სიკვდილამდის მპირდებოდა!—ამ დროს ჩემი არსება, თითქმის იზრდებოდა, ჯანსაღდებოდა გონებრივათ და ზნეობრივათ, ვგრძნობდი ჩემს კარგსა და ავს. ძალ-ღონე მეძლეოდა ავის განსადევნათ და კეთილისკენ მისასწრაფავათ. თითქოს ისეთი ობოლი, ისეთი ულხინო და უპატრონო აღარ მეჩვენებოდა ჩემი თავი, როგორც აი თუნდა ახლა, ამ წუთში, როდესაც ამ წერილსა გწერ შენა... ნამდვილი, უმანკო სიყვარული, ჩემო ტროფიმე, სადაა, მაგრამ უკვდავი, მწვავი, მაგრამ თავდაჭერილი, თუმცა ამავე დროს მეტის მეტი თავ-მოყვარე და თვით-მოყვარეც კი! და ეს კიდევ იმიტომ, რომ ნამდვილი სიყვარული ერთგვარი მადლია, რომელიც ყველაში არა სადგურობს და თუ ერთხელ კაცმა დაჰკარგა იგი მადლი, თუ ერთხელ მოსტყუვდა ამ მადლის სიწმინდე-ძლიერებაში, მაშინ მადლ-დაკარგულ, რწმენა-შელახულ კაცს რაღა დარჩება ამ ქვეყნად, თუ არა ტანჯვა და შურის-ძიება! აი რისთვის სდარაჯობს ხოლმე კაცი თავისს სიყვარულსა!..

მგონი, მანოც ასევე ჰფიქრობდა, რადგანაც გამოეცდი თუ არა კარიბჭეს, ეჭვ-ნარევ კილოთი ერთხელ კიდევ მომაძახა:

— შენ იცი, როგორც არ დამივიწყებო!

— კიდევ?.. რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია!—ღიმილით ვუსაყვედურე და გავჩუმდი. რამდენსამე წუთს აღტაცებულნი შევცქეროდით ერთმანეთსა... ვინმე რომანების მწერალი აქ რომ დაგვსწრებოდა, ვინ იცის, რას არ აღმოიკითხავდა ჩვენს სახეზე?! ერთს წუთს ყოველგვარი გაჭირვება გადაგვავიწყდა!...

---

შენ ხომ იცი, ჩემო მეგობარო, რაც მომინდომებია, იშვიათად ამსრულებია, პირიქით მადლი მატლადა მქცევია და მართალის ადგილას ბევრჯელ მტყუანი გამოვსულვარ. ესეც ერთი იღბალთაგანია! მაგრამ მანოსთან ლაპარაკის შემდეგ, უცბად ადგილი გამომიჩნდა! ერთმა მამულების გამგე-მოურავმა გამიცნო. აქეთური ვილაპარაკეთ, იქითური, და ბოლოს აღ-

მოჩნდა, რომ იმას ქალალდების გადამწერი სღომებია და მე კი ადგილს ვეძებდი. მოვრიგდით... მცირე ფასად დამიქირავა, დიაღ, „დამიქირავა“, რადგანაც, როცა ფულებზეა საქმე მიმდგარი, მაშინ შენს ადამიანობას აგრე რიგად აღარავინ აფასებს. მაგრამ მეტი რა გზა მქონდა?.. დედა-ჩემიც დროებით შემირიგდა და ასე მითხრა: „შენი გულისთვის ვიკლავ თავსა, თორემ განა მართლა ჩემი ცხოვრებისათვის ვფიქრობო.“ საწყალი დედა, იქნება მართალიც იყო! მაგრამ ის კი დაავიწყდა, რომ მისი შვილი გროშებზე ჰყიდდა თავის ძალ-ღონე-მისწრაფებასა.

ერთ დღეს ვიქირავე ურიისაგან ერთი წისქვილზედ დასაფქვავი ცხენი თავისი უნაგირითა, მოვაჯექ ზურგზედ და ტაატით გავწიე რკინის გზის სადგურისაკენ. დედამ გზა დამილოცა, მაგრამ ველარ მოითმინა და მომაძახა:

— ვინძლო, შვილო, იქაურობაც აურ-დაურიო!.. ნუ, გენაცვალოს დედა, ნუ იქნები დაუდეგარი!

მე გამეცინა და ღიმილიც სახიდან არ მომშორებია, ვიდრე მანოს სახლს არ დავუპირდაპირდი. აქ კი გული გადმომიქანდა. მანო კარებში გაჩერებულიყო, ცალ ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და ცრემლებად იღვრებოდა. მეც, სწორედ გითხრა, გული ამიჩქროლდა. ცხენი გავაჩერე, შორიდან ქუდი მოვუხადე და დიდხანს გავცქეროდი. გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავვარდი, თავს-ბრუ მესხმოდა. ერთით ვიფიქრე, მოდი მივალ მანოსთან და გავამხნევებ-მეთქი, მაგრამ თავს დავსძლიე, უცბად ცხენი მივატრიალე, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა „ჩემს მერანს“ ისე გავაჩქარე. კარგა გზა გავიარე... მაგრამ ვგრძნობდი კი, რომ უნაგირზე მარტო სხეული დამრჩენოდა, სული და გული მანოსთან გადაფრენილიყო!... შუბლზე გამწარებით ხელი შემოვიკარ და წამოვიძახე:

— ლუკმა პურის მაძიებელ ადამიანისათვის, ყოველგვარი სიამოვნება მოშხამულია-მეთქი!...

## XV

რკინის გზის სადგურზე შემხვდა ჩემი „დამქირავებელი“ პავლე კოტორაშვილი. ჩავსხედით მატარებელში და გავწიეთ... მთელი დღე და ღამე ვიარეთ და ძლივს მივაღწიეთ დანიშნულს ადგილსა. ჩვენს მისვლაზე მშვენიერსა და მდიდრულად მორთულ სახლის აივანზე ხალხი ბლომად გამოიშალა. თურმე ყველა პავლეს თავისიანები ყოფილიყვნენ, როგორც შემდეგ შევიტყე, მომეტებული მათგანი ხნიერები იყვნენ. სწორედ „ბებრების გამოფენა“ გეგონებოდათ. პირველად, კიბეზე, მოგვეგება ერთი შუახნის, ლაზათიანი და სუფთად ჩაცმული მანდილოსანი. პავლემ გამაცნო.

— იცნობდეთ, ყმაწვილო, ჩემი მეუღლე გახლავთ.

— დიდათ სასიამოვნოა... ტიმოთე ტიმოთეშვილი-მეთქი, —წავილუღლუღე და ხელი ჩამოვართვი.

აივანზე რომ ავედით, პავლე სხვების გაცნობასაც მიპირებდა, მაგრამ ამ დროს საიდანღაც გამოლოღდა ერთი ყველაზე უფრო ხნიერი მანდილოსანი და ხელებ გაშლილი პავლესკენ გამოექანა

— მოხვედი, შვილო, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი?— დაახრიწინა ბებერმა და შვილს კისერზედ ჩამოეკიდა.

— მოვედი, დედი, მოვედი!— ეუბნებოდა პავლე და თან ხარხარებდა. სხვებიც ანგარიშ-მიუცემლად იცინოდნენ....

— ეშ, ვილაა?—ნიკაპის ზევით აწევით კითხვა ბებერმა; როდესაც შვილს კისრიდან მოეხსნა და შუბლზე ხელშემოდებით დამაშტერდა.

— ესა, დედი? ჩვენი გადამწერია!, აკი მეუბნებოდი, დაიქირავე ვინმე, თვალში ჩინი აღარა გაქვს მავდენი წერითაო. აჰა, ავასრულე შენი თხოვნა. ნახე, დედი, როგორა მყვარებიხარ?

— ოიი! მამა ზეჩიერმა გაგაჯრიელოს დედის პატივისცემისათვინა, ხელ გაპყრობით მიჰმართა შვილსა და მერე გაშლილი ხელები მე დამარტყა მხრებზე:

— შენჩა, შვილო; თუ კარგი გამოდგე!...

შეცინებოდა, მადლობა ველარც კი გადავუხადე.

მალე ბებრები ჭინკებივით შეცვივდნენ სახლში და დიასახლისმა მეც შემიწვია. მოწიწებით გადავაბიჯე უცხო სახლის კარაპანსა და პირველად რომელი სკამიც მომხვდა, უნებლიედ ზედ ჩამოვჯექი...

ეჰ, დაწვრილებით არ აგიწერ, ჩემო ტროფიმე, ამ სახლის მოწყობილებასა! შენც კარგად მიხვდები, რა არ ექნებოდათ სახლში დადგმულ-დაკოსებული იმ გვარ ხალხს, რომლებიც როგორცა ჩანდა, არისტოკრატებს ჰბაძავდნენ! ათას გვარი ნივთი, ავეჯი და ოთახის მოსართავი მოიპოვებოდა ამ სახლში; მართალი გითხრა, ზოგ-ზოგი სახელი არც კი ვიცი, მაგრამ ეს ამოდენა სიმდიდრე ისე იყო მიყრილ-მოყრილი, რომ მათ პატრონების გემოვნებას არა ეტყობოდა-რა: „სწორედ „მეჟიკური“ ფერი ადევს ამ უკვდავება სიმდიდრესაო“ იტყოდა ხოლმე ერთი ჩვენებური კნეინა, როდესაც გამდიდრებულის სომხის ან გლეხის სახლში შევიდოდა. მართო ფულები ხომ არ არის საქმე, ჯიში-მოდგმა უნდა ჰქონდეს კაცსაო (ეს ის კნეინაა, გახსოვს, ტროფიმე, მე რომ მიმტკიცებდა: „თავადები ქრისტეს ჩამომავალნი არიანო“?!) პავლეს სახლს რომ ვათვალიერებდი, თვალწინ წარმომიდგა ის კნეინა და გავიფიქრე „როგორ თავისებურად ლაპარაკობდა. ახ რომ იყოს-მეთქი?

ამ ფიქრში რომ ვიყავ, ბებრებმა ყაყანი ასტეხეს. ძლივს დაბარბაცებდნენ, მაგრამ ერთმანერთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ. საკვირველია, ტროფიმე, რატომ ენა კი არა ბერდება?

— აბა, რა მომიტანე, შვილო, — შეეკითხა ერთი ბებერი პავლეს.

— მელა?

— მე?

— მე?

მოისმა აქეთ-იქიდან. პავლემ სიცილით მომჩარჩენინა ხურჯინი, გახსნა და თითოეულ ყველას დაურიგა: ზოგს საკაბე, ზოგს თავშალი, ზოგს ფეხსაცმელები და სხვა წვრილსაც

აბრეშუმის საკაბე მიართვა და დაუმატა: „ჩემო სულის კოლოფო, ახალი მოდისაო“. „სულის კოლოფმა“ საკაბე გადააბრუნ-გადმოაბრუნა და მედიდურად ტუჩი აიწია...

ყველა მხიარულობდა, მხოლოდ ერთი ახალგაზდა რუსი მოსამსახურე გოგო ვერ იყო გუნებაზე, ალბად იმისთვის არა მოეტანა-რა პატივცემულ პავლეს.

მთელი დღე ხმა ამოუღებლივ შევჩერებოდი ამ ხალხს და... ჯერ სალამომდის კინაღამ არ გამოვჩერჩეტდი. ერთი მხარე რა არის, ერთი იოტის ოდენა მხარე ვერ გამოვუნახე ამდენ ადამიანს, რომ გული მიმკვროდა, რაიმე საერთო აღმომეჩინა! პირველ დღესვე საშინელი მარტოობა ვიგრძენი!... ძნელი ასატანი ყოფილა, ჩემო ტროფიმე, როდესაც იძულებული ხარ ემსახურო იმისთანას, (სულ ერთია ხალხი იქნება იგი, თუ კერძო კაცი), რომელთანაც არავითარი საერთო არა გაქვს-რა და შენი მასთან დამაკავშირებელი ან ფულები ან მონობაა!...

—

გავიდა ერთი თუ ორი კვირა... ამ ხანში მამული დავათვალიერე, ჩემი საქმე გავიცანი და დავიწყე მუშაობა.

იქნება მამულის აღწერა გეყურადღებებს, ჩემო მეგობარო, მაგრამ... ორიოდე სიტყვაც საკმარისია მის დასახასიათებლად: წარმოიდგინე რამდენიმე ვერსის სიგრძე და სიგანე მამული, დაფენილი სახნავით, სათესით, ხიზნებით და [illegible], თვალუწვდენელის ტყით. ბუნებას, [illegible] მხრით დაუჯილდოვებია ეს მამული... ადგილ-ადგილ, მთებში, მკურნალი წყლები და მადნებიც კი შეგხვდება. ერთის სიტყვით, რიგიანი პატრონი და გულშემატკივარი რომ ჰყავდეს ამ მამულს, ულეველ „ასიგნაციებს“ აალებინებს, და არამც თუ თითონ, [illegible]სახლებულ ხიზნებსაც გაამდიდრებს... ხუმრობა ნუ გეგონება, ტროფიმე, და ძველ დროში რომელიმე ჩვენ თავადს რომ ჰქონოდა ეს მამული, თავისს თავს „მეფეთა-მეფედ“ აღიარებდა... დღეს კი?.. სხვის სამემკვიდრეოს [illegible] თვალები გეტკინება, რომ დაინახო, რა ულმერთოდ არის მიტოვებული მოურავების ხელში. საიდან გაჩნდნენ ეს მოურავები? იცი-

ხავ. პირველ პატრონს დაუგირავებია ეს მამული რუსეთის ერთ-ერთ ბანკში რამდენიმე ასი ათას მანეთად, თითონაც რუსეთში გადასახლებულა და ისე გაუფლანგავს ფულები, რომ მერე ველარ დაუხსნია. ახლა დამგირავებელნი თავისს მხრით მოურავებსა ნიშნავენ და მამულის შემოსავლით სარგებლობენ. ბევრს გაუმსია, ძმაო, ჯიბე ამ „მუქთა-ხორა“ მამულის შემოსავლით, ძრიელ ბევრი მოურავიც გამოცვლილა, მხოლოდ ჩვენი პავლე ეს რამდენიმე წელიწადია განაგებს ამ მამულსა. მაგრამ ან კი რა მოვლა უნდა? როგორც მეურნეობა, ისე ტყის მრეწველობა ძველებურად არის მოწყობილი. ერთი უბრალო სამეურნეო იარაღი რა არის, ისიც კი არ მოიპოვება ამ უზარ-მაზარ მამულის მოსავლელადა... რასაც მამაპაპური მოვლა და ბუნება იძლევა, იმითიც დიდი კმაყოფილია პავლე მოურავი. მართალია მისნი გამწესებელნი იმდენს ვერა სარგებლობენ, მაგრამ პავლეს ყელშიაც ამოსდის!...

რაც შემოსავალს დაჰკლებია, ჩემო ტროფიმე, ის მამულების შესახებ საწერ ქაღალდებს მოჰმატებია: უნდა დაიფაროს თუ არა შემოსავალი? მეც ვიჯექ მთელი დღე და კალამს საცოდავად ვაწრიპინებდი... გადიოდა დრო, მეც „სტუმრის“ საქმე შემართებოდა; მალე „სპილენძათ“ გადავიქეცი; მხოლოდ მეტყოდნენ თუ არა „კარში გადი“ — ამას კი ვერ გეტყვი, რადგანაც მგონი ძრიელ ვჭირდებოდი პავლესა. პირველად არა უშავდა-რა, რამდენათაც მოეთხოვებოდათ სხვის ხარჯით გამდიდრებულ ხალხს, თავაზიანად მექცეოდნენ; მაგრამ მივილე თუ არა პირველი ჯამაგირი, მაშინვე დავიწიე იმათ თვალში და უბრალო მოსამსახურეებში აღარ მარჩევდნენ. (მერე რომ იცოდე როგორის კანკალით და თან ბღვერის გამომეთვლებოდა ჩემის ოფლით ნაყიდი გროშები!?) პავლეც ხშირად მაგრძნობინებდა, რომ ვითომ ის ჩემი „ქვეყნის-მყოფელი“ იყო!... გული მომდიოდა... რას შევრჩებოდი-მეთქი ვფიქრობდი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვითმენდი.

— „ნუ იქნები, შვილო, „დაუდეგარი“-ო“, ჩამძახოდა დედი-ჩემის ხმა.

— ვინძლო მალე გავასწოროთ, ჩვენი აწეწილი საქმეები, მეჩურჩულებოდა მანო. რა მექნა? საით წავსულიყავი? ვის გადამეწყვიტნა?

ვინ იცის, ტროფიმე, რამდენჯერ დამიცინვია ჩემი თავისა-თვის, იმიტომ რომ, რის წინააღმდეგიც ვიყავ, იმას ვემსახურებოდი: ჩემი თავისუფლება, თავ-მოყვარეობა, ჩემი წიგნები, ჩემი მისწრაფება თანდათან ობლდებოდა!!...

— ბიჭოს! ეს რა მომდის-მეთქი? გავიფიქრე ერთ დღეს და საშინელი ამრეზილი შევედი სასადილოდ.

— „დაუდეგარო, დაუდეგაროო“! გამიელვა თავში; მაშ რა ღვთის ცეცხლი უნდა იყოს ადამიანი ამისთანა გარემოებაში-მეთქი! — მეც ვუპასუხე ჩემს თავსა და წარბ-შეკრული მივუჯექ სუფრასა, რომელსაც ჩვენი ბებრები ყვავებივით შემოსხდომოდნენ.

ეშმაკი პავლე ალბათ მიმიხვდა გულისთქმასა და ღიმილით მკითხა:

— რას მოგიწყენია, ყმაწვილო?

სწორე გითხრა, ვერაფერი ვუპასუხე, თუმცა კი ვიფიქრე, მინდი, გხედავ პირსა და ყოველსავე ბოროტ-მოქმედება-დაკნინებას წამოვუყაჭავ-მეთქი. მაგრამ კვლავ თავი შევიკავე, თითქოს ვგრძნობდი, რომ უფრო მოხერხებული დრო დამიდგებოდა.

— აი, ხვალ ჩვენი სტუდენტი მოდის და ერთად კარგს დროს გავატარებთო. — დაუმატა პავლემ მე რომ ხმა არ გავეცი.

— როგორ? განა პეტრე მოდის (პავლეს შვილი)? — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— [illegible] წელან რომ ყუნში ვიყავი, პეტრეს წერილი გადმომცეს... ამ ამბავს სადილისთვის ვინახავდი, მინდოდა ყველანი ერთად გამეხარებინეთ, — უპასუხა პავლემ.

— ოი, იმას ენაცვალოს დედაი!

— ენაცვალოს მამიდა!

— ენაცვალოს დიდი-დედა თავის ბიჭუკელასა!

— ენაცვალოს თავისი დედა!

აქლავქლავდნენ მანდილოსნები და, სიხარულისაგან პირში ლუკმა გაუშეშდათ.

მეტი ღონე არ იყო, უნდა მომეცადნა, ვიდრე დამშვიდდებოდნენ და მეც რამე მკითხნა, ყმაწვილი სტუდენტის შესახებ.

II

ხუმრობა იქით იყოს და, წარმოიდგინე, მეგობარო, მეც როგორ გამეხარდებოდა ამდენ დახავსებულ ხალხში, რომლებთანაც ლაპარაკსაც კი ვერ გაჰბედავდი, არამც ფუ მოზაასე მეშოვნა, ყმაწვილი კაცის და, ისიც სტუდენტის მოვლენა! სიამოვნებით მოველოდი „ხვალინდელ" დღეს, აღტაცებით ვფიქრობდი მასზე. გამახსენდა ჩემი იდეალები, ვიფიქრე, ახლა კი გულს მაინც მოვიოხებ-მეთქი და გავმხნევდები, მაგრამ... რა ვიცოდი, რომ უფრო გავცეცხლდებოდი და კვლავ ადგილი საძებნელი გამიხდებოდა.

ვინ იცის, ჩემი ოცნების დროს რომ ტყე ხმაურობდა, დედი-ჩემის მომავალ საყვედურს მებუტბუტებოდა — „დაუდეგარი ხარ, დაუდეგარიო!.." მე კი მოლოდინში ყურიც არ მითხოვებია ფოთოლთა შრიალისათვის.

ოცი თიბათვე, მეორე დღე წინად აწერილი სადილისა, სადღესასწაულო დღე იყო მთელი ოჯახისათვის და მეც „გავინთავისუფლე" ჩემი თავი. საღამოს შვიდ საათზე პავლე, მისი მეუღლე, დედა, ცოლის და, და გოგო-ბიჭები იმ შარაგზაზე გაეფინენ, საიდანაც უნდა მოსულიყო მათი სტუდენტი. მე კი გადავუხვიე ამ გზას, ერთ დიდ მუხის ქვეშ წამოვწექი და ფიქრებს მივე თავი. მეტი რა დამრჩენოდა? ისეთ მარტოობას, ისეთ სულის ქენჯნას ვგრძნობდი, რომ ვერც კი აგიწერ!.. მუხის გვერდით მთელი ჭალა იყო გაშენებული, ჭალა მეტად საამო და სანეტარო. იქვე, ახლოს ჩამოჩხრიალებდა პატარა რუ წმინდა და ანკარა. წვრიმალას ხმაურობა-შრიალი, ბეჭე-

რი მუხის ბურტყუნი, წყლის ჩხრიალი და გალაღებული მინდვრის ყვავილები, ყველა, ყველა, რაც კი ჩემს გარშემო იყო, თავისუფლებით ფშვინავდა და საიდუმლო ხმებს დამჩურჩულებდა... ვიწექ გულ-აღმა და მივჩერებოდი ტოტებ-შუა გამოჩენილ ლურჯად მოკამკამე ცის ნაჭერსა. დამავიწყდა ჩემი აწმყო... პატარა ღრუბელმა მხრებზედ შეისვა ჩემი ოცნება და გააქანა... თუ მიხვდი, სად? ჩემს მანოსთან, ჩემს სამშობლოში!.. თვალები დავხუჭე... ვხედავდი მანოს ცხვირსახოცით ხელში და მომტირალსა. შორიდან ვეალერსებოდი: რა გატირებს? რა გინდა? ვინ მოგკვდომია?—ვეკითხებოდი. მანო კი სდუმდა, სახეზე გაჭირვება და შევიწროება აღბეჭდოდა! ეს ვიღაა? ოჰო! აგერ დედა-ჩემიც ჩამომჯდარა რუს პირად და წყალში დაობებულ პურს ალბობს. რა გულსაკლავად იცრემლება?!. გარს ათასი სხვა ღარიბი შემოსხდომია და პურისკენ ხელებს აწვდიან... უცბად მათ შორის საიდანღაც გაჩნდა პავლე, ხელში ფულის პარკი ეჭირა, დრო-გამოშვებით პარკს მაღლა-მაღლა ისვროდა და თან ხარხარებდა... გვერდში ამოსდგომოდა ვიღაც შეიარაღებული კაცი, მახვილით ხელში. აგერ პავლე მიცინის, მეძახის... ფულებს მპირდება, თუ იმ ვიღაც კაცს ენას მოვაჭრევინებ, დავგმობ ჩემიანებს, გავყიდი სინიდისს, ჩემს ადამიანობას!.. მე ვეღარ მოვითმინე, მანოს ხელიდან ცხვირსახოცი გამოვტაცე, მივვარდი პავლეს და კისერზე მოვუჭირე, შეიარაღებულ კაცს მუჯლუგუნი ვუთავაზე... მანო იცინოდა, დედა-ჩემი დამშვიდებით შეექცეოდა დაობებულ პურს, ტიტველა ბავშვები დათამაშობდნენ... უცბად აირია ყველაფერი, ასტყდა ხმაურობა და ფეთიანივით ზეზე წამოვარდი!..

საცინელია, ტროფიმე, დევნილი და ღარიბი კაცის საქმე, ჩვენნისთანა ხალხს ოცნებაც მოწამლული აქვს. თურმე ჩამძინებოდა და ოცნება არეულ სიზმრად გადამქცევოდა!... ზარის წკარუნი და ხმაურობა იქვე ჩემს ახლოს გაისმოდა, ვიფიქრე ალბად სტუდენტი მოუვიდათ-მეთქი, სახე მაგრად დავისრისე, რომ შავი ფიქრები თავიდან მომეშორებინა და გავეშურე იქით, საიდანაც ხმაურობა მოდიოდა.

მთელ ოჯახს დედა-ბუდიანად, შუაში ჩაეყენებინათ სტუდენტი და წინ შემომეფეთნენ... როდის როდის პავლემ უთხრა:

— გაიცანი, შვილო, ეს ჩვენი გადამწერია.

— ოჰო, ახლა გადამწერიც დაგიჭერია,— გაიკვირვა სტუდენტმა და ხელი ჩამომართვა...

—

ღამის თერთმეტ საათზედ ვახშამი მზად იყო და მთელი ოჯახი შევიყარენით. სუფრა აივანზე გაეშალათ. მშვენიერი, ბადრი მთვარე სანათს ეცილებოდა და საოცნებოდ კაშკაშებდა. მცირეოდენის სიჩუმის შემეგ, როდესაც მარტო საინების ჩხარა-ჩხური და ტუჩების წკლატუნი-ღა ისმოდა, სტუდენტმა ლაპარაკი დაიწყო. ყველანი იმას მიაჩერდნენ და გაფაციცებით ყურს უგდებდნენ, თითქო პირიდან ოქროები სცვივაო. რადგანაც საზოგადოს არას ლაპარაკობდა ჩვენი „ძვირფასი სტუმარი“ (ასე ეძახდნენ იმ საღამოთი სტუდენტსა) ამიტომ ვისარგებლებ და თუმცა-ღა ცოტა გვიან არის, მაგრამ აგიწერ თითოეულის სახე-შეხედულობას... მე თუმცა არა მწამს, ვითომც სახე ყოველთვის სულის სარკე იყოს, მაგრამ ხანდისხან კი ცოტაოდნად მაინც მიგვახვედრებს ხოლმე ადამიანის სულის ვითარებასა... დავიწყებ პავლედან: ეს იყო მომცრო ტანისა, ჯმუხი და შავგვრემანი კაცი. თმა-წვერში ალაგ-ალაგ თეთრი გამორევოდა. მოკლე შუბლი და პატარა მძივის ოდენა ციმ-ციმა თვალები, ახლო მისჯდომოდნენ ცხვირის ხერხემალს, თითქოს ამ უზარმაზარ, ზურნის ოდენა ცხვირისა შეჰშინებიათ და მიმალულანო. თმა და წვერი ისე გაბურძგვნოდა, გეგონებოდა ქონიანი კანაფის ძაფი კატას დაუწეწნიაო. უსიამოვნო, ყომრალი შეხედულობისა, ჩუმი და მუზმუზელა იყო პავლე. მის მუშტის ოდენა თავში ეშმაკობის მეტი, ერთი კეთილი აზრი არ დაფარფატებდა... პავლეს ღირსეული მეუღლე უფრო სასაცილო იყო, სასაცილო იყო იმითი, რომ ღაბაბი სამკეცად ჩამოჰკიდებდა ნასუქი ინდოურივით; ცხვირი კი გასთხელებოდა, გაფირფიტებოდა, რაც ნიშანია წიწლაკობისა და ამპარტავნებისა. წარბი წარბზე ჰქონდა გადაბმული და ეკელივით გამოიყურე-

ბოდა. ხომ იცი, ჩემო ძმაო, რა სახესაც მიიღებს ყოველად უვიცი, გამხეცებული ადამიანი, რომელიც არარაობისაგან შემთხვევით ან „კნეინა“ და ან მდიდარი მოურავის ცოლი გახდება. მაშ კარგად წარმოიდგინე, რა სულელური მედიდურება გამოიხატებოდა პატივ-ცემულ დიასახლისის სახეზე. პავლეს და, ცოლის-და და დედა, ღმერთო შეგცოდე, დაბერებულ მაიმუნებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ადამიანებსა. ერთი მათგანი კი, სახელდობრ პავლეს და, რომელიც გასათხოვარი დარჩენილა, ცეცხლზე შეტუსულ, ცალთვალა წიწილასაც კი მოგაგონებდა. ყველაზე სახიერი მათში ისევ სტუდენტი სჩანდა: ტანადი, ჩასხმული და შავგვრემანი ვაჟკაცი იყო, წვერი მოპარსული ჰქონდა, მხოლოდ ყბებზე კიკინებივით ჩამოეშვა ბალანი და ქვეითა ტუჩზე, ნიკაპ-ზევით, ერთა ბლუჯა წვერისა დაენარჩუნებინა; ამ ბლუჯა ბალანს თითონ „ისპანიონკას“ ეძახდა და მეკი არ ვიცი, სწორე გითხრა, რა ჰქვიან... სტუდენტი და მისი მამა რომ შეგედარებინა ერთი ერთმანეთთან, გაჰკვირდებოდი, იმოდენა გარჩევა იყო თანამედროვე ყმაწვილ კაცსა და მამის შორის. პავლე მგონი კვირაში ერთხელ არ ივარცხნიდა თმა-წვერსა და ბუს უფრო ჰგავდა ვიდრე ადამიანსა, (პავლეს მარტო თავის „მოხერხებით“ მოჰქონდა თავი, თუმცა სასწავლებელშიაც ყოფილა თავის დროზე); მისი შვილი კი ნამდვილ ერთად-გადადუღებულ ესპანელს და ინგლისელს წააგავდა. ცხვირი რომ მამისა არა ჰქონოდა, ვერც კი მიხვდებოდი, რომ იგი კავკასიელი იყო!...

ნადიმი გაგრძელდა... ლაპარაკს აღარ ათავებდა ჩვენი სტუდენტი. დიდედას სთვლემდა და დედიდასაც რული ეპარებოდა, მაგრამ თავს იმაგრებდა და დაწითლებული თვალები ალმაცერად წასვლოდა. დედ-მამაც გაბუცულები შეჰყურებდნენ... ის კი ისევ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა!... ვინ იცის რა არა სთქვა! რაც კი რუსეთში კეთილი აზრი დაბადებულა, როგორც მისი სიტყვიდან სჩანდა, პირველად იმას შეუმოწმებია; ყველგან ყოფილა, ყველგან მონაწილეობა მიუღია... თუმცა კი, ჩვენთვის რომ ვსთქვათ, ის წყეული „ისპანიონკა“,

ყბებზედ დარჩენილი კიკინები, ცბიერი თვალები და ხმის მიხვრა-მოხვრაც კი ჰმოწმობდა, რომ ცოტა გაზვიადებულს ლაპარაკობდა. ბოლოს იქამდის მივიდა, რომ პატიოსან დედ-მამა-დიდედებს გულები დაუხეთქა!

— აბა, როგორ იქნება მაგისთანა. სისულელის ჩადენა, ხომ გამოგაგდეს უნივერსიტეტიდან?—კანკალით გააწყვეტინა სიტყვა პავლემ, რომელსაც იგი სტუდენტების ამბოხებაზე ლაპარაკობდა და თავის თავიც მონაწილედ ჩასთვალა.—განა არ უნდა გებრალებოდეს შენი დედ-მამა?..

— აღარ სთქვა, აღარ, შენ შემოგევლოს მამიდა... სულტანში მაგრიალებს... აი, ის წყეულები და შეჩვენებულები! აკი არ ჩაუთრევიხართ!—წამოიწიწინა მამიდამ.

— რაო, რაო?—წამოილუღლუღა დიდედამაც, თვალები გაახილა, მაგრამ ისევ დახუჭა.

— შვილო,—დაბალი ხმით უთხრა დედამ,—აბა რა ბავშვობაა შენი მხრით? ერთიც ვნახოთ, შენც ციხეში დაელპეით. ვაი მაშინ დედი-შენის გამწარებასააა!!. ხედავ ამ ლაწირაკსა? პავლე, კაცო!—მიუბრუნდა ახლა ქმარსა.

— გესმის, კაცო, ვიღასაც ულოცნია ჩვენთვისა, გენაცვალეთ!..—ხელების გასავსავებით დააბოლოვა დიასახლისმა.

ის იყო დეიდასაც უნდა ეთქვა რამე, მაგრამ თავისიანების ახმაურებით, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებულმა სტუდენტმა უცბად წამოიძახა (იქნება თავის უნებურადაც):

— დამშვიდდით, დამშვიდდით, გეხუმრებოდით! ღმერთი, რჯული, მე არა დამიშავებია-რა... ხომ ხედავთ, რავქნა?!. თუმცა კი კაცი ამხანაგობაში არ უნდა გამოწყდეს... აბა ამ ყმაწვილსა ჰკითხეთ, თუ ასე არ არის?—დააბოლოვა პეტრემ დამოწმად მე დამასახელა.

— მაგას რა უნდა ვკითხოთ?—დაუსწრო ახლა კი ყველას დეიდამ (ძლივს სწყინდა, რომ წელან ვერ ილაპარაკა),—ყველა შავ-წყალსაც უხდინია, ოღონც შენ კი კარგათ იყავ!..

— მაშა, მაშა, მაშა!!—კვერი დაუკრეს აქეთ-იქიდან.

პეტრე ვითომ გაგულისდა, ზეზე წამოიჭრა და ჩვენი ვახშამიც დასრულდა. ღამე გამტყდარიყო, ბუნებას ერთი პირი კიდევაც გამოეძინა, მთვარე დასავლეთისაკენ ძალზე გადაწეულიყო, თითქოს მოსწყენოდა ჩვენი ჯიჯინიო და ჩვენი აივნის წინ ვეშაპივით გაწოლილიყო ვეებერთელა ჩრდილი. ყველა დასაძინებლად ემზადებოდა, მხოლოდ პავლე ცმუკავდა თავის სკამზე და შვილის ნალაპარაკევით გულგახეთქილი, ბრაზ-მორევით ბურტყუნებდა:

— რა საძაგლობაა, რა საძაგლობაა!.. მადლობა შენთვის ღმერთო, რომ ჩემი შვილი გადარჩენილა!..

ისე შენს მტერს მოსწყდეს წელი, ჩემო ტროფიმე, როგორც მე ავ-გუნებაზე შევიქენი ჩემს ოთახში რომ დავბრუნდი!

„მომავლები კვეხნიები ვართ, კვეხნიები! შინ დიდგულები, გარეთ კი მხდალები და აჩრდილები!.. ჩვენი მშობლები კი—დახავსებულნი, დაჩიაკებულნი და თვით-მოყვარენი... ვცხოვრობთ იმიტომ, რომ საზიზღარს თავ-დავიწყებაში დავლიოთ ჩვენი დღენი და სხვის უბედურება-გაჭირვება აინუნშიაც არ ჩავიგდოთ! რა ადამიანები არიან, მაგალითად, პავლე, იმისი ნასუქი ცოლი, ეს დედაბრები, რომელთაც მცონარეობა-უბედობისაგან ადამიანის სახეც კი დაუკარგავთ. რა ასულდგმულებთ, რას ყრიან წუთისოფელში? რითი სჯობიან სიღარიბისაგან გაავზნევებულ დედა-ჩემს, „ქრისტეს შთამომავალ“ კნეინას და ათასს მათ მაგვარებს? მარტო იმითი, რომ საკვები უშოვნიათ და ერთმანეთს საკენკს უყრიან?.. აბა დაჰკარგონ, წაართვას ვინმემ ქონება, თუ ცხვრებივით ბღავილი არ დაიწყონ, სულით არ დაეცნენ, მუხლი არ მოიყარონ ყოველივე მტარვალის წინაშე და უიმისოდაც გალოყებული ტვინი ხელის თავში ცემით უარესად არ გამოითქვიფონ! სადღაა ადამიანობა, ადამიანური კეთილი მისწრაფება, ღვთიური ცეცხლით აღფრთოვანება და კაცურ-თუფლებათა დაცვა?.. ძროხაც ხომ ბღავილითა ითხოულობს საჭმელს, უპყარიც ხომ ტირილით ავედრებს თავს გამვლელ-გამომვლელს?! სად არის მეცნიერ ბრძოლა ამაღლება-წინმსვლელობისათვის?!! ამის მიზეზი, რომ ჩვენი

შეტბორებული, ხავს-მოკიდებული ცხოვრება; სადაც ჩვენ არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთ და თვალ-ახვეულები, დაშინებულები, უსიტყვოდ ავყოლივართ უკუღმართს ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალსა-მეთქი, განა? შევეკითხე ჩემს დაბნელებულ ოთახსა. და ყური მივუგდე: ასე მეგონა მიპასუხებს-მეთქი: „ხალხი თვითვე ჰქმნის თავისს ბედსაო“; მაგრამ კრინტიც არავის დაუძრავს და აჩქარებულის ნაბიჯით კუთხიდან-კუთხეში მივრბი-მოვრბოდი... მოულოდნელად, თითქოს ყურში ჩამძახა დედი-ჩემის ხმამ: „ნუ ბობოქრობ, ნუ ხარ დაუდეგარი, შე ოჯახ-დასაქცევო, წვიმა მოვა და ქვეყანას კი არ გასწვდება, რა გინდა სხვებისთვის თავს რათ იკლავო“!...

— ხა, ხა, ხა! უკეთესს აზრს როგორ შეჰქმნის შიშისგან დარეტიანებულთა გონება-მეთქი!! ვუპასუხე საიდუმლო ხმას და აღელვებული საწოლზე მივეგდე... გული მიჩქროლავდა, თავ-ბრჭყვიალა მესხმოდა, ყურები მიწივოდა, თითქოს დაჩაგრულთა მოთქმა-გოდება, ხალხის ყიჟინა-ჟრიამული, ჩემი გულის-თქმა და ჩემის საყვარელის მანოს აჩირდილიც კი ძალმომრეობა-უვიცობასთან საბრძოლველად მიწვევდა... ოოხ! რა უღონო ვარ?!..

— მეგობარო, მომეცი ხელი! . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## VI

მე და პეტრე ხშირათა ვხედავდით ერთმანეთსა, მაგრამ პირველი შელაპარაკების შემდეგ, ვეღარ ვრიგდებოდით, საგულისხმიერო ლაპარაკს ვერიდებოდით, მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გვაიხუმრებდით ხოლმე... ჩემის აზრებისთვის მგონი ისიც „დაუდეგრადა“ მთვლიდა და მე კი ის „მჩვრად“ უსულ-გულო კაცად მეჩვენებოდა... აუტანელი შეიქმნა, ჩემო მამიავ, ჩემი პავლეს ოჯახში ცხოვრება, რუსეთში გავცვლიდი როგორმე... მიზეზი, თუმცა კი მეტის-მეტი საძაგელი მიზეზი, მალე გამომიჩნდა:

ზაფხულის ერთ შავ-ბნელ ღამეს, იქნებოდა ასე ათი საათი, ვიჯექი ჩემს ოთახში და რაღაც არზას ვჯღაბნიდი. საცოდავად ბჟუტავდა ჩემი პატარა ლამპარი. ოთახი მკვდრულ სიჩუმეს მოეცვა. [ხოლოდ ხანდისხან ღია ფანჯრიდან შემოსული ნიავი კედლებზე ჩამოხეულ-ჩამოკიდებულ ქაღალდებს აცოცვილებდა. სრულიად მოულოდნელად რაღაცა ჩურჩული მომესმა და ფანჯარასთან მიველი. ხმა მიჩუმდა... მაინც ფანჯარას გადავეყუდე და გარეთ მზერა დავიწყე. უზარ-მაზარი სიმაღლისა, შავით შესუდრული ალვის ხეები ჩამომდგარიყვნენ იქვე, ჩემი ფანჯრის წინ, ჭანდრების უკან რუ გაჯავრებით მიბუტბუტებდა და ჯანღით მოცული ტყე საზარლად გრიალებდა, გეგონებოდა შიგ მავნე სულები დახითხითებენო... ხვეწნა-მუდარა და ჩურჩული კვლავ შემომესმა. ყურები ვცქვიტე და ბევრი ლოდინიც აღარ დამჭირებია, აქვე ფანჯრის ძირას, ბუჩქნარში ხმაურობდნენ.

— წამოდი, წამოდი ისევ იქ, რას გამომექეცი! ხვეწნებოდა ვიღაცა.

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს, აბა მე რა შენი ტოლი ვარ! უპასუხა მეორემ; მგონი ქალის ხმამ.

— რა არის ახლა... ნუღარა მტანჯავ!

— არა, არა თავი დამანებე, თორემ დავიყვირებ!

— დაიყვირე-რა!—მე ვარ აქ ბატონი. შეკავებით აუმაღლა ხმა ვაჟმა და უთხრა:

— შენი ჭირიმე, რაც გინდა ისა მთხოვეო...

მივხვდი, ტროფიმე, რა ამბავიც იყო... გაცეცხლებული ჩავიჭერ დაბლა და თვალის დახამხამებაზე ბაღში გავჩნდი, კედელ-კედელ გავიპარე და იმ ბუჩქს მივუახლოვდი...

— კაბას გიყიდი; ფეხსაცმელებს... რაც გინდა ყველას, ჩემო კარგო,—დასჩურჩულებდა ვაჟი.

— არ შემიძლიან, ბატონო, მე ქალწული ვარ!, ჩემ თავს ვერ გაყიდი, ვერა, ვერა!... დამანებე თავი! ემუდარებოდა ქალი რუსულ ენაზე.

ავტანელი შეიქმნა ჩემთვის ეს ამბავი, მოურიდებლად გა-დავვარდი ბუჩქნარში და საზარელის ხმით დავსჭყივლე:

— რა ამბავია-მეთქი!

რაღა რა ამბავი იყო! ცხრათ მობღუნძული პავლეს რუსი-გოგო ბუჩქის ძირას მიყუჟულიყო და მუშტის ოდენად და-ღეული, მალზე ცახცახებდა. თავს ადგა... ჩემი „ბატონის“ შვილი!..

— ვინა ხარ? დაიღრიალა პეტრემ და მუშტ-მოღერებუ-ლი დამეძგერა.

მე ხელი შევაშველე...

ჩვენ ხმაურობაში მთელ სახლს გამოეღვიძა, გოგომ დრო იპოვნა და სადღაც მიიმალა.

ამ ჟამად გადარჩა საცოდავი გაუპატიურებასა, მაგრამ ხვალ? ზეგ? ოხ, რამდენია ძალდატანებისა და უსინიდისობის მსხვერ-პლი! რამდენი ატარებს გულით ჯოჯოხეთსა, თუ სულ მთლად არ დაეცა და ქუჩა-ქუჩა არ დაიწყო წანწალი?!!...

რაღა თქმა გინდა, ჩემო ტროფიმე, რომ მეორე დღეს მე და პეტრეს დიდი შელაპარაკება მოგვივიდა... თვით პატივცე-მული მასპინძლებიც ლაზათიანად შემომელანძღნენ რადგანაც... ისინიც მე მამტყუნებდნენ და პირმშო შვილის „ცელქობას“ თითქმის კიდევაც ამართლებდნენ...

— ე რა ხვთის ჩეჩხლი ყოფილა,—მომაძახა ბებერმა, რო-დესაც პივლეს ყველა მისი საქციელი წამოვუყაჰე და გამო-ვუცხადე, რომ მე თქვენ სახლში დამდგომი აღარა ვარ-მეთქი... რაში ესიამოვნებოდათ?!...

—

აჰა, გავათავე ეს, შენთან გამოსაგზავნი წერილი, და ახლა კი უნდა ავიკრიბო ჩემი ბარგი-ბარხანა. ვიცი ბევრი გაჭირვება მომელი, მაგრამ...

— მერე სად მიხვალო? დამეკითხები; შენთვის „დაუდეგა-რი“ ტყუილად არ დაურქმევიათო.

— ვნახოთ!... პირველად მივალ ჩემ მანოსთან და თუ იმასაც რაიმე სიყალბე შევატყე, ოო!... მაშინ კი... მშვიდობით!... მაგრამ რას ვბოდავ?... თუ ამ ქვეყნად დევნილმა კაცმა ბოროტება-უსამართლობას ცხვირი ქვაზე არ უცეცქვა, მგონი საიქიოსაც ვერ მოისვენოს“!...

ია ეკალაძე

თიბათვე — 97 წ.

## სიმღერა

ბედის მომლოდნე უბედო დავრჩი;
გამწარდა ჩემი სიცოცხლე-ყოფა.
სხვას ვერას ვამბობ, ამას ვიძახი:
იმ დედა-ჩემმა რისთვისა მშობა?
რად ჩაიმწარა ძილის წამები,
რად დამათირა იავ-ნანითა,
თუ ვერ ვნახავდი ერთხელ ნათელსა,
ვეხეტებოდი მუდამ ღამითა?!
თავით მესვენა ღვთის მშობლის ხატი,
გულს მიბრწყინავდა მაცხოვრის შანა,
და დედის ლოცვა-მხურვალეს ჩემთვის
გვირგვინად უდგა თავს იავ-ნანა.
ამაოდ დარჩა მშობლისა ლხენა,
გაუკუღმართდა მისი იმედი:
დედა უძლური, შვილი ბეჩავი,
ორივე ვიწვით როგორც აბედი.
ვაი რა ფუჭად სიცოცხლესა ვლევ,
როგორ გაცრუვდა იმედი ჩემი.
რა ცუდს ალაგას გარიყა ზღვამა
ავრა გამლილი მსრბოლარი გემი!
როცა აღარ მაქვს საგანი სოფლად,
მაშინ მხოლოდა სიკვდილს-და ველი...
რა ნუგეშია სიკვდილის ნატვრა?
ვერ ვანუგეშებ თავს მე იმითა!
რა მადლი არის სიცოცხლისათვის

ცივს სამარეში ძღომა ძილითა,
და გულ-მოკლულად სულის დალევა,
მისვლა იმ სოფლად შავის პირითა?!
რა მივუტანოთ ამბავი გმირთა?
რით ვანუგეშოთ სამშობლოს მცველნი?
ნუ თუ ის ვუთხრა: ძლეულ ვიქმენით,
საქართველოზე ხარობენ მტერნი?!
ვაი რა ცუდ დროს ჯანდი დაგვეცა,
ვაი რა ცუდ დროს გაგვიტყდა გემი;
ვაი რა ფუჭად გული ვაძგერე,
უკვალოდ რჩება სავალი ჩემი!

ვაჟა-ფშაველა

# შემდეგ რა იქნება?

(ამბავი)

ფილიპე მურლიკისა

პავლე ჯოლოყშინი—ლამაზი და გონიერი ბიჭიკო იყო და მასთან საშინელი ცნობის-მოყვარე.

— მამა!—კითხულობდა ის,—ხვალეც ისეთივე დღე იქნება, როგორც დღეს?

— ეს ყოვლადმა ღმერთმა უწყის, შვილო,—უპასუხებდა მამა,—ხვალ მოწმენდილი დღე იქნება თუ მოღრუბლული.

— იმ დღის შემდეგ კიდევ სხვა დღე იქნება?

— სხვა, შვილო, სხვა.

— იმის შემდეგ კიდევ დღე იქნება და ისე დღე დღეს მოჰყვება?

— მოჰყვება, შვილო, მოჰყვება.

— შემდეგ რაღა იქნება?

— იქნება ის, რასაც ღმერთი მოგვცემს.

მაგრამ იმას კი პასუხი არ აკმაყოფილებდა და ყველგან იმასა ჰკითხავდა: შემდეგ რა იქნებაო?

შემდეგ იქნება ის, რომ შენ დიდი გაიზრდები და სასწავლებელში წახვალ, უთხრა უფროსმა ძმამ ალექსიმ.

— შემდეგ რაღა იქნება?—ეკითხებოდა პავლე.

— შემდეგ გიმნაზიაში შეხვალ.

— შემდეგ რაღა იქნება?

— უნივერსიტეტში შეხვალ.

— შემდეგ ....?

— ეჰ! მოჰყევი კაჭკაჭივით რატრატს!

— არა, ალექსი, გეთაყვა მითხარი, შემდეგ რა იქნება?

— შემდეგ ის იქნება, რომ შენ ბუხრის-მწმენდავი გამოხვალ და ბუხრები უნდა სწმინდო და სწმინდო...

— არა! ეგ ტყუილია.

იმ ნაირად იყო დარწმუნებული ამ სიტყვების სიყალბე-სიცრუეში, რომ ალექსის განშორდა... და ყოველთვის იმას ფიქრობ-კითხულობდა: შემდეგ რა იქნება?

რადგანაც ადამიანი ამაზე ვერაფერს ეუბნებოდა, პირუტყვთ მიმართა, თავისს ცალთვალა, საბრალო-ბებერ ძაღლ მირზას. მაგრამ რა უნდა ეთქვა იმისათვის გადაყრუებულ-გადამღრძვალ მირზას! შუაზე მოწყვეტილ კუდის ქნევისა და ლაქუცის მეტი რა იცოდა.

ამ კითხვით კატასაც მიმართა, მაგრამ ამ ნაცრის ფერ, ფისუნა კატას რა უნდა ეთქვა იმისათვის, რომელსაც კრუტუნისა და თაგვების დაჭერის მეტი არა იცოდა-რა.

მტრედთა გუნდსაც მიმართა, მაგრამ იმათი ღუღუნისა რა უნდა გაეგო?

ბოლოს თევზებსაც მიმართა, იმ ოქროს-ფერ თევზებს, რომელნიც ზარის რეკის ხმაზე ტბიდგან ნაპირას გამოდიოდნენ, მაგრამ რას ეტყოდნენ იმას თევზნი, როდესაც კაცზედაც კი ნათქვამია: «უენოა, როგორც თევზი!»

წყნარსა და მშვიდ საღამოობით ზეცას შეჰყურებდა... ცისაგან პასუხს ელოდებოდა, მაგრამ ცაზე პატარა, ვერცხლის ფერი ღრუბლები დაცურავდნენ და ცაც თევზივით უსიტყვო იყო.

ბევრი სათამაშოები ჰქონდა, მაგრამ ისინიც მალე მობეზრდნენ.

— ეს რა საყურადღებოა, — ფიქრობდა თავისთვის, — სათამაშო ყველა ერთი და იგივეა. ყველა სათამაშო სცდილობს ცოცხალს ნამდვილს რასმეს მიბაძოს, მაგრამ ვერ მოუხერხებია... თუნდა ეს პატარა გორგოლაჭები!?. უხეირო მიბაძვაა სხვა არაფერი! ხალხი კი ერთობა ამაებით!..

სათამაშოებს ზიზღით გადაჰხედა.

ბეჟანი კითხულობდა და ფიქრობდა, მაგრამ დაბეჭდილი წიგნი ჯავრისა ჭკვრიალს რადგანაც იმას არ აძლევდნენ, რასაც იმისი გული მოწადინებულ-მოწყურებული იყო...

— განსწავლით, — ფიქრობდა ბეჟანი, — შემდეგ რა იქნება!..

სკოლაში გულ-მოდგინედ სწავლობდა, მაგრამ არავითარი სწავლა-მეცადინეობა იმის გულ-გონებას არ აძლევდა მას, რაც ენატრებოდა. სკოლაში, ტოლ-ამხანაგთა შორის ის უცხოსავით იყო და უმანკოდ იმედ-გატაცებით ალისავით სიცოცხლე იმის თვალ-წინ სიზმარებრ მიმდინარეობდა.

— ოჰ! — ფიქრობდა იგი, — ბევრი მალ-ღონე და მოთმინებაა არის საჭირო, რათა მთელი სიცოცხლე ბნელაში გაატარო.

ცდილობდა, აღარა ეფიქრნა-რა: მთელი საათობით თვალებ დახუჭული თავისს საყვარელ კუნჭულში მიკრუნჩხ-მიმალებოდა, მაგრამ ერთსა და იმავე მტანჯავ, თავის მომაბეზრებელ საკითხს გაჰქონდა ყურებში ბზუილი: შემდეგ რა იქნება?

გიმნაზიის მეშვიდე კლასში იყო, რომ ერთხელ გეოგრაფიის მასწავლებელთან მივიდა.

— გეთაყვა, სტასიპატრ პეტრეს ძევ, მითხარით, შემდეგ რა იქნება?

— როგორ თუ შემდეგ რა იქნება? — გაუკვირდა მასწავლებელს, — მე თქვენი არა მესმის-რა. ნამდვილად არა მესმის-რა: იქნება ის, რაც იყო.

— არა! აი მე რასა გეკითხებით: ჩვენი დედამიწა რომ სულ წინ, წინ მიისწრაფვის... როგორც ზარბაზნიდგან გასროლილი ტყვია, მიდის და მიჰქრის..., სად მივარდება და მაშინ ყველა ჩვენგანის თავს რა იქნება?

— ეჰ, რის დაგება მოგიწადინებიათ?.. ცოდნა იმისი, რაც არც ერთმა სწავლულმა არ იცის... მანდამდის მეცნიერება არ მისულა.

— მივა კი ოდესმე?

— ამაზე ჩვენ არა გვცოდნა-რა... ან რა საჭიროა ეგ თქვენთვის?

— როგორ თუ რა საჭიროა?.. ცოდნა იმისი, რაც მომივა ხვალე, დღეს, ერთის წამის შემდეგ, რამდენიმე წლის შემდეგ?

— უნდა გაცხოვროთ!.. ეს არის მთელი ჩვენი ცოდნა.

— სიბნელეში?!

— რათა სიბნელეში... მეცნიერებას ისეთ ქვეშ...

— როგორც იგი არ ანათებს?

— თქვენ მეტის-მეტად ამაყი და გამომცდელი ჭკუისთვის ხართ... შენელდა ეს ქვეყნის სიამაყე... სიამაყე ცოდნისა...

— სიამაყე უცოდინარობისა, სოსიპატრე პეტრეს მეც...

— თუნდაც, უცოდინარობის სიამაყე!.. აი თქვენ რას გეტყვით: შეასრულეთ ის რაც თქვენს ცხვირს წინ მდებარეობს, სწორედ ბევრია!.. მრავალ ბევრი!..

ამ სიტყვებით მასწავლებელი მოშორდა, ხოლო უფროსი კითხვით, თითონ მოშორდა მასწავლებელს-ხელ-ცარიელი...

— რა ვუყოთ! — დაფიქრობდა იგი, — ხელში უნდა მოვუფრთხილდეთ და გავაგრძელოთ ის, რაც ჩვენს წინ სძევს. რომ კი ჩვენს ცხვირს ზევით პირდაპირ ვხედავთ...

ჩვეულებისამებრ გულმოდგინედ დაიწყო გაკვეთილებისთვის მზადება, ცდილობდა ყველაფერი მაღლა მიეწოდებინა. იქნება მაშინ მაინც დაეინახო, რასაც ეს თავები ჰფარავენ. უპირველესი ყოველისა პირველი შეგირდობაა საჭირო. ეს თავისის პაწაწა წრეში ყველაზედ მაღლა დგომას ნიშნავს. და, მართლაც, გაუშორებლივ მიიღო ოქროს მედალი.

როდესაც ბრწყინვალე აქტზე არქიელმა ჯვრისწერ დამთავრების მოწმობა და მედალი ჩააბარა და მუსიკამ იმის სახელობაზე ტუში დაუკრა; იმან მოწიწებით მედლის გამოწვდილ მასწავლებელთ ჯადოსნურად და გაიფიქრა:

— აი თურმე რა ყოფილა! ოღონდ გარეგან ყველა ბრწყინავს-ბრწყინავს; და ვინ დაგიდევს შიგნით ბნელა, თუ ნათელა...

უნივერსიტეტში შევიდა, მაგრამ დიდის ყოყმანით კი. დიდ ხანს ფიქრობდა რომელი ფაკულტეტი ამოერჩია: იურიდიული, რათა მოყვას-თანამოძმეთა სიმართლე და უფლება დაეცვა, სამკურნალო, რათა ტანჯვანი ეხსნა იგი; სოფლელი საზოგადოების მოეტანა, რომ ბუნების მეტყველებისა?.. სიბრძნე და სწავლა ჩვენის ცოდნისა წინა ბუნებაში ძევს, რადგანაც ჩვენ ყველანი ბუნების შვილნი, იმისგან გამოსულნი და მასთან განუყრელად, მასთან შეერთებულნი ვართ...

თუ მათემატიკის მეცნიერებისთვის მოეკიდა ხელი, რათა იმის საშუალებით მისწვდომოდა მიუწდომელს და გაეგო შემდეგ ბუნება და გვეცა რა გვარი იქნება... მართლაც შემდეგ რა იქნება?

უნივერსიტეტში 10 წელზე მეტი დარჩა. ყველა ფაკულტეტზე დაჰყო, მთელი უნივერსიტეტის მეცნიერება შეისწავლა, მაგრამ საკვირველი საკითხი უფრო გარკვევით აღსდგა იმის გონების თვალწინ: შემდეგ რა იქნება?

ამხანაგნი იმას მისებურ სიტკბოებით გზისაკენ ეწეოდნენ, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. იქნება იმისათვის, რომ იმისი თავი, სამუდამოდ ერთისა და იგივე კითხვით იყო შებოჭილი, და წიგნებით გართული, რომლებშიაც დიადის კითხვის დიდს პასუხს ეძებდა.

ჰქონდა სახე და ის კი ისევ ბავშვივით უმანკო, სულითა და გულით ქვეყნიურ ხორციელ ტალახისაგან შეუმწიკვლელი დარჩა. იმის პლატონიურ ოცნებას, ნათელ ფიქრ-აზრით და მისწრაფებათ არავითარი მზაკვარება არ მიეკარებია.

— ჰაა!..— ფიქრობდა ის — იქნება ეს სრულიად ცხოვრებისათვის საჭირო ქვეყნიური ადათი, ჩვეულება და კანონები სრულებით. არა არის კეთილ მარტოოდენ ყოფნა კაცისა. იქნება საჭირო კაცი მეოჯახე იყოს.

ერთ მშვიდ, წყნარ და მშვენიერ შაღამოს მივიდა, რომელსაც დიდ ხანს იცნობდა და ერთგულების მოწმობდა.

— ნატო, მე თქვენთან ერთი საოცარი წინადადებით მოვედი.

— ბრძანეთ.

— მე იმ დასკვნამდის მივედი, რომ ცხოვრების ჯერ ისე ერის კიდევ ცოდვა შეურიცხავს. ნაცნობ ქალებში შენზე უმჯობესი შენს გნახე და გამოვირჩიე:

ქალმა ამ დასკვნას არ მოელოდა, გაწითლდა, თავი ძირს დახარა. ის კი თავისი ბრწყინვალე გონებით აღსავსე თვალებით გაშტერებით შეჰყურებდა.

— ნატო, რას მეტყვით?

— უნდა ვიფიქრო? ... თქვენი წინადადება გონივრულად მოფიქრებულ-აწონილ-დაწონილია... გაუმარჯოს, ან კაცთამაშის საქმე სულ სხვა არის! ამ გულის საქმეში — გულს დავეკითხოთ...

— მე ვკითხე გუშინ — წაიჩურჩულა იმან — და ნებას დამორჩილდა. ქალს გაყინული ხელი ჯამისათვის და წყნარის, მორცხვის, მაგრამ ხანგრძლივი კოცნით დაჰკოცნა. მერე ერთბაშად წამოხტა და ოთახში სიარული დაიწყო.

— ნასტო, იცი რა? — წარმოსთქვა უცებ — იცით, რომ ამ ერთი ფიქრით, ამ ერთი გადაწყვეტილებით მე ჩემსთავს თავისუფლად და მხიარულად ვგრძნობ... ჰო! ეს დიდი საქმეა!.. და ამაში... ჰო! ჰო! ამაში დიდი პასუხი დიდ საკითხზე: შემდეგ რა იქნება? სიყვარული იქნება... წყნარი, განუწყვეტელი და ის მომავალს მე იმ გასავალ კარებთან, რომელიც დიდხანს მტანჯავად კეტავდა... პასუხი იქ, არის წინ, ბურუსში, რომელსაც ყველას ჩვენ-გონებას მოუცავს... და რომელიც სიყვარულით აღსავსე ცხოვრებისაკენ გვიტაცებს.

ჯვარი დაიწერეს.

«სიყვარულით აღსავსე ცხოვრებისა პირველ ნაბიჯიდგანვე შეამჩნია იმან ის ეკალ-სოკლები, ურომლისოდაც ოჯახური ცხოვრება შეუძლებელია.

— ახ, ნასტო! რამდენჯერ მითქვამს შენთვის, გაიგე შენს თავის ადგილას დასდებდე ხოლმე. ვერ უყურებ, [illegible] საქმე [illegible] დაჰკიდებია... ქაღალდი რომ გაუსუფთავებელს, [illegible] წმინდება...

ეს საყვედური ან მშვიდობიანად [illegible] ან [illegible] უკმაყოფილოს გამოიწვევდა.

— მაპატიე, ჩემო საყვარელო, — ეუბნებოდა ნასტო [illegible] რას იზამ, ხანდახან [illegible] სხვა უგულებლობით გადავავიწყდება...

არც ამას, მაგრამ გაბრაზებული პასუხი მოჰყვებოდა:

— ესლა ეს მოიგონა!.. აიღე და გადააგდე თავის ადგილას [illegible] დიდი შრომა დაგჭირდება [illegible] ღმერთი გიწყალობს, ისეც მოუწესრიგებლობას [illegible] გარს შემოგვცქერის და [illegible]

ამას ბუზღუნი მოსდევდა, რაიცა ერთი [illegible] მეტიც გაგრძელებულიყო. ასე რომ [illegible] და ოჯახური სიყვარულის და ბედნიერების [illegible] ამას შემდეგ შერიგება, ცრემლები და კოცნა მოჰყვებოდა.

— ვაჰ! [illegible] საბრალო [illegible] [illegible]რობდა ის და ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ კაცი მარტოდ საზოგადო[illegible]

უტყვნო ცხოველიდან მეტი არაფერი აზრეს განმტკიცებაში, განსაკუთრებითი ადგილი ამის ყმაწვილს უკავს, რომელიც ამ ქვეყნად უკიდეგანო, სუსტი, დაბადებულიყო.

რა სიხარულს მიეცნეს, პირველად როგორ იგრძნო ტკბილი სანეტარო იყვნენ ის წამნი, როდესაც ამ ყმაწვილმა თვალი აიხილა და ტირილი დაიწყო... როგორი სიაცხოვლით ახარებდა და სიყვარულით ეხვეოდა და ჰკოცნიდა დედა თავისას და ყმაწვილისას...

მაგრამ ამ უკანასკნელების წამებშიაც კი გრძნობდა, რომ გამ-ძლიერი საკითხი უნებლიედ გულისყურში დაითავს არ ასვენებდა: შემდეგ რა იქნება? უკვე გარდაცვლებულის თავისი მამის ანდერძის პასუხი მოიგონა: «შემდეგ იქნება ის, რომ შენ სასწავლებელში შეხვალ, გიმნაზიაში, უნივერსიტეტში, და ერთიდაიგივე იქნება ერთი და იგივე...» იქა იქ მარის ჯანღეთ-მოცულ მომავალში... საითკენაც მთელი კაცობრიობა მიდის? ამ მწვავე საკითხს მედგარი ბრძოლა დაუწყო: «რას ფიქრობ — მე გეკითხები, შენ შენ საიდუმლოს დამსხვრევ... მე ჩავიხედავ იმ საიდუმლო კიდობ-ეში, რომელსაც ესე გულ მოდგინედ უმალავ მთელს კაცობრიო-ბას...» და ამ გამწვავებულ ბრძოლაში ნელ-ნელა იწყებდა თავისს ნატრისაც და ყმაწვილსაც, თავისს საყვარელ პაწაწა პაპას, ავადმყოფს, რომელსაც, მაინც, დიდხანს არ უცოცხლია.

რამდენი ხანია სიყვარულისა და ალერს-ნებივრობის წყურ-ვილი აღარ უგრძვნია. თანდათან გულცივობა და დაღვრემილობა ეტყობოდა. რაც მეტს ფიქრობდა, პასუხი იმდენად ღრმა მეტაფიზიკის ჯურღმულში ემალებოდა.

ცდილობდა ამ სოფელს განშორებოდა, ზერად აღკვეცილიყო, მაგრამ საკითხის გადაწყვეტას არც ეს საშუალება შველოდა. უფრო და უფრო მომეტებულად რწმუნდებოდა, რომ საკითხი გადაუწყვე-ტელი რჩებოდა, რომ მას ცივი ყრუ-უტყვი კედელი ეღობება, რომლის წინ მარტოდ-მარტო სდგას თავისის სატანჯველის კითხვით... აი ამ მარტოობაში არის ამოცანა ჯოჯოხეთურის ტანჯვისა... მარტოდ-მარტო, სამუდამოდ მარტო! თავის საკუთარ ძალ-ღონისა და შეგნე-ბის სინაზარას არის მიტოვებული... დაუსრულებლივ თავისი საკუთარი ტვინი უნდა გამოსწოვ-გამოსუტოს...

საბრალო, ჭკუამყუდ შესცდარ, აშლილებს, და მართლაც შეშ-ლილს წააგავდა ბინძური, უსუფთაო, გრძელი, ჭუჭყიანის ფრჩხილ-ებით; გრძელი, ადრე—გათეთრებული თმით, გრძელ დაჭმუჭნულ-დალაქული და დაგრეხილი ტანისამოსში გახვეული უწონა; მხე-ცური, ცეცხლივით მოელვარე თვალებით.

და აღარ თავდებოდა ეს ტანჯვა-მწუხარება, წლობით გრძელ-დებოდა. დრო-გამოშვებით იგი ფრთხილ ვნებოდა, გულში იცემდა და მთელი არსებით გულის წყდილის დადუმება სურდა. ცდილობდა სიმართლის და სინიდისის ხმა ჩაეხშობინა; ჩაეხშობინა ძმა საუკუ-ნოდ მტანჯავ სავალობისა, მაგრამ ვერ შეეძლო.

ერთ ყინვიან დილას ქალაქ გარედ იპოვნეს ლოზე მო-უდებული იყვნა. და თვალები ზეცისკენ მიეპყრო. მაგრამ ამ თვა-ლებში არ ისახებოდა—ვერხვათ ამოიკითხავდა.

გულის შემატკივართ იმისი გვამი აიღეს, გაბანეს, სუფთა ტანისამოსით შემოსეს და მაგიდაზე დასდვეს. იწვა გამხდარი ერთის საუკუნო ფიქრით მოსვენებული. გამოუცნობი საიდუმლოებით გაზრ-წყინვალებული:

„შემდეგ რა იქნება?“

გ. მ—შვილი.

# ივდითი

ტრაგედია ხუთ მოქმედებად

**პ. ჯიაკომეტისა.**

მოქმედნი პირნი:

ივდითი.
ოლოფერნე — ასირიელი ჯარის უფროსი.
ელიაკიმი — ებრაელთ მღვდელთ-მთავარი.
ოზია — მამასახლისი.
კარმი.
გოთონიელი.
ვალაი.
ელისაბედ.
დინა.
რაფი.
აზარია.
ადა და მისი შვილი.
დარაჯი.
ლევიტები, ჯარის-კაცნი, უფროსნი, ხალხი, მონები.

(634 წელს ქრისტეს შობამდე).

**მოქმედება პირველი.**

რამდენიმე დარაჯი უწყალოდ კლდიან მთაზედ, შურდულებით. ძირს ვიწრო მინდორი, ქვიშიანი, ამომწვარი, მზის ხე. მტირალი ადა, რომლის მუხლზედ მისძინებია მის შვილს. ხალხი—ზოგნი სხედან, ზოგნი დგანან; იმათ შორის რაფი; შუა სცენაზედ დაჩოქილი აზარია ლოცულობს. ებრაელნი ... თავს ნა-ცარს აყრიან.

## სცენა I.

**აზარია** (წამოდგება, სხვანიც ადგებიან). მგონი საკმარისად შევისვენეთ. ერთი ეს მთებიც დავათვალიეროთ.

**ადა.** მე სიარული აღარ შემიძლიან: ფეხთაგან სისხლი მდის. ძლივს მივაძინე ჩემი იზმაილი... რაც მომივა, მომივა... მე ამას ვერ გავაღვიძებ. წადით, ძმანო, და თუ წყალი იპოვოთ სადმე, მეც ნუ დამივიწყებთ.

**რაფი.** ხომ არ გაგიჟებულხართ, ხალხო, აქ წყალს რა უნდა, ამ უდაბნოში?! ვერა ხედავთ, როგორ ამომწვარა აქაურობა? წყალის ძებნას, ღმერთი, რჯული, ის გვირჩევნია, ჩვენი ხელითვე სამარე გავითხაროთ. კიდეც რომ ყოფილიყოს აქ სადმე წყარო, ამოდენა გვალვას არ გააშრობდა? რაც არხები გვქონდა, რაც კი რუები იყო, ყველა მტერმა შეგვიკრა... ქვეყანა იწვის... თვით ღმერთიც კი განრისხებულია ჩვენზედ... განრისხებული რომ არ იყოს, განა ამ დღეში ჩაგვაგდებდა?!. დედა-მიწა დასკდა, დედამიწას ალი ასდის, და თქვენ კი აგიჟინდათ: წყალი უნდა ვიპოვოთო...

**დარაჯი** (მთიდან). ხალხო, ღრუბელი!

**ყველანი.** ღრუბელიო?! აბა?! აბა?!

**დარაჯი.** აგერა, თეთრად არ მოჩანს?!.. ჩრდილოეთისაკენ!

**აზარია.** ნუ გეშინიანთ, ძმანო, ღმერთი ეგრე ადვილად არ გაგვწირავს. ხედავთ, ღრუბელი მოგვივლინა თავის წყალობის ნიშნად. (ღმერთი, ღმისმა მადლმა!..)

**დარაჯი.** გაქრა ღრუბელი! გაქრა!

**რაფა.** ოჰ, თქვე უბედურნო! ოლოფერნე მოდის; თან უთვალავი ჯარი ახლავს; მისგან განაწყენებული მტერი ცეცხლს სწვდება და თქვენ კი ღრუბლები გელანდებათ; თქვე ბრმანო, თქვენა! ამ დროს წვიმა გაგიგონიათ განა? განა არ იცით, რომ მარტო შემოდგომაზედ წვიმს ხოლმე ჩვენში? მაშ ამ შუა ზაფხულში ღრუბელს რას შესჩერებიხართ? ტავრის და

ოლოფერნის იმედს შეურისძიებლად ჩაუვლით? მოვიდა მტერი ჩვენს ქვეყანას და მშვილდის სისხლით ბაქსლა, ძველთაგან გაჭრილი არხები, ეფრატიდგან დაწყებული ჩვენის კიდემდე ყოველთვის დალეწილი დამასკი, თვით ქალაქებითურთ კი მტერმა დაიმორჩილა და ჩვენ უნდა შევებრძოლოთ? ვინ მოქნება თავზე ხელ-აღებული, რომ მის ძალას შეება, როდესაც თვითონ მეფეც კი მის მრისხანე გამხდარა? მიზეზი ღვთაება ბაბილონისა, მას თაყვანსა სცემენ ჩვენი მტრები და ისიც გვებრძვის და კიდევაც გვჯობნის.

ხალხი. მართალია! მართალია!

აზარია. ნუ აჰყვებით, ძმანო! ღმერთსაც ჰგმობენ უბედური! ჩასაქვავებელნო! მხეცი არა, ჩვენ ემაგისთანა სულმოკლენი წაგვახდენენ. რაც უნდა ვაჟკაცი იყოს და ქვეყნისთვის თავგანწირული, ამგვარი სიტყვა გულს წაუხდენს და შეასუსტებს. ტყუილად გიცნობ, რაფი, შენ ურწმუნოვ შენა! შეურაცხყოფთ! ჩვენ ღმერთი მარტო განსაცდელში გვაგონდება? დღეს ჭეშმარიტ ღმერთისა ლოცულობ და ხვალ კი ყვირით წინამე დაიჩოქებ და მსხვერპლს შესწირავ. შენი ღმერთი, შენი სარწმუნოება — შენი სარგებლობაა, და სადაც განა მეტს გამოელი, ლოცვასაც იქით მიმართავ ხოლმე. ასირიელებს რომ დავამარცხეთ და ალყავად წავედით, შენც ჩვენთან იყავ სიონში, მაგრამ შემდეგ, როცა ნაბუქოდონომ ძალით მტერი გვჯობნიდა, ჭეშმარიტ ღმერთის ზურგი შეაქციე და თაყვანი ეცი მხეცს ღმერთებს — კერპებს. აქ ვერ გაიხარე, ისევ ჩვენკენ ამობრუნდი? ნეტავ, რას წამოიწყებ, რა განზრახვით მოსულხარ, შე ლაჩარო, შენა!

რაფი. თუ ლოცვას იტყვი, მე მგონია მართალს და ამასთან გულწრფელად ვემუდარებით ღმერთს, აოხრებული ქვეყნისთვის შველასა ვთხოვთ; მაგრამ ხსნა არსაიდგან არის. ალბად ღირსნი არა ვყოფილვართ მისი შეწევნისა, რომ აწ უნუგეშოდ გვტოვებს. და თუ კი ღირსნი არა ვართ, გამაგრება რაღა საჭიროა? ტყუილად რაზედ ვიტანჯებით? არა

სჯობიან, ძალიან შევყვართ და დავეწიოთ... შევიყარნეთ ერთად. მერე მე ვიცი, რასაც დაადგენს სინედრიონი! ბრძოლა შეუძლებელია, უნდა დავემორჩილოთ!

**აზარია.** ჩვენი მამასახლისი მაგას არ იზამს, ის თავს მოიკლავს და ცოცხალი მტერს არ დანებდება.

**რაფაელ.** რაც უნდა მოხდეს... ოღონდ ჩვენ კი თავს დაგვანებონ... არა, ცხვრის ფარა ხომ არა ვართ, რომ სამსხვერპლოდ გაგვირეკონ!.. ის არა სჯობს, ასირიელთ წაგვიყვანონ და ეფრატისაკენ წაგვასხან... იქ არის დამონავებული ჩვენი ერი... ჩვენს ნათესავებს მაინც ვნახავთ, სიკვდილამდე, მე იქ მონება მირჩევნია.

**აზარია.** აქ სიკვდილი გვირჩევნია, შენს მიწა-წყალზე! სამშობლოში სამარეც კი ტკბილია!

**ადა.** ვაჟკაცი ვიყავ და მკერდს გულით გავუშვერ!

**ხალხი.** შევკრბეთ, სინედრიონს დავეკითხოთ!

**აზარია.** სმენა-ყურს, ძმანო! ერთი სამაგალითო ქალია ჩვენ შორის; ლოცვით და მარხულობით მოუპოვებია მას სასუფეველი ღვთისა, ჯერ იმას დავეკითხოთ, იქნება კეთილი გვირჩიოს რამე.

**რაფაელ.** ეგ-და გვაკლდა, ახლა ქალებს დავეკითხოთ! თუ რჩევა გინდათ, მოსეს დავეკითხოთ: იმან ბრძენი წიგნებისგან რას გვირჩევთ? წინასწარმეტყველთა წიგნში დაწვრილებით არის აწერილი ყველა უბედურება და ყველა განსაცდელი, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას ეწყვლება. ცხადად არის იქ აწერილი ჩვენი ბორკება, ჩვენი დაწიოკება... ის-და გვაკლია, რომ ჩვენი შვილების ხორცსა ვჭამდეთ, ჩვენ უბედურნი! მაგრამ, ნუ გეშინიანთ: მაგასაც მალე ვნახავთ! თუ ასე გავჯიუტდით მტრის შიშით...

**ადა.** ჩუმად, შე ურცხვო! მე მაინც მოუშორებელი მოსაკვდავი შვილი წინ მიდევს.

**აზარია.** აგერ მამასახლისი მოდის, თან გოთონიელი და კარმი მოსდევენ.

სცენა II.

ოზია. რა მოხდა, ქმანო, რის გეშინიათ?

ხალხი. წყალი! წყალი გვწყურია!

რაფია. ღამის დაცინოსნეთ! აქ ქალდეებში წყალი გვყოფნოდა, რომ აქ გაბძებინებ?!

გოლიათის ხელით გადა ვგეს წყალი და მე დაგირიგდათ ჩაქრებეს ყველას ძრუწვრებო?!

ბავშვი. დედა, წყალი! ვერ მეწროებს დედა წყალზედ მოვკვდებით?
ახლა არის? წყალი, დედა, წყალი!

რაფია. ამანდაც ხალხის ნაცვლად ბავშვი გაძლევთ პასუხს.

აბრა. გესმოდეთ იქ ეგ დიდი უნუგეშოდ დედის გულშიხ ქანა რომ დაიშოდეს ისეთი ფიცი სასტიკად დაგსწყევლით?

რაფია. (ოზიას) რაღას ელი? რის იმედი გაქვს?

ოზია. ღვთისა!

ხალხი. (საყოველთაო ქარის შემოკრება) წყალი! წყალი!

რაფია. ხომ ხედავ, ხალხი მიშია! ოჰ, ქვეტავი ფოლადმეფე მოვიდეს და ერთიანად ამოგვწყვიტოს აქ ტანჯვას მაინც მოგვარჩენს!

ოზია. დიდ, მოვიდეს! დიდ ქვეშე შეუძლიან, ეს კლდეები ასწოლილი ხმელეთზედ დაგვანგრიოს! მაგრამ აქ შეუძლიან, არა! მე გულ-მაგარი ვარ ძმანო და იცყევ მაგრა მიჰფრთავს ეს ხმალი მტრისა მაგრა ჩვენთ წინაპართ ეპყრათ იგი. აგრე ადვილად გულს როგორ გავიტეხთ შავი დღე უნახავს ჩვენს ქვეყანას ბევრჯერ, მაგრამ ეს არ არის მტრის შემოსევა! ბევრჯელ შემოგვსევიან, ჩვენი ქვეყანა აუოხრებიათ და ხალხი გაურეკიათ; მაგრამ ჩვენი პატრონი ქალაქისთვის კი ვერაფერი დაუკლიათ—რა მოცდა არაფერი ვისწავლეთ ჩვენი ქალაქი და მაღლა, ამაყად უჭირავთ თავი, მან ბევრჯელ მომსწრეა,

გარშემო სისხლის ზღვა მღვარა და ამ ზღვაში თავისუფლების იმედად მარტო ჩვენი მთიანი მხარე-ღა დარჩენილა. მოგვადგებოდა მტერი, გარს შემოგვერტყმოდა, მაგრამ თვალს ვერ აუწვდენდა ჩვენს მთებს; მდევნელად, ბუმბერაზებად წარმოუდგებოდნენ ჩვენი წინაპრები და შეშინებული და შერცხვენილნი მიეშურებოდნენ ხელ-ცარიელნი. დღეს რაღა დაგვემართა, ძმანო?! ნუ თუ ჩვენ კი ამ ქვეყნის შვილნი არა ვართ?! ნუ თუ სამშობლოს ჩვენ კი ვეღარ დავუმტკიცებთ სიყვარულს! ნუ თუ ისე წავხდით, რომ სახელოვანი სიკვდილისა გვეშინიან და მონობისა კი არა? თუ ჩვენც ძველებურად მაკარნი ვართ, მაგრამ ბუნება კი მხარს აღარ გვაძლევს?! იქნება დაიწყვიტნენ ჩვენი მფარველი მთები და მტერს თავისუფალი გზა დაანახვეს? მაშ რაა?! ორბად ხომ არაა ქცეული ურწმუნო ასსირიელი, რომ მეფურად დანავარდობდეს ცაში და შიგ სახლში გვივარდებოდეს?

**რაფი.** ორბის ფრთა რა საჭიროა, მთას ლომივით ქარგად შეუვა.

**იოზია.** უბრალო ყრმას ლომისა არ ეშინიან. ბევრჯერ უკუმთია და კიდევაც აჯობებს... ი ზედ მუაზედ გვჯერეჯს!

**აზარია.** მაშ დავითის შთამომავალნი არა ვყოფილვართ!

**რაფი.** თქვენ ოლომფერე არა გცნობიათ, როგორც გეტყობათ. მეხივითა სჭექს და გრგვინავს...

**იოზია.** ჩუმად, უგუნურო! მეხი ღვთის ხელთ არის და ოლომფერე კი მატლია მის წინაშე.

**ყარმი.** კმარა, მე ლაჩრებო, შენაც გაჩუმდი, თორემ ძალად გაგაჩუმებ!

**რაფი.** მე კი გამაჩუმებ, მაგრამ ამ ხალხს რაღას უზამ?

**იოზია.** აი რას ვეუბნებოდი ამ ხალხს: ძმანო, მონობას სიკვდილი გვერჩივნოს.

**ყარმი.** და მაგასვე იტყვის ყინელერიონისი.

**რაფი.** მაგისი რა მოგახსენოთ, ის კი ვიცი, რომ ერთ სულს სხვას გაიძახის... ზღვასავითა ღელავს დაუვალ ემას, ვინც წინ აღუდგება მის სურვილს, ისე წალეკავს.

**კარმი.** შენ ცოლისა-შვილთა ჩვენთა მფარველ-წინამძღოლი ხარ!

**რაფაი.** კარგი, ძმებო, — გავათავოთ ჩვენი გადაწყვეტილი ფიქრი, მტერს უნდა დავხვდეთ და გამარჯვებისათვის გავიღოთ. ვისაც ეს არ მოსწონს, მებრძოლებს და წინამძღოლობა გაგვიწიოს.

**ოზია.** მაშ ადგილზე თქვენ წყაროს აუტანიხართ და მოკვდებით კიდეც! მტრის ხმლით კი არა... თქვენი ძმანივე დაგხოცავენ, თქვე მოღალატენო!..

**რაფაი.** აბა, ხალხო! (ქვას დასწვდებიან, ზოგნი ხმლებს იღებენ) აბა, გაბედეთ! ჩავაქვავებთ! (ოზია, კარმი, გათონიელი ხმალ-ამოღებულნი არიან, რადგან საყვირის ხმა ისმის).

**კარმი.** ეს რა ხმა არის?

**ხალხი.** არიქათ, მტერი! თავს უშველეთ! (გაქცევას აპირებენ).

**კარმი.** შეჩერდით, ეგ საყვირი მტრისას არა ჰგავს.

**აზარია.** იქნება თავს დაგვტრიალებს მთავარ-ანგელოზი გაბრიელი!

**ოზია.** ნუ გეშინიათ, ძმანო, ეგ საყვირი მოსეს წინასწარმეტყველისაა, იგი მარტო ლევიტებს აქვთ და მით ატყობინებენ ხალხს — შეკრბით, მღვდელთ-მთავარი მობრძანდებაო. ვინ იცის: იქნება იერუსალიმით მობრძანდებიან ჩვენკენ ლევიტნი.

**ნაბა.** რაო? ვინ მოდის?

**დარაჯი.** პირქვე დაემხეთ, ხალხნო! მღვდელთ-მთავარი მობრძანდება.

**რაფაი.** მღვდელთ-მთავარი!.. (ხალხი დაიჩოქებს, მთაზედ ელიაკიმი გამოჩნდება და ნელ-ნელა ჩამოდის).

## სცენა III.

(ელიაკიმს წინ მოუძღვის ლევიტი ვერცხლის საყვირით).

**ელიაკიმი.** (ხალხზედ ხელ-გაპყრობით.) გაკურთხოთ, ძმანო!

**ოზია.** თვით ღვთის განგება იყო შენი აქ მოსვლა.

**ელიაკიმი.** ადექით, ძმანო! (ჩამოვა, უწინარეს ტანისამოსით, ფეხშიშველი, თავს ნაცარი აყრია).

აზარია. რას გვეტყვი სპარსეთიდან? რა ამბავი მოგვიტანე?

ელიაკიმი. დიდი რამ მოგვიტანეთ, ძმანო—სარწმუნოება და იმედი. საშინელ ყოფაშია იერუსალიმი, ტირილისა და მგლოვიარის მეტი აღარა ისმის-რა: ისე შეშინდა ხალხი, რომ თვით სიონში ლევიტების გალობის წილ ცრემლით სავსე ქვითინება-და სლუკუნი ისმის; ტაძარში კი აღარ ანთია საკურთხეველზედ... იქ ავკრიბე, ძმანო, ეს ნაცარი და თავს წავიყარე; მაგრამ გლოვა მიცვალებულისა უნდა და არა ავადმყოფისა. მე თვალ-წინ მიდგას ჩვენის ქვეყნის ძლიერი და დიდებული მომავალი; მწამს მისი ბრწყინვალე აღდგომა... არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს... მის გლოვა ცოდვაა, ძმანო. ქარს მივცეთ ეს ნაცარი და იმედით შევხედოთ მომავალს. მართალია, ქვეყანა ლამის ცრემლმა წალეკოს; მართალია, საშინელი ძალით შემოგვესია მტერი, აგვიკლო და წარგვატყვევნა; მართალია მშველელი არავინა გვყავს... თვით მეფეც კი... იქნება იკითხოთ, სად ბრძანდება ჩვენი მეფე, რატომ არასა ზრუნავსო? დიდი ხნის პატიმრობით შეწუხებული ისეთ ლხინსა და ქეიფშია მეფე მანასე, რომ გეგონებათ დამარცხებული მეფე კი არა, გამარჯვებული ჯარის წინამძღოლი არისო. ზის თავისთვის სასახლის ბაღში, გარს რჩეული ქალები ახვევია და მათთან მხიარულობს სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ქვეყანა აოხრა და აწიოკა გალაღებულმა მტერმა; ქალს ნამუსი აღარ შეარჩინა და ჩვენ... ლამის ჩვენც მანდილი დაგვხურონ! კმარა, რაც შევრცხვით! როდესაც მცონარე მეფე თავის წმინდა მოვალეობას ჰღალატობს, მოსეს მოადგილემ—მღვდელთ-მთავარმა უნდა აიღოს ხელთ მახვილი და წაუძღვეს ჯარს... კიდით კიდემდე მოვიარე ჩვენი ქვეყანა, ყველგან ვიყავი (სადაც კი მტრის ნაკვალევს მიუღწევია), და ყველგან სამშობლოს თავისუფლებას და მტრის განდევნას ვქადაგებდი. და აღსდგა ებრაელი, აღსდგა თავით-ფეხამდე შეიარაღებული და ერთხმივ გაიძახის მთელი ერი: სამშობლო [illegible]

ოზია. ოჰ, რა კარგ დროს მოხვედი! აქ ყმაწვილები იწყებოდა, კინაღამ ქალაქში მტერი შემოუშვეს.

ელიაქიმი. მაგას არ დავიჯერებ.

ხაბრი. ბევრიც რომ ვიძახოდეთ სამშობლო და ღმერთი — ვერაფერს გავაწყობთ: ქვეყანა მტრის ხელთ არის! დღეს არა, ხვალ ჩვენც დაგვიმორჩილებს, რადგანაც უმრავლესია მტრის ჯარი და...

ელიაქიმი. შენ მტრის ჯარს ასთქვამ? სრულიად უიარაღონი იყვნენ სამუელი და მოსე, და მტრის ურიცხვ ჯარს კი სჯობნიდნენ, ლოცვით სჯობნიდნენ, მხოლოდ ლოცვით, რომელსაც მაღლა აღუვლენდნენ ღვთისა წინაშე და მეხსა სცემდნენ ურჯულოთა რაზმს, სტყორცნიდნენ კვეთით ათი-ათასს. შეაყენებდნენ ხოლმე. გაგიგონია მზე მიდრეკილი ჯერ... გამშრალა ... ურჯულოთა სისხლი. ...კის ბრძოლაში მუქის ... იყვნენ ...ებულნი, მაგრამ ლოცვა-ვედრებით მეფე დაამარცხეს ლოცვით. გვინ... გვინი დალეწეს, ... სამეფო დაიპყრეს, ... ჯვეს, ... მდინარის ... ნავებს ... ეხმარებოდა. ... შინიანთ, ძმანო! ჩვენც იგივე ღმერთი გვიდგას მხარში, ჩვენი ღმერთი იბრძვის ჩვენთან. ღვთით, ძმანო, და ღვთისმიერ გამარჯვება ყოველთვის ჩვენი ყოფილა და ეხლაც ჩვენი იქნება. ... შეგვეძლოს რამე, ...ლობად დავივიწყოთ სახელი ღვთისა, რომ ეს განსაცდელი მოგვივლინა. შევინანოთ ცოდვანი ჩვენნი. შევინანოთ და შენანებით განწმენდილებმა მსხვერპლი შევწიროთ ყოვლად შემძლებელს.

ხაბრი. თუნდა დღესვე, თუნდა აქვე ... მაგრამ ... შველება რამე.

ელიაქიმი. (გაბრაზებული) როგორ ეგ უბრალოდ სთქვან, თუ ურჯულოებს კერპთაყვანისმცემელთ? ... თუ არა ... უბედური, რომ მსხვერპლს ღმერთი მარტო თავის ტაძარში შეიწირავს, ... და არა სადმე მთაში მუხის ქვეშ? მართლა ღირსნი ვართ ღვთის რისხვისა ჩვენ

ურწმუნონი, სულ-მდაბალნი და გარყვნილნი! იქამდის წავხდით, რომ უცხოელებთან ერთად იმათ კერპებსა ვლოცულობთ და ამის ჯილდოდ როსკიპთა სიყვარულითა ვტკბებით. ჩვენი ქვეყანა მაშინ დაიღუპა, როდესაც თვით მეფემ უღალატა თავის სამშობლოს, როდესაც თავისი ერი და იმისი ბედი მტერს მიჰყიდა! მაშინ დაიღუპა ჩვენი ქვეყანა, მაშინ შელახეს წმინდა ტაძარი, მაშინ დაასვენეს სოლომონ ბრძნისაგან აგებულ საკურთხეველზედ კერპი ბაალისა და მსხვერპლად ჩვენი სისხლი შესწირეს. მაგრამ ველარ გაძღა ჩვენი სისხლით...

**რაფი.** ჰო და რაც მალე დავისჯებით, ისა სჯობიან. კარი გავუღოთ, მოვიდეს ოლოფერნე და დაგვატყვევოს.

**ელიაკიმი.** შერცხვენილი იყოს, თვით მტრისგანაც კი შერცხვენილი იყოს და უკუნითი უკუნისამდე დაწყევლილი, ვინც მონობა და ტყვეობა ირჩიოს.

**ოზია.** მონობას ვინ ირჩევს, რას ბრძანებ? ხალხს წყურვილი აწუხებს და იმიტომ ღელავს. წყალი რომ გვქონდეს...

**რაფი.** მაგაზედ ადვილი რაღა არის: აიღე ყავარჯენი და კლდეს შემოჰკარი, მაშინვე წყარო წამოსკდება.

**ელიაკ.** მე მოსე არა ვარ, რომ მაგდენი შემეძლოს, მაგრამ შვილი და მემკვიდრე ვარ აარონისა და... ყველამ იცოდეთ: ვინც კიდევ გაბედავს და დამორჩილებას ითხოვს... დავსწყევლი, განვდევნი კრებულიდან, ჩავაქვავებ. (ხალხი შეშინებული თავს დაღუნავს.) ეს ქვეყანა, რომელსაც ეგრე ადვილად იმეტებთ, რომელიც გინდათ თქვენს მოსისხლე მტერს ჩაუგდოთ ხელში, ეს ქვეყანა თქვენი არ არის. ეს ქვეყანა, უფალმა თქვენ წინაპართ უბოძა. მათ თავიანთი სისხლით მორწყეს იგი და ააყვავეს. აქ მტერი არ უნდა შემოვიდეს—ამას მარტო მე კი არა, ამას მამა-პაპათა სამარენი გაიძახიან, და ვაი თქვენ, თუ ეს ხმა არ გესმით: დედა-ბუდიანად ამოსწყდებით, გეყურებათ, დიდით-პატარამდე ამოსწყდებით, თუ ამ წმინდა მიწას მტრის ფეხი შეეხო.

ბავშვი. (წამოვარდება) დედა, მიშველე, ვკვდები! (წაიქცევა.)
ადა. მიშველეთ!
რაფეი. ხედავ! დასტკბი ამაო ტანჯვით!
ხმები. (შორიდან) წყალი! წყალი! წყარო ვიპოვეთ!
ადა. (თითქო სიზმარში არისო) წყალი! წყალი უპოვნიათ!
ხმები. (უფრო ახლო) იუდითმა იპოვნა! იუდითმა! ვაშა, უყავით!
ელიაქ. ეს ქალი ვინ არის?
კარმი. იუდითი გახლავს გედევანის გვარისა; მანასეს ქვრივი სამაგალითო ცხოვრების ქალია... ქალაქში არ დადის, შავებს არ იცვლის და უბიწოდ, წმინდად ატარებს დროს ლოცვით და ღვთის ვედრებით გატაცებული.
ადა. (შემომავალ იუდითს) იუდით, მიშველე! იზმაილი მიკვდება!

## სცენა IV.

იუდით. (დაღლილი, ქშენით) წყალი გიპოვნეთ, ძმანო! (ელიაქიმს დაინახავს და დაიჩოქებს) მაკურთხე, მამაო!
ელიაქ. (ხელს გაუპყრობს) ადსდექი, შვილო! სად არის წყარო? ან როგორ იპოვნე?
იუდით. ღმერთმა მაპოვნინა.
ადა. სად? სად?
ებრაელნი. სად არის, სადა?
იუდითი. ზიმ მთის წვერზედ. ტიკებით წავრდნენ ჩემი ბიჭები, აქამდე კიდეც დაბრუნდებოდნენ.
ელიაქ. კურთხეულ იყოს სახელი ღვთისა!
ადა (კაბაზედ ჰკოცნის). ანგელოზი ხარ, იუდით!
იუდითი. ოჰ; უბედურო დედავ, აიყვანე შენი შვილი, ემაგ გზას დაადექ და წინ შეგხვდებიან.
ადა. გმადლობ. (გარბის. უმრავლესობა თან გაჰყვება; დარჩენილნი გარს შემოეხვევიან იუდითს.)
ელიაქ. როგორ მიაგენ? გვიამბე, იუდით.
იუდითი. დიდი ხანი ვილოცე წუხელ; რომ ვლოცულობდი, გულის სიღრმეში რაღაც ხმა ვიგრძენ: ადსდექო, — მი-

ბრძანებდა, — ადექ, ივლეთ ლოცვის დრო აღარ არის; ადექ და წადი. ავდექ და წამოვედი. მეც არ ვიცოდი, სად მივდიოდი, ან რისთვის, მაგრამ მივდიოდი, რადგან ის ხმა სულ გულში მიტრიალებდა: ადექ და წადი! მივდიოდი და ჩემი თვალითვე ვხედავდი ჩვენს უბედურებას: კომლი აღარსად მოდიოდა, ადამიანი აღარსად სჩანდა და აქა-იქ მწარი კვნესა და ქვითინი რომ არ მსმენოდა, სწორედ ამოწყვეტილი მეგონებოდა ჩვენი ქვეყანა. ბევრი ვიარე და ბოლოს ერთს უბედურს შევხვდი: სამარიდან ამოყვანილსა ჰგავდა, შიმშილისაგან მისუსტებული, ძლივს-ძლივობით ფეხს ითრევდა და, ვინ იცის, რამდენი დღე ეშიმშილა. მე არ მეგონა, რომ ასეთ გაჭირვებაში ვიმყოფებოდით. გული მითრთოდა, ცრემლი ვეღარ შევიმაგრე; გაშტერებული უძრავად ვიდექ, იმ საწყალს შევცქეროდი და ნუგეშისცემას ვერ ვახერხებდი. ოჰ, რა საბრალო ყოფილა ადამიანი, როცა იგი სხვის ტანჯვას ხედავს, ცდილობს უშველოს რამე და თავის სისუსტეს და არარაობასა ჰგრძნობს. ასე ვიდექი უბედურად, გული ამემღვრა, ჩემს უღონობასა ვჩიოდი და უეცრად ამ კლდეებმა მიიპყრეს ჩემი ყურადღება, უფრო მეტი ძალით შემომიტია წინანდელმა ხმამ: რა დროს ცრემლია, წადი, ამ კლდეში წყაროს იპოვი! სადღაც [illegible] ისწრაფით გამიტაცა რაღაც უცნაურმა ძალამ, საშინელს სიმაღლეზედ აგვიქროლა, ხან აქეთ გამიყვანა, ხან იქით... დავფრინავდი, კი არ დავდიოდი, დაღამდა, არც მეშინოდა, არც ძილი მაგონდებოდა, არც მოსვენება; დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ წყაროს ვნახავდი, მაშინვე ბოლოს დაღალულ-დაქანცული სადღაც მივვარდი. მაგრამ ამაოდ: მთვარის შუქზედ ყველგან წყალი მელანდებოდა, ყველგან წყლის შხუილი მესმოდა... წამდაუწუმ ვცდებოდი — აგერ, წყალი აქ არის, ვფიქრობდი, ხან აქეთ ვეცემოდი, ხან იქით... მთის წვერებიდან [illegible] [illegible] ვიყურებოდი, თითქოს წყლის გუბეზე მი-

დღევანდელ დაპირებულ ქვეყანას მტრის ბანაკს წარ-
მოვუდგა ჩვენი გულში სამოთხის ბაღი აყვავებული და
ძალას კი გამარჯვებული ქვეყანა... საშინელ ღამეში
ღრიანცელი იდგა მტრის ბანაკში კი ძლიერი ლხინი და
მხიარულება... უცხოთა ლომები შემოესივნენ იქ ცხა-
დად, როგორც თქვენ გხედავთ: საშინელი რამ იყო, მა-
ხვილით მოსილნი მახვილით შესვრილნი შემომეხვივნენ, ერთი შევ-
კივლე და თვალთ ჩამიბნელდა, გონებადაკარგული მივვარდი მეგო-
ნა მოკლული, მოვარდა-მეთქი ბოლოს. დავინახე ვერცხლის ხის
ქვეშ წამოწოლილი მიწაზე დავიწყე. დაიჯე-
რებთ, იმ წამს ჩემი ცრემლებით გადარეცხილ ჩემს თვალწინ
ქვეყანა მოეჩვენა ლამაზი მწვანე მთავარი. წამოვარდი
და მართლაც თქვენ-სამ ნაბიჯზედ კაცმა წყაროს კი
მივადექი: რაც მე იქ ვნახე, მეშინიან გითხრათ, რაც მე იქ
ღმერთის მადლობა შევწირე

ელიაქიმ. კურთხეულმც იყოს მისი სახელი.

იოზია. უსაზღვრო არის მისი დიდება.

აზარია. ღმერთო, მამაო ჩვენო, ყოვლად ძლიერო და ყოვლად-
შემძლებელო...

რაგუი. შეგვიწყალე ჩვენ!

ელიაქ. ღვთის განგებას ვერავინ მიხვდება, შვილო იუდით! აღ-
ბათ შენ აგირჩევიხარ, შენ სუსტი ქალი, ვითარცა მამაპაპუ-
რი მახვილი, სიმძიმეს ნუ შეუშინდები და... აღსრულდეს
ნება ღვთისა! გახსოვდეს წინასწარმეტყველება წმინდა ისა-
იასი: **დაეცეს ასურ არა მახვილითა მამაკაცისათა!**

იუდით. შემიბრალე, წმინდაო მამაო, რა ვქნა ეს მინდა? ქარის
გრიალში, ფოთლის შრიალში, ძილში თუ ფხიზლად ყველ-
გან ეგ მესმის! ვფიქრობ და მაგ სიტყვების მნიშვნელო-
ბა, არა, არ მინდა, მე მეშინიან მათ მნიშვნელობას ჩა-
ვუკვირდე.

ელიაქ. გენიპოკების მახვილი ღვთისა მტრის მიმართ, სისხლის
ღვარითა ღვთისმსახურთა, ერთი ქალი ახალი ნებართვით იყოს,

ამორებით გატაცებულს ნაბუქოდონოსორს განუძრახავს — ქვეყანა საფეხურად უხიხდოს, და თვითონ საკურთხეველზედ აბრძანდეს. დქდა-მიწას აღარ სჯერდება, ცის დაპყრობასა ლამობს გაშმაგებული; გარნა აღდგების, გრგვინავს და მუსრავს ღმერთი ძლიერი; მგზავსად კაცისა ნაღვინევისა ძრწის ქვეყანა და მოსწყვეტს უკეთურსა, ვითარცა მზე წყვდიადსა ღამისასა... ნუ ძრწიხართ, ძმანო, გულით მიენდეთ მას, რომელიც ყოვლად წმინდა და ყოვლად სამართლიანია. სარწმუნოება და იმედი, ძმანო! დიდ ხანს არ გასტანს ეს უბედურება, მოთმინება იქონიეთ. წადით და მარხვით და ლოცვით განიწმინდენით, რომ ღირსეულ იყვნეთ დიდებულ მომავალს მიეგებნეთ. (ხალხი გადის). ივდით... (ხელ-გაპყრობით). გაკურთხოს, შვილო... გადმოხედეს უფალო, მხევალსა შენსა... მასაც შთაბერე ძლიერი სული დებორასი და იაილისა. (გადის ნელის ნაბიჯით, მის დევენ იოზია. კარმი, წინ ლევიტები).

სცენა V

(ივდითი ღრმად ჩაფიქრებული).

გოთონიელ. ქალიშვილო, ივდით?

ივდით. დიდებულ დებორა დასაჩინო... რად შეიქნა ეგ სახელები?

გოთონიელ. იმიტომ რომ არ გიცნობს, არ იცის, რა ბედნიერი ხარ, რა გულჩვილი ხარ.

ივდით. დიახ, არ მიცნობს... ჩემს სტუმარს, მძინარეს თავში ცული დავცე?! ოჰ, ღმერთო! არა! არა! მე იაილი არა ვარ! არ შემიძლიან! კიდეც რომ მინდოდეს, მე იმდენი არ შემიძლიან.

გოთონიელ. განა მაგიტომ გითხრა. შენ კრავის სისხლისა გეშინიან და...

ივდით. კრავს მხეცი ჩვილებით შესწირავენ ხოლმე ... მაგრამ ... წაწყმედილთა ვინც აღა-

მიანის სისხლში ხელს გაისვრის. არ მოჰკლა, რათა არ მოჰკლან,—ბრძანა მან სინას მთაზედ და მას აქეთ დარჩა ქვეყნად ეს სიტყვა და ვაი იმას, ვინც ამას დაივიწყებს.

**გოთონ.** ჭეშმარიტია, ივდით! მაგ გულის პატრონი—ეგ ხომ ზღვა არის სიყვარულისა—განა აგრე მარტოდ-მარტო უნდა იყოს? განა არ შეგეძლო... ნუ თუ ღირსეულს ვერავის ჰპოვებდი... რომ იცოდე რა ნეტარებას მიანიჭებდი...

**ივდით.** სიყვარული ერთხელ უნდა. ბევრზედ ულარსი ვიყავ ბედნიერებისა, რომ ღმერთმა ჩემი მანასე არ შემარჩინა.

**გოთონ.** განა ღმერთმა ის გიბრძანა, შენნი დღენი გლოვით და ტირილით გაატარეო?! თუ არა, რატომ არ შეიბრალებ იმ უბედურს, რომელიც შენის სიყვარულით-ღა სცოცხლობს... შენ შემოგცქერის, შენ გეტრფის და შენ კი... ივდით, ნუ თუ ის მაინც არ გაწუხებს, რომ შვილი არა გყავს?

**ივდით.** შვილი? ოოჰ, როგორა ვწუხდი, როგორ ვემდუროდი ჩემს ბედის წერას!.. და ეხლა კი მერწმუნე, დიდად მადლიერი ვარ განგებისა, რომ შვილი არ მაღირსა.

**გოთონ.** რას ამბობ, ივდით?!

**ივდით.** შენ ებრაელნი ჩემი შვილები არა გგონია?! ყველანი, ყველანი! თვით ისიც კი, ვინც სამშობლოს უღალატა და მტერს მიუდგა!.. სხწყლები, ეხლა ბაბილონში არიან, მგლოვნი, დამონავებულნი, ან ქისიმე შარამხანაში დამწყვდეულნი. ყური დაუგდე! გესმის, როგორ გაჰკივის... თმებით მიათრევს საწყალ ქალს ასსირიელი... სულ ბავშვი, უმანკო ბავშვი დაუჭერია და მიათრევს... ჯერ თავისს უფროსს მიჰგვრის... აკი ამბობდი, ღმერთო, ეს ქვეყანა ჩემი მხვედრია, ეს ხალხი ჩემი რჩეული ხალხიაო!...

**გოთონ.** უცნაური რამა ხარ, ივდით! სადღაა შენი ანგელოზებრივი მშვიდი სახე? სადღაა შენი წყნარი, სიყვარულით სავსე სიტყვა? ცეცხლს აფრქვევენ შენი თვალები, მეხივით გრგვინავს შენი ხმა... მე, ივდით, ვერ გაგიბედე... ღვთისა მეგონე... მეგონა, მიწიერი ყველა უარ ჰყო-მეთქი...

**იუდით.** რარი? სამშობლოსადმი სიყვარული შენ მიწიერი გრძნობა გგონია?! მერე იცი კი რა არის სამშობლო? სამშობლო ღვთისაგან მონიჭებული ტაძარია; ყრის შემაერთებელი და სულის ჩამდგმელი სამშობლო ტაძარია, რომლის დიდება ღვთის დიდებაა. სამშობლო საფუძველია უმაღლესის მადლის, სათნოების და სიყვარულისა! და ვინც თავს შესწირავს, თვით ღმერთს შესწირავს და ნეტარხსენებული იქნება ამიერით უკუნისამდე.

**გოთონ.** შენ წმინდა ხარ, იუდით!

**იუდით.** მე ცოდვილი ვარ: ბევრი ვილოცე, ბევრი ვიმარხულე, მოველი ხორციელი უარ-ვყავ, რომ ცოტაოდენი ძალი მომეხვეჭა... მერწმუნე, მიწიერ ველზედ მომაკვდავ მეომარს არ ეყვარება ისე სამშობლო, როგორც მე მიყვარს. მოთმინებით, ლოცვით, მარხვით ვემზადებოდი... მას შევწირე მთელი ჩემი არსება და თვით სახელიც.

**გოთონ.** ვის? რას შესწირე?

**იუდით.** უჰ. ჯერ ჩემთვისაც ვერ გამიმჟღავნებიაგ აგერ, გულში მაქვს, იძვრის, ტოკავს, აღარ მასვენებს... ნეტავი ვიცოდე მაინც რამ არის, თუ დაბადებიდან შევჭვარი და შევნატრი, თავს მერე ვათვალიერებ ... მიტაცებს.

**გოთონ.** მე შენი ველარ გამიგია...

**იუდით.** ნურც ცდილობ. ღმერთი უწყის ჩემი გულისთქმა... ნეტავი ღმერთმა არ გამწიროს. (წამოსასხამში გაეხვევა და მიდის. გოთონიელს უნდა თან გაჰყვეს, მაგრამ შეაყენებს. გოთონიელი გაშტერებული შესცქერის მიმავალს).

ფ ა რ დ ა.

## მოქმედება მეორე

უბრალოდ მორთული ოთახი ივდითის სახლში. უკანა მხარეს ზემო ოთახში ამავალი კიბე; კარებზედ ფარდაგის ფარდები; ტახტზედ ძვირფასი სამკაული და ტანისამოსი; გვერდზედ შავი ბოხჩა.

### სცენა I.

(ელისაბედ და დინა ტანისამოსს ალაგებენ.)

**დინა.** ვინ იფიქრებდა, რომ ქალბატონს კიდევ გამოაგონდებოდა ეს თვალ-მარგალიტი, ეს ოქრომკედით ნაკერი გულის პირი. ამ ძეწკვს შემოხედე, ელისაბედ! საკვირველია, ღმერთმანი, ჯერ სულ გლოვა-ტირილი და მერე ასე უცბად...

**ელის.** შენ შენი საქმე იცოდე, რა გალაპარაკებს!

**დინა.** მერე რას ვაშავებ, რომ ვლაპარაკობ?

**ელის.** ჩუმად ყოფნა სჯობია. რატომ მე არას ვამბობ?

**დინა.** შენ, ჩემო ელისაბედ, სიცოცხლით გამაძღარხარ, ყველა მოგწყენია და აღარც სათქმელი გაქვს რამე, აღარც სასურველი.

**ელის.** ისე ჩემი მტერი გამაძღარიყოს, როგორც მე! თუ ვარ გამაძღარი თორემ...

**დინა.** ჰო და საქმეც ეგ არის და... ელისაბედ, არ იცი, ქალბატონი რას აპირებს? ეს სამკაული რომ შემოგვალაგებინა... აქ ამბავი რამე... ჰა, ელისაბედ?

**ელის.** რა ამბავი უნდა იყოს? რას მიედ-მოედები?

**დინა.** დიდი ამბავია, გარწმუნებ. საიდუმლო ამბავია! ეს სამი წელიწადია, ქალბატონს თვალით ცრემლი არ შეშრობია, განდეგილივით, ფეხ უცვლელად ზის აქ, თავის პატარა სამლოცველოში და თითქო მომაკვდინებელი ცოდვა აწუხებს რამე, ლოცულობს და გლოვობს და უცბად ამოდენა ლოცვის და მარხულობის შემდეგ ისევ სამკაული მოინდომა, ისევ სარკე, ისევ კეკლუცობა დამიწყო! მერე

რა ლამაზი იქნება, რომ მოირთოს. ვინ იტყვის, ქვრივიაო! ასე ეგონებათ, ახლად გაშლილი ვარდის კუკურიაო... ნეტა რა მოხდა? ან რა დროს ეგ იყო? ქვეყანა ლამის დაილუპოს, ლამის სულ ტყვედ წაგვასხან იმ ურჯულოებმა და ქალბატონი კი პატარძალივით ირთვება. ელისაბედ, გათხოვებას ხომ არ აპირებს? სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს-რა, ქვეყანა გვლოვობს... ცოტას მაინც მოითმენდა.

ელის. ივდითი არა თხოვდება.

დინა. მაშ რად ირთვება? ელისაბედ...

ელის. აბა მე რა ვიცი? თითონ არა უბრძანებია-რა... ეს იცოდე ჩემგან, მონა ჩუმი და მორჩილი უნდა იყვეს.

დინა. მართალია, მაგრამ აბა შენს მეტს ვის ეტყოდა, ქალბატონი შენს მეტს არავის ენდობა.

ელის. ქალბატონი რომ არ მენდობოდეს, ხომ დავსაც მოვიკლავდი! ამ ყოფას რა ამატანინებდა?

დინა. ბაბილონში რომ წაგიყვანეს, სულ ბავშვი იქნებოდი, ელისაბედ.

ელის. (წამოხტება) ჩუმად! ნუ მომაგონებ წარსულს! ეგ იარა ჯერ არ გამმთელებია და არც ჩემს დღეში გამიმთელდება. დიაღ, ბავშვი ვიყავი, სულ უსუსური ბავშვი... არ დამინდეს... ფეხის ქუ'ლითა მთელეს...

დინა. გენაცვა, ელისაბედ! რა ვიცოდი, რომ ეგრე აგაღელვებდი!.. ძალიან გძულან ასსირიელები?

ელის. მტერი ვის ჰყვარებია, რომ მე მიყვარდეს?! მტარვალი როდესაც კისერზედ გაზის და სისხლსა გწოვს... მართალია, ერთი რომ შევინძრათ, ღონივრად რომ შევინძრათ, იქნება ძირს დავცეთ და მის სისხლით გავძღეთ...

დინა. ჰო და ხალხიც მაგრევე ლაპარაკობს, ქალბატონიცა... ისე გულჩვილი და მკრთალი კი ნუ გგონია მართლა ქალბატონი! ესეთი გამბედავი და გულმაგარი ყოფილა, რომ... არა გჯერა განა? ძნელი დასაჯერებელიც არის!... მგონი თავის დღეში არავის გასჯავრებია და ახლა... იცი,

ელისაბედ... აი, ეგეც მეორე საიდუმლო: რაღაც წადილს გაუტაცნია მისი გრძნობა და გონება... ჩაფიქრებულია; ხან გაჩქარებული დადის, ხან უცბად შეჩერდება, ბრაზი მოუვლის, ჯავრობს, ვიღასაც ემუქრება. ეგ კიდევ არაფერი; ამას წინად საშინელი რამა ვნახე: გაჯავრებული იყო, სულ ცეცხლს აფრქვევდა; ისე მიდი-მოდიოდა ოთახში, თითქო გალიაში ლომი დაუმწყვდევიათო. მერე უცბად ხმალს მივარდა, აიღო და ისეატრიალებდა ამოღებულ ხმალს...

ელის (სიხარულით). მართლა?

დინა. მზე არ დამიბნელდება, მართლა ვნახე. ნეტავი კი ვიცოდე, რას აპირებს და!

ელის. იქნება მართლა?..

დინა. რას აპირებს, ელისაბედ? მითქვი რაღა, რა ვქნა?!

ელის. ეჰ, რა უნდა გითხრა, ბრაზი და სიძულვილი მომერევა ხოლმე, და ხან რა მელანდება, ხან რა.

დინა. იქნება უნდა იარაღის ხმარებას შეეჩვიოს, რომ მერე მტერს შეებრძოლოს?

ელის. ნეტავი აგრე! რა სიხარულით ვეახლებოდი მე ჩემს ქალბატონს! იქნება იქ მაინც დაწყნარებულიყო ეს გული, მტრის სისხლს რომ დაინახავდა.

დინა. რას ამბობ, ელისაბედ? მე ქალბატონმა შემაშინა და შენ უარესი ყოფილხარ.

ელის. ჩუმად, ლოცვა გაუთავებია და მობრძანდება.

დინა. იარაღი და ლოცვა. მოდი და გაიგე რამე?!

ელის. მერე რა უნდა გაიგო, შე სულელო, შენა? ღვთისაგან არის ეგ წადილი და ღმერთი მხოლოდ რჩეულთ განუზრახავს თავის განგებას.

## სცენა II.

ივდით. (წელ-წელა ჩამოდის კიბეზედ, გულში შუბი ჩაუკრავს; ღრმად ჩაფიქრებულია; შუა ოთახში გაჩერდება; შუბს მიწაში ჩაარჭობს, ორივე ხელით ზედ დაეყრდნობა; ელისაბედ და დინა აქეთ-იქით დაუდგებიან; უცბად გონს მოვა). თქვენა ყოფილხართ?

ელის. ჩვენ გეხლებით.

დინა. აი, ქალბატონო, გვიბრძანე და კიდეც მოგიმზადეთ შენი საქორწილო ტანისამოსი.

ივდით. აგრე მალე?! აგრე სწრაფად ამისრულეთ ჩემი სიტყვა, რომელიც ენამ სთქვა და გულმა კი ჰგმო?! (ტანისამოსთან მივა) ეს ტანისამოსი!.. წარსული ბედნიერების, წარსული უმანკოების დროის ტანისამოსი. ხელი ვერ მიხლია, მე ცოდვილისა კოცნა ვერ გამიბედნია! შენ დროის მომაგონებს ეს სამკაული! რა კარგად შენახულან... თითქო გუშინ შემეკეროს... სულ იგივეა... იგივეა და მე კი... სადღაა ის უბიწო სულით და ხორცით უცოდველი ივდითი?.. აალაგეთ! შეინახეთ! კუბოს თუ დამიმშვენებს ეს პირბადე, თორემ... შეინახეთ, არ გესმით? ისევ მაგ მაგ ზოხჩაში შეახვიეთ და დღეიდან ხელი აღარავინ ახლოს, შენ წადი, დინა.

დინა. (მდაბლად თავს დაუკრავს) გიახლებით.

## სცენა III.

ივდით. (სიჩუმის შემდეგ) თვალს რად მარიდებ, ელისაბედ?

ელის. ვფიქრობ, ქალბატონო.

ივდით. ქალაქიდან ამბავი აღარა მოსულა-რა?

ელის. არაფერი.

ივდით. ღამე ხომ მშვიდობით გაუტარებიათ?

ელის. დიალ, ტირილით.

ივდით. დღეს შენ ძალიან ცუდ გუნებაზედ ხარ, ელისაბედ. ღმერთი მოწყალეა, რას დაღონებულხარ? შენ იმედი არ დაკარგო ღვთისა...

ელის. იმედი ღვთისა და ივდითისა!

ივდით. ივდითისაო? მერე ივდითს რა შეუძლიან? რა შეუძლიან ერთს სუსტ ქალს, რომ იმასაც ღმერთთან ახსენებ?

ელის. რაც შეუძლიან, შენ უკეთ იცი.

ივდით. ვიცი და აქამ ვემორჩილები.

ელის. — ეგ ცარიელი სიტყვაა, ელისდექ ივდით!

ივდით. რაო? ეგ რა სთქვი?

ელის. არაფერი. მაგ შენს შევაქცევდი გედევანიანთ შენს და.

ივდით. მინდოდა ღვთისათვის შემეწირა.

ელის. მამულიშვილი თავის ხალხს მგრძნობ, ბრძოლის შემდეგ გაიმეტებს ჩემსას თუნდა თვით ღვთისთვის უნდოდეს შესაწირავად. მშრალი ჭქერის პირით წყალი მტრის სისხლით შესვარე და ღმერთის ისე მადლობ.

ივდით. შემიბრალე, ელისაბედ!

ელის. მინდა ერთი ძველი ამბავი გიამბო. ხომ გაგიგონია, რა დღე დააყენა ჩვენს სამშობლოს მეფე აზორმა? ქვეყანას გაჟლეტას უპირებდა, მიწის პირიდან ჰგვის გვაქრობდა... მაგრამ შეკრბნენ ებრაელნი, ღმერთმა ახსენეს და დაეტყვნენ მტრის ბანაკს ერთი ქალის კლდის ნიაღვარ... მით უფრო გამწარებულნი იბრძოდნენ, რომ ძალად უნდოდათ თავი ცოცხალი: ყველაფერს ჰკარგავდნენ, რაც კი ებადათ — სამშობლოს და სარწმუნოებას. გამწარებულნი იბრძოდნენ დაუცხრომლად მთიდან ღვთის... დაჰყურებდა და ტკბილი ვალდებულება ამხნევებდა. მოგვხედა ღმერთმა, — ციდან თავისი ძლიერი მკლავი ჩამოგვაშველა! გაიქცა მტერი! თან დაედევნენ ჩვენები და ისე ხოცეს, რომ ამბის წამღებლადაც კი აღარავინ გადარჩენიათ. თვით მეფე აზორიც ბრძოლაში მოკვდა. ისეთი ჭაჭირება თავის დღეში არ დასდგომია ჩვენს ქვეყანას, ისეთ განსაცდელში თავის დღეში არ ყოფილა და მაინც ჩვენ გადაგვარჩინა ღმერთმა: თავს დაგვტრიალებდა, თავის დიდებით გვაძლიერებდა და ისე გაგვაჟლეტინა მტრის ჯარი, თითქოს შემოსულ ყანას ნამგლიანი ბიჭები დარევიანო. თავს დაგვტრიალებდა ღმერთი, ვაჟკაცთ გამარჯვებისაკენ მიუძღოდა და მხდალნი და მოღალატენი კი ტომლებმა თავისი ქვეყანა მტრის ხელზე გასცვალეს საუკუნოდ შეაჩვენა და დასწყევლა. გველის ბრძანებას ასრულებდა, მან განათავისუფ-

ლა სამშობლო... და დიდებულია იგი ებრაელთ შორის! მას უქმევენ საკმეველს ასულნი ენგადისანი. მას ამკობენ ყვავილებით და მუხის ფოთლით ჩვენი მხედარნი! დაფნის ფოთლებით უფენენ მტრის სისხლით შესვრილ კარავს. და ვიდრე ამ ქვეყნად ჩვენი ხსენება იქნება სადმე, მანამდე დაუვიწყარი იქნება მისი სახელიც... დიდებულია იგი უკუნითი უკუნისამდე... (პაუზა) ჩვენთან არს ღმერთი! კვლავ აღიჭურვოს ჩვენი ერი და სამშობლოდან მტერი განდევნოს... რა პასუხს გასცემ შენ შენს წინაპართ?

**ივდით.** მე?.. რა ვიცი... საშინელი რამ მომაგონე... ფიქრები ამიშალე... (დადის. ვერცხლის სარკესთან გაჩერდება და სიამოვნებით შიგ იყურება; მერე თავის ტანსაცმელის ბოხჩას ახდის და დაჰყურებს... სწრაფად დააფარებს და შეშინებულივით მოშორდება.)

**ელის.** რას სინჯავდი?

**ივდით.** არვიცი, ელისაბედ, არვიცი. აქ მოდი... ახლო! სარკე მატყუებს, შენ მართალს მეტყვი... მაშ ისევ ლამაზი ვარ?

**ელის.** მაგას რად მკითხავ?

**ივდით.** ნეტავი ლამაზი ვიყო, ლამაზი, მშვენიერი...

**ელის.** მშვენიერი ხარ, თუმცა ეგ უბრალო წამოსასხამი ამახინჯებს შენს მშვენიერ ტანს; მშვენიერი ხარ რაღაც ციური მშვენებით, თავს სხივი გადგას და იმ სხივში... მაგრამ სილამაზეს რა შეუძლიან?

**ივდით.** ძალიან ბევრი.

**ელის.** და ივდითი მაგას ფიქრობდა?

**ივდით.** დიახ, მაგას ვფიქრობდი. ელისაბედ, მე რომ ოლოფერნეს შევხვდე სადმე... ისე, შემთხვევით... როგორ გგონია, ჩემს მშვენიერებას გაუმაგრდება? ჰა, ელისაბედ? განა შეიძლებს, მე მნახოს და არ მოიხიბლოს?

**ელის.** მაგას რად ბრძანებ?

**ივდით.** მიპასუხე.

**ელის.** თუ შენს ფიქრს მივხვდი... მერწმუნე, ცუდად ჩაგივლის ეგ საქციელი; არაფერს გარგებს, და ვნებით კი ძალიან გავნებს. შენი სილამაზით, მაგ ციური უმანკოებით სავსე

თვალებით მხეცსაც კი დაიმორჩილებ და, ოლოფერნეს კი ვერა... შენც რომ ჩემებრ ახლო გენახოს იგი, ეგ ფიქრიც აღარ გაგიტაცებდა. ადამიანური მას არა აქვს-რა, ხორც-შესხმული ბიწიერებაა და ვაი იმის ბრალი, ვინც ხელში ჩაუვარდება.

იუდით. მაშ, გიცნობია?

ელის. ძალიან კარგად, ჩემდა საუბედუროდ. უზარმაზარი ტანის კაცია, საშინელი შეხედულობისა. სადაც კი მივა, ყველგან თავისადმი შიშს და სიძულვილს სტოვებს. ნებროთივით მოსისხლე არის და სარდანაპალივით გარყვნილი; ბრძოლის ველზედ იმყოფება თუ მშვიდობიანობის დროს შინ, თავის სახლში, თავის ჰარამხანა თანა ჰყავს და ღხინს და ქეიფს არსად მოიშლის; სრულს ნეტარებას მარტო მაშინ გრძნობს, როდესაც სისხლს და ღვინოს ურევს ერთმანეთში და მით ითვრება. საზიზღარია, საზარელია... და შენ გინდა შენი სილამაზით დაიმორჩილო?

იუდით. არ ვიცი... (ფიქრით) ღხინს და ქეიფს არსად მოიშლის...

ელის. რა სთქვი?

იუდით. არაფერი.

ელის. მე შენგან სულ სხვას მოველოდი, სულ სხვა იმედი მქონდა... მე მეგონა, თვით ცამ შთაგაგონა-მეთქი...

იუდით. ნეტა აქ მყავდეს... მუხლ-მოდრეკილი...

ელის. მის მუხლს მხოლოდ უზანგი მოსდრეკს. მუხლ-მოდრეკილი შენ იდგები, შენ მის წინაშე. ერთი ღამის ყურადღებას გაკმარებს, მერე ზედაც აღარ შემოგხედავს. შენს სილამაზეს ისე მოგლეჯს, როგორც მაისის ვარდს, ერთხელ დასუნავს და გადააგდებს! თუ გზაზედ შეხედი, ფეხ ქვეშ გაგსრესავს.

იუდით. კმარა! ოჰ, კმარა...

ელის. დიაღ, კმარა! შეგიგინებს, შეგილახავს რაც კი წმინდა გაქვს-რამე და ისე წავა, რომ მის ჯავრსაც კი ვერ ამო-

იყრი... იცოდე, ოლოფერნეს ვერავინ აჯობებს: ძლიერია, ამოგლეჯს ხოლმე მუხას ცალი ხელით; იმ სიმძიმეა იმისი ხმალი, რომ ბევრი ვაჟკაციც ვერ დასძრავს.

იუდითი. ქმარი მეთქი... შიშით ამივსე გული... ქმარი ნუღარ მეტყვი... წადი ელისაბედ, მე დაგიძახებ.

ელის. (თავს უკრავს და მიმავალი) ქალი ყოველთვის ქალია.

სცენა IV.

იუდითი. (მარტო) რა ტკბილი სიზმარი იყო, რა ტკბილი ოცნება იყო! სამსონივით ძლიერი მეგონა ჩემი თავი — მე ერთ უბრალო ქალს, რომელსაც ახსოვდა ქალის სისუსტე, ან მისი მორცხვობა და მოკრძალება? მე უბედურმა ეროვნის წამის წარბილით წავიხდინე ამდენი ხნის ლოცვით და მარხვით მოპოვებული სულის სიმშვიდე; ჩემს სილამაზეს შევტრფიალებდი, თავი მომწონდა და ქვეყნის წუხილით გატაცებული სირცხვილსაც კი არ შევუშინდი: ვიდრე შერცხვენილი! თავლაფდასხმული! ღმერთო! მაგრამ იქნება თვით ღმერთი მშველის! იქნება მის განგებისგან არის, რომ ამ სუსტ მკლავში სამსონის ძალასა ვგრძნობ! მაშ რად არის, რომ დროსადილის და მე ასე მშვენიერი ვარ? მე დროზე ადრე ყველას დაპყრობას ვცდილობ... ან რასა ვჰკარგავ? განა მე თავისუფალი არა ვარ? მაშ რატომ არ უნდა გავბედო? შევრცხვები, მარტო ჩემს სახელს შევარცხვენ... ვის რა? ვინა მყავს დამშლელი? არავინა! არავინ შეგნებით მიიცვალა... ამ გულიდან წყალ... ღმერთო, შემიწყალე! რას ვამბობ მე უბედური? მერე ჩემი მანასე?! განა არა, სული თავს დამტრიალებს, ჩემი მშორდება მისი აჩრდილი, თითქო ჩემი ფიქრების გაქარვებას ცდილობდეს. ნეტავ რა უნდა? რას მიბრძანებს ჩემი მანასე? ქვეყანა ღვთისგან წმინდა, ტაძრებში ცხენები დაუბამს გამარჯვებულ მტერს; შეზღუდებული ნაბუქოდონოსორი და

მიწის პირიდან აღგვას გვიპირებს, თითქოს ერთი ოლოფერნე დავიმორჩილოთ, ჯარისა არ მეშინიან, ისე ამოვწყვეტავთ... გონზე მოდი, ივდით, სად გაგიტაცნიხარ სამარცხვინო წადილს დიდებისას! რატომ არ ხედავ, შე ბედ-შავო, რომ ნაბუქოდონოსორი კი არა, თვით ღმერთი ებრძვის შენს სამშობლოს, თვით ღმერთი! და შენ გინდა ღმერთს წინააღუდგე?! ღმერთი რომ ჩვენკენ ყოფილიყო, ხომ არც ასე გაგვწირავდა; ღმერთი რომ ჩვენკენ ყოფილიყო, აქამდე მეხს დასცემდა ურჯულოს და ამოჟლეტდა.. განა არ შეეძლო ანგელოზები ჩამოეგზავნა და ესე ამოეწყვიტა ოლოფერნეს ჯარი? მაშ რად არის ყოვლად ძლიერი, თუ თავის ძლიერებას მტერზედ არ იჩენს?! და თუ არ იჩენს, ალბად იმიტომ რომ მტრისკენ არის და ჩვენ გაგვწირა .. ნუ თუ უკვე გადუწყვეტია — ღირსი არ არის სიცოცხლისაო... მე ხომ არ აღვუდგები წინ? მე ხომ ვერ ვეტყვი — შესდექ-მეთქი! აგრე ადვილად ნუ გაიმეტებ შენს ერთგულ ხალხსა!.. მიშველე რამე, ღმერთო ძლიერო, შემიბრალე!.. და თუ მართლა მე უღირსი აგირჩევივარ, მანიშნე რამე, ყოვლად ძლიერო! გედევანს ხომ მოუვლინე ანგელოზი და გამარჯვებას დაჰპირდი, მეც გადმომხედე... ნუ გაგვწირავ, ღმერთო! ნუ ინებებ ჩვენს შერცხვენას... აქამდე ნუ მიგვიყვან, რომ ჩვენი ხსნა სირცხვილითა-ღა შეიძლებოდეს!

## სცენა V.

**ელის.** უმფროსნი ბრძანდებიან, შენს ნახვას ნდომულობენ.

**ივდით.** რაო? რა ნებავთ?

**ელის.** [illegible] აქეთ შენთან რაღაც უბედურება მომხდარა. შენს სახელსა თურმე ლანძღვით და გინებით იხსენიებენ ქალაქში.

**ივდით.** როგორ? ჩემს სახელს ლანძღვით იხსენიებენ? რადა? რისთვის? მობრძანდნენ. (ელისაბედ გადის). ნეტა რა მოხდა?

**გოთოან.** ბევრი ვეცადე, დამემშვიდებინა როგორმე ეს შფოთიანი მო-
ღრეული, აღელვებული ხალხი, მაგრამ ამაოდ. აგერ მოჰ-
ბრიან! წყალი მოწამლული ყოფილა.

**ივდით.** მოწამლული?

**გოთოან.** დიახ, მოწამლული; ვინც კი დალია, ყველანი დაი-
ხოცნენ.

**ივდით.** დაიხოცნენ?

**გოთოან.** რა მოგივიდა, ივდით?

**ივდით.** რა სასტიკად დამსაჯე, ღმერთო! რა სასტიკად დაამ-
ცირე ჩემი ოცნება! მე ხსნას ვფიქრობდი, შენ კი ხალხს
მახოცვინებ.

**გოთოან.** უმადური ხალხი დაარწმუნე ხალხი, რომ შენ უბრა-
ლო ხარ... [illegible] შენ მოწამლე წყარო, რომ ქა-
ლაქი დაგეღუპა.

**ივდით.** მაშ მე მტერი ვყოფილვარ ჩვენი ქვეყნისა? სამშობ-
ლოს მოღალატე ვყოფილვარ?! მე კი მინდოდა მისთვის
თავი გამეწირა! უფრო მეტიც მინდოდა: ჩემი სახელი, ჩემი
პატიოსნება გამეწირა.

**გოთოან.** რა დროს ეგ არის, ივდით! გაიქეცი! თავს უშველე!

**ივდით.** არა! გადევშნიან, გაქცევას ცხვრული არ უყვარს.

**გოთოან.** [illegible] ივდით!

**ივდით.** ნება ღვთისა აღსრულდეს.

**გოთოან.** (ხმალ-ამოღებული კარს მივარდება). ვინ არის?

## სცენა V.

### ოზია, კარმი და მოხუცნი.

[illegible] სანახავად შემობრძანდით, მატრონები
[illegible] სახლში დამნაშავეს ვერ იპოვით: ამ სახ-
ლის პატრონი კარგა ხანია ცდილობს ლოცვით და მარხვით
შეწყალებას თავის ხალხს შეცოდებანი; კარგა ხანია მის-
თვის ლოცულობს, რომ [illegible] ღმერთისათვის გარ-

ყვნილი, სულით და გულით დაცემული კერპთ-მსახური ხალხი! პირდაპირ ბრძანოთ: ჩვენი ხალხი ყოველთვის მოსისხლე მტერი ყოფილა თავის ერთგული შვილებისა; მას მოსაკლავად არ დაუნდვია ყველა ის, ვინც მისთვის თავ-განწირული ყოფილა. პირდაპირ ბრძანოთ, როგორ ჩვენი წინასწარმეტყველების სისხლით [illegible] გამძღარა ხალხი და ახლა კიდევ სისხლს ითხოულობს [illegible], წმინდა სისხლს? [illegible] აგრეა, თუ მსხვერპლი გნებავთ, აქვე გახლავართ... აი დაკალით...

იოზია. არა, ივდით! ჩვენ იმიტომ მოგმართეთ, რომ შენ დაგვემშვიდებინე [illegible] ხალხის დამშვიდება. [illegible] ვიცით, რომ წყარო [illegible] ყოფილა მოწამლული. [illegible] თავეში [illegible] სიმართლე.

გოთონ. მაშ წასულია ჩვენი საქმე. მგონი, [illegible], ისა სჯობდეს!

იოზია. იქნება [illegible], მაგიერ სიკვდილის გადურჩე! დაგიმორჩილებს, მხოლოს [illegible] მგონი [illegible] სასტიკად მოგვექცეს მტერი. [illegible] დავიხოცნეთ!

ქარმი. საზარელია ნელი სიკვდილი! მე იმრალით სიკვდილი მირჩევნია.

მოხუცნი. [illegible]!

იოზია. აგრე, აგრე! [illegible]

ივდით. სხვა საშუალება [illegible]

იოზია. [illegible].

ივდით. აბა სამღვთო წერილს დავეკითხოთ (ტახტზედ, მუთაქის გვერდით ხვეულს აიღებს): როდესაც მოაბიტელებმა ჩვენი ქვეყანა დაიპყრეს და მეფე ეგლონი ამოწყვეტას გვიპირებდა, ერთი ყრმა გამოჩნდა — ბენიამინის შთამომავალთაგანი — რომელმაც სამშობლოსათვის თავი გასწირა. ეჰუდმა, ძმანო, გამარჯვებულ მტერს ძვირფასი ძღვენი მიართვა და მზეც დაუბნელა: სწორედ იმ დროს, როცა მეფეს წინ იჩოქებდა, [illegible] უცბად [illegible] დამალული ხანჯალი, შიგ გულში დასცა და, [illegible] მოვიდო-

დნენ მეფის მხლებელნი, ოს გარედ გამოვარდა და გახარებულმა ყვირილი მორთო—მტერი მოვკალო! ეს ამბავი და მტრის გაქცევა ერთი იყო: გაიგო თუ არა ჯარმა—მეფე მოგვიკლესო, შეშინდა, შედრკა... განდევნეს მტერი, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ერთის გამბედაობამ, ერთის თავგანწირულმა ვაჟკაცობამ ხალხიც გაამამაცა და გააგმირა და სამშობლოსაც დაკარგული თავისუფლება დაუბრუნა... აბა, ვინ არის აქ ოდი? წინ წამოდგეს და აი, გედევანის ხმალი შემოიკრას. (ხმალს გაუწვდის).

**გოთონ** საშინელებას გვავალებ, ივდით!

**ქარმი.** მტრის ბანაკში ვინ შევა? ვინ გაბედავს?

**ივდით.** ვაჟკაცი ვიყო და ეგრე მხდალი?!

**ოზია.** პირდაპირ საბრძოლველად, კიდეც რომ გამოვიწვიოთ, ოლომფერე არ გამოვა და ღალატით კი..., მე მტერსაც ვერ ვუღალატებ.

**ივდით.** მეტი ხსნა რომ არ იყოს? არჩევანზედ რომ იყოს—ან ღალატი, ან ქვეყნის დაღუპვაო?! მაშ თავგანწირული არავინ არის? არც კი შეგრცხვებათ, რომ ქალმა...

**გოთონ.** რაო? ივდით, რა განგიძრახავს?

**ივდით.** საშინელი რამ განვიძრახე, რომლის ხსენება თქვენც კი აგათრთოლებთ, თქვენ ბრძოლის ველზედ დაბერებულნო ვაჟკაცნო! მე თქვენოდენა სად შემიძლიან, მე ულონოს და მისუსტებულს? თუ გავბედები რამეს, ისევ ტკბილი ღიმილით და მწვავი კოცნით... მაშ რად მინდიხარ, უსარგებლო მახვილო? წადი, დაჟანგდი, შე უპატრონოვ!.. (გადააგდებს).

**ოზია.** უპატრონო რად იქნება?! მაშ ჩვენ ვაჟკაცნი არა ვყოფილვართ?!. (უნდა აიღოს).

**ივდით.** ხელი არ ახლო! არ მიეკარო! ღირსი არა ხარ!.. უპატრონოა ეგ ხმალი... წელან არდი გიხსენეთ... მე უფრო ძლიერს მაგალითს გიჩვენებთ ქვეყნისათვის თავგანწირვისას... მე მირჩევსა მე მიწოდებს! ეს ხმა უმაღლესი ბრძანებაა... მე თვით ღმერთმა ამომირჩია ამ საქმის ასასრულებლად და ნება მისი აღსრულდეს.

**ოზია.** რას ამბობ, იუდით?

**იუდით.** შემომფიცე, რომ დღეიდან, ხუთ დღეს, რაც უნდა მოხდეს, ჩვენს ქალაქში მტერს არ შეუშვებ.

**ოზია.** ღმერთს გაფიცებ, ხუთი დღის და ღამის განმავლობაში მტერს ქალაქის კარს ვერავინ გაუღებს.

**იუდით.** ამაღამ ბინდისას გალავნის კარებთან დამიხვდი.

**გოთონ.** რას აპირებ, იუდით?

**იუდით.** რად მკითხავ? წარმართთა ერთგულ მოახლეს წავიყვან. თუ მეხუთე ღამეს არ დავბრუნდი, იცოდეთ, ქვეყნის ჭირი წაუღია იუდითს. ახლა ნუ მოიხსენიებთ... თუ არ დავბრუნდე, ალბად ღმერთსა სწყენია იუდითის ნაქციელი... შესძულებია თავისი ერი... ახლა კი მიბრძანდით...

**ოზია.** ასე მგონია შენით თვით ღმერთი გველაპარაკება, იუდით. ამაღამ, როგორც მიბრძანე, გალავნის კართან დაგიხვდები. (გადიან გარდა გოთონიელისა).

## სცენა VII.

**გოთონ.** (ღრმად ჩაფიქრებული. წინა სცენის დროს იუდითის სამკაული გასინჯა).

**იუდით.** შენ რაღად დარჩი?

**გოთონ.** საშინელებას აპირებ, იუდით! აგერ სამკაული მოგიმზადებია, გეტყობა ძვირად მორთული აპირებ მტერთან მიბრძანებას. რაღად მიმალავ? შენ გინდა შენი ფეხით ეახლო ოლოფერნეს, ვარდის კოკორივით წინ გაეშალო და მერე შენი კოცნით დაახრჩო?

**იუდით.** სიტყვა სიფრთხილისათვის მოუნიჭებია ჩვენთვის ღმერთს. აქ ჯერ ისევ ყველასგან პატივცემული იუდითია და ეგ ლანძღვა არ დაუმსახურებია. მაგრამ ვთქვათ მართლა ისე მოიქცეს, როგორც შენ სთქვი, ვთქვათ მართლა თავის ფეხით ეახლოს ჩვენს მტერს; განა მაშინ კი ღირსი იქნება მაგგვარ ლანძღვისა? ნუ თუ არა გრძნობ, უგუნურო, რა დღეშია ერი, ჩვენი ქვეყანა? ნუ თუ არა გრძნობ, რომ

სამშობლო მსხვერპლსა თხოულობს? არა, შენ ჩემს სწუხილს ვერ შეიგნებ. შენ რომ გეყვარებოდა ჩვენი ქვეყანა, ისე გყვარებოდა, რომ თავის გაწირვა შეგძლებოდა, ჩემს განზრახვასაც ღირსეულად დააფასებდი.. ვინც ქვეყნისათვის სიცოცხლე დაიშურა, იმას ივდითი მართლა უნამუსო დედაკაცად ეჩვენება.

გოთონ. რავქნა, ივდით, რავქნა, რომ მიყვარხარ და სამშობლოსთვისაც ვერ დამითმიხარ? შენ შემოგხარი, შენით ვცოცხალვარ და ვიცი არ გიყვარვარ, მაგრამ რა დაგიშავე, რა შეგცოდე, რომ აგრე მსჯავ? არა ივდით... არა! ჩემი არა ხარ, მაგრამ არც ოლოფერნესი იქნები, არც მე და არც სხვას!

ივდით. კმარა! მე მადლი მფარავს ღვთისა, რომლის ძალას ჩემში შენ ვერა ხედავ.

გოთონ. ივდით!..

ივდით. იქით! კმარა-მეთქი! შენ რომ შენს შერცხვენას გრძნობდე, ხომ სიყვარულზედაც აღარ მელაპარაკებოდი. მხდალო, ლაჩარო! კარს მტერი გადგას... აღარც სახლი შეგარჩინა, აღარც ტაძარი... შენს თვალ წინ დაიჭირა შენი და... შენი ასული... და შენ კი სიკვდილისა გეშინიან?! და სიყვარულზედაც მელაპარაკები?! წეღან მძრახავდი. რატომ არ იცი, უგუნურო, რომ იმ სიტყვით შენს თავს ლანძღავდი? განა შენ რომ ვარგოდე, ივდითი მაგას განიძრახავდა? შენ მაიძულებ და შენვე მლანძღავ?.. წადი!.. (გოთონ. გადის) ელიაბედ! ელიაბედ!

## სცენა VIII.

ელის. (შემოდის)

ივდით. მზად იყავი, ამაღამ მტრის ბანაკში მივდივართ.

ელის. მტრის ბანაკში?

ივდით. ტანისამოსი და სამკაული მომიმზადე, რომელიც მაქვს, ჩემი მორთვისთვის; ისე დავმშვენდე, რომ ბაზესაცზე ქვანათებოდე.

**ელის.** ოლომფერნესთან მიდიხარ, განა? არა, შენი ჭირიმე! მე იქ ვერ გიხლები! მე იმის ნახვა არ შემიძლიან!

**ივდით.** ჰო და ნუ ნახავ, რაკი ასე ჰკრთები მისი, მე ვნახავ.

**ელის.** შემიბრალე!.. იქ ნუ წამიყვანო. ესე ჩვენ...

**ივდით.** ესე ოლომფერნესი! წადი და მომზადდი! მე ეგრე მწურს!

(ელისაბედ თავს ძაუკრავს და გადის). ოლომფერნე, შენ იყავ ჩემი შემწე! (სალოცავად ადის).

ფარდა.

## მოქმედება მესამე

ოლომფერნეს კარავი. უკანა მხარეს საწოლი, ძვირფას ფარდებით დაფარული. ტახტები, ხალები, მუთაქები, სუნნელებათა დასაწვავად სამ ფეხზედ ამართული ბადიები.

### სცენა I.

**ოლომფერნე** (წამოწოლილი, მის გვერდზედ არზაყელი და სხვა ქალები. ვალაი დგას. მოშორებით ჯარის წინამძღოლნი და საჭურისნი. სიმღერა ქალებისა). რაღად გაჩუმდნენ მომღერალნი?

**არზაყელი.** ჩაფიქრებული გძინებოდი, ბატონო ჩემო, და დაგერიდნენ.

**ოლომფერნე.** რად სტყუი?! მენ გააჩუმე, რომ დამკვირვებოდი და უკეთ შეგეგნო ჩემი ფიქრები. მაგრამ, იცოდე, წმინდაა ჩემი ფიქრი და მონა მის ჯაშუშობას არ უნდა ცდილობდეს.

**არზაყელი.** მაგაზე არც ვცდილვარ. მხოლოდ ვამბობ, რომ შენ იმდენი საფიქრებელი გაქვს და საზრუნავი, რომ ჩვენი მხიარული სიმღერა, ვგონებ, უალაგო იყო.

**ოლომფერნე.** ომით?! შენ გგონია მე ომმა დამაფიქრა? სწორედ მეც ეგ არის, რომ მტერი ვერსად შევხვდი, რომ ომი ავუტეხო; მომწყინდა ამდენი უსაქმურობა და განცხრომა. ეს ორი წელიწადია, რაც ჩემი ლაშქარი დაიძრა და

საცა კი გავიარა, ყველგან გამარჯვებული და ძლევა-მოსილი რჩებოდა; ისე დღე არ გაივლიდა, ორჯერ-სამჯერ არ დამემარცხებინა მტერი; კვირა არ გაივლიდა, რომ რამდენიმე ქალაქი არ ამეღო, რამდენიმე სამეფო ტახტი არ დამელეწა, რამდენიმე ტაძარი არ დამენგრია. აღმოსავლეთით დასავლეთამდე მეხივითა სჭექს ჩემი სახელი! უდიდესი და უძველესი სამეფოები დაიმორჩილა ამ მძლავრმა მკლავმა. და, ვინ დაიჯერებს? ერთი პატარა, აი ხელის გულზედ დამეტევოდა ჩემს ხელთ რომ იყოს, ერთი პატარა ქალაქი მიდევს წინ და მის აღება ვერ მომიხერხებია. არა, მე კლდემ როგორ უნდა შემარცხვინოს გამარჯვებული ქვეყნის მპყრობელი?

გადაი. რად ჰკვირობ, ძლიერთ ძლიერო? ეს მეორედ შეუყენებია ამ კლდეს ასსირიელთ ჯარი.

ოლოფერნე. ეგ ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ დღეს ამ კლდეებს თვით ოლოფერნე მისდგომია და ოლოფერნე უკან ვერ გაბრუნდება. ვერ გაბრუნდება, ვერა! მთელს საუკუნეს იდგება აქ და თავისას იზამს! მერიდოს ეგ ხალხი! აქამდე ხალხთან ბრძოლას არ ვკადრულობდი, ჯავრს ღმერთებზედ და ტაძრებზედ ვყრილობდი; მგონი ასამდე საკურთხეველი წავაქციე. ეხლა კი ხალხს მივეტანები; სულ მუსრს გავავლებ! გამიძალიანდნენ კიდეც!? მაშ ვნახოთ! ხელით გადავთხრი მე ამ მთებს და ქალაქს კი დავიმორჩილებ. მერე კი თვით იერუსალიმიც ჩემია, იერუსალიმი! ერთი იქაც ვინავარდო, იმათ სიონში! იმათ სალოცავებს, იმათ წმინდანებს წყალში გადავყრი, დავწვამ, დავბუგამ! ქალაქს ისე დავანგრევ, რომ საუკუნოდ დაიკარგოს მისი ხსენება. რაღაც ღმერთები, რაღაც წმინდანები! ერთია ღმერთი — ცისა და ქვეყნის მპყრობელი, მეფეთა მეფე ნაბუქოდონოსორი.

გადაი. ახლა კი ადვილად დავიმორჩილებთ, რაკი წყალი მოვუწამლეთ.

ოლოფერნე. დღეს [illegible], წყალი [illegible], ეგ სულ ერთია... უნდა

**გადაი.** დიალ, ბატონო, იერუსალიმს სხვა გზით ვერ წავალთ!

**ოლოფერნე.** მე უფრო მოკლე გზით გავალ!

**გადაი.** მთებში, რასაკვირველია, უფრო მოკლე გზა იქნება, მაგრამ კაცი გვინდა ერთგული, რომ წინ გაგვიძღვეს.

**ოლოფერნე.** ამ ოთხი დღის წინად ებრაელი ქალი რომ მოვიდა, დღესაც აქ არის. მერწმუნე, ვადაი, ივდითი—ჩემი ვარსკვლავია. მას ადამიანის სახე მიუღია, რომ ჩემთან ყოფნა და ჩემთან ცხოვრება შესძლებოდა; ადამიანის სახე მიუღია და ვარსკვლავის სხივი არ დაუკარგავს. ივდითი ებრაელთა ღმერთის მლოცველია. მე დავიმორჩილე იგი... და მასთან ერთად თვით ქრისტიანეთა ღმერთიც. ჩემი დღენი ღვთის ვედრებით და ლოცვით გაუტარეთ, მიამბო, მაგრამ შენი დიდებული, ძლიერების შუქით გაბრწყინვალებული სახელი მოსვენებას აღარ მაძლევდა და რა ვეღირსე შენს აქ მოსვლას, სულყველას თავი დავანებე —სამშობლოსაც და სარწმუნოებასაც—და შენთან გამოვეშურეო. ჩემი სამშობლო დღეიდან შენი კარავია და ჩემი ღმერთი—დიდებული ოლოფერნეო. გაიგე, ვადაი! საუცხოვო სანახავი იყო, დარაჯებმა რომ მომგვარეს. მისებრ მშვენიერი, მე სიზმრადაც არა მინახავს—რა ერთი შევხედე და მაშინვე ვიცანი ჩემი ვარსკვლავი: თვალს შუქი ადგა! შიგ გულში მომხვდა იმისი სხივი, გულის სიღრმეში დამწვა და რაღაც ჯერეთ უცნობი, სრულიად ახალი ნეტარება მაგრძნობინა.

**არზაელი.** მაპატიეთ, ძლიერო-ძლიერო მბრძანებელო და... განა არ შეიძლება შენი ვარსკვლავი კი არა... მავნე სული იყოს... მაგ გულწარმტაც სილამაზით მოგხიბლოს და დაგღუპოს.

**ოლოფერნე.** კმარა! მეტოქეს ხედავ, შენზედ უკვე გამარჯვებულს მეტოქეს და ცილსა სწამებ! ჰო და იცოდე, ივდითი მიყვარს და მარტო ივდითი მიყვარს.

**არზაელი.** გიყვარს, ბატონო?

**ოლოფერნე.** იქვიანობა კი არ დამიწყო. ჰარამხანაში დედოფლად შენ მყავდი, მაგრამ, ნუ დაგავიწყდება, შენ მონა

ხარ ჩემი და შენზედ უმაღლესი, შენზედ უწმინდესი რომ შევიყვარო, უნდა ეცადო, შენი ცრემლით არ გამიმწარო მე სიტკბოება. იტირე თუ გეტირება, ოღონდ შორს ჩემ-გან, შორს! ცრემლიანი არ დამენახო! მზის ამოსვლისას ვარდი მომეწონა, მოვგლიჯე, დავყნოსე და... საღამოზედ ვიღას ახსოვს დილით მოგლეჯილი ვარდი! ეგდება სად-მე გათელილი და დაფურცლილი! (მარჯვენა კარს უჩვენებს) ეგ კარავი ივლიტისაა. მანდ სრული დედოფალია ივლიტი და თვით ლომთმბრძოლიც კი ემორჩილება მის ბრძანებას. ეს ყველამ იცოდეს და ვაი იმას, ვინც ამას დაივიწყებს. იქ-ნება ცოტა ხანს უკან ფირთხნაც მობრძანდეს — მე ვთხო-ვე წეღან — ისე დაუხვდით, როგორც ჩვენს დედოფალს, გეყურებათ?! შენ, არზაილ, აქ იყავ; რომ შემობრძანდეს, მუხლ-მოდრეკილი დაუხვდი და ჩემს მოსვლამდე თავი არ დაანებო! (გადის მარჯვნივ, უკან მისდევენ ჯარის-კაცნი. ქალები კარვით გადიან).

## სცენა II.

არზაილი. (მარტო) დარჩი დედამიწის ყველაზე ბედნიერ ყმა ჩემო! რა უბე-დურია ის მონა, რომელსაც თავისი ბატონი, თავისი პატ-რონი უყვარს. განა მონას სიყვარული შეუძლიან? აღმერთებიც კი არ აგდებენ ყურადღებას „შენ მონა ხარ ჩემი...“ ვიცი, მონა ვარ და სანთელივით ვიწვი ჰარამხა-ნაში; მიყვარს შენი ტრფობით, ვიტანჯები... სამაგიეროდ ივლიტი ჩემი ეშინოდეს... მე რომ მონა ვარ და... უშინოდეს ჩე-მი... გვერდს მოდის.

## სცენა III.

ივლიტი. (მორთული) წეღან მიბრძანდეს...

არზაილი. დედოფლის ბრძანებას ვინ გაუბედავს? დედოფლის გულისთვის!

იუდით. დედოფალი?! რას ამბობ, ქალო? მე შიშით ძლივს-ღა დავდივარ, აქამდის ძლივს მოვაღწიე...

არზაელ. შენ გაანათე აქაურობა, მშვენიერო ებრაელო.

იუდით. ქების ღირსი არ გახლავარ.

არზაელ. მაგისთვის კი რა მოგახსენო? მე რაც მიბრძანეს, იმას ვიქმ.

იუდით. ვინ გიბრძანა?

არზაელ. ჩემმა ბატონმა, შენმა საყვარელმა.

იუდით. რაო?

არზაელ. ძალიან არ იტკიცე! ეს არის [illegible] სთქვა, აი აქა სთქვა, ოლოფერნემ.

იუდით. ოლოფერნემ ეგა სთქვა?

არზაელ. გიამა, განა?

იუდით. სრულიადაც არა.

არზაელ. ტყუილად მალავ შენს სიყვარულს, ტყუილად მორცხვობ. მიიხედ-მოიხედე, ბევრი ნატვრა აგიხდება ამ ჩვენს რაზმში (საწოლს უჩვენებს). ახლა შენზე.

იუდით. ვინა ხარ შენ, რომ აგრე გაბედვით მებაასები?

არზაელ. შენს მოსვლამდე მე დედოფალს მეძახდნენ.

იუდით. ახლა კი მივხვდი. იქნება გგონია—მე იმიტომ მოვედი, რომ შენ შეგეცილო? ღმერთმა დამიფაროს! ნეტავ შემეძლოს შენი ბორკილი დავამტვრიო და თავისუფლება მოგანიჭო! დამიჯერე, კილო შეიცვალე და აგრე გაბრაზებით ნუღარ მელაპარაკები.

არზაელ. რასაკვირველია! ბრიყვი ვარ დაგცინოდე, თორემ მუხლის თავზედ უნდა დავცემულიყავი შენს წინაშე! დიდად პატივსაცემი რამე ხარ, მართლაც! მტერთან მიხვედი, შენის ქვეყნის მტერთან, მარტო იმიტომ, რომ გაჯავრებული გულისთქმა მოიკლა როგორმე... უცნობის სიყვარულით გატაცებულმა შენ უღალატე შენს სამშობლოს, შენს კერას, შენს ღმერთს... ამიტომ ღირსად ვასრულებ შენს ბრძანებებს...

იუდით. ჩუმად!

არშაკელ. დიაღ! დიდად პატივსაცემი ბრძანდება ქვეყნის მოღალატე, რომელიც თითონვე ეძებს თავის შერცხვენას. ჩვენ კი... მაგრამ არა, რა სახსენებელი ვართ ჩვენ, მონანი, მტრისაგან ძალით შერცხვენილნი და შეგინებულნი? ჩვენ მონები ვართ და საკუთარი, თავისუფალი აღარც ნება გვაქვს, აღარც წადილი, აღარც სურვილი... ჩვენ მონები ვართ და ჩვენს შერცხვენას არა გვკითხავდნენ. მაგრამ შენ? შენ ხომ თავისუფალი ხარ, თავისუფალ ქვეყანაში შობილი, თავისუფალ ქვეყანაში აღზრდილი! შენ ხომ არავინ გიშლიდა შენს ნებაზედ გყვარებოდა ვინმე. გულის რჩეული და ბედნიერად გაგეტარებინა შენნი დღენი! ოჰ, რა საზიზღარი ხარ, რა წამხდარი ხარ... შენ ქალი კი არა, შენ... რას გაჩუმდი?! რას მიყურებ შენზედ უბედურს? მე რომ შენოდენა დანაშაული მქონდეს, მგონი...

იუდით. დღეს მართალი ხარ და ხვალ კი შენვე მიხვდები.

არშაკელ. როგორა მძულხარ! ოჰ, რომ იცოდე, როგორა მძულხარ, შე საძაგელო! ჰო და, განსოვდეს — მძულხარ და მოგკლავ კიდეც!

## სცენა IV.

ოლოფერნე. არა, მე მოგკლავ!

არშაკელ. ვაიმე, დავიღუპე!

ოლოფერნე. რა კარგია, რომ აქ დამიხვდი, იუდით!

იუდით. შენი ბრძანება აღვასრულე, ბატონო, მაგრამ ახლა კი გთხოვ, თუ ნებას მიბოძებ,

ოლოფერნე. დარჩეს ამ უგუნურის სიტყვებს ყურადღება არ უნდა მიაქციო, თუ გაწყენინა რამე. მაგრამ ახლა მოგახსენე, მე მაგას დღესვე თავს გავაგდებინებ.

არშაკელ. ოჰ, ნეტავმც აგრე!

იუდით. ღმერთმა დაგიფაროს! ეგ რაღა განდა მაგის სიკვდილი!

ოლოფერნე. მაშ ნუ მოვკლავ? ძალიან კარგი — დღეიდან შენი მონა იყოს, შენი საკუთრება.

**არზაელ.** მაგისი მონა?!

**ოლოფერნე.** დაიჩოქე და შენს ქალბატონს ფეხზედ ემთხვიე.

**ივდით.** არა...

**ოლოფერნე.** ფეხზედ ემთხვიე!

**არზაელ.** (აკანკალდება. თვალთ ცრემლს იწმენდს და ფეხზედ აკოცებს) აი, ბატონო, დაგემორჩილე... გახსოვდეს, ივდით!

**ოლოფერნე.** ახლა კი წადი!

**არზაელ.** (გადის). მეც გადაგიხდით!

სცენა V.

**ოლოფერნე.** ახლა ხომ ნახე, როგორ მიყვარხარ. აქამდე ჩემს გულში არზაელი მეფობდა; მაგრამ შენა გნახე და შენს მეტი მე აღარავინ მინდა. შენთვის მომიძღვნია, ივდით, ჩემი გული, ჩემი დიდება და სამეფო ტახტი.

**ივდით.** ხანგრძლივი არ იქნება ჩემი მეფობა!

**ოლოფერნე.** რატომ, ივდით? დაბრძანდი და მომისმინე (დაჯდება) მე ქალდეველთა შთამომავალი ვარ და ქალდეველნი, გეცოდინება, ძლიერნი იყვნენ. მათ ძირიანად ჰქონდათ შესწავლილი არამც თუ მიწიერი, არამედ თვით ციური მოვლენანიც! გაზომილი ჰქონდათ ციურ მანათობელთა და ვარსკვლავთა სივრცე-სიდიდე; გამოანგარიშებული ჰქონდათ მათი მიმდინარეობა. ისე ჰქონდათ შესწავლილი ვარსკვლავთა წყობა, რომ ყოველთვის წინადვე იცოდნენ, რა მოხდებოდა ქვეყნად და მომავლისთვის ერთობ მზად იყვნენ. მათ სწამდათ, რომ ყოველ ადამიანს თავისი ვარსკვლავი აქვს და მეც იგივე მრწამს, ჩემო ივდით! ჩემი ვარსკვლავი სწორედ იმ დროს გაქრა, როდესაც შენ აქ მოხვედი. ამიტომ ვამბობ, შენ ციდან მოვლენილი ხარ, ივდით, და შენს ციურს სამშობლოში უჩემოდ ვეღარ დაბრუნდები. გრგვინვით და ქექით უნდა გადავიარო მე დედა-მიწა, ყველა უნდა დავამხო და დავიმორჩილო და შენ წინ უნდა მიმიძღოდე, ჩემო ვარსკვლავო, და შენი

სხივით ნათელსა მფენდე მეფეს და მპყრობელს მთელის ქვეყნისას.

**ივდით.** მე, ნათელს გფენდე?

**ოლოფერნე.** დიახ! მინდა ჩემი დიდებული განძრახვა გაგიზიარო. როდესაც მთელს ქვეყანას დავიმორჩილებ, როდესაც ცის ქვეშ ჩემზედ ძლიერი აღარავინ იქნება, ბაბილონს დავბრუნდები ქვეყნის მპყრობელი. მერმე? მერმე უნდა ავიღო და ამ მკლავით შეძენილი დიდება ნაბუქოდონოსორს მივართვა? ის სემირამიდის წალკოტში დროს ატარებდეს, ლხინობდეს და შეექცეოდეს მეტის ფუფუნებისაგან დიაცად ქცეული და მე კი ჩემნი დღენი ბრძოლის ველზედ დავლიო, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს მეფეს სახელი გავუთქვა, დიდება და ძლიერება შევმატო?! მართალია, ქვეყნის დაპყრობა, ქვეყნის დამონავება მისი აზრია, მაგრამ საქმე აზრი კი არა, საქმე ასრულებაა. და მე, მარტო მე შემეძლო თავისუფლება დამემონავებინა. ქვეყანა მონაა და თავისუფალი მარტო მე, მისი ბატონი! აქამდის მარტო ჩემს დროშაზედ იყო დაწერილი ეს სიტყვები და ახლა დამარცხებულთ ზედ შუბლზე დავასვი დაღად. დედამიწა შეანძრია ჩემმა მახვილმა, ცას აწვდა ჩემი გამარჯვებული ხმა და მე, ღმერთთა სწორმა, ეს დიდება ვიღაც მისუსტებულს, ქალაჩუნა მეფეს დავუთმო?! რატომ არ ვიფიქრო, ვაი თუ გამარჯვებას მიჩვეულმა ბოლოს ჩემი დამხობაც მოინდომოს?! დიახ, ცოტა ხანიც და შინ დავბრუნდები და ნაბუქოდონოსორის ტახტზედ მე ავალ. მერწმუნე, ივდით, ჯერ არავისა ჰქონია და არც არავის ექნება ჩემისთანა შემკული გვირგვინი, გვირგვინი ცისა და ქვეყნის მპყრობელისა. მე დავავიწყებ უგუნურ ხალხს რაღაცა ღმერთებს, სარწმუნოებას, ძალადობებს და ცრუმორწმუნეობის მსახურ-ქურუმებს! რისი მაქნისნი იქნებიან მაშინ ქურუმნი? საყოველთაოდ მთელი ქვეყნისა ჩემი სამეფო ტახტი იქნება და ზედ ოლოფერნე მღვდელთმთავარი — ოლოფერნე — მეფე, ოლოფერნე — ღმერთი! (ივდითი წამოხტება) რა იყო, ივდით? რაზედ მომშორდი?

იუდითი. შენმა სიტყვებმა ჩამაფიქრა, ბატონო!

ოლოფერნე. და შენ იქნები ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში, ჩემი სალოცავი. მე იქ მიგიყვან, სადაც ასსირიელთა ნიჭმა დედა-მიწა სამოთხედ აქცია; მე იქ მიგიყვან, ძალიან სასწაულთმომქმედმა სემირამიდამ ციურ წალკოტში გააშენა და ოქროს ტაძრითა მორთო! მაგრამ მაგასაც არ გაკმარებ: სადაც კი შენ იქნები, რა ქვეყანაშიც კი შენ გაივლი, ვფიცავ, იქ ჰარამხანა საუკუნოდ აკრძალული იქნება! ოლომფერნეს შენს მეტი მეუღლე! არ უნდა! ოლოფერნე შენ ჰყავდე, იუდით, და მის უბედნიერესი არავინ იქნება, ქვეყანა ფეხქვეშ დაეგება, მის შენდამი სიყვარულს ცა ზედ გადაეხვევა!

იუდითი. (ჩუმად) ისისინე, გველო, მაგრამ მე ევა ნუ მგონივარ!

ოლოფერნე. (მიუახლოვდება) ერთი სიტყვა, იუდით, ერთი ღიმილი! იქნება შენი ხელი უფრო ალერსიანად მომექცეს. (ხელს ჩამოართმევს).

იუდითი. ბატონო, ნუ შემეხები!

ოლოფერნე. რად გეშინია ჩემი ხელისა? მე შენ ისე მიყვარხარ და ისე გექცევი, ვით ჩემს მეუღლეს.

იუდითი. ჯერ შენი მეუღლე არა ვარ. იმ ღმერთმა გამომგზავნა, რომ მეც შენთან ერთად იერუსალიმზედ წაგიყვანო. ჯერ არავითარი უფლება არ მომიცია მე შენთვის!

ოლოფერნე. რას ამბობ, იუდით? თუ მართლა იმიტომ მოხვედი, რომ დამეხმარო, დიდ სიამოვნებას მაყენებ. ჩემს გზას ჩემი ხმალი უკეთ გაანათებს და ბნელს მის ელვა უკეთ ანათებს. შენ არა გცოდნია ჩემი ხმლის ძალი, რომ აგრე მელაპარაკები. მე დღეს შენს თვალებში მეგონა ჩემი ვარსკვლავი და ახლა კი ვგრძნობ, რომ... ნუ გამირისხდები, სიყვარულმა გამიტაცა, სიყვარულმა მბოჭავს. ოჰ, როგორ მიყვარხარ, იუდით, ვიწვი, ვიდაგვი!... არ ამიხირდე, თორემ თვით განგებაც რომ იყოს, თვით ჩემის ბედის ვარსკვლავიც რომ იყოს, იცოდე, თუ ამიხირდები, ძალით ავიღებ, რაც მე მეკუთვნის! რაღაცა ღმერთს გაიძახი... ძალით

ამოგგლეჯ მაგ გულიდან და შიგ ჩემს სახეს ჩავსვამ. ახლა კი იგრძენი, მგონი, შენგან ქებულმა შენმა ღმერთმა მთელი ჩემი ძლიერება; ახლა კი დარწმუნდა, რომ მართლა ბასრია და გრძელზედ გრძელი ჩემი ხმალი! როდესაც მის წმინდა ქალაქს ავიღებ და სიონს მიწასთან გავასწორებ, იცოდე, არჩევანი მოგინდება, ივდით: მაშინა ვნახავთ ორს ღმერთში რომელს ილოცავ—შენ თუ შენს დამარცხებულს ღმერთს.

**ივდითი.** ღმერთი ერთია!

**ოლომფრე.** მაშ თუ აგრეა, ადექი და წადი შენს ქვეყანაში. წადი! მე თითონ მოვალ შენ საპოვნელად. თუ შენ ჩემი ბედის-წერა ხარ, თუ ჩემი ხარ, ჩემო ვარსკვლავო, ვერსად წამიხვალ, ცაშიც კი ამოგწვდები და ქვეყნად ჩამოგიყვან! შენა გგონია თქვენი კლდეებისა მეშინოდეს? მე?! უგუნურო! მე და ეს ხმალი დევების სისხლსა ვართ ჩვეული და თქვენისთანა ქვემძრომებთან ბრძოლა გვეზიზღება. თქვენ კი გეგონათ, ეშინიანო! მაშ ხვალვე ნახავთ, როგორ გადმოვაფრენ ჩემს ცხენს თქვენს მფარველ მთებზედ...

**ივდითი.** ხვალვე?!

**ოლომფრე.** უსამზღვრო იქნება ჩემი რისხვა. ისე ავაოხრებ იქაურობას, ისე ამოვხოცავ... სიკვდილს ველარავინ გადაურჩება, ვერც დიდი და ვერც პატარა! ორსულს და ძუძუმწოვარსაც კი აღარ დავინდობ! წადი, შენს ქვეყანაში!

**ივდითი.** არა, მე აქა ვრჩები და, ვფიცავ, ჩემს მოვალეობას ავასრულებ.

**ოლომფრე.** მე შენი ფიცისა არა ვიცი-რა. თუ გინდა მართლა მჯეროდეს შენი აქ დარჩენა, ერთი მაკოცე.

**ივდითი.** ხვალ გაკოცებ.

**ოლომფრე.** ძლივს! ხელი მაინც მიბოძე.

**ივდითი.** ინებე.

**ოლომფრე.** რა ბედნიერი ვარ! თურმე, შენ მართლა-და ჩემი ბედის-წერა ხარ, ივდით.

**ივდითი.** მაგასა ნახავ!

## სცენა VI

გადაი. ბატონო ჩემო...

ოლოფერნე. როგორ გაბედე!? არ იცი, რომ... ბაასში ვიყავ გართული?!...

გადაი. დავაშავე, ბატონო, მაგრამ საჭირო საქმე იყო...

ოლოფერნე. რა საქმე?

გადაი. ტყვე მოიყვანეს, ებრაელი.

ოლოფერნე. ვინ არის?

გადაი. ტანისამოსით მგონი მღვდელია, დარაჯებს დაუჭერიათ ლიბანის მთაზედ. შენ თითონ ნახე და გამოჰკითხე.

იუდითი. მღვდელი! მისი სახელი?

გადაი. მალავს. ძალიან გამბედავი უნდა იყოს, თუმცა, ღრმად მოხუცებული, თოვლივით ჭაღარა კაცი გახლავს.

იუდითი. (თავისთვის) იქნება ის იყოს!... ღმერთმა დამიფაროს! (ოლოფერნეს) ნებას მიბოძებ, ჩემს კარავში გიახლო?

ოლოფერნე. თუ შეგიძლიან და დარჩები, ძალიან მაამებ... დარჩი, აქ დამჭირდები.

გადაი. აგერა მოჰყავთ.

იუდითი. თვით მღვდელ-მთავარი. ახლა კი შევრცხვი! (უკან დადგება).

## სცენა VII

ოლოფერნე. წინ წამოდექ და დაიჩოქე ოლოფერნეს წინაშე.

ელიაკიმი. მე მხოლოდ ღვთის წინაშე ვიჩოქებ.

ოლოფერნე. მაგასაც ვნახავთ! ვინა ხარ შენ?

ელიაკიმი. მღვდელთ-მთავარი ელიაკიმი.

ოლოფერნე. (სიხარულით) ჰა, შენა ბრძანდები! ეტყობა, ძალიან შემიყვარებია მე თქვენი ღმერთი, რომ შენისთანა ძვირფასს მსხვერპლს მწირავს; იქნება ამით მაინც მოვიგო ოლოფერნეს გული. საით მიბრძანდებოდი?

ელიაქ. ღმერთს შველას ვსთხოვდი შენს წინააღმდეგ.

**ოლოფერნე.** დახე! დახე! სწორედ იმ დროს ჩასძინებია შენს ღმერთს, როდესაც ჩემი კაცები დაგეხვივნენ, განა?!

ელიაქ. განრისხებული დაგცქერის, ურწმუნოვ, ჩემი ღმერთი, მაგრამ ებრაელები, ჯერ კიდევ ვერ გაუმეტებიხარ. მე შენთან იმიტომ მოვედი, რომ ნება ღვთისა გაუწყო.

**ოლოფერნე.** კმარა, ბებერო! ნება ღვთისა მე უკეთ ვიცი. სიონის დანგრევას მიბრძანებს და დასახმარებლად კიდეც მომივლინა თავისი ანგელოზი. აგერა, შეხედე. წინ წამოდექი, ივდით!

ელიაქ. (განცვიფრებული) ივდით?!

ივდით. მე გახლავარ.

ელიაქ. შენ? ამ ურჯულოთა შორის? აქ რა გინდა, შვილო?

ივდით. ღმერთმა გამომგზავნა, რომ იერუსალიმს ჩავიყვანო.

ელიაქ. სტყუი! სტყუი! ლიბანის მთაზედ რომ ვლოცულობდი, მომევლინა წმინდა აჩრდილი ისაია წინასწარმეტყველისა და მარჯვენა ხელით კრავი მაჩვენა, რომელსაც ლომი წაექცია და ჰკლავდა, და მიბრძანა: ასე წახდება ასსირიელიო.

ივდით. ასე წახდებაო?!

**ოლოფერნე.** ნეტავი აჩრდილის მეტი მე მტერი არავინა მყავდეს და!..

ელიაქ. შენა, შვილო, შენ აქ რა გინდა?

**ოლოფერნე.** ივდითი ოლომფერნეს საყვარელი მეუღლე არის. აი თუ არ გჯერა. (მოეხვევა და ჰკოცნის, ივდითი ნაძალადევი ღიმილით შესცქერის ელიაქიმს).

ელიაქ. ღმერთო ძლიერო! ამას რას ვხედავ? დაგწყევლოს ღმერთმა! დაწყევლილი იყოს შენი სახელი! ღვთისაგან მონიჭებული ძალით ზედ შუბლზედ გაწერ ჩემს წყევლა-კრულვას! იყავ შეჩვენებული, სამშობლოსაგან გმობილი, დატოლ-სწორთაგან შერცხვენილი! იყავ და განისვენე მტრის საწოლში, გულს გველი ჩაიკარ და ეალერსე, ეგდე ჰარამხანაში, რომ ყველამ შენ პირში გაფურთხებდეს!

**იუდითი.** ღმერთო!

**ოლოფერნე.** (წამოხტება) მოუკლავთ ამ გამოტვინებულს, ჩემსას! ეეი, ჯალათი!

**იუდითი.** არა, ოლოფერნე! ეგ მოხუცებულობით, თავის წინაპართა სარწმუნოებას ემსახურება, ძველ წესსა და რიგს მისდევს... ძველი კაცია, ძველებურად სჯის. ეპატიევება! ნუ გაუწყრები, ოლოფერნე!

**ოლოფერნე.** განა შენი ღმერთი—მაგის ღმერთი კი აღარ არის? განა შენ მაგის ღვთის მოვლენილი არა ხარ?! მაშ რაღად გწყევლის?! რა საზიზღარნი არიან ეს ქურუმ-მღვდელნი! სიკვდილის წამსაც კი არ დამშვიდდება ამათი შურით სავსე ბუნებანი: ვერ მოისვენებენ; ვერ დასცხრებიან სისხლით გაუმაძღარნი! სულ რაღაცას ცოდვილობენ და იბრძვიან... ვითომ სარწმუნოებისათვისაო, მაგრამ ნამდვილად კი საკუთარი კუჭის-წვა აქვთ ამ სვავებს და ამიტომ რევენ ქვეყანას.

**ელიაკ.** შენ მღვდელი კი არა, შენ თვით ღმერთი გებრძვის, ჯიუტო, ღმერთი რომელმან შექმნა ცა და ქვეყანა, რომელმან არა ერთგზის იხსნა თავისი ერი ურჯულოთაგან, და ეხლაც იხსნის. რა ხარ შენ მის წინაშე? წვიმის წვეთი ხარ, უბრალო მატლი და შენ გინდა, ცისა და ქვეყნის მპყრობელი გახდე?! შენ გინდა, მთელი ქვეყანა დაიმონავო?! ოჰ, საცოდავო! აგერ, უყურე, რა ძლიერი ხე აღმოსცენდება იესეს ნათესავიდან; მის ქვეშ შეკრებება გაფანტული ერი ღვთისა, მის ქვეშ შეერთდებიან განცალკევებულნი ტომნი ებრაელებისა... და იშვას ქალწულისაგან იესო—ძე ღვთისა, ჩვენი მხსნელი და მაცხოვნებელი... და დათრგუნვილ იქმნას მტერი მისი...

**ოლოფერნე.** ჰოო! შენ მაგ იმედით ბრძანდებოდე! მანამ ის დაიბადება, შენ კი მოკვდები და! აბა, ჯალათო!..

**იუდითი.** (წინ წადგება) შეუნდე, ოლოფერნე! მოხუცებულია, სისხლ[illegible] შეუსვრია ამ ჯალათს. ამას ბავშობიდანვე თავისებური რწმენა ჰქონია, და ახლაც გვიანღაა; მაინც არ

ულალატებს, კიდეც რომ მოკლა. დეე წავიდეს. შენ ხომ, ეგ ვერას შეავნებს. რა შეუძლიან, ამ სუსტს, [illegible] მიხრწნილ მოხუცს?!.. დეე, წავიდეს!.. აგე მუხლ-მოდრეკილნი გევედრები...

ელიაქ. შევევედრე, მალე მომკალი, რომ შენ [illegible] შეხედავდე, შე საზიზღარო!

ოლოფერნე. ამას შევუნდო? ამას? არა, კარგ მეფეს არ შვენის, რომ კიდეც ილანძღება.

იუდითი. სცდება, ბატონო, არა სჯერა, რომ ღვთისაგან ვარ მოვლენილი. კიცხავს გევედრები, აპატიე. მაგ ძლიერს მკლავს სუსტის სისხლით ნუ შეასვრი. (დაიჩოქებს) წელან მიბრძანებდი — დედოფალი ხარო, აი დედოფალი გთხოვს. (ელერსიანად შესცქერის).

ოლოფერნე. (სიყვარულით გატაცებული) ჰო და დედოფალი ხარ! შენი სიყვარულისთვის მიჩუქებია მე ეს ბებერი. შენ მართალი სთქვი: მე სუსტის სისხლში ხელს არ უნდა ვისვრიდე!... წავიდეს, თავის სახლ-კარს მიხედოს. მაგრამ... იქნება შენგან მინიჭებული სიცოცხლეც არ ინდომოს? მაშინ კი სიკვდილი აღარ ასცდება. აი, ვალაის უბრძანე და, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ეგ... აქლა კი, როგორც გნებავს, იუდით! გნებავს, შინ გაისტუმრე, ვალაი გაიყვანს სამშვიდობოს; თუ არა და პირდაპირ საიქიოს უკარ ფაიე. (ვალაი თავს უკრავს და გადის). რა ეშმაკი ხარ, იუდით: შენ დედოფლობა უკვე დაიწყე და მე კი... მე მარტო ხვალ მეღირსება შენი სიყვარული.

იუდითი. ხვალ, ბატონო, ხვალ.

ოლოფერნე. რა გაეწყობა, ნახვამდის! (ჰკოცნის).

## სცენა VIII.

ელიაქ. (იუდითს თვალს არიდებს). უბრძანე მომკლან!

იუდითი. (მიუახლოვდება, ჩუმად, აგზნებული) შენი სიცოცხლე საჭიროა ქვეყნისთვის. [illegible] უბრძა-

ნუ, რომ ხვალ ქმნა მტრულ ჯარზე მზად იყოს და ნიშანს ელოდებოდეს.

ელიაქ. რას ამბობ, ივდით?!

ივდითი. ნიშანი არ დაგავიწყდეს. როცა ჩვენ ურჯულოთ ბანაკში მაღალ ხალაზე ოლოფერნეს მძარცველი თავი დაინახოთ, — ოლოფერნეს თავი — დაიძარით და ქარივით დაეფრინდით ასსირიელთ. მერწმუნე, რაკი ოლოფერნე აღარ ეყოლებათ, მშიშარა კურდღელივით გაიქცევიან.

ელიაქ. შენ გაგიჟდი, თუ გინდა მე გამაგიჟო?!

ივდითი. ნუთუ ამ სამკაულმა ისე დაგაბრმავა, რომ მთრთოლვარე კრავს ვეღარ ხედავ?! ისაია წინასწარმეტყველის კრავს? შენ არ დამლოცე — „გადმოხედე უფალო, მხევალსა შენსა იაილსაო“ მაშ რატომ არ გჯერა ჩემი?! რატომ არ იცი, რომ დღეს იმიტომ ვუალერსებ, რომ ხვალ უფრო ადვილად მოვკლა.

ელიაქ. ოოჰ, რა მძიმე ტვირთი მომაცალე, შვილო, რა სიხარული მოჰფინე ამ სევდიანს გულს! ოოჰ, რომ იცოდე, რა იმედი გამიღვიძე სასოწარკვეთილს! დიახ, აღსრულდა მეტყველება წინასწარმეტყველისა — ვაჟკაცის ხელით არ მოკვდება ასსირიელიო! შენზედ უთქვამს, შვილო, წინასწარმეტყველს ეგ წმინდა სიტყვა. შენ მაშინვე სცნობიხარ ყოვლად შემძლებელს. შენ უკვე ამორჩეული ჰყოლიხარ თავის წადილის აღსასრულებლად. შენ ხარ, შვილო, ფიქრი ღვთისა და მისი განგება და მე ცოდვილმა, მე უგუნურმა ლანძღვით მოგეხსენე! ნეტავ როგორ წყევლა გაგიბედე?! შემინდე, შვილო. (დაჩოქებას აპირებს).

ივდითი (შეაყენებს). ნეტავი ღმერთმა ამ განსაცდელს გადამარჩინოს...

ელიაქ. რისა გეშინიან, შვილო! იყავ ნება ღვთისა... თუ კი მისი განგება იქნება, რაც უნდა მოგვივიდეს, რაც უნდა შეურაცხყოფა მოგაყენონ, მაინც უწმინდესად დარჩები, რადგან უწმინდესია შენი მსხვერპლი სამშობლოს და ღვთისა წინაშე. ნუ გეშინიან! ღმერთი ძლიერია, ციდან

ჩამოვლენ ანგელოზები და ფრთებს გადაგაფარებენ რომ ისეთივე წმინდა გამოხვიდე მტრის ბანაკიდან, როგორც წმინდაა შენი წადილი.

**ივდით.** ეგ მანუგეშებს, თორემ...

**ელიაქ.** კურთხეულ იყოს სახელი ღვთისა...

**ივდით.** (შეაწყვეტინებს) არა! ხვალ, ხვალ დამლოცე! წადი და მზად იყავით! დრომდე ნურავის ეტყვი... ვაი, თუ...

**ელიაქ.** ნუ გეშინიან.

**ივდით.** ვალაი! ბანაკიდან გაიყვანე... (თავს დაუკრავს და გადიან). (თავისთვის) წადი და სულით დაცემულს ჩვენს ხალხს ფრთები შეასხი! აქ კი... მარტო ვარ, მზადა ვარ!

ფარდა

## მოქმედება მეოთხე

ოლოფერნეს კარავი, კუნჭულში სანათი ოდნავ ანათებს, გარედან მუსიკა მოისმის, სიმღერა და აქა-იქ მთვრალი ხმები.

**ელის.** მგონი დაითვრნენ ის ვაი ჩვენი ბრალი! მე კიდევ არა მიჭირს-რა, ვარ ჩემთვის მარტოდ-მარტო, მაგრამ ქალბატონი? მიბრძანა, აქ მომიცადე, მზად იყავიო, თითონ კი იქა ბრძანდება, ლხინში, ოლოფერნეს გვერდით უზის. ღმერთო! ღმერთო! მე რომ გარყვნილი ასსირიელების ამბავი ვიცი... რას დაინდობენ! (ყვირილი ისმის) დაითვრებიან და!.. აქ ლხინი, მხიარული სიმღერა და დროს გატარება და იქ კი, ჩვენში გლოვა-ტირილი. (ყვირილი) რა მოუვიდათ?! ერთმანეთიმც მოგიხოციათ, თქვენ ურჯულონო! აქეთ მორბიან... ვაიმე, ქალბატონი!.. ვიღაცა მოსდევს!..

### სცენა II.

ივდით. (გარედ) შესდექით! (შემოვარდება) ძლივს! აქ კი აღარა მიშავს-რა!

ელის. რა იყო?

ივდით. მიშველე, ადამიანო, გული მიმდის! რა სუსტი ყოფილ-ვარ... კიდევ კარგია ამ კარავში შემოვასწარ, თორემ... მაგრამ ვაი თუ აქ უარესი მომელოდეს...

ელის. დამშვიდდი, გული მოიბრუნე! აგრე ადვილად როდი უნდა შეშინდე! მაინც რა მოხდა?

ივდით. შენ მართალი ხარ, არ უნდა შემშინებოდა. ამტყდა, სადილად ჩვენთან უნდა იყოვო; გვერდით დამისვა. ოჰ, ელისაბედ! სულით-ხორცამდე გარყვნილი ხალხი, იქვე ვილაც გოგოები, უსირცხო, უნამუსო გოგოები, უწმაწური სიტყვა-პასუხი და ლაქლანდარობა, ზედ სიმღერა, მუსიკა, ღვინო, ერთმანეთის კილვა და დაცინვა... ისე დაითვრნენ, რომ გონება აღარავის შერჩა. ოლოფერნეს ზედ სუფრაზედ მიეძინა. დაძინებული რომ დაინახეს, ჯერ არშიყობა დამიწყეს, მომიახლოვდნენ... ერთმა ხელი წამომატანა და... კიდევ კარგი რომ მთვრალები იყვნენ, ფეხზედ ძლივს იდგნენ, ხელიდან გამოვუსხლტი და გამოვიქეცი. ისინიც გამომეკიდნენ და ამ კარავში რომ არ შემოვსულიყავ, უპატიურებას მომაყენებდნენ რასმე. აქ ვერ შემოვლენ, ვერ გაბედავენ. აქ შიში აღარა მაქვს, ეს კარავი ჩემი სამეფოა... აქ უნდა ველოდო ოლოფერნეს მოსვლას.

ელისაბედ. დამიჯერე, ქალბატონო, შენზედ მეტი მინახავს, შენზედ მეტი ვიცი... დამიჯერე, აქ უპატიურობის და სირცხვილის მეტს ვერასა ნახავ. რის იმედი გაქვს, ნეტა-ვი ჩიცოდე? ეს კარავი შენი სამეფო კი არა, შენი სამარე-და ისიც შენი შემარცხვენელი სამარე. სხვა რომ არც იყოს-რა, არზაელი ეცდება შენს დალუპვას. სულ აქ და-

დის, სულ გვითვალთვალებს, ეტყობა ორმოს გვითხრის და წინადვე სტკბება თავის გამარჯვებით. დამიჯერე, მანამ დრო გვაქვს, წასვლა სჯობიან.

ივდით. რა დროს წასვლაა?! რამდენი ხანია ამ შემთხვევას ვნატრობდი, და ახლა გავიქცე? განა ამიტომ ავიტანე ამდენი სირცხვილი, დამცირება და შეურაცყოფა, რომ მის ნაყოფით არ მესარგებლნა? კმარაა, ელისაბედ! ხმა, კრინტი! ახლაა ჩემი დრო, და მალე ნახავ... (შემკრთალი) ვიღაც მოდის, ელისაბედ! აგერ! ის არის! გაუღვიძებიათ!.. იქნება უკანასკნელად გაიღვიძა! აგერა მოჰყავთ!.. ძალიან მთვრალი იყო! ისე მოეშვა, ისე ეგდო უსულოსავით. ფარდა ასწიე, ელისაბედ, აქეთ მოდიან... ვაიმე, შენაც!

სცენა III.

ვალია. (შემოდის) თითქოს ეშმაკი შეეჩვია რამე, ფეხით, თითქმის ლამის მოსწყდა.

ივდით. რა მოხდა?

ვალია. ოლოფერნემ რომ შეიტყო, რაც მოხდა, ისეთი რისხვით აღენთო, სამინლად გაჯავრდა! ყველაფერი გადმოხეთქა, ხან ვის მივარდა, ხან ვის; ყველას იმას ეკითხებოდა, ვინ იყო, რა აწყენინეს; ყველას ლანძღავდა, თუმცა სახელებს არ უხსენებდა. შეიშლებოდა, ცეცხლივით აენთო, იძრო ხმალი და დაეწყო. ვინ შეიძლება გამხეცებულს? ჩვენ დავსაბრალდით, ფეხზე ძლივს-ღა დგას, ძლივს-ღა დადის. დაბარბაცდება. ახლაც გდია ისე... წამოდგომას ვერ მოასწრებს, შენს მეტს ვერავინ დაამშვიდებს... ეშინიათ?!

ივდით. (კანკალებს) მე?! რისთვის უნდა შემეშინდეს? რომ როგორ უნდა დავამშვიდო? (ოლოფერნეს ხმა) სადა არის, ნეტავ?

ვალია. გესმის? დაუძახა, ოლოფერნე ყვირის! აგერ მოდის.

ივდითი. მხედარს? (ხუკანს დაიწევს).
ჰადია. ივდით, შენი ღვთისგულისთვის... შენს მეტი მაგას ვერავინ შეაყენებს... რად იმალები? მოდი, მიშველე! (ივდითი გაშტერებული ოლოფერნესკენ მიდის).

## სცენა IV

ოლოფერნე. (გარეთ) ივდითი სად არის? ჯოჯოხეთშიაც ვერ დამემალება! რა იქნა? მილალატეთ განა, თქვე! სულ თავებს დაგაყრევინებთ, დამაცადეთ... ჯალათო! რა იქნა ჯალათი?! (შემოვარდება, ამალა, ჯარის უფროსნი. ელისაბედი წამოსასხამში გაეხვევა და მიეკუნჭება) სად არის?! ივდით! აქა ყოფილხარ! კარგია, აქ დამიხვდი! ეხლა ვნახოთ ბრძოლაში, აქ რომ არ ყოფილიყავი! ივდით! ჩემო ვარსკვლავო! შენ აქ იყავი, აქ მელოდი და მე ქალაქში დაგეძებდი! მე კი დავიწყებოდი: ამას რადგან ქალი აქვს... რა ლამაზი ხარ, ივდით! რა მშვენიერი ხარ! შენ ხომ ადამიანი არა ხარ... განა შეიძლება ადამიანის შვილი! მაგრამ ყველაფერი შეცვლილი იყოს?! რადა ჰკანკალებ, ივდით? რა იყო? იქნება... აა! იქნება გაწყენინეს რამე?! შეგაშინეს? თქვენ ეი!... ბედნება გაბედეთ და აწყენინეთ რამე თქვენის პატრონის მეუღლეს?! თქვენს დედოფალს?! ჩემი ძილით ისარგებლეთ, განა! აბა, მიპასუხეთ, ივდით და მითხარი, ვინ იყო ის თავზეხელაღებული, ის თავგასული-დასხმული, რომელმაც იმას ავი უკადრა, რამე მითხარი, ივდით! აქ არც თავადი, არც ჯარის უფროსი... სულ შენი ქურ-მოჰრილი ყმები არიან, სულ შენი მონები არიან... რომელი იყო? მითხარი! რას გაჩუმებულხარ? შენ ცხრამაგათ ყვენა ხარ?!... ვაწევ! სისხლი მწყურია! სისხლი და სიყვარული! მაშ აჯანყება მიპირებთ, რაღა! მაშ ასე?! სისხლი - მეთქი, სისხლი! ... შეეშინდა? ... ჰო-და რა!... (მეჯ... მეფე და ... ) შეეშინდა

და ჩემი მოკვლა გაგაძრახათ?! უგუნურნო? ნაბუქოდონოსორი მეფე იყო, სხვა ხომ არაფერი? მეკი... (ხარხარებს) ჩემი ბრძანება, ჩემი სურვილი — კანონია მთელი ქვეყნისთვის... მე რომ შევუბერო თქვენს მეფეს, აი აქედან რომ შევუბერო, ის იქ, ეფრატის პირას, წაიქცევა... დიაღ, წავაქცევ! გავსრისავ! გავანადგურებ თქვენს ძლიერს მეფეს! მუხლი მოიდრიკეთ, მონებო! მეფე... მე ვარ! გეყურებათ, მე ვარ თქვენი მეფე! მე! (ხმალს ამოიღებს. ყველანი დაიჩოქებენ).

**ივდით.** დამშვიდდი, გენაცვა!.. აქ მომეცი ხმალი.

**ოლოფერნე.** (ღიმილით) ინებე. ხედავ რამ სიმძიმეა... (ხელს არ უშვებს) ამას ჩემს მეტი ვერავინ ასწევს! ეს ხმალი კი არა, ჴლვაა! და ამით მე თვით ცას შევებრძოლები! შევებრძოლები და დავიმორჩილებ კიდეც! მოდი, ჩემო ერთგულო ხმალო! მოდი, ისევ მე და შენ! ძრწის და კანკალებს ჩვენი შიშით მთელი ქვეყანა! შენს ელვაზედ მზეც კი დაბნელდა შეშინებული! მე და შენ, ჩემო ერთგულო ხმალო! მე და შენ, რომ სხვა ამ ქვეყნად არავინ იყოს! არავინ იყოს, არავინ! თვით ნაბუქოდონოსორიც კი!.. ვინ სთქვა, მეფე ნაბუქ... ვინ მეფე? რის მეფე? სად არის მეფე?! ერთი დამანახვეთ... მე ველარა ვხედავ! როგორ დაბნელდა! ვიღაცა მოდის... გეყურებათ? ბრძოლის ხმა ისმის! ბრძოლა დაუწყვიათ! აბა ჩემი ცხენი! დაჰკათ! რა მოგივიდა, ხმალო, რამ დაგაჩლუნგა?! ნუ თუ მკლავი აღარ მიჭრის?! ნუ თუ ბედმა მიმტყუვნა?! გამიშვი, ივდით! ხელს ნუ მიჭერ! გამიშვი-მეთქი! ოჰ, რკინის ხელი გქონია. (ხმალი გავარდება) დედა-მიწა ბრუნავს. ნუ მახრჩობთ?! სისხლში ნუ მახრჩობთ! (ტახტზედ გადაესვენება).

**ივდით.** გული ხომ არ წაუვიდა?

**ბაგოა.** (და სხვანი ოლოფერნეს ეხვევიან) მურამ უშავს-რა, ნუ გეშინიან! — ხმალ-ა კი დამშვიდდება, დაიძინებს კიდეც.

**ივდით.** დაიძინებს? მაშ კარვის ლოგინში დააწვინეთ.

**ბაგოა.** ეხლავე. (ასწევენ და მიჰყავთ).

ივდით. ჩემმა ძუკუნმა! ... ცრემლიანად! ძილი შერ გაუკრთოთ! (თავისთვის, მინამ ოლომფერნეს აწვენენ) ძლივს არ შევაკვეცე თმა ძალოვანს სამსონს. ახლა კი ჩემია.

გალაი. სძინავს, ახლა აღარა ჰშავს-რა. ჩვენ გიახლებით...

ივდით. ძალიან კარგი. ყველანი წახვალთ?

გალაი. ყველანი... შენს გარდა, იედით. აქ იყავ (დაცინვით) და ყური უგდე, არ გაიღვიძოს, არ შესცივდეს... შენთვის ჩამიბარებია.

ივდით. გმადლობ.

გალაი. მე ვუბრძანებ, რომ აღარავინ შეგაწუხოს. თქვენ ეი, კარები დაკეტეთ!

ივდით. (მარცხენა კარზედ) ამას კი ნუ დაჰკეტავენ,—ჩემს კარავში ველარ გავალ.

გალაი. შენი ნებაა. განა შენ ჰოლოფერნეს არა ბრძანდები?

ივდით. ჰო და ეგ არ დაგავიწყდეს.

გალაი. ღამე მშვიდობისა.

სცენა V.

ივდით. (მარტო) შენ ხვალ გაიგებ, ვის დასცინოდი... მასხარადაც რომ ამიგდო! მაგრამ რადა მწყინს, ხვალ იქნება... ეს ოლომფერნეს სამარეა და აქედან იქნება ცოცხალი ვერც მე გავიდე. (მძინარეს მიუახლოვდება და ელისაბედს დაინახავს) ელისაბედ! არ გეყურება?

ელის. რა უნდა მეყურებოდეს, ეგ შენა და ეგ შენი ოლომფერნე...

ივდით. ნეტავი არ მეყურებოდეს! იქნება ესენი შენც ისე არა გძაგდეს, როგორც მე!

ელის. შენ ჩემსავით შიძულვილით არ შეგიძლიან; შენ რომ ჩემსავით გეშმობოდეს იმის კარამხანაში არა ყოფილხარ...

ივდით. ჰო და მეც მხოლოდ წამოგიყვანე, რომ გძულს და დამეხმარები.

ელის. მიბრძანე.

ივდით. წადი, ადა ილოცე, ივდითი შეავედრე ღმერთს! მე უნდა მოვემზადო, ერთი დიდი საქმე მაქვს...

ქალას. საქმე? რა საქმე?

ივდით. წადი, ილოცე! აქ არ შემოხვიდე, მანამ არ დაგიძახებ.

ქალას. ივდით!.. (ივდითი ხელით ანიშნებს — წადიო), გიახლებით, გიახლები. (გადის)

## სცენა VI

ივდით. მარტონი დავრჩით მე და ოლოფერნე... მარტონი?!... განა ღმერთი აქ არ არის?! მაშ მარტო არა ვყოფილვარ! რა სიჩუმეა, ნეტავი სძინავს? (მივა ფარდას ფრთხილად ახდის) როგორა ბნელა! ისე ქშინავს, თითქო ღრიალებსო! ერთი ვნახო... (სანათს აიღებს) სინათლეზედ რომ გაიღვიძოს! ვაი თუ ფრთხილი ძილი იცოდეს. (ყურს უგდებს) არა, უნდა ვნახო, თვალი უნდა შევაჩვიო! (შორიდან დაჰყურებს, ნელ-ნელა ეპარება) რა ღრმად ჩასძინებია! ღმერთო! თვალი უხელია! როგორ გაშტერებული მიყურებს. ოჰ, რა საშინელი რამ არის! (სანათს დასდგამს, ფარდას დაუშვებს). ასე მალე როგორ შევშინდი! ან არა და რად დავცქეროდი, რაღას ვსინჯავდი? უნდა მივარდნოდი და თვალდახუჭულს ისეთი დამეკრა... რომ ვერ მოვახერხო?.. ერთი დაკვრით რომ ვერა დავაკლო-რა; ერთიც ვნახოთ წამოხტეს დაჰ-ყვიროს, დასისხლიანებული... სიცოცხლეს ვინ ჩივის, როგორ შემარცხვენენ... დეე შემარცხვინონ! დეე ყველგან და ყოველთვის გარყვნილ-უნამუსო დედაკაცად მახსენებდნენ და თავს ლაფს მასხამდნენ. მერე რა? ჩემს ხალხს კი ამითი ეშველება რამე? დეე ჩემი სახელი ქარაფშუტა ქალის სახელად დარჩეს, მერე რა? მხსნელი მარტო ამას ჰქვიან. სიცოცხლეს ყველა გასწირავს, საქმე ის არის, ქალმა სამშობლოს თავის ღირსება შესწიროს, თავისი პატიოსნება ანაცვალოს. (ხმალს აიღებს).

ოლოფერნე (ითვალისწინებს) ჩემო ცხენო!.. ხმალი რა მიქენ?

ივდითი. გაიღვიძა! ღმერთო! გაქცევასაც კი ვერ მოვასწრებ მე უბედური... არა, არ იძვრის... იქნება ძილში ბოდავს. (ყურს უგდებს)

ოლოფერნე. ივდით!

ივდითი. ჩემი სახელი! ცუდ დროს მეძახი... მაგ შეურაცხყოფას კი არ შეგარჩენ. აა, მეძახოდი! აი მოვდივარ! (ხმალს ამოიღებს) რა სიმძიმეა, მართლა? ხელში ვერ დამიმაგრებია.. არა, მე ამას ვერ ვუხმარებ... სად შემიძლიან, ხელი მიკანკალებს. (ჩაფიქრდება) ღმერთო, ყოვლად შემძლებელო და სამართლიანო! ხომ ხედავ, უშენოდ არა შემიძლიან-რა, დამეხმარე, ღმერთო ძლიერო! დაიხსენ, დაიხსენ განსაცდელისგან შენი ერთგული ერი. დავითის შურდულს შენ უმიზნებდი, ღმერთო, გოლიათს. მეც შემეწიე, რკინის სიმაგრე მომეცი მკლავში... ნუ გაამარჯვებ შენს ხალხზედ შენს მტერს. ნუ გაიმეტებ მრავალ-ტანჯულს, ნუ გასწირავ... შემეწიე, ღმერთო ძლიერო, და დაამტკიცე ერთხელ კიდევ, რომ ძლიერება რწმენით არის და ღმერთით! (ხმალს აიწევს). დიახ, რწმენით არის ძლიერება... და მე ძლიერი ვარ! ძლიერი ვარ, რადგან თვით ღვთის განგებას და მის ნებას ვასრულებ. (დაიჩოქებს და ლოცულობს).

## გამოსვლა VII.

არფაქსადი (ძარცვნივ, საწოლთან ახლო გამოჩნდება) უკანასკნელადა ვარ ამ კარავში. ხვალ ამ დროს ჩემი ხსენებაც აღარსად იქნება. როგორ მალე დავივიწყდი... მაგრამ იქნება ჰგონია, გამარჯვებას უბრძოლველად დავუტოვებ და გავეცლები, მე წავიდე, მე მოვკვდე და ივდითი კი აქ პარპაშებდეს? არა, ჯერ ივდითი მოკვდება... (წინ წამოდგება) აქა ყოფილა! ლოცულობს! კარგ დროს მოვასწარ! (ეპარება).

ივდით. (წამოდგება) ღმერთო, შენ მიშველე!.. ვინ ხარ?

არზაქელ. მე.

ივდით. შენა ხარ, მონავ?

არზ. მონაო? სცდები. მართალია, გუშინ ძალდატანებით ფეხზედ გემთხვიე, მაგრამ ეგ გუშინ იყო და დღეს კი... დღეს მე დედოფალი ვარ და ჩემი სკიპტრაჲც ხანჯალია.. მე შენი სისხლი მწყუროდა და გავძღები კიდეც! გუშინ რომ ცრემლი მადინე, შენი სისხლი მინდა მის სამაგიეროდ!

ივდით. მომშორდი, უგუნურო!.. საშინელია ეს ღამე. და...

არზ. საშინელი შენთვის არის!..

ივდით. უბედურო! რატომ არა ხედავ... ღვთის განგება უნდა ავასრულო მე ამაღამ.

არზ. სადაც ორი დედა-კაცია და სიყვარული, იქ ღვთის განგებას ხელი არა აქვს. (მივარდება).

ივდით. შედექი, შე ურცხვო! (ხმალს დაუქნევს).

არზ. (განცვიფრებული) შენ... ეგ ხმალი...

ივდით. ეს ხმალი შენ გელოდა. იქნება თვით ღმერთმა გამოგზავნა, რომ შენგან აღელვებულს და აღშფოთებულს მეტი შემძლებინოს. შენ დაგინახე და ერთი ათასად მეტად ვიგრძენი ჩემი ქვეყნის და პირად ჩემი შერცხვენა... შენ რას მაყვედრი? იმ საწოლს?! შენი იყოს?! შენთვის დამილოცნია! (საწოლში შევარდება).

არზაქელ. რას შვრება? რა სწადიან?! (ოლომფრეს ღრიალი. ივდითი გასისხლიანებული ხმლით და ტანისამოსით, გაყვითლებული, სახე შეშლილი გამოვა) ეგ რა ჰქენი?!

ივდით. რა ვქენი? მე ჩემს ქვეყანას ვუღალატე, ჩემს ხალხს, ჩემს სარწმუნოებას. არა გჯერა? შედი და დარწმუნდები. შედი და ნახე—რა მწარე ყოფილა ივდითის კოცნა.

არზაქელ. (თრთოლდება) შენ მოჰკალ... (შეშინებული სდგას, მერე უნდა მივარდეს. მაგრამ ივდითი ხმალს ამართავს და არზაქელი გაშტერებული, გაქვავებულივით დარჩება. ცოტა ხანს უკან მუხლ-მოკვეთილი დაეცემა).

ივდით. მადლობა ღმერთს! კარგია, ამის მოკვლა ამაცდინა. ელისაბედ! ელისაბედ!

## სცენა VIII.

ელის. (გარედანვე) გიახლები.

იუდით. აიქ შედი და ოლოფერნეს თავი... ხურჯინში კარგად შეახვიე.

ელის. რას მიბრძანებ?!

იუდით. იქნება გეშინიან?!

ელის. მე?? სულაც არა! მე შევკონწავ ყურმაჭამ ამომატყუა-მეტიჩს. (საწოლში შევარდება).

იუდით. კარგად შეახვიე... ჩქარა!

ელის. აბა წავიდეთ! (წამოსასხამს ასხამს იუდითს). მერე როგორ? დარაჯები?

იუდით. მე დედოფალი ვარ, მიჰდივარ და ჩემი მეფეც თანა მყავს. წავიდეთ!

ფარდა.

# მოქმედება მეხუთე

პირველი მოქმედების დეკორაცია.

## სცენა I

გოთონიელი, რაფინ, ზარია, ხალხი ელიაკიმის გარშემო დახოქილები.

ელიაკიმი. აღსდექით ძმანო, აგერ თენდება; მთელი ღამე ლოცვითა და ვედრებით გავატარეთ. თუ ღმერთმა გვისმინა, დღეს აგვისრულდება დიდი ხნის ნატვრა. ხომ იცით, ძმანო, როგორ აოხრა ურჯულომ ჩვენი სამშობლო, ხომ გახსოვთ რამდენი უპატიურება და შეურაცყოფა მოაყენა ჩვენს ქვეყანას; ჩვენს სალოცავებს, ჩვენს წინაპართა სამარეს; ხომ ხედავთ, ძმანო, როგორ დაგვამცირეს, რო-

გორ შეგვარცხვინეს, ვაჟკაცს ქუდი და ქალს მანდილი მოხადეს. შეუგინებელი აღარა შეგვარჩინეს-რა, და აქამდინ თავისუფალთ კისერზედ მონობის უღელი დაგვადეს. გაიხსენეთ, ძმანო, ჩვენი დიდებული წარსული და... თქვენი მოვალეობა აასრულეთ. ფრთები შეისხით და ისე დაეძგერეთ მტერს. თუ საჭიროა დაიხოცენით ღვთისა და სამშობლოსათვის.

გოთონიელი. ნეტავი აგრე, მაგრამ რას იზამ, რომ გვიცრუვდება ეგ ტკბილი იმედი. ივდითი მეხუთე დილაზედ უნდა დაბრუნებულიყო და დღეს კი მეექვსე თენდება. თითონვე სთქვა, თუ ხუთ დღეს არ მოვედი, მკვდარი ვარ და მიგლოვეთო. არა, მკვდარი კი არა, მაგრამ... მკვდარი ყოფილიყოს ის ერჩივნა... მეც კი სულელი ვარ, რომ დავუჯერე და გულის თრთოლით ველოდებოდი მის გამარჯვებას.

რაფი. მართლაცა და რაღას ველით? გვიბრძანე, მზად იყავითო და საომრად გამზადებული ჯარი დგას და ელის შენს ბრძანებას. ტყუილად ელის! ტყუილად კი არ ამბობს იოზია, ამოდენა ლოდინში მე სული წამივიდაო. სულთან ვაჟკაცობაც არ წასულიყოს და! ხუმრობა კი არ არის, ეს ხუთი დღეა შეიარაღებული დგას კაცი და მშიერ-მწყურვალი ამ სიცხეში ბრძოლას ელის. მე წინადვე ვთქვი, იარაღით ვეღარას გავხდებით-მეთქი, მაგრამ ვინ იყო გამგონი? თუ არა და, თუ ბრძოლა გნებავთ, რაღას უყურებთ! გადით, შეებით და თავი შეაკალით. მოვკვდეთ და მოვრჩეთ ამ ტანჯვას, ამ ნელ-ნელა სიკვდილს ის არ გვირჩევნია?! მაგრამ საქმეც ის არის, რომ სიკვდილისა გვეშინიან და ბრძოლას ვერიდებით. ჩვენ შინა ვზივართ და მტერთან საბრძოლველად ქალსა ვგზავნით! ქალის სილამაზისთვის მიგვინდვია ჩვენი ბედ-იღბალი! დიაღ, ისე წავხდით, ხალხნო, რომ თავს მანდილი წავიხურეთ და ვაჟკაცურში შებრძოლების მაგივრად ქალი გავგზავნეთ — მტერთან მიდი და შენი სილამაზით მოხიბლეო.

**ელიაკიმ.** რად ცდილობ, შვილო, ღვთის განგება შეიგნო? კურთხეულ იყოს მისი სახელი,—მას იარაღი არ ეჭირვება. მატლს რომ მიანდოს, უბრალო მატლს, თავის განგების აღსრულება, მატლს ლომის ოდენ ძალას ჩაუდგამს. ნუ ხარ ღვთის ურჩი, მერწმუნე, რაც ღმერთსა სურს, დღეს ის მოხდება.

**აზარია.** ნება ღვთისა აღსრულდეს.

**რაფი.** თქვენ სულ ღმერთს გაიძახით და საქმით კი აუპატიურებთ მის სახელს და დიდებას.

**ელიაკ.** რაო? რაო?

**რაფი.** ჰო და, კიდევ გეტყვი,—აუპატიურებთ მის სახელს და დიდებას! რად გგონია შენ, რომ ღმერთი მოგვიწონებს და დაგვიმადლებს ამგვარ მზაკვრობას? რადა გგონია, რომ ასე ღალატით მტრის დამარცხებას ღმერთი არ გვიწყენს? რადა გგონია, რომ ამ სამარცხვინო საქმეში ღმერთი ჩვენკენ იქნება? თუ არა და, იცოდე, ივდით—ქალია, ევას სისხლი და ხორცი, და თუ ევა გველმა შეაცდინა, ივდითს ოლომფერნე უფრო ადვილად შეაცდენს. ჩვენ აქ ივდითისათვის ღმერთს ვევედრებით და ის კი იქნება ოლომფერნეს გვერდით უზის და შეექცევა!

**გოთონ.** გაჩუმდი, რაფ, გაჩუმდი, თორემ, ღმერთს გეფიცები... ხომ ხედავ, რა ყოფაში ვარ? ხომ იცი, რა ძალიან მიყვარს ივდითი? რა ვქნა, რომ მას არ ვუნდივარ! მე მით უფრო ძალიან მიყვარს. აქამდის გულის დასამშვიდებლად ის მაინც მქონდა, რომ მეტოქედ ერთი ღმერთი მყავდა და სხვა არავინ. ახლა კი... ღმერთიც დაივიწყა და მეც... ივდითი მტრის ბანაკში?! იცი, რა ცეცხლი წაუკიდა ჩემს გულს ივენეულობამ! რომელი ერთი ვიტირო, ჩემი გაცრუებული იმედი, ივდითის პატიოსანი სახელი, თუ ის ერი, რომლის სიცოცხლე ქალის კეკლუცობაზედ ლა არის დამყარებული?

**ელიაკ.** ჩუმად იყავით! მე გიბრძანებთ, მტრის მოწიწებით ახსენეთ სახელი ღვთის მიერ რჩეულისა! რატომ არ იცით, ზნე-

წამხედარი ლიკა, როცა თქვენი სიტყვა ჩვენშივე გაუცხვენეთ. და აქა რვლიდეს თქვენ ეხლა ასწავლი უნდა ნახოთ რამე, თორემ აღარც ქვისას ღაღადებთ და აღარც ღვთისას. წუხელის ვნახე...

რატი. მაგვარი სიზმრებით გულს შეებმოაწყუებენ თორემ. კმარა! ღამის სიშმილით ამოწყდეს ხალხი, სცხეს და წყურვილს ველარ უძლებენ, და შენ კი გინდა, რომ სიზმრებით მოგვიბრუნო გული. აღარ არის, ე გული! აგერ გათენდა, ცაზედ ერთი ვარსკვლავსაც ველარ დაინახავ, საცაა მზე ამოვა და თქვენი იმედი და მანუგეშებელი ივლით ციდან სადარის, კმარა, რაც შენს სიტყვაზედა ვართ, კმარა! რომ აღარ შეგვიძლიან, აჩრდილია და დარჩენილა ჩვენი! დაუნდობლად, თორემ...

ყველანი. არ გაახსენოთ! არ გაახსენოთ, თორემ... (საყვირის ხმა).

იგითონ. გესმით?

ხალხი. რა მოხდა?

რატი. რა უნდა მომხდარიყო?! მტერი თავს დაგვესხა და გარშემორტყმული მალვით ჰგვიხამს, რომ ამოგვხოცოს მოღენა ტანჯვას. (საყვირის ხმა ძლიერდება).

აზარია. ეგ ჩვენი ჯარის საყვირია!

დარეჯანი. ჯარი დაიძრა მიდის.

აზარია. ნეტავ რა მოხდა?

რაჟდენ წავიდე ვნახო, ჯარის ხმები ისმის, ჩვენი ღვთის ძი ღონე მოგვმართოს! ვედრით!

ერთი. ივლით მიდის, ღამის გულში მომავალი!

რატი. ერთი შენ ახლო, გაგვირბა!

ქალი. ნუ თუ უხლოვდება გაჯერდა ?

აზარია. მივეგებნეთ ძმანო!

გუთონი. მოდის, რომელი მოეშურება გამარჯვებული ხიარულით!

აზარია. ხმალი უჭირავს.

ყველანი. მოდის, მოდის! (ხალხის ხმაურით გამარჯვებას).

## მოქმედება II.

იუდით. ირთლა და მეც თქვენთანა ვარ, ძმებო! გიხაროდეთ!
ეს ხმალი ოლოფერნესია და თავისივე ხმლით მოვკვეთე თავი ოლოფერნეს! ხალხზედ ავიღებ და ცაში ავმართავ, რომ ჩვენი ჯარისთვის იმედი მოვცე — გამარჯვებისა და თავისუფლებისა. მტერი კი გარბის, გზა დაფანტული ცხვარივით გარბის! დაინახეს თუ არა — ოლოფერნე აღარა გვყავსო, შეშინდნენ და ზურგი გვიბრუნეს.

გოთონიელ. შენ მოკალი შენა?!

ოზია. ოლოფერნე მოკალი?! ღმერთმა ნუ დამაჯერებინოს!

ხაბრის. ო, წმინდათა შორის უწმინდესო!... დაიჩოქეთ, ძმანო, და ფეხზედ ემთხვიეთ ქვრივს. სიცოცხლე კი არა — რა არის სიცოცხლე?! — ძველთაგან ნაანდერძევი პატიოსანი სახელი დაგვიხსნა ქვრივმა და საშინელი თავისუფლება! (ჩოქდება)

იუდით. (შეაყენებს) აბა რას შვრებით?! ჩემ წინ ნუ იხრებით, ძმანო. ნურავინ იქებთ ქვრივის ქებას: ქვრივის ხმალი კი გაუ-რისხებია: ღმერთმა გვიშველა! ღმერთმა მოგვხედა! მე ჩემი ჯილდო უკვე მივიღე: ხომ იცით, როგორ შეწუხებული იყო ჩვენი ხალხი უიმედოდ, გულგატეხილი! როგორ ... მისცემოდა ... ჩვენ ... ჰო ... გენახათ, როგორ ... ჩვენი ჯარი ... როგორ ... იე... უნდა გენახათ, ... რა ... ჩვენებს, ... ჯილდო უკვე მი... ჩვენთვის ... გაიმარჯვა. აქვე თავის ხალხში, რომელსაც ... დიდების სიყვარულით ... ღმერთმა გვიშველა, ღმერთმა მოგვხედა; მადლობა ღმერთს შესწირეთ, მას ... და უკვდავებდეთ.

ელიაკიმ. შენ რომ შეგვშველით, შვილო, ჩვენ შენ ... ღმერთის ... აქებთ

**რაფი.** პირველი მე მოვიყრი მუხლს შენს წინაშე, ოო, დიდებულო, სამშობლოსათვის სამაგალითო მამულისშვილო! მუხლს მოვიყრი შენს წინაშე და ვაღიარებ—ჭეშმარიტი ღმერთი, ღმერთი ძლიერი და პატიოსანი შენი ღმერთია.

**ივდით.** ამაზედ მეტი ჯილდო შეუძლებელია. ქვეყანას მოსისხლე მტერი ავაშორე, იმედ-მიხდილი ხალხი გავამხნევე და ბოლოს თვით კერპთ-თაყვანის მცემელი უძლები შვილი დავუბრუნე უფალს. მე არც კი მეგონა, რომ ამდენი შემეძლო. მაგრამ ჯერ ჩემი წამოსვლა გიამბოთ. ის იყო უკანასკნელ დარაჯს გამოვცდით, რომ უკან მტრის ბანაკში საშინელი ყვირილი ატყდა. მანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, ჩვენ ოლომფერნეს თავი მაღლა ავმართეთ, ჯარს დავანახვეთ და სწორედ ფრთები შევასხით. ისე გაიქცნენ ურჯულონი, იარაღი არ უხმარიათ. მტრის ბანაკი ჩვენ დაგვრჩა... ოზია მისდევს და ხოცავს... (გოთონიელს დაინახავს) აქა ბრძანდები! ამ სისხლით მე კი არა, შენ უნდა ყოფილიყავ შესვრილი.

**გოთონ.** თუ მაგ სისხლის მეტი არა გცხია-რა...

**ივდით.** რა სთქვი? მარტო ღმერთმა იცის, რაც მცხია; და მე იმის მეტი მსაჯული არ მინდა. სამწუხაროა, რომ სულმდაბალი და გარყვნილი, ყველგან, თვით ღვთის განგებაშიაც კი გარყვნილებას ხედავს; სამწუხაროა, რომ ჩემი უსამზღვრო სიხარული ამგვარ იჭვებით მომიწამლე და მომიშხამე, თორემ, აკი ვამბობ, მე ღვთის მეტი მსაჯული არავინ მინდა. იმისი არ იყოს, ცილს რომ მწამებდნენ—წყალი მოგვიწამლაო,—ეხლა უარესსა მწამებენ... მერე ვინ?! ვაჟკაცი, რომელმაც თავის შეგინებულ, სულთმობრძავ სამშობლოსათვის ცრემლის მეტი ვერა გაიმეტარა. ვაჟკაცი, რომელმაც ქვეყნის განთავისუფლება ქალს მიანდო... ჰო და, ცოდვ, სიცოცხლე კი არა, მე ჩემს ქვეყანას მეტი შევწირე: მას ვანაცვალე ჩემი სახელი და პატიოსნება. შენ ვერ გაიგებ... წმინდა, უმანკო გული უნდა გქონდეს, რომ დამიჯერო, მაგრამ მაინც გეტყვი: მე

რომ მეცხრე დამე, თქვენს წინაშე, ამ ხმალით მოვიკლავდი თავს.

ჰაბრიქე. უადგილოა ეგ საყვედური. ჭეშმარიტად, უწმინდური გულისა უნდა იყოს კაცი, რომ...

ქარმისი. შევცდით, ვნანობთ. შევცდით, რომ ასეთი ფიქრით, სიტყვით გაგვებედა. ვნანობთ და გევედრები, მაპატიე! მაპატიეთ, ქალბატონო! შენ სულგრძელი ხარ, ივდით, დიდებული და ძლიერი, თავს ნუ გვიხდი. შენ, შენი საქმით, შენი მსხვერპლით, ციური ქმნილება გვევხარ. შენამდე ვერც კი მიაღწევდა ჩემი უგუნური სიტყვა. შემინდე, ივდით, დამით მასწავლე ღვთისა და სამშობლოს სიყვარული (დაიჩოქებს).

ივდითი. ღმერთმა შეგინდოს (იოზიას) ავრე მალე? მტერი?!

## სცენა III

იოზია. დავბრუნდი, რომ სასიხარულო ამბავი მომეტანა და მესიამოვნებინეთ. გარბის ურჯული, სამარცხვინოდ გარბის, სულ ცხვარივით მიერეკება მას ჩვენი ჯარი. ასე გასინჯეთ, შემეცოდნენ, ღვთის წინაშე, და ბრძანება გავეცი, რომ გაქცეული არავინ მოკლან. ჯარს კარში მიუძღვის. ვერ წარმოიდგენთ, რა განძი და რა იარაღი დაგვიტოვა მტერმა. ეს გამარჯვება შენია, ივდით, მარტო შენი. ბრძოლა შენ ასტეხე და, ღვთით, გაიმარჯვე კიდეც.

ელიაქიმი. გმადლობთ, ივდით! ქვეყნის მაგივრად მე გიხდი მადლობას.

რაფი. გაუმარჯოს ივდითს!

ხალხი. გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

აზარია. გაუმარჯოს ქვეყნის განმათავისუფლებელს!

ივდითი. და მის გამამხნევებელს. კურთხეულ იყოს მისი სახელი, (დაიჩოქებს ელიაქიმის წინაშე, ხმალს მიაწვდის). აი მამაო, სიონისათვის შემომიწირავს ეს საშინელი ხმალი. დეე, იქ იყოს წმინდად დაცული. შეიძლება კიდევ გაუჭირდეს ჩვენს ქვე-

ყანას ლხინ მხმურის შვილნი მოწოლის წინ სძლიერ ცრემლით მი-
დიოდნენ წმინდა ტაძარში. იქნება მაშინ ეს ხმალიც ძვე-
ლიერები, რავდენი წირული მამაცობის მოაგონებს მათ და
სამშობლოსადმი წმინდა მოვალეობას დაჰკრავს, იყოს ჩემდა
სახსოვრად, რომ დიდხან პატარამდე ყველამ აკურთხოს ჩემი
სახელი. ყველამ იცოდეს, რამდენჯერ ქვეყანა, რომელიც
ღმერთმა სამშობლოდ მოგვანიჭა და რა მოზელის შორი-
დან მოსულს უბედურს, თავხედს თუ გაბედა და ამ სა-
წუნჯის უცხოელის მოიწადინეს ყველას იგინებს მაშინ მა-
მული მეტად დაგვითქმით ღმერთი მოუმართავს ხელს, რადგან
ერთის ღმერთი და ერთი — სამშობლო და ერთგული ერთია.
ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ძმანო, და თქვენ ალოცვ გინ-
დიერთ, და ჩემი გზავნითავე. მშვიდობით იყავით. (წამოს-
ხამში გაეხვევა. მდაბლად თავს დაუკრავს.) ნუ, ნურავინ მომ-
დევთ! (მიდის, თან ელისაბედი მისდევს).

ფ ა რ დ ა.

*
* *

მინდა ჩემს ნაბატონარს
ცოტა რამ გავუზიარო:
ბატონო, ეგრე უსაქმოდ
როდემდის უნდა იარო?

«ის აღარა ხარ, რაც იყავ»,
გინდა გაიგო ასადა,
თუ რამე გქონდა, გაჰყიდე
ბზისა და ჩალის ფასადა.

დარჩი ფრთებ-ჩამოშვებული,
ხმლის და ხანჯლის ამარა,
მხრებზე ყოშ-გადაგდებული
დასტურხარ კამარ-კამარა.

შენს მამულ-დედულს ძვირფასსა
დღეს სულ სხვა ეპატრონება,
თუ შენ არას გრძნობ, შენს შვილებს
ელით ტანჯვა და წვალება.

და ვაი მაშინ შენს სათვალავს
და ძვლებს დანაცრებულსა,
რა რიგად მოგიხსენებენ
ოდესმე გალახებულსა!...

დრო ძვირადა ღირს, ნუ ჰკარგავ,
დაუხმე გონს და ჭკუასა,
თორემ შენც დაგანატრებენ
მშრალ ლუკმას, გამხმარ ყუასა...»

* * *

მინდა ჩემს ნაბატონარსა
კიდევ რამ გავუზიარო:
«ქეიფით ბაღჩა-ბაღებში
როდემდის გინდა იარო?

არ მოგეწყინა ღვინის ხმა,
გალექსებული ყიალი?
დუდუკი, დოლის დაფდაფი,
თარზე ხმა მაღლა ღრიალი?

ღამის გატეხა, ცეკვანი
სიბნელით მოცულს ალაგში,
ბულვარის ტკეპნა, მიქნარება
ზარმაცად დაბა-ქალაქში.

იქ ნუ ათენებ, ხალხს დღე
ქეიფში დაგიღამდება,
თორემ «ჩოთქს» გაჰკვრენ, გამოჰკვრეს
და ყველა ამოგშხამდება!...»

* * *

მინდა ჩემს ნაბატონარსა
სხვაც რამე გავუზიარო:
«ბატონო, მუქთა-ხორაზე
როდემდის გინდა იარო?

წავიდა ის დრო, როდესაც
ბატონი იყავ ძლიერი,
«სხვის» ოფლით იკვებებოდი,
«სხვა» კი რჩებოდა მშიერი.

განა არ ჰფიქრობ, სუტავო,
აქამდის შენი წონება,
რომ, რა ხანია მოისპო
ბატონ-ყმობა და მონება.

თუ რამ მაქვს, ყველა შენია,
მხოლოდ ძმობით და ნებითა;
უფლება არ გაქვს, წამართვა
რამე ძალ-დატანებითა!...

მო, ჩემთან, ოფლი დაღვარე,
ლუკმა შეჭამე შრომითა,
გულს ნუ რყვნი, ხორცს ნუ ალაღებ
მრქთალ მთელი დღე ჯდომითა.

შენც ნახე, რა არის შრომა
და ჯაფა ყოველ-დღიური,
საკუთარ შრომით ნაშოვნი
ლუკმა ტკბილი და ღვთიური!

ნუ, ნუ ამაყობ წარსულით,
თავს ნუღარ აძლევ ნებასა,
დრო არის, ფრთები შეაჭრა
გულ-მუცლის ფუფუნებასა:

ის დრო სხვა იყო, როდესაც
ქართველი იდიდებოდა:
მაშინ მტრის მოსაგერებლად
მხოლოდ ფარ-ხმალი დგებოდა.

დღეს კი სულ სხვაა ცხოვრება,
ითხოვს სხვა ძალს და ღონესა...
დრო ჩარხი არის, უფრო კი
ჰგავს გახურებულ თონესა:

თუ ბურთი ხორცზე შეიყვარე, მეც
მაშინ ნამცხვარიც შენია,
თუ არა, მოსწონთ წვართმენი
თუ რამე ჯილდოს ჩენია.

შიო მღვიმელი

## გლეხის ისტორია

### სამშობლო განსაცდელში.

1792

ნაწილი მეორე

ერკმან-შატრიანისა

### VII *)

ძნელი წარმოსადგენია, რა გახარებულნი იყვნენ რევოლიუციის მოწინააღმდეგენი, როდესაც გაიგეს, მარსის მინდორზედ ხალხი უხოციათო. იმათ სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. ჩვენი კლუბის თავმჯდომარე დიდად პატივცემული მოქალაქე რაფიელ მანკი ამ ამბავზედ ისე შეშინდა, რომ სწორედ სამგლოვიარო სიტყვა სთქვა; „მარატის, ფრერონის, დემულენის და იმათთანავე თავზედ ხელ აღებული მეგაზეთეების ბრალია, რომ ხალხის სისხლი დაიქცა... მაშ რას იზამდნენ, მეგაზეთეებს ყველანი ქვეყნის მოღალატედ გამოჰყავდათ; ლაფაიეტს, ვაშინგტონის მეგობარს, სამშობლოს მტრობა დასწამეს, და ბაილის, სიერთო კრების თავმჯდომარეს უარესი უყვეს; სულ იმას დააბრალეს, რაც მოხდა, ურცხვობას და სისულელეს უკიჟინებდნენ... ღმერთმა დასწყევლოს მეგაზეთეები! მიგ ყურში ჩაჩხუიან კაცს და აღარ მოასვენებენ, მანამ სულ არ გამოატენებენ და ცხვირს არ წააკვრევინებენ სადმეო“!

აი როგორ ახსნა ჩვენმა თავმჯდომარემ ხალხის ხოცვა, ჩვენი გლეხები უფრო მორწმუნე ქედდუნულნი და თავიანთი სიხა-

*) „მოამბე“, № IX, 1897 წ.

რულით ცხადად ამტკიცებდნენ, რომ აქ მეგაზეთეებისაგან კი არა, სულ სხვა მხრიდან მომდინარეობდა ყველაფერი.

იმავე დროს სოფლებში არჩევნები დაიწყო კანონმდებელი საერო კრების წევრების ასარჩევად. ხმოსან მამულისშვილთა სია გაკრული იყო სამამასახლისოს კარებზედ; ჩვენ კი, ვინც დადებულ ხარჯს—სამი მუშის ფასს—არ ვიხდიდით, ჩვენ უხმონი ვიყავით, როგორც 1789 წ. და არჩევნების უფლება არა გვქონდა. განა ჩვენ კი არას ვიხდიდით? ღვინოს, არაყს, ლუდს, თამბაქოს რომ ხარჯი ედო, განა იმ ხარჯს ჩვენ კი არ ვიხდიდით? მშიერები ხომ არ დავიხოცებოდით? მაგრამ ვინ იყო ჩვენი გამკითხავი? საცა სამართალია, ხმაც ჩვენ უნდა გვქონოდა და ყოველი უფლებაც, რადგან მუშაობითაც და ნამუშევარის ხარჯითაც ჩვენ უფრო მეტს სარგებლობას ვაძლევდით ჩვენს ქვეყანას, ვიდრე ის ძუნწები, რომელნიც არცა სჭამენ, არცა სვამენ და, აქაო და შეძლება აქვთო, ხმასა და მოქალაქოებრივ უფლებასაც იმათ აძლევენ.

ერთი სიტყვით დიდი უსამართლობა იყო საფრანგეთის შვილთა ასე განაწილება—ეს ხმოსანი და ეს უხმონიო! ნათლიაჩემიც კი შეძრწუნდა, ეს რომ გაიგო:

— რას სჩადიან ჩვენი დეპუტატები! ისე იქცევიან, თითქო საქმეს წახდენასა ცდილობენ! შევცდითო, იტყვიან! მერე ამოდენა პატრიოტებს რაღა პასუხს მისცემენ, რომ ყოველი უფლება მოაკლეს! თუ თანასწორობას გაიძახოდნენ, არჩევანშიაც თანასწორობა უნდა შემოეღოთ.

არჩევანები მაინც და მაინც მოხდა და სულ მდიდარი, შეძლებული კაცები აირჩიეს, რომელნიც დიდ ხარჯს იხდიდნენ ნაღდ ფულად. ყველაფერი ფულზედ იყო დამოკიდებული; სწავლა-განათლება, ჭკუა და პატიოსნება ფულს უკან ჩამორჩენოდნენ; ფული ყოფილიყო, თორემ პატიოსნებას ვინა კითხულობდა?

ცოტა ხანს უკან, ის იყო ყანები გაიჭრა, შოველისაგან ამბავი მივიღეთ: კონსტიტუცია გავათავეთ, მეფემ უკვე მიიღო. იგი და ბევრი დავრჩეთ კიდევ პარიზში, ბევრი, ერთი კვირით. და-

ნიშნულ დღეს დილა-ადრიანად ჩავედით მე და ნათლია ჩემი ფალსბურგში. დილიჟანსი რვა საათზედ მოვიდა. მივეგებენით, სიხარულით და სიყვარულით გადავკოცნეთ შოველი და მარგალიტა. მაგრამ თქვენ უკეთ წარმოიდგენთ, როგორ მიამებოდა მარგალიტას მოსვლა; მე არას ვიტყვი. ღმერთო, როგორ გაზრდილიყო? პატარა კი აღარ იყო! იმისთანა წარმოსადეგი, მშვენიერი რამ გამხდარიყო, იმისთანა კოხტა და მოხდენილი, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდათ. იგივე მარგალიტა იყო, შოველის მარგალიტა, მაგრამ ისე გამოცვლილიყო, რომ დილიჟანსიდან რომ გადმოხტა და შემომძახა: მიხოო! ვერც კი ვბედავდი ჩემი ტლანქი ხელები მომეხვია და გულში ჩამეკრა. შოველი კი სრულიადაც არ გამოცვლილიყო, იტყოდით, ალზასში ან ლორენში ყოფილა, წიგნები გაუყიდნია და ახლა შინ მოსულაო. ძალიან მხიარულად იყო და სულ იცინოდა:

— დავბრუნდით, ჩემო ივანე, დავბრუნდით! საქმეც კარგად არის, ნუ გეშინიანთ. ძალიან კმაყოფილი ვარ შენი, მიხო: შენი წერილები ძალიან მასიამოვნებდნენ ხოლმე.

განა რომ გამეხარდებოდა იმათი ნახვა? მე ის მიკვირს, რატომ არ გავგიჟდი სიხარულით! წამოვიკიდე მარგალიტას მაფრაშა და გავწიეთ ჩვენი სოფლისკენ; წინ უფროსები, უკან ჩვენ; მე და მარგალიტა.

მაფრაშა ნათლია-ჩემის დარბაზში გამახსნევინეს, რადგან მარგალიტას პარიზიდან საჩუქრები მოეტანა და უნდოდა, მაშინვე გაეხარებინა ყველანი. ნათლია-ჯალაბისთვის ერთი კარგი თავშალი, ნიკოლისთვის საწემსე და ფოლადის ნემსები; ჩვენს სოფელში პირველად ვხედავდით მაშინ ფოლადის ნემსებს, მანამდე სულ ხის ნემსსა ვხმარობდით; მიხოსთვის ერთი კარგი უბის საათი, რომელიც ეხლაც შენახული მაქვს და, თუმცა თითქმის არაფერი ღირს, ქვეყნის სიმდიდრეს მირჩევნია; აგერ აქა მაქვს ზანდუკში... დაძველებულია, მოშლილი, თავის დროზედაც ბევრს არას მისცემდა მარგალიტა... ან რად მინდოდა, ძვირფასი ნივთი რომ მოეტანა რამე? მარგალიტამ კარგად იცოდა, რომ იმისგან მოცემული, რაც უნდა ყოფილიყო, მე ძვირფას

განძალ მეჩვენება... ჰეი დედა, რომ მოშორდი და წამხდარი ჩემი ქვეყანა საათი და კარგი კაცი უნდა იყოს, რომ მე თავის მამისთვის; სისხლს შევანთხევ სისხლს! ... რა ... სატრფიალს პირველი საჩუქარი? მარგალიტი ... წლისა იყო; მე ოცდა ერთისა... ... გვიყვარდა სხვა რამე მოგვხსენოთ?

მეგობრო ... ამ ხალხმა როცა შევიტყვე ... ჩვენს კლუბში ... დაწერილებით ... იყო, რადგან მთელი ქვეყანა ... ნათლია-ჩემი ... 

... ძალიან, შოველ! შენგან არ მოელის? რა არის, რომ ... არ ... ? ... ჩვეულებით ... ბით?

მაგრამ შოველი არ დაეთანხმა ... მინდა ... ჩემი მონდობილობა ... აღასრულე. სულ ... ჩვენს კლუბში ... ვა ალარ ... ძალიან ბევრნი ... ... შოველი ... რომ ... 

„ბატონებო, თქვენ დამავალეთ კონსტიტუციის შედგენა და მე ძალიან მიხარიან, რომ შემიძლიან გახაროთ, კონსტიტუცია შედგენილია და ... მიიღოთ იგი და ... ჩვენი მმართველობა ეხლა ჩვენი კონსტიტუცია იქნება; ეს არის პირველი კანონი ჩვენი ქვეყნისა. მე ყოველი ღონისძიება ვიხმარე, რომ კონსტიტუცია კარგი ყოფილიყო, რაც კი შემეძლო თქვენს ინტერესებს ვიცავდი და ... მინდა მოგახსენოთ, რომ მმართველობის ... ჩემი მოვალეობა ... მე ერთ წამსაც არსად დავიწყებია, რომ პასუხის მგებელი ვარ თქვენს წინაშე, რომ თქვენ მე საქმე დამავალეთ და მე იგი ... დავასრულე.

... თუ პასუხისმგებლობა არ იქნება, არც რამე ... ვინც თავის საქმეებს ... უფლება აქვს თავის საქმეს ვითხ-

რომ გამოგვკითხოს, მაშინ მიხვდა თქვენი საქმის ვითარება მოგახსენოთ. მეფე კმაყოფილნი დამრჩით, თქვენს ერთგულებას არ მომაკლებთ; თუ ნახავთ, რომ მე თქვენ მომიტყუებიხართ, ზოგი თქვენგანი [illegible] დამსაჯეთ."

რამდენმამე კაცმა ჩვენს დეპუტატს გაუმარჯოს! შემწყნარეს გაუმარჯოს! მაგრამ მთავრობის ერთგულობა არავისი მეიწონა, რომ სიტყვა შეაწყვეტინეს და ხელით განიშნეს გაჩუმდი [illegible] გამოვარდა, განაგრძო: [illegible]

— [illegible] დაუფიქრებელ ალტაცებას, რომელიც ასე [illegible] ფეხებს მტერსა და მოყვარეს [illegible] თქვენ რომ დაუფიქრებლივ ყველაფერს [illegible] მე [illegible] ალარ ვინდომებ სად წავიყვანო მე [illegible] კარგად გვემსახურება და [illegible]

და იმის მაგივრად, რომ ეს გონიერი სიტყვა შეეგნოთ, — შიშველსა გაუმარჯოს! დაისაშინელი ტაშის [illegible] ელდა [illegible] დამშვიდებოდნენ [illegible] ახლა კი კმაყოფილნი უნდა ბრძანდებოდეთ: თქვენი ბატონები, [illegible] ჩემი [illegible] სამსახური, რომ დაწვრილებით გვიამბოთ ყველაფერი [illegible] მომიწონოთ. ჩვენ [illegible] მეტყვით"?

და განაგრძო:

— რომ თქვენ გამოგვეთხოვეთ 13 აპრილს 1789 წ. [illegible] ნაწილად [illegible] დიდებულნი [illegible] ხალხი, ანუ მესამე წოდება, დიდებულთა და სასულიერო წოდებას [illegible] ყველაფერი, [illegible] ყველაფერი [illegible] ჩვენ [illegible] დიდებულნი, ჩვენ [illegible] შრომა, [illegible] უბედურება [illegible] თქვენგანი [illegible] ვერ ასწორდა,

ერა გვქონდა და სიმშილითა ვკვდებოდით. იმოდენა ხარჯს ზედ კიდევ გვალვა და სიმშილი ერთოდა და, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ქვეყანა ილუპებოდა.

„აბა ვნახოთ, რა შესძინა საერო კრებამ ქვეყანას იმოდენი უბედურების მაგივრად? ვნახოთ, რას უნდა მოველოდეთ კონსტიტუციისაგან და რა დაგვრჩა, ან რა მიზეზით დაგვრჩა, შეუცვლელი.

„ამ ოც და რვა თვის განმავლობაში ოთხიათას-ხუთასამდე განაჩენი დავადგინეთ და, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნება დაწვრილებით, თავიდან ბოლომდე, გადმოგცეთ ყველაფერი; მაგრამ უმთავრესი კი ყველამ უნდა იცოდეს და მეც ვეცდები შეძლების დაგვარად მოგახსენოთ ის, რაც რევოლიუციამ შეგვძინა. უპირველეს ყოვლისა ის მინდა გახაროთ, რომ საფრანგეთში სხვა-და-სხვა წოდება გაუქმებულია; ეს გახლავთ პირველი მუხლი კონსტიტუციისა: „ადამიანი თავისუფლად იბადება და თავისუფლად და სხვათა თანასწორად რჩება სიკვდილამდე. საერო კრებამ, რა განიძრახა საფრანგეთის კონსტიტუციის დამყარება ადამიანის უფლებათა ზედა, გააუქმა ყოველი უთანასწორობა კაცთა შორის. დღეიდან აღარ არსებობენ აღარც დიდებულნი, აღარც მემკვიდრეობითი უპირატესობანი, აღარც ბატონ-ყმობა, აღარც რაიმე წოდება, აღარც რაიმე უპირატესობა მოხელე პირთა“. დღეიდან აღარ არსებობს აღარც ყიდვითი და აღარც მემკვიდრეობითი შეძენა რაიმე მოხელეობისა. კონსტიტუციისამებრ აკრძალულია ბერად ან მონოზნად შედგომა, რადგან ბერობა ეწინააღმდეგება ბუნებრივ კანონებს ადამიანის სიცოცხლისას: კონსტიტუციის ძალით ყოველ ფრანგს ეძლევა უფლება სახელმწიფო და საერო სამსახურში ალაგი რამ დაიჭიროს, ოღონდ ნიჭი შესწევდეს და შრომა უყვარდეს. ახალი კანონისამებრ ყოველი სახელმწიფო ხარჯი და გარდასახადი განაწილებული უნდა იყოს განურჩევლად ყველა ფრანგთა შორის მათ შეძლებისა დაგვარად, და ერთი და იგივე დანაშაული ერთი და იმავე სასჯელით იქნება დასჯილი მიუხედავად დამნაშავის შთამომავლობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

„აი რა დავადგინეთ კონსტიტუციის დასაწყისშივე და უნდა მოგახსენოთ, რომ მეც სრული თანხმობა გამოვაცხადე ამ ცვლილებისა, რადგან ჩემი აზრით, სადაც სამართალია, იქ თანასწორობაც უნდა იყოს. დამეთანხმებით, ბატონებო, რომ ამ მხრივ მეტს ვერას ისურვებდით. ეს ერთი.

მეორე მუხლი თავისუფლებას შეეხება. სხვა-და-სხვა უფლება ადამიანისა ჯაჭვივით არის გადაბმული და დამყარებული ერთიერთმანეთზე. თუ მამულიშვილს თავისუფლება არა აქვს, რომ სთქვას, დასწეროს, დაბეჭდოს და გაავრცელოს თავისი აზრები, მაშინ სულ ერთია, აქვს რამე უფლება, თუ არა, რადგან ძალიან უსამართლოდაც რომ მოექცნენ, არავითარი საშუალება არა აქვს, ხალხს მიმართოს თავის საჩივრით, დაათრგუნვინოს თავის უფლებების შემლახველთი და ძირიანად ამოაგდებინოს ყოველი უსამართლობა. სადაც თავისუფლება არ არის, იქ კანონი ცარიელი სიტყვაა. სადაც თავისუფლება არ არის, იქ მართალი ყოველთვის ის არის, ვინც უფრო მძლავრია: პირზედ ხელს მიაფარებს და ისე გასძარცვავს და ყელს გამოღადრის თავისზედ სუსტს, სადაც კი მოასწრებს. ამიტომ კონსტიტუციამ ყოველი მამულისშვილის ბუნებრივ და ხელშეუხებელ უფლებად აღიარა თავისუფლება სიტყვისა, წერისა, აზრისა, ბეჭდვისა და ყველა ამის ხალხში ყოველ საშუალებით გავრცელებისა.

„ამას მოსდევს თავისუფლება მოძრაობისა, რომლითაც ადამიანს შეუძლიან, როდისაც და სადაც უნდა, წავიდეს, ოღონდ კანონის წინაალმდეგი არა ჩაიდინოს-რა; შემდეგ თავისუფლება სარწმუნოებისა, რომლითაც ადამიანს უფლება აქვს თავისნებად აირჩიოს, რომელიც ნებავს, სარწმუნოება; თავისუფლება უმაღლესს მთავრობისადმი საჩივრის და თხოვნის მირთმევისა; თავისუფლება კრებისა, რომლითაც აღარავის აეკრძალება ხალხის შეკრება და საერო საქმეზედ და სხვა რამეზედ სჯა და ბაასი; ერთი სიტყვით ადამიანს თავისუფლება ეძლევა, რაც უნდა მოიქმედოს და როგორც უნდა, ისე იცხოვროს, ოღონდ სხვას ნურას ავნებს.

„სადაც სამართალია, იქ თანასწორობაც არის-მეთქი, მოგახსენეთ. სამართალი არსად არის თუ, სრული თავისუფლებაზედ არ არის დამყარებული. თავისუფლებას მოსდევს ძმობა. კონსტიტუციის ძალით დაფუძნებული უნდა იყოს დაწესებულებანი, რომელიც უნდა ეხმარებოდეს ღარიბთ, უძლურთ, და უსაქმურთ და მაშასადამე ულუკმაპუროდ დარჩენილთ მუშათ. მოწყალებას კი არ გაიღებს ეს დაწესებულებანი: მოწყალება ამცირებს ადამიანს, პირად ღირსებას აკლებს და თავისივე თანასწორის წინაშე ამდაბლებს და შეურაცყოფს მას; მოწყალება სულმდაბლად ჰქმნის ადამიანს; კონსტიტუციას ეს კი არ უნდა, გაჭირვებული დაამდაბლოს, ადამიანებრივი ღირსება დაუმციროს და მით პირზედ ჭირი დაურთოს; ეს არც შეეფერება და ავნებს კიდეც ძლიერებას ერისას. კონსტიტუციის ძალით ქველმოქმედება კერძო პირის გულ-კეთილობაზედ კი არა, საზოგადოებრივ ვალდებულებაზედ არის აღიარებული. მაგრამ ესეც არ იკმარა კონსტიტუციამ და უფრო შორს გასწია. საზოგადოებად მცხოვრებ ადამიანთა ძმობა; მან შემოიღო ხალხის განათლება: იქნება გახსოვდეთ მაცხოვარის სიტყვები: არა მარტოდ პურით ცხონდების კაცი, არამედ ყოველითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა.

„კონსტიტუციამ კარგად შეიგნო ამ ძვირფასი სიტყვის მნიშვნელობა და მის განსახორციელებლად შემოიღო საერთო სწავლა-განათლება ყველა მამულიშვილისათვის. რაც კი მოზრდილმა მამულიშვილმა უნდა შეუცილებლად იცოდეს—წერა-კითხვა, ანგარიში, სხმლვთო სჯული და სამშობლოს ისტორია, ეს შეუცილებლად საჭირო ცოდნა უსასყიდლოდ ექნება სახალხო სკოლებში, რომლითაც მოფენილი უნდა იქმნას მთელი ჩვენი ქვეყანა.

„ამგვარად, ბატონებო, მთავარი ნაწილი კონსტიტუციისა შეიძლება სამი სიტყვით გამოვხატოთ: თანასწორობა, თავისუფლება, ძმობა! აი ადამიანის უფლებანი. ხომ გახსოვთ, როგორი დაჩაგრული იყო უწინ საწყალი კაცი: ვინც ღარიბი იყო და ერთი ხელის გულის ოდენი ტალახი ჰქონდა, იმას იმდენ ხარჯს

ადებდნენ, რომ ვერც კი ასდიოდა; და ვინც მდიდარი იყო და ათას-ათასი დღიურები ჰქონდა გადაჭიმული, იმას არც ხარჯს სდებდნენ და არც გარდასახადს. კონსტიტუციამ გააუქმა ყოველი განსხვავება: ხარჯი და გარდასახადი ყველამ უნდა გადაიხადოს მამულის რაოდენობისამებრ.

„დღეის შემდეგ ყოველი შენობა და მამული, რომელიც საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არის აგებული ან დადებული, მეფის საკუთრებად კი არა, საერო საკუთრებად იქნება ჩარიცხული, ციხე-სიმაგრეები, გზები, საჯარო ადგილები, ძეგლები და სხვ. და სხვ. გარდა ამისა, რაც აქამდე სასულიერო წოდების კუთვნილებად ითვლებოდა, ყველა საეკკლესიო მამულები და მონასტრების სხვა-და-სხვა საკუთრებაც საერო საკუთრებად არის დადებული და, რადგან სახელმწიფო ხაზინას დიდი ვალი ადევს, ეს მამულები იყიდება, რომ ვალი გადაიწყდეს; როგორც ხედავთ, სახელმწიფო ვალიც კი აღარ უნდა გვაშინებდეს“. საერო კრებამ დაადგინა, რომ ამ ცოტა ხანში შემუშავებული უნდა იქმნას მოქალაქებრივ კანონების ტრაქტატი, რომლითაც განმარტული იქნება ერთმანეთ შორის განწყობილება კაცთა და მათი უძრავ-მოძრავი საკუთრებისა. ამ ტრაქტატმა უნდა ამოაგდოს ძველთაგან დარჩენილი რომაელთა კანონები და ადათები, რომელნიც, როგორც მოგეხსენებათ, სხვა-და-სხვა სოფელში სულ სხვა-და-სხვანაირად იხმარებიან და მით რევენ და ხელს უშლიან მართლ-მსაჯულებას.

ამ დღეს არაფერს მოგახსენებთ შესახებ იმისა, თუ როგორ და რამდენ ნაწილად არის გაყოფილი ჩვენი ქვეყანა; რა წესით და როდის უნდა იქმნას ხოლმე ამომრჩეველი კრებები ერის წარმომადგენელთა ამოსარჩევად; რა საფუძველზე და რა კანონებით არის შეზღუდული მეფის ძალი; ვინ და რა უფლებით იქნება აღჭურვილი მეფის მოადგილედ, როდესაც მეფე მცირე-წლოვანია; რა უფლება ექნებათ მინისტრებს; რა განწყობილება აქვთ ურთიერთ შორის მეფეს და კანონმდებელ კრებას; ვინ იქნებიან აღჭურვილნი აღმასრულებელი ძალით; რა საფუძველზედ იქნება დამყარებული საფრანგეთის განწყობილება სხვა-და-

სხვა სახელმწიფოებთან; ამისას დღეს არაფერს მოგახსენებთ, რადგან ეს ყველაფერი დაწვრილებით არის განწესებული კონსტიტუციაში. მაგრამ ერთი საგანია, რომელიც პირდაპირ შეეხება ჩვენს კეთილდღეობას და შეეხება არა ორ წელიწადში ერთხელ, არამედ ყოველ წამს და ამიტომ მინდა ცოტა რამ ამ საგნის შესახებ მოგახსენოთ. ეს საგანი გახლავთ ფული. ამიტომ რაც ხანი საერო კრებაში გახლდით, სულ ყოველთვის იმის ზრუნვაში ვიყავი, რომ გამეგო და ხალხისთვისაც გამეგებინებინა, ვინ გვართმევს ჩვენ, ხარჯის მძლეველთ, ფულს, სად მიაქვს ის ფული, ვის აბარებს და ვინ ან რაზე ხარჯავს ჩვენს ნაჭირნახულევს, ჩვენის ოფლით დამბალ ფულს. ისე ფინანსიური კომისია არ ამოურჩევიათ, რომ მეც შიგ არ მოვყოლოდი, რომ უკეთ გამეცნა ეს საგანი და თქვენც მესიამოვნებინეთ, რადგან ხარჯის გაღება მაშინ უფრო გაუადვილდება კაცს, როდესაც იცის, რომ იმისი ფული საზოგადო საქმეს მოხმარდება და არა მუქთახორა დიდებულთა ქეიფს.“

თუმცა ყველას კარგად ახსოვდა შოველის თხოვნა, ტაშს ნუ დამიკრავთო, მაგრამ ეს სიტყვები ისე მოეწონა ყველას, რომ იმოდენა ხალხმა ტაშისკვრა დაუწყო. თითონ შოველიც მხიარულად იღიმებოდა, რადგან ხედავდა, რომ შიგ გულში მოხვდა იმის სიტყვა ყაირათიან გლეხ-კაცს და მუშას.

ყველაზედ კმაყოფილი ნათლია-ჩემი იყო. ტაშს უკრავდა და იძახდა:

— მართალი არ არის თუ? რა კარგად გვიცნობს ეგ კურთხეულიშვილი, ეგა!

ბოლოს ხალხი დაწყნარდა და შოველმა განაგრძო:

„აქამდე მთელი საფრანგეთი მეფის სურვილზედ იყო დამყარებული; მეფე იყო ჩვენი უმაღლესი ბატონი და პატრონი, იმას უნდა დავმორჩილებოდით ყველაფერში, და რაც უნდა უსამართლოდ მოგვქცეოდა იგი თავის ქვეშევრდომთ, პირუტყვივით გაჩუმებულნი უნდა ვყოფილიყავით, რადგან სულითხორცამდე იმის საკუთრებად ვიყავით; ჩვენ ჩვენი არა გვქონდარა, არც მამული, არც საქონელი: მამულიც, საქონელიც და

პირად ჩვენც მეფისა ვიყავით. ფული დასჭირდებოდა, სათემო კრებას უბრძანებდა და ისიც ხალხს შეაწერდა და მიართმევდა; იქნება კიდეც დაღრეჯილიყვნენ კრების წევრნი, მაგრამ უარს ვინ გაუბედავდა, რადგან იცოდნენ, რომ დაუვლიდნენ ხარჯის მკრეფნი და დააწიოკებდნენ ქვეყანას. ხალხს რა შეეძლო? თუ ჰქონდა აძლევდა; თუ არა და, ან უკანასკნელ ძროხას წაუქცევდნენ, ან უკანასკნელ ერთ-ხელ ქვეშაგებსაც გაუყიდდნენ და მეფეს კი არას დააკლებდნენ. შეექცევოდა! სახელმწიფოც იმისი იყო, სახელმწიფო ხაზინაც და მაშასადამე ანგარიშსაც არავის მისცემდა. ასე იყო და დღეს კი ძირიანად შეცვლილია ეს ყველაფერი. კონსტიტუციამ დაადგინა, რომ ხარჯს მთელს საფრანგეთში კანონმდებელი კრება გააწერს ყოველ წლივ; მაშასადამე თქვენ თითონვე გაიწერთ, ბატონებო, რა ხარჯის გადახდაც გინებებათ, თქვენ, ესე იგი თქვენგან ამორჩეული წარმომადგენელნი, რომელნიც თქვენი ნდობით იქნებიან აღჭურვილნი. თუ გლეხ-კაცები აირჩიეთ თქვენს წარმომადგენლებად, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იმათ ადვილად ვერავინ დაიყოლიებს და იმაზედ მეტს ხარჯს ვერ აკისრებინებს, რაც მართლა საჭიროა სახელმწიფოსთვის; და თუ სხვანი აირჩიეთ,... ეგ თქვენი საქმეა. პატიოსანი კაცი ყველა წოდებაში მოიპოვება, მაგრამ უნდა პატიოსნად იცნობდეთ და ისე აირჩიოთ.

„კანონმდებელი კრება ყოველ ორ წელიწადში უნდა იცვლებოდეს და თუ კრებამ ხარჯი არ გააწერა, თქვენ შეგიძლიანთ აღარა გაიღოთ-რა; მაშინ გროშსაც ვერავინ მოგთხოვთ. აი რით არის ძლიერი ჩვენი კონსტიტუცია: კანონმდებელი კრება ხარჯს არ გააწერს და მით აიძულებს მეფეს დამორჩილდეს კონსტიტუციას.

„გარდა ამისა, რადგან შეძლება ჩვენმა დეპუტატებმა შეილალატონ, — რაც სასახლიდან ათხოვონ, სულ ყველაფერზედ დათანხმდნენ — და უფრო მეტი შემოგაწერონ, ვიდრე საჭიროება მოითხოვს, კონსტიტუციის ძალით ყოველმა კანონმდებელმა კრებამ უნდა დაბეჭდოს და ხალხში გაავრცელოს სრული ანგარიში სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა, ამგვარად, ვინც

კი მოისურვებს საქმის საქმეების მდგომარეობის გაგებას, ამ ანგარიშს გადასინჯავს და ნახავს, სად და რაზედ იხარჯება იმისი ფული. ამ ანგარიშითვე ნახავს, როგორ ემსახურება იმას თავისი წარმომადგენელი; უფთხილდება თავის ამომრჩეველთა ჯიბეს, თუ თვალ-დახუჭული სჩადის, რასაც ჩასძახებენ. ერთი სიტყვით, ყოველ თქვენგანს თვალ-წინ ექნება სახელმწიფოს საქმე და ისევე ეცოდინება ჩვენ, როგორც თავისი კერძო საქმეები.

„ამაზედ უკეთესს კონტროლს, მე მგონია, რომ თქვენც არ მოელოდით. კონსტიტუციის ძალით სახელმწიფო ვალები გადახდილ უნდა იქმნას და გარდა ამისა მეფეს და იმის მახლობელთ ძველებურად უნდა ეძლეოდეთ იმდენი, რამდენიც აქამდე ჰქონიათ; და საქმე ეხლა ის არის, მოგვეწონებათ და დავეთანხმებით ამ ხარჯს, თუ არა? სახელმწიფო ხაზინის ვალი მთელი ერის ვალია და მეც, რასაკვირველია, თანხმობა გამოვაცხადე — ვალს გადახდა უნდა-მეთქი; ჩვენისთანა ძლიერ ერს არ შეუძლიან თავის თავი გაკოტრებულად გამოაცხადოს; პირიქით მისი მოვალეები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ სხვას უფრო საიმედოს ვერავის ასესხებენ თავიანთ ფულს: თავს გაიყიდის ყოველი ჩვენგანი და იმას კი ვერ იზამს, რომ სამშობლოს გაკოტრების ხმა გაუვარდეს.

„გავსინჯოთ ახლა მეფისა და იმის მახლობელთათვის გადადებული ფულები. სახელმწიფოს ბევრნაირი ხარჯი აქვს და მე ჯერაც ვერ გამიგია, ყველაზედ წინ მეფე რად უნდა დავაყენოთ და უპირატესობა იმას რად უნდა მივცეთ? განა ჩვენი მსაჯულნი, გამგებელნი, ჯარის-კაცები და სხვა მოხელენი კი დარწმუნებულნი არ უნდა იყვნენ, რომ ჯამაგირს სრულად და დანიშნულ დროზედ მიიღებენ? ერის სიცოცხლე ამ მოხელეებზედ არის დამოკიდებული და რად უნდა იჩაგრებოდნენ იგინი მეფისაგან, დაჯამაგირს მართლა მაშინ იღებდნენ, როდესაც მეფემ თავისი უკვე შეისრულა? მე ეს ვერ გამიგია, ამიტომ საერო კრებაში მე ამ ხარჯის წინააღმდეგობა გამოვაცხადე. მე იქაც წინააღმდეგი გახლდით და დღესაც ვიძახი, რომ თუ

ჩვენს კონსტიტუციას წუნი აქვს რამე, უმთავრესი წუნი ეს ხარჯი არის. მაგრამ ამაზედ ნუ შევჩერდებით, უცოდველი მარტო ღმერთია, ნათქვამია, გარდა ამისა კონსტიტუციის ძალით კანონმდებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რამდენს დაუნიშნავს ყოველ ახალ მეფეს და იქნება ამიტომ მაინც ეშველოს საქმეს; იქნება იმისთანა დროც დადგეს, რომ კანონმდებელმა კრებამ დაინახოს, რა სამარცხვინოა მილიონების ხარჯვა ერთ კაცზედ, რომელსაც ათასობით მოსამსახურენი და მოახლენი ახვევიან! იქნება კრებამ დაინახოს, რომ ცოდვაა მუშა-კაცს ვაღატაკებდეთ და მით უსაქმურის და უქნარის ამპარტავნებას გაზვიადებდეთ.

დიახ, ჩვენ თუ არ მოვესწარით, ჩვენი შვილები ხომ მოესწრებიან იმ დროს, როდესაც სიმართლე დამყარდება ქვეყანაზედ და ყველგან თავის შუქს მოჰფენს. მანამდე კონსტიტუციისაც დიდი მადლობელი უნდა იყოს ჩვენი ხალხი, რაც ჩვენ ტანჯვა-წვალება გამოგვივლია, ეს კი არა, ნაკლებიც რომ ყოფილიყო, მაინც მადლობას შევწირავდით უფალს. მცირე კი არ გეგონოთ ჩვენი გამარჯვება! რასაც ჩვენი უბედური წინაპრები თვალცრემლიანნი შესთხოვდნენ ღმერთს საუკუნეთა განმავლობაში, დღეს უკვე შევიძინეთ და იმედია ვერარავინ წაგვართმევს: დღეს ჩვენ გვაქვს მტკიცე საფუძველზედ დამყარებული უფლებანი და საკმარი ძალ-ღონე, რომ ჩვენი უფლება არარავის შევალახვინოთ. აქამდე ქედ-მოხრილი საქონელი ვიყავით, დღეს თავისუფალი ადამიანი გავხდით.

მიუხედავად ურიცხვი ლანძღვა-გინებისა და ცილის-წამებისა, რომლითაც ჩვენი უწინდელი ბატონები გვამკობდნენ, მიუხედავად ათასგვარი ეშმაკობის და ფლიდობისა, რომლითაც ცდილობდნენ, ჩვენში უთანხმოება ჩამოეგდოთ, გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა ბატონებს. მაგრამ ეს გამარჯვება მოსვენებას და განცხრომას კი არ გვაძლევს, უფრო მეტს სიფრთხილეს მოითხოვს: თქვენ გაგიგონიათ, როდესაც აღებულნი მამულის მფლობელნი ათასობით გადიან გერმანიაში, ინგლისში და რუსეთში, რომ ცისა და ქვეყნის რისხვა დაღვრან თავიანთ სამშობლოზე

ეხლა, როდესაც ჩვენშიაც მრავალნი დარჩენილან დიდებულნი მარტო იმ განძრახვით, რომ ვითომდა ღვთისა და სარწმუნოების დასაცველად კონსტიტუციის წინააღმდეგ დასავლეთ საფრანგეთში გაუნათლებელი ხალხი ააჯანყონ; ეხლა, როდესაც, დიდებულნი შიგნიდან ხალხის აჯანყებას გვიპირებენ და გარედან მთელი ევროპის შემოსევას, რომ დაკარგული დიდება და უპირატესობანი მოიპოვონ; ეხლა გვმართებს სიფთხილე და ერთობა, ბატონებო! სამშობლო რომ განსაცდელში იმყოფებოდეს, განა-ღა ჩვენ ჩვენი უთანხმოება და უსიამოვნება უნდა გვახსოვდეს! შევერთდეთ, ძმანო, და ჩვენ შორის ხსენებაც ნუ იყოს ხმოსან და უხმო მამულისშვილთა გარჩევაზედ. სამშობლომ ეს გარჩევა არ იცის, იმისთვის ყველა შვილი შვილია და ჩვენს კონსტიტუციაში ეს არის ერთად-ერთი უკმარისი და სამარცხვინო მუხლი და ისიც — ღმერთმა ჰკითხოს იმ უმრავლესობას, რომელმაც მარტო რიცხვით ისარგებლა და ჯიბრით დაადგინა ეგ უსამართლობა! არც დიდი ხანი დარჩება ჩვენში ეს განსხვავება: ძალიან მალე დარწმუნდებიან შემძლებელნი, რომ მარტონი ვერას გახდებიან, არისტოკრატიას და სასულიერო წოდებას ვერ გაუმკლავდებიან და, თუ ნებავთ საერთო გამარჯვებით ისარგებლონ და საერთო გამარჯვების ნაყოფით დასტკბნენ, ხალხს უნდა დაუკავშირდნენ და საკუთარი ხელით წაშალონ ეს [illegible] შემარცხვენელი და დამ[illegible] განცალკევება.

„ერთი სიტყვა კიდევ.

„კონსტიტუციამ, როგორც მოგახსენეთ, ბევრი რამ შეგვძინა. მაგრამ შეძენილს შენახვაც უნდა, და თუ გნებავთ ეს სიკეთე შეინარჩუნოთ, ბატონებო, რომელიც რევოლიუციამ შემოგძღვნათ, ეცადენით ყველას შეაგნებინოთ, რომ ბატონი თითონ არის, უბედურებათ, ბატონი თითონ [illegible] ყველა ჩვენგანი. ეცადენით ყველას შეაგნებინოთ, რომ ყოველი მოხელე სულ უმაღლესიდან დაწყებული უკანასკნელამდე, შეფიდან დაწყებული სულ უბრალო მეჭურჭლემდე, იმისთვის კი არის დაწესებული, რომ [illegible] ბატონობა [illegible]

მკვიდრეობითი ბატონობაც, არამედ მარტო იმისთვის, რომ ჩვენ გვემსახურონ, ჩვენ, რადგან საქმეზედაც და თანამდებობაზედაც ჩვენ ვაყენებთ და ჯამაგირსაც ჩვენ ვაძლევთ. ჩვენ კი არა ვართ იმათთვის, ისინი არიან ჩვენთვის და, ვისაც ჯამაგირს მივცემთ, ჩვენი მოსამსახურე იქნება. აი, ბატონებო, ეს შეიგნოს კარგად ჩვენმა ხალხმა; ეს შთააგონოს თავის შვილებს და შვილი-შვილებს! ჩვენი ერის დიდება და ძლიერება მარტო ამაზედ არის დამოკიდებული. მეფე ჩვენი მოხელე უნდა იყოს და არა ჩვენი ბატონი. რაკი ამას შეიგნებს ხალხი, მაშინ სამშობლოს დიდებასაც ეცდება და მაშინ განახორციელებს ძველთაგან ოქმულს: კაცი ხალხისთვის და ხალხი კაცისთვისაო! ნურავის შეალახვინებთ კერძო პირის უფლებას; გაიგონ თუარა მისი ყვირილი, მაშინვე მიეშველენით ყველანი და თქვენი ძალა აგრძნობინეთ თავხედს! ნუ მოითმენთ, რომ ვინმე დიდებული მოხელე, თუნდა იოტის ოდნადაც იყოს, თქვენს უფლებას შეეხოს; წამოდექით ყველანი, საყვირი დაჰკარით, ქვეყანა შეჰკარით და დაუყუნოდ გადაიჩვიეთ თქვენს შევიწროვებას.

„პირდაპირ მოგახსენებთ, ვინც თავის უფლებას ცოტას არის შეალახვინებს ვისმე, ლაჩარია, თავზედ ქუდი არა ხურავს! ის კაცი კი არა, პირუტყვზედ უარესია! და ვინც თავის მოძმეს დაჩაგრულსა ხედავს და იმის, და მაშასადამე, თავის უფლებათა აღსადგენად არ მიეშველება, ის კიდევ უარესი ლაჩარია და თავის ქვეყნის და ერის მოღალატე! ჩვენი ცხოვრება საუკუნეთა განმავლობაში ცარიელი ტანჯვა-წვალება იყო, რადგან ჩვენი ბედიღბალი უსამართლობაზედ და მეფეების სურვილზედ იყო დამოკიდებული. ახლა კი დროა ჩვენი ცხოვრების საფუძვლად მტკიცე და ურყევი რამ ვიქონიოთ, დიდებულად კონსტიტუცია გავიხადოთ და ჩვენს მოსისხლე მტრად ვიგულოთ ყველა, ვინც კონსტიტუციის გაუქმებას მოიწადინებს. მაშინ უშფოთველად ვიქნებით; ბედნიერნი ვიქნებით და მთელი ევროპა, რომ შემოგვყურებს, მით ჩვენი ერისა შეეშინდება, რადგან ერი, რომელიც სამართლიანზედ დამყარებულ თავის უფლებებს იცავს, თავის ძლიერებაში არ დამარცხდება.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვამ; ძნელი აღსა-წერია, რა აღტაცებულნი იყვნენ ყველანი. თავმჯდომარემ რეს-ფიელმა მადლობა გამოუცხადა შოველს, და პატრიოტებმა ერთხმივ კლუბის წევრად აირჩიეს ათი სხვაც, რომ შინისკენ გავემგზავრენით.

VIII.

1791 წ. ოქტომბერში, კანონმდებელთა კრების დაწყების დროს შოველი ფალსბურგში გადასახლდა; სამი კვირა არ დარჩენილა ჩვენს სოფელში: თავისი სახლი ლეტუმიეს მიჰყიდა, რომელიც თავის ქალს — ქრისტინას — ათხოვებდა. თითონ კი ფალსბურგში ბაზრის პირდაპირ მოხუცებული ბარონ არონის ძირის სართული დაიჭირა. ქუჩის პირ ოთახში წიგნებისთვის დახლები და ყუთები გამართა და სავაჭროდ გაშალა წიგნები, რომელიც დიდრონ ცალობით მოსდიოდა პარიზიდან. თითონა და მარგალიტა ადგილობრივ ვაჭრობდნენ, და ელზასსა და ლოთარენში წიგნების გასასყიდად ორი მოჯამაგირე დაიჭირა — ტუბა და მარკიზ; დიდი ძმისთანა ვაჭრობა გაჩაღდა, რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდა.

შოველმავე მოიტანა ჩვენში პატარა სამკერდე წამოსასხამი ქალისა, რომელზედაც დაბეჭდილი იყო ადამიანისა და მოქალაქის უფლებანი. დაინახეს ჩვენებურმა ქალებმა და ყველამ ეს წამოისხა. მაგრამ არც რევოლიუციის მოწინააღმდეგე ქალები ჩამორჩნენ უკან: ისინი თავიანთ წამოსასხამზე სხვა-და-სხვა ლოცვებს დაიბეჭდვინებინათ და გარდა ამისა შემდეგი სიტყვები: „თუ საეკკლესიო მამულების შემსყიდველნი კბაყუთფილნი არ არიან, თავიანთ ფულს უკან მიიღებენ, როდესაც ერთიანი ასიგნაციებს გაანადგურებს“.

შოველის დუქანში ყოველნაირი წიგნი იყიდებოდა, როგორადაც პოლიტიკური, რევოლიუციური, აგრეთვე კატეხიზმოსი და რევოლიუციის მოწინააღმდეგე ბერების ნაწერები; როგორც გახიზნულთა გაზეთები, აგრეთვე ჩვენი „ხალხის მეგობარი“

და [illegible] ჟურნალები და [illegible]“, ერთხელ [illegible] ჩემმა უსაყვარლესმა, მაინც მაინც მიმართულების გაზეთებს რადგან ჰყიდიან.

შოველმა უპასუხა:

— რატომ არა, ჩემო ივანე? იქნება გგონია, ამით გვაზარალონ რამე? შენც არ მომიკვდე! პირიქით დიდ სამსახურს გვიწევენ, რომ თავიანთსას არას მალავენ; დაუფიქრებლად თავიანთ აზრები და ხალხს [illegible] უჩვენონ, რაც მართლა ბრძანდებიან. ჩვენც ეგ არ გვინდა? ჩვენს საქმეს ისინი უკეთ არიგებენ, ვიდრე ჩვენ.

მალემავე დროს შოველმა მოინდომა პატრიოტებისთვის გაზეთების კითხვა გაადვილებინა და ამ მიზნით მეორე ოთახში ერთი უშველებელი სტოლი დადგა და გარს სკამები შემოუწყო და ზედ დაალაგა, რაც-კი გაზეთები მოსდიოდა. თავისუფლად შედიოდა ყველა და ერთ კაპეიკად ქვეყნის გაზეთებს კითხულობდა.

კარგი აზრი არ იყო თუ?! პარიზში თურმე ძალიან ხშირი იყო ამგვარი სამკითხველოები და ჩვენში კი აზრადაც არავის მოსდიოდა ამისთანა სასარგებლო დაწესებულების შემოღება.

ის კი არ იფიქროთ, სამკითხველოს და წიგნების ვაჭრობას მოუნდებოდა და საზოგადო საქმისას ველარას გაარიგებდა. ერთიც და მეორეც შოველმა მარტო იმიტომ დაიწყო, რომ საზოგადო საქმეს დახმარებოდა. ჩვენს კლუბში რაფიელ მანკის მაგიერად თავმჯდომარედ ის აირჩიეს და კვირაში სამჯერ შვიდი საათის შემდეგ ისე აივსებოდა ხოლმე დახურული ბაზარი, რომ ტევა აღარ იყო.

სწორედ შვიდ საათზე შემოვიდოდა შოველიც, თავს დაუკრავდა ხალხს, თავის სავარძელში დაჯდებოდა, ბურნუთის კოლოფს და ცხვირსახოცს მაგიდაზე დაიდებდა, დაიდგამდა [illegible]

— ბატონებო, კრება გახსნილია.

მერე გაშლიდა „მონიტორს“ *) და ხმა მაღლივ წაგვიკითხავდა კანონმდებელ კრებაზე აღძრულ კითხვებს დეპუტატთაგან

*) „Moniteur“.

წარმოთქმულ სიტყვებს. ხანდახან იაკობელების კლუბში ნათქვამს წაგვიკითხავდა „მოკამათე ჟურნალში“. როცა შეხვდებოდა რასმე იმისთანას, რომ უმრავლესობა ვერ გაიგებდა, დაწვრილებით აგვიხსნიდა. ბოლოს, როდესაც წასაკითხი აღარა ექნებოდა-რა, გვეტყოდა:

— აი ბატონებო, როგორ მომდინარეობენ ჩვენი საქმეები. იქნება სიტყვა სურდეს ვისმე?

ხან ერთსა ჰქონდა რამ სათქმელი, ხან მეორეს. მოვისმენდით, პასუხს მივცემდით. დახურული ბაზარი გატენილი იყო ხოლმე ხალხით. მარტო მუშები და მოქალაქენი კი არა, ყველა მოხელეები, და თვით ბ. ბაზლერიც კი, საერო კრების მიერ ათისთავი რავეტის მაგიერად ოვერნელი რაზმის წინამძღოლად დანიშნული, არც ერთს კრებას არ დააკლდებოდნენ. ყველას მოეპოვებოდა რამე სათქმელი ან საკითხავი; სხვანი გაჩუმებულნი ისმენდნენ. დაჰკრავდა თუ არა ათ საათს, შოველიც წამოიწევდა და კმაყოფილი კილოთი შემოგვძახებდა:

— საზოგადო საქმეები გავისტუმრეთ. ორშაბათამდის, ბატონებო!

კრებები ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით გვქონდა.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენი დროისა ყველაფერი დაწვრილებით აგიწეროთ, თორემ იმ დროს მე კლუბი კი არა, სულ სხვა რამ მედო თავში. ეს იმ დროს გახლდათ, როდესაც ყოველ კვირას მოკმაზულ-მოპრანჭული მივეშურებოდი მარგალიტასკენ და იმის ცქერით ვეღარა ვძღებოდი. უწინდელი ჩაჩულია მიხო კი აღარ გახლდით! იმისთანა კოხტა რამ ვიყავი, რომ... თვეში ერთხელ წვერსაც კი ვეპარსავდი.

ან როგორღა შეიძლებოდა ძველებურად უშნოდ მევლო, როდესაც საკუთარი თვალითა ვხედავდი, რომ ჩემი ტოლი ბიჭები და ბევრნი ჩემზედ შემძლებელნიც თვალს აღარ აშორებდნენ მარგალიტას და, სადაც კი შეიძლებოდა, გარს ევლებოდნენ. ნეტავი მარტო მუშები და გლეხები ყოფილიყვნენ, კიდევ აიტანდა კაცი. მაგრამ არა! ოვერნელი რაზმის უფროსები და

დიდი გვარიშვილი ყმაწვილი კაცებიც კი დაიარებოდნენ შო-ველთან,—ვითომ წიგნების სასყიდლად—იცინოდნენ, ლაძღან-დარობდნენ და თვალი კი მარგალიტაზედ რჩებოდათ. მე მაშინ-ვე შევნიშნე, რომ საქმე ცუდად იყო. ჰო და, უნდა გენახათ, როგორ ვიხეხდი პირისახეს! ნეტავი ტყავი რატომ არა მძვრე-ბოდა? კვირა დილით მოვუჯდებოდი ხოლმე ჩემს პატარა სარ-კეს და ვიყავი ერთ ვაი-ვაგლახში: ჩავიცვამდი, არ მომეწონე-ბოდა... ასჯერ მაინც მოვისვამდი ყელზედ ხელს, ყელსახვე-ვი ხომ არ დამავიწყდა-მეთქი. სულ ოფლში ვიწურებოდი! ცხრა საათის შემდეგ, როდესაც დედაჩემი თოვლიან გზას გა-უდგებოდა, რომ ანრიდორფში კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლის წირვა და ქადაგება მოესმინა, მამა-ჩემი ნელი ნაბი-ჯით ამოცოცდებოდა კიბეზედ, თავს შემოჰყოფდა ბალახანაში და შემომძახებდა:

— დედა-შენი წავიდა, მიხო! გინდა, მოგეხმარო?

იმდენს ვეწვალებოდით, იმდენს, რომ როგორც იქნებოდა, ჩავიცვამდი. მამა-ჩემი კი შემომხაროდა:

— იცი, მიხო! იმიტომ კი არა, რომ ჩემი შვილი ხარ, არა, ღმერთმან იცის! მაგრამ ჩვენს მხარეში შენისთანა წარმოსადე-გი, მგონი, ბევრი არ მოიპოვებოდეს.

სევდიან გულს მალამოდ მოხვდებოდა ხოლმე ეს სიტყვე-ბი; ვიტყოდი, მოდი გამოვუტყდები და ჩემს სიყვარულს გა-ვუმჟღავნებ-მეთქი, მაგრამ ვერა ვბედავდი: დიდი პატივისცემა მქონდა მამი-ჩემისა. თუ არა და, დარწმუნებული ვარ, უჩემოდაც ძალიან კარგად იცოდა, რომ გაგიჟებული ვიყავ მარგა-ლიტასთვის. დედა-ჩემსაც უნდა შეჰპარვოდა იჭვი და ჩუმად იმიტომ იყო, რომ საბრძოლველად ემზადებოდა; სულ იმის შიშში ვიყავით ორივენი, ან ეხლა შემოგვიტევს, ან ეხლაო, და თან გულს ვიმაგრებდით: ვიცოდით რომ საშინელი უსიამოვ-ნება და განხეთქილება ატყდებოდა მას შემდეგ ჩვენს ოჯახში და ამიტომ გადაწყვეტილი გვქონდა: რაც უნდა მომხდა-რიყო, ჩვენ მაინც ჩვენსას არ დავიშლიდით.

მომავალზედ ვოცნებობდით, მაგრამ ოცნების სიტკბოებას სოფლიური გვიმწარებდა. ბოლოს, როდესაც ლამაზად გამოვე-წყობოდი ჩემს საკვირაო ტანისამოსში, ადგებოდა მამა-ჩემი: ხან აქეთ მომივლიდა, ხან იქით, ამხედავდა, დამხედავდა და გაბრწ-ყინვალებული სახით მეტყოდა:

— შენი ჭირიმე, ბიჭო, ეხლა ისა გინდა, წადი! წადი, შვილო, ისიამოვნე!

საწყალი მამა-ჩემი თავისი დღენი ისე დაელია, რომ სიამ-მოვნება მარტო სხვისა ენახა. და იმ სიბერეშიაც, როდესაც დედა-ჩემი სახლს უპატრონოდ სტოვებდა და შორს სადმე სოფელში ჩვენი განთავისუფლების მოწინააღმდეგე მღვდლის ქადაგების მოსასმენად გარბოდა, უნდა დამდგარიყო იმ ხნის კაცი და სახლი დაეგავა და კარტოფილი გაეფცქვნა. კიდევ კარგი, რომ გულკეთილი კაცი იყო, მაგრამ არც ისეთი მოთმინება ვარგა, როგორიც უბედური მამა ჩემი იყო.

მეც საჩქაროდ გამოვეთხოვებოდი და ფალსბურგისკენ მი-ვეშურებოდი. გამოვიდოდა გარეთ საწყალი მამა-ჩემი, იდგა და მიყურებდა, ვიდრე ქვევით ჩავიდოდი და მივეფარებოდი რასმე. ჩავიდოდი ნატალია ჩემთან, საჩქაროდ ვისადილებდი და გა-ვიპარებოდი... ეხლა, ბაღზედ გადავივლიდი, არავინ დამინახოს და ვისიმე მგზავრის საქონელი არ დამაჭედინონ მეთქი.

ერთი თხუთმეტი წუთის შემდეგ ქალაქში ავიდოდი. მივდიოდი, მაგრამ ვერასა ვხედავდი. საწყალი ტრიბოლენი თა-ვის აფთიაქიდან სალამს მაძლევდა; მე კი ისე ვიყავ ჩემი ფიქ-რებით გართული, რომ ყურადღებასაც არ ვაქცევდი. აგერ შო-ველის დუქანიც თავისი წიგნებით და გაზეთებით! ძალიან სავ-სეა იქაურობა. ვინ გინდათ, რომ იქ არა ნახოთ: პატრიოტე-ბი, ჯარის-კაცები, მოქალაქენი, და ასე გასინჯეთ, ჩვენი ძვე-ლი ბატონებიც კი. აგერ ჩემი მარგალიტაც დგას დაზგის უკან და ზოგს გაზეთებს აწვდის, ზოგს წიგნს.

— აჰ, ბატონო, ინებეთ „პარიზის რევოლუცია“, ექვსი შაური გახლავთ, თუ ინებავთ, ბატონო, „წასახლის უწყებანი“, აღარ გახლავთ, სულ გაიყიდა.

ეხლაც მიკვირს, როგორ ასწრობდა იმოდენა მუშაობას: მაგრამ რაც უნდა გართული ყოფილიყო საქმეში, დამინახავდა თუ არა, პირს ღიმილი მოუვიდოდა და მხიარულად შემომძახებდა:

— ბიბლიოთეკაში გადი, მიხო! მამა-ჩემი შინ არის. მეც ეხლავე გამოვალ. წყლის ჩამოვართმევდი და მერე მის ოთახისკენ გავწევდი. მარგარიტა კი გულს მიკეთებდა:

— გაზეთები გადახედე, მიხო, საინტერესო არის მცა-ლოიან.

ღამით კი უნდა მივსულიყავ, მოვიდოდი თავის ოთახში და-და და სულ რაღაცას სწერდა, ან მიწერ-მოწერას ამთავრებდა და მე-ტყოდა:

— მიხო, შენ ბრალია, რომ დამიწერე... უკეთესი ვიქნები, ეს წერილი გავათავო...

თანა სწერდა, თან ჩვენი სოფლის და ჩვენებურების ამბავს მეკითხებოდა. წერილი კი აღარ თავდებოდა. ბოლოს წამოვდგებოდი და ბიბლიოთეკაში გავიქცეოდი.

— მოიცა, მიხო, შენ გაზეთები გადაათვალიერე, მანამ მეც გავათავებ ამ წერილს.

ბიბლიოთეკა ყოველთვის სავსე იყო ხალხით, მეტადრე იმ დღეს, როდესაც ტფილისის ფოსტა მოდიოდა და ახალი გაზეთები მოჰქონდათ. იქ უნდა შესულიყავით, თუ ნახვა გინდოდათ ყველასი. იქ იყვნენ თითქმის ქალაქის გამგეობის წევრი; მიდიოდნენ მოქალაქეები, სამხედრო მოხელენიც ჰქონდათ, დუქნის ექიმი სტეფანე, რომელიც შემდეგში ოცი წლის განმავლობაში მამასახლისად გვყავდა; ... დაპირები და სხვანი სულ იქ იყვნენ ... ჩაციკვიებულნი ... ზოგი იქვე სწერდა წერილებს ... ვითომ ვკითხულობდი, და თვალი კი მარგალიტისკენ მქონდა და შევცქეროდი! ისიც ერთ წამს არ მოისვენებდა თავის დაზგის უკან: მიდიოდა-მოდიოდა, ... დაწამ-დაუწუმ გამომცხვებოდა. ხანდახან ... მიჩვეულებოდა:

— ეს წაიკითხე, მიხო, ძალიან გესიამოვნება!

დიდი ხანი ვიჯექი ხოლმე ისე გაზეთ აფარებული, თუმცა რომ მკითხოთ, რას კითხულობდით, ღვთის წინაშე ვეღარას მოგახსენებთ. ვკითხულობდი კი არა, მარგალიტას შევხაროდი, მარგალიტას შევყურებდი, რადგან ვიცოდი, რომ კვირამდე იმის ნახვას ვეღარ ველირსებოდი. და მთელი ქვეყანა რომ მომდგომოდა ჩემი ბედის სამდურავს ვერავინ მათქმევინებდა.

რომ დამინახავდა შოველი ისე მორთულს და წვერ მოპარსულს, ეშმაკურად ჩაიცინებდა და მუქარით თითს დამიქნევდა; მეც შემრცხვებოდა, გავწითლდებოდი... ის კი ბურნუთის კოლოფს გახსნიდა და შემომთავაზებდა:

— ბურნუთს არ ინებებთ, მამულისშვილო?

ეგ არის, დიალ! ახლა ეგ შემაყრევინე ცხვირში? რა უნდა სთქვას მარგალიტამ?—ვფიქრობდი ჩემს გულში და მადლობას ვუხდიდი შოველს:

— არა, ბატონო, გმადლობთ, თავს ამატკივებს!

— კარგი ერთი! საყელოს გასვრა გეჯავრება, განა, შე არისტოკრატო შენა!—დამცინოდა შოველი. მაგრამ რაც უნდა დაეცინა, მე მაინც ვგრძნობდი, რომ დიდი პატივისცემით და სიყვარულით მეკიდებოდა. ძალიან კარგად იცოდა, რომ მთელი ხუთი-ექვსი საათი მარტო გაზეთების წასაკითხად მე იქ არ დავრჩებოდი და, თუ ვრჩებოდი, ალბად გაზეთების და პოლიტიკის გარდა იქ სხვაც იყო რამე ჩემი მიმზიდველი. ჭკვიანი კაცი იყო, გამოცდილი და იმისთანა თვალი არა ჰქონდა, რომ ჩვენი საქციელი არ შეემჩნია. და რადგან არასა გვიშლიდა, მაშასადამე მოსწონდა ჩვენი განძრახვა და თავის დროზე სრულს თანხმობასაც გამოგვიცხადებდა. ეს კი იყო, რომ ყოველვის, როდესაც კი შეიძლებოდა, სულ იმას მეუბნევოდა, რაც შეგიძლიან მეტი ისწავლე და კარგი წიგნები წაიკითხე. შოველის ბიბლიოთეკა ჩემს ხელთ იყო და რა წიგნიც უნდა მომწონებოდა, გადმომიღებდა და მომცემდა, შინ წაიღეო.

სამწუხაროდ შოველის სახლი უკვე გაყიდული იყო და წიგნის კითხვა იქ აღარ შეიძლებოდა. შინ ვკითხულობდი, და-

მე ჩემს ბალოსხანაში და ახლაც ამან გამოიწვია: ერთხელ ვარ-ვაგა-ლახი მე და დედა-ჩემს შორის: ლამე ხანათინუ გინდარა, ქვირიფა-ფული იხარჯება! მე რომ ყოველ დილით ხანდუკში არ ჩაუ-მეკეტა ჩემი წიგნები, დარწმუნებული ვარ, ჩემს მოსვლამდე ზედ ერთი ალის დამხვდებოდა: ნაკუწ-ნაკუწად დაჰფხრეწდა დედა-ჩემი. იმავ თავიდანვე სულ იმას გაიძახოდნენ ბერე-ბი, წიგნებს ცოდნა სულის წამწყმედიაო, ვითარცა ხე კე-თილისა და ბოროტისა, რომელსაც ზეზან მაცდურმა ადამის ვაშლი მოუგლიჯა ჩვენდა დასაღუპავადაო, და სხვ. საქმე ის იყო, რომ ყველა წიგნზედ ძალიან ბერები დაბადებს და სახა-რების კითხვას გვიშლიდნენ: ეშინოდათ, წაიკითხავენ და დარ-წმუნდებიან, რომ ჩვენ სხვაფრივ ვცხოვრობთ, ვიდრე სამღვთო წერილი გვიწერსო. აქედან ადვილად წარმოიდგენთ, რა გაუ-ნათლებელი იქნებოდა ჩვენი ხალხი 1789-მდე სოფლებში. შოვე-ლი სულ იმას გვეუბნებოდა, წიგნები იკითხეთო; და მართა-ლიც იყო, რადგან სიღარიბე ხომ საშინელებაა, და გაუნათლე-ბლობა მეტად უარესია.

ჩვენში რომ ისე იყო, სხვაგან რა იქნებოდა, რადგან ალ-ზას-ლოთარინგია ბევრით სჯობდა ზოგ-ზოგ სხვა თემებს. მახსოვს, მთელი ჩვენი კლუბი განცვიფრებული დარჩა, შოველმა რომ ჟანსონის წერილი წაგვიკითხა. კანონმდებელმა კრებამ ვანდეში და დოფინე სევერში გაგზავნა ბ. ჟანსონე სარწმუნოებრივი არეულობის მიზეზების გამოსაკვლევად. ვერ წარმოიდგენთ, რა დაუჯერებელ ამბებს იწერებოდა იგი იქაურების გაუნათლე-ბლობაზედ და პირდაპირ ვიტყვი-სიბრიყვეზედ. მაშინ დავრწმუნ-დით, რომ ჩვენ არა გვიშავდა-რა და სამშობლოს ვანდელების გაუნათლებლობისა უფრო უნდა შიშინებოდა, ვიდრე გარედან მომავალი მტრის ჯარებისა.

ჰაი რას იწერებოდა ბ. ჟანსონე თავის მოხსენებაში: იქაუ-რი გლეხ-კაცობა კონსტიტუციის მომხრე მღვდლებს სდევნის და დღე ყველიერ ავლებს და ლამე თოფებს უშვებს; კონსტი-ტუციის მოწინააღმდეგე მღვდლები ძველებურადა სწირავენ; ოღონდ ეკკლესიებში კი არა, თავიანთ სახლებში ჭალხე

იმდენად განუვითარებელია, რომ ღვთის მაგივრად ბერებს-ღა ლოცულობენ და ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია, კონსტიტუციის მნიშვნელობა შევაგნებინოთ; ეპისკოპოსს ბოროტი ვანდეელის... ბორეგარს საიდუმლო ბრძანება გაუცია, არც ერთმა ვანდეელმა მღვდელმა ეკკლესიაში აღარა სწიროს, რადგან ეკკლესიაში სიარულით შეიძლება ხალხმა კონსტიტუციის ერთგული მღვდლებისა გაიგონოს რამეო. ყველა მღვდელმა სადმე მიყრუებულ ალაგას შეაგროვოს თავისი სამწყსო, სადმე გამოქვაბულში, ან ტყეში, ან საბძელში, იქა სწიროს და და ისე გააგონოს სიტყვა ღვთისა; მართალია მწირველს ხელთა არა ექნება-რა, მაგრამ სწორედ ამით უნდა ისარგებლოს და ჩააგონოს ხალხს, რომ იგი იძულებულია ასე ფარულად სწიროს, რადგან სარწმუნოება და მისი კეთილი მსახურნი დევნილ არიან კონსტიტუციის-მიერ; ამიტომ არის ასე ფარულად ჩვენი წირვა-ლოცვა და თუ გაკვიგეს, შეიძლება წამებაც მოგვაყენონ, როგორადაც ქრისტიანობის პირველ ხანებში იყო...

მაშინ კი ყველა დავრწმუნდით რა საშიში იყო ვანდეელების აჯანყება. შოველი ამტკიცებდა, კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლებს ბრძანება აქვთ—ჩვენში ხალხი ააჯანყონ, რომ მით უფრო ადვილად შემოუძლვნენ გახიზნული დიდებულნი გერმანელების ჯარსაო. და რადგან ჩვენი მტრები ჩვენში განხეთქილების ჩამოგდებას ცდილობენ, ჩვენ უნდა ვეცადნეთ და ყველგან ერთობას და ძმობას ვქადაგებდეთ, რომ ღირსეულად დავუხვდეთ სამშობლოს მოღალატეებსაო.

სამძლვარ გარეთიდან მომავალი ვაჭრები გვეუბნეოდნენ, ვორმში, მაინცში და კობლენცში თხუთმეტიათასი თავად-აზნაურია შეგროვილი და გერმანელ ჯარებს-ღა ელიან, რომ წინ წამოუძღვნენ და თავიანთ სამშობლოში შემოიყვანონ; ლეოპოლდი და ვილჰელმი კარგს შემთხვევას-ღა ელიან, რომ თავიანთი ჯარები ლორენში შეიყვანონო. და ჩვენ, რასაკვირველია, უნდა ვცდილიყავით, ყველაფრით მზად დავხვედროდით. საერო კრებამ დაადგინა 9 ნოემბერს 1791 წ.—რეინის გაღმა მყოფ ფრანგებს ამბოხება ბრალდებათ და, თუ პირველ იანვრა-

მდე არ დაიშლებიან, ძასჯილ იქნებიან სიკვდილით და მათი მამულები საერო საკუთრებად იქნება ჩარიცხულიო.

წინააღმდეგი გართ,—ბრძანა მეფემ.

მაშინ უცბად აჯანყდნენ ბრეტანი, პუატუ, ვანდეი; ყველგან ბერები დადიოდნენ და, საცა კი გაჯვარედინებულ გზასა ნახავდნენ, მაშინვე ჯვარცმას ამართავდნენ; გამვლელსა და გამომვლელს ნაკურთხ კრიალოსნებს, ხატებსა და შენდობას *) ურიგებდნენ; ყველგან იმას გაიძახოდნენ, რომ კონსტიტუციის მომხრე მღვდლებისას არც ნათლობასა აქვს მადლი, არც ჯვარისწერასაო; კონსტიტუციის მომხრეები ყველანი დასწყევლეს და შეაჩვენეს და თანაც ბრძანება გასცეს: ვისაც ჭეშმარიტად სწამს ღმერთი და სულის წაწყმედა არ უნდა, ისე ერიდოს კონსტიტუციის მომხრეს, როგორც უწმინდურს და აღარც ემეზობლოს და აღარც იმეზობლოსო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ცოლ-ქმარნი იყრებოდნენ, მამა-შვილნი საუკუნოდ შორდებოდნენ ერთმანეთს. ზემოდ მოხსენებულ თემებში მილიციისთვის ბიჭებს არ იძლევოდნენ: ამ არეულობამ დაჰბადა ივანე შუანი და შინდერჰანი, რომელნიც ისე დათარეშობდნენ, თითქო მტრის ქვეყანაში არიანო და, საცა კი მოასწრებდნენ ვისმე, გაუძარცვავს არ გაუშვებდნენ. დიდი სახელი გაითქვეს მაშინ ამ ყაჩაღებმა, მეტადრე ივანე შუანმა, რომელმაც მებატონეებისა და სამღვდელოების სიტყვით, დიდი სამსახური გაუწია მეფეს და სარწმუნოებას. შუანს იმისთანა სახელი ჰქონდა, რომ ვანდელები თავდაპირველად იმის წინამძღოლობით და იმის სახელით აჯანყდნენ.

კანონმდებელ კრებას უნდოდა დასაწყისშივე შეეყენებინა აჯანყება და დაადგინა 29 გიორგობისთვეს, რომ ის მღვდლები, რომელნიც კონსტიტუციას ერთგულებას არ შეჰფიცავენ, პენსიას აღარ მიიღებენო; იმავე დადგენილების ძალით ამ მღვდლებს აღეკრძალათ წირვა, არამც თუ ეკკლესიაში, კერძო სახლებშიაც

*) შენდობას ბერები ჰყიდდნენ და არ იყო იმისთანა ცოდვა, რომ ფულით შენდობა არ ეყიდნა შემცოდეს. შეიძლებოდა მომავალი ცოდვების შენდობაც ეყიდნა კაცს და ხშირად მოხდებოდა, რომ ხვალინდელი ცოდვის შენდობას ყიდულობდა ვინმე ბერისაგან და მეორე დღეს იმავე ბერსა სძარცვავდა.

კი; ბოლოს გამოცხადებული იყო, რომ ვინც კი გაბედავს და სარწმუნოებისა გამო უთანხმოების ჩამოგდებას ეცდება, განდევნილ იქნება სამშობლოდანაო.

მაგრამ ამ დადგენილებაზედაც იგივე ბრძანა მეფემ — წინააღმდეგი გართ. ერთი სიტყვით, რასაც კი ჩვენი დაღუპვა შეეძლო, მაშინვე ხელს მოაწერდა და, რაც ჩვენი სასარგებლო იყო, უარსა ჰყოფდა — წინააღმდეგი გართ. შემდეგში წერილები იპოვნეს, რომლებიც ჩვენს მეფეს პრუსიის მეფისთვის მიეწერა იმ დროს: ყველა წერილებში ერთი და იგივე ვედრება იყო: დაჩქარდი, მომეშველე, თორემ დავიღუპეო! მაშინ კი დავრწმუნდით, რომ ჩვენი მეფე შველას ჩვენს მტრებსა სთხოვდა და ქვეყანას დასაღუპავად ჰძლევდა, ოღონდ თითონ და დიდებულნი არა დაჰკლებოდათ-რა. დიდი უბედურება დაატყდა საფრანგეთს, მაგრამ ვინ იტყვის მეფე მართალი იყო, სულ ხალხის ბრალიაო? როდემდის უნდა ვყოფილიყავით ცხვარივით გაჩუმებულნი? როდემდის უნდა ეპტყვენათ და ეკრიჭათ საწყალი გლეხი-კაცი დიდებულთ, რომელთა დიდებულება მარტო ის იყო, რომ მუქთახორად ეყარნენ და სხვის ნაჭირნახულევს შეექცეოდნენ!

იშვიათად მოხდებოდა, რომ კანონმდებელი კრება შეთანხმებულიყო რაზედმე: ბრისსო, ვერნიო, გადე, მათე დიუმა, ბაზირი, მერლინი და სხვანი სულ სხვა-და-სხვა მხრივ უყურებდნენ საგანს და სხვასა და სხვას გაიძახოდნენ; მაგრამ იმაზედ კი ყველანი თანახმანი იყვნენ, რომ მეფე ლუი მე-XVI ღირსი არ იყო ჩვენის ნდობისა და დედოფალი მარიამ-ანტუანეტა ხომ არა და არა. ამავე აზრს ადგა მთელი ერი; მთელი ერი ერთსა და იმავე ფიქრს მოეცვა და იმ საშინელ ზამთარში 1791—1792 წ. სულ იმას ჩივოდნენ, დავიღუპენით, გაზაფხულდება და ომიანობაც ატყდებაო.

— თესლსაც ვეღარ ავიღებთ, თესლსა! გაზაფხულდება თუ არა და გაშრება გზები, მაშინვე ომი ატყდება. ნეტაი აგრე! ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი არა სჯობიან? რაც მალე იქნება, ის უკეთესი!

ეს სამოც და ათი წელიწადია სულ იმას გაიძახიან, საბრალო მეფე-დედოფალი, დიდებულნი, თავად-აზნაურნი და ეპის-

ეთაპოსნი! რამოდენი ტანჯვა-წვალებაში ვატარეთ, რა უბრალოდ ეწამნენო! აბა ერთი, ჩვენს შორის მოზრდილებული ყვნენ ეს ფუჭრჩვილი ცრემლით მფრქვეველნი და ჩვენი ცხოვრება ენახათ! აბა ენახათ, რამოდენი ხალხი იყო დამშეული, — სხვას ნუღარას იტყვით — კარტოფილიც კი არა ჰქონდათ, რომ იმით მაინც გაეძღოთ კუჭი. მაშინ დარწმუნდებოდნენ, რომ ვინც ძველებურად ქვეყნის ბატონობას და პატრონობას ცდილობდა, თუმცა ამისი არც უფლება ჰქონდა და არც შეძლება; ვინც ჩვენ შორის უთანხმოების ჩამოგდებას ცდილობდა და ამ მიზნის მისაღწევად საერო და კანონმდებელ კრების დადგენილებათ ეწინააღმდეგებოდა და თან ყოველგვარ სიცრუეს და ცილისწამებას კადრულობდა, რომ ხალხის თვალში პატრიოტებისთვის ჩირქი მოეცხო; ვინც თავისავე მსგავსი ადამიანის პირუტყვივით დამონავებასა ცდილობდა და, თუმცა მაცხოვარი იმიტომ აწამეს, რომ სწორედ ამ დამონავებულთა განთავისუფლებას ქადაგებდა, მაინც ღვთის განგებით და სამღვთო წერილით იმართლებდა თავს: მე რა ვქნა, ღვთის განწესებულს მე ხომ არ შევცვლიო! კარგად უნდა სცოდნოდათ, ვინც ამეებს ჩადიოდა, რომ ღმერთი არავის რას აპატიებს და, თვით იმათ თუ არა, იმათ შვილებს და შვილისშვილებს დასჯის საშინელი სასჯელით.

როდესაც ჯარის ბინაზედ, ან სოფელში, ან მეტადრე ბაზრობა დღეს ხალხში რამე ცუდი ამბავი გავარდებოდა, ისე აღელდებოდა ხოლმე დიდი და პატარა, რომ ყრუც კი გაიგებდა ბრაზმორეული ხალხის გრგვინვას. პატრიოტები ერთს წამს გაჩუმებულნი, ფერ-მიხდილნი შესცქეროდნენ ხოლმე ერთმანეთს, ერთ წამს მარტო: მაშინვე თვალ-წინ წარმოგვიდგებოდა კაინის ცოდვა და გულში ვიმარხავდით ყოველგვარ უსიამოვნებას. გული უიმისოდაც სავსე გვქონდა ნაღველით და ერთი წვეთი კიდევ მომატებოდა, რა უშავდა. ზღვაში ვერ ჩაივა იმდენი წყალი, რამდენიც საწყალი კაცის გულში დაეტევა. სავსე იყო გული ნაღველით, ... ემატებოდა და ემატებოდა, ... გადმოვიდეს ... კავშირი, ვიცოდით, და ვცდილობდით ... გადმოგვეშვა.

მაგრამ ერთი სასიამოვნო ამბავიც მოხდა სწორედ იმ დროს: ლეტუმიეს ქალის კრისტინესი და კლოდ ბონომის ქორწინება, 1792 იანვარში. ჩვენს სოფელში ეს პირველი კონსტიტუციური ქორწინება იყო. მას შემდეგ, რაც ლეტუმიემ საეკკლესიო მამულები შეიძინა, ძალიან წამოიწია და ჩვენს ახლო-მახლო ისეთი სახელი გაუვარდა სიმდიდრისა, რომ გვარისწილ „მდიდარს“ უწოდებდნენ. საქორწინოდ ლეტუმიეს თავისი მესსენელი ნათესავები დაეპატიჟნა და, თუმცა ყველანი არ ეწვივნენ, მაგრამ უმთავრესნი კი მოუვიდნენ: მორის ბრიუნე—კურისელის კლუბის თავმჯდომარე და ერთი ყმაწვილი ქალი—სუსანა შასსენი.

სამამასახლისო სამსე იყო ხალხით: შოველი, ნათლია-ჩემი თბეისი მილიციის რაზმის უმფროსის ტანისამოსით, კოშარი, ჰიური, ჩვენი უწინდელი თავმჯდომარე რაფიელ მანკი და ბევრი სხვა პატრიოტები. როდესაც იოსებ ბუალომ სამფერი სარტყელი შემოირტყა და კონსტიტუციის სიტყვები წარმოსთქვა: „კანონი გაერთებთ თქვენ“, იგრიალა იმოდენა ხალხმა და ერთხმივ შესძახა:

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს! კონსტიტუციას გაუმარჯოს!

ძველებური ურიგობა კი აღარ იყო, რომ მოვიდოდნენ მეფე-დედოფალი და... მღვდელი ჭუჭყიან ქაღალდის ნაფხრეწებს მოსძებნიდა სადმე და იმაზედ დასწერდა—ვინ და როდის დაქორწინდნენ; იმ ქაღალდებს მიაგდებდა სადმე და... ჩვენს დროში დარწმუნებით არავინ იცოდა ან როდის იყო დაბადებული, ან როდის იყო მონათლული, რადგან საეკკლესიო დავთარი შემდეგში შემოიღეს და დიდი შრომა დასჭირდათ, რომ ცოცხალნი მაინც ჩაეწერათ შიგ, თორემ მიცვალებულებს ვიღა ჩივოდა!

ამ ახალგვარმა ჯვარის-წერამ ძალიან ასიამოვნა ყველანი და იმისთანა სიმღერით და ცეკვით წავედით შინისკენ, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა.

წინ ნაღარა მიგვიძღოდა. ზამთ. საშინელი სიცივე იყო, და ისე შევხურდით, რომ თოვლი და ყინვა აღარავის ახსოვ-

ვდა. მე მარგალიტა მიმყავდა ხელი-ხელს გაყრილი, ჩვენ წინ ქრისტინე და კლოდ ბონომი მიდიოდნენ და ეტყობოდა, ქრისტინეს აღარც კი აგონდებოდა თავისი წინანდელი მოწონებული და სრულიად კმაყოფილი იყო თავისი ქმრისა. ჩვენს უკან უმფროსნი მოდიოდნენ და დარბაისლურად ბაასობდნენ საქმეებზედ. ყველანი მხიარულად იყვნენ, თვით შოველიც კი ლეტუმიეს ცალი ხელით ქუდი ეჭირა, ქარმა არ მომტაცოსო — და ყვიროდა:

— არ დაივიწყოთ, ხალხო, დღეს იანვრის სამია და რაგინდ ზამთარი ჰყინავდეს...

ეგ ხომ ეგრე, მაგრამ შინ რომ მივედით, ძალიან შეცივნულები ვიყავით. ქორწილი ნათლია-ჩემის დუქანში გადაიხადეს, შინ ვერ დავტევთ ამოდენა სტუმრებსაო. წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებას ვიგრძნობდით ნამცივნი ხალხი, გაშლილ სუფრას რომ დავინახავდით. ძაან, ძაან დრო გავატარეთ! იმოდენი ძეხვი, ღორი და დოქები ელაგა სუფრაზედ, რომ სტოლი იზნიქებოდა. ლეტუმიეს ცოლს სიხარულით ცრემლი სდიოდა, ჩვენ კი ვისხედით და ვიღმურძლებოდით! შოველმა კარგი, თქვენი მოწონებული სიტყვა სთქვა: ძველებურ, პირვანდელ დროთაგან დარჩენილი ჩვენს სხვა-და-სხვა გვარ დროსგატარების წილ, დრო არის უფრო აზრიანი და ხალხის განმანათლებელი რამ შემოვიღოთო. ბევრი სადღეგრძელო გიახელით, ბევრი ვიხუმრეთ; მეტადრე უმფროსებმა გადააჭარბეს: იმისთანებს სთქვეს, რომ საწყალი ქალები კინაღამ სუფრიდან წამოიშალნენ. აღარ არის, აღარ, ძველებური სიმხიარულე! წავიდა ჩვენი დრო და მხიარული გულიც თან გაიყოლა! ყველაზედ მხიარულად, რასაკვირველია, მე ვიქნებოდი: მარგალიტა გვერდით მყავდა და ჩემს ნეტარებას სამძღვარი არა ჰქონდა. ვიცინოდით, ვხუმრობდით, თვალში ჩავცქეროდი და ვეკითხებოდი:

— კომბოსტო ხომ არ გნებავს, მარგალიტა? ღვინოში [illegible] ლორი?

მეფე-დედოფალზედ ბედნიერესნი ჩვენ ვიყავით. ისე ვისხედით სუფრაზედ, თითქო ქვეყანაზედ აღარა გვახსოვს-რაო და

სულ ერთმანეთის ალერსში ვიყავით, კიდევ კარგი, რომ ჩვენი ჭკრავის სცხელოდა და ყურადღებას არავინ გვაქცევდა.

ბოლოს საღამოზედ, როდესაც ცეკვა გაიმართა და ჩვენი სოფლის ყმაწვილი ბიჭები და ქალები ყველანი შეგროვდნენ, მეც გაველი საცეკვაოდ და, რასაკვირველია, მაშინვე მარგალიტას მივმართე:

— მოდი, ერთი ჩვენც ავყვეთ ამ ტაღლას, მარგალიტა!

მარგალიტა განცვიფრებული შემომყურებს, ბოლოს მკითხავს:

— რა ტაღლას, მიხო, რას ამბობ?

— აი, მცეკვავთა ტაღლას.

— მე რომ ცეკვა არ ვიცი?

— კარგი ერთი! ყმაწვილი ქალი და ცეკვა არ იცოდეს! რა სათქმელია?!

გულს ძლივს-ღა ვიმაგრებდი: გულში ჩავიკრავ ჩემს მარგალიტას და გავიტაცებ-მეთქი! მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება: მარგალიტას მართლა არა სცოდნოდა ცეკვა, სრულიად არა სცოდნოდა! ფეხები ერევოდა, [illegible]. მე კი ჩემსას არ ვიშლიდი; არა მჯეროდა, რომ [illegible] ქალს ცეკვა არა სცოდნოდა.

— მოდი, ერთხელ კიდევ ვცადოთ, შენ ფეხს გაჰყოლე [illegible] ამაზედ ადვილი რა იქნება?

კუთხეში მივიყვანე და [illegible] ვცადეთ, მაგრამ ვერა [illegible]. მე კი ისე მინდოდა მარგალიტასთან ცეკვა, [illegible] შემოგვეხვია. [illegible] მარგალიტას ეწყინა და [illegible] გაჯავრებით მითხრა:

— [illegible] ვიცი, [illegible] რომ არ ვიცი! [illegible]

აბა [illegible] მაშინ შენა!

— მოდი, მიხო, ჩვენ ცეკვაც ვიცით და [illegible] მაგრამ [illegible] მეც ამაშინა!

[illegible]

და ავდექი და სამზარეულოსკენ წავედი. სამზარეულო სავსე იყო ქალებით: ლეტუმიეს ცოლით, ნიკოლით, ნათლი-ჯალაბი ეკატერინეთ, სუსანა შასსენით და კიდევ ბევრნი სხვანი. საშინელი აღშფოთებულნი იყვნენ ყველანი და ერთიმეორეს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ:

— სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს-რა! არა, პირიდან როგორ ამოსდით მაგგვარი სიმღერა?!. განა დედოფალს აგრე უნდა ახსენებდნენ?.. კაცებისთანა დაუნდობელი ხომ არა იქნება-რა! საუკეთესო რომ საძაგელია, სხვანი რა იქნებიან?

და სხვა და სხვა. მეორე ოთახიდან პატრიოტების მხიარული ხარხარი ისმოდა და ფანაც რაღაცა ახალი სიმღერა. ამ სიმღერას მორისი მღეროდა, ზოგნი ბანს აძლევდნენ.

მეც მაშინვე იმათკენ გავწიე. კარი შევაღე და უცნაური სანახავი დამხვდა. მორისს დაემკლავებინა, ქუდი გვერდზედ გადაეგდო, საკინძე გაეხსნა, ლოინჯი შემოეყარა და იმისთანას ცეკვავდა, რომ პირ ღია შესცქეროდნენ ყველანი. იმისთანა ცქვიტად და მარდად ცქრიალებდა, რომ თვალს ვერ მოასწრობდა კაცი. ხტოდა და თან რაღაცასა მღეროდა. პარიზელებს მეფის გამოსაჯავრებლად შეეთხზათ ეს სიმღერა. ის იმისთანა საშინელებას ჩაერთოდა დედოფლის შესახებ, რომ უბრალო ქუჩაქუჩა მაწანწალანი დიაცსაც არავინ აკადრებს იმას. მორისი თამაშობდა და მღეროდა; გარს პატრიოტები ეხვეოდნენ და იმისთანად ხარხარებდნენ, რომ ზოგი თავს ველარ იმაგრებდა, იქვე სადმე მიეგდებოდა ყურთამდე პირღია და თვალცრემლიანი. მორისი კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფეხებს აფშლატუნებდა და ამ დაუბოლოვებელ სიმღერას აბამდა.

ამ სიმღერაში აწერილი იყო ყოველგვარი, რაც კი დედოფალს ჩაედინა რამე, სარდინგალის სამკაულებიდან დაწყებული; იმისთანა ლანძღვით და უწმაწური სიტყვით იყო მოხსენებული დედოფალი, რომ მეც კი შემრცხვა. ისინი, რომ გავიგონე, სხვანი კი დიდის სიამოვნებით ისმენდნენ დედოფლის მასხარად აგდებას და, რომ გეკითხათ, ვეც [illegible] გეტყოდნენ. მეშველ დედოფალსაც იმდენი სისხლი წოვეს საწყალ ხალხს, რომ ახია იმათზედ! ნეტავი უფრო უვარესი შეთხზანო.

სიმღერამ ისე გაიტაცა ყველანი, რომ ბოლოს თვით მოხუცებულმა ლეტუმიემ, ნათლია-ჩემმა და ჩვენმა უწინდელმა თავმჯდომარემ რაფიელმაც კი მოინდომეს მორისთან ხტომა და ფეხების ქნევა.

რა არის წუთისოფელი! ერთ დროს ნათლია-ჩემის დუქანში მარტო დიდებულნი და ჯარის უმფროსნი ქეიფობდნენ და სიმღერასაც მეფე-დედოფლის საქებარს მღეროდნენ. გააცივებდნენ ღვინოებს, თან მოყვანილ ქალებს სულ ვარდის თაიგულებში ჩასვამდნენ და — ქვეყანა ჩვენიაო, გაიძაგოდნენ. დღეს კი იმავე-დუქანში სულ სხვა გვარი სიმღერა ისმოდა: სიმღერა მეფე-დედოფლის მლანძღავი და შემარცხვენელი. ამ სიმღერას დიდად უნდა დაეფიქრებინა დიდებულნი, რადგან ეს იმისთანა უტყუარი ნიშანი იყო ახალი დროისა, რომ ვისაც კი შეგნება ჰქონდა რამე, დიდი შედეგები უნდა გამოეყვანა ამ ლექსიდან.

მართლა საშინელი, სამარცხვინო ლექსი იყო. გარეთ ქალები ჯავრობდნენ, მაგრამ პატრიოტებს იმათი არა ესმოდათრა და გიჟებივით ხარხარებდნენ.

შოველი არ აჰყვა მოთამაშეთ. კუთხეში იჯდა, ცალი თვალი მოეჭუტა და კმაყოფილებისაგან გამხიარულებული სახით შესცქეროდა იმათ ხტომას. თან ცალი ხელით იმათი ცეკვის ზომაზედ დანასა სცემდა სტოლს და ხანდახან გადასძახებდა:

— ჰა, ყოჩაღ, ლეტუმიე! აი აგრე, აი! ეგ კი კარგად მოგივიდა! რას გაჩერდი, ივანე? რა მალე ისწავლა ჩვენმა თავმჯდომარემ!

იმ კილოთი აქეზებდა მოთამაშეთ, რომ ცოტა არ იყოს დაცინვაც იყო, მაგრამ ვის რა ესმოდა?

და ახლა თუ გნებავთ გაიგოთ, რა სიმღერა იყო ის საშინელი სიმღერა, რომელიც ჩვენში პირველად მორისმა სთქვა, ამასაც მოგახსენებთ: ეს გახლდათ ყველასაგან ცნობილი „კარმანიოლი“, რომლის სახელიც მას შემდეგ მთელმა ქვეყანამ გაიგო. ეს ის სიმღერა გახლდათ, რომელიც იმღერეს პარიზელებმა, როდესაც მტრის ზარბაზნების ასაღებად მიდიოდნენ:

აბა, ძმანო, კარმანიოლი!
ქვეყნისთვის თავს ვინ დაზოგავს?
გაუმარჯოს ტკბილს, საამურს,
გულის წარმტაცს ზარბაზნის ხმას!

მთელი რევოლიუცია გალექსეს ამ კარმანიოლში. ახალი მოხდებოდა რამე და იმასაც გალექსავდნენ და კარმანიოლს მიუმატებდნენ. წინანდელი ხანები აღარც კი გვახსოვდა, რომ ახალზედ სიცილით ვიხოცებოდით.

ბოლოს, როდესაც პატრიოტებმა მეტი ველარ შესძლეს და დაქანცულნი სულის მოსაბრუნებლად ღვინოს მისცვივდნენ, შოველი წამოდგა და სთქვა:

— მამულისშვილნო, ქვეყნის წინაშე კარგად იმღერეთ, კარგადაც ითამაშეთ და ყველანი გაგვამხიარულეთ, მაგრამ, მგონი, ახლა წასვლის დროც იყოს, თორემ ხვალ ჩვენ საქმისთვის ველარ გამოვდგებით.

— ნეტავი შენა! — შესძახა ნათლია-ჩემმა. — რა დროს შინ წასვლაა? ქორწილია!

— მე კი მეტი აღარ შემიძლიან, ძმებო! — სთქვა შოველმა და ქუდი აიღო.

ქალაქელები ყველანი გაემზადნენ წასასვლელად.

— თითო ყანწი კიდევ! — იძახდა ნათლია-ჩემი. — გზა მაინც დაგვალოცვინეთ, დალოცვილებო!

— კმარა, კმარა, თორემ შინ ველარ ჩავალთ, — უპასუხა შოველმა და ლეტუმიესთან მივიდა გამოსათხოვებლად.

მე კი მარგალიტასთან მივედი, წამოსასხამში შევახვიე და ვუთხარ:

— კარგად გაეხვიე, თორემ საშინელი ყინვაა.

მარგალიტა ჩაფიქრებული იყო. შოველი კი მხიარულად უყურებდა ყველას და აჩქარებდა თავის ქალს:

— აბა, მარგალიტა, ჩქარა! მივდივართ?

ჩემი თქმა რა საჭიროა, თქვენც კარგად იცით, რომ მე მარგალიტას კარგა მანძილზედ ჩავაცილებდი. ქუდი ყურებზედ ჩამოვიცვი, მკლავი მკლავში გავუყარე და გავწიეთ ქალაქისკენ.

დანარჩენი საზოგადოება უკან მოგვდევდა. მთვარიანი ღამე იყო, ცა ვარსკვლავებით მოჭედილი; ბუნებას თოვლის ზეწარი გადაჰფენოდა და იმისთანა სინათლე იყო, ისე კაშკაშებდა ჩვენი მთა და ჩვენ ქვევით თვალგადუწვდენელი მინდორი თავისი ტყეებით, სოფლებით და მაღალი სამრეკლოებით, თითქო დღე არისო. ჰყინავდა, ჩვენ ფეხ ქვეშ მინასავით იფხვნებოდა თოვლი.

რა მშვენიერია მოწმენდილი, ათასფრად მოციმციმე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა! მშვენიერია მის თვალ უწვდენი სივრცე, რომელშიაც, რაც მეტს დააცქერდები, უფრო მეტსა და მეტს ვარსკვლავს იპოვნი და უფრო მეტად იგრძნობ ადამიანის გონების სისუსტეს და ბუნების ძლიერებას და სიდიადეს. და თუ მაშინ სატრფოც გვერდთ გყავს, ხელს მისი ხელი გითბობს, გულს მისი გულის ძგერა გხვდება და გრძნობ, რომ ისიც შენსავით ტრფობით არის გატაცებული, სიყვარულის ალს ველარ გაუძლებ, გულში ნეტარებას ველარ დაიტევ და შენდა უნებურად დიდებას შესძლევნი ყოვლად წმინდას... დიაღ, ნამდვილი საყდარი, ნამდვილი საკურთხეველი ღვთისა ზამთრის მოკაშკაშებული მთვარიანი ღამე ყოფილა.

ჩვენს უკან ლაპარაკით მიდიოდნენ შოველი, რაფიელი, კოლენი და სხვანი, ვინც კი ქალაქში ცხოვრებდნენ. ის იყო დაღმართთან მივედით და ჩემდა უნებურად ერთი ძველებური, გლეხკაცური სიმღერა დავიძახე, ბავშობაში გაგონილი. ზამთრის შიძინებულ, მიყუჩებულ არეს თავისუფლად მოედო და შორს, შორს მთამდე გაისმა ჩემი ხმა. მეც არ ვიცოდი, რასა ვმღეროდი. მე კი არა, გული მღეროდა სიყვარულს. მარგალიტა უფრო ალერსით მეკვროდა და ყურში ჩამჩურჩულებდა:

— რა კარგი ხმა გქონია, მიხო, რა საამური ხმა გქონია.

უკან კი ყველანი გაჩუმებულიყვნენ და ყურს მიგდებდნენ. დაღმართი რომ ჩავიარეთ, მარგალიტამ შემაყენა, — დავუცადოთ, ისინიც მოვიდნენო.

გავჩერდით. წინ შოველი მოდიოდა და შორიდანვე დამიძახა:

— როდი ვიცოდი, მიხო, რომ აგრე კარგი სიმღერა გცოდნია. აქამდე შენი ხმა არსად გამეგონა. სწორედ მამი-შენის ხმა გაქვს, ოღონდ შენი ხმა უფრო მძლავრია და თანაც ტკბილი. როცა „ადამიანის უფლებათა“ შესახებ სიმღერას გამოსთქმენ, ჩვენს კლუბში შენ უნდა სთქვა პირველად ის სიმღერა.

— ნეტავი ერთი „კარმანიოლი“-ც გვასმენინა მაგისგან ნამღერი, — სთქვა რაფიელმა.

— ეჰ, ჩემო რაფიელ, — უპასუხა შოველმა, — კარმანიოლი ხუმრობაა. კარმანიოლი კარგია პატრიოტთა გასამხიარულებლად და სასაცილოდ, ერთი-ორი ჭიქის შემდეგ. ჩვენ სულ სხვა გვინდა: ხალხისავით ძლიერი იყოს და იმედიანი.

ერთმანეთს გამოვეთხოვენით. ჩვენ ერთ პატარა ბილიკს ავყევით და შინისკენ წამოვედით, ისინი ქალაქისკენ დაეშვნენ. ზემოდ რომ ავედით, შევჩერდი, მარგალიტას გავაყოლე თვალი და თვალს გულიც თან გაჰყვა. უკან ჩამორჩომილიყო ჩემი მარგალიტა. როდესაც გზას უნდა მიეფარებოდა, ერთხელ იმანაც შემოიხედა ჩემკენ.

ასე გაიარა იმ დღემ და იმ მშვენიერმა ღამემ. დღევანდლამდე ისე არიან აღბეჭდილნი ჩემს გულში, რომ ვერ მოვითმინე და დაწვრილებით გიამბეთ ძველი ამბავი.

## IX

საერო საქმეები კი ისე დატრიალდნენ იმ დროს, რომ ცხადი იყო, უომრად ველარ გადავრჩებოდით; ჩვენი მტრებიც ძალიან დაურიდებლად და თავხედურად გვექცეოდნენ. კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლებმა ვანდეში ხალხი ააჯანყეს; ტრევილის და მაინსელის ეპისკოპოსები და მეტადრე კარდინალი როანელი უარესს გვიშვრებოდნენ: სამძღვარ გარეთ ბრძანდებოდნენ, ან იქვე საფრანგეთის სამძღვართან აგროვებდნენ, სადაც მაწანწალა, უბინაო და ავაზაკი იყო სადმე, ჯამაგირს აძლევდნენ და ჩვენს ასაკლებად გზავნიდნენ. სოფელ-სოფელ დადიოდნენ იმათგან

გამოგზავნილი კაცები — უწინდელი, აწ კონსტიტუციის მიერ სამსახურიდან დათხოვნილი მოხელენი — და საქცია გარყვნილს; თავზედ ხელაღებულს ნაწავდნენ ვისმე, ცოტა ფულს აძლევდნენ და მეტსა ჰპირდებოდნენ, რევოლიუციის და კონსტიტუციის წინააღმდეგი იყავიო. ეს კი არ იფიქროთ, ამას ფარულად ჩადიოდნენო: არ მოგიკვდეთ ჩემი თავი! ისე იქცეოდნენ, თითქო ჩვენ მათი ყურადღების ღირსნიც არ ვიყავით. მაგრამ ჩვენებიც ფრთხილად იყვნენ და დასაწყისშივე შეაყენეს ამგვარი ხალხის გარყვნა. პირველმა დაიწყო, მას ლიქსჰეიმელი ლალემანი მიჰყვა, მას შემდეგ იაკობელების ყველა მომხრე კლუბები და მთელს საფრანგეთში გაისმა ამ საძრახისი საქციელის წინააღმდეგობა. თუმცა მეფის ერთგული მოსამსახურე მინისტრები გაჩუმებულნი ბრძანდებოდნენ, თითქო გახიზნულთა საქციელს საძრახისს ვერას ამჩნევენო, კამილ დემულენმა, ფრერონმა, და ბრისსომ იმისთანა ამბები დაწერეს გაზეთებში ცალკე და კლუბში ცალკე, რომ იგივე მინისტრები იძულებულნი გახდნენ ბოლო მოეღოთ ამ გარყვნილებისათვის.

ერთი ამგვარი მომსყიდველთაგანი, ვიღაც გახიზნულის ყმა, ლიქსჰეიმში იდგა „დიდი-ირემის“ სასტუმროში. ქვეყანამ იცოდა, რომ დადიოდა და ჯარისკაცების შესყიდვას ცდილობდა: რევოლიუციას გადუდექით და ფულით აგავსებთო. მაშ რა ექნათ დიდებულ ბატონებს? თითონ ხომ არ აიღებდნენ თოფს! ატარებდნენ თავიანთ მოსამსახურეებს და ფულით ცდილობდნენ შეესყიდნათ საწყალი კაცი და სამშობლო ქვეყნის მტრად ექციათ. საკუთარი საქმის და ინტერესების დასაცველადაც კი მაინც გლეხ-კაცი უნდა ჰყოლოდათ, რადგან თითონ ღვთისა და მეფის წყალობით სულ გენერლებად იბადებიან და ჯარში ხელქვეითი უნდა ჰყავდეთ, რომ უთხრან: მოდი, შენი ძმა დამიმორჩილე, რომ თქვენზედ თავისუფლად ვიბატონოვო.

ერთ დილას, ის იყო იმის ოთახში რამდენიმე ყმაწვილი ბიჭი შევიდა, — კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდელს

გამოეგზავნა სოფლიდან? წადით, ნახეთ, ფულს მოგცემთო — დიაღ, ის იყო შევიდნენ ის ბიჭები და ჟანდარმებიც ზედ მიადგნენ და კარი დაურაკუნეს. გადაიხედა ფანჯარიდან, ქვეითაც ჟანდარმები დაინახა. ადგა და ზევით აძვრა, ყავარში; მაგრამ ამავალი დაინახეს და ჟანდარმებიც თან დაედევნენ; ყავარში თავის მეტი ვეღარა იპოვნეს-რა, იძრო ხმალი ერთმა ჟანდარმმა და ხან აქ ჩასცა თივას, ხან იქა! დააჭერდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და თან ყვიროდა:

— რა მექნა ის ქვეყნის მტერი, ისა? არც აქ არის! არც აქა! აი დალახვრა ღმერთმა!

ბოლოს მაინც მიაგნო ხმალმა და მწარედაც დააყვირა.

გამოათრიეს უბედური. ხმალს ტირკმელებში გაეარა და საღამომდე ძლივს-ღა იცოცხლა. კიდევაც კარგი, რომ მოკვდა, თორემ იმის ოთახში იმისთანა წერილები იპოვნეს გახიზნულთაგან მოწერილი, რომ ჩააქვავებდნენ. ფული რამდენიც გინდა მოგვთხოვე, — სწერდნენ სამძღვარ გარეთიდან პერები, — ოღონდ მანდ, საფრანგეთში, ხალხში არეულობა ატეხე და ერთმანეთს შეაბრძოლეო.

ის დამარხეს და ახლა სხვებს დაუწყეს დევნა. კარგა პლომადაც დაატუსაღეს. სულ კი იმისთანა ხალხი იყო, რომ ამ ქვეყნად წმინდა არა გააჩნდათ-რა და, ვინც მეტს მისცემდა, იმას ემსახურებოდნენ. მამა ელეონორე სადღაც მიიმალა; დედა-ჩემი ისე შეაწუხა ამ ამბავმა, რომ სულ იმას-ღა წუწუნებდა — ახლა რა ვქნა, წირვა-ლოცვა სადღა მოვისმინოო? ის მიიმალა, მაგრამ სხვანი კი ბევრნი დაიჭირეს და, ღვთის წინაშე, ახრცუყვეს, რომ შიგ საპატიმროშივე ამოხოცეს დამწყვდეულები, რადგან სულ იმისთანა კაცები იყვნენ დაჭერილები, რომელნიც ფულზედ სამშობლოს კი არა, საკუთარ სულსაც გაჰყიდდნენ.

რეინს გაღმა, სამძღვარ გარეთ, სამს ალაგას იყვნენ შეყრილნი გახიზნულები: ეტენჰეიმში, ვორმში თავად კონდესთან და კობლენცში უბრწყინვალესს თავად არტუასა და პროვანსელთან.

უბრწყინვალეს თავადთაგანი მარტო ერთი—ლაფარჩალონ-ტ ფრანგეთში, თავადი ორბელიანი, რომელსაც შემდეგში „თვით-ლიბე-თანასწორობა“ დაარქვეს, იმისი შვილი ცხენოსან რაზმის წინამძღოლად იყო ჩრდილოეთის ჯარში.

წარმოიდგინეთ, რა ყოფაში იქნებოდა ხალხი, რომ მოენდომებინათ, ერთი ღამის სავალზედ მეტი კი არა ჰქონდათ ჩვენამდე! შემოგვესეოდნენ და ატყდებოდა ომი და სისხლის ღვრა. იმას კი ნუ იფიქრებთ, ხალხს დამარცხების ეშინოდა: მარტონი რომ ყოფილიყვნენ, სიცილად არ გვეყოფოდა—იმათი მუქარა; მაგრამ მაგარიც ის იყო, რომ მარტონი არ იყვნენ და! გახიზნულებს თან მოჰყვებოდათ პრუსიელი და ავსტრიელი ჯარები. გარდა იმისა ჩვენს ჯარს უცებად იმოდენი ოფიცერი მოაკლდა, რომ დიდ და ძნელ შესავსებელ ნაკლად დაჩნდა დიდებულთა გაქცევა. თუმცა სიკეთეც დაგვდო იმ დრომ: დარწმუნდა მაინც ხალხი, რომ დიდებულთ სამშობლო არა სცოდნიათ და, მაშასადამე, დიდი სისულელე მოგვდიოდა, რომ იმოდენ საუკუნეების განმავლობაში ჩვენი შრომით ვინახავდით და სამშობლოს მცველად მიგვაჩნდნენ.

მახსოვს ეხლაც ქრისტეშობისთვეს ჩვენს კლუბში დიდი სიცილი გამოიწვია გახიზნულთა შესახებ ბაასმა. იოსებ ტოპუსარი—ტული ლელი სირაქლემ გახლდათ—კობლენცში ყოფილიყო და თავისი მგზავრობის ამბებს გვიამბობდა. დიდ-ძალი ხალხი ვნახე კობლენცში, სულ ჩვენი ბატონები, სამძლვარ გარედ გახიზნულები—ვინ გნებავთ რომ იქ არა ყოფილიყო? თავად-აზნაურები, ბერები, მონოზნები, და ურიცხვი მოსამსახურეები და მსახურები, რათა ზოგმა თავი დავარცხნოს ბატონს, ზოგმა პირი დაბანოს, ზოგმა ტანთ ჩააცვას, ზოგმა წვერი მოპარსოს, ზოგმა ფრჩხილები მოსჭრას, ზოგმა გახადოს, ზოგმა დააწვინოს, ზოგმა ფეხის გულები დაფხანოს და ტკბილი ნანინათი დააძინოს.

უცნაური ხუმარა კაცი იყო გოსსერი, ნამდვილი ლოთარენელი და იმისთანა სასაცილოდ გვიამბობდა გერმანელთა შორის ჩვენი ბატონების ყოფას, რომ სიცილით დავიხოცენით. გერმანელებმა ჩვენი ენისა არა იციან-რა და გახიზნულებმა

გერმანულისა: ერთგან მოხუცებულის დაბერებული მარკიზის ქვრივი წარმოგვიდგინა: პატარა ოთახი ქუჩაზე ვორმში; ჯერ კიდევ ცოტაოდენი ფული ჰქონდა და ხან რასა უბრძანებდა დუქნის მოახლეს, ხან რასმე გაშტერებული შესცქეროდა:

— ვას? ვას?*)

— ვაჰ! ვაჰ! შეჰკივლებდა მოხუცებული — ლოგინი გამისწორე, თორემ ვასს მოგცემ მე შენა!

და ისე მშვენივრად აჯავრებდა მოხუცებულის ჭავრაზებას და კივილს, რომ სიცილით იხოცებოდა მთელი ჩვენი კლუბი. მერე გახიზნული თავად-აზნაურნი წარმოგვიდგინა, რომელნიც იქაც არ იშლიან ძველებურ დროის გატარებას: ხედავთ, რა მხიარულადა ვართ, საფრანგეთის ბატონობა ხვალ ისევ ჩვენია!! წარმოგვიდგინა ყმაწვილი ქალები, რომელნიც თავიანთ ქმრებს დაეძებენ; ბერები, რომელნიც რაზმად შემდგარან, უგრეხ წოდებულ წითელ რაზმად, და საფრანგეთის ქალებს აპირებენ; წარმოგვიდგინა, რა მოუთმენლად ელიან გახიზნულები საფრანგეთიდან მიმავალ ფოსტას — მოურავი ფულს გამოგვიგზავნიდაო, და როგორ მოიწყენენ ხოლმე და იღრიჯებიან, როდესაც ფულის მაგიერ ცარიელი წერილი მისდით, რომელშიაც სწერია — თქვენი ბრწყინვალების სახლ-კარი და მამულ-დედული მართებლობამ ერის საკუთრებზედ დასდო.

მართლა საცინელი სანახავი უნდა ყოფილიყო დიდებული ფაშვნდიშვილი, რომელიც დაჩვეული იყო, ყველაფერი მზა-მზარეულად, უზრუნველად მირთმევოდა; და ახლა კი... ჯიბე ცარიელი და თანაც დუქნის ვალი, და ის დასალუპავი უზრდელი მედუქნე, რომელიც ისე დღე არ გათენდება, რომ თავი არ დაუკრას მის ბრწყინვალებას და ფულის თხოვნა არ დაუწყოს!

ყველაზედ სასაცილოდ გენერალ ბინდერს არდგენდა, რომელიც უნდა მოსულიყო და ჰკუაზედ მოეყვანა გაგიჟებული საფრანგეთი: „მე რომ ბელგიაში შევედი რევოლიუციის მოსას-

*) რაო? რაო?

პობლად; იკვეხდა თურმე გენერალი, „იმდენი პატრიოტი დავახვრეტინე და დავახრჩობინე, რომ ეხლა ბელგიისთანა დამშვიდებული ქვეყანა ერთი აღარსად იქნებაო.“ ყველაზედ უკეთესი ის იყო, რომ გახიზნულნი თურმე ისე დაბინავდნენ ვორმეს თავადის სასახლეში, როგორც საკუთარ სახლში და აზრადაც არ მოუვიდათ, ზრდილობის გულისთვის მაინც დაეკითხოთ პატრონსათ. ყველაზედ ძალიან ეს ამბავი ჰწყინდა, მეტადრე შოველს და ნათლია ჩემს.

გოსსარი ბევრს მოგზაურობდა და, საცა კლუბის კრებას დასწრებოდა, ყველგან უამბობდა გახიზნულების ამბავს. ეს რომ იცოდნენ, იმისთანა ალტაცებით მიიღებდნენ ხოლმე ყველგან, თითქო თვით მარატი ეწვიათო. იმოდენი ხალხი მიაწყდებოდა ხოლმე კლუბს იმის სანახავად, რომ ფასით რომ ყოფილიყო, ფულით აივსებოდა. მაგრამ გოსსარი კარგი პატიოსანი პატრიოტი იყო და მარტო იმასა ცდილობდა, პატრიოტები ესიამოვნებინა და თავისი ღვინოები გაესაღებინა.

ეს იმიტომ გიამბეთ, რომ უკეთა ნახოთ ვის აჭმევდა 1789 წლამდე გლეხი-კაცი თავის ნაშრომს. დასამტკიცებლად იმისა, რომ დიდებულნი მართლა ღირსნი იყვნენ დიდებისა, იმის პასუხს მოვიყვან, რომელიც შემდეგში მეფე ლუი XVIII-ედ იქმნა წოდებული: კანონმდებელი კრება სწერდა მას — დაბრუნდი თორემ ყოველ უფლებას აგხდითო. აი რა უპასუხა:

„ხალხო, საერო კრებად წოდებულო! გონება მოიკრიბეთ და დღეიდან ორი თვის შემდეგ ძველებურ წეს-წყობილებას დაუბრუნდით. თუ არა და, თუ ეს ვადა გაიყვანეთ და გონს არ მოხვედით, გიჟებად ჩაგრიცხავთ და საგიჟეთში დაგამწყვდევთ!“

აი რას იწერებოდა მეფე ლუი XVI-ეს ძმა, რომელიც ხალხს მეფის მოადგილეედ უნდოდა, თუ მეფე თქვენს ჭირს წაიღებსო. აი ამისთანა ჭკუის-კოლოფის სასიამოვნოდ სტანჯავდნენ ხალხს, სულ ახალ-ახალ გარდასახადს ადებდნენ და მეფისა და სასახლის ხარჯს კი მაინც ვერ ასდიოდა იმოდენი ფული; მეფობა რომ გადავარდა, ათასი მილიონი მეტი ვალი დარჩა, რომე-

ლიც ისევ ხალხმა გადჰიხადა. ხომ ამოდენი კაცი ვარ და ეხლაც ვერ გამიგია: რად ასულელებს სიმდიდრე ადამიანს? ისეთი გამოტვინებული, როგორიც ამ პასუხის მომცემი უნდა ყოფილიყო, ჩვენს სოფელში სულ უკანასკნელი გლეხი-კაციც არ იქნებოდა.

სულ ერთადაც რომ შეგროვილიყვნენ გახიზნულები, ლუკმად არ ეყოფოდნენ საფრანგეთს; მაგრამ ევროპელ ხელმწიფეებს ძალიან ეშინოდათ: ფრანგებს ჩვენმა ქვეშევრდომებმაც არ მიბაძონო,—და მიწის პირიდან ალგვას გვემუქრებოდნენ. ყველგან ომზედ-ღა ლაპარაკობდნენ. იაკობელების კლუბში დიდი კამათი ატყდა ომის შესახებ ბრისსოსა და რობესპიერის შორის. ბრისსო იძახდა, დღესვე უნდა შევისხათ იარაღი და გახიზნულთ და იმათთან ერთად პრუსსიის მეფეს და ავსტრიის იმპერატორს ომი გამოვუცხადოთო. რობესპიერი კი იმ აზრისა იყო, რომ გარეგან მტერზედ ერთი ათასად უფრო საშიში შინაური მტერი არის და,—რომ ციხე შიგნიდან არ გაგვიტყდეს,—ჯერ მოღალატენი უნდა ამოვხოცოთ, რომელნიც სამშობლოს არ ინდობენო. ეს იყო დედა-აზრი ორივეს სიტყვებისა; ეს სიტყვები დაბეჭდილი იყო და ათასობით ჰყიდდა შოველი; მოქალაქე, ჯარის-კაცი, ხელოსანი, გლეხი-კაცი ყველა იმასა კითხულობდა; შოველის დუქანში ხალხი ბუზივით ირეოდა და მარგალიტა ძლივს-ღა ასწრებდა მუშტრის გასტუმრებას.

კლუბში კი თანდათან მატულობდა ეს უთანხმოება აზრებისა და ბოლოს განხეთქილებაც გამოიწვია. დანტონი, დემულენი, კარრა, ბიიო დევარანი და სხვანი რობესპიერისკენ იყვნენ; ისინი ამტკიცებდნენ, მეფეს, დიდოფალს და გახიზნულთ ხსნა აღარა აქვთ, ან ქედი უნდა მოიხარონ ხალხის წინაშე, ან არა და ომით ეცადნენ დაკარგული დიდების აღდგენას; მაშასადამე, თუ კი მეფეს და მის მომხრეებს ომის მეტი აღარა დარჩენიათრა, ჩვენც ფთხილად უნდა ვიყვნეთ, დაუსვენებლივ ვემზადებოდეთ და ადვილად არაეის დავუთმოთ სისხლით შეძენილი უფლებანო. ბრისსო კი თავისას გაიძახოდა. ბრისსოს კანონმდე-

ბელის კრების წევრი იყო, რომელიც იაკობინელებს-კლუბშივით ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთ მხარეს „ჟირონდელები“ იყვნენ და მეორეს — „მთიულები“. მთიულებს უნდოდათ ჯერ შინაური, შინმყოფი მტერი დაემარცხებინათ და მერე გარეთ გაეტანათ ომი; ჟირონდელები კი იძახდნენ: ჯერ გარეთ მყოფ მტერს წავუტიოთ ბრძოლით და მერე შინ დავბრუნდეთო.

ლუი XVI ჟირონდელებისკენ იყო, რადგან ამით არაფერს წააგებდა: ომს დავიწყებდით; თუ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა, ეს გამარჯვება საკმარისს ძალას შესძენდა მეფეს, რომ რევოლიუცია შეეყენებინა, რადგან ჯარი ყოველთვის იმისკენ არის, ვინც გაიმარჯვა და გამარჯვებული ჯარი დააჯილდოვა; დავმარცხდებოდით და პრუსიის მეფე და ავსტრიის ხელმწიფე უნდა მობრძანებულიყვნენ, ჩვენში ძველი წეს-წყობილება აღედგინათ და ყველაფერი ისე მოეწყოთ, როგორც საერო კრებამდე იყო. ლაფაიეტსაც დიდი იმედი ჰქონდა, საფრანგეთი დამარცხდება და გამარჯვება მე დამრჩებაო; დიახ, ლაფაიეტს ნებავდა საფრანგეთის ტახტზედ ჩვენი მტრების წყალობით აბრძანებულიყო.

ჟირონდელები — ბრისსო, ვერნიო, გვადე, ჟანსონე და სხვანი მეფე-ლაფაიეტის საქმეს არიგებდნენ. მთიულები — რობესპიერი, დანტონი, კუთონი, ბიიო ვარენი, დემულენი, მერლენი (ტიონვილელი) და სხვანი ერის საქმეს არიგებდნენ. მე მათ შესახებ ამის მეტს აღარას მოგახსენებთ.

რაც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო ვრწმუნდებოდით, რომ უომრად ვერ გათავდებოდა ჩვენი საქმე და უფრო და უფრო უნდობლად უყურებდნენ მეფეს, ლაფაიეტს, მინისტრებს და იმათ გენერლებს. საშინლად ღელავდა ხალხი, ყველგან ხედავდა, რომ მინისტრებს და გენერლებს სულ სხვა მუცლის ტკივილი ჰქონდათ და ერს და მის მომავალს არც კი აგონდებოდათ. სწორედ ამ დროს ამოირჩია ლუი XVI მინისტრებად სულ ჟირონდელები. ამით საბოლოოდ წაიხდინეს ჟირონდელებმა საქმე და საბოლოოდ დაკარგეს ყოველი ნდობა ხალხისა.

მაგრამ მაგას ისტორიაში წაიკითხავთ. მე მინდა ჩვენი ქვეყნის ამბები მოგახსენოთ.

1792 იანვრიდან დაწყებული მარტამდე დღითი-დღე მატულობდა ამბები, რომ მტერი დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ შემოესევა ჩვენს მხარეს. ფალსბურგს ამაგრებდნენ; სიმაგრეზედ ზარბაზნებს აწყობდნენ; ძველ ციხეებს აკეთებდნენ და სათოფურებს უმატებდნენ. სამხედრო მინისტრი ბ. ნარბონი სამძღვრებზედ აგებულ სიმაგრეებს სინჯავდა და ცდილობდა, ისე მოეწყო იგინი, რომ მტრის შემაგრება შესძლებოდათ, სამშობლოს განსაცდელი ადგა.

შინ კი ჩვენი მტრები ისე გაგულისდნენ, რომ აღარავის ერიდებოდნენ, ვითომ სარწმუნოების დასაცველად, მაგრამ ნამდვილად კი ეგოისტობის დახმარებლად შემდგარი რაზმი კათოლიკეთა ერთი აჯანად იქცა; კონსტიტუციის ერთგულ მღვდლებს სდევნიდნენ, სადაც კი მოასწრებდნენ, მოუკვლელი არ გადარჩებოდათ; სახლში უვარდებოდნენ, აიკლებდნენ იქაურობას და, ასე გასინჯეთ, ბავშვსაც კი უჩეხავდნენ. სტრასბურგელი დეპუტატი შამადლა ჩიოდა იაკობელების კლუბში: ქვემო რეინზედ დღე არ გავა, რომ კაცის კვლა და ვისიმე სახლის ძარცვა არ მოხდეს, და მართებლობა ყურსაც არ იბერტყავსო. მართლაც, ორმოცდაათი მღვდელი მოეკლათ ამგვარად და, თუ გაბედავდა ვინმე და ამ ამბების შესახებ იტყოდა რასმე, იმასაც აპატიმრებდნენ. მეტადრე ქვემო ელზასში იყო გახშირებული ამგვარი „შემთხვევანი“, რომლების გამო ასსიგნაციებმა ფასში იკლეს—ასი ოთხმოცი და ათასი ლა გაიყიდა. არისტოკრატებსაც ეს უნდოდათ.

წარმოიდგინეთ, რა გაცოფებული იქნებოდა ხალხი? ამის შემდეგ განა-ღა საკვირველია, რომ შემდეგში სტრასბურგელმა ეპისკოპოსმა შნეიდერმა კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლების ჯავრი იყარა და დუჟინობით გზავნა გილიოტინაზედ—თავები დააყრევინეთო! საშინელება ა ჯალათის ხელობა, მაგრამ უარესი საშინელება კიდევ ის არის, რომ კაცმა ცხვარივით, კისერი წაუშვიროს—ამა, ყელი გამომჭერითო. აგრე რომ იყოს და არაფრის შიში არა ჰქონდეთ სისხლით გაუმაძღართ, დაილუპებოდა ქვეყანა; კიდევ კარგი, რომ ახსოვთ ბუნების კანონი—ვინც მოჰკლავს, მოკლულ იქნება.

ერთი სიტყვით, სადაც კი მოასწრებდნენ პატრიოტებს, ცოცხალს აღარ გაუშვებდნენ. იმავე დროს ყალიასაჭრით მოე-დვნენ ჩვენს ქვეყანას უცხოელნი ჯაშუშები და სხვა-და-სხვა ცრუ ამბავს და ყალბ ასიგნაციებს ავრცელებდნენ; ყალბ ასი-გნაციებს განიზნულები აკეთებდნენ. ცუდი დრო დაგვიდგა: ადამიანის ნდობა აღარსად იყო, მეტადრე უცხოელისა და კლუბშიც კი ისე გულახდილად ველარას ვამბობდით და წალხ-საც განურჩევლად ყველას აღარ ვუშვებდით: ვისაც უნდოდა, წინადვე უნდა ჩაწერილიყო.

ჩვენი სამჭედლო მშვენივრად მუშაობდა. ნათლია ჩემი იძახ-და, გაზაფხულზე ისევ პიკპოლცში გადავალო; სულ ომისთვის, და კიდეც უნდა წასულიყო, რადგან მარტში ჩვენში ჯეჯი-ლი ამოდის. მაგრამ მოაგონდებოდა, რომ შეიძლება ომი ატ-ყდესო და კვნესას დაიწყებდა: შემოგვესევიან განიზნულები პრუსიელებით და ავსტრიელებით, ახალ საბძელს დამიწვენ, და ყანებს დამითელენო; ან არა და დამიჭერენ და აქვე ჩემს მუხის ტოტზედ ჩამომახრჩობენო! მოუვიდოდა ბრაზი! მი-დი-მოდიოდა ბრაზმორეული და სულ არისტოკრების ლანძღვა-სა და წყევლაში იყო. არა, რა საჭიროა, რომ ვსხედვართ და მტრის შემოსევას ველით? ის არა სჯობიან, რეინზედ მივუხ-ტეთ, განიზნულები გავფანტოთ და მიწასთან გავასწოროთ ის თავხედი, რომელმაც იმათ ბინა და თავშესაფარი მისცა; ჩვენის სახლ-კარის გადაბუგვას და ჩვენი მამულების აოხრებას, იმათი სახლ-კარი დაიწვას, ის არა სჯობიან? ან ვინ აუვა იმოდენა ჯარს? თუ აქ იქნება ომი, პურიც ჩვენ უნდა ვაჭამოთ და ღვინოც ჩვენ უნდა ვასვათ! ჰო და, იქ მივუხტეთ, არა სჯო-ბიან? იმათი პური ვჭამოთ და იმათი ღვინო ვსვათ, არ გვირ-ჩევნია?!

ამ მხრივ ისიც ჟირონდელებისკენ იყო და ამტკიცებდა, ოღონდ ომი გამოცხადდეს, და სულ თავის ნებით წავლენ ჯარ-ში პატრიოტებით. თუ გაჭირდა, მე თითონ გავუძღვები ჩვენე-ბურს მილიციას და საარის მინდვრამდე ისე ჩავალ, რომ სულ გადავჭრელავ, რაც წინ დამიხვდება.

ალზასელნი და ლოთარინგელნი გლეხ-კაცები დიდი სიამოვნებით ისმენდნენ ნათლია-ჩემის სიტყვებს; სახეზედ კმაყოფილება ეტყობოდათ, სტოლს მუშტსა სცემდნენ და: „ბიჭო, ღვინო!... თან „წავა, წავასა“ მღეროდნენ.

ქროთ ნაპერწკალი და იფეთქებდა კიდეც.

ძალიან წვიმები დაიჭირა თებერვალში. ამბობდნენ, თესლი ლპება და კიდევ სიმშილი ჩამოვარდებაო. საშინელი სიძვირე იყო. დასავლეთ საფრანგეთში კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლებს ხმა დაეგდოთ—მეორედ მოსვლაა, ვერა ხედავთ, აღარც ღმერთი უნდათ და აღარც მეფეო! და ამით არეულობას გვიმზადებდნენ.

ჩვენი კლუბი ომის წინააღმდეგი იყო; შოველი ამტკიცებდა, დავიღუპებით, თუ ომი ატყდაო: კეთილ აზრს დრო უნდა მისცეთ, რომ ფესვი გაიდგას და გაიმაგროსო; ომი რომ ატყდეს, ჩვენს ძალღონეს სულ ავსტრიელებს შევალევთ და შინ კი ვეღარას გავხდებით; ჩვენ ეხლა ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ და ისე გავწმინდოთ ჩვენი ყანა, ისე გავმარგლოთ, რომ კეთილის თესლის აღმოცენებას და ზრდას არა უშლიდესრაო! სულ თანხმობას და ერთობას გვიქადაგებდა, რადგან კარგად ხედავდა, რომ ჩვენი მტრები სწორედ ამ გზით გვიპირებდნენ დაჯაბნას—ჩვენს განცალკევებასა ცდილობდნენ, თუმცა თითონ საკვირველი თანხმობით მოქმედებდნენ.

— ამ გაჭირებიდან ერთობა გვიხსნის, იძახდა შოველი, ამას ნუ დავივიწყებთ. ვიდრემდის პატრიოტები,—ხელოსნები, მოქალაქენი და გლეხ-კაცობა ერთად იქნებიან,—შიში არაფრისა ექნებათ, და თუ უთანხმოება მოუვიდათ რამე, მაშინ კი დავიღუპებით. თვით ქრისტე ღმერთიც ვეღარას გვიშველის! ისევ ისე ბატონყმობას შემოიღებენ და ზოგისთვის სამოთხე იქნება სიცოცხლე, ზოგისთვის კი ჯოჯოხეთი.

სრულს ჭეშმარიტებას გვეუბნებოდა და დრომ დაამტკიცა, რომ ეს სიტყვები უნაყოფოდ არ დარჩნენ, რადგან ყველა პატრიოტები ერთსულ და ერთხორც იბრძოდნენ არა მარტო

საფრანგეთის თავისუფლებისთვის, არამედ მთელი კაცობრიო-ბის განთავისუფლებისთვის.

ლაფაიეტის და იმის მეგობრების — ბაილის, დიუპორის და ორ ძმა ლამეტის — ხსენებაც ალარსად იყო; ხმა დადიოდა, მეფისაგან შესყიდულნი არიან და ხალხს საქმეს უცარავენო. როდესაც მეფემ კონსტიტუცია მიიღო, ლაფაიეტმა მილიციის წინამძღოლობა ალარ ინდომა და სამსახურს თავი დაანება. უნდოდა პარიზის მამასახლისად ყოფილიყო არჩეული, მაგრამ პარიზელებმა პეტიონი აირჩიეს და გაჯავრებული ოვერნში წა-ვიდა.

„მიკრიკი, ხალხის მოსარჩლე, იაკობელების კრება“ და სხვა გაზეთები, რომლებიც შოველს მოსდიოდა, ყურადღებასაც არ აქცევდნენ მის წასვლას. სწორედ იმ დროს იყო, რომ კა-ნონმდებელმა კრებამ ბრძანება მისცა ტრევერ და მაინცულ თავადებს, მანდ შემოხიზნული ფრანგები დაითხოვეთო. იმათ უპასუხეს, ჩვენ საფრანგეთისაგან არავითარ ბრძანებას არ მი-ვიღებთ: ჩვენი ქვეყანა და მასთან ერთად ალზას-ლოტრენიც ყო-ველთვის გერმანიისა ყოფილა და ეხლაც გერმანიისა უნდა იყო-სო. ხელმწიფე ლეოპოლდმა გამოაცხადა, თუ გაბედა საფრან-გეთმა და ტრევერ და მაინცულ თავადებზედ ძალით მივიდა, პასუხს ჩემგან მიიღებსო. ამაზედ მეფემ ხელმეორედ შეუთვალა, თუ 15 იანვრამდე გახიზნულნი არ დაფანტულან, იძულებული ვიქნები ძალით აგასრულებინოთ ჩემი სურვილიო. კანონმდე-ბელმა კრებამ სამშობლოს მოღალატედ აღიარა გახიზნულნი — მეფის ძმები, უგანათლებულესი თავადი კონდე, მირაბოს უმ-ცროსი ძმა და სხვანი. იმავე დროს ჯარის შეკრებას შეუდგნენ და ას ოცდაათი ათასი კაცი გაიყვანეს საზღვრებზედ, რომელ-თის წინამძღოლობა ლიუკნერს მიანდეს, მერე ლაფაიეტს და შემდეგ როშამბოს.

დღითი დღე ველოდით ომის გამოცხადებას, მაგრამ მარ-ტამდე არა მომხდარა რა, გარდა იმისა, რომ მეფის ოქრომხრენი ცოფს აყრიდნენ იაკობელების ფლუბს და თავიანთ გაზეთებ-ში იაკობელებს ლანძღავდნენ. მეტს ვერას ბედავდნენ, რადგამ

იმათ! ვინ ჩივის? იაკობინელებს აღარც ჟირონდელებზე ინდობ-დნენ, მაგალითად ბარნავი, ანდრე შენიე და სხვანი; იაკობე-ლები კი პასუხსაც ჭრავის აძლევდნენ, რადგან ღირსად არა სთვლიდნენ მათთან კამათს. ნამდვილი ბრძოლა იყო ატეხილი მთიულების და ჟირონდელების შუა; 1792 თებერვალში და-იწყო და იმისთანა ცხარი იყო ეს ბრძოლა, რომ მარტო მაშინ გათავდა, როდესაც ერთი პარტიათაგანი სრულიად ამოწყვი-ტა მოწინააღმდეგემ.

მას შემდეგ, რაც ქვეყანა არსებობს, იქნება სხვა დროს არასოდეს არ ექნეთ ისე ომი, როგორც იმ დროს იყო; ვისაც კი ქუდი ეხურა, იძულებული იყო თავისი აზრი გამოეთქვა, ომი უნდა ან არა; რადგან ამაზედ იყო დამოკიდებული ჩვე-ნი სიცოცხლე, ჩვენი უფლებანი, ამოულეველი და ოჯახის და სამშობლოს ბედ-იღბალი.

პარიზელებს და მათთან ერთად მთელს საფრანგეთს გა-დაწყვეტილი ჰქონდათ, ძირფესიანად ამოეგდოთ და გაენადგურე-ბინათ ყველა, რაც კი ხელს უშლიდა და ემუქრებოდა მათ; გადაწყვეტილი ჰქონდათ, სისხლით შეძენილი საკუთრება და უფლებანი ცოცხლებს ფეხით ჭრავისთვის დაეთმოთ და იმისთა-ნად სძულდათ თავიანთი მოწინააღმდეგენი, რომელნიც ეშმა-კობით და ფლიდობით მათს მოტყუებას და დაჯაბნას ცდი-ლობდნენ, რომ, რაღა თქმა უნდა, შეეძლებოდათ, თავს დასცემოდნენ და ერთ დღეს ყველას, დევნებულთ და კონსტიტუციის მოწი-ნააღმდეგე ბერებს და მღვდლებს გადასწყვეტდნენ მთელს საფრანგეთ-ში. მაგრამ სწორედ ამ დროს მოკვდა ავსტრიის ხელმწიფე ლეოპოლდი და მისი გონება ცოტა ხნით მაინც იმან მი-იპყრო; ლეოპოლდს 40 ათასი კაცი ბელგიისკენ გაეგზავნა, 20 ათასი რეინისკენ, მაგრამ აღარ დასცალდა, ქვეყნისგან მისუს-ტებულს რაღაც საწამლავი მისცეს, მთავრობის უფლებისთვის და თქვე-ნიერობას წაერთვა.

[illegible] მეფე მაშინ იმისი შვილი დაემკვიდრა, ფრან-ცუა, უნგრეთის მეფე, უფრო ქკვიანი და წინდახედული კაცია და შეიძლება მოვიდეს გერმანიის ტახტზე აბრძანდებოდეს, ჩვენი

სამძღვრებიდან ჯარები უკან შეაბრუნოს, რადგან ჩვენი სტუმრები იმას სრულიადაც არ შეეხებიანო; მაგრამ ეს იმედიც გაგვიცრუვდათ: ჯერ არც კი ასულიყო ტახტზედ, რომ თავისი არისტოკრატების და ბერების რჩევით კანონმდებელ კრებას შემოუთვალა: ალზასი მე უნდა დამითმოთ, საფრანგეთში ძველებურად სამი წოდება განაახლოთ და ეკკლესიას თავისი მამულები დაუბრუნოთო.

ეს კი მეტის-მეტი იყო! იქნება თავისი საკუთარი ქვეშევრდომნი ვეგონეთ, რომ ერთი კი ვსთქვა, და ჩემს ბრძანებას წინ რა უდგასო? როდესაც ეს თავხედური მოწერილობა გავიგეთ, მთელი ერი აღშფოთდა და პირად შეურაცხყოფად მიიღო საერო კრების შეურაცხყოფა. ბრაზი მოგვერია, სისხლი გვიდუღდა და თუმცა შოველი თავისას გვეჩიჩინებოდა,—ფრთხილად იყავით, ომი საუკუნოდ დაგვღუპავსო, ომით მარტო მეფეები ისარგებლებენ და ხალხი კი არაოდეს; რადგან ვაჯობებთ თუ გვაჯობებენ, სულ ერთია, შუაში ხალხი გაისრისებაო!—ჩვენ იმისი აღარა გვესმოდა-რა და 23 აპრილს ჩვენს კლუბში ერთხმივ ვიძახდით, ბრძოლა, ბრძოლა მამაპაპურო! ნათლია-ჩემს უნდოდა იმ საღამოს კლუბისთვის წინადადება მიეცა—კანონმდებელ კრებას ვთხოვოთ, ომი გამოუცხადოს ხელმწიფე ფრანსუასაო; თვით შოველის წინააღმდეგ ვილაპარაკებო,—იძახდა,—და ვუსაყვედურებ, რომ ქვეყნის კეთილდღეობით გატაცებული ქვეყნის დიდებას აღარად აგდებს და ერისთვის კი უმთავრესი და უძვირფასესი განძი სახელი და დიდება არისო.

მე კი ხან ბრაზი მომერეოდა და ნათლია-ჩემისკენ ვიყავ, ხან დავუფიქრდებოდი ჩვენს ყოფას და შოველს ვამართლებდი..

ამ დღეს დილიდან საღამომდე იწვიმა. მოქუფრული ცა გულს უფრო გვიღონებდა; საქმეზე გული ვეღარ დაგვემყარებინა; დავდიოდით და ლანძღვას და მუქარას ვუთვლიდით იმათ, ვინც ასე ამცირებდა ჩვენს ქვეყანას. ბოლოს რვის ნახევარზედ აჭიჭყით და ფალსბურგის გზას გავუდექით. [illegible] ტალახში ვტოპეთ; თავს კოკისპირული წვიმა დაგვდიოდა, მაგრამ

მძინრე არ დავიშალეთ; წინ ნათლია-ჩემი მიდიოდა თავის წითელი ქოლგით, მერე ლეიტუმიე და სხვა პატრიოტები.

ფალსბურგში რომ ჩავედით, დავრწმუნდით, რომ იქაც ისეთ ღელავდა ხალხი, როგორც ჩვენში. ყველანი ფეხზედ იყვნენ, გაფაციცებულნი დადიოდნენ და ათრთოლებული ხმით მოკლედ უჭრიდნენ ერთმანეთს სიტყვას. ვეეგონა, ამაღამინდელი კლუბის სხდომის გამოა ეს ამბავიო, მაგრამ რაკი მოედანზედ გავედით, სულ სხვა ვნახეთ: მოვლის დუქანი ღია იყო და შიგ იმოდენი ხალხი შეგროვილიყო, რომ ქუჩაშიაც კი ძნელად თუ გაივლიდა ვინმე; მარგალიტა სკამზედ იდგა და რაღაცა გაზეთს აფრიალებდა.

მათუსალას ოდენი რომ ვიცხოვრო, მაინც თვალ-წინ მეყოლება ჩემი მარგალიტა ისე, როგორც მაშინა ვნახე: შავგვრემან პირისახეს იქვე ჭერზედ ჩამოკიდული ლამპარი უნათებდა, თვალები ელვასავით უბრწყინავდა. გაზეთს თურმე უკითხავდა ხალხს, რომელსაც ტალახში ამოსვრილები მივედით და ვცდილობდით იდაყვით გაგვეგნო გზა დუქანში შესასვლელად; ჩვენს მისვლაზედ და მეტადრე იდაყვის ცემაზედ ხალხში ხმაურობა ატყდა. მარგალიტა ჩვენკენ მობრუნდა და დაგვიძახა:

— მოისმინეთ! აი საერო კრების განცხადება, ამას თვით საფრანგეთი ბრძანებს! — და კითხვა დაიწყო:

„კანონმდებელი საერო კრების განცხადება.

„რადგან ავსტრიის მართებლობამ, მიუხედავად ერთაშორისო კანონმდებლობისა და ხელშეკრულობისა, ბინა მისცა და ხელი შეუწყო საფრანგეთის მტრებს; რადგან იგი კავშირით შეეკრა ევროპელ ხელმწიფეთ, რომ საერთო ძალით საფრანგეთის ერის თავისუფლება შეავიწროვონ; რადგან ფრანსუა II-ს, მეფეს უნგრეთისას, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, არ სურს იგი კავშირი დაარღვიოს; რადგან მიუხედავად ხელ-შეკრულობისა, რომლითაც სამძღვარზედ არც იმან და არც ჩვენ მეტი ჯარისკაცი უნდა გვყოლოდა, ვიდრე მშვიდობიანობისა დროს არის ხოლმე — იგი უფრო და უფრო უმატებდა თავის სამხედრო ძალას; რადგან მან [illegible] და საფრანგეთის ერის

თვითმართველობას უკვე შეეხო, მოწყრილობით, რომლითაც გვითვლიდა — ალზას-ლორენი გერმანელებისაა და აქვა საფრანგეთისაო, თუმცა ალზას-ლორენის სამაგიეროდ დიდიჩანია იხდის ჩვენი ერი; რადგან იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ საფრანგეთის შვილთა შორის და აგრეთვე ჯარშიაც მტრობა ჩამოაგდოს და ერთი ერთმანეთს შეაბრძოლოს, რისა გამო ჩვენი ქვეყნიდან გახიზნულთ ჩვენს მტრებს თავის შეწევნას და დახმარებას არ აკლებს; რადგან საფრანგეთის მეფის დეპეშებზე იგი არავითარს პასუხს არ იძლევა და, მაშასადამე, მშვიდობიანი სჯითა და მოლაპარაკებით ორ ერთა შორის უთანხმოების აცილებას შეუძლებელ ხდის, რაიცა ეთანასწორება ომის გამოცხადებას,

საერთო კრებამ დაადგინა“:...

სისხლი თავში ამივარდა და შევძახე:

— საერთო კრებას გაუმარჯოს!

და იმოდენა ხალხმა ერთხმივ გაიმეორა ჩემი ძახილი. მარგალიტა ჩემკენ მობრუნდა და გახარებული ღიმილით გადმომხედა; მერე ხელი დაუქნია ხალხს და დაუძახა:

მოისმინეთ, ჯერ არ გამითავებია!

„საერო კრებამ დაადგინა: საფრანგეთის ერი, ერთგული აღმასრულებელი თავის კონსტიტუციის საფუძვლად დადებული პრინციპებისა, რომლითაც იგი არ იკადრებს ომი აუტეხოს ვისმე იმ მიზნით, რომ მიწა წაართვას რამე ან თავისუფლება; საფრანგეთის ერი, თუ იარაღს აიღებს, მარტო იმ მიზნით, რომ საკუთარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაიცვას; საფრანგეთის ერი თავისდა უნებურად იძულებულია ომი გამოუცხადოს არა ავსტრიელ ერს, არამედ ავსტრიის ჰერცოგს, რომელმაც განიზრახა თავისუფალი საფრანგეთის შეურაცყოფა; საფრანგეთს კარგად სცოდნია და კიდევაც კარგად იცის მტრის და მოყვრის გარჩევა და ამიტომ იგი ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ თავის მოყვრებს ომის შედეგები შეუმსუბუქოს და ცეცხლი და მახვილი და ყოველივე საშინელება ომისა იმათ სახლსა და მამულში შეიტანოს, ვინც თავისუფლებას მოსპობას ამ-

ხელდებულნი; საფრანგეთის ერი ძმურად მიიღებს ყოველ უცხო ქვეყნელს, ვინც კი მის დროშას ამოუდგება და შეძლებისა და გვარად თავისუფალი ერის თავისუფლების დაცვას ემსახურება; იგი ყოველ საშუალებით ეცდება ეს უანგარო თანაშემწენი თავის ერთგულ შვილთა შორის დაასახლოს და მით ცხოვრება გაუადვილოს.

სანამ კრება ამით ომს უცხადებს ფრანსუა პირველს, მეფეს უნგრეთისას“.

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს! გაისმა ყოველი მხრიდან; ჩვენი ქუჩიდან მოედანზედ გავიდა ეს ძახილი, მერე ჯარის ბინაზედ და იმ წამსვე ფანჯრები გააღეს ჯარის-კაცებმა, გადმოდგნენ და ცხვირსახოცის ქნევა დაიწყეს; ძირს დარაჯებს ქუდები თოფებზედ წამოეცვათ და ისე ათამაშებდნენ. გამვლელ-გამომვლელი ერთმანეთს ჰჩერებდნენ და ულოცავდნენ:

— გაიგეთ? ომი გამოცხადებულია!

ცრიოდა, წვიმდა და ჩვენ კი ყველანი ვიწოდით. მარგალიტა ჩამოსულიყო სკამიდან და მეც იმისკენ გავეშურე. დამინახა თუ არა, შორიდანვე ჩემკენ წამოვიდა, ხელი ჩამომართვა და ჯერ ისევ წელანდებური, ათრთოლებული ხმით შემომძახა:

— მაშ უნდა ვიომოთ რაღა, მიხო?

— მით უკეთესი. მეც მამიშენივით წინააღმდეგი ვიყავი ომისა, მაგრამ რაკი ბრძოლა სწვამ აგვიტეხა, ჩვენც ვაჟკაცურად დავუხვდებით და ჩვენს უფლებას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე არავის შევალახვინებთ.

მისი ხელი ჯერ ისევ ხელში მეჭირა და გაკვირვებით შევყურებდი, რადგან ასე მშვენიერი და გულწარმტაცი ჯერ არასად მენახა ჩემი მარგალიტა. ამ დროს შოველიც შემოვიდა; თავშიშველი იყო, წურწურით წყალი სდიოდა; თან ხუთი თუ ექვსი საუკეთესო პატრიოტი შემოჰყვა.

— ბიჭო, თქვენც ჩამოსულხართ! — შემოგვძახა, ჩვენ რომ დაგვინახა; — მე შეგონა წვიმას შეუშინდებოდით. მით უკეთესი! უფრო კარგად და დალაგებით დავუკვირდებით ჩვენს მდგომარეობას.

— მაშ აგრე რაღა? — შეჰყვირა ნათლიაჩემმა, — უომრად მაინც ვერ გადავრჩით?

— დიაღ, — უპასუხა გაჯავრებული კილოთი შოველმა. — ხომ იცით, მე წინააღმდეგი ვიყავი ომისა, მაგრამ რაკი გვაიძულებენ და ძალად გვაომებენ, ვეცდებით ისე დავუხვდეთ, რომ მეორედ აღარავინ გაბედოს ეს თავხედობა. აბა, მობრძანდით!

და ჩვენს კლუბში შევედით, იქვე დახურულ ბაზარში. ხალხით სავსე იყო იქაურობა. შოველი თავმჯდომარის ადგილს ჰყვიდა; ჩვეულებადა ჰქონდა, იჯდა და ისე განაგებდა კლუბის კამათს; იმ საღამოს კი არ დამჯდარა; ათრთოლებული ხმით, რომელიც მოედნის ბოლომდე ისმოდა, დაიწყო თავისი სიტყვა: „ხომ მოგეხსენებათ, მე ომი არ მინდოდა, რადგან თავისუფლების შემდეგ ადამიანს კეთილ-დღეობას ისე არაფერი შესძენს, როგორც მშვიდობიანობა; მაგრამ ამ ჟამად ომი უკვე გამოცხადებულია და ყველა მამულისშვილი სამშობლოს გამარჯვებისთვის უნდა ზრუნავდეს; შერცხვენილი იყოს, ვინც დღეს სხვას იზრუნავს რასმე, ვინც განსაცდელში მყოფ სამშობლოს არ შესწირავს თავის ქონებას და თვით სიცოცხლესაც!

„სხვა დროსაც ბევრი გვქონია ომი, მაგრამ ამგვარი ჯერ ისტორიაში არა მომხდარა-რა: ამ ომზედ არის დამოკიდებული, თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი, თუ მონა; სამართალი უნდა განაგებდეს ქვეყანას, თუ უსამართლობა; ძველებურად დიდებული და ძლიერი უნდა იყოს ჩვენი სამშობლო, თუ დამცირებული და შერცხვენილი. ნუ წარმოიდგენთ, რომ ერთი ბრძოლით გათავდეს ყველაფერი; არა, რაც ძალ-ღონე გაქვთ, ეხლავ მოიკრიბეთ, რადგან შეიძლება რამდენიმე წელიწადიც გავატაროთ ბრძოლაში; ევროპას მტარვალები განაგებენ და რასაკვირველია ეცდებიან ჩვენს დამარცხებას, რომ იმათ ქვეშევრდომთაც ჩვენ არ მოგვბაძონ“.

„მართალია, ვინც თავისუფლების დასაცველად აიღებს იარაღს, თუნდა ნიაღვარივით დაღვაროს ადამიანის სისხლი, და მართალი არ არის, ვინც იარაღს სხვის უფლების შესალახავად აიღებს. სიმართლე ჩვენკენ არის და მაშასადამე გამარჯვებაც ჩვენკენ უნდა იყოს“.

შემდეგ ამისა ისიც გვითხრა, რომ ამ ომში ჩვენ მხრივ მარტო ჯარები კი არ უნდა იბრძოდნენ: თუ გამარჯვება გვინდა, ჯართან ერთად მამულიშვილნიც უნდა შეებრძოლნენ ჩვენს მტრებს, ზარბაზნებით და ხანჯლებით კი არა, შთაგონებით, კეთილი გულით და სიყვარულით; უნდა მივიდეთ და კარგიც შევთავაზოთ, ავიც; რაც უნდა გაუნათლებელნი და უვიცნი იყვნენ, მაინც დარწმუნდებიან, რომ ჩვენ ტყუილად გვებრძოდნენ, რომ ჩვენ იმათი მონობის მქნელი ჯაჭვების დამსხვრევა გვინდა! მაშინ კურთხევას დაგვიწყებენ, ჩვენ შემოგვიერთდებიან, და ყოველგან ადამიანის უფლება ღვთიურ სამართალზედ იქნება დამყარებული. ეს ომი კი არა, კონსტიტუციის და ძმობის, ერთობის, თავისუფლების ქადაგება იქნება, ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენს ჯარს წინ კარგი წიგნი და კარგი სიტყვა მიუძღოდეს, რომ ბრძოლის წინ კავშირი და ერთობა ჩავნერგოთ დაჩაგრულ ხალხის გულში.

ბოლოს იმ მოღალატეებს შეეხო, რომელნიც შინ იყვნენ და უკანიდან გვითხრიდნენ ორმოს, იმათ მოგონებაზედ ფერი წაუვიდა: აი სად არის ამ ომის საშინელებაო, დაიძახა მოველმა; თუ თავიანთი საზიზღარი საქციელი არ მოიშალეს, პატრიოტები იძულებულნი ვიქნებით, ისე მოვექცეთ, როგორც ცოფიანს ძაღლს, თუ არა და სამშობლოს განსაცდელისგან ვერა იხსნის-რაო.

ჩემი თვალით რომ არ მენახა, ჩემს დღეში არ დავიჯერებდი, რომ მოველს ტირილი შეეძლებოდა; მაგრამ ჩემი თვალით ვნახე: გული აუჩქროლდა, ხმა აუთრთოლდა და უკანასკნელი სიტყვები იმისთანა ხმით წარმოსთქვა, რომ ყრუანტელმა დაგვიარა ტანში:

— მაშ, სისხლი სწყურიანთ რაღა, იმ უბედურებს! ასჯერ მეტჯერ შევთავაზეთ მეგობრული განწყობილება და მშვიდობიანობა, აი დღესაც, დღესაც კი ხელი იმათკენა გვაქვს გაშვერილი და ვეხვეწებით: ძმანო, რა გვაქვს საჩხუბარი? მოდით თანასწორნი ვიყვნეთ ყველანი! დავივიწყოთ ძველი უსამართლობა, ძველს ნუღარ გავიხსენებთ, დღიდან ახალს ნუღარ ჩაი-

დენთ! უარჰყავით თქვენი უპირატესობანი, რადგან ბუნების წინააღმდეგია ადამიანის ადამიანზედვე გაბატონება“! მერე ისინი რას გვიპასუხებენ: „არა! თქვენა ხართ ჩვენი აჯანყებული მონები! ღმერთმა თქვენ იმიტომ გაგაჩინათ, რომ ჩვენს წინაშე მუხლის თავებზედ ცოცავდეთ და თქვენი შრომით ჩვენ გვინახავდეთ; ჩვენ ჩვენსას გავიტანთ! ყველას ვიზამთ, ყველას ვიკადრებთ და ჩვენსას კი გავიტანთ! სამშობლოს მტრებს შევუერთდებით, თქვენში უთანხმოებას ჩამოვაგდებთ, ზოგს ფულით გავარიგებთ, ზოგს ღალატით და თქვენ კი ისევ უღელს დაგადგამთ!“ ჰო-და თუ კი ისინი ყველა საშუალებას ხმარობენ, რომ ისევ ძველებურად დაგვიმონონ, ჩვენ რაღად უნდა გვამტყუნებდნენ, რომ ჩვენც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ და ჩვენი თავისუფლება კი არავის შევავიწროვებინოთ?! გაუმარჯოს, მამულიშვილნო! ყველამ თავისი მოვალეობა იცოდეს! ყველა მზად იყოს და დავუძახოთ თუ არა, მაშინვე გავიდეს სამშობლოს სამსახურისთვის. ერთად ვიყვნეთ და ერთხმივ შევძახოთ მტერს: „სიცოცხლე თავისუფალი, ან სიკვდილი სახელოვანი!“

გაათავა და ჭექა-ქუხილივით გაისმა ხალხის თანაგრძნობა. ვისაც ამისთანა არა უნახავს-რა, ვერ წარმოიდგენს, როგორ ღელავდა ხალხი. ერთიმეორეს, ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ; ხელოსანი, მოქალაქე, გლეხი-კაცი ერთმანეთს ძმობას უფიცავდნენ; მთელს საფრანგეთს ორ ნაწილად-ღა ჰყოფდნენ — პატრიოტებად და არისტოკრატებად, რომ პირველნი ჰყვარებოდათ და მეორენი ზიზღით და მუქარით ეხსენებინათ. საშინელი ყოფილა სამშობლოსთვის ატირებული ჭაბუკი!

ორატორის შემდეგ სხვებმა ილაპარაკეს; ჩვენმა მასპინძლისამ ბუალომ, პერნეტმა, ...ენმა და სხ. მაგრამ იმოდენი შთაბეჭდილება ხალხზედ ვერავინ ვერ მოახდინა.

იმ ღამეს ძალიან გვიან ავედით შინა. ისევ ისე წვიმდა. გაჩუმებულნი მივდიოდით და მომავალ ომზედ ვფიქრობდით. მარტო ნათლია-ჩემი ლაპარაკობდა, ისიც ხანდახან, თითქო მოაგონდა რამე და ეშინიან, არ დაავიწყდესო: „უმთავრესი ის არის,

რომ გენერლები ნამდვილი პატრიოტები იყვნენ და არ გვიღალატონო! და მართალსაც ამბობდა, რადგან გენერლები მეფეს უნდა დაენიშნა და, წარმოიდგინეთ, რა ნდობა უნდა გვქონოდა ჩვენ მეფისა და იმის წყალობის მოსურნე გენერლებისა? მივდიოდით გაჩუმებულნი და თან გული გვიწუხდებოდა: ხომ გაგვყიდეს, ხომ დაგვღუპეს, იმათ როგორ უნდა მივენდოთო? განა შოველი მართალს არ ამბობდა, ჩვენ თუ დაგვამარცხებს, ღალატი დაგვამარცხებსო. ათასი ამნაირი სხვა ფიქრი მიტრიალებდა იმ დროს თავში და გარდა ამ საზოგადო ფიქრებისა ჩემი საქმეც საკმარისად მაფიქრებდა: ვხედავდი, რომ ჩემი ცხოვრება უნდა შეცვლილიყო; რომ მეც უეჭველად ჯარში წამიყვანდნენ და ჩვენი ღარიბი ქოხის და მარგალიტას გვერდით ჩემს გულში დიდებული სამშობლოს სიყვარული იჭერდა ალაგს.

ამ ფიქრებით მოცული ავედი სახლში. შოველის სიტყვები მახსოვდა—რამდენიმე წელიწადი გასტანს ეს ომიო, მაგრამ ვერც მე და ვერც ნათლია-ჩემი და ლეტუმიე ვერ წარმოვიდგენდით, რომ ოც და სამს წელიწადს გასტანდა ომი, შიგ ევროპის ყველა ხალხები ჩაერეოდნენ თავიანთი მეფეებით და ხელმწიფეებით, და ყველანი ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდებოდნენ, რადგან ჩვენ გვინდოდა ჩვენთან ერთად ყველანი განთავისუფლებულიყვნენ; რას წარმოვიდგენდით, რომ მთელი ევროპა ჩვენს წინაამდეგ ადგებოდა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ გავბედეთ და ადამიანის უფლებანი მის ბუნებრივ კუთვნილებად ვაღიარეთ. ხომ დამეთანხმებით, რომ ამისთანა უგუნურება წინააღმდეგია ბუნებისა და ძნელი დასაჯერებელია, მაშინაც კი, როცა საკუთარი თვალით გინახავს იგი.

# ანდაზები

სამეგრელოში შეკრებილი

თ. სახოკიას მიერ

1. ანაკლიაში ერთს კაცს შემწვარი თევზი მოჰქონდათ. (ანაკლია სამეგრელოშია, ზღვის პირად, ბევრი თევზი იცის).
2. ბრმას ცოლის სიკვდილი რად უთხრათ, — გვერდით რომ ვერ მოუწვება, მკვდარი არ ეგონება?!
3. თვალსა და თვალს შუა ცხვირი რომ არ იყოს, ერთმანეთს დასჭამდნენო.
4. ერთი-მეორის ცქერით ძმების სახლი დაეწვათ.
5. მღვდელი თუ გაკრიჭო, კარგად გაკრიჭე.
6. წვირზე დაბადებულს წვირზე სიკვდილი ურჩევნია.
7. მწევრებისაგან მოღლილი კურდღელი მეძებრებმა დაიჭირესო.
8. ცხვრის დუმის უკან დევნით ტურა დაიღუპაო.
9. სხვის ხელით ჯოხი მსუბუქი სასროლია. (მახვაშ ტახას ღუჭი ჟინი იუჩათამალირე).
10. გლეხი ხატს შეეხვეწა და ბატონის სახლი დაუწვაო.

## „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები

### XLII

ავთანდილ რომ ტარიელისას მივიდა, ასმათ გამოეგება და, რომელსაც გმირმა თავის მეგობრის ამბავი ჰკითხა, ქალმა უპასუხა: «რა წასვლა, გაიჭრა; ქვაბს ყოფა მისჭირდა ვითა; აწ მისი არა არ ვიცი, არ ნახვით, არც ამბავითა.» რასაკვირველია, ეს ამბავი ავთანდილს არ ეამებოდა,—«ემა დაჭმუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა»,—და სიტყვის გაუტანლობისათვის ტარიელის ყვედრება დაიწყო, რადგან ტარიელ მოცდას დაჰპირდა და უმტყუნა. ავთანდილის სამდურავის პასუხად ასმათ თავისს პატრონს ამართლებს, და მისი შესანიშნავი პასუხი პოემის ტექსტში ესრეა შემოღებული (გვ. 188—190):

841. კვლავ ქალი იტყვის: „მართალ-ხარ მაგისა დამძიმებასა,
მაგრა რა გაბრაკო მართალი, ნუ მეჭვ რასაცა თნებასა:
არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?—
იგი უგულოდ მოელის მართ დღეთა შემოკლებასა.

842. გულისცნობა და გონება ერთმანერთზედან ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
უგულოდ კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.—
შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან.

843. შენ უმართლე ხარ, ემდურვი, შენ გაეყარე ძმობილსა,
მაგრა ვით ითქმის, ვით გახდა, ვითა გიამბო ცნობილსა;
ენა დაშვრების, გაცვდების, გულსა შეელმის ლმობილსა;
მას მით ვახრობ, მინახავს მე უბედურსა შობილსა.

844. უჯერდ მისი მზგავსი სასჯელი არცა ვის ამბად სმენია;
თუ არ კაცთაცა, სასჯელი ქვათაცა შენაძრწენია,

*) იხ. „მოამბე“ № IX, 1897 წ.

დიჯლადცა (?) კმარის, მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია,—
თვით რაცა ჰბრძანოთ, მართალ-ხართ, სხვა სხვისა ომსა ბრძენია.

845. მას წარმავალსა ვკითხევდი, დამწვარსა, ცეცხლ-მოდებულსა:
„მოვიდეს, რა ჰქმნას ავთანდილ? მისსა დამვედრე დებულსა".
მიბრძანა: „მოლამნახვიდეს მე, მისთვის გაცუდებულსა,
„ამათ არ დავყრი არათა, არ გავტეხ მის ქადებულსა.

846. „მას ზენარსა არ გავუტეხ, მას ფიცსა არ ვეცრუები,
„მას პაემნამდის მოვუცდი, რაზომცა გამდის რუები;
„თუ მკვდარი მნახოს, დამტიროს, სთქვას ვაგლახი და უები;
„ცოცხალი დავხვდე, უკვირდეს,—სიცოცხლე არს სათუები".

847. ჩემთვის გაჰრდახდა მას აქეთ გაყრა მზისა მის ქალისა,
ოდენ მოდენა ცრემლისა მჭირს, ველთა მოსალბედისა,
მსჯის გამრავლება ჭირ-ქმნილსა ყულ-თქმისა ზედა-ზედისა,
დავეწყებივარ სიკვდილსა, ჰნახე ნაქმარი ბედისა.

848. ესე არ-კი მართალი ჩინს ქვასა ზედან სწერია:
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია;"
აწ ზაფრანაა, ვის წინა ვერ ვარდი ჰგვანდეს, ვერ ია;
თუმცა მოჰნახავ, მოჰნახე, ჰქმენ რაცა შენი ფერია."

ტარიელის გასამართლებლად ასმათისაგან თქმული სიტყვა თავისთავ დამარწმუნებელი ძალითა და მჭევრ-მეტყველებით არაფერში ჩამორჩება ავთანდილის ენაწყლიანობას; უმეტეს რომ ამ სცენის შემდეგ გამოიჩენს, როდესაც სასოწარკვეთილად განსრულებს ტარიელს ჭვრო-ვებს, მოასულიერებს და დამშვიდებულს და სიცოცხლესთან შერიგებულს კი თან წამოიყვანს. მაშინდელი ავთანდილის სიტყვა მოხერხებული, გონება-მახვილი, მომხიბლავი, პოეტმა სამართლიანად დაახასიათა მოსწრებულის ლექსით: «გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო.» (ს. 895, გვ. 199). ასმათის სიტყვა, მართალია, ავთანდილისებურ ხელოვნებას არ არის შეწყობილი, მაგრამ, ნახეთ, რა ფიცხი, წრფელი, აღტაცებული და გულის-წამლებელი: ავთანდილმა თავისის ენამჭევრობით ცხედს-მიხდილი, დაუძლურებული და ნება-მოკლებული კაცი გადიბირა, უნდომლობა დაიყოლია, უძრაობა შეძრა; ქალი კი ცნობიერსა და გამწარებულს მოყმეს შეეცილა, რომელიც სამართლიანის საყვედურით და ბრალ-დამდების

საბუთებით აღჭურვილი იყო, და არამცთუ დაამარცხა ფავლის მოწი-მეთე — იქამდისაც მიიყვანა, რომ წარმოთქმული სამდურავი შეანანინა და იძულებული იყო თავისი უსამართლობა აღიარა ბოლოში მოქცეულიყო და თავი გაემართლებინა...

სრულიად ავთანდილისა და ასმათის შეცდომას მოუმზა-დებინა და მოკვლევებისამებრ ლაპარაკობს, მაგრამ სრულებით სა-მართლიანი ... რადგან ტარიელისათვის არას იცოდა, იმის გარდა, რაც შესაძლებელია დაეფიქრებინა უწყვეტელი: თუმცა ბედნი-ერმა თავისი ნახვით, საწოლები და ბედნიერი ცხოვრება დაასთმო, მეგობრის გულისათვის იმ სიმძიმით მოვიდა და თავისი შეყვარებული ეწერედ ასრულა; ტარიელს რად უნდა გაემხილებინა შინ დარჩენი-ლიყო და ავთანდილისათვის ეჭვმიუტანელის მოეცადნა? ვინ იცოდა და რაც თავის გასცემოდა მეგობრის ბრალის-ღვთისათვის მიეცის ნე-კითხვას (შდ. 188).

839. . . . . . იგი ფიცი ვით გასტეხე, ან ვეცრუე, ვით ვეცრუე!
ვერ იქმოდა, რაც მიქადა, თუ მიქადა, რად მატყუა?!

ამის სწორი საპირისპიროდ უმთ ავთანდილს შეაგნებინებს, რომ ეს-შმარიტი სამართალი იმყოფება არა, მაგრამ რომ მოვალეობისა და პირობისთვის პირნათლობა დაიცვას და გასწორ-გასწორ სცადოს, რამე დამსახურის ყოფაში ჩადგეს და მის გიდარების მიხედვით და-ნაშაულობაც გაზიარებით დაისტურა, ვინც პირობა უნდა იყოს, მაგრამ არ გული უნდა ივნოს და პირის გასრულებისა?.. გული ცნობა და გონება ერთმანეთზედან ჰკიდიან: რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისგენ მიდიან... მოუგითსება დაგულო ტარიელს, თუ ცნობა და გონება მიჰკლდა?.. ამას იქით ავთანდილის საყვედურს საფუძველი გამოეცალა და მისი ბრალისმდება გაცუდდა, რადგან ას-მათმა ტარიელის ბრალეულ-ჯანყობის (состоянiе невмѣняемости) დაამტკიცა. მაგრამ ტარიელის მოსარჩლე მოლაღად მისს გამართ-ლებას არ შეაჯერებს თავისს მოცილეს, რამე ცდილობს მოიდუ-რავს მოყვარულ ერთგულობის ტარიელის სასჯელის დასასრულით, რომელიც თითქო არ ეცდება, ...შეასრულა. რა წინდაუხე-დავი, თავაწყვეტილი და ამპარტავანი იყო ავთანდილისაგან თავის

მოყვასის განსჯა, როდესაც შებრალებისა და გულშემატკივრობის მეტი არარა შეეწონებოდა! და რა მწვავად უნდა სძგეროდა—ავთანდილის მკაცრს გულსა ქალის დაცინვა: «თვით რაცა ჰბრძანოთ, მართალ-ხართ, სხვა სხვისა ომსა ბრძენია!... დასასრულ, ასმათ ავთანდილს შეაგნებინებს, რომ მისი საყვედური იმითაც უსამართლო იყო, რომ ტარიელს განზრახვად არა ჰქონდა ფიცი გაეტეხნა: «თუმცა წავიდა,—ვარეთა არ დაჰყრიდაო», ახლოს სადმე უნდა იყოს, და ავთანდილმა რომ მონახოს, დიაღ, ჰპოვებს.

ასეთია ასმათის სიტყვა, რომელშიაც ისახება, არა მხოლოდ ლმობიერი და ჩჩვილი გული, არამედ უზენაესი ქრისტიანური სამართალი მოწყალე და კაცთ-მოყვარული. და ამისთანა ადგილები, სხვათა შორის, უკეთ ჰმოწმობენ რუსთაველის ქრისტიანურს გრძნობას, ვინემც მოციქულთა და წინასწარმეტყველთა სიტყვანი და დოგმატიური სქოლასტიკა პოემის ტექსტში განძრახ ჩართულნი.

შესანიშნავია, რომ ეს ასმათის სიტყვა პოემის მკითხველებისაგან ერთობ შეუმჩნეველი რჩება. რუსთაველის თაყვანის-მცემელთ რომ სთხოვოთ, პოემის უკეთესი ხანები დაგისახელონ, მრავალს სხვა და სხვა ეპიზოდს ჩამოგითვლიან, ამ ასმათის პასუხს კი არ ახსენებენ. ნამდვილის სიტურფის ასეთი უგულებელობა იქნება იმითიც აიხსნება, რომ ასმათს უპირატესი ადგილი არ უჭირავს პოემის გეგმაში, ჩრდილში მიტოვებულია, და ამის გამო მისს სიტყვა-პასუხიც თვალსაჩინო არ არის და მკითხველს ჩქარა ავიწყდება. მე კი მგონია, რომ აქ სხვა მიზეზიც უნდა იყოს: ისა, რომ ჟღრჟილასა და ზიზილ-პიპილში გარეული ოქრო შორიდან ძნელად გამოიცნობა; ეგრეთვე პოეზიის ნამდვილი ტურფა, ყალბის ლექსებით შესვრილი, ნაგავში ჩაკარგულია, ილუპება და მკითხველისაგან შეუმჩნეველი რჩება, მისს გულსა და გონებაზე ველარ მოქმედებს. ასმათის პასუხის სიკეთეც უკლებლად და ნათლად მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როდესაც მისს დამადუხჭირებელს ხაზებს მოვაშორებთ. ჯერეთ ზემოყვანილი ანალიზი ასმათის სიტყვისა, ვგონებ, საკმარისია, რომ მკითხველმა გამოარჩიოს რომელი ხანა საჭიროა პასუხის აზრის გამოსათქმელად და რომელი მეტია ან პირვანდელს შთაბეჭდილებას ასუსტებს. ამ მხედველობას რომ

დავადგეთ და ეპიზოდის ხანები თითო-თითოდ რომ დავათვალიეროთ, აღმოჩნდება რომ ასმათის პასუხი ნამდვილ თავის ხანაშია, მე-841 842, 844, და 845-ში, დანარჩენი კი მეტია.

ასმათ რომ ავთანდილს შეაგონებს, ტარიელს სიტყვის გაუ-ტანლობა ვერ მოეკითხება, რადგან «უგულო კაცი ვერ კაცობსო,» და დასძენს: «შენ რა გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვავი-დიან,» — ეს ლექსი შესავალი არის ასმათის სიტყვის ორის ნაწილისა, რომელშიგაც ასმათ ჯერ ტარიელის ბრალეულ-განკითხვას უმტკიცებს ავთანდილს და მას შემდეგ მისს მოყვარეს შეაბრალებს. ამ ლექსით მე-842 ხანა მე-844 ხანასთან გადაბმულია. თუ ასმათ ავთანდილს ეუბნება: შენ არ იცი მას რომე ცეცხლი სწვავდიანო», ამას უსათუოდ უნდა მოსდევდეს ტარიელის «სასჯელის» გამოსახვა, თვარა სიტყვა ამაზედ უნდა შესწყდეს, ვით დაუსრულებელი საყვედური, ან ვით გამოუთქმელის სასჯელის გამომსახველი. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ასმათ მე-844 ხანაში ტარიელის «სასჯელის» აღწერას მოჰყვება და იმ აღწერასა და ლექსს შუა, რომელიც სა-სჯელის გამოსახვას მოასწავებს, ერთი ხანაა ჩასმული. ეს ჩამა-ტებული ხანა მე-842 და 844 ხანებს შუა ჩაწყდენილს კავშირსა სწყვეტს. იმის მაგიერ რომ ასმათ წინასიტყვაობიდან პირდაპირ საგანზე გარდასულიყო, აქ მე-843 ხანაში რისთვისღაც შედგა და რაღასაც ცდილობს და ჰბოდავს:

«შენ უმართლე ხარ, ემდურვი, შენ გაეყარე მმობილსა, მაგრამ ვით ითქმის, ვით უხდა, ვითა გიამბო ცნობილსა», — ვითამც ეუბნება ასმათ ავთანდილს. ამის თქმით ასმათ ავთანდილის სამდუ-რავს ამართლებს: შენი სამდურავი სამართლიანია, რადგან შენს მმობილს გაეყარე და არ იცი «ვით უხდაო.» მაგრამ ეს ცხადი ტყუილია. ასმათ თანახმაა, რომ ტარიელის წასვლა ავთანდილისათვის საწყენი უნდა იყოს, — «მართალი ხარ მაგისა დამძიმებისაო»; — ხოლო სიტყვის-გაუტანლობისათვის ტარიელ, სამდურავისა კი არა, — სიბრალულის ღირსია; და ქალიც სწორედ იმასვე ცდილობს, რომ დაუმტკიცოს ავთან-დილს მისი საყვედურის უსამართლობა; თვარა რაღა საჭირო ას-მათისაგან ტარიელის გამოსარჩლება და გამართლება, თუ ავთან-დილს დაეთანხმება, დიახ მართალი ხარ, რომ ემდურვიო?.. ამას

გარდა, რისთვის-ღა მწყობს ავთანდილი თავის ბოლო შესწავლ ფრაზით: «უმართლე ხარ, არ მამართლებ მეგობარს მისსა» (სტ. 849, გვ. 190), თუ კა ასმათმა სამდურავი მოუყვანა? ასმათ, ბოლოს, დიაღ დაეთანხმა ავთანდილს: «თვით რაცა ჰბრძანებთ, მართალ-ხართ, სხვა სხვისა რმსა ბრძენია» (სტ. 844), მაგრამ ვერ აქ მიხვდება, რომ ამ გილოთი თქმული უბრალი ავთანდილისათვის მწარე გაკიცხვაა და ვერ წაანამძღვრებს ტარიელისათვის, კვლავ უყვარდეთ მისი [illegible] ხმობას ავთანდილი შეუცილებას დიდ ამჯობინებდა.

მეორე ლექსის აზრიც შემცდარია, ყმობის-მქნელად თქმით მას ექვთ რაც ავთანდილი, ტარიელს გაეყარა და ასმათ მოგილოცა მისი მეგობარის რადგან დაემართა, რის მიზეზითაც ავთანდილს ვერ ლარ მოუცადა და გაიჭრა. მაშასადამე, ტარიელ ასე რომ არ «გამხდარიყო», იქნება ავთანდილისთვის არც ემტყუვნა. მაგრამ ეს აზრი ასმათის სხვა ნათქვამს არ ეთანხმება. ტარიელი ქვე ავთანდილის წასვლის შემდეგ კი არ «გახდა», არამედ მასზე მეგობრობაში იყო, —«გული, ცნობა და ძონება» მაშინ კი არ წაუხდა, თავისი მიჯნურის როშ გაეყარა, არამედ მას აქეთ, რაც სატრფოს დაჰკარგავდა. ტარიელის სიტყვის-გაუტანლობას ყმასთ იმ საერთოს და მუდმივს მიზეზს აბრალებს, რომლის გამოც ტარიელ ველარ «გაცნობის», და ეს ცხადად ჩანს მე-844 სტროფიდან, სადაც ასმათ მოუთხრობს ავთანდილს ტარიელის «სასჯელსა» რასაკვირველია, ეს «სასჯელი» მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს, ავთანდილის გაყრისას, არ შეეხება, არამედ ტარიელის მდგომარეობას საერთოდ, და ასმათის პასუხის იდეაც იმაზეა დამყარებული, რომ მოაგონოს ავთანდილს მისი მოყვრის ერთი მუდმივი მდგომარეობა, რომელიც მასზე ყვედრების დროს დავიწყდა, და ამიტომ მართალიც ვერ გახდა.

მე-843 სტროფს ასმათი [illegible] მინახავს მე უბედურის—მობინადრისა ეს სიტყვა, რასაკვირველია, პირველის ლექსის ისტორიის-პირველ არის მოყვანილი. შენ მმობილს გაეყარე და არა ყველ დღეთი გახდა, მე რა მინახავს [illegible] «ვით გახდა ტარიელ» ამას ასმათ უფრო ტყვის,—[illegible] დაშორების დაუძლებისა. რისთვის, და იყო მოიქცა ერთი ხანის ცუდობა, [illegible] შეიტყო ავთანდილმა იმის შესახებ თუ როგორ გახდა ტარი-

ელზ, აჩვენებენ, იმისგან გარდა, რაც აქამდის იცოდნენ მისათ ისე ლოგი-რავობსა, თითქოს წირვული ბავშვი ძუძუსთა მოშლილიც თავისს ტოლფ-ასწავრებს [illegible] რაიმ უნდა გითხრა და ვერ გეტყვი. თუ მე-843-ი ხანის წინასიტყვაობა არის, რომლითაც ასმათმა ავთანდილის გულის-ყური უნდა მიიზიდოს, რათა ტარიელის ასასვლელი მე-844 ხანაში უამბოს, — ესეც მეტია, რადგან მე-844-ე ხანის წინასიტყვაობა მე-843 ხანის უკანასკნელს ლექსში უკვე მოყვანილია: «შენ არ გამგზავსავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან».

ორიოდე სიტყვაც მე-843 ხანის სტილზე, — და გავათავოთ. აქაც ვხედავთ მწიგნობრულს ჩვეულებრივს გაზვიადებას და მრავალ-სიტყვაობას. ყალბის-მქნელის თქმით ტარიელ ისე «გასდა», რომ ასმათ ავთანდილს ვერ ეტყვის: მაგისი მზობა ვერომეტ ძილდესად მნე-ლდა, რომ «ენა დაშვრების, გაცვდების». სურათის მხატვრობითი გამოსახვა ერთობ, ადვილი არ არის, ამისათვის ვცემ ვერ სათქმე-ლი უნდა ჰქონდეს: მერმე იდეა თუ მოეწონება «ტურფადგა» უნდა სცენება; ხოლო ფორმის სიტურფეს ჰქონდა უშველის თუ თავი-სუბური და სხვის არავისი ხახმარი არ არის. მწიგნობარს კი ვინ მისცა აზრი, გემოვნება და ორიგინალობაც? რა ჰქნას, ესენი რომ აკლია, ენის ქავილი კი სჭირს? — გაშირებიდან თავს ესრე ისხნის ხოლმე: ერთი რამ საჭიროული და გაცვებელი ფრაზი, მაგრამ ვით გიამბო ვით გიამბო, ვით გაქო, ვით შევაწონო, — ენა დაშვრების და ბრძენთა ვერ იტყვის «ენებით»! მკითხველს დიალ ესმომებათ რომ ამისთანა გამოსახვის მეთოდი არა ერთხელ შეხვედრიათ ყალბის ხანების გარჩევაში. საუცხოვო ის არის, რომ ამისთანა ვით-თუმც გამოუთქმელობას და მიუხდომლობას აქვე მისდევს ფოტის მშვენიერი აღწერა იმავე გამოუხატველის საგნისა. ეხლაც ასმათ, მოთქვნით ყრით ხანსა, ამბობს: ვით გითხრა, და ვით გიამბო ტარიელ ვით გასდაო, ხან სწორედ ამის შემდეგ — მე-844 ხანაში — თითქო მწიგნობრის აზრის დასატყვის უსუსურობას, ამხილებდაო [illegible] რუსთაველი ეხატება ტარიელის «სისხლისა».

თავისივე ნათქვამის გაუმეორებლად ყალბის-მქნელმა, რასაკვირ-ველია, ვერ გასძლებდა: «ვით ფიქრის» და «ვითა გიამბობ», «ენა დაშვრების» და «გაცვდების» — ყველა ეს მისი ლექსისა, [illegible]

სუბლად არის შესანიშნავია აგრეთვე ყალბის-მქნელის ეპიტეტები: «ვით გიამბობ ცნობილსა».—რას ნიშნავს აქ სიტყვა «ცნობილი»: იმასა, რაც ავთანდილმა უკვე იცის; თუ ავთანდილის ნაცნობობას; თუ კიდევ—ნაცნობს ვისმე კაცსა? რომელიც მნიშვნელობაც გინდა აიღოთ, სიტყვა მაინც უადგილოა და ამ შემთხვევაში გამოუყენებელია. «გულსა შელმის ღმობილსაო»,—ილიონდაცა, გულს თუ ღმობილია, შელმისა, მაგრამ ეგ ისეთი აშკარა სისქმეა, რომ თქმად არა ღირდა. არც იტყოდა მწიგნობარი, მაგრამ პოეტმა რომ სთქვა,—«თუ არ გაცთავ,—სასჯელი ქვათაცა მესაქმეწვენიაო»,—ამას არ მოასვენს.

ასმათის პასუხს, რომელიც მე-845 ხანში უნდა დასრულებულიყო, მოსდევს სამი ყალბი ხანა. ამათგან პირველი ვითომც ტარიელის შესათვალს განაგრძობს, ნამდვილ კი მხოლოდ იმეორებს იმას, რაც მე-845 ხანის მესამე და მეოთხე ლექსში ითქვა.

«მას ზენარსა არ გავუშვებ, მისი ფიცისა მე მცველები», გადასცემს ასმათ ავთანდილს ვითომც მისის მეგობრის სიტყვას. ეს ტლანქი პლეონაზმი,—რადგან ზენარის გაუშვებლობა ფიცისა გაცრუებაც ერთი და იგივეა,—სრულებით მეტი გამეორებაა იმისა, მას შემდეგ, რაც ტარიელმა სთქვა: «არ გავტეხ მის ქალისა ზენარსაო» (845 ხ.). მაგრამ ყალბის-მქნელს ორი გამეორებაც არა ჰყოფნის და მესამედ იმასაც: «მას ვაემსამდის მოვკვდებიო, რაზომიცა გინდის წყრებიო». საუცხოვო ის არის, რომ ტარიელ ამბობს, «ვაემსამდის მოვკვდებიო» და თითონ კი იწყრება! მე-845 ხანაში ტარიელმა ასმათს უთხრა: ავთანდილ რომ მოვიდეს, მოშინახოსო, ამისთვის მოსვლა აფსად წავალ, ფიცს არ გავუტეხო, მაინც და მაინც სიტყვით გამოტანლობაა, რადგან ტარიელ დაჰპირდა თავის მეგობარს ქვაბში დაბრუნებას (ხ.ხ. 659—662, გვ. 146). მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ტარიელ ნამდვილსა და შესაძლებელს ამბობს; აქ კი ჯერ იწყრება და—«მოვკვდებიო», მერე იმასაც რომ ამბობს, სად მოკვდეს პირმნათელი, ან სად უნდა გაუშვიდეს წყრებ!?

მე-846 ხანის ორი უკანასკნელი ლექსიც შემდგენის ასეთი არის, თვით ყალბის-მქნელი სთხზავს: «თუ მკვდარი მნახო, დამმარხო,

სთქვას ვაგლახით და უები; ცოცხალი დაკვდე, შემიწყნე,—სიცოცხლე არს სათუები». ეს-იყო ტარიელ ჰპირდებოდა მაქმნამდის მოკუდეთი და ფიცს არ გეცრუებით, ეხლა კი სასიკვდილოდ ემზადება. რისთვის უწყლის ამას ტარიელ ავთანდილს? უნდა მოამზადოს თავისი მეგობარი, რომ, ვინიცობაა ცოცხალი ვერ დასხვდეს, მწუხარება გულს არ ეცეს; თუ მოანაწვავ ხაზიარებინოს, რომ ავთანდილმა ცოცხალს მოასწროს? ან ეს რაღა დასავედრებელი იყო: «თუ მკვდარი მნახო, დამმარხო?..» თუ გაწირული ტარიელ მოკვდება სადმე—სუკაცურის ადგილს მოკვდებს, მაშ რადისღა უნდა მოასწროს ავთანდილმა მის დასამარხავად, მხეცნი დასცლიან-და? დასამარხავად მისს ძვლებსაც ვერ იპოვის—აი არს სათუები! ეტყობა, ყალბის-მქნელსა ჰგონია, ტარიელ თუ მიჯნურობისაგან გასულებულია, რაც ფიქრადა მოუვა, ვერა უნდა წამოროშოს. რუსთაველის ტარიელ თუმცა შმაგია, გარეგანის ბუნების ცნობას მაინც არა ჰკარგავს. ავთანდილ რომ ჰპოვებს და გონს მოიყვანს, ტარიელ ესვეწება, წრვადილს ნუ მამშლით, «მაგრამ გვედრებ დამარხვასა, მხეცთ საჭმელად არ მიგიცეო» (ს. 867, გვ. 193).

შინაარსის უგუნურობის გარდა, მე-846 ხანის უგვანო სტილიც ამხელს მისს სიყალბეს. თორის პირველს ლექსს, პლეონაზმებით სავსეს, დაერთვის ეს ყოვლად-უშნო ფრაზაც «რაზომცა გამდის რუები,» რომელი ვითომ ტირილს ნიშნავს. რუსთაველმა ერთგან სთქვა: «რუ გასხმა ცრემლთა დენისა» (ს. 940, გვ. 208); ხოლო ყალბის-მქნელის მსატვრობითის წარმოდგენისამებრ, ბევრი ცრემლი რომ იქნება, ვაცის რუებად ჩქარად გასდიოდეს. ამაზედ არა ნაკლებ დუსწორია: «სითქვას ვაგლახით და უები» და «სიცოცხლე არს სათუეში», რომელთა სტილიც ისევე ჰგავს რუსთაველის ენას, როგორც მე-770 ხანის ფრაზები, ამას წინად რომ გავარჩიეთ (იხ. ამ წერილის მე-XXXVI თავი): «ჩემგან მტკიცდება, არ საიქიოს და ქვეყნის უობს, ვიშობს, უშობს» (გვ. 170).

ტარიელის დავედრებულს სიმართლე მე-846 ხანაში ჯობავს და შემდეგს ხანაში თავისს ბედს ავთანდილს შესჩივის: «ჩემთვის გარდასდა მას აქეთ გაურამზისა და ქედისა». უნდა გამოვტყდე, რომ ეს ლექსი მე ვერაფრად ვერ შევიგნე; სიტყვები თითქოს ქართულია, აზრს

მაინც ჯერ მომხრედ არა ვარ, და ვეჭვ, მკითხველი ჩემსავით ისე ცნობილობა-
ში არ იყოს. ჩვენს მხსნელად ისევ თეიმურაზ ბატონიშვილი გვიჩ-
ნდება, რომელიც განმარტებას აძლევს სიტყვებით მომყვანსა „ვარდსა, ანუ
წარმოდა, ესე იგი ყმათ იგი წავიდა, ანუ ყმამან მან გაგზავნილობა, ანუ
ყმამან მან დღე ღამე ტარიელისა, რომელიც გარდაცვალებულ მზე გარდაიც-
ლის ქალისა, ესე იგი გონისა თვისისა, რომელსაც რომ დასძლევდა
და მისის ფერების გაცინებისა მზე ზღვარდავალის, ქალისა განაგონ-
რისა რასმე მოუმზადეს, ჩავა და დადამდებს, მაშინ კაცი გაყრება
მისის ხედვისა, რომლის გადიდასწავლა მზე ჩავა, იმ ვარდსაც მოე-
შორებოდა. მისი დაშლა მიარულებისა და სიმარულისა მოკლებისა
ნიშნავს, და ვარდი ნიშნავს მწუხარებასა, ესე იგი მზე — ტარიელის
ვის გარდასვლა ასმათისგან, ეს ქალია ვინ არის ანუ რა არის? მზე,
თუ ქალი მიჯნურად ასმათის დიდ გაეყრებოდა ქალი კი ისეთი წინ
გამოდის და რომელი გაეყრებოდა ან რა ეწადა ამ ქალის
გაყრა? რაც არ უნდა იყოს, ლექსი მაინც იმის მეტს არას გვაუწყებს,
რომ ასმათ ვერ ახსენებს ტარიელის: მასთან ერთი, რაც ტარიელ-
მა ეს შემოუკითხავა, წავიდა და აღარ მოვიდა, ერთი ვარდი მაგის
თქმა სიტყვებით მეტი იყო, რადგან ასმათმა ჯერ ფრიდონის ბინის
გამოვიდა — „ბატონი სად არის?“ — მაშინ უთხრა: „რა წასვლა,
გაიჭრა, ქვაბის ყოფა მისწირდა ვიდრე, არ მისი არა არ ვიცი, არ
ნასვლი, არც ამბავი“. (ხანა 838, გვ. 188). ამ ცნობის სიტყვის
შემდეგ რაღა საჭიროა მზისა და რაღაც ქალის გაყრასთან ლაპარაკი,
თუ არ უქმი ცნობილობისთვის?

ტარიელისა და ასმათის შორის მოტრფე სიტყვა ავთანდილი-
სათვის, რასაკვირველია, მეტი იყო, ვალდის მქონეც ასმათისთვის
რადი ესმოდეს, — იმას სხვა გამზრახვა ჰქონდა: გაყრის მოგონე-
ბით მოეშმოზედ, რომ ასმათს მოთქმა და ბედის ჩივილი, ვთქმევი-
ნოს. ამისთვის, აქედან იწყება ტარიელის ფრაზები მწუხარების
რულის მოთქმისა: „ოდენ მოდის ცრემლისა შორის, ვუყურე მათ
საბრალოსა“; ესე იგი ტიროდ; ამ სიტყვის გამოთქმება ხელ-მქნილსა
სულ-თქმისა ზედა შეუძლია“, ესე იგი ხმიერად ტირიანსა და ცრე-
მლით თვალ-მოლეული ჰნახა ნაქმნარი მწუხარებისა; ესე იგი ვერ
ჰპოვებდა. ყველა ეს ფრაზები ვგულისხმობ მწუხარებისაგან მო-

ლოკნებით არის შეკოწიწებული: გაზვრილს თორმაში ერთი სწორე-უბრალო აზრი რამ დაუღლხევს. ეს სხლოკნებისამებრ იყო, მეთხზუ-ლი ლექსი: „მასც განსვენებდეს ნუ გიკვირს, თქმა მწირდეს მიწყო-ასმისა“ (ხანა 682, გვ. 151) და მრავალი სხვა ბნელი ლექსი; რომე-ლიც ჩვენ უკვე განვარჩიეთ, ამიტომ ზემოხსენილის ლექსების სტი-ლის განხილვით შეთხზულებათა ადარ მოვაბეზრებ,—ისიც ცხადი-და, რომ წრთვილი მწერალი ამასთანა ძნელაწვევლდებს და დახლართ-ულის სტილით არ გამოითქმის.

მე-847 ხანის ქსრის ნავლი მოხიომორტივის სიცრუეები, რადგან ბედის ჩივილი ასმათისა ხასიათს არ ეთანხმება. ასმათი თვითე ერთგულება და თავდადებაა, თავისი პიროვნებას სხვისა გულისთვის დავიწყებული აქვს: ასეთს ნესტან-დარეჯანს ახლდა; იმასა ემსახურე-ბოდა, მიჯნურთა გულის მისანდობლად იყო და მათი საიდუმლოს მფარველად; მერმე, რა ტარიელი დაჰკარგა, ტარიელის ბედს მო-ნაწილედ გახდა, თავისიცა სიცოცხლე მის ასულთა-დედმად და წინათ-იმისად შესწირა; ასმათ თავისს ბედს არ უჩივის, იმიტომ რომ თავისი ბედი აღარ აქვს; თუ ტირის, ტარიელისა სასჯელსა ტირის, თუ ჩივის, ტარიელის ბედსა ჩივის; თავისს თავს რც კი ახსენებს, მისი სატარელი მუდამ ტარიელისა, რაც უნდა ტანჯვა და სჯავრი-ველა იყოს ასმათისა სასიკოთ, მაინც ზუსთა-ბუნებითი და უნასხვი არ არის; მისებრი გულის ქალი, ჩვენდა სასხელნიეროდ, ცხოვრება-შიაც ხშირად მოიპოვება და ჩვენდა სასიოცნებლოდ, ეს საუნჯე ერთგულთავის შეუმჩნეველი გვრჩება, ადვილად და ჩქარა შევეჩვევით ხოლომე მის უანგარო ერთგულებას, მეგობრულს თავგრისსა, წმინდა-სა და დაუღლეველს მზრუნველობას, და ამიტომ მისს თავდადებას უფა-რად ფასებით, თითქო ჩვენდამი მოვალეობა იყოს, თუმცა ასმა-თის დავწლი მხელეთ მაგრამ ქალი პატიოსნებისათვის საიმაყის გა-მო, მაგას არასდროს თქვეს იჩივლის და თუ გინდ თავისი თავი შესწ-ირა, იმასაც არ ფიქრობს რადგან უფრო თავისი დავწლის სხვას, და-ადამც ვერ შეუხებლებს თავისს თავს ბედზე.

ამიტომაც მე-847 ხანაში გამოყვანილს მჩივარს ასმათს ვე-ღარ ვცნობთ, ვიდრე სულმოკლე ქალი წუწუნებს და არა ასმათ, ამაყის და მხნე გულის ქალი, რომელმაც თავისსავე ნებით ტარი-

ქლიბის სასჯულითა, შემსუბუქებისთვის თავი გადასდო. ეს ჩივილი მით-უფრო უადგილოა და დასთანხმად მოისმის, რომ ასმათის გასამართლებელს სიტყვას არ ეთანხმება. ასმათს საგნად აქვს ტარიელ გაამართლოს, მისისასუყველთა გამოსახვით ავთანდილს გული მოულბოს, რათა თავისს მეგობარს უსამართლოდ და მკაცრად არ აყვედრებდეს, და არა ის, რომ თვისი თავი ავთანდილს შეაბრალოს. თვარა რა ტარიელის გასამართლებელია ასმათის შეწირვება და მწუხარება მისს წასვლის გამო?... ავთანდილ ემდურება ტარიელს: მატყუა, არ მომიცადაო; ასმათი კი ავთანდილს უსხივის: მას თქმით რაც წავიდა, სულ ტირი და კვნესა,—შენ ნაქნარ ბედისაო; ჰკვეხა იყო მის გულისთვის რა ჯოჯოხეთში ჩავარდიო?... ასეთი ჩივილი ასმათისა ხომ ტარიელის ყვედრება იქნება!? რისთვის-და დაუდგა ასმათ ტარიელს მოსარჩლედ, თუ მისს გასამართლებელს სიტყვას, ბოლოს თითონვე გაუქმებდა? ასლა ტარიელს ორივე მხრით ბრალსა სდებენ: მისი მდურავი ავთანდილ და მოსარჩლე ასმათიც.—ვინ-და ამართლებს?

შემდეგ, მე-848, ხანა მეტად ტლანქი, საცრუე და სიყალბე თვალსაჩინოდ აჩნევია.

ასმათ ვითომც არწავლის ავთანდილს: მოყვ არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.—ასეთი ქვეყნის სწავლება ქალისაგან მოყმესთვის, სათაკილოა; მაგრამ, ვიქკვათ,—ასმათ უზრდელი მოახლეა,—მისგნდრილი ხომ არის? და თუ მოსულდრილია, როგორ ვერ შეუგნია, რომ მოყვრის სანასავად არაბეთიდან ვინ იცის—სად მოსულს კაცს მეგობრობის მოვალეობის სწავლება აღარ ეჭირვება? განა ასმათმა არ იცის რად უნდა ავთანდილს ტარიელთან მოსვლა? კაცმა მეგობრის გულისთვის თავისი სახლი, დიდება, გამცხრომა, საყვარელი და ყველა ქვეყნიერი ბედნიერება დასთმო, და ასლა ვიღაც უჩინმაჩინის საბრძნეს ასწავლიან: ვინც მოყვარეს არ ეძებს, თავისი მტერიაო!—ამაზე უარესი სისულელე-ღა იქნება? ან როდესაც ასმათმა ტარიელის დავედრებული ავთანდილს გადასცა,—ამოდამხანგიდეს მე, ამას არ დავუჯრიდი არეთასა,—ნეტა რა ეგონა: ავთანდილ მას მოუყრდება და ტარიელის ლოდინს დაივიწყებსო?!

ასმათს, სხვას რომ ჭკუას ასწავლის, უწყობა, სწავლამ ვერ-რა არგო,—მეტად გულმავიწყი ყოფილა, თორემ ჰხსომებოდა, რომ ავთანდილიდან მოუფიქრებელი სიტყვა არ უნდა წასცდეს, თუ არა სურს მისს გულისა გახდეს. როდესაც ავთანდილმა პირველად ვეფხის-ტყაოსნის ბინას მიაგნო და ასმათს სთხოვა მის მოყმის ამბავი ეამბნა და მისთვისაც გაეცნო, ქალი, ბევრის ხვეწნის შემდეგ, დასთანხმდა და ურჩია (ხანა 253, გვ. 54): «აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილდები, რასაცა ეძებ, მიხვდები, და თუ არ მომისმენ, ვერ ჰპოვებ, რაზომცა ცრემლისა ჰშლიდები.»—და ავთანდილმა ამაზედ მიუგო:

254. . . . . . ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა:
ორნი კაცნი მოდიოდეს, სადაური სადმე გზასა.
უკანამან წინა ჰნახა, ჩავარდნილი შიგან ჭასა,
ზედ მიადგა, ჩაჰყიოდა, სტირს, იძახის ვაგლახ-ვასა,

255. ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცადე,
წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო თუცა ამომგზიდე“.
მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუკვირდა მეტად კიდე,
შემოჰყივლა: „არ გელოდე, სად გაგექცე, საცა წავიდე!“

256. აწ, დაო, შენსა ხელსაა ჩემი საბელი ყელისა და სხვ.

ხანს, ასმათისათვის ამ საუცხოვო სწავლას ტყუილად ჩაუვლია, თორემ მიხვდებოდა, რომ როგორც მაშინ ავთანდილ არსად არ წავიდოდა, ისეთი ესლა ქვაბში ვერ დადგებოდა. კაცი მოყვრის სანახავად ეგზამოწირილა სისხლით თვისით, ვით ირემი ძებნად წყლისადა, და მოყვრის საძებრად კი ჰგზავნის!—მოყვრის ხელსაა მისი საბელი ყელისა, მაშ რას იზამს, თუ არ წავა?

ასმათ, რა ჩინურს სიბრძნეს ავთანდილს ჩააგონებს, მოულოდნელად წამოიძახებს: «აწ ზაფრანაა, ვის წინა ვერ ვარდი ჰგვანდის, ვერ იაა.»—ზაფრანა აქ, რასაკვირველია, ტარიელსა ჰქვიან, მწუხარებისაგან გაყვითლებულს. ეს ადგილი მისახვედრია, მაგრამ გამოსაცნობი ის არის თუ, რისთვის ეუბნება მაგ მეტაფორას ასმათ ავთანდილსა? არ იცის განა გმირმა, რომ მისი მოყვარე მწუხარებისაგან ფერ-მიხდილია და ქალმა ესლა უნდა შეატყობინოს? ეს იქნება აგ-

მისი აფორიზმი ყოველთვის ბინიანია და განსაზღვრული. პოემის ტექსტში მოიპოვება ერთი აფორიზმი — რომლის მიხედვით, ვგონებ, დაწერილია, ყალბის-მქნელის ლექსი — „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია» (ს. 1342, გვ. 302). ეს პესიმისტური სენტენცია, თუმცა თავის თავადაც ადვილი მისახვედრია, მაგრამ სანამ პოეტი მას წარმოსთქმიდეს, ის ხანას კაცის სისრულის შეუსრულებლობაზე საუბარს მოანდომებს და ბოლოს დასძენს ზემოყვანილს შეგონებას, იგი: რომ მკითხველს შეუძლიან სწორედ შეიტყოს რა გვარს ცხოვრებისთვის მეტყველებენ სათა, შეიკრიბა და საზღვრავს პოეტის საერთო აზრი. ჩინს ქვაზე დაწერილი არაკი კი მხოლოდ ერთის შემთხვევისათვის არის გამოსაყენი; ხოლო ამ შემთხვევის გარე, თავის თავად რომ ავიღოთ, არაკი უსაფუძვლოა, რადგან აზრი მკაფიოდ გამორკვეული არა აქვს: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიაო," გვამცნებს არაკი; მაგრამ ვინ არის აქ თავისი მტერი: ვინც თავისს დაკარგულსა ანი განშორებულს მოყვარეს არ ეძებს, — როგორც ავთანდილმა თუ ყრმობ ის, ვინაც მოყვარე არა ჰყავს და არ ზრუნავს გაიჩინოს, — როგორც ტარიელ, ავთანდილის გაცნობის წინ? პირველს აზრს რომ დავადგეთ, მაშინ არაკი ერთის შემთხვევისათვის იქნება მოყვანილი, და ჩინს ქვასა ზედა» იმისთვის იყო დაწერილი, რომ ავთანდილ ტარიელის საძებრად წასულიყო. ხოლო თუ არაკი მეორე აზრისა არის, ავთანდილს შემთხვევაში მოსაყვანი არ იყო, რადგან ავთანდილს მეგობარი უკვე ჰყავს.

ამას გარდა ჩინურს არაკში ორი წინადადება ლოგიკის წინააღმდეგ ერთმანერთზე დამოკიდებულია. ყალბის-მქნელის ლოგიკით, მოყვრის ძებნა — მიზეზია, და თავის მტრობა — მისი შედეგი. ეს, რასაკვირველია, უგუნურობაა, რადგან ამ ორს ფრაზას შუა არავითარი მიზეზობითი კავშირი არ არის. რად უნდა იყოს თავის მტერი, ვინც მოყვარეს არ ეძებს? თუ კაცს მეგობარი დაეკარგა და მის დაკარგვას არა ნაღვლობს, — ცხადია, მეგობარი არა ჰყვარებია; თავის მტრობა კი აქ რაღა შუაშია? ან ვისაც მოყვარე არა ჰყავს და მის შეძენას არა ცდილობს, — განა ეს უფრო ბუნებითად იმით არ აიხსნება, რომ მაგისთანა კაცი გულ-გრილია, მიუკარებელი, ეგოისტი, ვინემც თავის მტრობით? ყალბის-მქნელს, ჩანს,

სწადდა თავისი სენტენციის ილიერად უამოესა, და როგორც აწ ქრისტე მისწავლეთა საზომს გადასცილდა, მიზეზს შედეგი არ შეატოლა, გამოვიდა და მიტომაც ურიკა ფუჭია გამოვიდა.

## XLIII

ტარიელის გამართლებაზე ავთანდილმა ასმათს ესრე უპასუხა (გვ. 190—191):

849. . . . „უმართლე ხარ, არ მამართლო მდურვად მისთვე,
მაგრა გაბრჭე, რა მიქნია სამსახური ტყვესა, ტყვისა მე:
გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად,
მას ვეძებ და მას ვიგონებ, ვიარები ველთა ვლისად.

850. ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალის ფერსა სცვენდა ბჟურვენ,
მას მოვშორდი, ვერ ვიახელ, ვერ ვისუფევენ, ვერ ვასურვენ,
გამოპარვით წამოსვლითა ღვთისა სწორნი მოვიმდურვენ,
ნაცვლად მათთა წყალობათა მათნი გულნი შევაურვენ.

851. პატრონი ჩემი გამზრდელი, ღვთისაგან დიდად ცხოველი,
მამობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი, —
მას ქუორგულე, წამოველ, მართ დავივიწყე ყოველი, —
მისი შემცოდე ღვთისაგან კარგსა აღარას მოველი.

852. ესე ყველაი ასე მჭირს, დაო, ბედითა მისითა;
არ ვუტყუვე და მოვსულვარ მგზავრი ღამით და დღისითა;
აწ იგი სადმე წასულა, ვიწვი ცეცხლითა ვისითა,
ცუდ-მაშვრალი და მტირალი ქვე ვზი პირითა მქისითა.

853. დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო,
არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა გავაადრო;
წავალ, ვძებნი, ანუ ვპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო,
თვარა ბედი აზომ თურე მიკვეთს, ღმერთსა რაღა ვკადრო.

854. ამის მეტი აღარა სთქვა, ატირდა და წამოვიდა,... და სხვ.

როგორც მკითხველს ჩემით მოეხსენება, ასმათმა დაუმტკიცა ავთანდილს მის სამდურავის უსამართლობა და ტარიელის უბრალობა. ავთანდილმაც აღიარა, რომ მისი საყვედური აჭარბებული იყო და ეხლა კიდევ იმართლებს თავს, მით რომ ტარიელის არ-ახსენებდა

მისთვის სასწყენი იყო; რადგან მის გულისთვის მოესწრაფებოდა და მასთან მოსვლა ჰგონდა უღირს. ავთანდილის ბოდიშში სწორედ ორი ლექსია,—ერთს თითონ გმირი ამბობს: «დაო, მეტისა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო», მეორე ლექსს კი პოეტი დასძენს: «ამის მეტი აღარა სთქვა, ატირდა და წამოვიდა». ეს ორი ლექსი უცილობელი საბუთია, რომ ავთანდილის სიტყვა გრძელი არ უნდა იყოს; მაგრამ ეს მაჩვენებელიც რომ არა გვქონდეს, საკმარისია ავთანდილის მდგომარეობა წარმოვიდგინოთ,—და მაშინვე მივხვდებით, რომ გმირს თავისი პასუხი უთუოდ უნდა შეემოკლებინა. ავთანდილი ასმათთან საბაასოდ კი არა—ტარიელის სანახავად მოვიდა, მოყვარე რომ არ დახვდა და რა ესმა, შეიტყო, რომ სადმე ახლო უნდა იყოსო, რასაკვირველია, ასმათს აღარ ჩააცივდებოდა, არამედ თავის უსამართლო სამდურავისათვის ბოდიშს მოიხდიდა და მოყვრის საძებრად გაეშურებოდა.

რაც ასმათის წინ ბოდიშის გადახდას და თავის გამართლებას შეეხება, ყველა სავსებით მე-849 და 850 ხანაში მოიპოვება: აქ ავთანდილი ეუბნება ასმათს, რაზომ სწყუროდა მოყვრის ნახვა და რა აწყენდა მასთან ყოფნას,—სატრფოს ვერ ესმა და მეფე მოიმდურა. ამის შესახებ სათქმელი იქნება ბევრიც აქვს, მაგრამ «მეტისა საუბარსა» დრო არ აცლის. «აწ ვინანი გარდასრულსა... წავალ, ვძებნი,» დასძენს გმირი და დაუყოვნებლივ ტარიელის საძებრად გაემართება. ეს უკანასკნელი სიტყვაც—«აწ ვინანი გარდასრულსა»—კვლავ გვანიშნებს, რომ ავთანდილი ყბედობის გუნებაზე არ არის; ყველა შეჭირვებას ივიწყებს, ოღონდ ტარიელ ჰპოვოს, და რაც მოხდა—მოხდა. ამისი მთქმელი, ცხადია, ეშურება სიტყვა გადასჭრას და თავისს საქმეს შეუდგეს.

წინააღმდეგ ამ ცხადის ნიშნებისა, რომელნიც ავთანდილის პასუხის ზომასა საზღვრენ, და წინააღმდეგ თვით გმირის მდგომარეობისა, ვიღაც მელექსე, თითქო განგებაო, მისს სიტყვას აგრძელებს და ორს ხანას—მე-851 და 852—უმატებს, რომ ნათქვამი კვლავ ათქმევინოს და ტყუილის ყბედობით მოაცდინოს.

მე-850 ხანაში ავთანდილმა «სიტყვათ-მოუბმოპრეთ წამოსცდათ ღმერთსა სწორნი მოვიმდურვენო».—მეფე როსტევანის სადიდებლად

ძალ: გამწარდა ასეთი შედარება, მაგრამ ყალბის-მქნელს ჰგონებია, რომ როსტევანის ღვთის სწორად დასახვა ცოტა იყო, და ხელ-ახლა აღქმევინებს ავთანდილს გაუთავებელს ქებას: «პატრონი, ჩემი გამზრდელი, ღვთისაგან დიდად ცხოველი, მშობლ-ური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობის მთოველი»... ვერ ერთი, რომ ეს ქება არაფრით აღემატება იმ უზენაესს — ღვთის სწორობას, და მაშასადამე რაღა სათქმელია უმცროსი ღირსება მეფისა, თუ უაღრესი მისი თვისება უკვე მოხსენებულია? და მერმე, რა დროს მეფის ქებაა, როდესაც კაცი ისეთს მდგომარეობაშია, რომ, თუ მოუკვარე არა ჰპოვა, ჰკლავის «სიკვდილი მოიაროს?!» აბა, დიაღ ეხლა იქნებოდა ასმათის სიმართლე ავთანდილისათვის ეთქვა, მწიგნობრის სიტყვით: «თუცა მოჰკლავ, მოჰკლავსო!» ავთანდილ ისეთის გულ-მოდგინებით აქებს მეფე როსტევანს და ამ შესხმას იმოდენა ადგილი უჭირავს გმირის პასუხში, რომ კაცმა არ იცის, რისთვის ელაპარაკებს სპა-სპეტი ასმათს: სამდურავისთვის უნდა ბოდიში მოიხადოს, თუ თავის ხელმწიფის უბრო ღირსებანი უნდა ჩამოუთვალოს? შესა-ნიშნავია, რომ ყალბის-მქნელმა მეფის ქებაც რიგიანად ვერ მოა-ხერხა; თუმცა მეფის საქებრად ეპიტეტი გამოულევლია, მაგრამ ყალბის-მქნელი პლეონაზმს მაინც ვერ ასცდა: «გამზრდელი» და «მშობლიური», «მოწყალე» და «ცა, წყალობის მთოველი».

გაბერილი ქება მეფისა, თურმე, იმისთვის იყო, რომ მის წინაშე ავთანდილის შეცოდება უფრო შესამჩნევი გამხდარიყო. «მას (მეფეს) ვუორგულე, წამოველ, მართ დავივიწყე ყოველი», — ესრე სახავს ყალბის-მქნელი ავთანდილის ბრალს. ეხლა კი სჩანს, რომ პოეტის ერთი ლექსი — «გამოვპარვდით წამოსვლითა ღვთისა სწორნი მოვიმდურეთ» — მე-851 ხანის სამს ლექსშია გაწყალებული, და პოეტის ნათქვამს მაინც ვერას უმატებს. პირიქით, რუსთაველის ძლიერი ნასახი — ღვთის სწორის წინაშე მეხთლობა — ყალბის-მქნელის ლექსში უფერულს ფრაზად გადაიქცა, სადაც სიტყვა «წამოველ» იმასვე ნიშნავს რაც «ვუორგულე», და «დავივიწყე ყოველი» იმავე აზრს იმეორებს, მხოლოდ განუსაზღვრებით და კა-პრტყელებით.

ყალბის-მქნელის სტილის უსუსურობა კვლავ ცხადდება უკანა-სკნელს ლექსში: «მისი შემცოდე ღვთისაგან კარგსა აღარას მოვე-

ლი», რომელიც ჰბაძავს რუსთაველის მშვენიერს ანტიტეზას: «ნაცვლად მათთა წყალობათა მათნი გულნი შეაყრევნ.» ყალბის-მქნელის თქმით, ავთანდილს თავის ცოდვისათვის ღვთის რისხვისა ეშინოდა; პოეტის გამოსახვისამებრ კი, გმირს სვინდისი აწუხებს. ამ გამოსახვათა შორის რომელი ერთი უფრო პატიოსანი, გაცობრიული და გრძნობის ამამაღლებელია,—ამას, ვგონებ, თქმაც არ უნდა.

ესრეთ, მე-851 ხანაში არა არის-რა, რომ მე-850-ში არ იყოს; მაგრამ ყალბის-მქნელმა ტყუილი გამეორება არ გვაკმარა და მე-852 ხანაში უარესს უგუნურობას გვიძღვნის,—აქ ავთანდილ ასმათის ხელმეორედ სამდურავს გადმოუღაგებს: «ესე ყველაი ასე მჭირს, დაო, ბედითა მისითაო», შესხივის გმირი მკითხველს ესხომიებს, რომ «ესე ყველაი» რუსთაველმა «ასე» სთქვა (ხანა 840, გვ. 188): «მაგრამ ჩემის ბედისაგან ავი რამცა გამიკვირდა!» ამ განწირულის ირონიას ყალბის-მქნელი ჰლამის თავისი უმსო და უგემო ლექსი ამჯობინოს.

«არ ვუტყუვე და მოვკლულვარ მგზავრი ღამით და დღისითა; აწ იგი სადმე წასულა, ვიწვი ცეცხლითა ვისითა»,—განაგრძობს ყალბის-მქნელი. ეს იყო ავთანდილ ასმათის ეუბნებოდა: «უმართლე ხარ, არ მამართლო მდურვად მისადო»,—ესლა კი კვლავ მდურვა დაიწყო; ნეტა, ბოდიშის გადასხდა და თავის გამართლება რადა იყო?! საკვირველია, ერთ ჟამში ასეთი გულ-მავიწყობა და გულ-მანკიერება როგორ მოთავსდა? მაშ სჩანს, თავის სამდურავის უსამართლობა ავთანდილმა წრფელის გულით არ აღიარა, თვარა რად აყვედრებს ტარიელს ხელმეორედ თავის შეჭირვებას და მისის «სადმე წასვლას?..»

მაგრამ ავთანდილის გული ულმობელია: თავისს მეგობარს არამც თუ ღამით და დღისით მგზავრობისთვის ემდურის, იმისთვისაც, რომ «ცუდ-მაშვრალი და მტირალი ქვე ვზი პირითა მქისითაო». ავთანდილ რომ მოყვრისათვის ტირის და პირითა მქისითა ქვე ჰზის, (ნეტა, როგორ დაინახა თავის პირისახის გამომეტყველება?) იქნება ეგ მეგობრისათვის საყვედრებელიც იყოს, მაგრამ სამდურავშიაც კაცი მაინც არ უნდა სტყუოდეს. რად სტყუის ავთანდილ, «მტირალი ქვე ვზიო», რომ არ უტირია? ეპიზოდი რომ ავთანდილის ქვაბს მოსვლიდან (837 ხანა) აქამომდე გადავათვალიეროთ, ვერსად ვნახავთ ავთანდილის ტირილს; როდესაც კი გმირი ასმათთან საუბარს გაათავებს და ტარიელის სანახავად წავა, მაშინ რუსთაველი იტყვის: «ამის მეტი აღარა სთქვა, ატირდა და წამოვიდა». ეს «ატირდა» ქართულად სწორედ იმას ნიშნავს, რომ, სანამ ავთანდილ ასმათის ელაპარაკებოდა, არა ტიროდა.

ალ. ს—შვილი.

## თ. ნ. გ. ჭავჭავაძის სახსოვრად

გ. შოტტოსა

ეხლა, როდესაც ჯერ კიდევ არ შემშრალა სამარე კავკასიის ძველის მეომრის, კავალერიის გენერლის თავადის ჭავჭავაძისა, სწორედ დროა, რომ გავიხსენოთ ჩოლოქის დიდებული ბრძოლა, რომელსაც განსვენებულმა კინაღამ არ შეაკლა ვაჟკაცი თავი. ეს ერთი იმ ამბავთაგანია, რომელიც განამტკიცებს სულიერს კავშირს ყველა ჯარის-კაცთა და მეომართა შორის.

1854 წლის გაზაფხულზე, როდესაც ბაშ-კადიკ-ლარის ომში გამარჯვებული ჯარი საზამთრო სადგომში ისვენებდა, ტფილისში შესდგა ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი. ამ ლაშქარს, გურიის ჯართან ერთად, რომელსაც შესანიშნავი თავადი ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი უფროსობდა, უნდა დაეცვა მტრისაგან ქალაქი ტფილისი ქუთაისისა და გურიის მხრით. ლაშქრის უფროსად დანიშნული იქმნა თავადი გიორგი ჯანდიერი; „დროშა გიორგი“ — როგორც მას უსაზღვრო მხნეობისა და მამაცობისათვის ყველანი ეძახოდნენ. თანაშემწედ ჯანდიერს თავადი ციციშვილი ჰყავნდა; ამათ გარდა ინსტრუქტორად, რომელსაც ახლად შემდგარ ლაშქარში ისეთი წეს-რიგი უნდა დაემყარებინა, როგორიც სამუდამო ცხენოსანს რაზმებშია მიღებული, მოწვეული იქმნა ნიჟეგოროდის დრაგუნის რაზმის პორუჩიკი თავადი ივანე გივის-ძე ამილახვარი. ივანე გივის-ძე ჯერ ახალგაზდა კაცი იყო, მაგრამ ვაჟკაცობის სახელი უკვე მოპოვებული ჰქონდა: იგი სულ სამი წელიწადი მსახურებდა;

მაგრამ წმ. გიორგის ჯვარი უკვე გულს უმშვენებდა. გარდა ამისა ჩაფრაკის ომში ჭრილობა მიიღო და ბაშ-კადიკ-ლარის ბრძოლაში, სადაც ცხენი მოუკლეს და ოსმალეთის ოფიცერთან პირის-პირ ბრძოლა მოუხდა, თავი ისახელა.

თავადმა ანდრონიკაშვილმა ამილახვარი თავისს კაბინეთში მიიღო. როდესაც ახალგაზდა აფიცერი შევიდა, ის მამა-პაპურად მოკეცილი იჯდა ტახტზედ და ოსმალურ წითელ ქუდსა და ხალათში გამოწყობილი, გრძელის ჩიბუხით თუთუნს შეექცეოდა.

ანდრონიკაშვილმა დაარიგა ახალგაზდა აფიცერი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და ბოლოს უთხრა: „დროშა-გიორგი და იმის ამხანაგები გამოჩენილი ვაჟკაცები არიან, მაგრამ ჯარის დარაზმა-დაწყობის საქმისა არაფერი ესმით. ამიტომ შენ ისე გამიწყე ქართველების ლაშქარი, როგორც ჩვენი დრაგუნის რაზმია გაწყობილიო. ამის შემდეგ თავად ამილახვარს დიდ ხანს აღარ დაუყოვნებია: იგი მაშინვე გაემგზავრა ლაშქრისაკენ, რომელიც უკვე დოლლაურის ველეში შეკრებილიყო, ეხლანდელ სადგურებ გომსა და ხაშურს შუა. ლაშქარი რაზმებად იყო დაყოფილი და თითო რაზმში ას-ასი კაცი ირიცხებოდა. პირველ რაზმს, რომელსაც წითელ ქუდოსნები შეადგენდნენ და რომელსაც წითელი ნიშანი ჰქონდათ, თავადი გიორგი მაჩაბელი უფროსობდა; მეორეში თეთრ-ფაფახიანი ქიზიყელები იყვნენ თავიანთი თეთრი ნიშნითა; მათ ზაქარია ანდრონიკაშვილი ჰყავნდათ უფროსად. მესამე რაზმი, რომლის წინაც ოქროს ფერ ნიშანს გაჰქონდა ფრიალით, თავადმა ნიკოლოზ ზურაბის-ძე ჭავჭავაძემ მოიყვანა თელავიდან. მეოთხე რაზმი, ცისფერის ნიშნებით, შესდგებოდა მხოლოდ ტფილისის მაზრის და ქ. გორის მცხოვრებელთაგან; ამ რაზმს თავადი დავით ვახვახიშვილი უფროსობდა. შემდეგ მეხუთეს, შესანიშნავი ელიზბარის რაზმს, რომელსაც იმდენი ჭრილობა ჰქონდა ტანზედ რამდენი წლისაც იყო, თუშები და ფშავლები შეადგენდნენ, თავიანთი პატარა ნაბდის ქუდებით და გაფრიალებულის შავი ნიშნებით [illegible]. მეექვსე რაზმში მხოლოდ [illegible]

ფულით მომართული თავადაზნაურნი ირიცხებოდნენ ამ ბრწყინვალე რაზმს. ლურჯი ნიშანი ჰქონდათ; უფროსად თავადი გიორგი ერისთავი ჰყავდათ.

ამ ლაშქარში საქართველოს საუკეთესო შვილები იყვნენ. სათითაოდ ყველას გმირის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ საერთოდ მათ აკლდათ ის, რაც ცხენოსანის ჯარის სულსა და გულს შეადგენს—წეს-რიგი და დისციპლინა. აი სწორედ ამ ნაკლის შესწორებას მიჰყო ხელი თავდაპირველად თავადმა ამილახვარმა. მათი გაწვრთნა-სწავლა ადვილი აღმოჩნდა და ამილახვარს ბევრი შრომა და მეცადინეობა არ დასჭირებია: ყველანი საუკეთესო ცხენოსანნი იყვნენ და მეტად ადვილად ითვისებდნენ სამხედრო წესდების სხვა-და-სხვა მოთხოვნილებებს. სწავლას თვით თავადი ჯანდიერიც ესწრებოდა ხოლმე. თეთრს ცხენზე, ძველი ქართული ტანისამოსით იგი მეტად წარმოსადეგი და კარგი შესახედაობის კაცი იყო. მაგრამ თავად ამილახვრის უმთავრესი ღვაწლი ჯარის გარეგნობით სწავლა-გამაშინებაში არა მდგომარეობდა: მან ზნეობრივად განწვრთნა და განასპეტაკა იგი და აღმოხვრა მასში ის მავნე ძველი ჩვეულებანი, რომელნიც ლეკებთან ომების დროს ნება-უნებურად უნდა შეეთვისათ.

— ვისაც უნდა მეომარის სახელი და ღირსება დაიმსახუროს, — ეუბნებოდა ამილახვარი ხშირად ქართველებს, — იმან ნადავლისა და სიმდიდრის შეძენაზედ სულ არ უნდა იფიქროს. თქვენი ნადავლი მხოლოდ ყუმბარები და მტრის დროშები იქნება. მართალია ამით სიმდიდრეს ვერ შეიძენთ, მაგრამ ისეთ რასმეს მოიპოვებთ, რაც ფულით არ იშოვება; სახელდობრ, მეომრის სახელს და შთამომავლობის მადლობას.

რომ უფრო განემტკიცებინა მათში ეს გრძნობა და ამასთანავე მათი გული შეეხარებინა ძველის ჩვეულების მოგონებით, თავადმა ამილახვარმა დროშა გააკეთებინა. შავს ტილოს ცალ მხარეზედ ხელ-უქმნელი სახე მაცხოვრისა დაახატვინა, ხოლო მეორეზედ—ივერიის მფარველის წმინდა გიორგისა. დროშას გარეშემო წარწერილი ჰქონდა ქართულსა და რუსულს ენაზედ! „ჩვენთანა არს ღმერთი, სცანით წარმართნო და იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი!“

ეს დროშა ერთსა და იმავე დროს სამხედრო ნიშანიც იყო და სალოცავი ხატიც. ქართველები გულ-მხურვალედ ლოცულობდნენ მასზედ ბრძოლის წინ. თავად ამილახვრის დარიგება-შთაგონებამ ტყუილად არ ჩაიარა: ქართველებმა პირველსავე ბრძოლაში ჩოლოქთან, 4 ივლის 1854 წელს, წმ. გიორგის დროშა დაიმსახურეს,

მაისის გასულს, კარგად გაწვრთვნილი და დარაზმული ლაშქარი უკვე მზად იყო ომში წასასვლელად. წასვლამდე ახალის დროშის წინაშე პარაკლისი გადიხადეს და შემდეგ ცხენის წყლით გზას გაუდგნენ. თავად ანდრონიკაშვილს ჰყავნდა სულ 11 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 1200 მილიციონერი და 12 საომარი იარაღი. ცხენოსანს ჯარს შეადგენდნენ; ყაზახთა რაზმი ხარიტონოვისა, ქართველთა ცხენოსანი რაზმი ჯანდიერისა და ასი თავისუფალი მეომარი იმერელი. ეს უკანასკნელნი სულ თავადნი მიქელაძენი იყვნენ, რომელთაც წინამძღოლობდა მოხუცებული თავადი ქაიხოსრო, თანამედროვე იმერეთის მეფის სოლომონისა. მეორე დღეს ჯარი განიერ რიონს მიუახლოვდა. წყალზედ ხიდი არ იყო გადებული და ჯარმა იმის ნაცვლად ნავებზედ ფიცრები გააწყო და ისე გადავიდა. ხიდი მეტად სახიფათო რამ იყო და ცხენოსან რაზმს ვაივაგლახით და წვალებით მოუხდა გასვლა. მთელი ჯარი თვალებ დაჭყეტილი უყურებდა ამ ამბავს, როდესაც ჯერი ქართველ თავად-აზნაურთა რაზმზედ მიდგა, რაზმის უფროსმა ცნობილმა მეჯირითემ, თავადმა ერისთავმა, ჯერ ჯარი გაუშვა და შემდეგ ადაჰკრა თავის ცხენს მათრახი და სულ ჭენებით გაარბენინა ხიდი. ფიცრები სულ მაღლა-მაღლა ტოკდნენ და ტრიალებდნენ, მაგრამ ყოჩაღი ცხენი, როგორც ქარი, ისე გავარდა და მეორე ნაპირზედ გაჩერდა. ამ სურათის მნახველთ, შიშისაგან თვალები დახუჭეს, ყველას ეგონა, რომ ცხენი მოცეკვავე ფიცრებზედ ვერ გამაგრდება და წყალში გადავარდებაო. მაგრამ ცხენი მშვიდობით გავიდა და ჯარი თავად ერისთავს ვაშას ძახილით მიეგება.

სამს ივნისს ჯარი უკვე ოზურგეთში იყო, ხოლო ოთხს ივნისს სელიმ-ფაშის 34-ათასს კორპუსს შეებრძოლნენ. ხელში-

ფაშა თავის ჯარით ჩოლოქის მეორე მხარეს გამაგრებულს ბანაკში იდგა. ბრძოლა კურინის რაზმმა დაიწყო; მათთვის მხარი ლიტოვის რაზმის ორს ბატალიონს უნდა მიეცა. პოლკოვნიკის მამაცაშვილის ყუმბარების დახმარებით, კურინელებმა ხელად აიღეს ბანაკი, მაგრამ შედარებით ცოტანი იყვნენ და შიგ გამაგრება ძალიან გაუჭირდათ; ლიტოველები კი არსად სჩანდნენ. მათ ჯაგნარსა და ჭაობიან ადგილებზედ მოუხდათ გავლა და დროზედ ველარ მიეშველნენ კურინელებს, რომელთაც მალე ოსმალოს აუარებელი ჯარი თავს დაატყდა და საშინელი სახელდახელო ბრძოლის შემდეგ უკანვე გამორეკეს ბანაკიდან. აი მაშინ წასწია წინ ანდრონიკაშვილმა ქართველთა რაზმი.

ჯერ ისევ ბრძოლის დაწყებამდე ქართველებმა საუკეთესო ტანისამოსი ჩაიცვეს, ისე მოირთვნენ, თითქოს ქორწილისათვის ემზადებიანო, და ახლა საშინელის სისწრაფით გაქანდნენ წინ, რომ გამოეგლიჯათ ოსმალებისთვის გამარჯვება. ყველაზედ წინ მიჰქროდა ბოდბის-ხევის მამასახლისი ზაქარია ნატროშვილი და დროშას მიაფრიალებდა.

ნატროშვილი ძველი, გამოცდილი გმირი მეომარი იყო და როდესაც იარაღში გამოწყობილი შავის დროშით თეთრ ცხენს მიაჭენებდა, მნახველს თვალ-წინ წმინდა გიორგი წარმოუდგებოდა.

გაქანებულმა ლაშქარმა ჯერ სიმაგრეს მოუარა და შემდეგ მიჰყო ხელი ხმლის ტრიალსა და თოფის სროლას. საშინელი ბრძოლა იყო. ორი რაზმის უფროსი თავადები ანდრონიკაშვილი და ვახვახიშვილი იქვე გმირებად დაიხოცნენ. ამ ვახვახიშვილს წინად ოთხი ძმა მოუკლეს და ეს მეხუთე იყო. თვით ჯანდიერი ხიშტით დასჭრეს. თავადმა ნიკოლოზ ზურაბის-ძე ჭავჭავაძემ, რომელიც საშინელი ღონის პატრონი იყო, მკედართა ხროვა დააყენა და ლეშს ლეშზედ აწყობდა, ვიდრე მძიმედ არ იქმნა დაჭრილი. ტყვია კისერში მოხვდა, ყელი დაუზიანა და მხარში ჩარჩა; იმავე დროს ვიღაც აფიცერმა ხელში დასჭრა. იქვე მძიმედ დასჭრეს ჭავჭავაძის თანაშემწე თავადი მიხეილ ერისთავი.

ლაშქარმა 120 კაცი დაჰკარგა: მათში ზოგი მკვდარი იყო, ზოგი მძიმედ დაჭრილი. სამაგიეროდ წაართვა ოსმალებს დროშა, გვარდიის სამი ნიშანი და ერთიც ყუმბარა. ეს იყო მთლად ომში ავლა-დიდება: არც ერთი ოსმალური ჩანთა, არც ქუდი; საერთოდ არც ერთი ნივთი ქართველებს არ წამოუღიათ იმიდან. ასევე მამაცურად იბრძოდნენ იმერლები. მიქელაძენი ხარიტონოვის რაზმთან ერთად პირველნი შეცვივდნენ ოსმალოს ჯარის ბანაკში. ხარიტონოვი, რომელსაც რამდენიმე ტყვია მოხვდა, მოჰკლეს. იქვე დაეცა მოხუცებული ქაიხოსრო მიქელაძე იმერეთის თავადთა უძველესის გვარის წარმომადგენელი; ის ახალგაზრდობაში იმერეთის მეფეს ემსახურებოდა და სიბერეში მხოლოდ იმაზედ-ღა ჰფიქრობდა, რომ რუსეთის ხელმწიფისთვის როგორმე ერთგულება და ქვეშევრდომობა დაემტკიცებინა. დაჭრის შემდეგ მან რამდენიმე საათი-ღა იცოცხლა. როდესაც ნათესავები ანუგეშებდნენ „ნუ გეშინიან, ქაიხოსრო, ჭრილობა საშიში არ არის“-ო, ის წყნარად ეუბნებოდა: „მე მხოლოდ ერთისა მეშინოდა, რომ ჩემი სხეული მტერს არ ჩავარდნოდა ხელთ, ეხლა კი, რადგანაც ბანაკში ვკვდები, აღარაფრის მეშინიან“-ო.

ცხენოსანის რაზმის მამაცობამ და ვაჟკაცობამ ქვეითა რაზმიც გაამხნევა და ოსმალები დამარცხებულ იქმნენ. ჩვენმა ჯარმა 13 ყუმბარა, სამი ბანაკი და 36 დროშა წაართვა მტერს. სელიმ-ფაშის ჯარი მიწასთან იქმნა გასწორებული.

როდესაც ომის შემდეგ ჯარი ოზურგეთში აპირებდა დაბრუნებას, ჯარის უფროსს შეატყობინეს, რომ თუშები ტყეში დარჩნენ, მოკლულ კაცს ეძებენ და, ვიდრე არ იპოვნიან, წამოსვლას არ აპირებენო. ბევრი ეხვეწნენ, ბევრი ემუდარნენ თუშებს, მაგრამ იმათ თავისი არ დაიშალეს და მკვდარი კაცის ძებნაზედ ხელი არ აიღეს. „წადით, ამბობდნენ ისინი — ჩვენ თვითონ ვიპოვნით გზასა“-ო. „იქნება დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს თქვენი კაციო“ — ეუბნებოდნენ თუშებს, მაგრამ იმათ ეს არა სჯეროდათ. „არა, ჩვენი კაცი ტყვედ არავის გვაჰყავს, ის უთუოდ მკვდარია!“ თუშებმა მთელი ტყე გადააქოთეს [illegible]

ლის როგორც იყო მაინც აპოვნეს მკვდარი. მაგრამ შემდეგ კიდევ ასტყდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თუშებს თავიანთ ქვეყანაში უნდოდათ მკვდრების წაღება და მთავრობა კი ამის ნებას არ აძლევდა. ბოლოს მაინც დაითანხმდნენ და შემოქმედის მონასტერში დამარხეს. აქვე დაასაფლავეს დანარჩენი მოკლული ქართველების გვამები, თავადნი შიგ ტაძარში, ხოლო დანარჩენნი გალავანში. ამ დღეს შემოქმედის მეპატრონემ თავადმა დიმიტრი გურიელმა სამაგალითო ქელეხი გამართა.

რადგანაც დაჭრილთა რიცხვი ძალიან ბევრი იყო და მათი წაყვანა არ შეიძლებოდა, ყველანი ოზურგეთსა და შემოქმედში დასტოვეს. თავადი ჭავჭავაძე კი ქუთაისში ჩავიდა, სადაც ადგილობრივმა დოსტაქარმა, გამოჩენილმა თურმანიძემ ოპერაცია გაუკეთა და ტყვია ამოაცალა. ამის-და მიუხედავად მეორე დღეს ტყვიისაგან დახვრეტილი ჭავჭავაძე ცხენზედ შეჯდა და თავის ჯარს გამოუდგა.

გურია უზრუნველ-ყოფილი იქმნა და ანდრონიკაშვილიც აღარ გაჩერდა აქ. თავის ჯარით ის ბებუთაშვილისას შველად მიდიოდა, როდესაც უცბად გზაზედ, ბორჯომის მახლობლად შეატყობინეს, რომ შამილი კახეთში ჩამოვიდა და იქაურობას აოხრებსო. ჯარი მაშინვე გაჩქარებული ნაბიჯით ტფილისის გზას გაუდგა. მთელი ტფილისი შიშით იყო მოცული და როდესაც ლაშქარი დაინახა, იმის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა; გენერალი რიდი საშინლად გაკვირვებული იყო ჯარის ჩქარა სიარულით.

როდესაც ჯარი ტფილისს მიუახლოვდა, თუშებმა ხელახლად დაიწყეს ლაპარაკი, ჩვენ წინ გაგვიშვით, უკან ვერ მოვყვებით ჯარსა, ხალხი მშიშრებად ჩაგვთვლის და სასაცილოდ აგვიგდებსო. მაშინ თავადმა ამილახვარმა უთხრა რომ უკან უფრო მოგაქცევენ ყურადღებას, რადგანაც საუკეთესო ჯარს ყოველთვის გაჭირებისთვის უკან ინახავენო. ეს აზრი იმდენად მოეწონათ თუშებს, რომ თავად-აზნაურთა რაზმის წინ აღარ მოითხოვეს წასვლა და მოითხოვეს ყველაზედ უკან ჩვენ გაგვიშვითო.

ტფილისში ჯარი დიდუბის ეკკლესიასთან დაბანაკდა. რაზმებმა თავთავიანთი ნიშანი მიწაში ჩაურჭეს და იმის გარშემო ბინები გაიმართეს. მშვენიერს სურათს წარმოადგენდა მთელი ეს ბანაკი. ეს სხვა-და-სხვა ტანისამოსის ხალხი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა კაცზედ. ერთს ადგილას თავიანთ ნიშნის გარეშემო, წითელ-ქუდა ოსები შეკრებილიყვნენ და მხიარულად ერთმანეთში მუსაიფობდნენ, მეორე ადგილას თეთრ-ფაფახიანი ქართლელები და კახელები, ხოლო მესამე ადგილას ნაბდის ქუდიანი თუშები და ფშავლები. განზედ კი ლაშქრის კარავის წინ, ფრიალი გაჰქონდა ჯერეთ ახალს, მაგრამ ჩოლოქის ომის კომლით შებურვილს და გამარჯვების დიდებით გაბრწყინვებულს დიდს შავს დროშას. ტფილელები ალტაცებით მიეგებნენ ჯარს, ყოველ დღე იმის სანახავად დადიოდნენ დიდუბეში და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს დღესასწაულში, რომელიც ქალაქმა ლაშქარს გაუმართა. გენერალმა რედმა ქართველ მეომრებს ათასი ოქრო აჩუქა.

ჩოლოქის ბრძოლამ თავად ჯანდიერს წმ. გიორგის ჯვარი შესძინა, ხოლო ლაშქარს—წმ. გიორგის დროშა. სად არის ეხლა ის დროშა? უმჯობესი არ იქნებოდა, რომ იგი ხალხის დიდების ტაძარში—მუზეუმში ინახებოდეს და არა რომელიღაც არსენალში, სადაც თავის დღეში არავინ დადის.

22 წლის შემდეგ ხელ-ახლა დაიწყო ოსმალეთის ომი. თავადი ამილახვარი უკვე გენერალი იყო და ცხენოსან ჯარს უფროსობდა. იმის თხოვნით ჯანდიერის შვილმა გაუგზავნა ის შესანიშნავი დროშა, რომლის ქვეშაც ახალგაზდა აფიცერმა მამაცურად იბრძოლა ჩოლოქზედ და რომელსაც ეხლა დრამდაგის ომში უნდა მიეღო მონაწილეობა.*) ომის დაწყებამდე თავადმა ამილახვარმა ჯარს ამ დროშაზედ მიუთითა და უთხრა: „ყმაწვილებო! ეს დროშა გამარჯვებას არის ჩვეული. 4 ივნისს, 1854 წელს ამის შემწეობით ჩოლოქზედ ჩვენ ბრძოლა მოვი-

*) ამ დროშის ასლი, რომელიც თავადმა ივანე გივის-ძემ გადაიღებინა, ჯანდიერის ოჯახმა დაიტოვა.

გეთ და დღევანდელს საქმეშიც უთუოდ ღმერთი შეგვეწევა“. ეს სიტყვები აღსრულდნენ: ჯარი მამაცურად შეებრძოლა მტერს დრამ-დაგთან და 4 ივლისს, 1877 წელს, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ჩოლოქის ბრძოლა იქმნა მოგებული, ოსმალეთის ჯარი გზა-კვალ დაბნეული გაიფანტა. ამის შემდეგ თავად ამილახვარს ეს დროშა თავიდან აღარ მოუშორებია, ყოველს ომსა და ბრძოლაში თან დაჰქონდა და ეხლაც, როგორც მოწამე წარსულის დიდებისა, სახლში აქვს შენახული.

# პესსიმიზმი

## ქართულ ლიტერატურაში.

დ. გურამიშვილი

### I

### პესსიმიზმი და მისი მიზეზები[1])

რა არის თვით ჩვენი ცხოვრება? როგორ შეგვიძლიან ავხსნათ იგი?

ცხოვრება წარმოადგენს იმ ძალ-ღონეთა კრებას, რომელიც სხვა-და-სხვა საშუალებით ყველგან და ყოველთვის ებრძვის მის მომსპობ სიკვდილს; ეს ბრძოლა იქსიონის ბორბალივით ტრიალებს შეუჩერებლად, და მუდამ არსებობს ყველა სულიერ სხეულში. ამ ტრიალ-ბრძოლაში გამოსჭვივის ტანჯვა-მწუხარება და ბედნიერება. როცა გამარჯვების დროშა ცხოვრებას რჩება, მაშინ ამოყოფს თავს აღმაფრთოვანებელი ნეტარება, წინააღმდეგ შემთხვევაში-კი სამეფოს იჭერს გულშემზარავი უბედურება. ამ ორ მოწინააღმდეგე წერტილებ შორის მიდი-მოდის ადამიანის ცხოვრება.

---

[1]) ავტორის მიერ ხმარებული წიგნები ქართულ წყაროების გარდა: შოპენჰაუერი „Міръ какъ воля и представленіе I და II 19; ჰარტმანი „Философія безсознательнаго“ ტ. II., ა. ფულიე „Страданіе и удовольствіе“, პასკალი „Мысли“, კარიაგინი „Сакіа-Муни“, კარო „პესსიმიზმი“, ბრიუნეტიერი „Пессимизмъ“, დაშკევიჩი „Міровая скорбь“, კალაჩინსკი „Философское пессимистическое міросозерцаніе Шопенгауэра и его отношеніе къ Христіанству“, ჯ. სელლი „Пессимизмъ“ და სხვანი. ამასთანავე დიდ მადლობას ვუცხადებ პატივცემულ ალ. ხახანაშვილს, რომელმაც ამ შრომის წერის დროს მომაწვდინა თავისი აზრი.

ამ აუხსნელ შარაზედ ისმის სხვა-და-სხვა ტკბილ-მწარე მახილი და კვნესა. იგი ისმის ყველა საუკუნოებში ქრისტეს დაბადებამდისაც და მერმედაც, ერთის სიტყვით — იმ დღიდან, როცა ადამიანმა ცნობიერი გრძნობა შეიძინა.

იმდღიდგან იბრძვის ადამიანი. ბრძოლა სიკვდილსა და სიცოცხლის შორის, ადამიანის სურვილ-ინსტინქტების წინააღმდეგობა, გარს შემორტყმულ საზოგადოებასთან ჭიდილი, ბუნების მტრობა და ზიანი, გაუგებრობა, ჭირ-ავადმყოფობით ავსილი კაცობრიობის ისტორია, სისხლის ღვრა, დანაგვრა-დაჯაბნა, სამართლის გათელვა, ბოროტების გამეფება და ათასი სხვა გვარი ვაება იწვევდა — და იწვევს მწარე ხმას ყველა მეცნიერების დარგში და ლიტერატურაში თვით სარწმუნოებრივ მწიგნობრობაშიაც კი.

ცხოვრების ასეთი აჭრელებული სურათი, სადაც თვალსაჩინოდ შავის ფერით არის გამოხატული ცოდვა, სიღარიბე-სიღატაკე, უსამართლობა, ძალუნებურად აღონებს ადამიანს, აღძრავს ხოლმე მასში სხვა-და-სხვა საჭირ-ბოროტო, გადაუდებელ ამოცანების ახსნის სურვილს. ის დღე და ღამ მწარე ტალღით გამოღვიძებული აძლევს თავს ამ გვარ კითხვებს და ცდილობს თვითონვე პასუხი უპოვოს მათ.

ავიღოთ მაგალითი თვით დღევანდელ ცხოვრებიდან, — მოვიყვანოთ ბრიუნეტიერის აზრი: რამდენი მეცნიერება არის, რომელთაც გამოსარკვევად მეტად არა ერთი წლიწადი გაუტარებიათ და ბოლოს დარწმუნებიათ უთქვამთ — ყოველივე ავხსენითო — მაშინ, როდესაც არაფერი არა ჰქონდათ ახსნილი და მხოლოდ საკუთარ თავის მეტყველებაზე აიგუმნებდნენ თამამად წარმოთქმულ დასკვნას; მეტად მეცნიერთა დამაინტერესებელი კითხვები დღესაც ვერ აგვიხსნია, გამოურკვეველი დაგვრჩენია. ამ კითხვების გამორკვევამ უნდა წაიწიოს კაცობრიობა წარმატებისაკენ, ქვეყნის სისწრაფით, აუხილოს თვალი და გააბედნიეროს იგი.

საიდან გავჩნდით? რა ვართ? საითკენ მივდივართ? ამ კითხვებზე და დანარჩენებზედაც, რომელთაც უკანასკნელებთან დამოკიდებულობა აქვთ, აქამდელსაც იმას ვამბობთ, რასაც არისტოტელის დროინ- ძანი გაამასხოვდნენ, განსხვავება მხოლოდ შემდეგშია: იმათ კითხვა

გამორკვეული ეგონათ, ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, ვერას გავი-გებთო — ამბობს ბრუნეტიერი.

ეს კითხვები და სხვა ათასი ჯანა მსგავსი ბრუნეტიერს აინტერესებენ? ამას იძახის უმრავლესობა, მაგრამ ვერასდ ვერ აუ-ხსნიათ. იმეორებენ სოკრატის სიმწარით წარმოთქმულ სიტყვებს — «მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი რა...» ბანს აძლევენ დიუბუა-რეიმონის ძახილს — «ignorabimus». ასე გულგატეხილი მეჭურებენ ქვეყანას, თითქოს მას გარშემო სქელი ბურუსი შემორტყმოდეს.

ისწრაფის ადამიანი სიკეთისკენ — ვერ აღწევს მიზანს; იგულებს რასმეს — საკეთილდღეოდ ამასაც ვერ ასრულებს; უნდა მისპოს სიბოროტე, ცოდვა, სიღატაკე — ვერას ხდება; ებრძვის სიკვდილს, და აქაც პალიატიურ წამლის გარდა, რომელიც ხშირად წვალებას უფრო აგრძელებს — ვერას აჩენს. ყოველ ცდას ათასგვარი მძლავრნი დაბრკოლებანი ელობებიან, რომელთაც ანგარიში უნდა მისცეს, ებრძოლოს: «ყველა ცდა ფუჭია, და თავის მოტყუებაა» — ამბობს ერთი მეცნიერი — «კაცობრიობა იმდენად მოსპობს უსიამოვნობას, სიღარიბე-სიღატაკეს და უბედურებას, რამდენადაც ცოდვას — და იმდენად ცოდვას, რამდენადაც სიკვდილსა.»

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი, ცდა-წვალებით დაქანცული მეცნებით გაითვალისწინებს ყოველსავე, დააკვირდება და გულ-დაწყვეტით მიდის იმ დასკვნამდის, რომ ადამიანის ბუნება შეზღუდულ — შემოფარგლულია; დანიშნულ საზღვარს ვერ გადა-მორჩება ჩვენი მოქმედების ძალ-ღონე. აი — ამ საზღვარზე კვდება, ისპობა ჩვენი სურვილი, იმედები. აქნამდის თუ ვერრა გაიგო ადა-მიანმა, აქ დაჯაბნილი გრძნობს თავის ჭკვა-აზრის, გონების უძლუ-რობას, არარაობას. საგანი რჩება გამოურკვეველი, ბნელით მოცული.

ასეთნაირი ვითარება ბადებს გულ-გატეხილობას. ასეთი ყოფა გვათქმევინებს — ჩვენი ქვეყანა გაუგებარი რამ არის, ცხოვრება აუხსნელი, ხან-მოკლე, წვალებით ავსილი, კაცობრიობა სიბრიყვით გატაცებული, ცხოვრება ძნელი ასატანი და შესაზარი.

ამ დროს ყველა უკვდავი ფაუსტის სიტყვებს იმეორებს: «თუ როდისმე დავწვე საწოლზე დამშვიდებული, მაშინვე მოეღოს ბოლო ჩემს არსებობას.... თუ როდისმე ვთქვა წარსულ დროზე: «შეჩერდი,

წამთვის საუცხოვო იყავ! ჯაჭვ-ბორკილებში გამხვიე... მაშინ სიამოვნებით დავიღუპები... მაშინ გაჰქრეს ის, რასაც დროს ეძახიან.»

ცხოვრების ამგვარი სისტემატიური უკმაყოფილება, რომლის მძიმე უღელსაც სწევს კაცობრიობა, გულ-გატეხილობა იმით, რომ ბოროტების მოსპობა ქვეყნად შეუძლებელია, მისწრაფებათა გამტყუნება, საერთოდ გაუგებრობა, ცხოვრების შავად წარმოდგენა არის **პესიმიზმი**.

ადამიანი, რომელიც გადაწყვეტს — ქვეყნად ბოროტება უფრო მეტიაო — არის პესიმისტი.

ჩვენ ვცდილობდით გამოგვერკვია — საიდან წარმოსდგება საზოგადოდ პესიმიზმი, ობიექტიური და თუ სუბიექტური; რა არის პირველი მიზეზი კაცის გულში პესიმიზმის დაბუდებისა. ახლა საერთო დასურათებიდან გადავიდეთ გამორკვეულ კერძო ფაქტორებზე, რომელთაც მნიშვნელობა ნამეტნავად თვალსაჩინოა. ამ შინაგან თუ გარეგან ფაქტორების მოქმედება კერძო შემთხვევაში, და ზოგჯერ საერთოდაც ძლიერი არის.

ისტორიამ ბევრი იცის ასეთი მაგალითები. ამ მიზეზებს დიდი ამბოხება მოუხდენიათ კაცობრიობის აზროვნებაში, დაუმსხვრევიათ საუკუნოებით შესისხლ-ხორცებული რწმენანი, წამოუყენებიათ ახალი, რომელსაც მაინც და მაინც არაფერი შეუსუბუქებია არ მოუნიჭებია ქვეყნისთვის. ასეთ ცვლილებით მოტყუებულნი, ანუ საგნის სინამდვილით შემტყობნი, ემატებოდნენ და ემატებიან პესიმისტთა რიცხვს. მაგალითად ავიღოთ XVII საუკუნის ბოლოსა და მასთან ერთად XVIII და XIX საუკუნეების საფრანგეთი, სადაც დაინგრა საუკუნეებით განმტკიცებული წეს-წყობილება, შეირყა სამარადისოდ — შეგვიძლიან ვთქვათ — სარწმუნოებრივი რწმენა. ამ გარემოებამ, როგორც შემდეგ დავინახავთ, ძირ-ფესვიანად შეარყია ერთა ჭკუა-აზრის მოქმედება. ასეთია ისტორიულ გარემოებათა მძლავრი გავლენა

ჩვენ ვთქვით, სარწმუნოებრივ რწმენათა შერყევას დიდი გავლენა ჰქონდაო. რა თქმა უნდა, რომ პესიმიზმის ზრდას ყოველთვის ხელს შეუწყობს ათეიზმი და მატერიალიზმი: კაცობრიობის უმრავლესობა ხომ სარწმუნოებით ინუგეშებს თავს. თუ ღმერ-

თი არ არის და ყოველივე, რაიც არსებობს მხოლოდ მატერიის [illegible] თუ ადამიანის სული და მისი მაღალი გონებრივი და ზნეობრივი მოთხოვნილებანი ჩაითვლებიან მარტო ტვინის ფუნქციად და სხვა არარად, მართლაც, უკანასკნელ ნუგეშის დამკარგველ გულ-გატეხილისთვის რა საშუალება უნდა მოვძებნოთ? ადამიანს ქვეყანა შავად ჰქონდა წარმოდგენილი, არსაით არავითარ შველა-ნუგეშს არა ხე-დავდა სარწმუნოების გარდა და უკანასკნელმაც უმტყუნა. ამის შემ-დეგ რაღ გვიკვირს, ატეიზმმა და მატერიალიზმმა რომ გაზარდონ გულგატეხილობა, ანუ პესსიმიზმი! ამ მდგომარეობაზე ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი.

**სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები**ც ხომ უმთავრესი ფაქ-ტორთაგანნი არიან.

პესსიმიზმი მხოლოდ ჭმუნვად გადაიქცა მეთვრამეტე საუკუ-ნის მეორე ნახევრიდან და გასაოცარი სისწრაფით იზრდება; ჩვენც ამ ხანებიდან მოვიყვანთ რამდენსამე ისტორიულ მაგალითს.

ინგლისში ახალი ევროპიული პესსიმიზმის სათავე ჩნდება მე-ჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, როცა ინგლისის მიდამოზე საშინელი სოციალურ-პოლიტიკური ქარიშხალი ჰბერავდა, არსებობ-და ძლიერი რყევა.

საფრანგეთში იქაურმა დიდმა რევოლიუციის ქარიშხალმა ძვე-ლი წეს-წყობილება ძირ-ფესვიანად შესცვალა; ერი, იმედებით აღ-ფრთოვანებული, მოელოდა ჭირ-ვარამის შემსუბუქებას, მაგრამ, სა-უბედუროდ, მოტყუებული დარჩა, იმედი მწარ ოცნებად გადაიქ-ცა. ამის წყალობით დასავლეთი ევროპა ამ საუკუნეს მიეგება გაცრუე-ბული იმედებით და დანაღვლიანებული გულით.

გერმანიაც არ აშორდება ამ გზას. აქაც დაუნგრათ ძველნი იმე-დები, თვალთ წარმოუდგათ უსაფუძვლობა პოლიტიკური და სოცია-ლური იდეალებისა, გაკოტრდნენ ესტეტიური და ფილოსოფიური სკოლების გარდამეტებული პრეტენზიები. სამხედრო იდეალმა, რო-მელიც გერმანიისთვის ისე ძლიერად ბრწყინავდა, სულ სხვა გა-მოდგა, ჩაეფუშათ გერმანელებს ამაზედ ოცნება. ფილოსოფიამ უფრო სხვა საშუალება აღმოაჩინა მსოფლიოს ხელში ჩასაგდებად, ზარ-დამცემი იარაღის ალაგი იდეებმა დაიჭირეს, უკანასკნელმა გა-

შალა დროშა. ამასთან ერთად კრიტიკის წყალობით შეირყა თანდათან სარწმუნოებრივი ტრადიციები.

დანარჩენებსაც ცოტად თუ ბევრად ამგვარივე ბედი ეწვია; ევროპის გონების შემრყევი ტალღა თითქმის ერთი და იგივეა; რომელშიც არა მცირედი ადგილი უჭირავს ეკონომიურ ელემენტს. მუშის ქირის დამცირება, ახალი მანქანების გამოძებნა, ორთქლის და ელექტრონის ძალის შექმნა, კაპიტალისტ-ბურჟუას თავგასული გაბატონება და ყველა ამებიდან წარმომდგარი მიზეზი ერთ უმთავრესს ძალად უნდა ჩაითვალოს დღევანდელ ცხოვრების პესსიმიზმის განვითარებაში. ასეთ ხმას დღითი-დღე ასი-ათასობით ემატებიან დატაკნი მუშები, სოფლელები თუ ქალაქელები, რომელთაც ბობოლებისაგან სისხლი გაშრობიათ და სულს ძლივს იბრუნებენ.

ამდენი სხვა-და-სხვაგვარი მიზეზების ურთიერთში გადახლართვა იწვევს ისეთ მდგომარეობას, რომელიც ხალხს თავბრუს ასხვევს, ბედს აწყევლინებს.

მაგრამ ეს მდგომარეობა ყოველთვის ერთგვარი და ერთი ზომისა როდი არის. ბრბო რამდენადაც გაუნათლებელია, იმდენად უფრო ადვილად, უფრო უმჯობესის ლოდინში იტანს ყოველსავე; როცა ხალხის ცივილიზაცია მაღლა სდგას, მაშინ გარემოების კრიტიკული განსჯა უტყუარ დასკვნამდის მიიყვანს ხალხს და თუ ხსნას ვერა ხედავს, უფრო მეტად იტანჯება. ერთის სიტყვით, რამდენადაც უფრო განვითარებულია ადამიანის ჭკუა-აზრი, გონება, იმდენად უფრო წვალობს იგი ამგვარ მდგომარეობაში! როცა განვითარებულ გონებას ზედ ემატება კიდევ «შეგნება», რომელსაც ჰარტმანი დიდ მნიშვნელობას აძლევს—როგორც სინამდვილის გაგების საშუალებას—მაშინ გულ-გაციებას და მწუხარებას საზღვარი არა აქვს.

ამ აზრის ძალა—როგორც შოპენჰაუერი ამბობს—აშკარად ამტკიცებს რომ ის არა ჩვეულებრივნი, პირნი, რომელთაც გენიოსებს ეძახიან, ყველაზე უფრო უარესად იტანჯებიან. ამავე კატეგორიაში შეგვიძლიან მოვათავსოთ გამოჩენილნი მწერალნი და პოეტები. ეს უკანასკნელნი რომ ბრბოს მაღლა დგანან და გამჭრიახ მხედველობით აკვირდებიან, არჩევენ საერთო ბედ-მწუხარებას და ხშ-

რად თავის მედგარ მსჯავრს უერთებენ საზოგადოდ განსჯას; ისინი ასეთ შემთხვევებს დესპანიან საკუთრად დანარჩენთ გზის გასაკვალავად. ეს ძახილი ბრბოს გლოვა და ზარია: პოეტი, რომელიც ასეთ პირობებში იზრდება და უკანასკნელებს ირჩევს თავის გამოსახატავ საგნად, ნამეტნავ ძლიერ დაბრკოლებებს დაეჯახება სხვა-და-სხვა ამოცანების გამოსარკვევად წინდაწინვე გათვალისწინებულ გზაზე. აუწერელი რამეს წარმოადგენს მაშინ პოეტის გული. რამდენ მიმწარე-ნაღველს გრძნობს — ვინ მოსთვლის! მისი სიტყვები მუდამ გულს გვხვდებიან და გვაფიქრებენ.

რომ დავუკვირდეთ დიდებულ მოაზროვნეთა უმრავლესობის მსჯავრს — სულ ერთია — რაც უნდა ფრიად იყო წარმოსახული, გავიგებთ ხშირს მღერვას, წუხილს და ქვეყნის არარაობას.

ამის დამასურათებლად მოვიყვანოთ იმ ფილოსოფოსთა აზრებს, რომელნიც ჩართული არიან ჰარტმანის «შეუგნებლის ფილოსოფიაში»,

პლატონი ამბობს აპოლოგიაში: «თუ სიკვდილის შემდეგ არაფერს არ ვგრძნობთ, თუ სიკვდილი ჰგავს სიზმრებ ამოღებულ ძილს, სიკვდილით ჩვენ შეუდარებელ და გასაკვირ მოგებას მივიღებთ». ამ სიტყვებით პლატონი ქვეყნიურ სიცოცხლე-წვალებას, ყოფნას ბევრად ამჯობინებს არ ყოფნას, ე. ი. სიკვდილს.

კანტი ამბობს (Werke VII): «ცხოვრებას არ უნდა ვაფასებდეთ, როცა ვესიურის ძალს გაგრძელებას, რომელიც ეხებიან, ამ თამაშის განგრძობას, სადაც მუდამ დაბრკოლებანი სჯაბნიან ყველაფერს». შემდეგ ცხოვრებას იგი ეძახის — «ტანჯვის დროს, სად უმრავლესობა იღუპება, სადაც საუკეთესო მდგომარეობაში მყოფიც არ არის ცხოვრებით მოხიბლული».

ფიხტე ქვეყანას არქმევს — «ესიძაგლესის სახელს, რომლის უარესის შექმნა, არ ეგონება შეუძლებელია; გავიტაცებთ რაიმე საგანი, მიზნად დაგვინახეთ წყურვილი მოგვეცეს გვექცეს, დავემსგავსოფილოსოფოსი, მაგრამ ღრმა ცოტა დაფიქრდეს, დინჯად ფიქრს დაუკვირდის: ბედნიერი ჯერ ყოფილა, თუ არაფერი წამისა თქვენ სულგულის სიღრმიდან მოგესმით ხმა: არა, ათასჯერ არა!..» აგრე წვალობს და მიდამოდის საუკუნოებისა შვილი.

შელლინგი ამბობს: «ტანჯვა რომელსაც ადგა ყველა არსება ამ ქვეყანაზე, არის—ტანჯვა-წვალების გზა... განა წარმავალ ცხოვრების ყოველ-დღიური ვარამით შეწუხდება ის, ვისაც კარგად შეუგნია სამ ზოგადო ქროვნის ჰმუნვა და ერთიანი დიადი სევდა?.. ყოველგვარ წვალება ყოფნიდან წარმოსდგება»...

ასეთივე აზრს გაიგონებთ თვით ჰარტმანისგან, შოპენჰაუერისგან, საქია-მუნისგან (ბუდა) და სხვ. მრავ.

ლიტერატურაშიც არა ნაკლები დრტვინვა მოისმის.

გიოტე ამბობს—«ვწვები და თან ვისურვებ ხოლმე, რომ მეორე დღეს არ ავდგე და სამარადისოდ დავიძინო»!.. ოჰ, გაცრუებ-რობავ; რა გვარი სულ შემხუთველი ბედ-იღბალი გქონდეს».—გიოტეს ფაუსტის აზრით ადამიანს დასვენება არასდროს არ შეუძლიან: «მე ადამიანი ვარ, მშვიდობას დაშორებულიო».

შილლერი: «ბრიყვნი ყველანი სამუდამოდ ბნელში ვართ ჩაცვივნულნიო».

ამასვე ვკითხულობთ ბაირონის, შექსპირის, დანტეს, მილტონის, კალდერონის, ლეოპარდის და სხვ. მრავალთა თხზულებებში. ჯოჯოხეთი, უფსკრული, უკუნი ბნელი და სხვ. და სხვ. მრავალგვარ გულშემზარავი შედარებანი წარმოუდგენიათ სხვა-და-სხვა საუკუნეების განმჭვრეტლობაში. მაგრამ ამ ძახილ-ჩივილში ორგვარი კილო ისმის, სულ სხვა-და-სხვა სახის, ერთი მცირე, მეორე კი უფრო დიადი და ძლიერი: პირველი—სუბიექტური, პირადი, მეორე—ობიექტური, უპირადო.

სუბიექტური პესიმიზმი იმდენად ფას-დასადები არ არის ობიექტურთან შედარებით. პირველში იხატება განკერძოებული ხასიათის სევდა, ტანჯვა ერთი ადამიანისა. ასეთი პესიმიზმი ხშირად საკუთარი აგებულობის, ტემპერამენტის, სხვადასხვა ავადმყოფობის გამოწვეულია ხოლმე. ამ შემთხვევაში ტანჯულობს ადამიანი და არა კაცობრიობა.

სულ სხვა რასმეს წარმოადგენს ობიექტური პესიმიზმი, ეს არის უპიროდო ჭირ-ვარამი, ჩივილი, კაცობრიობის გულის ვითარების ფოტოგრაფიული სურათი; ამაში გამოითქმის ის საერთო ვაება, რომელიც გაფანტულია შეგნებულ თუ შეუგნებელ მოძრაობაში, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, არსებობაში.

უკანასკნელმა უნდა მიიქციოს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება, რადგან მხოლოდ ეს არის ფილოსოფიაო,—ამბობს კარო. სხვა სახის პესსიმიზმი კი ბიოგრაფიაა, რომანი, მხატვრული ლიტერატურა, ფილოსოფიაზე დიდად დაშორებული და სხვა არაფერი.

ამის შემდეგ მოკლედ აღვნიშნოთ სხვა-და-სხვა სახის პესსიმიზმი, როგორც მას არჩევს ფილოსოფია.

პესსიმიზმის სხვა-და-სხვაგვარობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კითხვას, ცხოვრების რომელ მხარეს არჩევენ, ავასებენ და რა უფრო უნაღვლებს გულს გამრჩეველ-გამომძიებლის. მაგალითად, სამეცნიერო, ზნეობრივი, ესტეტიური, საზოგადოებრივი და სხვ. ამასთან, რასაკვირველია, უპირატესობა ეძლევა წმინდა ფილოსოფიურ პესსიმიზმს, ესე იგი ობიექტიურს, უპირადოს.

ამგვარად არის საზოგადოდ დაყენებული პესსიმისტიური კითხვა ამ ჟამად ყოველგან. ყოველივე ზემოდ ნათქვამი ამ კითხვის შესახებ საკმაოდ მიმახნია, თუმცა ზოგიერთ კითხვებს და მაგალითებს უკანასკნელ ნაწილში კვლავ დავუბრუნდებით.

პესსიმიზმს აქვს უფლება აღმოცენდეს თავის ძლიერებით მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი ან ერი ჰგრძნობს დაღალულობას, დაქანცულობას სამხედრო, მრეწველობითი და სხვა მიზეზების გამო და ვერა ზნეობრივი, სარწმუნოებრივი კანონები და რწმენანი ვერ უცოცხლებენ დახშულ გულს. როდესაც ფესვმომსხლეტი სიღარიბე უმწვავებს ბედს, წაღმა-უკუღმა ატრიალებს და ვერა პოულობს ვერც ეკონომიურ ფორმულას, ვერც საშუალებას ერთის თუ მეორის მოთხოვნილების, ანუ ჭირის დასაკმაყოფილებლად. ერთი სიტყვით, სერიოზულ ნიადაგს აშორებული ჩივილი, უსაფუძვლოდ ტირილი პესსიმიზმად არ ჩაითვლება, ის წარმოადგენს სულით ავადმყოფის კვირილს.

ახლა ვნახოთ რას წარმოადგენს გურამიშვილის ანბავის ელეგია-ჩივილი.

## II

### რა პოლიტიკური, სოციალური და საკუთარი მიზეზები ჰქონდა გურამიშვილის პესსიმიზმს—პოეტის მდურვა-ჩივილი.

ჩვენ ბევრი მებნა არ დაგვჭირდება მასალის შესაგროვებლად, ისინი თვით გურამიშვილის ხელით არიან აღნიშნულნი. ჯერ სოციალურ-პოლიტიკურ მიზეზებს მივყოთ ხელი.

გურამიშვილის გულის შემძრწუნებელ ძლიერ ტალღას პირველად სამშობლო ქვეყნის მდგომარეობა გამოიწვევს. ეს იყო დიდს-შესანიშნავი დრო ვახტანგ VI-ისა, როცა ქართველებმა არ იცოდნენ, რა იყო დამშვიდებული წამი. აი რასა სწერს გურამიშვილი შინაურ არეულობაზე: «გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცემი ხარკისა, ზავით პატივ-სცეს, აჩვენეს გული მტყუარი ზაკვისა; უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა, რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავისი ნამუშაკისა.» ორი ტაეპის შემდეგ განაგრძობს: «არ დაიჯერეს, არა ქნეს სარწმუნო დასაჯერები; დაყრუვდენ, ბრმანი შეიქმნენ, საქმე ქნეს გასამტერები! თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს კვრები, დამცირდნენ მადლით მოყვრები, ცოდვით გამრავლდენ მტერები. დაჯაბნდნენ გულად მამაცნი, მძლეთა მებრძოლთა მძლეველნი, ნებით შეიქნენ უბრძოლველ თავისა მტერთა მძლეველნი, ციხე განუღეს, შეუშვეს დამქცევნი, დამამძლეველნი; მტერი სამკვიდროთ მომშლელნი, ტრფიალთა წამართმეველნი», შემდეგ: «შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა, ამპარტავნება და შური, ურცხვად გატეხა პირისა; ავაზაკობა, ქურდობა, გზებზედ დასხდომა მწირისა, ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!» მერმე მოყვანილი მეფის სიტყვა: **რჯულთა გამრყვნელნო ახალისა და ძველისა! თქვენცა იხილოთ ამიერ მოსპობა საფუძვლისა!»**

მეორე თავში არა ნაკლებ ძლიერებით გვიხატავს გურამიშვილი XVIII საუკუნის მეოცე წლებში ზარ დამცემ უბედურებას:

«აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა, ღმერთმა მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს ან კახეთსა!—

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენა-მჭევრი! იფქლი ღვარძლად გადაიქცა, ჩვენ მობრუნდა ცეცხლის კევრი. ერთიმან მტერმან ათის მათსა სცის, ორმან წინაქცევის ბევრი, მცირედ დარჩა ცოდვილსავან ვაჩი ღვთისაგან შენაწევრი.—თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჭრა თვითო ქიშტი! **მერე შინათ აი-შალნენ**... თავის თავსა კმარი იცეს, გულთა მოისვედრეს სიმტი! —ვით მამალი სხვის მამალსა დაჭიმტერდეს და წაეკიდოს, მასც სცემს და თვითცა იცემს, დაქოჩროს და დაეკიდოს, რა ორნივე დადალულნი მალემან ნასოს, შინი ჭკვიდოს,—ეგრეთ ქართლი და კასეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

ოცდა მეთორმეტე გვერდზე ჩვენის:

«მოგვიტირეთ ჩვენ სამკვიდრო, თავში სულის შემოკრებით; ვით დავკარგეთ ჩვენ მეუფენა ჩვენდა გარეშემო მტრებითა».

ყოველივე ეს გურამიშვილს უნდა მოითმინოს, მაგრამ გული თავისისა შერება, ვერ უძლებს:

«რა ვინდ რამე კაცმა მალოს, ჭირმა თავსა არ დამალოს; ვერ გაუძლებს რაც კაცს სენი გულსა უგოდს, სჩხვლეტს და მსჭვალავს.»

იქვე—«მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჭფარავს! **მეტად მწარედ გული** მტკივა, მაყრყოლებს და ტანში მზარავს!»

ყველა დიდსულოვან ადამიანს აღაშფოთებს ასეთი არეულობა, ვერ დაჭფარავს გულში. რამ დაჰბადა, რამ შექმნა დანტეს უკვდავი თხზულება? რამ აარჩევინა დიდებულ მწერალს ჯოჯოხეთი—თუ არა—ცოტათი თუ ბევრად—ამ გვარმა შინაურ-გარეულმა მიზეზებმა. ხელწამკვრელი მიზეზები დანტეს და გურამიშვილს თითქმის ერთი და იგივე ჰქონდათ.

ოცდა მეთვრამეტე გვერდზე, გურამიშვილი გვიამბობს: «მტერთაგან მეფის ვახტანგის შეწუხებას და უკანისაგან ქართლის წართმევას და ვახის ბატონის მოცემას. შემდეგ—«ვახის ბატონის რჩევას, სადაც ვახის ბატონი ურჩევს ვახტანგს საქმის ძმურად მოგვარებას, შეგობრობას; რადგან სხდავს რომ იმობა და მტრობას ვერ ძალუძთ: «ამათ რომ მტერთაგან დამდნარნ გართ, ვითა [illegible] სასინდლოდ»

ამით დაფიქრებული ახალი კეთი ბატონი ჟივილის კასტანგს: «გარს მტერთგან ცეცხლი გვედების, შიგ ჩვენ ვსდნებით შვილები, სჯობს რომ ჩვენ ერისი შევიქნეთ, ავებ გვედირსოს ძილები...» მაგრამ ეს მშვრი თხოვნაირქვა როგორ გადაკვეთეს კასტანგის წმიდა სურვილის მიუხედავად ისტორიიდანაც ვიცით.

«აქ ნასვეთ, საქმე კეთილი ვით გაბოროტდეს ენებით»,—სამხრელმა ეგროისტიურ წადილმა, რომელიც შეადგენდა კასტანგის ქვეშევრდომების კუთვნილებას, საქმე იქამდის მიიყვანა, რომ ორ კეთილის და ძმობის მსურველ ბატონთა შორის მტრობა და არეულობა მოსდინდა. ამ საქმეში, როგორც ვიცით—ბერება არა მცირე როლს თამაშობდნენ, ამიტომაც ამბობს გურამიშვილი — «მათაც კარგი ჭქნეს კერებიო,» უფრო თვალსაჩინოდ გამოსახატავად მოვიყვანოთ კონსტანტინეს სიტყვები:

«მე მინდოდა ყოფილიყო ჩვენში სიყვარული ძმური, ჩამომეგდო რიგი-წესი, სამართალი, ბატონ-ყმური. არ ისმეთ, არ მოშალეთ ერთმანეთში თქვენი შური, ცოდვა-ბრალი თქვენს კისერთა, თუ რამ მოხდეს უწესური!» ამ სიტყვებით მიმართა კასპ ბატონმა თავის ქვეშევრდომთ.

გაჯავრებული კასი ბატონი ბერებს უგზავნის მოციქულად კასტანგს და უთვლის «სიტყვა ყაიმეერ-ამაყური;» ბერებმა წყლული უფრო გაამწვავეს, ამიტომაც შესძახა მათ კასტანგ VI: «რათ მოგქონდათ თქვენ ასეთი დანაწერი; რისთვის იმათ არ უხსნიდით, ზედ თუ გესხათ ულვაშ-წვერი... რად არა სხართ მონასტერში, არ ილოცავთ, ღმერთს არ ესავთ? გამოსულხართ და დადიხართ, ენაობთ და ჩხუბსა ჰფიცავთ; ჩვენთა ხმალთა გამასწყლთა მაგრით უფრო თქვენ ელლესავი, ღმერთი როგორ დაიდუმებს, არა გვითხავს მაგდენსა თქვენს ავთ!» ამის შემდეგ კასტანგის შვილიშვილებმა და საერთოდ ერიგე მხარეს სიამაყე-შეუწყნარებლობამ რაც მოიტანა ისიც, გურამიშვილის სიტყვებით ვთქვათ—«დანამარცხეს ქართველთა ჯარი, კასტანგ მეფე გააქციეს, ... მტკვარს ... ლებდა, რაც მათ სისხლი დააქცევს.» დანამარცხა ერთმა ძმამ მეორე, წითლად შეღებეს მდინარე ... შვილებმა ... დაჭრით, სიკვდილით.

ამ ისტორიის შემდეგ გურამიშვილს გულს უწყლავს ახალი-ვაება: ოსმალთა შემოსვლა. ამ დროის ესაყვედურება ვახტანგ მეფეს—«ვახტანგის მიმწარის უმწარე ეტკბილა ვითა შაქარი...» ვახტანგი მალე რუსეთს მიდის. ყოველივეს შედეგს გურამიშვილი შემდეგ სიტყვებით გვიხატავს: «დაიქცა რაც მაშინ სისხლის ღვარები, ადაბრუნებდა ბევრს წისქვილს, თუმცა სდებოდა ღარები...» «ჯერ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შეტევით, მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნადავლატქვით...» «ვაი იმ დღეს! ოსმალოსი ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ, სადაც შეხვდისი, მუშაკაცი, გლახა მწირსა თავსა სჭრიდენ; გოდორს თავი აგლიაო, ცხრის ურმისა მარში ყრიდნენ, ტანთ მმარხველი არა ყვანდა, მელატურა გამოსკრიდნენ! «....ვაი იმ დღისა დამსწრესა! აწ სათქმელადაც ძნელია, ცოდვამ მოგვიცვა ნათელსა, გარს მოეხვია ბნელია, ხელში ნაჭერი კეთილი შეგვექნა საძებნელია.»—«წალმა მბრუნავმა დროჟამმა უკუღმა შექნა ტრიალი, ერთა მოჰკრა ქართლისა, კახეთისა, შეაქნევინა სრტიალი; მამლები ტურამ დასჭამა, დედლები დარჩა ტიალი, მიდგა ყვავი და ყორანი, დააწყებინა წკრიალი.—მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ველანად, ტრამლადა! სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მოურჩა წამლადა; დადედლებულნი მიმთავან აღარ ჯარგოდენ მამლადა, აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად ქვეყნის მამლადა...» «ჩვენმან სისხლმან-ნიაღვარმან ხევნები სულ ამოლამა, სუნით მოიცვა მთა-ბარი ჩვენის მკვდრის მძორთა ყროლამა.

რა უნდა ყოფილიყო ეს საშინელი სურათი, როგორ უნდა ემოქმედა გონებიან ადამიანზე, გურამიშვილის შემდეგი სიტყვები გვასწავლის,—«ვაი რა კარგა მოვსთქვამდი, მეტყოდეს თუ ვინმე ბანს.»

ჩვენ ჯერ მოწადინებული ვართ გამოვარკვიოთ საზოგადოებრივი პირობები, რომელნიც ხელს უწყობდნენ გურამიშვილის სევდასა, ამიტომ პოეტის დატყვევებას, გაპარვას, მგზავრობას და იმ ჟამად გამოცდილ ვითარებას ჭერმე დავუბრუნდებით. ახლა კი გადავალთ პირდაპირ მოსკოვში, სადაც გურამიშვილი ესტუმრა იქ მყოფ ვახტანგ VI. ვახტანგი—როგორც ვიცით—მიიპატიჟა რუსეთის ხელმწიფემ. მოსკოვიდან რუსეთით დაიმედებული ვახტანგი თავის

ამალით, რომელშიაც გურამიშვილიც ერია, მოემგზავრება რუსის ქვეყნისკენ. ჯერ გზაშივე მეფეს მიეგებება სვიმონ აბრამისშვილი ცუდის ამბით; ამ ამბით ვახტანგს მთელი გეგმა ჩაეშლება. შამახიის თამაზ ხანის მიერ დაჭერამ მეფეზედ იმდენად იმოქმედა, რომ წამდაუწუმ გაიძახოდა: «ახლა რა ვქნა, სად წავიდე? გზა შემექნა გასქლათული...» აქედან მიდის დარუბანდს, აქაურმა დასვენებამ მოსკოვეს ქართველებს გული ცოტათი გაუმხიარულა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ორკეცი მიმწარე დაემატათ. თამაზ-ხანმა გაგზავნა პეტერბურგს კაცი სალამით. რუსეთში გაგზავნილი დესპანი იქვე დატოვესო — ამბობს გურამიშვილი — კარგი ულუფა მისცეს და მასთან ერთად «მან სცნა ვახტანგ მეფისა საქმე და განძრახულობა, ვინც უთხრა კარგად ყურს ქნა იდუმალთ დამარხულობა; ვახტანგის განზრახვას დესპანი ამცნებს თამაზ-ხანს; უგანასკნელი გაპირთისლებული მოვარდა შამახიას, განჯას და სხვა საქართველოს ქვეყნებს. მერმე რუსეთს აცლევინებს სოლაღს, დარუბანდს და სხვ. შემდეგ ამისა იპატიჟებს დასაღვლებულს ვახტანგ VI «არ წავიდა, არ მივიდა, მისი ყმობაც ითაკილა, სიტყვა მისი მას გულს ეცა, თვალთა ქაცვი ვით ასკილა; ვითა სმოდა პირველდათგან, მით იხსენა, მით ჭკვილა, თქვა შეც უნდა დამბორკილო, ვით შაჰ-თამაზ დაბორკილა». რუსი ცდის თუ არა გაღმა მხარეს — ვახტანგი მიდის ასტრახანს, სადაც «უარეს ამბავს შეესწრო».

აქ ვახტანგი აცხადებს — «ველარსად წავალ აქედამ, [illegible], რადგან აქ ვართ, ჩვენს დაქცეულსა ოჯახზედ უნდა რომ შენ ისარ-ქარო... — აღარ ვიქნები როგორც ვიყავით ჩვენაო; მისთვის ვიმალვი სირცხვილით არ მინდა გამოჩენაო, მრავალის ცრემლის დენითა დავკარგე თვალთა ჩენაო, ასეთი სენი შემყრია მძლეია გადარჩენაო»! ფროცა კისთქვა, ჯავრით ეგე მკლავს, მაჩივლებს, ეგ მატირებსა, წყეული წუთისოფელი, რაც არ მწადს; მას აპირებსა: არ ვიცი, როგორ გადურჩე მწვავლის გულზედ დანაჭირებსა, თუ არ მდომოდი გაგცემდით, არ შეგიყრიდით ჭირებსა». «რა ისმინეს ეს ქართველ-თა ვლავ უფროს შემოკისმახესა და სხვ.» — აქედან ბაქარი, ვახტანგის შვილი, ძმამის [illegible] მიდის ისევ მოსკოვს; მეფე დატოვეს ას-ტრახანში მარტო [illegible]. — გაიარა ცოტა ხანმა, ქართველები ჩავიდნენ

რუსეთში და მოელოდნენ სხნა-შველას; მაგრამ ამ დროს «წაიქცა ბიძია», რომელსაც ვახტანგ VI ერქვა. «მეფე მოგვკვდა, ვიქენით ჩვენ მარად ობოლ-ტიალნი! მით დავიბნენით საწუთროს შუქით ბრწყინვას და ტკრტიალი»; ამ უბედურების შემდეგ რუსეთმა გამოუცხადა ქართველებს: დღეიდან პურაფერს ვერ მოგცემთ, თუ გსურთ —სამსახურში შემოდით, თუ არა საქართველოში წაბრძანდითო. ქართველებმა გატეხეს ვახტანგის მცნება—«წინ-წაუარეს ბაქარსა» და დარჩნენ რუსეთში. «რა იგი ფიცი გარდასწყდა, გულში შრო ქონა შურისა»—გურამიშვილიც გაერია დანარჩენებში. უკანასკნელმა პირობამ—საუბედუროდ ბოლომდის ვერ გასტანა, «შურისა, რომ ესმა სისწორე-ერთობა მან იწყინაო; რკინა რბილი და ფოლადდა, თქვა: განასწორა ვინაო? მართებულთანა დაგვსხუბა, აგ რიგად შეგვასმინაო»... «შურმა დაჩაგრა და მოკვდა ყაფლანის შვილი ტეტია, შურმან ციციშვილს ადამს დაარტყა თავში კეტია; დაშავებული მეც შურით დავიარები სკეტია, დამბნელდება გონება, თავზე მეხვევის რეტია. შურმან მე წიდად დამკოდა, ხმალი შემომკრა მისრისა»... ასე და ამ გვარად გურამიშვილი შორდება სამშობლოს, კუთხეს და რჩება სამუდამოდ რუსეთში.

აწ შევეხოთ გურამიშვილის ცხოვრების მსვლელობას და ბედს.

დავიწყოთ იმ დროიდან, როცა გურამიშვილი ცხოვრობდა «სხვის ქვეყანასა ქვეყნის წახდენის მიზეზით: ქსნის ხევზე, ლამისყანასა»,—«შემიპყრეს ლეკებმა (ქსნის ხევზე ცხოვრების დროს)—განაგრძობს გურამიშვილი—წამომიყვანეს, ხელ-ფეხს შემიდგეს [illegible]ნია, გარდმომატარეს ასი მთა, მისდორე ცხრა მდინარე; მუდამჟამ თვალით ნაკადი მდუღარე ცრემლი მდენდა.—გავიპარე, დამიჭირეს; რად წასხველო, დამპალურეს».—«მარტო ვიყავ, არვინ მყავდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი»... «ხელმეორედ გავიპარე [illegible] ყამი-დრონი»... მერმე ვკითხულობთ შემდეგს: «მოველ [illegible] სევდის ლასკარი ალმასხის დანის სადარი, დედამამა [illegible] მმახი, დაკარგე არ ვიცი დანი სად [illegible] აი—[illegible] უწინ ღმერთის [illegible] შვილო «ოდეს ტყვეობასა შენა მოშველდა»; ქვეყანას [illegible] დაკარგული ტყვეო, შენდ [illegible] აწ მომეშველეო [illegible]

არა მაქვს, მეგობარო, მაშინ მაჭამეთ!... დღეს სწორედ არა მაქვს-რა, გამომიჩინეთ; **დავიჭიროთ ყვავის-ფრთხილა და ისი ვჭამოთ**». შემ-დეგ ვკითხულობთ გამარჯვაზე: «გულზე მქონდა მოსაზული ცხოვ-რების წყაროს ლარი, ვიტირე და გარდავდინე მე იმაზე ცრემლთა ღვარი». «გული ტიროდა, ცრემლით თვალები მევსებოდა». «მეც ჟამმა რამე შემახწია სიცოცხლის დასამწარეს. ასტყდა ქარი და დაიწყო სეტყვა, ელვა და ქუხილი; წამლეკველ ელვის ზარით თვალებმა შექმნეს წყვილი; არსად ჩნდა თავის სათვარი, მაზე შემექნა წყვილი, თავს დავისვით სარტყელი, წავსწვდი ტანს არას ფუფრილი». ასეთ ურ-თვაში ჩავარდნილი გურამიშვილი სეტყვისა ფაგში დაცემის შიშით პირქვე მხობილი ზოულობს თავშესაფარს. ქერმე, ედარებს თუ არა, გაქცეული ტყვეც გაუდგება გზასა.

რა სამინელებას წარმოადგენს ამის შემდეგ გურამიშვილის მგზავრობა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, წვალებით სვლა ძლიერების დასაჯცველად თვით პოეტის სიტყვებით მოვყვეთ:

«ვაკე და წამოვედ ტირილით და ტყებითა, სულ გავანედლე გამხმარნი შამბნარნი ცრემლთა ღვრებითა. გოლჯამდის სეტყვას ვა-ზობდი, ფეხები მაქვნდა შიშველი; ველაზედ გული მაგრობდა, არა-ზედ ვიყავ მშიშველი... აწ ყველას წვრილად ვერ მოვსწთვლი, რაც მაშინ გადამხედია. სამი დღე შამბში ვწოლილვარ, მალვა არ ამიხე-დია, წინ გზისა შეკვრის შიშითა წასვლა ვერ გამიბედია, **შიმში-ლისაგან მეცელი მიმკვრია ფერდზედ ფერდის**. ჩემს უკან მდე-ვართ გარდვურბი ამ წოლით ძლითა სამითა; სუთი დღე-ღამე ვი-ცხოვრე შვიდესა ტყემლის ჭამითა; ღლისით ჯავნარში ვსძვრებო-დი, მინდვრად ვიდოდი ღამითა, დღე თერთმეტამდის ვიარე ყოფა-მცევერთა ამითა... ათის დღის მშიერს მომერთვა სადილი საკვესუ-რია, მოუწევარი ვაინჩხი და მკვახე მე გოგნარეს პერანგი მეცვა ასალი, არ მველი, მე ტანზე ნარმა, მუხლთ ქვეით გაგხდი მიშველი, შემომაცვითა ჩენარმა...» ცოტათი ქვევით პოეტი ღმერთსაც მდურვით მიმართავს: «თუ არ გინდოდა ჩემთვისა, რად დამხადე განმზადებული; თუ არა რისთვის წამართვი საზრდო უბეში დებუ-ლი? ჯამს ამბობს, რომ უკასასენელ საზრდოსაც დაჰკარგავს. აქე-დან მოდის შოსაკუპშის.

მოსკოვიდან გურამიშვილი ვახტანგ VI-ს მეჭურჭლეებთან, მაგრამ როგორც წინად გვქონდა ნათქვამი, ისევ უკანვე ბრუნდება გონება-დაბნეული და რჩება რუსეთში სამუდამოდ. აქ გურამიშვილი იღებს მონაწილეობას სხვა-და-სხვა ომებში; იჭერენ ტყვედ, აწვალებენ, ამწყვდევენ მაგდებურგის ციხეში, საიდანაც იხსნის თავს და მიდის ისევ რუსეთში. ასეთი არეული ცხოვრება, გაუგებარი ყოფა ათქმევინებს გურამიშვილს: «ვით ცხოვარი გზა-შეცდომილი მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე, ეგრე შენ თავო, ხარ გასდომილი; ასეთი საქმე მე მოგივგავარე. გავხდი გლახაკი და დავრდომილი, თუმცა საწუთროს მოვიანგარე; კარ ცარიელზე მე დავჯდომილი, საუნჯისაგან კარს გარე მდგარე». ასეთი ჭაპანწყვეტით ატარებდა დღეებს რუსეთში.

ჩვენ გავშალეთ თვალ-წინ საზოგადოებრივი და საკუთარი მიზეზები, გამომწვევენი გურამიშვილის გულის-კვნესისა. როცა ყოველივე ეს ვიცით, საჭიროა დავასურათოთ თვით ჩივილი პოეტისა: საწუთროს მდურვა, ცხოვრებაზე შემდგარი აზრი და სხვ. უკანასკნელის ღირსება-დაფასებაზე შემდეგს თავში გვექნება ლაპარაკი.

გურამიშვილის თხზულების მესამე გვერდზე გვესმის პირველი ვრცელი აზრი საწუთროზე: «ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანი არს და უპირო! არ დაიჭირვის ხელშია, რა გინდ რომ ბჭყალი უჭირო; დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო... ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი მობრუნავია! წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია; ყოველი ლხინი მუხთილისა კვლავ ისევ საჭმუნავია... მიდის-მოდის ეს სოფელი ქარტეხილით ზღვა-სებრ ღელავს!»

პოეტის ჩივილი დღითი-დღე მატულობს ძალას, თანდათან უფრო გულსატკენით ემდურვის; ყოველ გვერდზე გვესმის ნაღვლიანი ძახილი: «ცრუ, უნდო, გაუტანელო...» 152 გვერდზე ვხედავთ უკვე შემწიფებულს, დიდად განვითარებულს მდურვა-კვნესას: «საწუთრო სოფლის გამო ტირილი.» — «**რად მშვა დედამან, შავმან ბედმან**; ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!» ამ სიტყვებს წარმოთქვამს ადამიანი, რომელსაც ის ტანჯვა-წვალების მორევში გდის და გზა-გამორკვეული ჭკვა-გონება ქვეყნის არარაობას უმტკიცებს.

ეს სიტყვები დასავლეთ-ევროპის ფილოსოფოს-მწერლობის-განაც გვესმის, ესენიც ამ სათავეზე სწივიან. კალდერონი ამბობს: «ადამიანის უდიდესი დანაშაული არის ის, რომ დაიბადა»: ამ აზრს შოპენჰაუერი შემდეგ განმარტებას აძლევს; «ამ დანაშაულის გამო ადამიანს თავს აწევს ყველა ფიზიკური და სულიერი ტანჯვანი, ესე იგი არის უბედური.» (§ 63. 1 ტ.) გურამიშვილიც აგრეთვე კიცხვით ეხება ხომ პირველ ცოდვას,—აქედან დაგვედო სულშემხუთველი ურვა, იმის სამაგიეროს დღეს ვიხდითო: «ოდეს ადამ იქმნა კაცად, ცხად სამოთხე მოებარა, **მისმან ხილმან ამოგვწყვიტა, ნეტამც არა მოებარა!** მას დღეთ აქეთ კალად გვაქვს, ჩვენზედ **არის რაც ეს** სისხი, **ნეტამც** ვინმე ძირით გვჭრიდეს, ჩემთვის, შხამო, რას ხეს ესხი. თუმცა სისხი შვილს დასჯიდა, რად იღებდა მომა-კვდავსა? ჭხედავთ სოფლის სამუხთლესა, ამ **კაცისგან მომავალსა.** ნასხით სისხმან მამისამან, შვილს მოჰგვარა მოკვალე სით?

განვაგრძოთ ისევ საწუთროზე გურამიშვილის ტირილი: «ხარ სატირალი, არ საცინარი; ხარ საჩივრალი, არ სალხინარი..... ვინც შენ მოგენდოს და არ დაგხედოს, ვიტყვი, უბედოს...... რა-ზომცა სნთობ სულ მუხანათობ....» ბოლოს მრისხანე დასკვნაა— «ხარ საძაგელი, არად სარგელი, დასაქცარგელი, გარდასაგდები. კარგი არას გელი, ცხვარისა მჭამ მგელი, მიმმობ თუ მინდობ, მაინც არ მინდობ.» ამავე აზრს შოპენჰაუერის II ტ. ვრცლად ვაშლილს ჰპოულობთ.—მერმე განაგრძობს გურამიშვილი: «ამად არ მშვენი არასიკრად მშვენი, იქცევის შენი ნაგებ-ნაშენი»—ამითი გურამი-შვილი ცოტათ თითქოს უახლოვდება, იგნებს ჰეგელის აზრს— «თვის თავის წინააღმდეგობით თავის დაღუპვას, მოსპობასა.»

ერთიღა სიტყვა კიდევ ამოვწეროთ საწუთროს შესახებ: «სიტყვით ანგელოზის ემსგავსების, გულით კი ეშმაკ—ფლიდობსო, თავს მოგაჩვენებს სიწმინდით, მაღლივით არა წმინდობსო».... «ფუ, შენ ცრუ საწუთროვო, რად არ მძულდი, რად მიყვარდი! შენ ყოფილ-ხარ მწარე შხამი, მე შეგონე ტკბილი ყანდი... (302 გვ.) «ფუ, შენ ცხოვრებავ, საწუთროვო»—მსგავსი ხმა ბაირონისა (დონჟუანი).

რა სურვილები მოსდიოდა თავს გურამიშვილს ამ მწარე ცხო-ვრებაში ჩაფიქრების შემდეგ? ერთს ლექსში სხვათა შორით გურამი-

-შვილი ამბობს: «ნეტავი ისევ მიწადა მე ყოფილიყავ, არ ვაცად! ავების აქარ ვიწოდი, რომ ვიქნებოდი აღარსად»... (279 გვ.) რას ამბობს საყვირის ხმაზე ბაირონის მანფრედი? «მსურს დავიბადო მე მხოლოდ ხმად და ხმადვე ჰაერში განვიბნეოდე.» გურამიშვილი ამდენს მაინც არ გარგავს, იქვე ამბობს: «ქვეყნად ძეს ვესავ. დამხსნელადა»; მაგრამ ეს ღრმა სარწმუნოებრივი გრძნობა ყველგან და ყოველფერში აქვს გურამიშვილს.

გურამიშვილი დაქანცულ დაწვალებულს ლეოპარდივით (იტალიელი ფილოსოფოს-პოეტი) ვედრის ქრისტეს, ღმერთს, იქიდან მოელის შველას, ასეთ საშუალებას ჩვენი მგოსანი მალიან ხშირად მიმართავს ხოლმე. ავიღოთ მისი ლოცვა პოემის დატყვევებისას: «ქრისტევ, მიხედე ასეთი ბედს, შენსა მას ქორწილს, მეცა მიწყალე! მტერმან განმძარცვა მე შესამკელი, ტანთ საქორწინე შესამოსელი, ვა თუ მით ვიქნა გარეთ მრეკელი, ქორწილსა შინა ვეღარ შემსვლელი! შენ ხარ, უფალო, აწ ჩემი მშველი, ქრისტევ, შემომხსენ მდლიით მიშველი.» შემდეგ—«ადამიანურ ხელი, მწვავს ცეცხლი ცხელი, მაწყურე წყალი, დამშრიტე ალი,—წვა, დამიწნელე!... ქრისტეს მაცხოვარს, გიხოვ ამ სათხოვარს: მარიდე ცხოვარს, სადაც მგლის ხრო არს, მიხსენ მდაგანსაც. ფრანსანებს, ფარასანებას ესე სჯობია, ღვთის სამკობიას: «ალილუია!»

სევდის და ვარამის გამქარვებელ საშუალებად—როგორც ვხედავთ—გურამიშვილს ლოცვა-ვედრება მიაჩნია. ნიჭ. სიმღერაში პოეტი ამბობს: მე, დამწვარსა და დაგულსა, სახლ-სამკვიდრო დაკარგულსა, სევდის მჭვლიოთ გათანგულსა, წასაწყმენდლად გაბარგულსა, ის მყავს ნუგეშთ მცემელი, მტერთა არ მიმცემელი: ქრისტე ჩვენთვის ცვარს ჰცვა, მით ნუგეში ჩვენ გვეცა საწყალს გულსა.»

შევუდარდოთ ეს ლეოპარდის უდრებას: «ესლა გიდიწყებ შენ (ქრისტევ), როცა დავსწუტიალებ ერთი იმედიდან მეორისკენ ყოველთვის მოტყუებული, მაგრამ დადგება დღე, როდესაც ყველა იმედებს დავაფუძნებ სიკვდილზე და მოვალ გელას შენთან.» უკანასკნელ იმედად, ნუგეშად ერთი და იგივე საგანი მიაჩნიათ: გურამიშვილი შერჩა ამ მდგომარეობას, ლეოპარდი კი გამორდა, გადაიქცა ეს სტადიას პესიმიზმისა.

ყოველივე გარსშემორტყმული პირობების და საკუთარ თავის გასაგებად, სიწრფით, მოუტყუებლად საგნების, მდგომარეობის ასაწონ-დასაწონად რას სთვლიდა გურამიშვილი, რა მიაჩნდა გონების ლამპრად?

გურამიშვილი ხედავდა ნათლად, ვინ როგორ იქცეოდა, როგორ არჩევდა ცხოვრებას, საწუთროს და სხვ. ხედავდა როგორი ბნელ-მოცულ გაუგებრობით მიდი მოდიოდა უსწავლელთა ბრბო. სწავლას სთვლიდა იგი საჭიროდ საზოგადოდ შეგნებისთვის ეს მიაჩნდა შუქად. მეათე გვერდზე ამბობს: «უმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადა: ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადა!..» «სწავლა უხედავს, გარდაუხედავს წაიყვან მრუდად (საწუთროს), არ ნათლად, ბუნდად!» ერთი სიტყვით, გურამიშვილს სწავლა უნდა თავის და ქვეყნის გასაცნობად, რომლის საშუალებით უმაღლესს განვითარებას აღწევს შეგნება. ეს აგრეც არის. ჰარტმანი თავის «შეუგნებელის ფილოსოფიაში» (II ტ.) ამბობს, რომ ქვეყნიურ ყველა ილლიუზიების დაშლა-დასაფუშავად საჭიროა მხოლოდ თანდათანი პროგრესსიულად მოზარდი შეგნება, შეგნებუბული გონება. ამავე ფილოსოფოსის აზრით შეუგნებელ მისწრაფებიდანვე წარმოსდგება მისი მტერი, დამრღვეველი, რომელსაც ჰქვიან — შეგნება; აქედან იწყება საშინელი ბრძოლა, რომლის დამთავრება, შეუგნებელის დაჯაბნება ყოველსავე ჰფენს ნათელს და გაახვენებს ნამდვილს სახეს.

რაც რამ ამოსაკრევი იყო გურამიშვილის გულგატეხილობის გასარჩევ-ასაწონავად, თუ არ ვცდებით, სავსებით ამოვიღეთ.

ჩვენ წინ გაშლილი გვაქვს პესსიმიზმის აღმომცენებელი მიზეზები დამაგალითებ-დასაბუთებულები, გვაქვს ცოტად თუ ბევრად დალაგებით ნაამბობი გურამიშვილის დრო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები, საკუთარი მდგომარეობა პოეტისა, შეხედულება, რჩევა და სხვ.

ეხლა ვსთქვათ დანამდვილებით, პესსიმისტი არის გურამიშვილი თუ არა და დავაფასოთ მისი ჩივილი-მდუღრვა.

## III

## გურამიშვილის პესსიმიზმი და მისი დაფასება.

პირველ თავში გამოთქმული აზრის თანახმად ჩვენ უფლება გვაქვს, ვსთქვათ, რომ ლიტერატურის ისტორიამ იცის არა ერთ-გვარი მოტივი პესსიმიზმისა. ცალ-ცალკე აღებული მხოლოდ ორი მოტივი გვრჩება: **პირადი** და **კაცობრიობითი** (ინდივიდუალუ-რი და კოსმიური). მოტივს გურამიშვილის ჩივილისას, რომელსაც თამამად ვეძახით პესსიმიზმს, განცალკევებით რომ ავიღოთ, არც ერთი შეადგენს და არც მეორე, აქ ორივე მოტივები გადახლართუ-ლან ერთად.

ჩვენ ვრცლად ჩამოვთვალეთ ყველა მიზეზები გურამიშვილის პესსიმიზმის აღმოცენებისა, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ სის-ტემატიურად მოვიგონოთ. **საზოგადოებრივი**—გაორგულება ჯარი-სა, დაჯაბნება, ციხის გალება, მტრის შეშვება, ერთმანეთში მტრო-ბა, მითქმა-მოთქმა, ავაზაკობა, ქურდობა, ტყვეობა, მოკვლა, ტაცე-ბა ქვრივთა, ობოლთა, მწირისა, რჯულის გარყვნა, მოსპობა სა-ფუძვლისა, მტრების ჯარის შემოხვევა, შინ აშლა, ყველაფრის, აწი-ოკება-აოხრება ეგოისტური წადილების გამეფება და მით მეფეების წახნუბება, შური, პირების უმზგავსო ქცევა, ყოველ დღე შინაური ღალატი, მის თვალის წინ ვახტანგ VI-ის წვალება-უბედობა, იმე-დების გაცრუება და ბოლოს რუსეთში დარჩენილ ერთ მუჭა ქარ-თველთა შორის კვლავ შურის გამეფება. **საკუთარი**—ბავშვობიდანვე ჯაფება, რამდენჯერმე დატყვევება, მიმშილი, წყურვილი, შიში და ათას-გვარი გაჭირვება სამშობლოში და უცხო ქვეყანასა, სისხლში თვით გვერდ.

ყველა ეს არის ის ცეცხლ მოდებული ფაიფური ტანჯვა-ვაებისა, რომელიც გურამიშვილს მუდმივ ხელში ეჭირა და დაჰქონდა თან.

ამაში თითქმის ყველა ელემენტებია—პოლიტიკური, სოცია-ლური, სარწმუნოებრივი, ეკონომიური, ზნეობითი, საკუთარი და სხვ. მხოლოდ ფსიხიურ აშლილ გონებისა არა ურევია-რა, რაიც

გურამიშვილის პესიმიზმს აძლევს მეტად სუბიექტიურ კილოს. ამ მიზეზების წყალობით გურამიშვილს ეძლევა პესიმისტის სახელი.

გურამიშვილის პესიმიზმს დიდად მჭიდრო ნიადაგი აქვს-ქვეყნის ჭმუნვა-სევდას სულ სხვა, არა ჩვეულებრივი სახე აქვს. ჩვენ ვიცით ორი უმთავრესი მოტივი პესიმიზმისა — ინდივიდუალური და კოსმიური. ესენი ცალკ-ცალკე ცხოვრობენ, მაგრამ — როცა ორივე მოტივი უკმაყოფილებისა შეერთებულია, მაშინ ნაწერს უფრო ძლიერი ბეჭედი ესმის, მეტი მნიშვნელობა ეძლევა. დ. გურამიშვილის პესიმიზმი მით არის გულის წარმტაცი, რომ ამ მოხსენებულს მოტივებს — როგორც ზემოთ ვთქვით — ვხედავთ ერთად ჩაწნულს, შედუღებულს, განკერძოებითი პოეტის ცხოვრება სხვა-და-სხვა გარემოების გამო მძიმე ტვირთად გადიქცა. და ამ ინდივიდუალურს მწუხარებას დაერთო პატრიოტული, საქვეყნო ვაემანი: სამშობლო იწეწებოდა შინაური და გარეული მტრების წყალობით, შემოქმედი მარჯვენა (ვახტანგ VI) თუ მოხსნადა — მოსწყდა მამულის ნიადაგს და ამ ორგვარმა უკმაყოფილებამ მისცა კოსმიური, გაცობრიებული პესიმიზმის ხასიათი გურამიშვილის ნაწერებს.

ეხლა ვიკითხოთ — პესიმიზმის ყველა სტადიები ჰქონდა გავლილი დ. გურამიშვილს თუ არა?

სანამ ამაზე გიტყოდეთ რასმეს — ორიოდე სიტყვა შევსწიროთ პესიმიზმის სხვა-და-სხვა სტადიების ახსნას.

პესიმიზმი შეგვიძლიან გავყოთ სამ სტადიად: 1) ჩვენ გვჯერა, ვით-ქვეყნად სიბოროტე უფრო მეტია, არ მოგვწონს სარწმუნოებითი რწმენანი და ერთის თუ მეორის, საკუთარის თუ განგების საშუალებით მოველით უმჯობესის მერმისს; 2) აქ ჩვენ ვკარგავთ საკუთარ ან ქვეყნიურ ძალზე დამყარებულ იმედებს, ვარდებით სასოწარკვეთილებაში და ერთად-ერთ ხსნის საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია ვედრება უფლისადმი, იქ ვეძიებთ მალამოს; 3) მესამეში ყოველსავე იმედებს ვესალმებით, არსით არაფერს სიკეთეს არ მოველით; უარვყოფთ მხარეს-მფარველობას, სარწმუნოებას, საერთოდ პროგრესს, აღარ ვენდობით, ყველაფერს გაკიცხვას ვწამებთ. ეს არის უმაღლესი წერტილი პესიმიზმის განვითარებისა.

გურამიშვილი პირველ სტადიას მორჩება, გადადის მეორეში; აქ დიდხანს რჩება შეურყეველი. ერთ დროს დაიწყებს ბრძოლას, საშინელი საყვედურით, მდურვით უჩივის ღმერთს, ყველას, მაგრამ მეორე სტადიას მაინც არ მორჩება: მომავალს ქრისტიანობრივ რწმენაზე ამყარებს.

ევროპაში ბევრი გვეგულება პესსიმისტები, რომელთაც მეორე სტადიას აქეთ არ გადაუდგამთ ნაბიჯი—XVII საუკუნეში პასკალი, XIX საუკუნის დასაწყისში შატობრიანი და სხვანი. ესენი ლოცულობენ, ვედრიან ყველას, მაგრამ ამ გვარი მიმართვა მხოლოდ პესსიმისტს შეუძლიან, სხვას არავის. «ისინი ლოცულობენ, ვედრიან —ამბობს პასკალი—არა იმიტომ—რომ ამ ქვეყნიურს წუმპეში დატოვოს, არა, ისინი სთხოვენ ამ გვარ უბედურობისაგან განთავისუფლებას, თუნდ სულ-ხორცის გაყრა იქნას ამისთვის საჭირო».

ბევრს შეუწყვეტია თავის პესსიმიზმის განვითარება ამ წერტილზე, ბევრს კი გაუშლია ფრთა და ზარ დამცემ ძალით გადმოუძახია მწვერვალიდან; ამის მაგალითად უკვე სახსენები იტალიელი ფილოსოფოს-პოეტი ლეოპარდი გვეყოფა.—ლეოპარდიმ გაიარა ყველა სტადიები პესსიმიზმისა და ყველა წერტილზე დასტოვა თავისი ძლიერი კალმის ნიმუში.

გურამიშვილი, რომელსაც საკუთარ ქოხზედ უფრო მეტად მიაჩნდა საქვეყნო ვარამი, რისთვის რჩება რუსეთში?

ამ საკითხზე პოეტი თვითონ იძლევა პასუხს: «მეც გავჭირვე... რაკი მას მოვკარ ყურია,» ესე იგი როცა რუსეთში დარჩენის მსურველმა ქართველებმა პირობა დადვეს, რომ ჩვენში შური არ იყოს და მეგობრულ ძმურად ვიცხოვროთო; გურამიშვილს—ერთმანერთის შუღლ-მტრობით სიცოცხლე მობეზრებულს—ეს დიდათ გაუხარდება,—უნდა რუსეთში მაინც ნახოს ნამდვილი ქართველური ძმობა-ერთობა. ამის მიზეზით რჩება მგოსანი უცხოეთში სამუდამოდ; მაგრამ აქაც დიდხანს არ იყო დამალული შურის მტრობა. სად წავიდეს, რა ქნას არ იცის. ერთ ადგილას ამბობს—გავექცეოდი შურს. ვმდენ არეულობას, მაგრამ ვიცი ამაებს ვერსად დავემალებიო... (405 გვ.) გაძალებული იღებს სხვა-და-სხვა ომებში მონაწილეობას: ამით—ჩვენის აზრით—პოეტს უნდა უთხრას თავისი იგივე, რაც ბაქრონმა

სთქვა 1824 წ. სპეტერბურგში გამგზავრების დროს: «აჩვენე, რომ შენ კიდევ შეგიძლიან მოკვდე ომში გმირივით!... წადი, იქ მინდვრად მონახე საფლავი და სამუდამოდ დამშვიდდი, დაისვენე!..» («დღეს შემისრულდა 36 წელი», ბაირონი I ტომი).

ასეთია გურამიშვილის, მეთვრამეტე საუკუნის ქართველ მგოსნის პესსიმიზმი.

ძველად ტრაგედიებში გმირის სახელით ქორო ვინმე დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს; მსგავსად კაცობრიობა, ერი პოულობს დიადებს, სისწორით და ღრმად აზრის გამომთქმელ პირებს; ესენი ყველას მაგივრად გაიძახიან, ჩივიან. ამათ მოთქმაში ყველა თავის გულის პასუხს პოულობს. ასეთ დიდსულოვან არსების აღმოცენება კაცობრიობის უბედნიერესი საჩუქარია.

ამ მოვლენას განსაკუთრებით მაშინ აქვს ძალა, როცა თითქოს საზოგადო მინდობილობით ხმა—გამომსახველი არა კერძო დახურული კაბინეტის ფანჯრიდან, არამედ ხალხის გულიდან, როდესაც თვით დიადი პირი ქვეყანასთან ერთად იტანჯება, როს მის გული ვაებს სურათს უწამლოდ, და ერთან ერთად «საწუთროს სოფლისგან ბევრის გზით ვნებული, მრავალთა გასასყიდლის შეყვარებული»—ღაღადებს მწარედ საერთო ნაღველს.

ამ მხრივ გურამიშვილის ხმა უნაკლო არის: მისი ხმის სარეზონანსო ფიცარი სამშობლო ქვეყანაა, სიმები—სული და გული ქართველის ერისა, სიმთა შერყევა—უბედურების დატაკება, ხმა კი საერთო კვნესა და გლოვა.

**მალაქია თოლქვაძე.**

# ცხოვრება და ხელოვნება

## ჩვენი ახალგაზდობა

(ჩემს მეგობრებს).

III *)

ჩვენ ზემოდაც მოვიხსენიეთ, რომ არის ისეთი დრო და გარემოება, როცა კერძო ბარათებს ლიტერატურული და ისტორიული მნიშვნელობა ეძლევა. საზოგადოდ კი ის უნდა ვსთქვათ, რომ უკანასკნელს დროში დღიურებსა და ბარათებს დიდ მნიშვნელობას აძლევს სალიტერატურო კრიტიკა, რადგან მასში დაუფარავად და გულახდილად მოთხრობილია ხოლმე სულის ტანჯვა, გოდება და კვნესა. საკმარისია გავიხსენოთ არა-ჩვეულებრივი მაგალითი ლიტერატურაში ჟენეველის სრულიად უცნობის პროფესორის ამიელისა, რომლის სახელი მისი სიკვდილის შემდეგ გაიგო განათლებულმა კაცობრიობამ მხოლოდ და მარტო მისი დღიურის გამოქვეყნების გამო.

ეს ასეა და ამიტომაც ჩვენს თავს ნება მივეცით და კერძო ბარათებს დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ ახალთაობის ფსიხოლოგიის გამოსარკვევად.

ამ ახალგაზდობას თავისი სულის მოძრაობის დასასურათებლად ოფიციალური, ყველასგან პატივსადები დოკუმენტებიც წარმოუდგენია—სალიტერატურო ნაწარმოები და ეხლა ესეც გავარჩიოთ.

---

„მოამბე“ № VII.

გამოურკვევლობა იდეალისა, ურწმუნოება, გულისგამგმირავი პესსიმიზმი,—აი რა იხატება დღევანდელ ჩვენის ლიტერატურის წარმომადგენელთა ნაწარმოებში.

ზემოხსენებულ ახალგაზდობის უპირველესს წარმომადგენლად ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს ბ. შ. არაგვისპირელი, რომლის ლიტერატურული ნიჭი ყოველს ეჭვს გარეშე უნდა იყოს დაყენებული.

ყველაზე უფრო სავსებით აქვს დაცული ყოველს მის ნაწარმოებში იგივ სევდა და კაეშანი, იგივ ეჭვი ყოველის კეთილის შესახებ და მწარე სკეპტიციზმი, რომელიც შეადგენს უმთავრესს თვისებას დღევანდელის ახალგაზდობისას.

ბ. არაგვისპირელის თავიდან მელანხოლიური პესსიმიზმი თანდათან მკაცრდება და უკანასკნელს მის ნაწარმოებში („უმადლოდ, უფალო, გმადლობ,") უმაღლესს წერტილამდის მიდის. „ეს არის ჩვენი ცხოვრება" თუ ღრმა პესსიმიზმის ნაშობია და „ჩემო შვინდავ!" მელანხოლიურის და ირონიულის პესსიმიზმით არის აღსავსე, სიყვარულის შესახები უკანასკნელი მისი ეტიუდები მკაცრის პესსიმისტურის გრძნობებით არის გამსჭვალული. „ეს არის ჩვენი ცხოვრება" გამომხატველია ცხოვრების კანონების ულმობელობისა და სისასტიკისა, კაცთა პირუტყვული გრძნობის უწყალოებისა და ბუნების გულგრილობისა; „მთვარეო",—ასე ათავებს ავტორი თავისს საუკეთესო ეტიუდს,—„კი გულგრილად, შეუბრალებლივ დასცქერის ზეით მოდან და თითქოს ეუბნება: აი, თქვე საცოდავებო, თქვენა! რას ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირით ცხვირ-პირი?! მაგ ერთი მლილესათვის თქვენ მაგრე იკუმშებით და იწუხებთ თავებს... მაშ მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემს თვალ-წინ უსამართლოდ დახოცილი ხალხის სისხლისმორევი დგება, როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და ანთხევს სისხლს?! ეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა!.. და მთვარე ნაწყვეტ ღრუბლებში მოეფარა და მოხუჭა თვალები. ტრაგიზმით აღსავსე ამ სურათის დახატვის გამო ავტორიც წყნარსა და ნაზს სევდიანობას იჩენს და მზად არის მხოლოდ „რამოდენი-

მე ტყვიასავით ცხელი ცრემლი გადმოაგდოს,“ ერთი ამ მოთხრობის მეურმისა არ იყოს. ბუნების კანონების სასტიკად დამორჩილებულს პოეტს დღევანდელის დღისას სხვა იარაღი ვერ მოუპოვებია ამ სისასტიკისა და ულმობლობის წინააღმდეგ, თუ არა ჩუმი, გულ ჩახვეული კვნესა და ცრემლთა-ღვრა. მისთვის უცნობია მეხთა-მტეხი ღაღადი-და აღშფოთებულის გულისაგან მედგრად ტყორცნილი სიტყვები ცხოვრების ყოველ-გვარის უსამართლობის საწინააღმდეგოდ.

„ჩემო შვინდავ“ გვიხატავს გლეხი-კაცის ჭირ-ვარამს. ამ ავტორის ნაზს ირონიულს ღიმილს იწვევს ის შემთხვევა, რომ კაცი-ადამიანი ასეთმა უბრალო და უმნიშვნელო შემთხვევამ, როგორიც არის ერთი ხბოის დაკარგვა—აალვა და ცრემლები აფრქვევინა. თუ ამგვარი მცირე და პაწია ტანჯვის სურათს ავტორი დაღვრემილებითა და მწარის ღიმილით უცქერის, სამაგიეროდ არა ჩვეულებრივის სიმკაცრით გვიჩვენებს დედა-კაცის ცბიერსა და მოღალატე ბუნებას („ქარი კი ამ დროს ზუოდა...“), ქალის ორპირობასა და უსირცხვილო ხერხიანობას („მხრები-და ავიჩეჩე“), დედა-კაცის გაქნილსა და პირუტყვულის გრძნობებისაგან მოწამლულს, გაქსუებულს სულსა და გულს („ხითხითებს და ხითხითებს“) და აქვე იმავე მოთხრობაში გვიჩვენებს მამა-კაცის საზიზღარ გულ-გრილობას და მის მხეცურის ინსტინკტებით ალსავსე ბუნებას, ბრაზის მომგვრელ მოთმინებას და გულისა და სულის ამრევ ხელის შეწყობას დედა-კაცის მრუშებაში. იგივე მწერალი გვიხატავს მამა-კაცის დაცემასა და გაპირუტყვებას „სულ ერთია“-ში და დედა-კაცის სისუსტეს, სიმჩატეს და დაუდგრომლობას იმავე ეტიუდში. ავტორს არა სწამს რომ ქვეყნად არსებობდეს უდიდესი განძი ცხოვრებისა—სიყვარული და ეს მას ცინიკურის კმაყოფილებით კი არ ავსებს, კბილების ღრჭენით აღნიშნავს ამ მოვლენას და გულ დათუთქული ისტერიულის ხარხარით წინ გადაგვიშლის სურათს ამ გრძნობის გათახსირებისას და გაქსუებისას ადამიანთა წრეში („ყველაი დავკარგე“;). ხანდახან კი სევდიანის ირონიით ალსავსე სურათებს გვიხატავს

მისასა, რომ პირუტყვებში უფრო ძლიერია და ხანგრძლივი იგი გრძნობა ცხოვრების განმაცისკროვნებელი („ბეჩა, რადა მკლავ!“). ხოლო თუ კი სადმე ეს გრძნობა შელახულია და დამარცხებული კაცთა გულ-ქვაობისაგან, დაცემულის საზოგადოებისაგან, დაჯაბნილია და ჯვარცმული, ადამიანთა კრებულისაგან შექმნილის გარემოებათაგან სულ-ამოხდილია ყოველივე გრძნობა ცხოვრების ამამაღლებელი და განმასპეტაკებელი. ეს გარემოებანი ძლიერ ადვილად სძლევენ ხოლმე კეთილის გრძნობებით აღვსილს სუსტს არსებას და თითქმის არავითარს წინააღმდეგობას არ იწვევს არსებაში („აბრეშუმის ცხვირსახოცი“, „ყველაი დავკარგე!“).

ავტორი ბოლოს ხანს ერთს ეტიუდში შეეხო თვით ამ დღევანდელს გათახსირებულს საზოგადოების უფლებებს პირადობის შესახებ და დაგვიხატა (საუბედუროდ საკმარისი ძლიერებით კი ვერა) ტანჯვა გონიერის და გრძნობიერის არსებისა, საზოგადოების გულქვაობისა და ულმობელობისაგან გამოწვეული, („ღირსი ვარ ამისი, ღირსი“) ერთის სიტყვით, ავტორი ვერას ხედავს სანუგეშოს ვერც ბუნებაში, ვერც საზოგადოებაში, ვერც კერძოდ ადამიანში, ყველა ერთი-მეორეზედ უარესია, ერთმანეთის მტერი, ან და გულგრილი და გულცივი ძალაუნებურად მოკავშირე. უკანასკნელს ეტიუდში („გმადლობ, უფალო, გმადლობ!“) ბ. არაგვისპირელმა წარმოგვიდგინა თავზარ-დამცემი სურათი ყოველივე წმინდა გრძნობის შელახვისა და მოსპობისა კაცთა შორის. არ დაინდო ავტორმა არც სიყვარული, არც მეგობრობა, არც სამსახური საზოგადოებისათვის და გრძნობა; ჩჩვილს ქალიშვილს დაანახვა სიზმარში ყოველნაირი თვალთმაქცობა, ფარისევლობა და მატყუარი გაიძვერობა ცხოვრებაში და დაანახვა, რომ ყოველივე წმინდა კავშირი მხოლოდ ოცნებაა და ჰფარავს საზიზღარს სინამდვილეს ადამიანთა ცხოვრებაში სულის ამომშფოთებელს პირუტყვობას ადამიანისას. და ამ სინამდვილესაც მარტო სიზმრად თუ ვხედავთ, თორემ ცხადად ყველა მოტყუებული ვართ და მატყუარა, ყველა ერთმანეთის თვალების ამხვეველი და ერთმანეთის შემაცდენელი. ეს ეტიუდი

ყველა მისი ეტიუდების დედა-აზრის გამომსახველია, სხვა ეტიუდები ილიუსტრაციაა აქ გამოთქმული მწარე შეხედულობისა ცხოვრებაზედ. რამდენად არსებითი თვისებაა ბ. არაგვისპირელისა მისი პესსიმიზმი სულ უბრალო შემთხვევებშიაც კი სჩანს. სამს მის ეტიუდში — („სოფლად“, ახალწლის ღამეს“, „მომილოცნია ახალი წელი“) — ტანჯული ცხოვრებაა მოთხრობილი ბედშავი ადამიანისა და სამივე ეტიუდის ამბავის დროდ ავტორს ახალწლის ღამე აუღია თითქო მისთვის, რომ ყველასთვის სამხიარულო ღამეს კონტრასტი დაუყენოს და სურათის სიმწვავე უფრო თვალსაჩინო გახადოს. ბ. არაგვისპირელის პესსიმიზმი დღითი-დღე უფრო სასტიკი ხდება, უფრო გულსა წყლავს, სულს უხუთავს ავტორს. თავდაპირველად ეს პესსიმიზმი ნაზი იყო და ირონიული, დღეს კი მძაფრია და ულმობელი.

მეორე მწერალი ახალგაზდობის სევდით აღსავსე განწყობილების გამომხატველი ბ. დეკანოზიშვილია. ხოლო ამისი პესსიმიზმი უფრო სენტიმენტალურია და თანაც ნაზი. ამისი პესსიმიზმი ისეთი სიმკაცრით როდია შეზავებული, როგორც ბ. არაგვისპირელისა. ბ. დეკანოზიშვილიც ვერსად ხედავს სანუგეშო რასმეს ვერც ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულებაში („პეპელა“, „სნეული“), ვერც საზოგადოებისა და პირადობის დამოკიდებულებაში („დალუპული“), ვერც ადამიანთა შორის დამოკიდებულებაში (სნეული და „ის კი მიდიოდა“). პეპელა ნაზად თავს დასტრიალებს და უდარდელად სდაჰხარის ყვავილებს იმ დროს, როდესაც კაცს მარტოობითა და დაობლებით გულ დათუთქულსა და სულ შეხუთულს გამოუთქმელი ტანჯვა აწვება გულზედ და თვალზედ ცრემლი შეშრობია. ბუნება ქორწილს იხდის და თავისს განახლებას დღესასწაულობს, იმ დროს, როდესაც საბრალო სნეულის სიცოცხლის ვადა გადის, თავდება. ამ მხიარულსა და უდარდელს ბუნებაში ერთი თანამგრძნობი ჰყავს (გამხმარი ხე) და იმის მოსპობასაც უპირებს გულქვა ადამიანი, მისივე მებაღე, რომელსაც ვერც კი გაუგია რადა სწყინს სნეულს ბატონს ეგრეთი მისი განძრახვა. ქალს ვერ გაუგია („ის კი მიდიოდა“) სიყვარული კაცისა, „ამ

ქალების სურვილები და ოცნებები არც კი ეხებიან მას და სხლტებიან, როგორც ყინულზე", გამოთხოვების დროს. ზედაც არ შეახედავს მის ტანჯულს სახეს, მესაფლავე კი დაინახავს, რომ გულმოკლული მიჯნური ნაშტერებით უყურებს ერთის საფლავის ლუსკუმს, ასე ჰგონია მართლა ლუსკუმის ცქერას გაუტაცებიათ (ისიც ხომ ადამიანია — გულცივი პერსონა), სასაფლაოდან დაითხოვს და ანუგეშებს, როგორღაც ირონიულად — ეგ ხვალაც აქ დაგხვდებაო. ვინ და რა? ჰკითხულობს მხოლოდ ავტორი, მაგრამ განა შეეძლო ეპასუხნა მესაფლავეს, და ან სხვას გადმოეცა? შეეძლოა ადამიანს გაეგოს თავისი მოძმის ტანჯვა და მწუხარება, ამ საზოგადოებაში შეიგნოს ის სახმილი, რომლითაც იწვის ყოველივე მისი წევრი, (ეს აზრი უნდა ავტორს გაეტარებინა ეტიუდ „დალუპულში") ადამიანი კი კაეშნით მოცული, სევდისაგან გულმოწყლული, მარტოდ-მარტოა, სულით დაობლებული, უნუგეშო და უმწეო ამ უწყალო წუთი-სოფელში. (თვითონ ბ. კლდიაშვილის იუმორისტიულ ნაწერებსაც ეტყობა სევდიანობა; იგიც ვალთა მოვალეობისა და ცოდვიანობის ამღიარებელია და პესიმისტიური იუმორით ახატავს თავისს საბრალო ალწერილ გმირთა შესახებ („სოლომონ მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი"). ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ [1]), რა დიდი განსხვავებაა ეხლანდელ მწერალთა (ბ. კლდიაშვილის) და მესამოცე წლების ქართველ მწერლებში იმავე საგნის შესახებ, რა განსხვავებაა მართალია მწერალთა ნიჭში კი არა, თვით იმ გრძნობაში რომელსაც აღგვიძრავს მათი ნაწარმოები. თუ ილ. ჭავჭავაძე სასტიკად ეპყრობა ადამიანობის უარმყოფელს და შემრცხვენელს, ბ. კლდიაშვილი ლმობიერებით და საბრალულით და ამ ლმობიერებაში და საბრალულში იხატება, ზემოდაც მოვიხსენიეთ, ადამიანის ბეჩაობისა და უსუსურობისა, ლმობიერი და შემბრალე გული ავტორისა, შემცოდე და დამნაშავე კაცუნა ჩვენსავე ადამიანთა დედის შვილი, ესე იგი ცოდვის შვილიო და როგორც ეგრეთი, განა შეეძლო ცოდვა არ ჩაედინა, ბიწიერებით გზაზედ

[1]) იხ. „ივერია" „ცხოვრება და ხელოვნება" II.

არ წასულიყო. რა უფლება გვაქვს ჩვენ მას ზიზღით შევხედოთ, რომელსაც თვით ჩვენვე ყოველ წუთში შეგვიძლია უარესი გავხდეთო. სასტიკი მორალისტი კი იმას გეტყვისთ, სიბრალული რა ხელ-საყრელია კაცისათვის? ნუ თუ იმისთვის ცოცხლობს კაცი, რომ ბოლოს მაინც კიდევ შენდობა ითხოვოს და საბოდიშოდ გაიხადოს საქმეო? ადამიანი თუ ვართ და ცოდვის შვილები, ღვთის შვილიცა ვართ, რატომ არა ვცდილობთ პირუტყვობა ვძლიოთ ჩვენში და ღვთაებრივობა განვავითაროთო. ასე შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ იმ კაცმა, რომელსაცა სწამს ძლევა-მოსილი სიმხნე ადამიანის სულისა, ვისაც ღრმადა სწამს და აღიარებს ადამიანის ძლიერებას და ყოვლის შემძლებლობასა.

IV

პოეზიაც არ ჩამოსცილებია პროზასა სევდიანობისა და დაღვრემილების გამოხატვაში. ჩვენი ახალგაზდა პოეტები (ბ-ნი ცახელი, თ. აბაშიძე, ბ-ნი ევდოშვილი) საზოგადო გლოვისა და მწუხარების გამომხატველნი არიან. ეს კი უნდა სთქვას კაცმა, რომ პოეტური ბუნება მათი ისეთის თანდათანობითა და სისასტიკით ვერ ითვისებს ამგვარს სულის მიმართულებას. მათ სურთ სიცოცხლე, სიცოცხლეს ადვილად ვერ ჩამოშორებიან და თავს იმედს კიდევ არ უკარგვენ, თუმცა დაჟინებით დაიმედება თავისა ხშირად უფრო უიმედობის ცეცხლის მაჩვენებელია და სულის ღრმა კაეშნისა.

ლექსები ბ-ნი ცახელისა სევდიანი აღსავსე გულის კვნესაა, კვნესა წყნარი და ნაზი, როგორც ის საუცხოვო დუმილით მოცული ღამეები, რომლის აღწერაც უყვარს ხოლმე მას ხშირად, იმ ღამეებისა, როცა „ფოთოლი მძინარა ფოთოლს ხელ-მოსხლეტ მიჰყრდნობია", როცა „მწუხარედ მოუხრია ყელი ლამაზს იასა"; იმ ღამეებისა, როცა საზოგადოდ ყოველივეს „**ჭმუნვის** სურათი ცხადად ეტყვის". იმ ღამეების „სევდით მთეველი" პოეტი ქედს უხრის რაღაც შეურყეველ,

იდუმალ ფიქრს, რომელსაც მოიცავს ქვეყანა; ხმა-ტკბილი ბულბულის სიმღერა ტირილად მიუჩნევია და „გულში სევდას უსახავს რაღაც დამწველი ხმა მისი", მისი გმირებიც კაეშნით აღსავსენი არიან; მათ გულს აწევს მდუღარება და აჰმუნევებს მათ სახეს გლოვა და მწუხარება". ტყუილად ცდილობენ ეს გმირები აღძრან ხალხი ქვეყნის ტანჯვისაგან დასახსნელად, ტყუილად გაიძახიან: „ქვეყანა დაპყრობილია, სევდით და გლოვის ზარით, სიცოცხლე არსადა სდუღს, . . . ხმა კიდევ არსით ისმის" (უკვდავი სარდალი). ტყუილად დასტირის მშობელი „სევდიანი გულ-მოკლული" ცივს საფლავს შობილისას, არავინ არ აძლევს პასუხს (მარინე). ტყუილად ეძებს მწუხარებით აღსავსე და ცრემლის-მფრქვეველი შვილი მშობელს, „ის ველარ დაბრუნდება" (მიცვალებული). პოეტი ქვეყანაზედ ტირილისა და გლოვის მეტს ვერას ხედავს. დედა დასტირის შვილს, შვილი დედას, და ძმას (ზაალი), საყვარელი საყვარელს (სიყვარულის მსხვერპლი); ყველა სტირის და გლოვობს, გლოვობს ბუნება, გლოვობს კაცი, იმედი კი არსაიდან სჩანს, არსით სჩანს ხსნა და შველა. თუმცა ცახელს ბუნებაში მოუპოვებია თანა გრძნობი — ბულბული, რომლის „სევდის ხმა გულ-მოკლულად შორს რომ გაისმის, მისივე დარდი ამ მოთქმაში მასვე მოესმის". მაგრამ ეს სტვენა „მწველი სტვენაა" და არა სანუგეშო, ჭირთა განმაახლებელი და არა დამაამებელი. რამ უნდა ანუგეშოს და დაამშვიდოს კაცი, რომელსაც „სამშობლომ გული დაუჭკნო, დაბადა ნაღვლის სასმელად და ბედის დასაგმობელად", რომელიც ამბობს: „უდროოდ მოვტყდი, მოვხუცდი, აღარ მაქვს ბინა ამ სოფლად, გულს სიხარული გაუქრა და აწ დავდივარ აქ ობლად; ჯოჯოხეთზედაც მწარეა ჩემთვის ეს ჩვენი ქვეყანა; სადაც კი ფეხი გადავდგი შხამი დავლიე ყველგანაო." სად მოიპოვოს იმედი პოეტმა, რომელიც ხედავს, რომ „კეთილს შეება ბოროტი, სძლია შემუსრა წამზედა და იწყო ისევ დროებით მეფობა ქვეყანაზედა". მართალია ხანდისხან სასოებაც გამოუქროლებს პოეტს, მართალია თითქო მხნეობასაც არა ჰკარგავსო გაიძახის „იმედელვარე,

ცხოვრების ზღვაში და მომასხა შხამი, წყლულზედაც ვემსგავსები ვეგმირ-გულებ, არ მოვკვდები — გასქდი გულზედ“! მაგრამ იმავე წუთს რომ ამბობს: „ვიბრძოდი, ბრძოლა არ გადის, ძლივს ვიძლებ ბრძოლას დიადსა: ერთი მბჟუტავი სანთელი, რომელიც სძლევს ღამის წყვდიადსა“. ამიტომაც არის, რომ „ლხინს ურევ ჩვენია მისი გულის მოთქმა, მწარე ქვეყანას შემდგენი, რაც კი რომ იქ გრძნობა არი“.[1])

ნაკლების ნიჭითა და ხელოვნებით შეთხზულნი ლექსები მიაქვს ევდოშვილით არა ნაკლებს ჰესსიმიზმს იჩენს. მისი პესსიმიზმი უფრო — ძლიერიც არის და უფრო რადიკალურად აქვს დაცული. მის გულს „ტანჯვა არასოდეს არ აკლდება, ვიდრემდის ძაფი სიცოცხლისა არ შეუწყდება“. იგი არ დასტირის არც გულს, სატრფოს, არც თავისს „მწარე სიცოცხლეს“; სტანჯავს ის, რომ მის გარემო მოისმის ტანჯულთა კვნესა, ხოლო მჩაგვრელთა სიმღერა, სიცილ-ხარხარი“. მის „გულსა დამჭკნარსა დაავადებულს, სჭირია წამი ცხოველი! მაგრამ სად არის? ზეცით არ მოვა... ძლიერ მტარვალია მისთვის სოფელი“! „ეჭვით შეპყრობილს არ ეკარება არც სიყვარული, არც სიძულვილი, ყველა ჰგონია ამაოება“. ბუნება ხარობს, ტურფად იშლება, მას კი „შხამი გულს ეწვეთება, მის გულსა ჰგმირავს მეტყველთა კვნესა“; იტანჯება, ჰგოდებს დაღუპვის და ამ კვნესა-გოდებას კვეყანას ამცნებს, ამცნებს, მიტომ რომ არ ძალუძს გაჩუმდეს, არ იტიროს და არ იგლოვოს. მით, რომ ბობს იგი „დროის შვილი ვარ, გამიტარა მან გულს ისარი და ისარითვე პასუხს აძლევს მას ჩემი ქნარი; მე დროის შვილი ვარ, მან მაწოვა შხამი სავსე და აღვსებული აქვს ფიალა გამოცალა“.[1])

მათ შორის ეგ გრ. აბაშიძე უფრო ნაკლები პესსიმისტია. კიდევ მეტი: უფრო მხნეობას იჩემებს, უფრო იმედებითა და სასოებით არის აღსავსე მისი ლექსები, მაგრამ ყველგან ის ამოდ

[1]) ლექსები ცახელისა ტფილისი 1891; რჩეული ლექსები ცახელისა. ქუთაისი 1896 წ.

[1]) ევდოშვილი — ლექსები და თარგმანები. ტფილისი 1896 წ.

რებრივ დღეინდელობას და მის ლექსებსაც აჩვია მწუხარების ღრმა ბეჭედი. არ მგონია შევხვდეთ ახალგაზრდა პოეტთა ნაწარმოებში რასმე თ. აბაშიძის „დედა“-ზედ უფრო ესთეტიკური და ძლიერს.

დედა, რომელიც ყოველიფერს სწირავს სიკვდილისაგან მოტაცებულის შვილის დასაბრუნებლად, ისევ უბრუნებს სიკვდილს თავისს საჩუქარს, შვილს, რაკი ორს წყაროს დაინახავს, რომელთაგან „ერთი იყო ტანჯვით სავსე და მეორე სანეტარო; ერთში-და სჩნდა ცის ცხოვრება, მეორეში — ამა სოფლისა, იქ დიდება, ნეტარება, აქ — წამება, ჯოჯოხეთიო“... და ცრემლების ღვრით დედა სიკვდილს ეხვეწება მისი შვილი წაიყვანოს: „და რადგანაც ეს სოფელი ჯოჯოხეთი თურმე არის, ამიღია შვილზედ ხელი მის სანაცვლოდ მე დავრჩები „**საკვნესად და სატანჯველად**“. ანა და წაიკითხეთ მისი „ორი სურათი“ და ნახავთ, რა აზრის არის ავტორი ცხოვრებზე შესახებ, რომლის სისასტიკესა და ულმობელობას გულქვაობასა და გულგრილობას გვიხატავს. ამ ცხოვრებისთვის სულ ერთია კაცის ბედნიერება და მხიარულება; „ცხოვრების ჩარხი ტრიალებს, მუშაობს ხელი ბედისა, ჩირად მიაჩნის ნანინა იმედნეულის დედისა“. ეს ცხოვრება ყურადღებასაც არ აქცევს ადამიანის კვნესა-გოდებას; „ცხოვრების ჩარხი ტრიალებს, მუშაობს ხელი ბედისა, ჩირად მიაჩნის ვაება გამწარებულის დედისა“.

მართალია პოეტი მედგრად ეომება სევდებს და მხნედ ეუბნება „არ მიგიკარებთ სევდებო, არ მოკვდეს ჩემი გულია... გარდავშლი წიგნსა იმედთა დავუწყებ ძმას კითხვასა“-ო; მართალია პოეტი ხშირად აღტაცებაში მოუყვანია თავისი ქვეყნის „ლამაზს გაზაფხულს“ და ხშირად ამ გაზაფხულით აღტაცებულს უმღერია „ვდგევარ, ვნეტარობ, სულს მილხენს განახლებული ბუნება... არ მწამს სულისა, აღარ მრწამს სიკვდილი, დაძაბუნება!“ მაგრამ ასეთი სასოწარკვეთილებითაც ხომ კი ავსილა მისი გული ცივსა და გულის შესაზარს ზამთარში: „შენც, ჩემო თავო, ეგ გელის, შენი ზაფხულიც განქრება, სითბოს შეგიცვლის შენც ყინვა, სიბერე მოგეპარება, კიდეც

მოკვდება, ბუნება ხელახლა აყვავილდება; შენი სიცოცხლე დამჭკნარი სამარადისოდ განქრება". უკანასკნელი დროის ლექსით გაზაფხულის გამო თავისს უწინდელს აღტაცებასაც კი შხამი გადაასხა და მოსპო ამ სიტყვებით: „ყოველ წლივ ხარობ (ეუბნება პოეტი გაზაფხულის ბუნებას) იმკობ გულს... მეც ეგ მშურს, ეგვე მწადია! დავბრმავდი... ვერ ვჭრეტ გაზაფხულს ეს ასი წელიწადია!" კიდევ მეტი ამ ბოლოს დროს პოეტი ირგვლივ უიმედობას ხედავს და ამით გულდათუთქული ამას ამბობს: „წარვიდნენ დღენი სიყმაწვილისა, ლიტონი სიტყვა აღარა მჯერა.... ესდენ ვაებამ; თვით სასოება პირქვე დამიმხო გამიცამტვერა". სიმართლე თხოულობს მაინც აღვიაროთ, რომ თ. აბაშიძე ახალგაზრდა პოეტებში ყველაზე უფრო გულგაუტეხელია და იმედებით ავსე. კარგადაც ახასიათებს თავის პოეზიას, როცა ამბობს: „მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს ცხოვრება, მიყვარს, მიყვარდა და მეყვარება, მით უფრო მიყვარს, რომ სხვადა-სხვაობს, დღეს რომ ტანჯვაა, ხვალ—ნეტარება" (ოპტიმისტის სიმღერა). არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სხვა პოეტებზედ უფრო გარკვეულია მისი სევდების და დარდების მიზეზი, მის ლექსებში უფრო ნათლადა სჩანს მისი მისწრაფებანი და ლტოლვილებანი, და ამ შემთხვევაში მესამოცე წლების დიდებულ მწერალთა მიმდევარია. ხოლო ზემო მოყვანილი ნიმუშები მისი სევდიანობის და ოხვრა-კვნესისა მაინც იმას გვიმტკიცებენ, რომ ცხოვრების შეხარულებით ალსავსე პოეტზედაც დაუჩნევია ღრმა ნიშანი დროს და გარემოებას, საერთო მიმართულებას საზოგადოებისას და იმდენად ძლიერია ეს ნიშანი, რომ ძალაუნებურად ფიქრობთ, ვაი თუ ჩვენი იმედიც იმავე უიმედო იმედის ჯურისა იყოს, როგორიც აქვს დახასიათებული მისსავე თანამედროვე პოეტს:

კიდევ იმედი... კვალად იმედი...
მხოლოდ იმედი... სხვა არაფერი?!
ნუ თუ იმედის მოლოდინშია
უნდა დავლიოთ პირქუში დღენი? (ი. ევდოშვილი).

გრძნობათა გამოხატვა პოეზიასა და საზოგადოდ სიტყვაკაზმულს მწერლობას უფრო სჩვევია, პუბლიცისტიკა კი ამისთვის როგორღაც მოუხერხებელია. იგი უფრო აზრის გამომხატველია და არა გრძნობისა. ამიტომაც დღევანდელს ჩვენს პუბლიცისტიკაში ვერ არის დაცული სავსებით საზოგადო ხასიათი ეხლანდელი ახალთაობისა. შეიძლება ეს იმისი ბრალიც იყოს, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა მონოპოლიური ხასიათისაა და მათ მეთაურებს არა სურთ ხოლმე სასოწარკვეთილებით აღსავსე წერილები დასტამბონ: ასეთს ადგილებს სტატიაში რედაქცია შლის ხოლმე და არა რთავს ნებას ამგვარი ხასიათის წერილების დასტამბვისას. ერთი სიტყვით, პუბლიცისტიკა ახალთაობის წარმომადგენელთა ვერ გვიხატავს ისეთი ძლიერებით და სისრულით ამ თაობის გრძნობას და სევდასა, როგორც ლექსი, გინდ სხვა ბელეტრისტული ნაწარმოები.

ბ. ლალი და ბ. ფხა უნდა ჩავთვალოთ საუკეთესო პუბლიცისტებად ამ ჯგუფის ახალგაზდობისას და სწორედ მათ ნაწარმოებში ვერა ვნახეთ ჩვენ გარკვეული, რა უნდა შეადგენდეს იდეალს ჩვენი ინტელიგენციისას, მის სალტოლველსა და სანუკვარს საგანსა. ამას იქნებ სხვა ხელის შემშლელი გარემოებაც ჰქონდეს მაგრამ მგონი, მეტის მეტი სიბრმავე იქმნებოდა მარტო ამისთვის მიგვეწერა დღეინდელი მწერლობის აზრის ბუნდოვანობა. ადვილი მისახვედრია, რომ რაკი ამ ჯგუფის ახალგაზდობას მტკიცედ თვითონაც არა აქვს გარკვეული პროგრამმა ცხოვრების მოქმედებისა, ვერც მის წარმომადგენელ პუბლიცისტებს გამოურკვევიათ იგი.

აიღეთ ბ. ლალის წერილები 1895 წლის „ივერიის“ ნომრებში დასტამბული.

აქ ბ. ლალი წარმოსთქვამს შემდეგს აზრს „ზედ-შენობის“ შესახებ: „ბურჟუაზიის ლიბერალთ „ნაროდნიკებს“ და მარქსისტებს ერთი და იგივე „ზედ-შენობა“ წინ ელობება. ამ გვა-

რად რუსეთის ინტელიგენცია უბრუნდება კვლავ მეოთხმოცე წლების პრაქტიკულს პროგრამას... „გარეშე გარემოებანი“ სრულიად შეუძლებლად ხდიან საზოგადოებრივ ელემენტების შეგნებულს მოღვაწეობას. და ეს უკანასკნელი მდგომარეობა აერთებს დღეს რუსეთის პარტიებს და ამ მხრით კანონიერი იქნება, ვსთქვათ, რომ დღეს ბუნებრივს მოთხოვნილებას არ შეადგენს რუსეთის დასებად დაყოფა და სხვა-და-სხვა პროგრამის არსებობა („ივერია“ №. 65 იმავე წლ.).

ასეთსავე მდგომარეობაშია ავტორის აზრით ქართველი ინტელიგენცია: „საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მაშინდელ (მე-სამოცე წლების) მოღვაწეთა მოღვაწეობით ეროვნულის თვით-ცნობიერების აქმემ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ერის ზევრად თუ ცოტად განვითარებულს ნაწილში; ახლა კი საჭიროა, რომ ამ იდეალმა უფრო ფართო ნიადაგი მოიპოვოს, გავრცელდნენ და გახდნენ მთელის ერის საკუთრებად, მაგრამ მამულის მოყვარულთ ამგვარს მოღვაწეობას წინ ელობება იგივე „ზედ-მეტობა“... რომ ხალხმა შეიგნოს და შეიყვაროს ის იდეალი, საჭიროა მას სარჩულად დაედოს არა მარტო პლატონისებური და გვარიანად ბუნდოვანი იდეები, არამედ მტკიცედ განსაზღვრული რეალური ინტერესი... ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ინტელიგენციასა და ხალხს შუა დამკვიდრდეს დიდი ზნეობრივი კავშირი და ურთიერთობა, მაგრამ როგორც ვიცით, ამგვარის კავშირის ჩამოგდებისათვის საჭიროა უფრო ფართო კალაპოტის არსებობა, ვინემ ახლა გვაქვს მოსაზღვრული.

ამ გვარად ვხედავთ, რომ ჩვენის ქვეყნის ყველა პროგრესიულ დასებს წაყოფიერსა და თვალსაჩინო მოღვაწეობას აფერხებს ერთი და იგივე გარემოება და ამის მიხედვით ჩნდება საერთო ასპარეზი საერთო მოღვაწეობისათვის. აქაც გარკვეულს ვერას ვხედავთ და ამიტომაც იყო, რომ ზ. ჭიჭინაძის საფუძველი მიეცა ბ. ლალის წერილებზედ ასეთი პასუხი გაეცა: „რას კვირველია“ — ამბობს ბ. ჭიჭინაძე, — „დაცვა ეროვნობის, ენის, პიროვნობის, თავისუფლების არსებითი თვისებაა ერთვნებისა; მხოლოდ საქმე იმაშია, ეს ვის როგორ ესმის და რა საშუალებით

ინტერესებს ამაში ნაწილს, ერსა და რა გზით შეეძლება მისი ცნობიერების აღდგენა“ (№ 12 „კვალი“ 1895 წ.) და შემდეგ...

„ზ. ლალი თავის წერილებში „ბიუროკრატიულ ზედშენობას“ შესახებ ლაპარაკობს. ეროვნული თავის დაცვა და „ზედ-შენობა“ ეს ორი სხვა-და-სხვა კითხვაა... ჩვენც ინტელიგენციაში ჯერ კიდევ სადაოა, ამ ორ კითხვას შორის არსებობს რაიმე კავშირი თუ არა.“

ამგვარად ბ-ნმა ლალმა თავისს პროგრამმას ჩვენდა სამწუხაროდ „ფარდა ვერ ახადა“ მისი სიტყვები; მესამოცე წლების ახალთაობისაგან აღიარებულის ეროვნულის პრინციპის შესახებ, გაფიქრებინებთ, რომ იგი ამ პრინციპის მიმდევარია, მაგრამ იქვე ცოტა ქვემოდ, სრულიად სხვა აზრი აქვს გამოთქმული. ცხოვრების ნორმალურად მიმდინარეობის შემაფერხებელის გარემოების წინააღმდეგ შეიძლება მრავალი სხვა-და-სხვა იარაღი იხმარებოდეს, მის შესახებ მრავალი სხვა-და-სხვა აზრი წარმოითქვას, პუბლიცისტი ვალდებულია გამოგვირკვიოს, რომელი ამ აზრთაგანი უფრო საფუძვლიანია, უფრო ღირსი ყურადღებისა და უფრო ხელსაყრელი და საპრიანო.

ბ. ლალმა ძალაუნებურად, თუ თავისი სურვილით, აქ შესწყვიტა კამათი ქართველთა საზოგადოებისათვის ინტერესიან მწვავე კითხვების შესახებ და თავი მიანება მას, ჯერ-ჯერობით მაინც.

რაიცა შეეხება მ. ფხას, მას უფრო თეორიული ბაასი აქვს ეკონომიურის მატერიალიზმის დამცველებთან. ისტორიულ მოვლენათა ახსნაში და ადამიანთა ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეების აწონ-დაწონაში იგი ახლანდელ საუკეთესო ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა მიმდევრად ხდება (გიუიო, დგეულის, ტარდის, კიდდის, ფულიეს და სხვ.). მართალია ჯერ კიდევ ვერა აქვს საკმაოდ გამორკვეული იდეიურის, მორალურის ფაქტორის მნიშვნელობა ისტორიულს ცხოვრებაში (ამ ფაქტორის განსაკუთრებულს ყურადღებას მიქცევა განასხვავებს ზემოხსენებულ მწერლებს), მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ შემდეგში უფრო სავსებით შეეხება ამ საგანს.

კერძოდ დღევანდელი ჩვენი ცხოვრების შესახებ სრულიად სამართლიანი აზრი აქვს გამოთქმული: ერთ თავის წერილში აშკარა ფაქტად აღიარებს, „რომ ჩვენი ცხოვრება წარმოების გზას დაადგა და სრულიად ახალი მიმდინარეობა მიიღო“ („კვ.“ 95 წ. № 27), კაპიტალისტური წეს-წყობილება ჩვენში ფეხს იკიდებს და თუ „სისწრაფით არ მიდის“, ყოველ შემთხვევაში მის დამკვიდრებას ჩვენში ვერაფერი შეაფერხებს, იმიტომ კი არა, რომ საზოგადოდ კაცობრიობისათვის შეუძლებელი იყოს სხვა გზას დაადგეს, იმიტომ რომ ქართველი ერისათვის **შეუძლებელია** ამ ახალი გზის აღმოჩენა; ცალკე ერის ცხოვრებაში მხოლოდ გმირს შეუძლიან ხოლმე ახალი გზის აღმოჩენა, ახალი იარაღის შექმნა და ხალხის მეთაურობა. ხოლო საერთო ხალხთა ისტორიაში ამ გმირობას ყველა ერი კი ვერ აღასრულებს, არამედ ისეთი „რჩეული“, როგორიც დღემდის ინგლისი და საფრანგეთია, და ამ ბოლო დროს გერმანიაც. მათ აქვთ მინიჭებული ისეთი ადგილი და როლი ქვეყნიერობის ცხოვრების მსვლელობაში, როგორც გმირს განგებისაგან მადლით ცხებულს კერძო ერის ცხოვრებაში.

კაპიტალისტურ წეს-წყობილებას ვერ აუარა გვერდი ვერც ერთმა გმირმა—ხალხმა და რა საფიქრელია ჩვენ ავცილდეთ მას: ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ შეგნებულის მიმბაძველობით უნდა ვიხელმძღვანელოთ, მეტი არა დაგვრჩენია-რა და ტყუილი იმედიც იქნება, რაიმე ახალი გზა მოვიპოვოთ. ამას სხვას გარდა ხელს უშლის, რასაკვირველია, ისევ ის გარემოება, პირობა და სხვა-და-სხვა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიან ჩვენს ერს განვითარების ნორმალურ გზას დაადგეს. რაკი ჩვენი ცხოვრება წარმოების გზაზე მიდის, როგორ უნდა მოვიქცეთ, რა საგნები წამოგვიყენა ცხოვრებამ და რა პასუხი უნდა გავცეთ ამაზედ,—ეს ვერ გამოგვირკვია ჯერჯერობით ვერც ბ. ფხამ.

ხოლო სევდით აღსავსე ეჭვი და მჭვუნვარებაა, საერთო სენი და თუ გნებავთ თავისებური სამკაული ამ ახალგაზდობისა ვერც ბ. ფხამ აიცილა თავიდან და თავისი პუბ-

ლიტერატურულ სამეცნიერო წერილებშიაც გადმოსჩანს გულ-
ში შეგუბებული შხამი. „მართალია“, ამბობს ერთ თავის
წერილში (№ 20 „კვალი“. 96 წ.). „სასიხარულოა, რომ
ქართველობა ჩაერია ახალ ვითარებას, მაგრამ ჯერ გამარ-
ჯვების დღესასწაული შორეულია: ბოლო ვისია, ვინ იცის?
ამიტომ გული სხვას გვითხრობს, გულუბრყვილო რწმენასა
და იმედს გვართმევს და გამარჯვების ეჭვს გვიბადავს... ეჭვს
მით უფრო აქვს ადგილი, რომ სხვები ჩვენზე ადრე გამოვიდ-
ნენ ამ სარბიელზე, ამ საქმეს ჩვენზე წინ მიჰყვეს ხელი. ამი-
ტომ მათ მეტი გამოცდილება, მეტი ბეჯითობა მოუპოვებიათ.
ჩვენ უფრო სუსტნი და გამოუცდელნი ვართ. საქმის წარმარ-
თვა კი, მოგეხსენებათ, უმეტესად გამოცდილებაზეა დამოკიდე-
ბული. ეჭვს კიდევ ის გვიმატებს, რომ შეიძლება იმ ძალამ, რო-
მელიც სხვებს ქომაგობს, ქართველობა, ამ ხანად წელში გა-
მართული, სრულებით და ულმობელად წელში გაწყვიტოს.
არა მგონია ეს სიტყვები იმედებითა და სასოებით აღსავსეობას
ნიშნავდეს.

ბ. ფხა უფრო ზოგად ფილოსოფიურსა და მეცნიერულს
პესსიმიზმსაც იჩენს, როცა ამბობს თავისს ფრიად საყურადღე-
ბო წერილებში, რომელიც ამ წლის „მოამბის“ **III** და **IV** ნო-
მრებშია დასტამბული: „ბუნება, მისი სინამდვილე სისრულით
და ყოველი მხრივ ჩვენთვის მიუწდომელია. შეგვიძლიან ფაქტი
დავინახოთ, მოვლენა შევამჩნიოთ, ამ ფაქტთა და მოვლენათა
მსგავსება და განსხვავება გამოვარკვიოთ და ამ მსგავსებასა და
განსხვავებაზე დავამყაროთ ზოგი ზოგადი და განყენებული
დასკვნა, ეს ზოგადი დასკვნა, ეს განყენებული ფაქტი კანო-
ნად აღვიაროთ. ჩვენ ვამჩნევთ მოვლენათა თანდათან მიმდინა-
რეობას, ამ თანდათანობაში კი ერთ რომელსამე მოვლე-
ნას მეორისა ან მოვლენათა მთელის რიგის მიზეზად გამოვი-
სახავთ. აი, ამ ვიწრო ფარგალშია მომწყვდეული ადამიანის
ცოდნა. ეს ის ფარგალია, რომელსაც სპენსერი **გამოსაცნო-
ბელს** უწოდებს. მაგრამ ყოველ მოვლენას, ყოველ საგანს აგ-
რეთვე მიუწდომელი, გამოუცნობელი მხარეც აქვს. **მარადის**

**სასოო უნდა წარვიკვეთოთ, ამ მიუწდომელს მივწვდეთ, ეს გამოუცნობელი გამოვიცნოთ** (კურსივი ჩვენია). ჩვენი ცოდნა არასოდეს ისე ვრცელი, ისე სრული არ იქნება, რომ ხელთ ჩავიგდოთ, უტყუარად გამოვიცნოთ საგნის, მოვლენის თვით სული, თვით არსი. ჩვენი **ცოდნა შედარებითია და ფარგალ-შემოფარგლებული.** მაგრამ ადამიანის გრძნობა, ადამიანის სულის კვეთება აქ არ ჩერდება, ამით არ კმაყოფილდება და, თუმცა კარგად იცის, რომ ვერა სცნობს „განგებას ციურს", მაინც აღიარებს სიმართლეს ბარათაშვილის აზრისას:

„გულის-თქმა ჩემი შენს იქით.. ეძიებს სადგურს," მაგრამ ეს **გულის-თქმა, სრულიად სამართლიანი, მუდამ და მარადის განუხორციელებელი უნდა დარჩეს.** (კურსივი ჩვენია).

მართალია, ამ შემთხვევაში ბ. ფხა სპენსერის სიტყვებს იმეორებს, მაგრამ სპენსერსაც არა-მცირედი წილი უდევს იმ პესსიმიზმის გავრცელებაში, რომლითაც მოცულია მთელი ევროპის ახალგაზდობა, ყოველსავე რელიგიურს და მეტაფიზიკურს მოსაზრებათ ამხობდა მეცნიერება და თანაც აცხადებდა: აღარც მე ძალმიძს გამოვიცნო ის საჰიერბორროტო და მწვავი საკნები, რომლებზედაც კაცობრიობა თავს იმტვრევდაო. რა საკვირველია, ამგვარ აღსარებას სასოწარკვეთილებაში უნდა ჩაეყარა გატაცებულნი თაყვანისმცემელნი ახალი მხსნელისა და საუკუნოდ გული მოეწყლა მათთვის. ხსნა არსად არის, თუ არ რწმენაში. ან უნდა გწამდეს, რომ მეცნიერება ყოველსავე დამალულს და ფარულს, თუ დღეს და ხვალ არა, შემდეგში მაინც გამოაშკარავებს და გამოაქვეყნებს, მიუწდომელს მისწვდება და გამოუცნობელს გამოიცნობს. ანა და უნდა გწამდეს რაიმე ძალი, რომელიც განაგებს და ჰმართავს ქვეყანას, თორემ, მართლაც, ბ. ფხასი არ იყოს, „სრულიად სამართლიანია" „გულის-თქმა", რომელიც ეძიებს სადგურს ციურის განგების იქით; კიდევ მეტი, შეუძლებელია ამოიფხვრას კაცის არსებიდან ეს „გულის-თქმა". მაგრამ ამასთან, თუ იმ აზრისაც ხარ, რომ ეს „გულის-თქმა მარადის განუხორციელებელი" რჩება, საეჭვოა მოიპოვო სულის სიმშვიდე და მოიკრიბო სულის

ღონე ცხოვრებაში ატეხილს ბრძოლის ველზედ გამოსასვლელად *).

ამგვარად კერძო აღსარება სევდითა და ნაღველით აღსავსე კერძო მწერლებში; საქვეყნო გოდება და ტირილი, უიმედობა და უსასოება პოეზიასა და პროზაში; გამოურკვევლობა აზრისა და ურწმუნობა და სკეპტიციზმი პუბლიცისტიკაში, აი ის სურათი, რომელიც წარმოგვიდგენს დღევანდელი ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის გრძნობისა და გონების ნაწარმოებს. რასაკვირველია, ამგვარს მიმართულებას ახალგაზრდობისას აქვს თავისი მიზეზები, იგი გამოწვეულია იმ ისტორიული ხანით, რომელშიაც ვსცხოვრობთ, აგრეთვე ჩვენის ერის განსაკუთრებული მდგომარეობით. ჩვენმა ერმა თვალსაჩინოდ იცვალა ფერი პოლიტიკურად, ჩვენი ერი ჩადგა ახალს ეკონომიურს ვითარებაში, ყოველივე ამან შექმნა თვით პირობები, რომლის შეთვისებაც ასე ადვილად როდი მოხდება ხოლმე. ჩვენი ერის ახალგაზრდობა სრულიად მოწყვეტილია თავისს ძველ კულტურას, ძველს ტრადიციას და ახალს ნიადაგზედ შედგარგული, თქმა არ უნდა, მრავალნი ამათგანნი [illegible] ნაყოფს გამოიღებდეს. გარდა ამისა მთელის ევროპის ახალგაზრდობა სევდიან კილოთი გალობს და ამისი მიზეზია, რასაკვირველია, საზოგადოებრივი დაცემა, პოლიტიკური პირობები და გარდა ამისა ის ცრუ მეცნიერული მიმართულებაც, რომელმაც ფესვი გაიდგა ევროპის მოაზროვნე საზოგადოებაში. დარვინისა და სპენსერის თეორიები სალახანათა თავ გასამართლებელ იარაღად შეიქმნა, შოპენჰაუერისა და ჰარტმანის ფი-

*) სპენსერიც ხომ ვერ შეჩერდა იმაზედ, რომ „მიუწდომელის“, გამოუცნობელის არსება აღიარა. თავის სოციოლოგიის უკანასკნელს IV წიგნში აი რას ამბობს: „არის ერთად-ერთი ჭეშმარიტება, რომელიც დღითი-დღე უფრო თვალსაჩინო გახდება და ნათლად დასანახავი შეიქმნება: ეს ისა, რომ არის ა რ ს ე ბ ა გამოუცნობელი, რომლის დასაბამი და დასასრული მიუწდომელია და, რომელიც ყველაფერში სჩანს. იმ საიდუმლოებათა შორის, რომელნიც მით უფრო ბნელით მოცულნი არიან, რაც უფრო ღრმად სწვდება მათ ჩვენი აზრი და უკვირდება ჩვენი გონება, არის ერთი შეურყეველი, აბსოლიუტური სინამდვილე—ეს ისა, რომ ჩვენ წინ ჰმართულია ძ ა ლ ი დაუსრულებელი და საუკუნო, ძალი, რომლიდან მომდინარეობს ყოველივე. Principes de Sociologie par H. Spencer t. IV. Paris 1887. გვ. 215.

ლოსოფია გარყვნილთა თავშესაფარად გახდა, რენანის სკეპტიციზმი უაზრო, უიდეალო დილლეტანტთა მცნებად შეიქმნა. ჩვენი ახალგაზდობა შეიძლება თვით არ იყოს ისე გართული ამ მწერალთა ნაწერებში, მაგრამ მათგან შექმნილი ატმოსფერა შორსაც მოქმედებს. სამწუხაროდ ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ და სავსებით ვერ შევეხებით სხვა-და-სხვა მიზეზებს, რომელიც განსაზღვრენ ამ მოვლენას საზოგადოდ ევროპაში და კერძოდ ჩვენში. შეიძლება ოდესმე უფრო სავსებით შევეხოთ მას.

ყოველს შემთხვევაში აქ სახეირო არაფერია ჩვენი შავდლიანისა და ბნელით მოცული ცხოვრებისათვის; ცხოვრებას, რომელსაც ესაჭიროება მხნე მებრძოლნი და ენერგიულნი თავგანწირულნი მშრომელნი; ქვეყანა, რომელსაც გაჭირვების დროს ასეთი ახალგაზდობა ჰყავს ვერ აღფრთოვანდება იმედებითა და სასოებით. ხოლო ისიც ვიქონიოთ სახეში, რომ ამგვარი მიმართულება ახალგაზდობისა მარტო ჩვენში არ არის: ასეა ევროპაში, ასეა რუსეთში, ამიტომაც არ ძალგვიძს ჩვენის ერის გადაგვარებისა და დასუსტების შედეგად მივიჩნიოთ იგი. ეჭვი არ არის ეს წარმავალი ხანია და ჩვენს ერს კიდევ დაუდგება განთიადი, როცა ნამდვილი გონებით, სულითა და გულით სალი და ჯანმრთელი მუშაკნი შეუდგებიან მისი ცხოვრების ულლის წევას. გარდა ამისა, მართალია ეს ახალგაზდობა აქტიურს მოქმედებას მოშორებულია, მართალია პოზიტიური, თვალსაჩინო ნაყოფი არ მოაქვს, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თვით ამ გოდებას და ტირილს დღეინდელი ცხოვრების გამო, ერთგვარი სარგებლობა მაინც მოაქვს:—საზოგადოება თანაუგრძნობს ამ გოდებას, აღიარებს ამ სევდის სამართლიანობას და ეს კი ის ნიადაგია, სადაც აღიზრდება უფრო სალი მიმართულება. სურვილი ამ ცხოვრების გაუმჯობესობისა, ეს გოდება და ვაება აძაგებს დღევანდელს ცხოვრებას საზოგადოებას. ეხლანდელი ცხოვრების უარ-ყოფა ჰბადავს იდეალს უკეთესი ცხოვრების შექმნისას და ამ იდეალს თავისი განმახორციელებლებიც ეყოლება უსათუოდ. საეჭვოა, მაგრამ შესაძლებელია

თვით ამავე ახალგაზრდობაში მოხდეს ასეთი ცვლილება და თვით მანვე უკუ აგდოს სიცოცხლის შემხუთველი და დამასუსტებელი ოხვრა და სევდა, ნაყოფიერს შრომასა და ცხოვრებაში კეთილის გამეფებისათვის ბრძოლას მიჰყოს ხელი, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო და გამოუჩნდა გმირი გამამხნევებელი, იდეალის დამსახველი და აღმაფრთოვანებელი. ამაზედ უფრო სასიამოვნო ჩვენთვის არა იქნებოდა-რა. მაგრამ, რადგან ეს ჩვენ ოცნებად მიგვაჩნია, იმით მაინც ვკმაყოფილდებით, რომ ტანჯვავაებას, და კვნესა-გოდებასაცა აქვს მნიშვნელობა და მოაქვს სარგებლობა. შესანიშნავი ფრანგი პოეტი-ფილოსოფოსისა არ იყოს:

„სასტიკად, სევდავ! ვაების ალით
დასწვი, დასტანჯე სული და გული:
ტანჯვა შეიქმს აზრს და აზრის ძალით
იქნება ბნელი განათლებული!“ *)

## VI

მე არ შემიძლიან განსაკუთრებულს გრუპპას მივაკუთვნო ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც საზიზღარია და საოცარი თავისი ცინიკურის ალვირ-წახსნილობით. იგიც პესსიმისტია, მაგრამ სხვაგვარი. მას თავისი პესსიმიზმი გარყვნილების გასამართლებლადა აქვს; წუთისოფლის მხიარულად და უდარდელად გატარების აღიარებელის თეორიის საფუძვლადა აქვს მიჩნეული ეს პესსიმიზმი. ამათ არა სწამთ-რა გარდა პირადი ინსტიქტების დაკმაყოფილებისა და პირადი ბინძური გრძნობების განვითარება-განმტკიცებისა. ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ იმ ჯურის პესსიმისტებს წარმოადგენდნენ, რომელნიც ცდილობენ, რაც შეიძლება მალე დაეწაფონ თავის გამბრუებელ საგნებს, რათა ცხოვრების ვარაში დაივიწყონ და ამით სიცოცხლე მალე მოისპონ და ან შეუმჩნევლად დაასრულონ იგი. ამგვარ პესსიმისტებს ის გამართლება მაინცა აქვთ, რომ ვერც

*) „ჯურღმული“—ლექსი გიუიოსი, თარგ. გრ. აბაშიძისა.

ამ თავის გართობაში, ამ ეპიკურეიზმში ჰპოვებენ ნეტარებას და გრძნობათა წუთიერი დაკმაყოფილებაც ვერა შველის სევდით და ვარამით დაღრღნილს მათ გულს.

„ცხოვრებაში მედგრად მებრძოლთ“ ამათ არც სწამთ სიყვარული, მეგობრობა, მშობლიური გრძნობა და ამ შემთხვევაში იგინი უფრო სასტიკნი მიმდევარნი არიან თავიანთ ლოგიკისა. არავითარს სევდას და დარდს არა გვრის, თუ არა ჰყავს მეგობარი, თუ არა ჰყავს მოყვარული არსება, ცოლი იქმნება იგი თუ დედა; თუ „მზითევი“ მატერიალურს განცხრომასა და ფუფუნებას აძლევს, სრულიად კმაყოფილია ოჯახით. ჰხედავს, რომ მეგობარი აბაზად იშოვება და მეგობრობად მიაჩნია ლაქუცობა და ფეხთალოკვა.

მათ შეუსისხლხორცებიათ და შეუთვისებიათ დახავსებული ბურჟუაზიული თეორია,—თუ ყოველი კაცი ბედნიერი იქმნება (რა ბედნიერება აქვთ სახეში?), მაშინ შეერთებული ჯამი ამ კაცთა, ესე იგი ერი, კაცობრიობა ბედნიერი იქნებაო. ამასაც ხომ ენის მოსაქავებლად ამბობენ, თორემ ან ამას რას დასდევენ, მარტო თავის გასამართლებელ საბუთად მიაჩნიათ. ის კი ავიწყდებათ, რომ ყოველივე ბედნიერება კაცისა, ბედნიერება, რომელიც გამოისახვის ან დიდის ქონების შეძენაში, ან ალვირ-წახსნილ ქვენა გრძნობათა დაკმაყოფილებაში, აშენებულია უმრავლესობის უბედურებაზედ, მის დაჩაგვრასა და დამარცხებაზედ. მაგრამ ან ამას რას დაეძებენ, ცუდად შეგნებული თეორია „ცხოვრებისთვის მეტოქეობისა“ ხელში არა აქვთ, ცხოვრებაში ბუნების სასტიკის კანონების გაღმერთება პირზედ არ აკერიათ?

კაცის სისულელისა და უვარგისობის თეორიას ჰქადაგებენ და თანაც უსირცხვილოდ გაიძახიან „კაცთა სისულელით უნდა ვისარგებლოთო“.

სამშობლოისა და ქვეყნის სამსახური თუ ხელზედ დაუხვევიათ მხოლოდ მიტომ, რომ კაცთა სისულელის მცოდნეთ იმედი აქვთ და იციან ესეც იარაღად გამოადგებათ ცხოვრებაში და გულში კი უწმაწურად დასცინიან, ვისაც სჯერა ეს მათი ლიტონი სიტყვები.

შეიძლება საზოგადოებას ემსახურებოდეს, მაგრამ მარტო იმიტომ, რომ პირადს სარგებლობასა ჰხედავს, სარგებლობას ქონებრივს ყველაზედ უწინ, რასაკვირველია, და მერმე კიდევ პირადის გაზვიადებულის თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მიაჩნია.

მათი მოუხეშელი და ურცხვი ბუნება არაფერს არ დაზოგავს ცხოვრებაში „გამარჯვებისათვის", გამარჯვების ზნეობრიობას როდი დაეძებენ, ოღონდ კი გაიმარჯვონ, რადაც უნდა ულირდესთ ეს გამარჯვება.

საუბედუროდ ესენი უფრო მეტს ენერგიასა, მხნეობასა და გამბედაობას იჩენენ, ვინემ პირველის ჯგუფის წარმომადგენელნი, თანაც რაღა თქმა უნდა უფრო დიდ ყოყოჩობასა, რიხიანობას და გაბედულობას გვაჩვენებენ. ერთიც არის — მათი იდეალი მეტისმეტად ვიწროა, ბუნების ფატალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სურვილს ვერ გასცილებია და ამიტომ მისაღწევადაც უადვილებათ. რასაკვირველია, თუ კი სირცხვილსა და ნამუსს დაჰკარგავ, თუ პირადის ბედნიერების განხორციელებად ჩათვლი ქონებრივ სიმდიდრეს და ქვენა გრძნობათა დაკმაყოფილებას, უფრო ადვილი შესასრულებელი არაფერია.

ცოდნა შეიძლება ამათაც ჰქონდეთ, მაგრამ ცოდნა უაზრო და უშინაარსო, ცოდნა, რომელიც მარტო მისთვის უნდათ, რომ ყოველის საგნიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა გამოიტანონ, სარგებლობა ნივთიერი, ბრმა ეგოისტურის სიამოვნების დამაკმაყოფილებელი.

გარკვეული აზრი თავისდღეშიაც არა ჰქონიათ და არცა აქვთ. ყოველს აზრს მიემხრობიან, ოღონდ კი პირადი, კიდევ და კიდევ პირადი პირუტყვული ინტერესები დაიცვან. მთელის მათის მოქმედების შინაარსი და მთავარი აზრი თავისი „მე"-ის გალმერთება-გაბატონებაა, ამ „მე"-ის უსაზიზღრეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა.

საზოგადო საქმეში ინდიფერენტიზმს — გულგრილობას იჩენენ — კარგად ხედავენ, რომ აქ უმეტეს ნაწილად საპირიანო არაფერია და თავისი გულქვაობისა და უკაცურობის გასამართლებლად „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო", გაიძახიან.

მხოლოდ ეს გვეთქმის ამათ შესახებ. ყველასა ჰყავს თით-ოროლა ნაცნობი მათ შორის და ყველა ადვილად მიხვდება ამ ტიპს. უფრო სავსებით მათი დასურათება კი ძნელია, რადგან ლიტერატურაში თავი ვერ იჩინეს: არა აქვთ ამისთვის საკმაო არც ნიჭი და არც სურვილი, რადგან არავითარ სასარგებლო არ არის (ქონებრივი მხრით, რასაკვირველია).

გულ-ცივობა და გულ-გრილობა მათის ბუნებისა არის იმის მიზეზი, რომ არა ჰყავთ არც ერთი მეგობარი, რომლისთვისაც შეეძლოთ გრძნობების განზიარება. ან კი რა გრძნობები უნდა განუზიარონ?

თუ მათს წერილებს შეხვდებით სადმე, უსათუოდ, რაიმე „საქმის“ ქაღალდები იქნება და არა გრძნობათა გამომხატველი ბარათები? ან კი სადა სცალიანთ ასეთი, უმნიშვნელო საქმისათვის ამათი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზედ, რით უნდა გამოხატოს, თუ არ უარმყოფლის მოქმედებით? ფარულად თუ ცხადად, მარადის იგინი იქნებიან შემაფერხებელნი ყოველის საქმისა. ასეთი წევრები საზოგადოებას ყოველთვის ჰყოლია და ეყოლება. მათ თავის დღეში არავინ არ უწოდებს „თაობას“, არავინ მიაწერს რაიმე მოწინავეობას ცხოვრებაში.

## VII

მეორე ჯგუფს ახალგაზდობისას მინდა შევაწერო ჩვენში ეგრედ წოდებული „მესამე დასი“.

მემატიანეს ცხოვრებისას ყოველთვის ჰმართებს პარტიული და პოლემიკური სიმწვავე უკუ აგდოს, ზნეობრივი მოთმინებით აღიჭურვოს და ისე გასინჯოს ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა, ცხოვრების ბრძოლაში გამოსული ეს თუ ის დასი პირუთვნელად დაახასიათოს. პირადად, შეიძლება ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ, რომელიმე პარტიისა, ან და რომელიმე პარტიისაგან აღიარებული პრინციპისა; შეიძლება კიდევ ამა თუ იმ დასისაგან დროშაზედ წარწერილი მცნების წინააღმდეგი პრინციპიალურად არ ვიყოთ, მხოლოდ მიგვაჩნდეს ჯერჯერო-

ბით უადგილოდ, უსაფუძვლოდ და უტოპიურად. ეს სულ ერთია, ჩვენ მაინც გვმართებს ღირსება ამ ჩვენგან არ-მოწონებული დასიც არ დავივიწყოთ, განგებ არ დავხუჭოთ თვალები და პარტიული მიკერძებით გატაცებულთ უსამართლო მსჯელობა არ წამოვისროლოთ. ხოლო რაკი ეგრედ წოდებულს „მესამე დასს“ შევეხეთ. ახალგაზდათა მეორე ჯგუფში სწორედ იმიტომ მოვათავსეთ, რომ პირველი ჯგუფისათვის დაგვეპირდაპირებინა და ამით ერთი-მეორის თვისებანი უფრო ნათლად დაგვენახვებინა მკითხველთათვის.

მაშ სიმართლე თხოულობს აღვიაროთ, რომ თუ პირველი ჯგუფი მოკლებულია საზოგადო მოღვაწისათვის მიუცილებელ ღირსებებს, გარდა ნიჭისა და გრძნობიერებისა, რომელიც სატანჯველადა აქვთ მინიჭებული, სამაგიეროდ მეორესა აქვს ზოგიერთი უაღრესი ღირსება, რომელიც საჭიროა საზოგადო მოღვაწისათვის.

აქვთ გარკვეული აზრი. შეიძლება ყოველ მათგანს არა ჰქონდეს სავსებით შეგნებული ის აზრი, რომლის მოციქულადაც თავს აღიარებენ, დაჟინებით მაინც გაიძახიან ერთსა და იმავეს და ძალაუნებურად ყურადღებას იქცევენ.

გარკვეულობა პროგრამისა მაინცა და მაინც იმას ხომ არ შეიცავს, რომ ღრმად გქონდეს შესწავლილი ის ფილოსოფიური მოძღვრება, რომელზედაც არის დამყარებული შენი პოლიტიკური პრინციპები, ანა და თვით ეს პოლიტიკური პრინციპები გქონდეს ღრმად შეგნებული, იცოდე მისი ნაკლულევანებანი და ღირსებანი, იცოდე მისი სუსტი და ძლიერი მხარეები. საკმაოა, მაგალითად თვით ამ პრინციპის ფორმულა იცოდე, ბრბოსათვის სრულიად საკმარისია ესა. და გმირს ბრბოის წინამძღოლს უფრო სავსებით უნდა ჰქონდეს შესწავლილი, რასაკვირველია, ის დოქტრინა, რომლის მომხრეც არის.

ამიტომაც არის, რომ „მესამე დასს“ თუმცა ვერა აქვსთ სავსებით შეგნებული მათ დროშაზედ წარწერილი პრინციპი, მაგრამ ორგანიზაცია აქვთ და დისციპლინა, წარმოადგენენ პარტიას ენერგიულადა და მხნედ მომქმედს. უმეტესმა მათგანმა

უთუოდ იმის მეტი არა იცის, რომ „მესამე დასს“ ეკუთვნის და ყოველი, რომელი არ იწერს პირჯვარს მათებრ, არ არის მართლ-მორწმუნე. განა თვით საქრისტიანო ერს, ან დღეს 1900 წლის შემდეგ აქვს შეგნებული ზნეობრივი სიტურფე და სიდიადე სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს? დიდ უმეტესობას მათგანს ამ სარწმუნოების აღმსარებლად მხოლოდ ის მიაჩნია, ვინც პირჯვარს იწერს და პირჯვრის-წერა სრულიად საკმარისად მიაჩნია მისათვის, რომ ქრისტიანად იწოდებოდეს. თვითონ კი ამ პირჯვრის წერის გაგებაც არა აქვს, არ ესმის რა დიდი აზრის გამომხატველი სიმბოლოა.

რაღა საკვირველია, თუ „მესამე დასის“ კრებულსაც არა მეტად ესმისთ თავიანთი მოძღვრება და მარტო „მესამე დასის“ ძახილში ხატვენ თავიანთ მართლ-მორწმუნეობას.

ყოველს შემთხვევაში მიმბაძველ ბრბოს წარმოადგენენ კარგად გაწვრთნილსა და ერთგულად ემორჩილებიან თავისს მეთაურს. ეს ერთობა, სუბორდინაცია, და ერთგული ქვეშევრდომობა ბელადისა არის თვისება დიდად საჭირო ყოველი მოქმედი წრისათვის, მიუცილებელია ყოველი ჯგუფისათვის და მით უფრო ცხოვრებაში მეთაურობის სურვილის ჯგუფისათვის.

ამასთან იგინი არიან ფანატიკური მოწაფეები მოძღვრებისა, ფანატიკოსები თავიანთი აზრისა და ამისი ბრალია ის უცნაური ფაქტი, რომ უნიადაგო მათი აზრი ბევრ პროზელიტებს შოულობს, პოულობს ბევრ მიმდევარსა და გამგონს. ფანატიკური მხნეობით ავრცელებენ თავიანთ აზრს ხან ძალით და ხან ნებით. კარგად იციან, ვის როგორ ელაპარაკონ და როგორი მხრით მიუდგნენ, თითქმის აშინებენ კიდევაც გაუგებარ ბრბოს და ამგვარად თავისი აზრის განმტკიცებასა ცდილობენ.

ერთი სიტყვით, ამ დასსა აქვს სრული ორგანიზაცია, აქვს ძალა და ენერგია მოქმედებისა. უნდა ითქვას მხოლოდ ისა, რომ საუბედუროდ ვერ არიან საკმარისად ვრცელი ცოდნით აღჭურვილნი და შეიძლება ეს კიდევაც შველოდეს მათ ფანატიკოსობას ისე, როგორც აკლია პირველ ჯგუფს ჩვენს ახალგაზრდო

ბისას აქვთ ამათ, ხოლო ის, რაც შეადგენს მომხიბვლელობას პირველისას ამათ აკლიათ, აკლიათ მაღალი ნიჭი, ღრმა ცოდნა და ნაზი გრძნობიერება, ურომლისოდაც ძნელია მოიპოვო სიმპატია; აკლიათ გონების მრავალ-მხრივობა, გონების ჰორიზონტი მეტად ვიწროდ შემოფარგლული აქვთ, რაიცა ხელს უშლის ღრმად ჩაუკვირდნენ საგანსა და ყოველ მხრით ასწონდასწონონ იგი. ამას კი, რასაკვირველია, ის შედეგი აქვს, რომ არც მათ შეუძლიანთ დაიჭირონ ადგილი ჭეშმარიტი მოწინავე თაობისა.

ჩვენთვის მაინც საჭიროა ვიცოდეთ, რა პრინციპს აღიარებენ იგინი. თუ თვით ვერ მოგვცემენ პასუხს ამაზედ, ჩვენ თვით ვეცდებით გამოვარკვიოთ, რადგან ვიცით მათივე აღსარებით, რომ იმ პარტიას ეკედლებიან, რომელიც მარქსის თეორიის მიმდევარია და მარქსისავე პოლიტიკის აღმსარებელი *),

ის პარტია, რომელიც ამ მოძღვრის თაყვანისმცემელია, დღითი-დღე იზრდება ევროპაში და ამაში წილი უდევს, რასაკვირველია, არა მარტო მარქსის „კაპიტალს“, არამედ მთელს ზნეობრივ მიმართულებას დღევანდელი საზოგადოებისას.

მთელი ევროპის ხალხი გაყოფილია დღეს ორ ჯგუფად, ერთი მხრით არიან „მძარცველნი“ კანონის მფარველობით გალომბულნი, მეორე მხრით „გაძარცულნი“ კანონისაგან შეუწყნარებელნი და უყურადღებოდ დაგდებულნი. ამ მეორეთ არა აქვთ-რა გარდა თავისი შრომის და ჯაფისა, წელში გაწყვეტილნი არიან შრომით და ჯაფით და ამ შრომის და ჯაფის ნაყოფით სარგებლობენ პირველნი. მთელი ცხოვრება მეორეთა უნდება დღიური ლუკმის მოპოვებას და ერთი წუთიც არა რჩებათ სხვა რამეზედ იფიქრონ. მხოლოდ და მარტო პირველთ აქვთ პოლიტიკური უფლება de facto, თუმცა de jure პოლიტიკური უფლება ყველას ეკუთვნით. პირველნი სარგებლობენ პოლიტიკურის თავისუფლებით, თუმცა დეკრეტებში ყველასა აქვს მინიჭებული იგი თავისუფლება და ყოველს ნაბიჯზედ.

*) მე სრულიად არ ვეხები მარქსის ფილოსოფიას, არამედ მაქვს ლაპარაკი, როგორც პოლიტიკური მოძღვრების შესახებ.

შეგხვდებათ ევროპის ქალაქებში იმის დასამტკიცებელი საბუთები, რომ „თავისუფლება, ერთობა და ძმობა“ ყველას საკუთრებაა, რომ ყველას შეუძლიან თავი შეიფაროს იმ დროშას რომელზედაც, ოქროს ანბანით არის ეს დიადი სიტყვები წარწერილი. ნამდვილად კი, ფაქტიურად ეს ილლიუზიაა, ამით სარგებლობენ მხოლოდ „კანონიერი მძარცველნი“.

თუმცა თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა, თავისუფლება კრებებისა დაკანონებულია, მაგრამ ყოველივე ეს კიდევ და კიდევ ქაღალდზეა დაწერილი, ფაქტიურად კი უმეტესობას ერისას, ჩაგრულსა და წამებულს ენა შებოჭვილი აქვს და აზრი შეზღუდული. აქედამ მომდინარეობს ის, რომ დამშეული და უმწეო ხალხი გარყვნილების მორევში სცურავს და ყოველდღე ნელ-ნელა იწამლება მისი სიცოცხლის წყუთები. ხოლო თვით მაძღართ კი აღარ იციან რა ქნან, რას ეცენ, ვის რა წაავლიჯონ, როგორ დაიკმაყოფილონ გაავთრებული სურვილები. აქაც ღრმად გაუდგამს ფესვი გარყვნილებას, აქაც ტრიალებს ისეთი შხამი, რომელიც ეჭვი არ არის მოსპობს სიცოცხლეს ერისას.

ყოველი ადამიანი, ღირსი ამ სახელისა, დღეს მტერია ამგვარის წყობილებისა, მისი მედგარი და შეუპოვარი მებრძოლია. ყოველი შეგნებული ადამიანი, ყოველივე რიგიანი შვილი თავისი სამშობლოისა, რომელშიაც ღვთიური ნაპერწკალი არ გაუქრია გაპირუტყვებას, კარგადა გრძნობს, რომ თუ ამ წყობილებას ბოლო არ მოეღო, ეს ახალი ქვეყანაც ისე დაიღუპება, როგორც ძველი, რადგან შეუძლებელია იცხოვროს იმ ქვეყანამ და იმ ერმა, რომელშიაც მოსპობილია სიყვარული ძმისა, თავგანწირულება ძმისათვის, რომელშიაც ჩამქრალია წრფელი და უანგარო სიყვარული საყვარლის მიმართ, და რომელსაც აღარ ესმის სიყვარული მშობლისა შობილის მიმართ და შვილსა მშობლის მიმართ; უნდა აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა ის მხარე, სადაც შებღალულია სიყვარული და-ძმური, მეგობრობა და სადაც მარტო „მე“ არის გაღმერთებული, მარა „მე“ ადამიანისა კი არა, „მე“ პირუტყვისა, რომელსაც საუბედუროდ ადამიანის სახე აქვს.

ხილეთ, რომელიც გნებავთ, ეხლანდელი მწერალი, თუ დღევანდელის ცხოვრების გამოხატვას ვერ დასტოვებს, დღევანდელის ზნეობის დაცემას და გაქსუებასაც უჩივის და ხმა მოუთქვამს: უმეტესად რომ შეგნებული აქვთ და კარგად ხედავენ, რომ დღევანდელი საზოგადოება უფსკრულისაკენ მიისწრაფვის, და სცდილობენ ეს უფსკრული დაანახვონ და საფრთხე მოაშორონ.

აიღეთ ზოლა და მისი საშინელი მკვეთრი რომანები! რა არის მთელი მისი თხზულება, თუ არა სასტიკი ბრალმდებელი აქტი უკანასკნელის იმპერიის დროის ალორძინებულის საზოგადოების შესახებ. მან დაგვანახვა, რომ ყოველი ნაწილი ამ საზოგადოებისა ზნეობრივის გადაგვარების გზას ადგია. ძირს, მდაბიო ხალხი, გარყვნილია ზნეობა, გაფუჭებული და გაპირუტყვებული; შუაში, წვრილმანი ბურჟუაზია წვრილმანის სურვილებით და ინტერესებით მოუსვენარი, საბრალო და საზიზღარი უფერულობა და უნიჭობა (mediocrité); ზემოდ ბრწყინვალე არისტოკრატია და მბრწყინავი ბურჟუაზია, მინისტრები და კარის-კაცები ისეთსავე გარყვნილების მორევში სცურაობენ, როგორც ძირს, მხოლოდ ის უფრო ბრწყინავს ესთეტიური თვალთათვის; და უფრო საამო სანახავია, უფრო მიმზიდველია, მიმტაცია და მით უფრო დამღუპველი, სიცოცხლის მომსპობელი.

გადაათვალიერეთ ფლობერი და ნახავთ, რომ ყოველი მისი ნაწარმოები აღსავსეა ეხლანდელის „ბურჟუას“ ზიზღით. ბურჟუაზიულის ვიწრო გონებითა და გრძნობებით აღშფოთებული მწერალი ღრმა მიზანტროპიას ეძლევა და მთელი კაცობრიობა უგუნურად და ჩერჩეტობით სავსედ მიაჩნია, ცხოველებად — „აყროლებულ, გულისამრევ, დამპალ სულდგმულად“.

გადაიკითხეთ მოპასანი და ნახავთ, თუ დღევანდელი ბურჟუაზიულის ცხოვრების საზიზღრობა სადამდის მისულა! მისი რომანები და მოთხრობები დღევანდელის ადამიანის მოწამლულის სულის ამბავია. გადაათვალიერეთ მისი Bel ami და ნახავთ, რა საშინელი სურათია დახატული ეხლანდელის გარყვნილისა და გაპირუტყვებულის საზოგადოებისა! იქ ნახავთ, რომ ამ გამ-

ხვეცებას ტაძრს უკრავს და გალობით აქებს იმ სარწმუნოების წარმომადგენელსაც ჟამი, რომელიც სწორედ ამგვარსავე თავგანწირუ-ნელების დროში დაიბადა და რომლის მთავარი აზრი — ზნეობრ-ივი გარყვნილებასთან და სულის დაცემასთან ბრძოლაა; იქ ნახავთ, რომ ეხლანდელი წარმომადგენელი იმავე დიდის სარწმუნოებისა სადღეისოდ უკმევს მასვე, რასაც უწინ ღმერთს ამავე სარწმუნოებამ.

წაიკითხეთ ზოლას რომანები, თუ გინდათ ნახოთ უცნა-ური სურათი გარყვნილებისა, გონებისა და გრძნობის დაცემისა უმაღლეს საზოგადოებაში, ეგრეთ წოდებულ ბომონდში, და ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა წრეში. ამ საზოგადოებაში ის ქა-ლი პატიოსნად არის მიჩნეული, რომელსაც ქმარს გარდა ერთ-თის მეტი მიჯნური არა ჰყავს; ცრუ გრძნობებით აღჭურვილ ახალგაზრდას ერთი მიზანი აქვს, რაც შეიძლება, მეტი ქალი მოიხიბლოს და მით მეტი იყოს გამარჯვებული; მეგობრობა და სიყვარული მისთვის სასაცილო და გამოგონილი ამ ფუჭ ცხოვრების მისაღწევად.

წაიკითხეთ მთელი პრესის რომანები და ნახავთ, რას სჩადიან სამღვდელო და საზოგადოებრივ მოღვაწეები, რომელ-ნიც ყოველთვის უბიწოებისა და ზნეობისათვის ქადაგად სა-ღვთოდ იყვნენ მიჩნეულნი: ისინი ავრცელებენ სულიერ სიბნე-ლეს და ფულის — ამ ღმერთის — მსახურებას, ცინი-კურის თავმომწონებით სთელავენ ხალხის ფეხებით უკვე სავსე რაიც შეადგენს ეკლესიის სამკაულს. ჩვენ ამ მწერლო-ბას ყურადღებას ვაქცევდით, სწორედ იმიტომ, რომ დღევან-დელის გადაგვარებულის და ფუფუნებაში მყოფი მამაკაცის საზო-გადოების ბოროტ თვისებათა გამომაქვეყნებელია და ამ საზო-გადოების მიმართულების მხატვრის ჭეშმარიტი დამხატველი და შემაზიზ-ღებელი.

ერთ ხანად ევროპა ზნეობრივის დაცემის და დაქვეითე-ბისა, გარეგანის პროგრესის გრძნობები, თავს წამოყოფენ და ღაავიწყებენ ადამიანობას. ერთი ევროპა გადაგვარებისა, რო-მელს სწორედ შენიშნავენ ...ადამიანური

მისწრაფებანი, როცა შიმშილი ჰამქსა და სმის ძალა უძლური და უმოქმედოა, როცა სქესობრივი ინსტიქტები გამხეცების გზას დაადგებიან და იმ უკიდურესობამდის მიდიან, რომ ბუნებრივობასაც გვერდს უქცევენ. აი, ამ დროში ყოველივე წმინდა გრძნობა მივიწყებულია და მოძინებულია საზოგადოებაში. ამ ხანაში ყოველივე შეთვისებული გრძნობა მხოლოდ უწმაწური გრძნობების დასაკმაყოფილებელ იარაღად ხდება. ასეთი ეპოქა იყო ძველის რომისა და საბერძნეთის ისტორიულის ცხოვრების უკანასკნელი წლები. ამგვარ ხასიათს დღევანდელის ევროპის მდგომარეობაცა.

დღესაც იგივე ოქროს ხბო, იგივე წყეული ლითონი გახდა და ხალხის ღმერთად, რომელსაც რამდენიმე ათასის წლის წინად მოსემ შემუსრა. ფული დღევანდელის საზოგადოების თაყვანსაცემი არსება, მისი იდეალი, მისი სანუკვარი და ფულისათვის ის გაჰყიდის დედასა და შვილს, მეგობარსა და ძმას, გაჰყიდის სულს, ყოველსავე, ერთის სიტყვით. ამ ფულის მოპოების სურვილს ხშირად კრავს ერთი და ერთი ცხელი უმსხვერპლოდ გაათეთრებული ძიება ამ ყოველის შემძლებელის, ძლევამოსილის ... ყურმოჭრილი ყმობა აპირუტყვებს იმასაც, ვინც ამ ძიებისათვის სდებს სულსა და თავს და იმასაც, ვისაც ეს მაძიებელი ატყვევებს, რადგან აუცილებელი პირობა ფულის მოპოვებისა ერთიმეორისაგან არის ასისა და ორასის, ათასის და ათი ათასის ტყავის გაძრობა და სულის ამოღება.

... ერთმანეთისაგან ... საერთო იდეალების და მხოლოდ ბრმა ეგოისტური გრძნობების გაღმერთება ასულდგმულებს ამ საზოგადოებას, ასეთი დაყოფა ორ ჯგუფად, რომელთაგან ერთს მეორის სული და ხორცი ... ექსპლუატაციისათვის შეუქმნია, ხდება ... ყოველს ეროვნებაში, მაგრამ ... და ... თითქო ... ქვეყნების ... და ერთნაირად იქმნებიან, როცა ... ერის ტვინს წოვასა და ... ჰამაზე მიდგება ... რომელნიც ... ობიექტს

წარმოადგენენ მეორე ჯგუფს ერთს, მსგავსობის დამოუკიდებელ-ფილებელად, როგორსაც ერთი ნაწილი იმავე ერისა, მეორე ნაწილისათვის. რაღა ბრძმა უნდა, ჩვეულებრ გამხეცებულ და გაავთრებულ ბრძოლის დროს დაჩაგრულისათვის თვისი დაცვის საგანი სრულიად სამართლიანია და, თუ თავის დაცვის დროს ხანდახან პირუტყვულ იარაღსაც ხმარობენ, ვერც ამაში ვამტყუნებთ, რადგან „რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ“.

ეჭვი არ არის, ვისაც კი სწადიან იხსნას იგი საზოგადოება დაღუპვისაგან და ვისაც სურს გადაგვარების გზას მოაშოროს იგი, იბრძვის საზოგადოების ამგვარ წესწყობილების წინააღმდეგ, იბრძვის ღვთის დამამცირებლის წინააღმდეგ, გამტყუნებულებს ეომება და ესარჩლება გატყავებულებს, ესარჩლება და მხარს აძლევს, ვისაც ძალით დაავიწყებინეს ღვთაება და ადამიანობა.

ამგვარად მოქმედებს დღეს, ვინც კი დღევანდელი ცხოვრების არევ-დარევას გვისურათებს, ვინც მის ზნეობრივ გაკოტრებას საშინელის სინამდვილით გვიხატავს. ასე იქცევა იგიც, ვინც საზოგადოების ამგვარ გახრწნილების შემდგომ განახლების იდეალს უსახავს დაბრმავებულ კაცობრიობას. ასეთია ყველა შეგნებული და რიგიანი, ზნეობრივი ადამიანი, ქვეყნისა, სულ ერთია, რა პოლიტიკურ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს, რა ფილოსოფიურ დოქტრინასაც არ უნდა აღიარებდეს, დეისტია თუ ათეისტი, იდეალისტია თუ მატერიალისტი, სოციალ-დემოკრატია, თუ კლერიკალი. დღევანდელი ზნეობრივად სალი ადამიანი ერთ დიდ საქმეს ემსახურება — კაცობრიობას მის დაქვეითებისა და დაბეჩავებისაგან უხსნის და მის განახლებას, გარდაქმნას ცდილობს და ჰლამობს.

ამგვარად, ის პარტია, რომელიც დღეს სოციალისტურ პარტიად იწოდება, აღიარებს საუკეთესო იდეალურ პრინციპებს და ღირსეულ სრულიად თანასწორობისა და ძმობის მქადაგებელია. რა ნიადაგზედაც უნდა იდგეს დღევანდელი ევროპიელი, რა წერტილიდანაც უნდა მიდიოდეს, ბოლოს აუცილებლად

ძმავე მიზნისათვის მისწრაფვის, რომელიც იდეალად აქვს დასავლეთის ამ პარტიას, თუ ვიმეორებ, არ ეკუთვნის დაბრმავებულ გულდახლართულ საზოგადოებისას.

ეს ასეა ევროპაში და იქ ეს საგანი ყველაზე უფრო საყურადღებოა და უპირველესი. ევროპის საზოგადოებამ მიაღწია იმ განვითარებამდის, როცა თამამად შეუძლიან ქრისტეს მოძღვრების მაღალი პრინციპები განახორციელოს და მისი მოვალეობაა, რაც შეიძლება, მალე დაეწაფოს ამ უკვდავების წყაროს, რადგან ხსნა სხვაგან არსად არის.

ხოლო ის ერნი, რომელნიც ძალიან შორს ჩამორჩნენ ევროპას, მხოლოდ ერთს უნდა ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მალე მიაღწიონ ევროპის ერთა კულტურამდის, რაც შეიძლება მალე მოიპოვონ ისეთი ძალა, რომლითაც არ შეეძლებათ მხარში ამოუდგნენ თავიანთ ძმებს ევროპიელ ხალხს ამ დიდებულის იდეალის განსახორციელებლად, რომელიც დაუსახა იესომ კაცობრიობას და პირველად უქადაგა ხალხს იმგვარადვე დაავადმყოფებულს ზნეობრივად, როგორც დღევანდელი ევროპაა. იმ ხალხმა ამ იდეალს — „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ — ზურგი შეაქცია და კიდევაც დაჰღუპა.

ზემოდაც მოვიხსენიეთ, რომ ერთი უმთავრესი პოლიტიკური პარტია ევროპიელ სახელმწიფოთა (სოციალ-დემოკრატნი, ანუ, უფრო განსაზღვრულად რომ ვსთქვათ, სოციალისტნი-მარქსისტნი) სწორედ ეხლანდელ საზოგადოების უწესო-რიგობას ებრძვის და მის მოწყობ-რიგებას ესწრაფვის. ამ პარტიას ევროპაში „მუშათა დამცველ“ პარტიას უწოდებენ, და ამ შემთხვევაში უფრო შემოფარგლული სჩანს მათი მოქმედება. მას ძლიერი ნიადაგიცა აქვს დღევანდელ ეკონომიურ წეს-წყობილებაში, ხოლო ზნეობრივი საფუძველი მათი და ზნეობრივი შინაარსი მათის პრინციპებისა უფრო ფართოა. ეს პარტია ხდება ჩაგრულთა მოსარჩლედ, ვინც უნდა იყოს იგი, ჩაგრულის ბედის დაუძინებელ მტრად ყველასი, რომელიც თავისს ნიჭსა ხმარობს თავისს მოძმის საზარალოდ, რომელიც ხარ-

[illegible] შემთხვევით [illegible] მოძრაობა [illegible] სულიერ [illegible] ცხოვრების შინაარსად. ამ პარტიის [illegible] ქრისტიანულ[illegible] სიმართლისა, საცა [illegible] სიამოვნებით დასდევს პაპსა, საცა ყოველსავე ინტერესობით (აქ ბუნებრივ ინტერესობა გვაქვს [illegible]) [illegible] მხოლოდ [illegible] სასარგებლოდ. ამ [illegible] მხარეს [illegible] პარტიისას აქვს [illegible], რომელიც [illegible] პოლიტიკური, პარტია იგი უფრო [illegible] ყოველთვის ინტერესს ნაციონალურს [illegible] ეკონომიურის ერთობის დამყარებასა [illegible] სწამს, რომ მხოლოდ ამ ეკონომიურს ერთობაზედ შეიძლება [illegible] პოლიტიკური ერთობა, [illegible] პოლიტიკური პარტია, იგი [illegible] ინტერესი [illegible], [illegible] გერმანელ კათოლიკებს, [illegible] პროტესტანტებს, [illegible] საერთო ინტერესი აქვთ მხოლოდ მუშებსა და კაპიტალისტების წარმომადგენლებს [illegible] განურჩევლად [illegible] და [illegible] რას დასდევს [illegible] და საერთო ინტერესებს [illegible] კუთხე მშიერი აქვსო.

მაშასადამე, [illegible], კათოლიკე, პროტესტანტ, [illegible] მუშას აქვს [illegible] ერთნაირი საერთო, [illegible] კაპიტალისტებთან ბრძოლაში. კათოლიკეს კაპიტალისტს და მუშას საერთო ინტერესი არა აქვთო.

ამგვარად ეპყრობიან ნაციონალურ ინტერესსაც. [illegible] გერმანელ და ფრანგ, ინგლისელ და იტალიელ მუშებს აქვთ საერთო ინტერესი,—ამ ქვეყნებში [illegible] განსხვავებულ[illegible]. ინგლისელ მუშის მტერი ინგლისელი კაპიტალისტია, ისე როგორც გერმანელი და იტალიელი კაპიტალისტი; [illegible] მოყვარე ამ ქვეყნების მუშაკი [illegible] მტერი (კაპიტალისტ[illegible] წარმომადგენელი) სწორედ [illegible] [illegible], [illegible], თვით

არსებობისა. ეს ბურჟუა-კაპიტალისტური მოვლინებაა, [illegible]ინებაა, მუშათა [illegible] აუცილებელი. აქ [illegible] ქართველი [illegible] მუშათა [illegible] ბურჟუაზია ხელს უწყობს [illegible] საერთო. ეს უკიდურესი მიმართულება [illegible] [illegible]ლიც უარს ეუბნება [illegible] და ნაციონალურ ელემენტს, [illegible] წარმავალს და უსაფუძვლოს, მარტო და მხოლოდ [illegible] სოციალ-დემოკრატიას გამოგონილი. ეს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] თავს არც ინგლისელებს არც გერმანელებს და არც ფრანგებს, რომელთაც მაგალითად ჩეხებს.

## VIII

ჩვენში ალიაცენებულმა „ფეხმარდმა“ დასმა, „მესამედ“ წოდებულმა, მოძღვრად მარქსი და მისი მოწაფეები დაისახეს, მათ პოლიტიკურს და ფილოსოფიურს პრინციპებს აღიარებს. ეს ყოველთვის სახეში უნდა გვქონდეს და იქიდამ უნდა ვიღებდით მსჯელობა გავიგოთ, რა ჯურისაა ეს „დასი“. სრულიად ტყუილი თავის მოტყუილება იქნებოდა იმის დამტკიცების ცდა, რომ „მესამე“ დასი არ არსებობს და ამისათვისაც სრულიად გამოუდეგარია ამაზედ ლაპარაკი.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენში იგი მეტად აღრეულია და უადგილო: ჩვენში არ არსებობს, არც ის აუარებელი ბრბო ქალაქის მუშათა, რომელიც ევროპაში ადგენს მტკიცე ნიადაგს ამ პოლიტიკურს პარტიას და, გარდა ამისა, ჩვენს ერს აქვს ბევრად უფრო უახლოებელესი საგნები თავისის ვინაობისა და არსებობის დაცვისა, რომლის მიღწევის შემდეგ შეიძლება მხოლოდ ზნეობის იდეალის ცასახვა; მანამდის კი ამ აზრს არ ექნება საფუძველი და მოკლებული იქნება სიცოცხლეს. ყინამდვილე და ამ სინამდვილის კანონიერობა ამას ძალაუნებურად აგრძნობინებს თვით მეთაურს „მესამე დასისას“ ნ. ჟორდანიას, რომელიც არაერთხელ გზას ასცდება წერილში, როგორც კი საქმე მიდგება ჩვენის ერის სიცოცხლის დაცვაზედ.

„...ეროვნული და სოციალური კითხვა", ამბობს ბ. ჟორდანია, „აი ის ორი ფეხი, რომელზედაც შედგა ცხოვრება და საშინელი სისწრაფით წინ მიექანება..." ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სარჩული ეკონომიური წარმატებაა, რამაც დაბადა ეროვნული გაერთიანება და სოციალური დანაწილება.

„საქართველო ერთი, განუყოფელი; საქართველო ორი, სიმდიდრ-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი. **თუ შინაურ კითხვაზე ვერთდებით, მეორეზე ვიყოფით; თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად ვდგევართ"** (კურსივი ჩვენია) ეს არის არსებითი თვისება უმაღლესი განვითარების, (კვალი № 11. 1895 წ.) ხოლო სოციალ-დემოკრატთა მოძრაობას ასე ახასიათებს: ის შედგებაო „ორი ნაწილისაგან: ისტორიულ-ფილოსოფიური და პოლიტიკურ ეკონომიური. პირველი შეიცავს თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას, მეორე კი თანამედროვე წყობილების შეგნებას, კრიტიკას და ამის თანახმად ბრძოლას... მეორე იკვლევს სპეციალურად კაპიტალისტურ წყობილებას და გამოჰყავს ის დასკვნა, რომ ეს წყობილება უნდა დაინგრეს. მისი უმაღლესი განვითარება მისივე სამარეა. ჩვენი წარსულის და აწმყო მდგომარეობის გასაგებად ვხელმძღვანელობთ ეკონომიური მატერიალიზმით, ხოლო რამდენად ვითარდება კაპიტალისტური წყობილება, იმდენად მეორესაც ხელს ვკიდებთ ერის დაჩაგრული ნაწილის გასაცნობიერებლად ახალი მოვლენის წინაშე (გვ. 95, № 12).

თუ კაპიტალისტური წყობილების დაანგრევაა იდეალი იმ პარტიისა, რომლის პროზელიტობას იჩემებს ბ. ჟორდანია და მისი „დასი", მაშინ რაღა მოსატანი იყო ის ფრაზა: „თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად ვდგევართ". კაპიტალისტური წყობილების დასანგრევად გამზადებულ პარტიას ევროპისას შინაური და გარეული მტერი მხოლოდ ერთი ჰყავს—ბურჟუაზ-კაპიტალისტი. მაგრამ ზედმეტია ამის მოგონება; ჩვენი ცხოვრების ვითარება, ევროპიელ სოციალ-დემოკრატიისათვის ნიადაგს ვერ პოულობს და ან ისევ ეროვნულ მოძრაობად უნდა გარდაიქმნეს და ან ისე დაბნეული იყოს, როგორც ჯერ ის არის ჩვენში.

ბ. ჟორდანიამ ერთ სტატიაში ტეზისები წარმოადგინა, მაგრამ ამ ტეზისებს დიდი ახსნა და გარკვევა სჭირია, და თუ კიდევ იქნა არ მოგვეხმარება, როცა ვსწერთ ევროპის სხვა-და-სხვა პარტიების შესახებ, ვერას გავიგებთ.

VIII ტეზისით ბ. ჟორდანია ამბობს: „გაევროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზედ, ქართულ კულტურაზედ. სამშობლოდ უცხოდ თუ საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა — აი რა სწერია ახალ დროშაზედ. ამის აღმოკვეთა და შეერთება შეგნებაში გადატანა — ჩვენი დროის ისტორიული მოთხოვნაა“.

თუ ევროპიელ პარტიებთან შედარებით ავხსნით ამ ტეზისს, მაშინ აი რა გამოდის: კაპიტალისტური წყობილების დამკვიდრებით ქართველი ევროპიელდება, კარგი და პატიოსანი. მაშ ამ შემთხვევაში ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც ევროპაში იქცევიან კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგნი.

ბ. ჟორდანიაც სწორედ [illegible] ადგილს, როგორც მისი წერილებიდან სჩანს. „ეროვნული ბრძოლა არ არის კლასთა ბრძოლის გარეშე. წინსვლის დიდი მგრძნობი აქ არის დამარცხვლი ბურჟუაზია: უარჰყოფს პატრიარქალურს, ფეოდალურს ურთიერთობას და ამყარებს ბურჟუაზიულს; მუშათა კლასი უარჰყოფს ბურჟუაზიულს და ამყარებს კოლლექტიურს. საქართველოში ერთსა და იმავე დროს ვხედავთ ორგვარ კლასიურ განხეთქილებას: წინააღმდეგობა ბურჟუაზიას და თავად-აზნაურთა შორის და წინააღმდეგობა თვითონ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის (ის კი დაგვავიწყდა, რომ 1895 წელში „კვალის“ 12 №-ში ვლაპარაკობდით ერისა და [illegible] შესახებ, [illegible] წუღებისა). პირველი მიზნის მისაღწევად (თავად-აზნაურობის წინააღმდეგ) ბურჟუაზიას ეხმარება მთელი ხალხი,ვინაიდან მთელი ერის ინტერესია განთავისუფლდეს შებერებული წყობილებისაგან (ესე იგი ფეოდალურის წყობილებისაგან); ხოლო ბურჟუა-კაპიტალისტთა და მუშათა შორისაც ხომ [illegible] ბრძოლაა ატეხილი, მათ შორის ღრმა [illegible], თუ პირველი [illegible], [illegible] და [illegible]

ზუსტად განათლებული შეიძლება უნდა გამოიყენოს ერთობით, თანხმობით და მუშური შეგნებით. აქ საძირკველი შრომის კაპიტალი არ არის. ელექტრონ შერიგების ჟამს მოიხერხებს, სანამ ისინი სხვა-და-სხვა პირს ეკუთვნიან". [illegible]

იგულისხმის: ყოველ ერში კერძოდ კლასთა შორის „სასტიკი ბრძოლაა", მათი შეთანხმება შეუძლებელია და მხოლოდ ინდივიდუალისტური წესის დამყარებამ [illegible], ახალი კოლექტიური წესი, რასაკვირველია, [illegible] რომელიმე ერთი ერში ვერ დამყარდება, ჩვენ [illegible] შინ რაღა აზრი აქვს ესეთს სიტყვებს მოციქულის, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც ერთიანი პოლიტიკის მიმდევარი [illegible]

„ისტორიის ჩარხი" [illegible] მიმდინარეობას [illegible] მსგავსი [illegible] და გარეგანი [illegible] ბრძოლა [illegible] რაც უნდა ძლიერი იყოს, აქვს [illegible] მხედარი, მაგრამ მებრძოლნი ერთად [illegible] კულტურული ისტორიულ ცოდნის [illegible] სწორედ, [illegible] ძალა. ამ [illegible] საერთო [illegible], [illegible] ერია, ამას შინაგანი [illegible]... მაშასადამე, [illegible] შეიძლება [illegible] ერის საერთო და განვითარების [illegible] ასეთი გზანი ისტორიისა [illegible] თავის [illegible] და [illegible] ამ [illegible] რომელიც [illegible] შეუძლია (ტკვალი № 96 წ. 203—204).

მაგრამ [illegible] რომ [illegible] იმ აზრისა არის, რომ [illegible] დაცვა შეადგენს [illegible] საქართველოს [illegible] ყველა [illegible] ჩვენი [illegible] წლების [illegible] და ჰგავს [illegible] იგი.

[illegible] ჩვენს [illegible] ინდივიდუალისტური [illegible] იდგამს [illegible] დება [illegible] პირუტყვული [illegible],

რომლის წინააღმდეგ უნდა ამხედრდეს ყველა ზნეობრივად სალი ადამიანი, ჩვენ ამაზედაც დავეთანხმებით. მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ ეს ამხედრება იქნება ხმაღმოუღებელი, უდაბნოსა შინა [illegible] გვექნება [illegible] ზნეობისა და თავისუფლების [illegible] საზოგადოება ზნეობრივ ძალებს ერის შეგნებულ ნაწილზედ მოქმედობს [illegible] მისთვის, რომ ჩვენ შეგვიძლიათ [illegible] ევროპიელ [illegible] ამ [illegible] [illegible] პირველი [illegible] [illegible], მართალია [illegible] [illegible] ეროვნული პრინციპი" მესამოცე წლების მოღვაწეებსაც ჰქონდა ჩვენში უფრო [illegible] გაგებით, ვიდრე ბ. ჟორდანიას ჰგონია. მათის აზრით „ეროვნული პრინციპი ჩვენ გვინდა [illegible] ეროვნული პრინციპი [illegible], მაგალითად, ზოგიერთებს [illegible] [illegible] და არა ცხოვრებისათვის [illegible] „ეროვნული პრინციპის" საფუძვლად უდევს მთელის ერის [illegible] განვითარება [illegible] ამით ჩვენს ერსაც შეეძლო თავისი [illegible] შეეტანა [illegible] საერთო კულტურაში" („ივერია" № 69 1895 წ.).

[illegible] ესმოდა იგიც მართალია, რომ [illegible] კლასთა ბრძოლამ უნდა [illegible] ამას [illegible] ბ. ჟორდანია [illegible] „პირველი (კლასიური ბრძოლა)" [illegible] უნდა [illegible] [illegible] მებრძოლნი [illegible] [illegible] უღელში ებმიან". („კვალი" 1896 წ. გვ. 202). მაგრამ მაშინ, როცა უპირველესს [illegible] ეროვნობის დაცვა [illegible] (კლასთა ბრძოლა), ყოველი ერის [illegible] — [illegible] ხასიათი [illegible]. მართალია, თუ ერს არა ჰყავს [illegible], რომელთაც შეუძლიათ [illegible] ამ [illegible] თუ [illegible] იმისთვის [illegible], რომ თვით მთელს ერს დაჰკარგვია ზნეობრივი საზრ[illegible] ეს [illegible] მაშინ ერი [illegible].

[illegible] მესამოცე წლების [illegible] ჩვენი [illegible] წლების ახალგაზრდობა [illegible] ენას [illegible], ერის [illegible]-

და და თანაც შინაურ სოციალურ უსამართლობას — მტრო-ყმობას ებრძოდა. ეხლაც ეს სენი მოისპო, ბურჟუაზიულმა კაპიტალისტური წყობილება იდგამს ფესვს — ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ. ამ ბრძოლას კი საფუძვლად უდევს უფრო მეცნიერულ-პოლიტიკური და ზნეობრივი მხარე, ვიდრე ბ. ჟორდანიას ჰგონია. ეს კლასი, ანუ ეს ნაწილი დღევანდელი საზოგადოებისა, მტერია ყოველსავე ამამაღლებელის იდეალისა, მტერია ყოველივესი, რაიცა ანგარიშს და არშინის ფასს სცილდება; თუ რასმე სჩადის კეთილს, ეს მისდა უნებურად, შეუგნებლად. გონიერი და ზნეობრივი წევრი საზოგადოებისა ებრძვის მათს გულგრილობას უმაღლესი საერო და საზოგადოებრივ კითხვების შესახებ.

ამ სახით, მესამოცე წლების თაობის (ი. ჭავჭავაძის მეთაურობით) მოღვაწეობა ერის დაცვის შესახებ უნდა განაგრძოს ამ შემთხვევაში დღევანდელმა მოწინავე დასმა, რომელსაც კი სურს სამშობლოს კეთილდღეობა, მისი მემკვიდრეობა უნდა წმინდად იცავდეს. ხოლო თუ მესამოცე წლების თაობისაგან ზოგი ერთნი ბურჟუაზიული ტენდენციის მოსარჩლე შეიქმნა, ანა და არისტოკრატიული ფეოდალური ინსტიტუტების დამცველი, ეს მთელს თაობას არ მიეწერება და მთელი თაობის პრინციპებს ვერ შეჰბღალავს. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სოციალურ ზნეობრივობას ზურგი შეაქციესდა უზნეობის მოსარჩლენი გახდნენ და არა იმას, რომ საერო ინტერესთა ქომაგობა ესმოდათ თუ არა ესმით.

„მესამოცელებმა ეს უნდა ნათლად და კარგად გაუცხადოს, რომ მარქსისტიანიზმი ყოველთვის, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაშიც ან უნდა კლასობრიობა, რომ ახალი დასის დროშას შეადგენს. თუ ერის დაცვა დემოკრატიისა „თავისით" დროშაზე დააწერეს, მაშინ მარქსისტები მათზე უწინ განიჩინებიან თავის ცხოვრებაში".

ვიმეორებ, ამ წერილის საგნისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად სავსებით გარკვეული აქვსთ ღრმად შეგნებული ახალ დასს თავის პროგრამაში საერო და მხოლოდ ვი-

ცოდეთ, რომ წინდახედულ სიცოცხლით და რწმენით აღსავსე არის და ყველა ამის გამო დღეს ჩვენში დაიჭირა ადგილი ერთად-ერთი მომქმედი ფაობისა: წერით თუ კითხვით, ქადაგებით თუ ოცნებების დასტამბვით, იმათ მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება. საზოგადოებას ყოველთვის აქვს ფარული ლტოლვილება იდეალისაკენ და ამიტომ ხარბად დაეწაფნენ პირველსავე მეწვრილმანეებს ამგვარი წყურვილის დასაკმაყოფილებლად.

მათი ძალა კიდევ მასშია, რომ პრინციპი, რომლის აღმსარებლად თავს ხდიან, მეტად ზნეობრივი და კანონიერი (გარდა ზოგიერთი უკიდურესი აზრებისა ეროვნობის შესახებ), ერთად-ერთი მისი წინააღმდეგი ის არის, რომ ჩვენში ჯერ უნიადაგოა და უდროოა, იგი უფრო მაღალი საზოგადოების სანუკვარი საგანია. ამიტომაც არის, რომ ისეთ მკაცრს წინააღმდეგობას ვერ პოულობს მათი პრინციპი. ხოლო, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, თვით ცხოვრება დაუნდობლად ძალი ფერს უცვლის მათ პროგრამას და თვისდა შეუმჩნევლად პრაქტიკულად იმავე პრინციპის დამცველებიც ხდებიან, რომლის მიმდევარნიც ებრძვიან თეორიაში.

IX

ამ ჯგუფის პუბლიცისტად ნ. ჟორდანია უნდა ჩაითვალოს, რადგან ყოველივე მოსაზრებას და აზროვნებას მთელის „მესამე დასისას" მასში აქვს დასასრული და დასაბამი; ხოლო მათ წარმომადგენლად ბელეტრისტად ბ. ნინოშვილი უნდა აღვიარიოთ. ამიტომ კი არა, რომ მართლა „მესამე დასის" პროგრამის გამომხატველი იყოს სიტყვა-კაზმულს მწერლობაში; არამედ მარტო და მხოლოდ იმ თვისებების გამო, რომელნიც ახასიათებს ამ ჯგუფს. როგორც ამ ჯგუფის თაობა განირჩევა პირველისაგან მხნეობით, პროგრამის გარკვეულობით, რწმენით თავისი საქმისა და ფანატიკურის ენერგიით, ისე ბ. ნინოშვილი განირჩევა პირველ კატეგორიის მწერლთაგან იმით, რომ აქვს

გარკვეული ზნეობრივი სიმაღლე ყოველთვის მისთვის აღწერილ მოვლენის შესაბამისი.

მართალია, მკითხველისათვის მწერლის [illegible] ბუნე-ნი შვილიც ბუნებისა („პოლიასტომის ცოლი“) და ცხოვრების უწყალობებისა და უსამართლობის მომჩივანია თავის მოთხრობებში („ნამიჯნური“, „ქრისტინე“, „პარტახი“, „განკარგულება“, „გოგია უიშვილი“). მაგრამ ჩვენ უნდა შევნიშნოთ მწერლის პესიმიზმის მონად არა ხდება, იმიტომ რომ სწამს ზნეობრივი ფაქტორი ცხოვრებისა, სწამს ნათელი დასასრული საზოგადოები-სათვის („ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „[illegible]“, [illegible]) ცხოვრების სხვადასხვა [illegible] („უცნაური სენი“, „ქრისტინე“). ეხლანდელობისაგან გულმოწყლულ მწერალს ისევ თის საშინელი სურათები [illegible] პესიმიზმი აღსავსე მოთხრობები დაუწერია, როგორიც „პოლიასტომის ცოლი“, „გოგია უიშვილი“ და ეს მოთხრობები [illegible] მის ნაწერთა შორის. [illegible] შეხედულებითა ცხოვრებაზედ [illegible] ლურს პრინციპზედ აგებული — აი ძალა ბ. ნინოშვილისა. ამ ცხოვრებისა, რომელიც [illegible] სურათებსაც გვაძლევს თავის თხზულებაში, შეგნება თვალსაჩინო მიზეზთა, რომელსაც შეუქმნია ცხოვრების უმსგავსოება — ეს შეადგენს მისს უეჭველ ღირსებას. მოკლებული ხელოვნებითი ნიჭს — იგი ვერ დაიჩემებს ვერც პეიზაჟისტობას, ვერც მკაფიოდ გამოქანდაკებულ ტიპებს შექმნას, ვერც ფსიხოლოგიურ [illegible] ფოტოგრაფია, [illegible] აპპარატი, რომელიც აღბეჭდავს ცხოვრების მოვლენას [illegible] და უნახავს [illegible] რულად შეფერადებული მოვლენისა [illegible] სწორულობს, მაგრამ ზნეობრივი მსჯავრს ყოველთვის სდებს ამას, თუ რომ [illegible] მოვლენას. ყოველთვის [illegible] მხარე [illegible] სურათებში [illegible] ში [illegible] მოვლენის წარმომშობი მთავარი მიზეზები [illegible]; [illegible] ცხოვრების [illegible] „გოგია უიშვილების“ [illegible] „მწერლების“ [illegible] ერებისაგან [illegible] რომელთაც მთლად [illegible] შესცვალეს ქართველის [illegible] ცხოვრების [illegible]

მიაჩნიათ ორიგინალ ნაწარმოებად, რომელნიც უც-
ხოეთიდან ქართულის ნიადაგზედ იქმნა გადმოტანილი („გოგია უიშვილი", „სიმონა", „განკარგულება" და სხვანი). ეს დამტკიცება ცხოვრების მოვლენისა ზნეობრივის მხრით, ეს ზნეობრივობა ძალებს [illegible] ნიჭიერ მწერლის მოთხრობებს მნიშვნელობას და ხშირად გვავიწყებინებს, რომ [illegible] მხრით ერთობ სუსტია, მაგრამ [illegible] ლოგიკურს თანდათანობაში, ამ სუსტად გატარებულ [illegible] თავისებური ხელოვნება, თავისებური სიმშვენიერე განა აქ არ არის?

ამგვარია მეორე ჯგუფი და მისი წარმომადგენლები, როგორც გინდათ ბრძანეთ, იგი მოქმედებს, მოძრაობს, სცოცხლობს; ლიტერატურის [illegible] განხორციელებას ცდილობს და ესეც იმ დროს, როდესაც საზოგადოებაში ჩამქრალია ყოველივე იდეალური მისწრაფებები და მხოლოდ [illegible] პირადი [illegible] [illegible] [illegible], საზოგადოების [illegible] სხვადასხვა [illegible] არიან. ამას [illegible] მათი მოღვაწეობა ქართულის ნიადაგზედ [illegible] ([illegible], [illegible], [illegible] და [illegible]) [illegible] სამსახურში, მხოლოდ [illegible] წინააღმდეგი. ყველა [illegible] არიან. [illegible] [illegible] ცხოვრე-
ბის [illegible] უნდა მივაწეროთ ის, რომ ჩვენში [illegible] აზრს [illegible]; ამათი შედეგია ის, რომ [illegible] ფანატიზმით ავსილნი არიან და საზოგადოების პატივსაცემ უმრავლესობაში სიმპატიას ვერ პოულობენ. მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, ამ ფანატიკოსობაშია მათი ძალა. ამ ფანატიკოსობის წყალობით მრავალი მომხრე-
ბი მიიზიდეს [illegible] და [illegible] ცდით. ბ. გიორგი წე-
რეთელიც (რომელიც ყოველთვის გარკვეულს გზას ადგა თავის მწერლობაში) [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და მისი ჟურნალიც მათ დაუსაკუთრა.

ბოლოს, რა მიმართულებას უნდა მისდევდეს ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა, რომელსაც ეკუთვნის საზოგადოების მეთაურობა, მისი წინამძღოლობა?

მე მგონია, ზემო-მოყვანილი ფაქტებით სრულიად საკმაო მასალას გამოვარკვიოთ, რა გზას უნდა დაადგეს საზოგადოების სამსახურის მოსურნე ახალგაზრდობა. შ. ფხაკაძე და ბ. ჟორდანიასთან იგი აღიარებს, რომ „ჩვენი ცხოვრება წარმოების გზას დაადგა და სრულიად ახალი მიმდინარეობა მიიღო, ქართველობა ახალ ვითარებას ჩაერია", რომ საქართველოში მყარდება კაპიტალისტური, ბურჟუაზიული წყობილება, წყობილება, რომლის საზიზღარ თვისებების განმტკიცებას შეუძლია დღევანდელი საზოგადოების ზნეობით დაცემა, წყობილება, რომელიც ამ ზნეობრივ გათახსირებას მხარს აძლევს. მთელი ევროპის ხალხნი ზნეობრივად დამახინჯებულ რასმე წარმოადგენენ. კაცობრიობის ზნეობრივ განახლებისა და გარდაბადებისთვის უნდა და ცდილობდეს შეერთებული ძალა ერთა, მაგრამ ეს შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა ყოველ ერს შეეძლება მეორეს ძმურად ხელი გაუშვიროს, გახრწნილების მოსასპობად ატეხილ ბრძოლაში მხარი მისცეს. რაიცა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შესწყდება „ერთა ბრძოლა". სანამ იქნება „ერთა ბრძოლა", სანამ ერნი ერთმანეთს ტვინსა სწოვენ, მანამდის კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ შეერთებული ერთა ბრძოლა შეუძლებელია. ბ. ჟორდანიაც ხომ ამას ბრძანებს: „რაც უნდა ძლიერი იყოს ბრძოლა კლასთა შორის, აქვს ესეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთად დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმიან. აქ არის საერთო ფარგალი, ამას გარედ სხვა ერია..."

მაშ მართალია ბ. ლალი, როცა ამბობს, „ეროვნული პრინციპი" გვინდა მისთვის, რომ ამით „ჩვენს ერსაც შეეძლოს თავის მხრივ შეიტანოს წვლილი კაცობრიობის საერთო კულტურაში". და თუ ეს ასეა, მესამოცე წლების მოღვაწეობა „ენის დაცვის" შესახებ დღესაც შეუფერხებელია და საფუძვლიანი, დღესაც უპირველეს საგანს შეადგენს ერთა-შორისათ.

კ. ნიშნიაძე

## მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის მაზრაში

და

## მისი საქმეები.

### I

### რამ გამოიწვია დაარსება «მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა»

„შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე“
წინასწარმეტყველი დავით.

ხშირად შევხვდებით ჩვენს გაზეთებში ახალ დაარსებულ ამხანაგობათა უსაბუთო ქება-დიდებას ანუ ასეთსავე ლანძღვა-გინებას. ორსავე შემთხვევაში შენიშვნების ავტორები ჩატაცებულნი არიან ყველაზე ნაკლებად საზოგადო ინტერესებით. საიდან გამოდის ის მარილი, რომელიც ამოძრავებს მათ ამ შემთხვევაში, რედაქციები ხშირად ვერ ამჩნევენ. ეს ძლიერ სამწუხაროა, რადგან მკითხველი ვერ ადგენს შეუმცდარ აზრს ამა თუ იმ საზოგადო დაწესებულებაზედ და მოტყუებული რჩება. მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობაც ვერ ასცდა ამ დაბრკოლებას, რომელიც, თუმცა მისთვის საშიში არას წარმოადგენს, მაგრამ მაინც დაბრკოლებაა და არა დახმარება, როგორც ჰგონიათ მათის შემთხზველებს; ამათი მოქმედება უზნეო კრიტიკანობაა და არა კრიტიკა.

ერთმა ასეთმა კრიტიკანმა გაილაშქრა ჩვენს ამხანაგობაზე პატივცემული «კვალის» 23, 24, 26 და 27 ნომრებში. მაგრამ, სანამ მისს «ნაწარმოებს» გავარჩევდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მივიხედოთ ამხანაგობის წარსულისაკენ და გავიხსენოთ ის პირობანი, რომელთაც გამოიწვიეს მისი დაარსება.

მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა დაარსდა 1895 წლის დამდეგს. ის უეცრად ციდან არ ჩამოვარდნილა, როგორც მზა-მზარეული მანანა. იგი მოითხოვა ცხოვრებამ, გამოიწვია საჭიროებამ, შეამზადა და განახორციელა რამდენიმე წელიწადმა ბევრი პირის შემწეობით. მით უფრო საიმედო არის მერმისი ამ ამხანაგობისა, მით უფრო მკვიდრია ეხლა საძირკველი, რადგან ის არ არის არც ნაყოფი უგნური წასედულობისა, არც მოკლესილისა, ასე ვთქვათ—ზევიდან, როგორც შეგნებული საზოგადოების მხრით შველის ხელის გაწვდენა ბნელ და უმწეო სოფლისაკენ. არა, თითონ სოფელმა შეიგნო საჭიროება ამ გვარი დაწესებულებისა. ამხანაგობის დამაარსებელთაგანმა, პირველ დღეს რომ ნოტარიუსთან შეიკრიბნენ, ნახევარმა წერაც არ იცოდა; სანამ ამხანაგობა დაარსდებოდა, როცა ჯერ კიდევ ეს წესდება ქაღალდზე არ იყო გადატანილი, სოფლის მეაბრეშუმეებს საწყერო ფული უკვე შეტანილი ჰქონდათ ჯუხ-ჯუხით ჯერ ისევ არ-შემდგარ ამხანაგობაში. იმის შესახებ, თუ რამ აიძულა მეაბრეშუმეები, რომ ასე მოქცეულიყვნენ, ამბავი თვის წინედ ჩვენ ვწერდით შემდეგს (ნახეთ «Кав. Сел. Хоз.» № 163). «წინანდელი პირობები აბრეშუმის მოწევისა და გასაღებისა დიდიხანია შეიცვალა. წინეთ ჩვეულებური მეაბრეშუმე თვითონვე იყო მეთესლე. ჭიის სხვა-და-სხვა სენის გავრცელების დრომდე მეაბრეშუმეს სახლში დამზადებული თესლი დიდ-ძალ მოსავლის იძლეოდა, ხოლო ჩვეულებურ მამა-პაპურ «სამუქელზე» ამოღებული აბრეშუმი დაუბრკოლებლივ სიღდებოდა ოსმალეთში და აქაც, ჩვეულებური მქსოველებზე. აქაურ აბრეშუმისაგან ქსოვდნენ დარაიებს, ფანაოზებს, სალამურებს და ბევრ სხვა აბრეშუმის ქსოვილებს, რომლებიც დღეს ჩვენში თითქმის დავიწყებულია. ახლა მოსკოვის აბრეშუმის საქსოვი ქარხნების წყალობით, რომელნიც ესენი ქსოვის ქსოვილების გაუმჯობესობით: თავისით—ნახევარზე მეტი—ბამბას აბრეშუმად გაასაღებინებენ. მაგრამ ჩვენს მეაბრეშუმეობას უმეტესი უფრო უვნო ევროპიის აბრეშუმის ძაფის ამოღების ქარხნულმა გაუმჯობესობამ (ფილატურამ). მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ კავკასიაში, ევროპის მიბაძვით, გახსნეს აბრეშუმის ამოსაღები ქარხნები, ჩვეულებურ ამოღებულ ძაფს თითქმის დაეკარგა და საშინელ ფასი დაეცა შემცირდა. ეს საქმ

შეუფერხებლად არ გაუშვეს, ჩასაგვიანებლად, ჩარჩენებმა, უფროსებს დრო- ჩვენს მეაბრეშუმეებს და მუქთად ჩაიგდეს ხელში ამათი წლის მოსავალი. აბა კი რა ექმნა მეაბრეშუმეს? ამოუღელი მჭედლებურად — ამ ძაფს თვისით არ ჰქონდა, და რომ პარკში ჭია დაეხოცა, მერმე პარკი გაეხმო და შემხვედრებინა გაეყიდნა, სანამ მყიდველი რიგიან ფასს მისცემდა, — ეს მისთვის შეუძლებელი იყო. აი სწორედ ამ დროს იღონეს მეაბრეშუმეებმა და შეადგინეს ამხანაგობა იმ მიზნით, რომ თავიანთი ნაწარმოები რიგიან ფასად გაეყიდნათ და თითონ წარმოება გაეუმჯობესებინათ.

როგორც ხედავთ, მკითხველო, აქ ჩვენგან აღძრულის აზ- მიზეზები, რომლებიც — ასე ფიქრობთ — დაბადეს ამხანაგობა. აბა ახლა ყური დაუგდოთ, რას გვიქადაგებს ზემოთ ხსენებული კრიტიკოსი ბ. ი—ბ კ—მე ამავე საგანზე: „დედაკაცები მიდიან, საწყალს იყიდიან ბუზღუნავენ, თესლს, თესლიდან ჭიას, ჭიას თუთის ფოთლებით ჰკვებავენ, ჭია აბრეშუმს აკეთებს, პარკიდან ძაფს ამოიღებენ, დაართავენ და მკვლებური დაზგით — ხავერდულის საშუალებით დართავენ და აბრეშუმის ქსოვილებს (ჩამოდის ქსოვილი არ ყოფილა?!) აკე- თებენ. დარაიას იყიდება 50, 60, 70, 80, 100, 120 კაპეიკად არშინი, რადგან ამ ფასად გაქვსთ, ხოლო კიდ ნაწილი აბრეშუმის მოსავლისა ფაბრიკის და სამკეირო 10, 15, 20 კაპეიკად რბარმ მიტყვენ ჩითს ყიდულობს. ამაზე გადაჰხარხარებთ ზოგიერთს? ჯი სხვა საჭიროებას აუმაყოფილებენ: სახელმწიფო გადასახადები, სკოლა — მასწავლებლის, მღვდლის დრამა, სანთელი (!) და სხვა.» როცა აქ აგვიხსნა ავტორმა, თუ საიდან ჩნდება ჭია და რასა ჭამს, რას აკეთებს და სხვა და სხვა, ბოლოს დასძენს: „მკითხველს რომ წარმოდგენა ჰქონოდა ჩვენი ხალხის ამ დარგის წარმოების შესახებ, ამისთვის საჭიროთ დავინახეთ, ეს მოკლე (!) სურათი (?) მიგვეცა მისთვის. ამით მოკლედ ვთქვით, რომ აბრეშუმის კეთება — მოყვანა ჩვენში იმდენად იმდენადაა...» («კვალი» № 23).

რა უნდა ვიფიქროთ ავტორზე ამის შემდეგ? ნუ თუ ის ვერ წრფელად გველაპარაკება და მართლა არ იცის, რომ დიდი- ხანია ჩვენში აბრეშუმი პარკად იყიდება და არა ქსოვილებად? ნუ თუ ავტორმა არ იცის კარგად, რომ ჩვენში მეაბრეშუმეებს, სხვა-

გნიდან მოტანილ თესლს ხმარობენ და არა შინ მომზადებულს?! თუ ეს ყველა ავტორს შეტყობილი აქვს, რისთვის მოუნდომებია (თუმცა ამაოდ, რადგან იმედია ამას არვინ დაუჯერებს) მკითხველების შეცდომაში შეყვანა? თუ კი მეაბრეშუმე თითონ თესლსაც აწევდეს, პარკსაც მაფად და მერმე ქსოვილებად აქცევდეს, ამას მჯარად ყიდდეს და იაფად ჩითეულს ყიდულობდეს, გადანარჩენი ფულით კიდევ ხელმწიფეს, მღვდელს, მასწავლებელს აკმაყოფილებდეს და სხვა საჭიროებათაც ისტუმრებდეს, — მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა მისთვის ამხანაგობა? ან კი რა უნდა გაეკეთებინა ამხანაგობას? მეაბრეშუმე, ავტორის სიტყვით, შეუმუშავებელ მასალას (ბჟოლას და ჭიას) თავისი საშუალებებით აბრეშუმის ქსოვილებად აქცევს და ამ უკანასკნელს ფულებად. რაღაში ეჭირვება მას დახმარება, თუ ეს ასეა?

ჩვენი აზრით ამხანაგობის შესახებ ჩვენ ზევით გამოვთქვით, რომ ის შეადგენს სისხლსა და ხორცს მეაბრეშუმეებისას და მათი გაყოფა ერთმანეთისაგან ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან, ერთი სულის მქონენი არიან.

ბ. კ—ძის მოსაზრებით კი, მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ან სულ არ უნდა არსებობდეს, რადგან მეაბრეშუმე უიმისოდაც კარგად უძღვება თავის საკუთარ საქმეს, ან, თუ არ დაუშლია და მაინც არსებობს ასეთი ამხანაგობა, მას მეაბრეშუმესთან არაფერი საერთო მიზანი არ უნდა ჰქონდეს. პირ იქით რაღაცა ხორც-მეტს უნდა შეადგენდეს ეს ამხანაგობა მეაბრეშუმეების ტანზე. ეს აზრი ნათლად აქვს გამოთქმული ჩვენს ავტორს თავის სხვა წერილებში, რომლებსაც ქვევით გავარჩევთ.

## II

## „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის“ მოქმედება.

ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენებურ მეაბრეშუმეებს ლალა-ძიძა დასჭირდათ მას მერმე, რაც იმათ თესლის მომზადება ხელიდან გამოაცალა ჭიის სხვა-და-სხვა სენის გამრავლებამ, მაფის ამოღება

კიდევ—ფილატურამ (მათის ევროპულმა ქარხნებმა). ამ ქარხნებმა მოითხოვეს პარკი. ჩვენებურმა მეაბრეშუმეებმა მათ პარკი პირდაპირ ვერ მიაწოდეს და მიმართეს ჩარჩებს, რომლებმაც ისარგებლეს მეაბრეშუმეს უმწეო მდგომარეობით და მუქთად ჩაიგდეს ხელში მათი წლის მოსავალი. ამან აიძულა მეაბრეშუმეები შეერთებული ძალით გაეძღოლოდნენ თავიანთ საქმეს — დაარსდა ამხანაგობა. მიზანი ამხანაგობისა თავის-თავად ცხადი იყო და არის: იგი უნდა დახმარებოდა მეაბრეშუმეებს საღი თესლის მოპოვებაში, ნედლი პარკის გასაღებაში და საზოგადოდ აბრეშუმის წარმოების გაუმჯობესობაში. ამ წერილში ჩვენ გვინდა გადავავლოთ თვალი ამხანაგობის სამი წლის მოქმედებას, რომ ამით მკითხველმა გაითვალისწინოს, თუ რამდენად უმსახურნია ამხანაგობას თავის მიზნისათვის.

**პირველი—1895 წლის**—ალებ-მიცემობა ამხანაგობისა ციფრებით ასე გამოიხატება: ამხანაგობამ თესლი მიაწოდა მეაბრეშუმეებს ათასის მანეთისა (1000 მ.), რომლის ფასად მოსავალზე მიიღო მათგან ათას სამასი მანეთი (1300 მ.); პარკად გამოართვა მათვე ფუთი ათ მანეთად (10 მ.) რვა ათასის მანეთისა (8077 მ.), რომელიც მიჰყიდა ნუხელ მექარხნეებს თერთმეტ ათას მანეთად (11,172 მ.); მთელის წლის ალებ-მიცემობა ამხანაგობისა ადემატებოდა ოცი-ათას მანეთს (20,133 მ.); წმინდა მოგება დარჩა ამხანაგობას სამი ათას ოთხასი მანეთი (3428 მ.). მაგრამ სარგებლობა, რომელიც მიიღეს მეაბრეშუმეებმა ამხანაგობის დაარსებით, ამ ალებ-მიცემობით და წმინდა მოგების შეძენით დიაღაც ვერ გაიზომება. ამხანაგობამ მოუტანა სარგებლობა არა მარტო თავის წევრთ, არა მარტო იმ მეაბრეშუმეებს, რომლებმაც ჩააბარეს პარკი ამხანაგობას: ნედლი პარკის ფასის აწევით 6—7 მანეთიდან 10—11 მანეთამდის ამ წელს ამხანაგობამ შესძინა მეაბრეშუმეებს, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 16-დან 20 ათას მანეთამდის, რომელიც უნდა დარჩენოდათ ხელში პარკის მყიდველ ჩარჩებს*).

---

*) ვიანგარიშოთ: [illegible] ხონის მაზრაში მეაბრეშუმე სოფლებში სულ [illegible] ოთხი ათას ფუთამდის პარკი მოვიდა იმ წელს. ეს მოსავალი გაიყიდა ამხანაგობისგან დადგენილ ფასებში: ფუთში ოთხი-ხუთი მანეთის მოგებით, ამის გარდა კიდევ ამხანაგობამ, როცა გამხმარი პარკი მექარხნეებს მიჰყიდა, მოიგო ოთხი ათას ასი მანეთი (4100 მ.) ხარჯების გამოურიცხავად (валовая прибыль). ავტ.

გარდა ამ მატერიალური სარგებლობისა, ამხანაგობამ შესძინა მეაბრეშუმეებს ზნეობრივი მოგება, გამოფხიზლება, გამოღვიძება ენერგიისა. ყურები ცქვიტეს არა მარტო მეაბრეშუმეებმა, როცა ამხანაგობის ანგარიში მოისმინეს, ჩვენმა ვაჭრებმაც მხოლოდ ახლა შეიტყვეს, თუ რა მოგება ჰქონიათ ამდენ-ხანს მოსულ ჩარჩებს პარკის ყიდვა-გაყიდვით, იმ ჩარჩებს, რომლებიც უშუალოდ ჩამოდიოდნენ აქ, ფულს ამავე ჩვენებურ ვაჭრებს ართმევდნენ ორის ან ერთის თვით, პარკს მუქთად ყიდულობდნენ და ერთში ათს იგებდნენ.

ამ ნაირად, პირველმავე წელმა ამხანაგობის არსებობისამ ენერგია შესძინა მეაბრეშუმეებს უფრო მეტი აბრეშუმის მოსაწევად, მერმე ჩვენებურ ვაჭრებსაც, რომელთაც მოინდომეს ამ საქმეში ჩარევა. როგორც ჩაერივნენ, ამას ქვევით ვნახავთ. ახლა კი არ შეგვიძლება არ მოვიხსენიოთ, რომ ამხანაგობამ გარდა პარკის ყიდვა-გაყიდვისა, პირველსავე წელიწადს მიაქცია ყურადღება პარკის დამუშავებას ძაფად და ქსოვილებად. ამიტომ მან გამართა სკოლა ძაფის ამოღებისა და ქსოვისა; აიყვანა ოცამდის შეგირდი სოფლის ქალ-ვაჟი და თავად-სახლი ნაყოფიც მიიღო პირველსავე წელს.**)

**1896 წელი.** როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, 1896 წ. განსაკუთრებული ხალისით (ენტუზიაზმით) მიეგებნენ მეაბრეშუმეები და თესლი ბევრი მოითხოვეს. აქ ისინიც ჩვენებურმა ვაჭრებმა და შუაკაცობა გაუწიეს ერთის მხრით მოსულ მეთესლეებს და მეორეთ მეაბრეშუმეებს, დაურიგეს ამათ, ვის ნისიად, ვის ფულად პირველითვე მოტანილი თესლი და შეპირდნენ მოსავლის გასაღებას (ამხანაგობის მიბაძვით) ამისთვის ზოგმა ვაჭართაგანმა გამართა კიდეც საკუთარი საშრობი ფარდულები და დაიჭირეს საქმე მოსულ ჩარჩებთან...

ამხანაგობამ, რომელსაც შეადგენდა მეაბრეშუმეთა ერთი უმცირესი ნაწილი, ნახა, რომ შესაძლო იყო: 1) ჩარჩებისაგან დარიგებული თესლი ავადმყოფი გამოდგარიყო და მოსავალი მცირე

**) ამხანაგობის სკოლას ყურადღება მიაქცია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო მეურნეობის საზოგადოებამ, რომელმაც ერთი თავისი წევრთაგანი, ბ-ნი ფირალოვი გამოგზავნა სკოლის გასაცნობად და მან წარუდგინა საზოგადოებას მოხსენება, რომელშიაც თანაგრძნობით იხსენიებს, სხვათა შორის, ამხანაგობის სკოლას (იხილე იანვრის №№ „Кав. Сел. Хоз.“). ავტ.

მოუყვანა და 2) ესე მცირე შესწავლით, მოწყობილობანი, მეაბრეშუმეებს ჭიებისათვის მოუტანა; ამ გარემოების უყურადღებოდ დატოვება ამხანაგობამ თავისი მიზნის უპირველად მიიჩნია და გადაწყვიტა მოეწყო გამოზრდა ჭიებისთვის. ამიტომ ამხანაგობამ შეიძინა ორი ათას კოლოფამდის მაისეულ თესლი ღირებულების შეღავათით, ვინც კი ჭიებმა, დაურიგა მეაბრეშუმეებს. ჩვენი აზრი იყო, იმედები ჰქონდათ, რომ მეტად თავის ფული მათაც აგებოდათ თესლში. ამ შემთხვევაში ჭიანები ესაჭიროებოდათ, ნაკლებს შეიძენდნენ და ამით სამეურნეოდ ცოტათი მაინც გზები მოუგვარებოდათ. მართალიაც ასე მოხდა. ამხანაგობამ თესლში მოუგებად ფულის დარგებელი იქმარა. კერძო თესლის მოვაჭრეებმა კი თავნიდანაც დაზარალეს, მაგრამ ეს ზარალი მთლად დაავიწყდათ უცხოელ მეთესლეებს და არა ჩვენებურ მათ შუამავლებს, რომლებმაც მხოლოდ სამეურნეოდ ნდობა დაკარგეს მეთესლეებთან. მით უფრო იგრძნეს როგორც პირველებმა, ისე უკანასკნელებმა ძალ-ღონე ამხანაგობისა. თუ თესლის ვაჭრებმა ზარალი ნახეს, სამაგიეროდ პარკის მყიდველები ერთი [illegible] 1896 წლის ვაჭრებ-მეცემობამ და იმდენივე ხელფასი მოკლო მეაბრეშუმეებს პარკის ფასების დაცემამ. საქმე ისაა, რომ თესლი ბევრი წახდა, მაგრამ პარკი მაინც ბევრი მოვიდა თესლის სიმრავლისაგან, ამ ნაირად დიდ-ძალი პარკი ერთად მოაწყდათ მყიდველებს და მაღაზიებურად გაიაფდა: გაიაფებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ როგორც ამხანაგობა, ისე კერძო მყიდველებიც, ვერ ჰყიდდნენ პარკის ყიდვას, ვერ აუვიდნენ პარკის შემოზიდვას და მოვლას*).

რამდენად გაუჭირდა ამხანაგობას (უფულობა მას არ ჰქონდა, რადგანაც მეაბრეშუმეები ამ თავით ფულს არ ითხოვდნენ) პარკის მიღება, იქიდან დავინახავთ, რომ მას ღამის პირველამდე სამოცი ათასობით ქალი და კაცი, პარკის პატრონები, თავის უხვად პარკის მოწონას ერთი მეორეს კაი ჯავლახით ეცილებოდა, ანგარიშის მიღებას და კვიტანციების მიღებას ვერ უცდიდა. საქმე იმანაც გაამწვავა, რომ ამხანაგობის გამგეობა ვერ ადგილზე იღებდა პარკს, ხოლო ში

---

*) აბრეშუმის პარკი ერთობ ნაზი საქონელია; მას ესაჭიროება ბევრი მუშა და დიდი ადგილი მოსათავსებლად, რომ არ შეხურდეს, არ შეფორდეს და ფერი და გამოსავალი არ დაკარგოს. ავტ.

და კუთხში. ამან ძალზე ორად გაჰყო, პარკის ადგილის უქონლობა კი ორივე ადგილას ერთი იყო. რადგან ამხანაგობამ ქვეყნის პარკი ვერ იტია, იძულებული გახდა, ერჩია მეაბრეშუმეებისათვის, რომ პარკი ამხანაგობის ფეჩებში გამოეორთქლათ და შინ გაეხმოთ. ამისთვის გამართა საორთქლავი ქვაბები, ხაინისა და კუხის გარდა, კიდევ ს.ს. ჯიხაიშში, ლანჩხუთში და მაღლაკში; ეს რჩევა ათასში ერთმა ძლივს შეასრულა (სულ სამასი თუმნის პარკი გამოაორთქლეს ამ ფეჩებში); დანარჩენებმა მუქთად მიჰყიდეს პარკი კერძო მოვაჭრეებს. ამ ნაირად იზარალეს მეაბრეშუმეებმა (საზოგადოდ და არა ამხანაგობის წევრებმა) და 1896 წელს უფრო იაფად გაყიდეს პარკი, ვინემ 1895-ში (ფუთი 7—8 მანეთად).

სამაგიეროდ კერძო მოვაჭრეებმა, ჩვენებურმა თუ მოსულებმა, ფრთა შეისხეს, ფული მოიგეს და სამერმისოდ ერთი ორად დაიგეშნენ.

1896 წლის ამხანაგობის ალებ-მიცემობა ასე გამოიხატება: თესლი გავყიდეთ ოთხი ათას ექვსასი მანეთისა (4597 მ.), რომელიც უკანვე მივიღეთ ოთხმოცდათხუთმეტი მანეთის მოგებით (4692 მ.); პარკი ვიყიდეთ (ფუთი თუმნად) ოცდაათი ათასი მანეთისა (30,630 მ.), გავყიდეთ ოცდაჩვიდმეტ ათას მანეთად (37,332 მ.); მთელი წლის ბალანსი ავიდა ოთხმოც-და-ცხრა ათას მანეთამდის (88,614 მ.). წმინდა მოგება დარჩა ამხანაგობას სამი ათას ოთხასი მანეთი (3428 მან.).*)

1897 წლის როგორც მოსალოდნელი იყო, წინა წლის დაშინებულმა უცხოელმა მეთესლეებმა კერძო მოვაჭრეებს თესლი არ ანდვეს, ესენიც დაშინებული იყვნენ მეაბრეშუმეებისაგან და ნაღდზე თესლის ყიდვას ვერ ბედავდნენ. ამ გარემოებამ ხელი მოუწყო ამხანაგობას, რომ მას სრულიად უდავიდარაბოდ გაეყიდნა [illegible]

*) როგორც ვხედავთ, ამხანაგობამ მეორე წელიწადს გაცხადა მომეტებულ ფასებში (ფუთში იმ თავითვე სამ-ოთხ მანეთს მეტს აძლევდა) სამი ათასი ფუთი პარკი. მერე კიდევ, როცა ეს პარკი მეპარხნეებს მიჰყიდა, იმათგან მიიღო ზედ მეტი შვიდი ათასი მანეთი—ეს შეადგენს სულ 10-დან 20 ათას მანეთამდის მოგებას, რომელიც დაატოვებინა ამხანაგობამ ფეიქის ქარხნებს [illegible] საკუთარ პარკში. რაც ამხანაგობის მეტოქობით კერძო მოვაჭრეებმა მეტი მისცეს მეაბრეშუმეებს, ეს სხვა არის.

მეტი თესლი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა წინა წლის პარკის სიიაფით დაშინებულმა მეაბრეშუმემ სულაც არ დაიჭირა ჭია (ბევრზე ქამის შიშმაც იმოქმედა).

კარგა ხანია არ დასდგომია აბრეშუმის მოსავალს ისეთი კარგი ტაროსი, როგორიც დაუდგა წელს. ამიტომაც პარკი შემოვიდა და კიდეც მოილია, წინა წლების შედარებით, ერთი თვით ადრე. თუმცა საზოგადოდ თესლი ცოტა იყო დარიგებული, მაგრამ კარგმა მოსავალმა პარკს მეტი ხვავი მისცა.

როგორც მოსალოდნელი იყო წინა წლის მოგებით დაკვეშილი პარკის მყიდველები, წელს შარშანდელზე მეტი გვეწვია. ამან შეცვალა მყიდველისა და გამყიდველის მდგომარეობა. შარშან თუ გამყიდველი ეხვეწებოდა მყიდველს, წელს მყიდველები კარ-და-კარ დაეძებდნენ გამყიდველებს. ამან ძალიან უნებურად ასწია პარკის ფასები და დაავიწყდა მეაბრეშუმეებს შარშანდელი ზარალი. ნედლი პარკის ფასი თერთმეტ მანეთზე დაბლა არ ჩამოსულა, ბევრმა თორმეტი მანეთიც მისცა. რომ მოულოდნელ გარემოებას (ოსმალეთში ნაკლები მოსავალი პარკისა) პარკის ფასები არ აეწია მარსელში, ჩვენებურ პარკის მყიდველებს ზარალიც მოელოდათ მოგების ნაცვლად, რადგან აქ პარკის გაშრობა იმ დროს გათავდა კიდეც (როგორც ზევით მოგახსენეთ ჩვეულებრივზე ერთი თვით ადრე), როცა ჯერ კიდევ გამოკვლეული არ იყო წლის მოსავლის რაოდენობა სხვა ქვეყნებში, ხოლო 11—12 მანეთიანი ფასი ნედლ პარკში არ იყო შეფარდებული მარსელის მშრალ ფასებთან. მაგრამ წელს კი ამ მოულოდნელმა გარემოებამ მყიდველებსაც იმდენი მისცა, რომ ძვირად ნაყიდ პარკს მოგებით გაჰყიდიან.

ამ ნაირად წლევანდელი წელიწადი პარკის მწარმოებლისათვისაც და მყიდველებისათვისაც დაემსგავსა 1895 წელს, როცა მწარმოებელიც და მყიდველიც მადლიერი იყო ბედისა. ვნახოთ ვის გაუღიმებს მომავალი წელიწადი.

ამ საზოგადო განხილვის შემდეგ გადავიდეთ ამხანაგობის ამ წლის აღებ-მიცემობას. შარშანდელმა გამოცდილებამ ტყუილად არ ჩაუვლია ამხანაგობისათვის. ამან დაანახა, რომ ხონის რწმუნებულისათვის საკმაოა ამხანაგობას ერთ ადგილას ჰქონდეს სამპარკე ფარდულები.

ამ ერთ ადგილას ერთ და იმავე ქვეყანაში ადგილობრივ ვერ მოათავსებს ამხანაგობა, რადგან საჭიროა ფარდულები იმდენი გაიმართოს, რომ მუდამ მორჩეს, არა თუ მოაკლდეს (ფარდული რომ ცარიელი დარჩეს, ამხანაგობისათვის დიდ ზარალს არ შეადგენს; რომ მოაკლდეს კი, როგორც მაშინ იყო, დიდი ზარალია მთლად მეაბრეშუმეებისათვის) ამ მოსაზრებით ავირჩიეთ მოხდენილი ადგილი (შუაზე წყლის არხით); და ათიოდე ქცევა შევიძინეთ, რომელზედაც მოვასწარით წელს ორასი არშინზე მეტი საპარკე ფარდულების აშენება (ჭიამდ-გისთვის კიდევ მოემატება). რომ სამუდამოდ გაგვეფანტა არასასურველი იჭვი ზოგიერთ მეაბრეშუმესი და ამ იჭვზე დამყარებული ჭორები*), გავმართეთ სასწორისათვის ადგილად გასაგები თვალსაჩინო ფუთების სასწორი და თუმცა შარშანწელთან შედარებით დღეში ერთი ორად მეტი პარკი მივიღეთ, მაგრამ პარკის პატრონის შარშანდელი დღე და ამის ნაცვლად ზედი-ზედ ორი საათი არ დაჭირვებია ხელის გაცდენისა; თუ შარშან ადგილის უქონლობის გამო ასობით ურემი პარკი უკანვე დავაბრუნეთ, და ამით ძალა-უნებურად ხელი შევუწყეთ კერძო მყიდველებს პარკის გაიაფებაში, წელს ფარდულები მოგვრჩა კიდეც და, როცა ჩვენ თერთმეტ მანეთად ვყიდულობდით ფუთ პარკს, კერძო მყიდველები თორმეტ მანეთს აძლევდნენ და ჩვენთან მოსვლას არ უშლიდნენ მეაბრეშუმეს. ასე საქმებით, როგორც წელს, პარკის კერძო მოვაჭრეებს ვერ არ უგრძვნიათ ამხანაგობის ძალა და არც ასე ცხადად გამოთქმული დღემდის ამხანაგობისადმი სიმპატია მეაბრეშუმეების მხრით, როგორც ეს წელს მოხდა; თუ წინა წლებში მეაბრეშუმეები ამხანაგობას ეტანებოდნენ, ეს შესაძლოა იყოს აგვეხსნა იმ გარემოებით, რომ ამხანაგობა სხვაზე მეტს ორ-სამ მანეთს მაინც იძლეოდა, ფუთში; წელს კი, როცა ნაღდად ამ საკუთარი სახლშიაც და თუ მეტს არა

*) აბრეშუმის პარკი სინესტეს ადვილად იღებს. ამიტომ დღევანდელი მისი წონა ხვალისას არ ესწორება; ამით ხშირად ტყუვდება ზოგიერთი მეაბრეშუმე. გარდა ამისა, ზოგი პარკს საწყაოთი ზომავს და ერთი საწყაოს გამოწონით ვარაუდობს მთელის წონას, მაშინ როდესაც შესაძლებელია ერთი და იგივე საწყაო პირველად 1,000 პარკით აივსოს, მეორეთ კი 1,200 პარკითა, თუ პირველზე უფრო წვრილი პარკი შეხვდა: ცხადია პირველი წონა მეორეს არ ესწორება, თუმცა ერთი და იგივე საწყაო იყო. ავტ.

იმდენს მაინც აძლევდნენ მეაბრეშუმეს, რამდენსაც ის ამხანაგობისაგან მიიღებდა, მიუხედავად ამისა, ამ მეაბრეშუმეებმა ოცი ათასი მანეთის პარკი ჩააბარეს ამხანაგობას და ფული ორი-სამი კვირის შემდეგ მიიღეს.

მოგვყავს აქვე ბალანსი ამხანაგობის აღებ-მიცემობისა ამ მდგომარე წლის ექვსი თვისათვის. 2 მარტიდან 25 აგვისტომდის ამხანაგობას მიუღია: წილის ფული—2,302 მ. 97 კ.; თესლის ფასი—3,456 მ. 80 კ.; პარკის ფასი—2099 მ. 39 კ.; სესხი—23,614 მ. 72 კ.; პირად ანგარიშებად—18,986 მ. 24 კ.; ქსოვილების ფასი—357 მ.; მაუდის ფასი—607 მ. 42 კ.; ამოსავლები ქარხნისაგან—2118 მ. 04 კ.; საქსოვ ქარხანისაგან—502 მ. 89 კ.; ქონება—49 მ. 64 კ.; სხვა-და-სხვა შემოსავალი—89 მ. 82 კ.; წლის დამდეგს იყო ნაღდი ფული—9,718 მ. 02 კ.; სულ—63,902 მ. 95 კ.

ამავე დროის განმავლობაში ამხანაგობას გაუცია: პარკის ფასი—28,396 მ. 56 კ.; თესლისა—118 მ. 45 კ.; ნასესხი—640 მ. 75 კ.; პირადი ანგარიშებით—18,736 მ. 65 კ.; მატყლის ფასად—2 მ. 50 კ.; ქსოვილების ფასად—506 მ. 39 კ.; მაუდის ფასად—2155 მ. 54 კ.; ამოსავლები ქარხნის ანგარიშზე—2,119 მ. 44 კ.; საქსოვი ქარხნის ანგარიშზე—856 მ. 55 კ.; გადასატანი თანხის ანგარიშით—117 მ.; ქონების ფასად—4,783 მ. 48 კ.; სამმართველოს ხარჯებად—1,672 მ. 88 კ.; სადურგლოს ანგარიშით—58 მან. 78 კ.; ნასესხი ფულის სარგებლად—911 მან.; დივიდენდად—2,446 მ.; სხვა-და-სხვა ხარჯები (წილის ზარალები, მარკები მათთვის და სხვ.)—111 მ. 93 კ.; დღეს ნაღდ ფულად არის კასაში—306 მ. 05 კ.; სულ—63,902 მ. 95 კ.

ფუთი ხმელი პარკი ამხანაგობამ მიჰყიდა შუშელ მექარხნეს არუშანიანცს 43 მან. 50 კაპ., მაგრამ ჯერ პარკი არ მიუწონია მისთვის.

## XII

## მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა და ბ. ი—ბ კ—მე.

მტერი კაცსა ვერას ავნებს,
რომე კაცი თავსა ივნებს.
შოთა

შეიცან თავი შენი.
სოკრატი

სანამ იმ ცილის წამებას გავარჩევდეთ, რომელთაც ბ. ი—ბ კ—მემ «ცუდი თვისებანი» უწოდა ჩვენი «ამხანაგობის (საქმეთა) წარმოებაში», საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ ბატონ კ—მეს, როგორც ერთს მოქმედთაგანს ამ ჩვენ საერთო, საქვეყნო საქმეში; გავაცნოთ იმ საბუთებით, რომლებიც მისგან ხელთა გვაქვს, თანახმად სახარებისა, რომელიც ამბობს: «ხე ნაყოფითა მისთაგან საცნაურ არს».

პირველი სამსახური, რომელიც უნდა გაეწია ჩვენი ამხანაგობისთვის ბ. კ—მეს, იყო დახმარება პარკის გაყიდვაში. როცა კ—მე საზღვარ გარეთ მიემგზავრებოდა, ის იყო დაარსდა ჩვენი ამხანაგობა. ჩვენ მაშინ ქუთაისში შევხვდით მას და ვთხოვეთ — ყურადღება მიექცია, რომ იქნება საზღვარ გარეთ ჩვენი მეაბრეშუმეობის ნაწარმოების გასაღება მოგვეხერხებინა. მაგრამ მაშინ მან ცივი უარი განაცხადა ამ სიტყვებით: «ჩემი მიზანი მეცნიერებაში განვითარდე და ვაჭრობისთვის არ მცალიანო». ჭკუაში არ დაგვიჯდა მაშინვე ასეთი პასუხი, მაგრამ აბა რა გვეთქმოდა? წელი-ნახევრის შემდეგ, ესე იგი შარშან ზაფხულში გავიგე, რომ ათიოდე ფუთი პარკი მოეთხოვა თავის ძმისაგან მარსელში გასასყიდად. ძმამ მირჩია, რომ ამხანაგობას სანიმუშოდ გაეგზავნა ეს მცირეოდენი პარკი: «იქნება სამერმისოდ საქმე გაკეთდესო.» მეც დავთანხმდი, რადგან ვფიქრობდი, რომ თუ არას გავაკეთებდით ამით, წაგებით მაინც არას წავაგებდით... ძმამ (მისმა) გადმომცა, რომ ი—ბი წამოსვლას აპირებსო; პარიზიდან მარსელში ჩავა და იქიდან ამ

პარკის გაყიდვის შემდეგ წამოვათ. ჩვენც ამ თქმით ხელვმძღვანელობდით და ვწერდით, რომ თუ ვინიცობაა მოისურვებს ვინმე ამ სანიმუშო ათი ფუთი პარკის გაცნობის შემდეგ ამხანაგობის მთელი პარკის ყიდვას ფასშიც (დაახლოვებით მაინც) გაგვირიგდება და რითიმე დაგვარწმუნებს, რომ პარს არ გაგვიტეხს, როცა იქ პარკს მივიტანთ. (ან იქნება ვინმე აქეთაც წამოვიდეს, რომ სამუდამოდ საქმე დაიჭიროს ამხანაგობასთან მეთქი)—მხოლოდ ამ შემთხვევებში ვიფიქროთ დანარჩენი მთელი პარკის იქ გაყიდვა მეთქი. ვფიქრობდით, პარკის ერთი რიგიანი მყიდველისთვის მაინც გაგვეგებინებინა დედა-მიწის ზურგზე. ეს ჩვენი ამხანაგობის არსებობა, თუ მეტი არაფერი გამოვიდოდა ამ ათი ფუთი პარკის გაყიდვით. მაგრამ, საუბედუროდ ეს მცირე მოლოდინიც არ გაგვმართლების დღემდის, რადგან ის ბედშავი ათი ფუთი პარკი დღესაც თურმე «გაუყიდველი ყრია» მარსელში, როგორც გვწერს ბ. გ—მე, იმ პარკის ლალა-ძიძა.

ამ გარემოების თუნდაც გახსენებაც კი თითონ ბ. გ—ძისათვის არ უნდა ყოფილიყო, ჩვენი ფიქრით, ხელსაყრელი; რადგან მას ამ შემთხვევაში უნდა ეხელმძღვანელებინა იმ რუსული ანდაზით, რომელიც წამხდარი საქმის დავიწყებას გვირჩევს. ის კი არა, გ—მე ჩვენვე გვიკიჟინებს იმ «სანიმუშო საქმის» გამო და მოჰყავს იგი ერთ ჩვენდა მომაკვდინებელ ცოდვად.

იგი ჩაგვჩიჩინებს, როგორც ახალ ამბავს, რომ საზღვარ გარედ პარკის გასაღებას «დიდი ყურადღება უნდა მიექცესო, გარეშე ბაზარი უნდა შევისწავლოთო» (რასაც ჩვენ სამი წლის წინეთ ვთხოვდით) და მერმე დასძენს: «წინანდელმა მმართველობამ ჩემით მოინდომა პატარა სანიმუშო საქმის დაწყებაო. მაგრამ ეს ვერ გავიგეთ, თუ «წინანდელ მმართველობას» ვის ეძახის ბ. გ—მე? ჩვენი ამხანაგობის წინანდელი მმართველობა და ახლანდელი—ერთი და იგივეა. განვაგრძოთ მისივე სიტყვებით, რადგან ცოდვად მიგვაჩნია მათი გადასხვაფერება: «ამ სანიმუშო საქმემ გვაიძულა—სწერს ბ. გ—მე—«რომ საფრანგეთის ბაზარზე საქმე შეგვესწავლა. («გვაიძულაო»!! მაგრამ შეისწავლა კი?! აი კითხვა რაშია!) «საკმაოდ გამოვარკვიეთ მაშინდელი ბაზრის მდგომარეობა და ფასი (რაო!?

ამერ ქვეყნიდან შესწავლოს? ფრანსუებს ყოველ დღე არა წარმოუდგენიათ გარნი-ტურები? განა ეს უქონდათ მონდომილი? ამას ეძახით «სასიმღერო საქმეს»? ჩვენი სასიმღერო პარტიის დღესაც გაუგონელი «ურას», მარსელში, ჩვენ თითონ არა გვწყრით?) «ამის შემდეგ გადაწყვიტით მოგვწერეთ ფასი ამდენის და პარტია გამოგვიგზავნეთო» («გადაწყვიტით», უკუღმართო, მოუწყრეთ! ალბად «სასიმღერო საქმე» გაუკეთებია, ანუ შეუთხზველო? «ფასი ამდენიაო», რომ უთქვამს ბ. კ—მეს «გადაწყვიტით», ეს სწორედ «სასიმღერო საქმეს» უთქმევინებია, ეს ხომ ფაქტის შეუწყნარებლად უნდა უარეყოფილიყო? მაშ ჩვენი, ათი თუმნის პარტია დღესაც გაუგონელ რიგად «ურიაო» მარსელში?!) «არა, ჩვენ პარტიას არ ვუგზავნითო», მივწერეთ პასუხი, ამ პასუხისავე გამო წინანდელი მიწერ-მოწერაო» წყდე-ბაო, ათავებს ბ. კ—მე ჩვენი შეცდომის გამომჟღავნებას, რომ მარსელში ამხანაგობის მთელი პარტია არ გაგზავნა და მართალია გადაწყვიტეთ მოგვიწერეთ, რომ პარტიას არ გიგზავნითო. მაგრამ ეს ყველა მაინც ვერ გავიგეთ, რომ სწერს: «ამ პასუხის გამო მაშინდელი მიწერ-მოწერაო» როგორ თუ გაწყდაო? განა იმის იმედი ჰქონდა ბ. კ—მეს, რომ არც ერთხელ სიტყვის აწყვლილს შეითხზველ სხვადასხვა ჩვენს მოქმედებაზე, რომ მასთან მიწერ-მოწერა ამხანაგობის საბუთებში შენახული არ გვექნებოდა? რას უძახის ბ. კ—ყოლას? გული დაიმშვიდოს ბ. კ—მემ: მიწერ-მოწერას არსად არავის არ გაჰქონია და აქვე გადავცემ მისივე წერილებს აქ. მართლადა «სასიმღერო საქმეზე» და სწორედ ის წერილები გამოაჩენენ «სიმართლეს».

აი რას ამბობს შემდეგი პირველი წერილი კ—მისა, პარიზიდან მოწერილი 4/10 ოქტომბერს 1896 წ.: «ივანე (მამასახლისს); პარტიის ღირსება ეხლა იქნა აღიარების შემდეგ მიღებული მაისის წარმოდგენის სცენის» და ეს რამდენიმე ასეა: როცა ამის (სასიმღერო პარტიის) ანალიზს გავაკეთებთ, გასაგზავნი იქნება წერილი, და დავრწმუნდებით, რომ თუ ის პარტიის რაოდენობა, რაც გაქვთ შეკრებილი, მარსელში გამოიგზავნება გასასინჯად და ამ გადაწყვეტილებით ამხანაგობა ისარგებლებს, მაშინ ტელეგრამით გაცნობებთ პარტიის გამოგზავნას და მეც მოვუცდი მარსელში პარტიის საზოგადოდ ამოყვანით შეგეგებოდი (გზაც აქვთ მშვენივრად, თუ მარსელიდან წამოსვლა გადა-გწყვიტე).»

ჯერ თითონ გ—მესაც რომ გავიხსენოთ, ისიც დაგვიმტკიცებს, რომ «საპილენძე საქმის» გამკეთებელს უნდა ენახოს თითონ ნიმუშები, როცა ანალიზად გადასცა, და უნდა იცოდეს, რომელი ნიმუში გადასცა. იქ სოის გადარჩეული პარკიც იყო და გადაურჩეველიც (თეთრი, ყვითელი, გადარჩეული და გადაურჩეველი). თუმცა გ—მეს არც ნიმუშები გაუცვნია, არც ის გაუგია, თუ რომელი ნიმუშის პარკი გადასცა საანალიზოდ, მაგრამ კიდევ გვიკვირს რომ ამ წერილში ანალიზის დაცვას მაინც გვპირდება და წერილის ბოლოში კიდევ იმეორებს: «ოთხ პარკის სერიისათვის ბაზარში დაუყონე ტელეგრამმას დაგიგზავნით».

მაგრამ თქვენს მეტყველ სწორი ლაპარაკიც არ იცის ამ თავის აზრს ბ. გ—მემ მუშაობაში დაუსვენია! აქ ჩვენ გვეგონება მეორე მისი წერილი, მოწერილი პარიზიდან 27 ოქტომბერს/8 ნოემბერს 1896 წ. «ეს (პარკი ...) პარკი ჯერაც არ გაგვი-ყიდია, სწორედ გ—მეს ნიმუშები გადავეცით ანალიზისათვის და ანალიზის შედეგი ჯერაც არ მიგვიღია». «ამ უკანასკნელ დროებში პარკის ფასი ცოტათი შეიცვალა (უნდა ეწეროს «დაიწია»), მაგრამ ეს შეცვლა საგრძნობელი არ არის (ფუთზე 1—2 მანეთი იქნება იყო?). «გუშინ ტელეგრამმა გამოგიგზავნეთ ქუთაისში ამ ტექსტით, სწორედ წერილში და მოსკოვიდან მოსული ტექსტი თქვენი ფრანგულის გამოუცნობლად. მოგვყავს ჩვენც ეს ტელეგრამმა და თარგმანს ვუმატებთ: Envoyez toutes sortes cocons grande quantité avantageuse prix quarante jusque quarante cinq nets dépechez repondre (ყველა ხარისხის პარკი გამოგზავნეთ, რაც შეიძლება ბლომად; ფასები კარგები აქვს, ფუთი ორმოციდან ორმოცდა ხუთ მანეთამდის, პასუხი დააჩქარეთ), მე გაგვაკვირვებს და ვკითხავთ ბ. გ—მეს:

რომელი ერთი ლპარაკობს მას ამ შემთხვევაში — უკეთ წერილები, რომლითაც მას თავი მოაქვს, როგორც მამხილებელს თუ მოსაზრებას და საქმის გამორკვევას, რომლითაც ყურები გამოგვიჭედა! თქვენ თითონ სჯეთ, მკითხველო, საქმის ვითარებისა და ის ნაყოფი უნდა ეყოლოს შემდეგი დასკვნა: ქუთაისის ჩვენი ნიმუში პარკი არც გაუყიდნია მოსკოვში; ანალიზის შედეგიც არ იცის;

რომ სხვისი მსჯელობა მაინც გაეგონა პარკის ღირსებაზე; ყველა ამაებთან საზოგადოდ პარკის ფასებსაც მისს დაუწევია, აწევის ნაცვლად... ამაების გამგონე შკუაში მყოფი, სრულიად უეიცი კაცის კი, მოელის შემდეგს რჩევას ბ. გ—მისაგან, თანახმად მისი პირველი წერილისა: «არ შესცდეთ, ჯერ პარკი არ გამოგზავნოთო». (ამას არ გვპირდებოდა, როცა გვწერდა: თუ პარკს კარგი ანგარიში დაურჩა, მხოლოდ მაშინ გირჩევთ აქით გამოგზავნასო?!) ბ. გ—მე კი სულ უკუღმა იძლევა რჩევას: «არიქა, გამოგზავნეთ პარკი, რაც კი სადმე მოგეძებნებათო!» თითქოს მტერსა და ავს «მხარი ეცვალაო», შკუა გადა-უბრუნდაო!

მოჰყავს ბ. გ—მეს ეს თავისი ტელეგრამმა და მოჰყვება შკუის დარიგებას და განმარტებას ამ ტელეგრამმისას, თითქოს ჩვენ კი არ ვიცოდეთ, რომ მარსელში ყველა ღირსების პარკი იყიდება თავის ფასად და რომ დიდ პარტიას საქონელს სხვა მნიშვნელობა აქვს, ვინემ პატარასა და სხვ. და სხვ. «განმარტებაში» სხვათა შორის სწერია: «აქ მინიმუმი» 40-ია, მაქსიმუმი 45-ი მანეთი. ამ ორ ციფრ შუა დარჩება ჩვენი პარკის ფასიო» და ამ «ახსნას» თან მოაყოლებს თავის დიდ მნიშვნელოვან იმედებს ამ სიტყვებით: «პირველი ღირსების პარკში იმედი მაქვს აგიღებთ 43—45-მდეო».

კიდევ იტყვის ვინმე, რომ ბ. გ—მის «იმედი მაქვს» ბევრად არაფრად ღირსო! ვერ დაინახეთ, რა საბუთები მოგვიყვანა ამ იმედის გასამართლებლად?! თუ როგორ შეისწავლა «ბაზარი», გამოარკვია ფასები და მერმე «გადაჭრა» და დაასკვნა?! ბოლოს ბ. გ—მე ასე ათავებს ამ თავის კლასიკურ წერილს: «თქვენი ტელეგრამმის შინაარსზეა ასლა დამოკიდებული ჩემი გადაწყვეტილებაო: თუ პარკს ბევრს გამომიგზავნით, მაშინ დავრჩები აქაო (პარიზში?), თუ ცოტას, მაშინ მივანდობ ჩემ ნაცნობ ფრანგს, საქმეს კარგად გაგვიკეთებს, (სიტყვა-სიტყვით: არ გაამართლა ეს მოლოდინი თუ?) ამ მხრით საფიქრალი არ არისო.»

ამ წერილის მიღებამდის, რასაკვირველია, მასში მოყვანილი ტელეგრამმა მოგვივიდა და პასუხიც შემდეგი მივეცით: «ამხანაგობა უცდის შედეგებს ათი ფუთი პარკის ანალიზისა და გაყიდვისას, უნდა ვიცოდეთ ვინ არის მყიდველი, ფასი გადაჭრილი და

უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ეს ჩვენი პასუხი შეიძლება, სანამ ბ. გ—მის ზემოთ მოყვანილ წერილს მივიღებდით, ჩვენ თითონ მკაცრად გვეჩვენებოდა, თუმცა კი იგი სრულიად თანახმა იყო ჩვენი მინაწერი წერილებისა ბ. გ—მესთან. მაგრამ, როცა მოხსენებული წერილი მივიღეთ და დავრწმუნდით მასში, რაც წინათ ეჭვად გვქონდა წარმოდგენილი: რომ არც ანალიზის შედეგი და არც სანიმუშო პარკის გაყიდვით მთელი პარკის ყიდვის მსურველი სახეშიაც კი არ გქონიათ მათ, ვინც ასე ადვილად ორმოცი ათასი მანეთის საქონელს, თითონ პარიზში მყოფი, მარსელში გაგზავნენებდა, ვიღაც ფრანგისთან დაიმედებული, მაშინ კი ზედგამოჭრილად ჩავთვალეთ ჩვენი პასუხი და მას ესეც დავუმატეთ: «პარკს აქ ადგილობრივ ვყიდითო».

ან კი რა წავაგეთ აქ გაყიდვით? ჩავანგარიშოთ და შევადაროთ აქაური ფასი მარსელისას. ამას მომავალშიაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამხანაგობისათვის. აქ ადგილობრივ პარკი მივყიდეთ ჩვენ, ეს ორგ წელიწადია, ფილატურის პატრონს, ვინც პარკს ძაფად ამუშავებს, ესე იგი პარკი გადავეცით პირდაპირ მისს მწარმოებელს და არა შუამავალს: გავყიდეთ ჩვენსავე სახლში, როცა ფული ხელზე მივიღეთ; გავყიდეთ გადაურჩევლად. ავხსნათ, რას ქვიან გადარჩევა. ასი ფუთი პარკი შარშან მეორე ხარისხის პარკს (დომფალს და «ტუჩა» პარკს) იძლეოდა 15 ნაასალს, ესე იგი ასი ფუთიდან 85 ფუთი გაიყიდებოდა მარსელში, როგორც გვწერდა გ—მე 40—45 მანეთამდე. ხოლო 15 ფუთი კი 15-დან 20 მან. ფუთი. როგორც გაიყიდებოდა ჩვენი პირველი ხარისხის პარკი, ეს ხომ გამორკვეული არ არის, როგორც ზევით ვნახეთ. ბ. გ—მე ჰპირდებოდა 43—45 მანეთამდე ფუთს. თუ პირველი ხარისხის პარკი 43 მანეთად გაიყიდებოდა და მეორისა 15 მანეთად ფუთი, მაშინ ასი ფუთიდან მივიღებდით ((85×43)+(15×15)=3880 მან.). სამი ათას რვაას ოთხმოც მანეთს, თუ უმაღლესს ფასებს ვიანგარიშებთ ესე იგი პირველი ხარისხის პარკი 45 მანეთად, მეორისა 20 მანეთად ფუთი ((85×45)+(15×20)=4125) მაშინ მივიღებდით ოთხ ათას ას ოცდახუთ მანეთს ას ფუთში. ჩვენ კი ადგილობრივ გავყიდეთ ერთიანად ასი ფუთი სამი ათას შვიდას ოთხმოც მანეთად (3780 მ.)

ესე იგი მარსელში რომ გაგვეყიდა ფუთი 45 მანეთად პირველი ხარისხისა და 20 მ. მეორე ხარისხისა, ას ფუთში სულ 345 მანეთს მეტს ავიღებდით, ვინემ აქ ავიღეთ, მაგრამ ეს 345 მანეთი-განა მოგება იქნებოდა? ეს ხომ მოუნდებოდა ხარჯებს ასი ფუთი პარკის გადარჩევისას, ტომრებისას, წაღებისას, საკომისიოსას და სხვ. და სხვ.

ესეც მაშინ, თუ პარკს უმაღლეს ფასებში გავყიდდით და კოჭი სულ ალჩუს დაგვიჯდებოდა. მაგრამ ზოგი იმ 10 ფუთი პარკის ბედ იღბალიც გავიხსენოთ. სწორედ საინტერესო და ჭკუის სასწავლია მისი ბედ-იღბალი. იგი სავსებით ახასიათებს ჩვენს «კრიტიკოსის» საქციელს, თავის თავს რომ არ «განიცდის» და სხვას კი «განიკითხავს», მაგრამ ამაზე ქვევით.

ჯერ ისევ მივუბრუნდეთ საკამათო საგანს. ვთქვათ ამხანაგობა ბევრსაც მოიგებდა მარსელში პარკის გაგზავნით. მაგრამ, რომ არ გაიგზავნა პარკი, ვისი ბრალია? ბ. კ—მე «კვალში» ბრალს ჩვენა გვდებს: «საფრანგეთის ბაზარზე საქმე შევისწავლეო,» მაშინდელი ბაზრის მდგომარეობა და ფასი გამოვარკვიეო; ერთი სიტყვით, თავი საქმის მცოდნე «ევროპიელ ვაჭრად» მოაქვს და ჩვენ «ნამდვილ ქართულ, ჩვენებურს ვაჭრებს, საქართველოს იქით უვარგისებს» გვეძახის; ამას ბრძანებს «კვალში» ბ. კ—მე. აბა, ახლა ვნახოთ, ვის აბრალებს ბ. კ—მე მარსელში პარკის გაუყიდველობას თავის პირველ წერილში. «ეს კარგად რთული საქმეაო, სწერს ის: «ცოტა გვიან მივაქციე ამას ყურადღებაო, აქამდი რომ ამ ვაჭრობის სისტემა მცოდნოდა, მთელი პარკის გაყიდვას შევიძლებდითო». ხომ ნათლად სჩანს, თუ ვისი ბრალი ყოფილა, რომ მარსელში ამხანაგობის მთელი პარკი ვერ გავგზავნეთ გასასყიდათ? მაშ, ვინ შეიქმნა აქ «ნამდვილი ჩვენებური ვაჭარი, საქართველოს იქით უვარგისი»? ჩვენ კი ადრევე ვურჩიეთ ბ. კ—მეს ესარგებლა შემთხვევით და გამოეყენებინა პრაქტიკულად ევროპაში არა საადვილო «მოგზაურობა».

ათი ფუთი სანიმუშო პარკის ბედ-იღბალი ბ. კ—მემ «მის ნაცნობ ფრანგს» ჩააბარა, რომელზედაც გვწერდა, რომ «ამ მხრით საფიქრალი არ არისო» წამოსვლისას ბ. კ—მეს შვიდასი ფრანკი

აუღია ამ ფირანგისაგან «ავანსად». «ამ ფულს ამხანაგობას მაშინ ჩავაბარებო», გვითხრა კ—ძემ, «როცა მთელ ანგარიშს მივიღებ იმ ფირანგისაგანაო.» ჩვენც, ძალიან უნებურად დავყაბულდით ამ სიტყვას: რაც უნდა ყოფილიყო კ—ძემ, გაარიგა რამე თუ არა, ეცადა მაინც. ნათქვამია, «ხმა უფრო დიდი აქვს ქარავანსაო». მარსელში კაცი ჭყო-ლია ამხანაგობასაო,» ხმა ხომ გავარდა, ერთ დროში ესეც სწორი იყო. ჩვენც სულმოკლეობა არ ვისმარეთ. ხუთი თვის შემდეგ წლიური ანგარიში გვქონდა და ეს ათი ფუთი პარკი ანგარიშში გაუყიდველ პარკად ჩავიტანეთ იმ ფასში, როგორც ჩვენ გვიჯდა (36 მანეთად ფუთი) წლიურ კრებაზე ბ. კ—ძემ ახალი კომისია მოითხოვა ანგა-რიშების შესამოწმებლად და იმ კომისიაში თითონაც მოჰყვა. ამ სწორედ ამ კომისიამ მოსთხოვა მას ანგარიში ამ ათი ფუთი პარკისა. შემდეგ ლაპარაკი და... პირველ ოქმში ეს «საქმე» ასე იქნა შეტანილი ბ. კ—ძის ხელით: «ათი ფუთი პარკი არის გაგზავნილი საფრან-გეთში (ერთობ გამოურკვეველია, თუ ვისთან და სად?) მმართველის და საზინადარის სიტყვით (ახლა სულ იბნევა კვალი თუ ვის გა-გზავნა ეს პარკი.) რომლის ანგარიში იოსებ კაკაბაძემ უნდა წარმოა-დგინოს, როგორც ეს თითონ სთქვა.» სამი დღის შემდეგ მეორე ოქმი კომისიისა იმავე ათ ფუთ პარკს ახსენიებს «გაგზავნილად მარსელში იოსებ კაკაბაძის სახელზედ» და დასძენს: «ანგარიში ამ პარკისა ამხანაგობას ჯერ არ მიუღიაო». სამი კვირის შემდეგ, ამხანაგობის საგანგებო კრების წინა დღეს, ბ. კ—ძემ წარმოადგინა ავანსად მიღებული ფულიდან 226 მანეთი. მას მერმე სამი თვის შემდეგ მივიღეთ კ—ძისაგან წერილი 28 ივნისის თარიღით, რო-მელშიაც გვწერს: «ოთხი ცალი პარკი ისევ გაუყიდველი ყრია მარსელშიო.» წერილი პირდაპირ ამ სიტყვებით იწყება და შემდეგი სიტყვებით ბოლოვდება: «ერთი სიტყვით კმარა, რაც ამაზე დრო დავკარგე და უსიამოვნობა ვნახე და გთხოვთ გვიბრძანოთ «გადა-ჭრილად» თუ რა უყოთ ოთხ ცალ პარკსო!...» ესე იგი, გაყიდოს ჩემმა ნაცნობმა ფირანგმა ფუთი 39 მანეთად (კილო ექვს და ნახე-ვარ ფრანკად) თუ არაო? ჩვენ რასაკვირველია გაყიდვა ვთხოვეთ და ისიც დავუმატეთ, რომ მგონი არც იმას და არც თქვენ ეს საგო-ხსავი არ გქონდათ მეთქი, როგორც გაგივიდოდათ, პარკი ისე უნდა

გაგვეყიდათ. შევნიშნავთ, რომ ეს ამბავი ბ. გ—ძეს მაშინ მოუ-სვლია, როცა მარსელში პარკის ფასი 39 მანეთი კი არა, 48—50 მანეთამდე იყო! რას უცდიდა ის კაცი ამდენხანს ათი ფუთი პარკის გაყიდვას, თუ ახლა ასე იაფად გაჰყიდდა? რატომ თავისი ავანსი არ გაინაღდა და როგორც გაეყიდებოდა ისე არ გაყიდა?!. აგერ მეორე თვეც მიდის მას მერმე, რაც ეს წერილი მივიღეთ და დღესაც არ ვიცით, გაიყიდა ის ათი ფუთი პარკი ამ პარკის ძვირო-ბაზე, თუ არა? კაი თუ ახლა სავაისოდ ინახვენ?! შეიძლება, ამის შემდეგ ვიქვათ, რომ ის ფრანკი არა თუ «აქ მხრით» «იმ მხრითაც საფიქრელი» არ გამოდგეს და როდისმე იმ ათი ფუთი პარკის ანგარიში არ დაგვიგარგოს, მაგრამ... მისი ძმედით ამხანაგობის მთელი პარკის მარსელში ჩაირევა, როგორც ვხედავთ, ყოველა, მგონი, ცოტა საფიქრელი და ჩვენც აი რამ გაგვაჩერა იმ თავითვე გარდა სხვა მიზეზებისა.

ხომ მოგაბეზრათ თავი, მკითხველო, ამ ჩვენი ამხანაგობის ძველმა ამბავმა, მაგრამ ერთი მაინც უნდა გკითხოთ: ხელსაყრელი იყო ამ ამბის გახსენება ბ. გ—ძისათვის? ჰქონდა რამე მას ჩვენ-თვის საკიყინო ამ საქმეში? თქვენ თითონ სჯეთ.

---

მეორე საქმე, რომელიც ი—ბ გ—ძემ მიიღო ამხანაგობისა-გან, იყო ამხანაგობის სარევიზიო კომისიის წევრობა და როგორ აასრულა ეს მინდობილება, ვერავინ ვერ აწერს ისე სინამდვილით, როგორც თითონ ბ. გ—ძე. ის ასე გულმართლად და უშიშრად მოგვითხრობს ამ ამბავს: «საწყინოდ მიმაჩნია (სწერს ის «კვალის» 26 ნომერში), რამოდენიმე სიტყვა ვთქვა ჩემს მოქმედებაზე» და აი რას სწერს: «სარევიზიო კომისიას ანგარიში (ამხანაგობისა) ერთი თვის განმავლობაში უნდა შეესწორებინა. ეს დრო პატარა იყო, რადგან სულ ამისთვის ვერ მოვიცლიდით და ამ პატარა დროის განმავლობაში მხოლოდ ორჯელ დავესწარი სარევიზიო კომისიის კრებას; მესამედ კი უკანასკნელად მოხსენების შედგენას დავესწარი.» (ეს ხომ სამი შეიქმნა და არა ორი!) როგორც ხედავთ, განაგრძობს—4 სარევიზიო კომისიის კრებას მე არ დავესწრებივარ

(უნდა ეწეროს სარევიზიო კომისიის 4 კრებას, მაგრამ ჩვენ ხომ ტყუილია? ოთხს კი არა სამს არ დასწრებია), და რასაკვირველია, რომ აღარც მიმუშავნია (თითონვე ამბობს თავის თავზე! ვაშა, თქვენს ვაჟკაცობას ამ გამოტეხვისათვის!) ამისთვის ბოდიშს ვიხდი იმ წევრებთან, რომლებმაც მე ამირჩიეს (ამის იმედი თუ ჰქონდათ, რომ «ბოდიშს» მოვიხდი და ამით გადავრჩებიო, ეს კი ვერ მოგსვლიათ კარგი! ამ გვარ შემთხვევებში ბოდიში ვერაფერია!) ძალიან ვწუხვარ, რომ მოუცლელობის გამო მონდობილ კითხვის გამორკვევაში მათი იმედი მთლად ვერ გავამართლე (მთლად კი არა, მგონი სულაც ვერ!). ამის შემდეგ უსათუოდ დამეკითხებიან: მოხსენებაზე ხელი რად მოაწერე, თუ თანახმა არ იყავიო»... (კ—ძის ნათქვამს შემდეგი ლოღიკური დასკვნა მოსდევს: თუ კომისიაში არ უმუშავნია, ეტყობა საქმეც არ შეუსწავლია, ამიტომ არც კომისიის მოხსენებაში უნდა მიეღო მონაწილეობა და არც ის მისი შენიშვნები გამოეფინა!)

«ხელი მოვაწერე, სწერს: მაგრამ იმ გვარი მოხსენების თანახმა არ ვყოფილვარ და არც აწი ვიქნები. ხელი იმისთვის მოვაწერე, რომ უმეტესობას მაინც ჩემი მოწინააღმდეგენი შეადგენდნენ (ალბად უფრო შეუსწავლიათ საქმე, ვინემ ეს კ—ძემ იცება) და სწორის ჯამმაც იმათკენ გადიწია; მე იმაში ვარ შემცდარი (სწერს ბ. კ—ძე თავის თავზე), რომ ცალკე მოხსენება არ წარვუდგინე კრებას. თუ მაშინ ეს უდროობის გამო არ მოხერხდა, ახლა მაინც მივაწვდენ საზოგადოებას ჩემს (საკუთარს!?) შენიშვნებს ამ საკითხის შესახებ». ამით გაათავა ბ. კ—ძემ მსჯელობა თავის «მოქმედებაზე,» რომელსაც უპრიანეა დარქვას უმოქმედობა და მთლად მის ნათქვამს აღსარება, რომლის მნიშვნელობაც მას ჯერ მგონი კიდევ კარგად გაგებული არ უნდა ჰქონდეს.*)

საქმე ის გახლავს, რომ ბ. კ—ძე (თითონაც დამეთანხმება) კომისიის არც ერთ წევრთაგანზე გაგებული არ ბრძანდება; ამას, როგორც თითონ აღიარა, კომისიაში არ უმუშავნია; იმათზე კი ეს

*) გვიკვირს, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა პატივცემულ „კვალის" რედაქციისათვის ბ. კ—ძის „შენიშვნებს" ამ გვარი მისი აღსარების შემდეგ!? ნუ თუ ამ გარემოებამ ეჭვი მაინც არ დაუბადა რედაქციას ყველა მის სინამდვილეში, რასაც ავტორი მოუთხრობდა? არც საბუთი, არც ლოღიკა!...

ავტ.

არ ითქმის; ამის შემდეგ ბ. გ—ძე სწორედ ამავე წევრთ უკიჟინებს დაუდევრობას, გაუგებრობას და საქმის აბუჩად აგდებას. «ჩემი შენიშვნა მოხსენებაში არ შეიტანესო,» ბრძანებს და მოჰყვება ამბებს, თუ სადმე ხაზინა გაუძარცვავთ, ან ვისმე გაუქურდავთ და ბოლოს დაასკვნის: «ამ მაგალითებით მე პირადად არავიზე ვუთითებ, არც ამის საბუთი მაქვს, მხოლოდ შევნიშნავ მომხდარ ფაქტს და ამით წევრებს ვაფრთხილებო.» «ამის თქმით სარევიზიო კომისიის წევრების გამოურკვეველ მოქმედებას უფრო ვეხებიო,» ბრძანებს ბ. გ—ძე. აქედან უნდა გავიგოთ, რომ იმათ, ვისაც მეტი გაგებაც აქვთ, ვინემ ბ. გ—ძეს, რომელთაც მეტიც უმუშავნიათ მინდობილ საქმეში და ამ საქმეს უფრო გულმოდგინედ მოეკიდებიან, სწორედ ამათ იმდენიც ვერ გაუგიათ და გაურკვევიათ ამ საქმეში, რამდენიც ბ. გ—ძემ უფასოდ და უმუშავროდ შორიდან გაიგო და გაარკვია, ისე, როგორც, მაგალითად, პარიზიდან მარსელის ბირჟაც გაიცნო და ჩვენი პარკის ნიმუშებიც გაითვალისწინა.

ასეთია ბ-ნი გ—ძე, როგორც წევრი ჩვენი ამხანაგობის სარევიზიო კომისიისა და ჭურობის ბაზრის ზედმიწევნით, მცოდნე კაცი.

ნ. წერეთელი.

# ბიბლიოგრაფია

ბრჭყალები. პოლ ერვიე.

ალექსანდრე დიუმა-შვილის დრამატიული თხზულებები საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოთ საფრანგეთის მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაში. სრულიად საფუძვლიანი არის ის აზრი, რომ ალ. დიუმამ დიდი გავლენა იქონია იბსენის დრამებზედაც. საზოგადოებრივი, დიდ-მნიშვნელოვანი საგნები, რომელთაც ახლა დიუმამ თავისს ნაწერებში, შეადგენენ ერთ უმთავრესს ღირსებათაგანს მისი დრამებისას. თავის დრამებში დიუმა გვიჩვენებს საზიზღრობას მრუშობისას, ესარჩლება უკანონო შვილებს, ქვეხატავს ცუდ მხარეებს საეკლესიო ქორწინებისას და ამითვე გვიჩვენებს მიუცილებლობას განქორწინების თავისუფლებისას. გვისურათებს დაცემულს ოჯახს და ცოლ-ქმრობის კავშირის შებღალვას დღევანდელის მდაბიო-მოხელის ბურჟუაზიისას და გადაგვარებული არისტოკრატიისას.

დიდი გავლენა აქვს დიუმას დრამებს საფრანგეთის ლიტერატურაზე საზოგადოდ. ქვემოდ ზემოხსენებული ავტორიც—პოლ ერვიე—მისი მიმდევარია და სწორედ მის მემკვიდრედაც ალიარებენ დრამატიულს მწერლობაში.

ერვიესაც დიუმასავით რჩეული თემა აქვს აღებული. აღგვიწერს ცოლ-ქმართა ცხოვრებას, რომელთა კავშირი შედეგია არა სიყვარულისა, არამედ ვაჭრულის ანგარიშისა (კაცის მხრით მაინც) ხოლო სიყვარული ისეთი მოთხოვნილებაა კაცის ბუნებისა, რომელსაც აგრე ადვილად ვერ ამოიფხვრი და ვერ განაძევებ გულიდან. ირინე კი ემ განსაკუთრებულ ქალებს ეკუთვნის, რომელნიც მუდამ ყავ

ქმნებენ ამ გრძნობას. გულითა და სულით ცდილობს აღტაცებით შეიყვაროს ქმარი, მაგრამ იმგვარ ყოფა-ქცევას მისდევს, ისეთ გულ-გრილობას და ისეთ ხასიათს იჩენს, რომ შეყვარებულსაც შეაძულებდა თავს. ამ დროს გამოჩნდება ირინეს ძველი მეგობარი (მიხეილი), რომლის მიმართ ერთ დროს წმინდა გრძნობით აღსავსე იყო. მივიწყებული გრძნობა ხელ-ახლის ძალით აღორძინდება. ირინე თხოულობს განქორწინებას. «მე ქმარი ვარ, ამბობს» მისი მეუღლე, «და კანონის ძალით კიდევაც ვიქნები. გაიწევ, ლაგამს მოვიწერ... პოლიციას მივმართავ! ხელ-შეკრულს მიგათრევენ ისევ შენ ქმართან.»

რაკი პატიოსნად მოქმედება არ დაანებეს საბრალო ქალს, გრძნობათა სიძლიერეს ვეღარ უძლებს და, შეიძლება ზოგი ჟინისა და, ზოგიც ხასიათის სისუსტის გამო, მიხეილის საყვარლად გახდება და მისგან შვილიც ეყოლება. ბავშვი კარგად წამოიზრდება და დროც მოდის მისი სწავლის დაწყებისა. ახლა აქ შექმნებათ დავიდარაბა ცოლ-ქმარს. ლაპარაკი შექმნებათ იმის შესახებ, ვის უფრო მეტი უფლება აქვს შვილის გაზრდაში ხელმძღვანელი იყოს, დედასა თუ მამას. კანონი ძლიერს იცავს—მამას. ისიც, რასაკვირველია, კანონით გათამამებული არ იბრალებს დედის გულს, რომელიც სთხოვს—პანსიონში ნუ მისცემ ჩემს შვილს, აქაურს ცხოვრებას ვერ აიტანს სისუსტის გამო. ვერც ვედრება, ვერც რაიმე მოსაზრება ვერ მოარბილებს სასტიკს გულს ქმრისას, ვერ შეაწყნარებინებს ცოლის აზრს. «მაშინ ქმრის უფლება იყო, დღეს მამის უფლება იქნება!» მაშინ გაავთრებული დედა, საშინელს საიდუმლოს განუცხადებს—ეს შვილი შენ არ გეკუთვნის, სხვისაგან მყავსო. «თქვენ მომიყვანეთ მასამდე, თქვენ, თქვენის უფლებებით და კანონებით. თქვენი ბრალია! თქვენი ბრალია და თვით ღმერთმაც რომ გაპატიოთ, მე ვერ გაპატიებთ».

თვით სინამდვილე, თვით ცხოვრების მრავალნაირობა ყოვლის ადამიანს, რომელსაც ერთგვარად შეუზღუდავს უფლება მეორე ადამიანისა თავისი კანონიერს ცოლისა, დრამის ორიგინალობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მარტო ქმარს არ ხედავს დამნაშავედ, არამედ მთელს საზოგადოებას, რომელმაც შეუქმნა კანონი სასტიკი

შეუსაბამო ცხოვრებისა, ცხოვრების ორიგული მოვლენების ვერ გა-მრჯვებები.

ამიტომაც ავტორი ირჩევს ამ სიტყვებს ათქმევინებს: «აქ დამნაშავე არავინ არის. აქ ორი უბედურია... და უბედურებაში ყველა თანასწორია.

დრამა ღრმა შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში. ხელოვნურად დაწერილია. წიგნი მშვენიერის და ჩინებულის, ადვილის ენით არის თარგმნილი. ყოველივე ზემოხსენებული ღირსებანი ნებას გვაძლევს ვურჩიოთ ჩვენის დრამატიულის საზოგადოების გამგეობას შეიტანოს ჩვენის სცენის რეპერტუარში. ეგრეთი დრამები ჩვენის საზოგადოებისათვის საყურადღებონი არიან.

გ. ა.

---

**ქართლის ცხოვრება.** დასაბამიდან მეათცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი საქართველოს დასაწყისიდან ვახტანგ გორგასლანამდე. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. თბილისი. 1897 წ. ფასი 40 კაპ.

ბროსეს მიერ გამოცემული ქართლის ცხოვრება დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ სიძვირედ გახდა და, თუ გასასყიდი მოიპოვებოდა სადმე, თავის წონა ოქროდ აფასებდნენ. თვით წიგნი კი, უმთავრესი წყარო ჩვენის ისტორიის შესასწავლელად, იმისთანა საჭიროებას წარმოადგენს ყოველთვის და ყოველი ქართველისთვის, რომ აქამდისაც რომ ეფიქრა ზ. ჭიჭინაძეს და ესევე უცვლელად გადაებეჭდა ბროსესეული გამოცემა, დიდს და დაუვიწყარს სამსახურს გაუწევდა არა მარტო ჩვენი წარსულის შესწავლის მსურველთ, არამედ ყველა ქართველს. ტყუილად კი არა ბრძანებს ვაგი «კრებულის» პირველ წიგნში, ვეფხის ტყაოსანი რომ არა ჰქონიყო ქართველ ხალხს, ქართული ენა ასე გაურყვნელი არ დარჩებოდაო. ვეფხის ტყაოსნის გვერდით თუ არა, ცოტა ქვევით მაინც ჩვენ ქართლის ცხოვრებას და სამღვთო წერილს დავაყენებთ და ვიტყვით: ქართული ენა გაურყვნელი იმ დრომდე იყო, ვიდრე ქართველი კაცი ერთსაულად აფასებდა დაბადებას სახარებითურთ, ქართლის ცხოვრებას და ვეფხის ტყაოსანს; და მაშინ გაირყვნა და წაიბილწა, როდესაც ჩვენი

საზოგადოება, მდაბიურად რომ ვთქვათ, რამიდან გადმოვიდა და სახედარზედ აბრძანდა. სახედარზედ აბრძანება კიდევ არაფერი: ხომ მოგეხსენებათ, ერთი ალილუიას მღვდელსაც შესცდებათ, შეტანდრე ამ საუკუნის დასაწყისში, როდესაც შინაურ მღვდელს შენდობა აღარა ჰქონდა და გარეული მედავითნეც კი ზეციური მადლით აღვსილად ითვლებოდა. დიაღ, აბრძანდა, ხომ აბრძანდა და, საქმე ის არის, რომ ჩამობრძანება ველარ მოუხერხებია, თორემ, ეს რომ ასე არ იყოს, ვინა აქამდის სახალხო სახმარებლად გამოცემული არ გვექნებოდა ვეფხის ტყაოსანი? ვინა დაბადება ექვსი მანეთი ღირებოდა და ისიც იმისთანა შეცდომებით აღსავსე, რომ ვისაც მისი კითხვა უნდა, სლავ-ენაზედ დაბეჭდილი დაბადებაც გვერდით უნდა ედოს, რომ გაიგოს რამე?

რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ვეფხის ტყაოსანი ბ. თავარ-თქილაძის მაგივრად და ქართლის ცხოვრება ბ. ჭიჭინაძის მაგივრად ან ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას გამოეცა, ან ქართველთა ამხანაგობას; ქართველთა ამხანაგობა, დიდი ხანია, იმისთანა გამოცემას აპირებს ამ წიგნებისას, როგორიც თითონ შეეფერება: ლექსიკონით, საგნის-ისტორიული მიმოხილვით, კომენტარიებით და ქართლის ცხოვრე-ბის მსოფლიო ისტორიასთან შედარებით. ეს იმისთანა მძიმე ტვირთია, რომ, ვინ იცის, იქნება თავის დღეშიც ვერ მოასწროს ამხანაგობამ ამის განხორციელება და, თუ ქ. შ. წ. კ. გ. ს—ბაც ამისთანავე საძირკვლიან გამოცემას უპირებდა ამ ქართული ერის და მწერლობის დედა-წიგნებს, სწორედ ჩვენ დაგვემართებოდა ის უბადრუკის ამბავი, რომელიც ჩიოდა, კარგი არ მაღირსიანო, ავი არ მაკადრიანო.

ზ. ჭიჭინაძემ თავისი გამოცემით ქართველ საზოგადოებას მწერლობის უპირველესი და უსაჭიროესი ნაკლი შეუმსო და საყვე-დურს კი არა, პირიქით დიდ მადლობას უნდა ვუხდიდეთ, რომ აქამდი უშოვარ წიგნს იგი ასე იაფ ფასად აძლევს და მით ყველას უადვილებს მის შეძენას. დეე, ეს სახალხო გამოცემა იყოს და, თუ არ დაუშლიათ და კომენტარიებით შემკულსაც გამოსცემენ, ერთი მეორეს ხელს არ შეუშლის.

ი. მ—ნი

„ბავშვების მოკეთე“ ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებელი. შედგენილი ალ. ნათაძის-მიერ. ფასი 30 კაპ.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ წიგნმა ჯერ ისევ იმ დროს, როდესაც ხელნაწერად განისვენებდა თავის დამწერის პორტფელში, და მით დიდი იმედიც აღძრა ჩვენს საზოგადოებაში: ალბად არის რამე, რომ ჯერეთ მზის უნახავმა ასეთი მღელვარება მოახდინა ჩვენს პედაგოგიურ სფეროშიო. მართლაც, იმდენი წვრილმანი ნაკლულევანება აქვს ჩვენს ერთად ერთ ანბანს და მასთან ერთად ანბანის შემდეგ პირველ საკითხავ წიგნს—დედა ენას, რომ, თუ კი უკეთესს შემოგვძლევნიდა ვინმე, რასაკვირველია აღტაცებით მივეგებებოდით. მით უფრო საფუძვლიანი იყო საზოგადოების იმედი, რომ ბავშვების მოკეთის ავტორი დიდი ხნის მარტო სახელით კი არა, საქმით-არის პედაგოგი, დიდი ხნის გამოცდილება და ბავშვების ხასიათის ცოდნა აქვს და, მაშასადამე, მან პრაქტიკულად უკეთ უნდა იცოდეს, რა უფრო ივარგებს ამ გვარ პირველ დასაწყისის წიგნში, ვიდრე სხვამ, თეორიის თუნდა ძალიან კარგად მცოდნემ, მაგრამ პრაქტიკას მოკლებულმა. მაგრამ გამოვიდა წიგნი და უმთავრესად ეს უკანასკნელი მოლოდინი გაგვიცრუვდა: დიდი-ხნის მასწავლებელი და იმანაც ქართული მწერლობის მეთვალყურე ქართულ მწერლობაშიაც ბევრს იპოვნიდა ბავშვებისთვის გამოსადეგ, ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტს; მაგრამ შრომაც დასჭირდებოდა, დაფიქრებაც, არჩევაც, მოუსვენრობაც—ვაი თუ მე მომწონდეს, და კი არ ვარგოდესო—ერთი სიტყვით აქ ის დასჭირდებოდა, რაც წიგნის სულის ჩამდგმელია. და ბ. ნათაძეს ამის წილ უფრო ადვილად გასავლელი, უსიფათო, მოკლე გზა აურჩევია თავის წიგნის უსულოდ შესაქმნელად: ამდგარა და უშინსკი გადმოუღია. იგივე პლანი, იგივე მასალა, იგივე სისტემა, იგივე ნაკლულევანებანი, რაც უშინსკისა აქვს და ზედ კიდევ ნაკლულევანებანი უვარგისად გადმოქართულებისა. ვრცლად გარჩევა ამ წიგნისა ჩვენ დაკარგულ შრომად მიგვაჩნია, რადგან, ჩვენ რომ გვკითხონ, სრულიად შეუმჩნევლად დარჩება იგი ჩვენს საპედაგოგიო მწერლო-

ზაში; ჩვენ რომ გვკითხონ. და თუ ჩვენ არა გვკითხეს და, იმ თუშისა არ იყოს, ჩვენს ცხვარსა თავისი «ბარაანა» ამჯობინეს, აბა რა გაეწყობა?

Z.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია.

გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი.

გამოვიდა და ისყიდება

# გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა

**ნაწილი პირველი**

თარგმანი ფრანგულით

ი. მაჭავარიანისა

**ფასი სამი აბაზი — კარგ ქაღალდზე — ხუთმეტი შაური**

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემანი

# ცეცხლითა და მახვილითა

ისტორიული რომანი

ჰ. სენკევიჩისა

თარგმანი გ. ყიფშიძისა

980 გვ. ფასი 1 მან. 60 კაპ.

---

# დასტურ-ლამა

თ. ნ. დადიანისა

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ფასი 25 კაპ.

ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის, ან ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, 30% დაეთმობა.

## ქართველთა ამხანაგობის

# გამოცემანი

(ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ ბაღის კუნჭულში.

| | მ.—კ. |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1—20 |
| იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერივე ყდით (თითო) | 2—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „—80 |
| იგივე მშვენიერი ყდით | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | „—15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი | „—30 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | „—40 |
| იგივე შვენიერი ყდით | „—90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I | 1—20 |
| იგივე ტომი II | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით | 2—50 |
| იგივე ტომი III | 1— „ |
| იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 3— „ |
| ჩანგი | 1— „ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | „—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| იგივე ტომი II | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე; მისივე | „—75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე | 1—50 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1—50 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით | 1— „ |
| იგავ-არაკნი, მისივე | „—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 2—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯ.-ორბელიანისა | „—25 |
| საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი | „—40 |
| მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „—40 |

| | |
|---|---|
| აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა . . | 1— „ |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . | 1—60 |
| დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა . . . | „—25 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . . . | „—30 |
| სიბრძნე ბალავარისი . . . . . . . | „—30 |

Вышла въ свѣтъ и продается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ новая книга

**Юрія Казн-Бека**

# „ВСЕГО ПОНЕМНОГУ“

***Очерки и разсказы***

ИЗДАНІЕ

**ІАСЕ РАЧВЕЛИ**

ЦѢНА **1** РУБ., СЪ ПЕР. **1** РУБ. **25** КОП.

Выписывающіе изъ склада, С.-Петербургѣ, Екатерининская ул.. д. № 6, А. Б. Лефебвръ, за пересылку не платятъ.

*Съ 1 Ноября 1897 года*

# БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ ВЪ Г. КІЕВѢ

***Еженедѣльная газета***

# „РОССІЯ и АЗІЯ"

Подписная цѣна въ годъ безъ доставки и пересылки 5 руб., съ доставкой и пересылкой 6 руб., заграницу 7 руб., на полгода безъ доставки 3 руб., съ доставкой 4 руб., заграницу 5 руб.

**Краткая программа изданія:** 1) Передовыя статьи, посвященныя Еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и русской политикѣ на Востокѣ. 2) Извѣстія съ Востока. 3) Русскіе инородцы (Евреи, инородцы Волги, Финляндіи и Крыма). 4) Недѣльная хроника русскихъ окраинъ. 5) Сношенія Россіи съ Востокомъ. 6) Научно-литературный отдѣлъ: повѣсти, романы, стихотворенія, драматическія произведенія оригинальныя и переводныя, популярныя изслѣдованія по Еврейству, Кавказу. Сибири, Туркестану и Востоку, ихъ антропологія, переводы древне-восточныхъ произведеній, критика и библіографія и т. п.

Въ газетѣ принимаютъ участіе лучшіе спеціалисты и знатоки Азіи.

*Подписка принимается отъ иногороднихъ по адресу:*

**Кіевъ, Университетъ св. Владиміра, Алексѣю Николаевичу Грену.**

*Редакторъ-издатель: Приватъ-доцентъ* А. Н. ГРЕНЪ.

ყალობევსა ფარვანსა შიგანა ეწეროს, ნურცარას თქვენ მოუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანა დგომისა და შეწევნისაგან კიდევე. დაიწერა ბძანება და სიგელი ესე ქკს ტოვ, თვესსა მაისის დ... ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის შანშიან მარტიროზასშვილის ზაქარიასითა. **გიორგი. ხოჩეშან.**

ქ. ესე კურთხეულის ბიძის ჩვენის მეფის პატრონის გიორგის წყალობა ჩვენც ამგვარად გვიბოძებია. **ვახტანგ.**

---

**346.** წყალობის წიგნი მეფის თეიმურაზ I-ისა. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1616, მარტი.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან პატრონმან ხვარაშან, ძეთა ჩვენთა პატრონმან ლევან და პატრონმან ალექსანდრემან, ესე უკუნისამდინ ჟამთა გასათავებელი, წყალობის წიგნი და ნიშანი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთგულსა ყმასა ესიტასა, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს კარსა ზედა მოგვადეგით და თქვენის გლეხებისა სითარხნეს წყალობასა გვეაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ასე ვათარხნეთ და განვათავისუფლეთ, რომე ყოვლისა ჩვენისა სათხოვრისაგან არა ეთხოვებოდეს-რა: არა საბალახე, არა კოდის პური, არა სამლაშე, არა მუშაობა, საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდეს-რა, ერთისა სათათროსა საურისა და ლაშქარ-ნადირობის მეტი არა ეთხოვებოდეს-რა. აწე გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა, არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ, კარისა ჩვენისა ვაზირ-ვაქილნო, მდივანნო და სხვანო მოსაქმენო, ვინ გინდა ვინ იყვნეთ და ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, ბრძანება და ნიშანი ჩვენი თქვენცა ასე გაუთავეთ და ნუ მოუშლით. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ჩვენი ესე თვესა მარტსა, ქკს ტდ. **მეფე თეიმურაზ.**

---

**347.** ჯამაგირის დანიშვნის წიგნი ერეკლე პირველისა ანუ ნაზარალიხანისა. ამ წიგნისა პირი გვაქვს მარტო ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1693, ენკენისთვის 4.** ქ. გაგვიჩენია ჯამაგირად კახის ჩვენის აზნაურშვილს ესიტასთვის წელიწადში თუმანი სამი. ასე უნდა ყოველს წელიწადს ჩვენის კარის გამრიგენი ესრეთ მოსცემდენ. ქ~სა ტჳა, ენკენისთვის დ. [ნაზარალიხან]

ბოლოს მოყვანილია ასეთი შენიშვნა: ამაზედვე თათრულათაც აწერია ხუთის ბეჭდის დასმით.

---

**348.** წყალობის წიგნი დავით მესამისა ანუ იმანყულიხანისა. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს წელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1716, თებერვლის 25.** ქ. ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ მეფემან პატრონმან იმანყულიხან შენ, ჩვენს ერთგულს ყმას აზნაურშვილს ესიტას, და მომავალსა სახლისა შენისათა, ასე რომ ჩვენი სახასო სოფელი **სათის-ჭალა** უშენი შენათ გაგვეხადა და ბევრს გარჯილიყავ. სამართალი არ იქნებოდა, რომ სხვას სჭეროდა, რადგან ძველგანაც მოურაობა თქვენა გქონდათ და მამულიცა გქონდა იმ სოფელში, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ შენი სამსახურის სამაგიეროდ **სათის-ჭალის** მოურაობა ყოვლის კაცის უცილებლად. გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩვენს ერთგულად სამსახურში, არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. გიბრძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვაზირნო და სხვანო ჩვენნო მოსაქმენო, თქვენც ასე დაუმტკიცებთ და ნუ მოუშლით, თვინიერ შემწეობისაგან კიდევ. დაიწერა თებერვალს ოცდა ხუთს, ქ~ს უდ. [იმანყულხან]

**349.** ბრძანება მეფე კონსტანტინესი. ამ ბრძანებისა მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1719.** ქ. ჩვენი ბრძანება არის, დათუნა ესიტაშვილო, შენმა რე ჩვენი სახასო სოფლის ქვემო სათის-ჭალის მოურაობა ჰქვე-ლათაც ჰქონდა და ახლაც ბევრს გარჯილიყავ, უშენო სოფე-ლი შენათ გამიხადე და ჩვენც წყალობა გიყავით და მოურაობა გიბოძეთ, ქკს ფზ. [მეფე კონ სტანტინე]

---

**350.** ბრძანება მეფე თეიმურაზ მეორისა. ამ ბრძანებისა ჩვენ პირი გვაქვს მარტო ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. ფიცი არა აქვს, მაგრამ № 352 სიგლის ჩვენებას, რომ ეს ეკუთვნის თეიმურაზ მეორეს.

**1731—1762.** ქ. ჩვენ მეფემან ბატონმა ჩოლოყაშვილს ასე მოახსენდეს: მერმე დათუნა ესიტაშვილისათვის მეფე[ე]ბისა-გან ნაბოძები ძველადგან სიგლები წაგირთმევია და დათუნაის-შვილისას დაგიწვამს. ეგ ჩვენი წინაამღდეგი საქმე რომ თავს გიდვია, მწვეთ [გ]ვეწყინა და ბოლოსაც ავათ მოხდება, მაგი-თანა უწყვანი საქმე რომ გიკადრია, ჩვენის კარის იასაული მოი-სევან და რიზაყული გამოგვიგზავნია, ახლავ ვაჭრა დაჭერი-ლი ამათის ხელით უნდა გამოგზავნო, თორემ ძნელათ ვეწყინე-ნება [მეფე თეი მურაზ]

---

**351.** მოურიგების წიგნი გიორგი მაჩაბელისა და ფარსადან ესიტა-შვილისა. ამ წიგნის პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე და-წერილი.

**1778, მაისის 18.** ქ. ესე პირი და ფიცი დაგიწერეთ ჩვენ მოგეცით ჩვენ მაჩაბელმა გიორგიმ, ძმისწულმა ჩემმა ფარსა-დან, რევაზ, ელიზბარ, შვილმა ჩემმა ერეკლემან, ლუარსაბ და დათუამ, თქვენ ესიტაშვილებს ფარსადანსა და ზაზას, ასე რომ თქვენ ბატონიშვილს ვახტანგს ახლდით, და წმიდის ნა-თლისმცემლის უდაბნოში ჩვენს ძმას ელიზბარსა და შენ ესი-ტაშვილს ფარსადანს იმ ჟამად ეშმაკის მანქანებით ჩვენს ძმას

ელიზბარს შენთვის ორი და სამი ხმალ[ი] ეცა და მძიმეთ დაჭ-ჰერ, ამ მიზეზით მეფისა და მსაჯულთ სამართალში გავიარეთ და მძიმე სისხლი გვედებოდ[ა]სა რადგანაც წმიდას უდაბნოში მამხდარიყო, იმასაც და ბატონიშვილთან ხლებისათვისაც ორ-სამ კერძოთ მძიმე სისხლი სამართლით ჩნდებოდა, და მოსა-მართლეთ ძველი და პირველი კახეთის დავთრები მოიკითხეს და გაშინჯეს, რომ წინსა და პირველ აზნაურშვილად გამო-ცხადდით ძველად ვახ[ტანგ] მეფის[1]) დავთრებით, ამ მიზეზით შენიც მძიმე სისხლი გვედებოდა, მაგრამ, რაოდენი ჩვენგან შეიძლებოდა, ვეცადენით და შემოგიყენეთ ვინცა ვინ შენი და ჩვენი კეთილის მყოფელნი და მოყვასნი იყვნენ, და ამათის შუამდგომლობით ჩვენი სისხლი შენც დასთმე და აღარ მოინ-დომე ჩვენი დაკლება, ამისთვის ჩვენც ვითაც გმართებდა, რა-დგან ამთენი ქრისტეს სიყვარული გამოაცხადე და დაითმინე, ამისთვის ჩვენ ვითაც გმართებდა თქვენი საუპატიო ჩვენის ნება-ყოფლობით მოგეცით: ჩვენ რომ კახეთს კაცნ[ი] გვყვანან, ჩვე-ნი მემკვიდრე კაცნი, იმათგან შენ რომელიც ამოირჩიო ორი კომლი კაცი, თავიანთ ცოლ-შვილით, ყოვლისა კაცის მოუ-დევრად მოგვიცია, და სხვა რიგათაც შენი გული მოვიმადლიე-ლეთ და შევრიგდით შვილობით, ჩვენსა და თქვენს შუა სადაო და სალაპარაკო არა დარჩომილა-რა, სიყვარულისა და ძმობის მეტი შვილითი შვილამდე. ამ პირის ცვალება აღარ იქნება ღთის თავდებობითა და მეფის შეცოდების დადებითა, ამას იქით ჩვენცა და თქვენცა ამ პირზედ დავდგეთ. მე ბეგთაბეგისშვილს ავთანდილ მდივანს ამ მაჩაბლების ყაბულობით და იმათის სი-ტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, აღიწერა მაისის იე, ქკს უჲგ.

ჩვენ სწრაფალმოურავი დავით ამ წიგნის მოწამე ვართ.

ჩვენ შუხრანის ბატონი იოანე მაჩაბლების ილოცვით ამ წიგნის მოწამე ვარ.

---

[1]) დედანში სწერია: მეფეჲსა.

ჩვენ ამილახვარ მდივანბეგი იესე ამისა მოწამე ვარ და ვამტკიცებ მაჩაბლის სიტყვით [ ].

ჩვენ ორბელიან მდივანბეგი იოანე ამის მოწამე ვარ და ვამტკიცებ [ ].

**352.** განჩინება მეფის ერეკლე მეორისა ესიტაშვილების სახასოდ დადების შესახებ. ამ განჩინებისა პირი გვაქვს მარტო ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1792, აგვისტოს 10.** ქ. ესიტაშვილებმა მრავალ გზის გვაწუხეს, არ ვიციო, ჩოლაყაშვილებს როგორ ვყმობივართ, ან რის მიზეზით უჴირავართ და ან ახლა უსამართლოდ ყმობის წიგნი რათ მიგვაცემინეთო, ამისთვის ვალს [ქ]ვეშ ვიყავით, რომ ამდენს ხანს ამათს საჩივარს ვერ მივხედეთ და წიგნიც მივაცემინეთ. ახლა წვლილ მოგონებით გავსინჯეთ და დავინახეთ, რომ უსამართლო დ[ა]ემართათ: ჩოლაყაშვილს მძლავრობის გარდა საბუთი არა აქვს-რა ამის მეტი, რომ ავის დროს მიზეზით ცოტას ხანს ხლებიან. ჩვენ კარგად გვახსოვს, სანატრელთა ჩვენს უწინარესთ მეფეთაგან წყალობის წიგნები გივმა ჩოლაყაშვილმა დათუნა ესიტაშვილს რუისპირს დაუწო და ზოგი კი გარდაურჩენიათ, რომ ჩვენც გვინახამს. მარტყოფის მოურავი ქაიხსრო რომ კვდებოდა, ესიტაშვილები კიდევ გვეხვეწნენ სარწმუნოს კაცის პირით: ღთი და თქვენი მზე აფიცეთ, ჩვენი და ჩოლაყაშვილების ბატონ-ყმობა, როგორც იცოდეს, ჭეშმარიტი (ჭტი) მოგახსენოსო, ჩვენი მოძღვარი მეტეხის დეკანოზი იესე ამისაც მოძღვარი იყო და მიცვალების ჟამს იმის პირით ვკითხეთ და ფიციც შემოეთვალა, არც გამიგონია და არც ვიცი მეფეებს გარდა შებატონე ესიტაშვილებს ჰყოლოდესო, ამისთვის მოვალე ვიყავ, რომ სამართალი უნდა მიმეცა, ფარსადანს წიგნი ჩვენ მივაცემინეთ და ჩვენვე დაგვიყენებია და ვალიდამაც გამოვსულვარ, რომ თავისის მამულით სახასონი იყვნენ და ახლა ჩვენც ჭეშმარიტების (ჭების) სამართლის მიხედვით, სახასოდ დავდევით. ამაზედ, შემდგომთა ჩვენთა, თქვენც

გაფიცულვართ წმინდის ღმრთის სამართალს და ჩვენს მამა-შვილობას, როგორც მტკიცედ ეს სამართალი მიგვეცეს, შეიწყნარეთ და ნუ მოიშლით. აგვისტოს ..., ქკს უპ. ალბათ [მეფე ირაკლი].

ქ. მისის დიდებულების ნებით ჩვენ საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით ვამტკიცებ, მარტის ა, ქკს უპთ. [ ] [1])

**353.** წყალობის წიგნი მეფე როსტომისა, მიცემული გოსტაშაბ ბარათაშვილისადმი. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში სუდში დამტკიცებული. ბოლოს მუსულმანური წარწერა აქვს. ერთი წარწერა მეორე გვერდზე უჩვენებს, რომ ნამდვილი წარდგენილი ყოფილა 1864 წელს მეორე მეჟევის სუდში.

1634. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ მეფემ პატრონმან როსტომ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბარათაშვილს გოსტაშაბს და შვილთა თქვენთა ..., შვილთა და შვილის შვილთა მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს მოგვახსენეთ კარსა და მამულის წყალობას დაგვეაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით და მკვი[დ]რობით და მამულად დიდგორის ძირს სოფელი აგუდნეთი თქვენი ყოფილ-ლიყო, ჩვენც ყოვლის კაცისაგან უცილებლად და შეუშლელად სამკვიდროთ და საბოლოოთ შეგიწყალეთ და გიბოძეთ დიდგორის ძირს სოფელი აგუდნეთი; მთით, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა და ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, შენითა და უშენითა, სასყიდლით და უსყიდლითა, საძებრითა და უძებრითა, ყოვლის მისის სამართლიანის საქმით და სამძღურითა, მისით ძველის ... უნაკლულოდ, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან.

[1]) ზემოთ მოყვანილი შვიდი სიგელი №№ 346—352 შეკრულია ერთ რვეულად და დამტკიცებულია წარწერით და ბეჭდის დასმით ტფილისის მაზრის სუდისაგან 1808 წელს, 28 ივნისს.

აწე უზ[ე]დესთა მოგახსენებთ და უქვედესთა გიძთ, კარისა ჩვენისა ვექილ ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, დღეს ვინ გინდა ვინ იყვნეთ და ანუ დღე ვის წაღმა ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ [  ], მერმე ეს ჩუენგან ნაწყალობევი სოფლის ჩიხელი თქუენცა ასრე გაუთაოთ და დაუმტკიცეთ, რა რიგათაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარმანში უწერია, და ნურვინ ნუ შეუშლით და ნუ შეეცილებით, არამც ერთ მოჭეშმარეთ არ ჩვენგან და არც შემდგომთ სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან, და ვინ იცის ან იმას წინანდელი და ამ ფრმას უკანდელი ამ სოფლის წიგნი ქონდეს ვისმე, ამ ჩუენგან ნაბოძების თიგლუფის შეცვლას უცუდებია თან დადგომისა და მეწევნისაგან, დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქკს ტჳბ, კელითა მწიგნობრის ყარღანაშვილისა მერაბისათა. [  ]

**354.** განჩინების წიგნი მეფე როსტომისა. ამ წიგნისა ჩვენ ფირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. თავში უწერია: თავი მოხეული აქვს.

**1644.** ...შვილთა მომავალთა სახლისა თქვენისათავე, მას ქამსასოდეს თურქისტანისშვილს ტეტიას (ტს.) ქუენი სამკვიდრო მამული ერთობით ეშოვნა, და მის შვილთა აკურისს ორი სახლეხო მამული მიწა-წყლითა, ვენახითა, და ყოველის ფერითა ქაიხოსროსა და მათს ძმათ ყმათათვის, ფალავან ხოსროს ყმისათვის და გოსტაშაბისშვილის ყმისათვის მიეყიდა და ჩუენ მისი სამართალი ვქენით და ასრე გავარიგეთ, რომ ტაცა იმ თქუენის მამულების სასყიდლი მამულის თქვენთვის დაეცეთ ფულთა ქეპირათა, ის ისრევ თურქისტანისშვილთ დავანებეთ და თქვენი მამული აკურისი ისრევ თქვენ მოგვანებეთ, და მონასტერს კაცთ თურქისტანისშვილთ არასდროს ყოვლისაცა, და მერე გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან და არავინ არა შეგცილოს. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქკს ტლბ, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანისშვილის ბიროთველისთა (მელქისედეკ). [როსტომ მეფე]

**355.** წყალობის წიგნი როსტომ მეფისა მიცემული პაპუნა ორბელიანისადმი. ამ წიგნისა პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

**1658.** ქ: ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩვენ ღთივ გვირგვინოსანმან და ორისავ ტახტისა და საბატონოს მპყრობელ მქონებელმან, მეფეთ მეფემან, კელმწიფემან, პატრონმან როსტომ, და თანა მეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან ვახტანგ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდრო და საბოლოვო, მტკიცე და უცვალებელი წყალობისა და სითარხნისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქუენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისაებრ თავდადებით მრავალფერად ნამსახურსა ყმათა, ბარათაშვილს ჩვენს ყლიჯ-ყორჩსა პაპუნასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს მოგვიდექით კარსა და თქვენის ნამსახურობის სამუფქოდ ენაგეთს თქვენს მკვიდრსა მამულს დაგუეაჯენით და თქვენის სასახლის ამლივის გათარხნებასა, ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ენაგეთს ფერიაშვილისა და მირაქას მამული, ზედ მსახლობელის დავრეშათი და მისის დისწულის თამაზათი, დღეს რისაც მქონებელნი იყვნენ, მთით ბარამდისინ, ესენი დაგიმკვიდრეთ და თქვენი სასახლე ამლივიც ისრე გითარხნეთ, რომ არაფრისთანა საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდესრა, არა კოდის პური, არა საბალახე, არა პირის თავი, არა ნახირის თავი, არა სეფობა, არა ქეშიკი, არასფრისთანა არა ეთხოებოდესრა, ერთის სათათროს საურისა და ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე, ამ წესითა რომე ბაზიერს დაეჭიროს, ქორისათვის ერთი ქათამიც ვერ აიყვანოს. გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არა ოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან დღეის აქა სხვათა შემდგომად მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინცავინ იყვნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენც ასრე დაუ-

მტკიცეთ, რა რიგადაც ამა ჩვენგან წყალობევსა ფარვანაშა ეწეროს და ნუროდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით თვნიერ შეწევნისა და თანა დგომისაგან კიდე, დაიწერა ბ~ბა და ნიშანი ესე ქ~ს ტმგ, ჴელითა გარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თუმანისშვილის ბირთუჳლისათა. |როსტომ| |ვახტანგ|.

---

**356.** წყალობის წიგნი გიორგი XI ანუ შაჰნავაზ მეორისა, ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს მარტო ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1671.** ქ. ჩვენ ღთივ გვირგვინოსანმან, მეფეთ მეფემან, ხელმწიფემან პატრონმან შანავაზ; პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან გიორგიმ, პატრონმან ლევან, პატრონმან ლუარსაბ და სულეიმან ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენთა ერთგულთა და ნამსახურთა ყმათა, ბარათაშვილს ყლიჯ-ყორჩის პაპუნასა, შვილთა თქვენთა გოსტაშაბს, ყაფარბეგს, ნიკოლოზსს, თამაზს, შვილთა თქვენთა ყოველთავე და შვილიშვილთა, მამავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს თქვენს განაყოფს ასანბეგისშვილს თაყასა და ასლამაზს და მათ შვილთ თქვენთვის თავისი მკვიდრი მამული ტბისს ჯოიაშვილები, სასახლე და რისაც მამულის მქონებული ყოფილიყო, გამოეცვალა და მისად პასუხად თქვენც, ვითაც იმათ იქ ეხელ-ყოდათ ქნაგეთს თქვენი მკვიდრი გლეხები ჯანიკასაშვილი ხიზუა და ბერუა ალავერდასშვილი, და ბეშის-გორს ათის დღის მიწა მიგეცათ, და ამ რიგად გარიგებულიყვენით, ჩუენცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ, და გიბოძეთ, რომე არა ოდეს არა მოგეშალოს, არა ჩვენგან და არც შემდგომად სხვათა ხელმწიფეთაგან, გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქ~ს ტნთ, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან მწიგნობრის თუმანისშვილის გიორგისითა. შანავაზ.

357. ვალის აღების წერილი ბარათაშვილის ქაიხოსროსი. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზედ დაწერილი. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

1679. ქ. ესე წიგნი მოგეც მე ბარათასშვილმან ქაიხოსროსშვილმან ქაიხოსრო, ჩემა ძმისწულმან ბარათასშვილმან ქსუფრაჯმან ქაიხოსრო, თქვენ ბარათასშვილს, ჩვენს განაყოფს გოსტაშაბისშვილს პაპუნასა, შენს შვილს გოსტაშაბს და თამაზსა, ასე რომე ავიღეთ შენგან ოცდა თოთხმეტი თუმანი, თვეში თუმნის თავს აბაზი სარგებელი უნდა მოგცე. აპრილის დამდეგს თეთრი ავიღია. ამ თეთრის გირაოთ დაგიდევით: ენაგეთს სადუნიშვილი პაატა მიწისა და ვენახისა, რისაც მამულის მქონებელი იყოს, თავისის ყმითა, თავისის კერძის, რისაც მქონებელი იყოს, მისი განაყოფი სამანა დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, კიდევ იმის განაყოფი გურგენა დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ენაგეთს ბემშვილდისშვილი რისაც მამულის მქონებელი იყოს, ენაგეთს რაც შენი წილი მამული იყო და ჩვენ გვეპყრა, სრულ ყველა გირაოთ დაგვიდებია. სადუნიშვილები სადაც აყრილნი იყვნენ და მოიყვანო, იმათ გირაოთ დაგვიდებია, ტბის დილენჯაშვილები ქიტია და ბერუკა თავის ძმითა, ხვინთგას გარდაის, ტბის რომ ჩოლოყაშვილის ნაჭერ[ია] [იმას] გარდაის, რისაც მამულის მქონებელი იყვნენ, ესები ყველა იმ ოც და თოთხმეტის თუმნის გირაოთ დაგვიდებია ღვინობისთვეს დამდეგამდი. ამ სარგებლით გირაოთ იყოს. თუ ღვინობისთვეში შენი თეთრი ვერ მოგცე თავის სარგებლით, მასუკან რაც ამ წიგნში ყმა და მამულები გიწერია, შენთვის სამკვიდროდ მოგვიცემია, ხელი აღარა გვაქვს. თუ ამ ბორჯალზედ თეთრი ვერ მოგცეთ, მასუკან ნასყიდობის წიგნი მოგცეთ და კიდეც დაგანებოთ. არის ამისი მოწამე ყმაწვილი თბილელი ფასებ, მეჯინიბეთ უხუცესი პაატა, მისი მამა ქავთარი, ბოქაულთ უხუცესი საამ, მეჯინიბეთ უხუცესი სეხნია, ბოქაულთუხუცესი შიოშ, ქავთარიშვილი სულხან, ლონათამ და მანუჩარ, ციციშვილი ქაიხოსრო, საგინაშვილი ზაალ, ყორღანაშვილი ლამაზა, რევიშვილი შალვა და ადამ, ბლორძელი ოტია და ზურაბა, სარაჯი

ჯიმშიტა. მე მღუდელ-მონაზონს ქლისეს დამიწერია და მეწო-
მქცევარ, ქკს ტნიზ: | ბეჟედი თათრული. | ქაიხოსრო. | ჩართუღლიშ ქაიხოსრო. |.

**358.** ნასყიდობის წიგნი პაპუნა ბარათაშვილისა, ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს ხელში, შესავალი და წყევლა გამოვუშვით.

**1680.** ...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ ბარათასშვილმან ქაიხოსრომ, შვილმან ქაიხოსრომ, ძმის წულმან ჩემმან სუფრაჩს ბარათასშვილმან სუფრაჩმა ქაიხოსრომ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე, ასრე რომე დაგვეჭირა და ჩვენის მონდომითა და წადილითა მოგყიდეთ შენისავ მამა-პაპათ და შენი სამკვიდრო მამული და გლეხები თქვენ ბარათაშვილს გოსტაშაბისშვილს პაპუნასა, შვილსა შენსა გოსტაშაბს, თამაზსა და ბეროსა, ასრე რომე როდესაც მამაშენი გოსტაშაბ ურუმთა მოუკლა და შენ მცირე ყმაწვილი დარჩომილხარ, მაშინ შენი სამკვიდრო მამული და გლეხები მამა ჩემსა დაეჭირა, მას უკან დაგვეჭირა ჩვენ და შენი სამკვიდრო იყო და არას გემართლებოდით, მაგრამ ხელ-მწიფებით მოგყიდეთ და ავიღეთ შენგან ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა და ჩვენი შენზე ალარა დარჩარა, მოგვიყიდია ენაგეთს სადუნაშვილი პაატა, რისაც ვენახისა და მამულისა მქონებელი იყოს, თავისის ყმითა, თავის კერძის მამულითა, რისაც მქონებელი არის, მისი განაყოფი სამანა დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, იმითა, კიდევ იმისი განაყოფი გურგენა დღეს რისაც მქონებელი არის, ენაგეთს ძეძიშვილი დისშვილი ... რისაც მამულის მქონებელი არის იმითა, ენაგეთს რაც შენი წილი მამული ყოფილა და გლეხი და ჩვენ გვეჭირა სულ უკლებლად მოგვიყიდია. სადუნაშვილები რაც აყრილნი იყვნენ და მოიყვანო, ჩვენ ხელი არა გ[ვ]ქონდეს, ტბის დოლენჯასშვილები ...ტიტიკ და ბერუკა თავისის ძმით, ტბის რომ ხოდაბუნის ნაჭერი იმას გარდაწერეთ რისაც მამულის მქონებელნი იყვნენ, ესენი სრულად უკლებლად მოგვიყიდია. თუ

ვინმე ამ ჩვენს მოსყიდულს მამულს შემოგეცილოს და წამოგედაოს, პირისა და პასუხის მომცემი ჩვენ ვიყვნეთ, არიან ამისი მოწამენი და დამხდომნი ტფილელ ეპისკოპოზი იოსებ, ბარათაშვილი მეჯინიბეთ უხუცესი პაატა, მისი ძმა ოთარა და ვარაზა, ბოქოულთ უხუცესი საამ, მეჯინიბეთ უხუცესი სეხნია, ბოქოულთ უხუცესი შიოშ, ქავთარაშვილი იონათამ და მანუჩარ, საგინაშვილი ქაიხოსრო, საგინაშვილი ზაალ, ყორღანაშვილი ლამაზა, რევიშვილი შალვა, რევიშვილი ადამ, ბლორძელი ოტია და ზურაბ, სარაჯი ჯიმშიტა... დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქჳს ცნაჲ, ხელითა მღვდელ-მონაზვნის ელისესითა |      |.

---

**359.** ნასყიდობის წიგნი ზურაბ ბარათაშვილისა. ამ წიგნისა პირი გვაქვს ხელში. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

**1690.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მიზეზ-მოუძებარი ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ ვახუშტისშვილმა პატრონმან მანუჩარ, ჩემა ბიძასშვილმა პატრონმან ბადურ, ძმამან ჩემან ბახუტამა და შვილმან ჩემან იესემ და სხვა შვილთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ ბატონს ზურაბს და შვილსა თქვენსა ბატონს ზაალს, შვილსა და მამავალთა თქვენთა, მოგყიდეთ ჩვენ ორ ძმათ წილი ისპიანი მისის სამართლიანის სამძღვრითა, მთითა, ბარითა, შენითა, დპყარითა, ველითა, ვენახითა, მიწითა, წყლითა, საწყლისპიროთა, საწისქვილოთა, ჭალითა, სასაროთა, ყოვლისა ჩვენის კერძით, ავიღეთ ფასი სრული, რასაც ჩვენი [გული] შეგჯერდებოდათ და მოგყიდეთ ყოვლის კაცის მოუდევრად და უჩხუბრად, არას კაცს თქვენთან კელი და სალაპარაკო არა ჰქონდეს, თუ ვინმე მოდავე და მოლაპარაკე გამოჩნდეს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. ამისად გასათავებლად მოგვცემია ღმრთი და ყოველნი მისნი წმინდანი: არიან ამისი დამხდომნი და მოწამენი: მანუჩარ ციციშვილი, ასონიშვილი ლოლუენჯი, ჩვენი მსახური, აზნაურშვილი

თაგან იანდარაშვილი ზუბიტა; ჭრეშელი დონდარაშვილი ზურაბა, დარბაზელი პოლოზაშვილი გიგოლა, თქვენი აზნაურშვილი ყარახანა, სალთუხუცესი იასე, თანდილაშვილი მახარა, იმისი განაყოფი სიყმია, ლიყოურელი დეკანოზი სამა, დაიწერა ქჳს ტოჱ(3?). მანუ ჩარ † † †

**360.** განაჩენი ჯალდამის სამძღვრების შესახებ. ამ განაჩენისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1700, თიბათვის 2.** ქ. რევაზ ზურაბისშვილი თავისი ძმისწულებით, სულხან ყაფლანისშვილი კახეთისა ჯალდამას სამძღვრებზედ ცილობდნენ და მეფის ერეკლეს ბძანებით წამოვედით ჩვენ იარალისშვილი მეჯინიბეთ ხუცესი როსებ და გაბასშვილი ინდიამ, იმათი სამძღვრები გაუშინჯეთ და სამართლიანის საქმით ასე გაურიგეთ, რომ ნასახლარის სერი რომ დასდევს, ის სერი შუა გავყავით, რომ ნახევარი რევაზს დავანებეთ და ნახევარი სულხანს დავანებეთ, და კიდევ ამე[ე]ბს გარდა წყალს გაღმა ლორისთული და ვანური სამძღვრები ვნახეთ და კიდევ სამართლიანის საქმით ესეც ასე გაუსამძღვრეთ, სერსერი ჩამოიტანს სახნავამდინ ძუძუნური, იმ[ი]ს ჩამოსწორ წყლის პირამდინ და საწყლისპირო დარჩა სულხანს და სერს იქიდამ და სახნავით წყლისპირამდინ დარჩა რევაზს, და ასე გავარიგეთ, რომ ერთმანერთ[თ]ან სალაპარაკო აღარა აქვსთ-რა, ძმობისა და მოყვრობის მეტი, ვინც ამაში გამტყუნდეს, კელმწიფის შემცოდე იყოს, დაიწერა თიბათვის ბ, ქჳს ტპჱ (ჳ?) [ ].

**361.** ნასყიდობის წიგნი ზურაბ ზურაბიშვილისა. ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. შესავალი გამოვუშვით.

**1725, თებერვლის 12.** ..ესე ამიერ უკუნისამდე მტკიცე და საბოლოოთ გასათავებელი ნასყიდობის სიგელი მოგეც მე ირაკლის ფარემუზისშვილმა თეიმურაზ და ყოველმა სახლისა მომავალმან ჩემან თქვენ ზურაბისშვილს ზურაბას და შვილ-

თა და სახლისა მომავალთა თქვენთა, ასე რომე მოგყიდეთ ჩემი კერძი ისპიანი, ავიღეთ ფასი სრული და უნაკლული, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, აღარა დარჩა ჩვენი თქვენზედ არც ერთი ოქროს ფასი კაცთაგან დამხდომი, შემრიგებელი ზურაბისშვილი ბეჟან და პაპუნა [ზურაბიშვილი], ელიშერიშვილი სუმბატა [+], სუსიტასშვილი პატა [ ], ჩემი სახლთა უხუცესი ისკანდარასშვილი ბეჟუა †, დონდარასშვილი ზალ, ამირზალაშვილი დავითა, მერაბაშვილი გიორგი, დაიწერა თუბერვლის თორმეტს, ქ~ს უკგ. დაიწერა ეს წიგნი მიწერელი პატა მღივნისშვილის გიორგის ხელით, ჩემი წილი წყლით, წისქვილით, ბაღით და ნიგვზითა, საწყლისპიროთ, ტყითა და მთითა, სახლ-კარითაც შესავალ-გასავალით, ვენახითა, ველითა და ნადირითა [ ]

აშიაზედ:

ქ. სოლაღასშვილი ზურაბ.

აშიაზედ:

არის ამისი მოწამე სოლაღასშვილი პატყანა. †

---

**362.** ნასყიდობის წიგნი ზურაბ ზურაბიშვილისა. ამ წიგნისა პირი გვაქვს ხელში, შესავალი და წყევლა გამოვუშვით.

**1741.** . . ესე ნასყიდობის სიგელი დაგიწერეთ ჩუ მოგეც მე იარალიშვილმა როსებისშვილმა იარალიმ და მომავალთა სახლისა ჩემისათა თქვენ ზურაბისშვილს ზურაბს და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომ დამეჭირა და მოგყიდე ჩემი წილი და ბარათში გამოყოლილი, რაც ისპიანში წილი მქონდა თავისის ბოლნისის კენჭიყარია რომ გარდავა, იმ ძლვრამდი და კაზრეთისკენ რომ გზა წავა და ხევი ჩამოვარდება იქამდი, ღორისთავისაკენ საბადური რომ ჩამოვარდება და ლელე იქამდე, დიდა ზეით კარმეჯახელთან რომ წისქვილის ადგილი არის ჩემი იქამდი, თვისის საწყლისპიროთა, ბაღის ადგილითა, ვენახის ადგილითა, ტყითა, ველითა, სახნავითა, უხნავის, რისაც მქონე ვიყო და ჩემი წილი ისპიანი, ბარათში რაც გამამყოლოდეს, შენთვის მომიყიდია, ისპიანში ერთი ის-

რის დესასტბი ადგილი აღარა მაქვს. მე ავილე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. ჩემი შენზედ აღარა დარჩა-რა... არის ამისი მოწამე თავათ ღთი და ყოვ[ვ]ელნი მისნი წმინდანი, ხოლო კაცთაგან ჩემი ბიძაშვილი ზაზა [ ], გოშტაშაბიშვილი ბეჟან [ ], ნამანგლელევისშვილი გუგუნა [ ], გერმანოზისშვილი გუგუნა [ ], სამისშვილი ედიშერ, ქავთარისშვილი ედიშერ, გაბაშვილი პაპუნა, ჩემი აზნაურშვილი იანდარაშვილი დავით, ხუცისშვილი ოთია †, დაიწერა კელითა სამების დეკანოზის შვილის ისაკისათა, ქჳს აქათით [1]) ჩღმა, ქჳს უკთ. მე იარალის მომიყიდია და ყაბულიცა მაქვს ამისი [ ].

აშიაზედ:

ქ. რადგან ჩემა სახლის კაცებმა ისპრანჯ მოგყიდათ, რაც მე ეშიკალადბაშს იარალის კერძი მქონდა, თქვენთვის მომიცემია, ღთნ მოგახმაროსთ. [იარალი].

აშიაზედ:

ქ. მე ციცისშვილი დავით ამისი მოწამე [ ].

აშიაზედ:

ქ. მე სოლაღაშვილი იესე ამისი მოწამე ვარ [ ].

ზემო მოყვანილი ოთხი სიგელი ერთ რვეულად არის შეკრული და ბოლოს ასეთი წარწერები აქვს:

ამ ზემო ნასყიდობების და განაჩენის ასლები ვნახე, რომ ეს პირები უმეტ-ნაკლებოთ იყო გარდმოღებული და ამისთვის კელს ვაწერ. თავადი სტატსკის სოვეტნიკი ელიაზარ ფალავანდოვი.

ამისი ასლები ვნახე, უმეტ-ნაკლებოთ არის გადმოღებული თ. მელიქოვი. (ჩართული).

---

**363.** წყალობის წერილი გიორგი XI მიცემული პაპუნა ბარათაშვილისადმი. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს ხელში.

**1693, აპრილის 1.** ნებითა და შეწევნითა ღუთისათა ჩუენ მეფეთ მეფემან, თჳთ ხელმწიფემან, პატრონმან გიორგიმ, თანამემცხედრემან ჩუენმა, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან ხორეშან, ესე ამიერ ჟამთა და ხჳთა გასათავებელი მტკი-

[1]) დედანში სწერია: ქკს აქნეით.

ცე და უცვალებელი წყალობის და სითარხნის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუჱნ, ჩუჱნსა ერთგულსა და მრავალფერად წესისებრ ნამსახურს, ბარათაშვილს პაპუნას, შვილთა თქუჱნსა გოსტაშაბს, თამაზს და ყაფარბეგს, შვილიშვილთა თქუჱნთა ამილღაბარს და ბექანს, მას ჟამსა ოდეს მოგვადექით კარს დარბაზისა ჩუჱნისასა და **თრიალეთს** თქუჱნის ნასოფლარის **მარიამის** გათარხნებას დაგვიაჯენით, ჩუენცა ისმინეთ აჯა და მოხსენება თქუჱნი და თრიალეთს მარიამ ნასოფლარი გითარხნეთ, ამ წესით რომე რაც კაცი იქ დაასახლოთ არა ეთხოვებოდესრა, არა საბალახე, არა კოდის პური, არა ნახირის თავი და არა პირის თავი, თჳნიერ ერთის სათათროს საურისა და ლაშკარ-ნადირობის მეტი არა ეთხოვებოდეს რა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩუჱნსა ერთგულად სამსახურში და არა ოდეს არ მოგეშალოს არა ჩუჱნგან და არა შემდგომთა სხვათა და სხვათა მეფე-პატრონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩუჱნისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოხელენო, ბრძანება და სითარხნე თქუჱნცა ასე გაუთაოთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით, თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან. დაიწერა კიდევ ქკ̃ს ტპა, აპრილის ა, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა თუმანიშვილის ოთარისათა [გიორგი]. ეს ბატონის ჩუჱნის ძმის მეფის ბძანება ჩუჱნცა ასრე დაგვიმტკიცებია. იმამ-ყული. ჩუჱნცა ასე დაგვიმტკიცებია ეს სიგელი [ ].

---

**364.** წყალობის წიგნი პაპუნა გოსტაშაბისშვილისა. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს ხელში, შესავალი და წყევლა განგებ გამოვუშვით. ბოლოს ამ პირს აქვს მინაწერი: ქ. ასლი ვნახე და უმეტნაკლებოდ გადმოვსწერე ღ~თის წინაშე სარდარ. ორბელიანის ყმა იოანე აბაზოვი.

**1696.** ...ესე უთუო, უთუოდ დრო დაუდებელი და მიზეზ შემოუღებელი წიგნი და პირი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ გოსტაშაბისშვილმან პაპუნამან და შვილმან ჩვენმან ნიკოლოზ და თამაზ, ამილღაბარ და ყაფარბეგ, შვილთა და მო-